

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი



# მემონი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები

თბილისი  
2014



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## მ ა ს ა ლ ე ბ ი

IV სტუდენტური რეგიონთაშორისო  
რესპუბლიკური კონფერენცია

ურთიერთობათა და კონფლიქტების  
დარეგულირებისათვის

ჰუმანიტარული და კულტურულ- საგანმანათლებლო  
მიმართულების პროექტი

II სტუდენტური რეგიონთაშორისი  
რესპუბლიკური კონფერენცია

მასალები



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამოცემლობა

## რედკოლეგია:

თამარ პაიჭაძე (მთავარი რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

კახაბერ ლორია (რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ნინო მინდიაშვილი (კოორდინატორი) პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორები: ირაკლი ყანდიაშვილი, ეკა ფირცხალავა, რევაზ ჯორბენაზე, მედეა დესპოტაშვილი, ნინო ჭალაგანიძე, ხატუნა კაჭარავა, ირმა ხარშილაძე, ეკა ნავროზაშვილი, ანასტასია ზაქარიაძე, ნათელა მოსიასვილი, ინგა სანიკიძე ნანა გონჯილაშვილი, თამარ შარაპიძე, ქეთევან სიხარულიძე, რტისტან მახაური, სოფიკო ძნელაძე (დოქტორანტი) (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროფესორი: თამარ კიკნაძე, მარინა ხიზანიშვილი (კავკასიის უნივერსიტეტი)

პროფესორი: ფრუდე ჰერმუნდსგორდი (ოსლოს უნივერსიტეტი)

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014

## ს ა რჩე ვ ი

<b>რუსულან მიქელაშვილი</b>	8
ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება და მისი გამიჯვნა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან . 8	
<b>ნანა ივანიშვილი, ლაშა კაციაშვილი</b>	13
სამშვიდობი პროცესი და რელიგიის როლი არაბ-ისრელია კონფლიქტში	13
<b>რუსულან ელიზბარაშვილი</b>	17
საქართველოს რეკორეაციული პოტენციალი და რეგიონული ურთიერთობის მაგალითები.	17
<b>სოფო დედაბრიშვილი</b>	22
ქართველი სტუდენტების დამოკიდებულება რუსი ხალხისადმი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ფონზე ...	22
<b>დავით ძიძიშვილი</b>	25
ჭორი, როგორც პოლიტკომუნიკაციის საშუალება და მისი როლი მედიით	25
მანიპულირებისას (ქართული მაგალითების საფუძველზე) .....	25
<b>მარიამ გაბოშვილი</b>	34
საარჩევნო მარათონი .....	34
<b>გორგოძე სალომე</b>	36
ბავშვთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში .....	36
<b>ხვიჩა კონცელიძე თორნიკე ზეიკიძე</b>	41
თანამედროვე ქართული მედიის ეთიკური პრობლემები .....	41
<b>ხატია ცარციძე</b>	44
ლირებულებები და იდეოლოგიები მედიის ესთეტიკაში .....	44
<b>ნინო ახალაია</b>	48
მედია - მანიპულირებისა და პროპაგანდის მძღვრი იარაღი .....	48
Читанава Медея .....	52
<b>Стилистика современной газеты</b> .....	52
<b>დარეჯან დეკანონძე</b>	50
მედია და არჩევნები .....	50
<b>გოდერძიშვილი თეონა</b>	56
ბავშვთა საკითხების გაშუქება საქართველოში და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა (ახალი მედიის 2012 წლის შემოდგომა-ზამთრის მონაცემებზე დაყრდნობით) .....	56
<b>სალომე ჩავლეიშვილი</b>	65
სოციალური მედიის ტენდენციები საქართველოში .....	65
<b>მარიამ გაზაშვილი</b> .....	68
„ვერსალის მესა და წინასარმეტყველი“ – ვუდრონ უილსონი „როდესაც ომი დამთავრდება ჩვენ ვაძულებთ მეომარ ქვეყნებს, იაზროვნონ ჩვენებურად“ .....	68
<b>ნანა პარინოს</b> .....	71
ჰილარი კლინტონიდა ამერიკული კრიტიკა .....	71
<b>თინათინ ასანიშვილი</b> .....	75
მშრალი კანონი ამერიკაში .....	75
<b>მეგო საჯააია, თინათინ სურმავა</b> .....	79
არავერბალური კომუნიკაციის ეფექტური გამოყენება .....	79
<b>თეონა ჯიბლაძე</b> .....	83
რეკლამის გავლენა ქვეცნობიერზე .....	83
<b>ნაზი ჩიქოვანი</b> .....	88
STR-ალელების გავრცელების სიხშირე ქართულ პოპულაციაში და მისი მნიშვნელობა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისათვის.....	88
<b>ხატია დადალაური</b> .....	91
სასულიერო პირთა ზენობრივი კონფლიქტი (უმბერტო ეკას „გარდის სახელის“ მიხედვით) .....	91
<b>ლილი ვაშაყმაძე, მარიამ რუხაძე</b> .....	95
ლექსიკოლოგიური პარალელები ძველ ქართულ ტექსტებში .....	95
<b>თინათინ ძმძაშვილი</b> .....	98
კონფლიქტის მოვარეების გზები ლიტერატურაში .....	98
<b>ქეთევან წიკლაური</b> .....	103
დროის ეფექტი გურამ რჩეულიშვილის მოთხოვნებში .....	103
<b>ანა დოლიძე</b> .....	108
ვაჟა-ფშაველა თარგმანის შესახებ .....	108
<b>თინათინ ლეკიაშვილი</b> .....	112
თამარის სახე „ვეფხისტყაოსანში“ .....	112
<b>მარიამ ოქროპირიძე, ეველინა თარაშვილი</b> .....	117
„ნიღაბატებილობის“ პრობლემა ქართველი და აფხაზი მწერლების ტექსტების მიხედვით .....	117
<b>მარიამ ხანიშვილი</b> .....	121
მიხეილ ჯავახიშვილი ქართული ენის შესახებ .....	121
<b>თამარ მოდებაძე</b> .....	124
მასავალებლის სახე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში .....	124
<b>ნინო ხაურმია</b> .....	128

ოთარ ჭილაძის რომანი „მარტის მამალი“ – ძირითადი პრობლემატიკა	128
<b>თეონა ძიძიგური</b>	130
ნოდარ დუმბაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში	130
<b>ქეთევან სამადაშვილი</b>	134
ნიკო სამადაშვილის „ღრუბელნარა ღამეები“	134
<b>თამუნა ჭონქაძე</b>	140
ოთარ ჭილაძის პერსონაჟების ფსიქოსოციალური იდენტიფიკაცია	140
<b>ლილი ნონაშვილი, ნინო ყაველაშვილი</b>	144
სიკედილის პარადიგმა ლეო ქიაჩელის ნოველებში	144
<b>ქეთევან მეგრელიშვილი</b>	147
ყოფიერების საზრისის პრობლემა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში	147
<b>ნინო ნარსაშვილი, ქეთევან ბინაძე</b>	149
ჯემალ ქერმისაძის „იგი“	149
<b>თინათინ შუბითიძე</b>	152
დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“	152
<b>ნათია ტერტერაშვილი</b>	155
კონსტანტინე გამსახურდიას ნაზრევიდან ქართული სალიტერატურო ენის შესახებ	155
<b>ეკა ბუთხუზი</b>	159
ქრისტიანობა და ნიცხეანიზმი „დიონისოს ღიმილში“	159
<b>ნინო ბეზარაშვილი</b>	163
ზოგიერთი შტრიხი კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ გააზრებისათვის	163
<b>ხატია ცარციძე</b>	168
იდეოლოგიური წესები და კონსტანტინე გამსახურდია	168
<b>მარიკა ჭვალუა</b>	170
მოდერნისტული ლიტერატურის პერსონაჟი როგორც არამყარი შერსონაჟი	170
(გესტის ჰეიგურ) (კ. გამსახურდიასნოველა „ქალის რძის“ მიხედვით)	170
<b>ნათია ბოტკოველი</b>	174
ფერთ მწერი	174
<b>მელანო ზოსიძე, სოფო გუბელაძე</b>	179
კონსტანტინე გამსახურდია (შემოქმედებითი პორტრეტისათვის)	179
<b>ნათია ხურცია</b>	183
კონსტანტინე გამსახურდიას ექსპრესიონისტული ნოველა „ზარები გრიგალში“	183
<b>აფაიათ ალიევა</b>	187
ქოროლლის ეპოსის მისტიკური ელემენტები აზერბაიჯანულ და თურქმენულ ვარიანტების მიხედვით	187
<b>გურანდ მეგრელიძე</b>	191
თანამედროვე რელიგიური მდგომარეობა კინტრიშის ხეობაში	191
<b>ეთერ ქასრაშვილი</b>	194
განძის საკრალურობა	194
<b>ეკა ჭკუასელი</b>	196
ქართული რელიგიური წეს-ჩვეულებანი და ხალხურ დღეობათა სარიტუალო ლექსიკა (სვანეთისა და სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)	196
<b>ნინო საზანდრიშვილი, ნინო ტერტერაშვილი</b>	203
ლექსის სიმღერად ქცევა და ხალხური მუსიკალური საკარავები ქართულ ფოლკლორში	203
<b>ხატია ანდლულაძე</b>	209
ღირებულებების ეთნოლოგიური კვლევის პრობლემა	209
<b>თამარ ჭიჭალუა</b>	211
მჭედლობასთან დაკავშირებული რიტუალები სამეგრელოში	211
<b>თეონა კაპანჭანი</b>	214
ბასილობის ტარდიცია საახალწლო რიტუალებში	214
<b>თორნიკე ბაქური</b>	217
მულტიკულტურალიზმის მომავალი ნორვეგიაში	217
<b>მარიამ კალანდარიშვილი</b>	220
ინსპირაცია გლობალური ეკონომიკისათვის	220
<b>სოფო მახარაშვილი</b>	223
სკანდინავიის ქვეყნების კულტურა და ტრადიციები	223
<b>მარიამ ძაგლევი</b>	227
ნორვეგიული დელიკატესები	227
<b>თამთა უგლავა</b>	229
ნორვეგია ევროკავშირს გარეთ – ხალხის გადაწყვეტილების მიზეზები (1972 და 1994 წლის რეფერენდუმები)	229

## ნინამდებარე კრებულში თავმოყრილია სტუდენტთა რეგიონთაშორის რესპუბლიკურ კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალები, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საუკეთესო ნაწილი კონფერენციაზე წარმოდგენილი შრომებისა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელი კონფერენცია იყო უპრეცენდენტოდ დიდი და ფრიად წარმომადგენლობითი: შემოსული 200-ზე მეტი განაცხადიდან კონფერენციაზე წარმოსადგენად შეირჩა 21 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მომზადებული 120 მოხსენება. შესაბამისად წარმოდგენილი მასალების მრავალფეროვნების, მრავალმიმართულებრივი პრობლემატიკის კვალობაზე მუშაობდა 16 სხვადასხვა სასწავლო – სამეცნიერო თემატიკის სექცია. კონფერენციაზევე გაცხადდა შემდგომი მუშაობის პრინციპი: წარმოდგენილ მასალათა საფუძველზე, ნაშრომების კვლევისა და ანალიზის კომპონენტების, ინდივიდუალიზმისა და თავის-თავადობის, მეცნიერული და მორალური პოზიციის და ხარისხის გათვალისწინებით სექციებზევე გამოვლენილიყო დასაბეჭდად რეკომენდირებული ნაშრომები. სარედაქციო კოლეგიამ შემდგომაც იმუშავა და ამ ძალისხმევათა შედეგები აისახა კიდეც „მერმისის“ წლევანდელ კრებულში. ჩვენი – სარედაქციო ჯგუფის მიზანი იყო, შეგვენარჩუნებინა კრებულისათვის ის წარმომადგენლობითი, მრავალფეროვანი და თავისთავადი, ინდივიდუალური სახე, რაც კონფერენციაზე გამოიკვეთა. აქედან გამომდინარე, შეირჩა 50- ზე მეტი მოხსენება 14 სხვადასხვა სპეციალობიდან და ამას დაემატა შერჩეული, საუკეთესო მოხსენებები 2013 წლის ბოლოს ჩვენს მიერ ჩატარებული კონსტანტინე გამსახურდიას 120 წლისთავისადმო მიძღვნილი კონფერენციის მასალებიდან. ამასთან ერთად, საორგანიზაციო ჯგუფისათვის კვლავ რჩება მთავარ სამუშაო პრინციპად ჩვენი პროექტის: „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ ძირითადი იდეის განხორციელება: ინტერგრირება და თანამშრომლობა სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების მკვლევარებთან და სტუდენტებთან.

გვინდა გვჯეროდეს, რომ ტრადიციისამებრ, „მერმისის“ ეს ახალი კრებულიც ამ ღირებულებათა სამსახურში წარმოჩდება, ის მოექცევა სტუდენტების ყურადღებისა და ინტერესის სფეროში და აქ წარმოდგენილი მასალებიც მომავალი კვლევების, სამეცნიერო, თუ ინფორმაციული გამოწვევების, თანამშრომლობის, აზრთა გაზიარების საწყისად იქცევა.

**თამარ პაიჭაძე**

## რუსუდან მიქელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ხათუბა ლორია

### ადგინისტრაციული ხელშეკრულების ცნება და მისი გამიჯვენა სამოქალაქო- სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან

ადმინისტრაციული ხელშეკრულების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. იგი აყალიბებს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ლეგალურ დეფინიციას (ადმინისტრაციული ხელშეკრულება და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება). თავისი ფუნქციის განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს როგორც კერძო, ისე სხვა საჯარო სამართლებრივ იურიდიულ პირებთან. ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნა სამოქალაქოდასამართლებრივი ხელშეკრულებისგან არსებითია სამართლებრივი ურთიერთობისათვის, საპროცესოდასამართლებრივი მნიშვნელობა აქვს: ადმინისტრაციულ ხელშეკრულების დადებასთან, შეცვლასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს განიხილავენ და წყვეტენ საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. პრაქტიკაში ხშირია ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და სამოქალაქოდასამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნის პრობლემა, ამდენად ეს საკითხი მეტად აქტუალურია.

#### 1. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება

##### 1.1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიცია

ადმინისტრაციული ხელშეკრულება, როგორც პრობლემა, ყოველთვის აქტიურად განიხილებოდა ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებაში. იგი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც თითქმის არ არსებობს არც ერთი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი საქმიანობის ფორმებიდან გამორიცხავს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

ადმინისტრაციული ხელშეკრულება, უპირველეს ყოვლისა, იურიდიული ფაქტია. ის წარმოშობს ვალდებულებებს, ვალდებულებების წყაროა. ისი საშუალებით ხდება სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა, შეცვლა ანშეწყვეტა.

1.2 (ადმინისტრაციული) ხელშეკრულებისა და (ადმინისტრაციული) გარიგებისურთიერთმიმართება აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სზაკდის 1-ლი მუხლის I ნაწილში ჯერ კიდევშემორჩენილი იყო ტერმინი „გარიგებაო, რომელიც, თავის მხრივ, უფრო ზოგადი ცნებაა ვიდრე ხელშეკრულება. გარიგება შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, ხოლო ხელშეკრულება მიიღწევა მხოლოდ ორმხრივი (მრავალმხრივი), ურთიერთმფარავი (ოფერტი, აქცეპტი) ნების გამოვლენის შედეგად. თუ არ არის ორმხრივი ნება, არ არის ადმინისტრაციული ხელშეკრულებაც. ნება, ნების გამოვლენა გარიგების (ხელშეკრულების) ინსტიტუტის აუცილებელი კომპონენტი და, როგორც წესი, მისი სინონიმია. „გარიგებაო (ხელშეკრულება) ნების გამოვლენაა. ნება ვლინდება, რათა დადგეს სამართლებრივი შედეგი, და სამართლებრივი სისტემა უშვებს აღნიშნული სამართლებრივი შედეგის დადგომას იმდენად, რამდენადაც იგი გარიგების ავტორისათვის არის სასურველი.

1.3 ნების გამოვლენა, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებითიკომპონენტი.

„ნების გამოვლენასო, როგორც ხელშეკრულების არსებით, მნიშვნელოვან კომპონენტს, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაშიც მნიშვნელოვანი როლი აქვს და ადრესატის მიერ გამოხატული ნება გადაწყვეტილების განმსაზღვრელია.

1.4 ადმინისტრაციული ხელშეკრულების ადგილი სამართლებრივ ურთიერთობებში სამართლებრივ ურთიერთობაში ადმინისტრაციული ხელშეკრულება იყავებს შუალედურ ადგილს ადმინისტრაციულ აქტსა (რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგია) და კერძოსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებას შორის (რომელიც მხარეთა თანასწორობას ემყარება).

1.5 ადმინისტრაციული ხელშეკრულების ლეგალური დეფინიციის არსებითი ელემენტები

კანონმდებელი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ” ქვეპუნქტში გვთავაზობს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ლეგალურ დეფინიციას: ადმინისტრაციული ხელშეკრულება და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება. ამგვარი განმარტებიდან ირკვევა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებისთვის განმსაზღვრელია 1. ერთ-ერთი სავალდებულო მხარეა ადმინისტრაციული ორგანო 2. ხელშეკრულების დადების მიზანი და „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

ადმინისტრაციულ ორგანოს ფუნქციონალური გაგება („ნებისმიერი პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს), აერთიანებს ადმინისტრაციულ ორგანოებს როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი გაგებით, ასევე იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს და მის ჩარჩოებში დებენ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ვერ იმოქმედებს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი კერძო ავტონომიის თავისუფლებით (კერძო სამართალი), რამდენადაც მისი საქმიანობა მიმართულია საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებლად (ამოსავალი წერტილი არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი) და მოქმედებს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნა სამოქალაქო და სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან

2.1 ხელშეკრულება, როგორც საჯაროსამართლებრივი შინაარსის მატარებელი

ბუნებრივია, ყველაზე გავრცელებული სახის ხელშეკრულებაა სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება, თუმცა ცივილისტები ხელშეკრულებას უფრო ფართო მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნევენ და მას განიხილავენ როგორც კერძო (სუბიექტური) და საჯარო (ობიექტური) ნების გამოვლენის შედეგს. გარიგება (ხელშეკრულება) ძველ დროში არ წარმოადგენდა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივ მოვლენას. იგი გამოიყენებოდა როგორც საჯარო, ისე კერძო სამართალში, ამის ნათელი მაგალითია ვახტანგ VI-ის ქართული სამართლის ძეგლის სახელწოდება „ხელმწიფის კარის გარიგებაო, აღნიშნულ სამართლის წიგნში გარიგებას (ხელშეკრულებას) ძირითადად საჯაროსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს.

ის, რომ გარიგება (ხელშეკრულება) სცილდება სამოქალაქოსამართლებრივ კატეგორიას და საჯაროსამართლებრივი შინაარსის მატარებელიცაა, ეს კარგად ჩანს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მაგალითზე.

2.2 საჯარო (ადმინისტრაციული) და კერძო (სამოქალაქო) სამართალი – საფუძველი ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისას

ადმინისტრაციული ორგანო ფლობს კანონით ზუსტად განსაზღვრულ სპეციალურ უფლებამოსილებას, მაშინ როდესაც ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები უფლებამოსილნი

არიან განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება. ადმინისტრაციული ორგანო შებოჭილია კანონიერების პრინციპისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვით, მასზე არ ვრცელდება კერძო სამართლით გათვალისწინებული ნების ავტონომიურობის პრინციპი. სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელია სამართლებრივი ურთიერთობის წარმომობის ნებაყოფლობითობა დ „როცა ვალდებულება სხვისი ბრძანების მეშვეობით აღმოცენდება, იგი არის საჯარო სამართალი, მაშინ როცა კერძოსამართლებრივი ვალდებულებები ვალდებული პირისათვის დამორჩილების მეშვეობით წარმოიშობაო (გუსტავ რადბრუნი). საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო (მისი ორგანოებისა და საჯარო მოსამსახურეთა სახით) წარმოადგენს ურთიერთობის უცვლელ კონტრაპენტს. ურთიერთობას ახასიათებს იმპერტიული ხასიათი, მათი სუბიექტები უფლებამოვალეობათა მოცულობას განსაზღვარვენ არა დამოუკიდებლად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, არამედ ისინი ნებაყოფლობის გარეშე ვალდებული ხდებიან დაემორჩილონ წინასწარ დადგენილ თამაშის წესებს, მოქმედებენ კანონმდებლობის საფუძველზე (ამის წათელი მაგალითია, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულება კანონმდებლობის („სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებო კანონი) საფუძველზე. საჯარო სამართალი იურიდიული დეცენტრალიზაციის სისტემაა, ხოლო კერძო სამართალი (სამოქალაქო სამართალი) დ სისტემა იურიდიული დეცენტრალიზაციის.

**2.3 ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებათა გამიჯვნის აუცილებლობა**

იმ განსხვავებიდან გამოდინარე რაც არსებობს საჯარო და კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, აუცილებელია ერთმანეთისგან მკაცრად გაიმიჯვნოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულებები დ „საჯარო სამართალი არ შეიძლება შეიცვალოს კერძო ხელშეკრულებებითო (იუსტიციანეს დიგესტები). მათი გამიჯვნის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შეწყვეტასტან და შესრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებასთან დავები განიხილება სამოქალაქო სამართალნარმოების წესით (სასკ-ის 251 მუხ., სზაკ-ის 65.2, 651 მუხ.).

ადმინისტრაციული სამართალი თავის თავში იტევს 2 სფეროს: საჯარო სამართალსა და კერძო სამართლის იმ ნორმათა ერთობლივობას, რომელიც გამოიყენება საჯარო მმართველობაში და ასრულებს დამხმარე როლს ადმინისტრაციის მიერ საჯარო ფუნქციის განხორციელებაში, შესაძლოა ადმინისტრაციულ ურთიერთობებში კერძო (სამოქალაქო) სამართალი გახდეს წესი დ სასკ-ის 1-ლი მუხლის თანახმად, თუ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, ასევე სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება როგორც სზაკ-ის ნორმები, ასევე სსკ-ით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ, სზაკ-ის 70-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსი.

ყოველივე ზემოთალნიშნულიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია ზღვრის გავლება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასა და სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას შორის.

**2.4 ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნას ემსახურება ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების ლეგალურ დეფინიციაში მოცემული ელემენტი: „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. მიზნის გარდა, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისგან მიჯნავს ხელშეკრულების საგანი.**

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, გამომდინარე აქდან, გასარკვევია, თუ რა

შემთხვევაში იძენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას, როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. გვ. 5), აქვს საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა.

ხელშეკრულების ადმინისტრაციულ დ სამართლებრივი თუ სამოქადაქო დ სამართლებრივი ბუნება უნდა განისაზღვროს ობიექტურად. არ არის არსებითი ხელშეკრულების მხარეების სუბიექტური შეხედულება. ადმინისტრაციულ ორგანოს უმეტეს შემთხვევაში კანონმდებლობით განსაზღვრული აქვს როგორც კომპეტენცია, ასევე მისი განხორციელების სამართლებრივი საშუალება. ასეთ შემთხვევებში ის ნორმატიული აქტი, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს ქმედების უფლებამოსილებით, გვაძლევს ინფორმაციას მისი საქმიანობის ფორმის სამართლებრივ ბუნებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, შეარჩიოს ყველაზე მისაღები საქმიანობის ფორმა, მისი ნება განსაზღვრავს საქმიანობის ფორმის (ხელშეკრულების) სამართლებრივ ბუნებას.

სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. არ არის არსებითი ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივი სტატუსი. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი ან ორივე მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის. (სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავა დაკვალიფიცირდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის მქონედ, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე იყო ადმინისტრაციული ორგანო, რაც თავის მხრივ, (ყალსახად არამართებულია). მეტიც, შესაძლებელია ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავა იყოს სამოქადაქო-სამართლებრივი ხასიათის, რადგან ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადოს სამოქადაქო - სამართლებრივი ხელშეკრულება.

ხელშეკრულების მიზანი უნდა განისაზღვროს მისი შინაარსიდან გამომდინარე. არსებითია იმის დადგენა, თუ როგორია საქმის ფაქტობრივი გარემოებების, განსაკუთრებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სამართლებრივი ბუნება. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან გვაქვს საქმე: 1. როდესაც ის ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას ემსახურება. 2. როდესაც ის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიებისგანხორციელების ვალდებულებას შეიცავს. 3. როდესაც ის მოქადაქის საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს ან ვალდებულებებს ადგენს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 69-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმას (თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით), განსხვავებით სამოქადაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან, სადაც ხელშეკრულების დადება ზეპირი ფორმითაც შეიძლება. ამგვარი შეზღუდვა განპირობებულია იმით, რომ ადმინისტრაციული ორგანო ხელისუფლებითი ფუნქციების მატარებელია. ადმინისტრაციულმა ორგანომ ზუსტად უნდა იცოდეს საკუთარი ვალდებულებების შესახებ. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას ადმინისტრაციული ორგანოს სახელით დებს მოხელე, რომლის თანამდებობიდან წასვლა არ ინვევს გარიგების გაუქმებას და მის მიერ აღებულ ვალდებულებებზე პასუხს საბოლოო ჯამში აგებს სახელმწიფო.

დოქტრინის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების ერთმანეთისგან გამიჯვნის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ხელშეკრულების საგანი ანუ ნების გამოვლენის შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობა. მოცემულ შემთახვევაში სასარჩელო მოთხოვნა გამოდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც წარმოშობს, შეცვლის ან შეწყვეტს სამართლებრივ ურთიერთობას საჯარო სამართლის სფეროში. ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, უმეტესად, ორგანიზაციული ხასიათისაა, რამდენადაც თვით ადმინისტრაციულ

ორგანოთა საქმიანობაა ორგანიზაციული. მათი მიზანია საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა, საჯარო-სამართლებრივი ინტერესის განხორციელება.

ადმინისტრაციულ და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების ფარგლების გამიჯვნის კრიტერიუმების სახით იურიდიულ ლიტერატურაში დამატებით უთითებენ აგრეთვე ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა: კანონმდებლის ნება (კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების განმარტება, როგორც ხელშეკრულებათა გამიჯვნის საშუალება).

ისევე, როგორც კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნისას, ხელშეკრულებათა გამიჯვნის დროსაც ყურადღება ექცევა ხელშეკრულებით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობისას „ვისი ინტერესები დგას წინა პლაზმოზო: კერძო ინტერესები თუ საჯარო ინტერესები (ინტერესთა თეორია). ასეთ შეხედულება მაშინ ამართლებს, როცა კანონი არ იძლევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირდაპირ ფორმულირებას და ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის განხილვისას სასამართლო იმისთვის, რომ საქმის განხილვა მოხდეს სამოქალაქო ან საჯაროსამართლებრივ რეჟიმში, ყურადღებას აქცევს ხელშეკრულებით რეგულირებულ ინტერესებს.

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ყურადღებას ამახვილებს არა ხელშეკრულების სუბიექტთა ინტერესებზე, არამედ ხელშეკრულების სავალდებულო სუბიექტზე (ადმინისტრაციული ორგანო, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულების უცვლელი კონტრაპენტი).

## 2.5 დასკვნა

ბოლოს, დასკვნის სახით, ხელშეკრულების საგნის სპეციფიკურობის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციულია ხელშეკრულება, თუ:

- \* გამომდინარეობს საჯაროსამართლებრივი ნორმებიდან;
- \* ზუსტადაა განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით;
- \* შეიცავს ვალდებულებას ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა საჯარო მოქმედების შესრულების შესახებ;

\* აწესრიგებს კერძო პირთა საჯაროსამართლებრივ უფლებესა და ვალდებულებებს კანონის საფუძველზე;

- \* მისი დადებისას გამოყენებულია ადმინისტრაციული (სახელშეკრულებო) ნორმები;
- \* დავის შემთხვევაში დავა უნდა განიხილოს ადმინისტრაციულმა სასამართლომ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

## ბიბლიოგრაფია:

1. მ. კოპალეიშვილი, „ადმინისტრაციული გარიგებაო, თბილისი, 2005.
2. პ. ტურავა, ნ. წერებლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010.
3. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997.
4. ზ. ადეიშვილი, გ.ვინტერი, გ.ქიტოშვილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კომენტარი, თბილისი, 2002.
5. გ. გოგიაშვილი, უურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვაო, 6/2003-4.
6. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009.
7. ავტორთა კოლექტივი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005.
8. Winderscheid, Lehrbuch des Pandektenrechts, Band 1, 1887.

**ნანა ივანიაშვილი, ლაშა კაციაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: რევაზ გაჩეჩილაძე

**სამშვიდობო პროცესი და რელიგიის როლი არაპ-ისრელია კონფლიქტში**

არაბული სახელმწიფოებისა და ისრაელის დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში, ამ კონფლიქტის თანმდევი მსხვილმასშტაბიანი ომები და ასი ათასობით ლტოლვილი ორივე მხრიდან, რომელთა დაბრუნების საკითხი დღემდე გადაუჭრელია – ეს ის მცირე ჩამონათვალია ამ კონფლიქტის შედეგებისა, რაც ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის და 21-ე საუკუნის დასაწყისის საერთაშორისო ურთიერთობებში.<sup>1</sup> წარმოდგენილ მოხსენებაში შევეცდებით მოკლედ მიმოვინილოთ არაპ-კონფლიქტის ირგვლივ არსებული ძირითადი სამშვიდობო ხელშეკრულებები და ყურადღება გავამახვილოთ რელიგიის მნიშვნელობასა და როლზე აღნიშნული კონფლიქტის მსვლელობაში( ებრაული სიონიზმი და ისლამური რადიკალიზმი), კონკრეტულად კი მოხსენებაში ისლამური რადიკალიზმი, კერძოდ „ჰამასის“ მაგალითი განხილული იქნება როგორც სამშვიდობო პროცესის დამაბრკოლებელი ფაქტორი დახაზი გაესმევა მოდერნიზაციის პროცესის მნიშნელობას რელიგიური ფუნდამენტალიზმის გააქტიურების პროცესში.

ეგვიპტე-ისრაელის მოლაპარაკებები კემპ-დევიდში 1978 და მათი სამშვიდობო ხელშეკრულება 1979 წ. იყო ის პირველი ნაბიჯი, რომელმაც ერთგავარდ გზა გაუხსნა სამშვიდობო პროცესის მსვლელობას ახლო აღმოსავლეთში. პრეზიდენტ კარტერის შუამდგომლობით ეგვიპტისა და ისრაელის მხარის წარმომადგენელმა ხელი მოაწერეს ორ ჩარჩო ხელშეკრულებას : „ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისთვის“ და : ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო შეთანხმებისთვის“. <sup>2</sup> მოკლედ რომ შემჯამდეს ამ ხელშეკრულებათა შედეგები, მის მთავარ მიღწევად მიჩნეულია იმ პერიოდისათვის სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი არაბული ქვეყნის ეგვიპტის მხირდან ისრაელის აღიარება და მათ შორის საბოლოო საზღვრის გავლება, რომელსაც მას შემდეგ პრინციპში ცვლილებები არ განუცდია.

შემდგომში სამშვიდობო პროცესს ხელი შეუწყო სსრ კავშირის დასუსტებამ და საბოლოო დაშლამ. ცივი ომის დასრულებამ იმოქმედა როგორც ისრაელის, ისე -არაბული ქვეყნების პოზიციებზე. სირიამ და პგო - მ სსრ კავშირის სახით დაკარგეს მნიშვნელოვანი მოკავშირე, რომელიც მათ უწევდა მძლავრ დიპლომატიურ, პოლიტიკურ თუ სამხედრო მხარდაჭერას. ისრაელმა კი თავის მხირვ დაკარგა საშიში მტერი. ცივი ომის დასრულებამ, ამასთან, შეამცირა ისრაელის, როგორც აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორის როლი გლობალურ კონფირონტაციაში. სსრ კავშირი დაშლისას ებრაელთა მასობრივი ემიგრაციით ისრაელის ეკონომიკაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრა შეუძლებელი იყო აშშ-ისა და დასავლეთის დახმარების გარეშე. ეს კი არ მოხდებოდა მანამდე, ვიდრე ისრაელი არ მიიღებდა მონაწილეობას არაბებთან მოლაპარაკებაში. ამიტომ ეს აიძულებდა ისრაელს, გადაედგა ნაბიჯი მშვიდობისაკენ.

1988 წელს პალესტინის ეროვნულმა საბჭომ აღიარა გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუცია,<sup>3</sup> რომელიც ცნობდა ისრაელს და პალესტინის პრობლემის გადასაჭრელად პალესტინის ორ სახელმწიფოდ დაყოფას. სირიამ აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა ეგვიპტესთან, ფაქტობ-

<sup>1</sup> ვალერი მელიქიძე – მსოფლიო პოლიტიკა და გლობალიზაცია, სოციალურ მეცნიერებათა სერია.

<sup>2</sup> თამარ ჯაფარიძე სამშვიდობო პროცესი, თვითმმართველობა და ისლამური რადიკალიზმი პალესტინაში;

<sup>3</sup> თამარ ჯაფარიძე სამშვიდობო პროცესი, თვითმმართველობა და ისლამური რადიკალიზმი პალესტინაში;

რივად ცნო კემპ-დევიდის შეთანხმება და ამან საშუალება მისცა ეგვიპტეს, დაბრუნებულიყო არა-ბული სახელმწიფოების ლიგაში. ისრაელმა ვერ შეძლო დაეშოშმინებინა

ინთიფადა – პალესტინელთა ამბოხი მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ლაზას სექტორში, რომელიც დაიწყო 1987 წლის დეკემბერში. გაძლიერდა ექსტრემისტული ისლამური ჯგუფების გა-მოსვლები. ჯერ კიდევ ებრაელთა მასობრივ ემიგრაციამდე ისრაელს გაუჩნდა სერიოზული ეკონო-მიკური პრობლემები: წყალზე ისრაელის უზრუნველყოფა შეუძლებელი იყო რეგიონალური თანამ-შრომლობის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეები, არაბებიცა და ის-რაელიც, მზად იყვნენ უკვე იმისთვის, რომ დაეწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკებები. ამის პირველი დასტური იყო 1992 წ. მადრიდის კონფერენცია.<sup>1</sup>

მადრიდის კონფერენციის შედეგები და მნიშვნელობა იყო ძალზე დიდი. ჯერ ერთი, კონფერენ-ციაზე პირველად შეხვდნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან შეურიგებელი მოწინააღმდეგები; მეო-რე, ისრაელმა ოფიციალურად აღიარა პალესტინელთა უფლება, რაც ითვალისწინებდა ისრაელის ჯარების გაყვანას, პალესტინის ძლიერი პოლიციის შექმნას, ისრაელის უშიშროების სპეციალური ძალების შენარჩუნებით, თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების

ჩატარებას. უფრო მეტიც, შეთანხმებულ იქნა მექანიზმი სხვა შეთანხმებების მიღწევისა და, ზოგადად, მისი განხორციელების ეტაპობრივი გრაფიკიც კონფერენციაზე შეიმუშავეს ფორმულა „შშიღობა ტერიტორიის ნაცვლად“; მაგრამ მადრიდში ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ორ პრინციპულ საკითხზე – მომდევნო შეხვედრის ჩატარების ადგილისა და მოლაპარაკებათა დღის წესრიგის შესა-ხებ. ისრაელის ნარმომადგენლები მოითხოვდნენ მათ ჩატარებას ახლო აღმოსავლეთში, რათა ხაზი გაესვათ ამ პროცესის რეგიონალური ხასიათისთვის. არაბებს სურდათ მისი ჩატარება ერთ-ერთ ევ-როპულ ქალაქში.

ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის სამშვიდობო პროცესის მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბი-ჯად შეიძლება ჩავთვალოთ 1993 წელს ოსლოში აშშ-ის პრეზიდენტ კლინტონის შუამავლობით, ისრაე-ლის პრემიერ იცხაკ რაბინისა და იასერ არაფეტის – „პალესტინელი ხალხის ნარმომადგენლის „, მიერ ხელმოწერილი :დროებით თვითმმართველობის შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაცია“ იგივე ოს-ლოს შეთანხმება. დეკლარაციის მთავარ მიღწევად ითვლება პალესტინის დროებითი თვითმმართვე-ლობის შექმნა დაზის სექტორსა და იორდანეს მარჯვენა ნაპირზე (სამარეასა და იუდეაში).

კრიტიკოსები გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ პრინციპების დეკლარაცია ძალზე ბუნდოვანი იყო და მრავალნაირი ინტერპრეტაცია შეიძლება მისცემოდა. კრიტიკას იწვევდა ისეთი საკითხების გადაჭრის გადადება, როგორებიც იყო: პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, პალესტინელი ლტოლ-ვილების დაბრუნება, სუვერენიტეტი აღმოსავლეთ იერუსალიმზე, ებრაული დასახლებები, უსაფ-რთხოების ღონისძიებები, და მუდმივი საზღვრები; რომ ხდებოდა ისრაელის ჯარების გადაადგი-ლება და არა გასვლა. მათი სრული გაყვანა არ განიხილებოდა როგორც საბოლოო სტატუსზე მო-ლაპარაკებების ნაწილი. კრიტიკას იწვევდა ისიც, რომ არ არსებობდა ისრაელის რაიმე გეგმა, დაებ-რუნებინა ჩამორთმეული მიწები; არც პირობა იმისა, რომ ის გარდამავალ პერიოდში შეწყვეტდა ჩვეულ კონფისკაციებს და დასახლებების შექმნას. კრიტიკოსები თვლიდნენ, რომ არაფათი არ იყო სერიოზული დემოკრატიის მიმართ და რომ საერთაშორისო დახმარება პალესტინის ეკონომიკის განვითარებისათვის აღმოჩნდებოდა არაფათის ვათჲ - ის მხარდამჭერთა ხელში.<sup>2</sup>

სამშვიდობო პროცესი 1994-99 წლებში საკმაოდ რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო პალესტინელი ლიდერები არაერთხელ ადანაშაულებდნენ ისრაელს იმაში, რომ არ იცავდნენ შეთან-ხმების ამათუ იმ მუხლს. მაგრამ არც პალესტინელები ასრულებდნენ აღებულ ვალდებულებებს. მა-გალითად, არ ამოიღეს პალესტინის ეროვნული ქარტიდან პუნქტი ისრაელის განადგურების შესა-ხებ. ამ პერიოდის სამშვიდობო პროცესის მთავარ მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა

<sup>1</sup> იგივე.

<sup>2</sup> შოთა მალაშხია., კონფლიქტების ანატომია - თბ.: "ფორმის" გამ-ბა და სტ., 2011.

ტიპის ორმხრივი შეთანხმებები რომელთა მიზანიც პალესტინის ავტონომიის განხრციელებისაკენ ნაბიჯების გაგადგმა იყო, თუმცა საბოლოოდ ვერ მოხერხდა პალესტინის ავტონომიისა და ზოგადად პალესტინის სტატუსის ირგვლივ შეთანხმება. იმედგაცრუება პალესტინის მოსახლეობაში გახდა ალ-აკსას ინთიფადას მიზეზი, რომელიც 2000 წ. 28 სექტემბერს დაიწყო, გამოიწვია დიდი მსხვერპლი და ავტონომიის სრული ეკონომიკური კოლაპსი. „საგზაო რუკამ“<sup>1</sup>, კონფლიქტის მოგვარების უკანასკნელმა მნიშვნელოვანმა ცდამ (2003 წ.), შედეგი არ გამოიღო. პალესტინის გადაუჭრელმა პრობლემამ ბიძგი მისცა ტერორორისტული ორგანიზაციების აღმოცენებას. საფრთხე შეექმნა მშვიდობას არა მარტორეგიონალური, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. პალესტინის ლოკალური პრობლემა გლობალურში გადაიზარდა. მის გადაწყვეტაში, საკუთარი იდეოლოგიური, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მონაწილეობდნენ როგორც რეგიონის ქვეყნები, ისე მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები.

ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაციების რიცხვის ზრდას არაბულ ქვეყნებში (სირია, ეგვიპტე, ალჟირი, საუდის არაბეთი, იორდანია, ლიბანი, ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინელთა ტერიტორიებზე) წინ უძლოდა საშინაო და საგარეო წარუმატებლობები არაბული სახელმწიფოების დიქტატორული სისტემების სახით, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, სეკულარული მოძრაობების მიმართ ნდობის დაკარგვით. ამ სიძნელეებმა აიძულა ბევრი მუსლიმი, მიბრუნებულიყო რადიკალური ისლამისკენ, რომელიც აძლევდა სოციალური სამართლიანობის იმედს და იმის იმედს, რომ რელიგია გასცემდა პასუხს ყველა მათ სურვილზე. მაგრამ თუ „ისლამისკენ მობრუნება“ მიზნად ისახავს საზოგადოების ეტაპობრივ „გამოსწორებასა“ და ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიის ფასეულობების დანერგვას, ექსტრემისტულმა ისლამურმა ორგანიზაციებმა ეს მოწოდება გადააქციეს თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევ იარაღად – იქნება ეს ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში დემოკრატიული პროცესების თუ არალეგალური საშუალებების – ძალადობის და ტერორის გამოყენება.<sup>2</sup>

ამას – მა („ისლამური წინაღმდეგობის მოძრაობა“). სამშვიდობო პროცესის შეჩერებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. <sup>3</sup> ჰამას დაუპირისპირდა არა მარტო ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებას, არამედ ავტონომიის სეკულარულ ხელისუფლებასაც. შეიარაღებული ბრძოლა და ტერორიზმი გახდა ჰამას-სა და სხვა ისლამისტური ორგანიზაციების იარაღი ისრაელის წინაღმდეგ ბრძოლაში. წლების მანძილზე ჰამას – ის შეურიგებელმა ბრძოლამ, მისი ლიდერების მონამებრივმა სიკვდილმა და, იმავდროულად, ფართო საქველმოქმედო და

საგანმანათლებლო მოღვაწეობამ, ჰამას-ს პოზიტიური იმიჯი შეუქმნა და პოპულარობა მოუპოვა პალესტინის ავტონომიის ტერიტორიებზე.<sup>4</sup>

ვფიქრობთ, აუცილებელია ხაზი გაესვას მოდერნიზაციისა პროცესის როლს ახლო აღმოსავლეთის ამ რეგიონში ისლამური ფუნდამენტალიზმის გააქტიურებაში. <sup>5</sup> მოდერნიზაციის პროცესი, რომელსაც თან ახლავს თანამედროვე, უმეტეს შემთხვევაში დასავლური ტიპის ღირებულებათა გავრცელება რეგიონში მკვეთრ წინაღმდეგობას აწყდება. სეკულარიზაციის პროცესი ანუ საზოგადოებრივი-პოლიტიკური საქმიანობის რელიგიური გავლენისაგან განთავისუფლება, რაც ასევე უკავშირდება მოდერნიზაციას, ახლო აღმოსავლეთში მკვეთრ სოციალურ და პოლიტიკურ რეაქციას წარმოშობს. ამის ნათელი მაგალითი იყო ირანის 1979 წლის რევოლუცია და ამ პროცესის ზოგადად უკურეაქციად შესაძებელია მივიჩნიოთ ადგილობრივ მოსახლეობაში მოდერნიზაციისა და სეკულარიზა-

<sup>1</sup> შოთა მალაშვილი, კონფლიქტების ანატომია - თბ.: "ფორმის" გამ-ბა და სტ., 2011.

<sup>2</sup> თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში (რეგიონული პროცესების მაგალითზე), სამოქალაქო მეცნიერების სერია, „უყდო“.

<sup>3</sup> Arab-Israeli Conflict: Role of religion, Israel Science and Technology Homepage <http://www.science.co.il/Arab-Israeli-conflict-2.asp>

<sup>4</sup> თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში (რეგიონული პროცესების მაგალითზე), სამოქალაქო მეცნიერების სერია, „უყდო“.

<sup>5</sup> რევაზ გაჩეჩილაძე, „ახლო აღმოსავლეთი სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“, გამ-ბა ბაკურ სულაკაური, თბ. 2011.

ციის პროცესის საპირისპიროდ საკუთარი ღირებულებები შენარჩუნება რადიკალური გზებით და ფუნდამენტალისტური მოძრაობების განვითარებით.

არაბ-ისრაელის კონფლიქტის კონტექსტში მხოლოდ ისლამური რელიგიის როლის გამოყოფა იქნებოდა არსებული მდგომარეობის მხოლოდ ერთი მხრიდან შეფასება, ამიტომაც მნიშნელოვანია ხაზი გასევას სიონისტური მოძრაობის როლს ამ კონფლიქტის ჩამოყალიბების პროცესში. სიონიზმის, როგორც ებრაელთა ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებას მნიშნელოვნდ შეუწყო ხელი ევროპაში ანტისემიტისტურმა განწყობილებამ<sup>1</sup> და ამით მან შეუქმნა ებრაელ მოსახლეობას მტკიცე დასაყრდენი, რადგან სწორედ სიონიზმის იდეის ირგვლივ მოხდა ებრაელთა კონსოლიდაცია და „ისტორიულად კუთვნილ“ ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეის ხორციელებაში.<sup>2</sup>

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ისტორია არის მაგალითი იმისა რომ ,მიუხედავად სხვადასხვა გავლენიანი დაინტერესებული მხარეების მცდელობებისა სულ უფრო ჩიხში შესულიყო კონფლიქტი, დროთა განმავლობაში კონფლიქტის ესკალაციიდან დღემდე სულ უფრო მეტი მოქალაქე როგორც პალესტინის ისე ისრაელის მხირდან მზადყოფნას გამოთქვამს კონფლიქტის საერთაშორისო სამართლით დადგენილი და მშვიდობიანი ფორმატის ფარგლებში გადაწყვეტაზე და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ვარაუდიც ალბათ არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული.

### ბიბლიოგრაფია:

1. ვალერი მელიქიძე – მსოფლიო პოლიტიკა და გლობალიზაცია, სოციალურ მეცნიერებათა სერია.
2. თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში (რეგიონული პროცესების მაგალითზე), სამოქალაქო მეცნიერების სერია, „უყდო“.
3. თამარ ჯაფარიძე სამშვიდობო პროცესი, თვითმმართველობა და ისლამური რადიკალიზმი პალესტინაში;
4. შოთა მალაშვილია., კონფლიქტების ანატომია– თბ. : „ფორმის“ გამ-ბა და სტ., 2011.
5. რევაზ გაჩეჩილაძე, „ახლო აღმოსავლეთი სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“, გამ-ბა ბაკურ სულაკაური, თბ.2011.

<sup>1</sup> *The rise of Zionism, The Arab-Israeli Conflict*, [http://www.israel-palestina.info/arab-israeli\\_conflict-html/](http://www.israel-palestina.info/arab-israeli_conflict-html/)

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე, რევაზ გაჩეჩილაძე, „ახლო აღმოსავლეთი სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“, გამ-ბა ბაკურ სულაკაური, თბ.2011. გვ. 375

## რუსულან ელიზბარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: გიორგი მელაძე

### საქართველოს რეკონსილიაციის და რეგიონული ურთიერთობის მაგალითები

რეკორეაციული მეურნეობა და მისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი – ტურიზმი, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საქმიანობაა. რეკორეაცია მჭიდროდაა დაკავშირებული გეოგრაფიულ გარემოსთან, რადგან მისი პოტენციალი მნიშვნელოვანილია უკავშირდება ტერიტორიის ბუნებრივ მახასიათებლებს და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებას, მეურნეობის და სოციალური ინფრასტრუქტურის გეოგრაფიულ თავისებურებებს.

რეკორეაციული გეოგრაფია სწრაფად განვითარებადი სამეცნიერო მიმართულებაა. იგი ერთიანი ანუ საზოგადოებრივ-საბუნებისმეყველო გეოგრაფიის ქვედარგია (1), რის გამოც მისი კვლევის ინტერესების სფეროშია ის გეოგრაფიული ობიექტები და სისტემები, რომლებიც შედგება როგორც ბუნებრივი, ისე საზოგადოებრივი ელემენტებისგან. აღსანიშნავია ისიც, რომ რეკორეაციული გეოგრაფია საზოგადოებრივ-საბუნებისმეტყველოგეოგრაფიის ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულების: სამედიცინო გეოგრაფიისა და ქვეყანათმცოდნეობის ცალკეული მიჯნაზე ვითარდება (2).

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სპეციალისტების მიერ მიიჩნევა, რომ რეკორეაციული გეოგრაფიის ძირითადი საგანია რეკორეაციული ტერიტორიული სისტემები, რომელიც შედგება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემისგან. მათ შორისაა: ბუნებრივი და კულტურული ობიექტები, შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მომსახურე პერსონალიდა რეკორეაციული (2). გასაგებია, რომ რეკორეაციული რესურსების მხოლოდ ისეთი სახეების ნარმოჩენის შემთვევაში, როგორიცაა კულტურული, ისტორიული, საგანმანათლებლო, გასართობი ან სპორტული ობიექტები, რეკორეაციული გეოგრაფია საზოგადოებრივი გეოგრაფიის ნაწილად ნარმოჩინდება. თუ რეკორეაციულ-ტერიტორიულ სისტემებს განვიხილავთ კურორტებთან მიმართებაში, აქ ბუნებრივი და ანთროპოგენული ქვესისტემები თითქმის თანაბარი ფუნქციური დანიშნულებით ნარმოჩინდებიან. ამ შემთხვევაში რეკორეაციული გეოგრაფია უფრო საბუნებისმეტყველო მიმართულებად ნარმოჩინდება, ვიდრე საზოგადოებრივად. რეკორეაციული გეოგრაფიის საბუნებისმეტყველო გეოგრაფიისადმი კუთვნილება კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება იმ შემთხვევაში, თუ რეკორეაციული ქვესისტემების სახით ბუნებრივ ობიექტებს ან დაცულ ტერიტორიებს ნარმოვაჩენთ. იმის გამო, რომ დისკუსიამ ცალმხრივი ხასიათი არ მიიღოს, უპრინანი იქნება რეკორეაციული გეოგრაფია განვიხილოთ საზოგადოებრივ-საბუნებისმეტყველო ანუ ერთიანი გეოგრაფიის ფარგლებში.

ჩვენი აზრით, რეკორეაციული გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო მიმართულების, ძირითად მიზანს ნარმოადგენს იმ სივრცე-დროითი კანონზომიერებების კვლევა, რაც უკავშირდება რეკორეაციული ტერიტორიული სისტემების ფორმირების, განვითარების, მრავალფეროვნების, ტერიტორიული ორგანიზაციის და ოპტიმალური სამოყრნეო გამოყენების თავისებურებებს. ამგვარი თვალსაზრისით, რეკორეაციული გეოგრაფია საქართველოში პრაქტიკულად ამჟამად იწყებს განვითარებას.

#### საქართველოს რეკორეაციული პოტენციალი

რეკორეაციული პოტენციალი იმ ბუნებრივ, ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა, საქმიანობისა და რესურსთა ერთობლიობაა, რომელიც რეკორეაციული საქმიანობის განვითარების საშუალებას იძლევა. რეკორეაციულს მიეკუთვნება დასვენება და გამაჯანსაღებელი მკურნალობა, სამოყვარულო (ნადირობა, თევზაობა, შემგროვებლობა და სხვ.) და ინტელექტუალური (განათლება, ლიტერატურის კითხვა და სხვ.) საქმიანობა, ფიზიკური დატვირთვა (სპორტი, სეირნობა) და გართობა (ცეკვა, თამაშობანი), კულტურის დაწესებულებათა (სპექტაკლის, კონცერტის,

ფილმის და სხვ.), ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ობიექტთა მონაზულება და მოგზაურობა. რეკრეაციულ რესურსებად სასურველია განვიხილოთგარემოს ის ელემენტები და ობიექტები (ბუნებრივი კომპონენტები; ისტორიული და კულტურული ობიექტები; ესთეტიკური გარემო; გამაჯანსაღებელი და სამკურნალო დაწესებულებები), რომელთა პოტენციალის გამოყენება შესაძლებელია რეკრეაციული საქმიანობისას.

საქართველო მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით კავკასიაში გამოირჩევა რეკრეაციული რესურსებით. აქ ცნობილია 100-ზე მეტი კურორტი და რამდენიმე ასეული საკურორტო ადგილი. საქართველოში შესწავლილია 2 ათასამდე მინერალური წყარო, რომელთა უმეტესობა მაღალი ბალნეოლოგიური დანიშნულებით გამოირჩევა, აქ ათასობით ბუნებრივი ლირსშესანიშნაობა, 12 ათასი ისტორიული ძეგლი და ასზე მეტი მუზეუმია (3). ასევე აღსანიშნავია საქართველოში საკურორტო მეურნეობის და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი: 1) ძირითადი კურორტები განლაგებულია კომფორტულ, ზღვის დონიდან 1500 მეტრამდე; 2) ქვეყნის ტერიტორიისთვის დამახასიათებელია კურორტების და რეკრეაციული ობიექტების მაღალი სიმჭიდროვე; 3) საქართველოსკურორტების მაღალი გამაჯანსაღებელი პოტენციალი, რაც უკავშირდებაკარდიოლოგიურ, ნევროლოგიურ, გასტროენტეროლოგიურ, კანის, ძვალ-სახსრების და სხვა დაავადებების ეფექტურ მკურნალობას.

საქართველოში ასევე ძალიან მაღალია ე.ნ. გენეტიკური და აგრობიომრავალფეროვნების მაჩვენებლებიც. აქ, უძველესი სამინათმოქმედო კულტურის ქვეყანაში, კულტურული მცენარეების გამოსაყვანად, იყენებდნენ ველურ მცენარეთა მდიდარ გენოფონდს. საქართველოში ვაზის 500-მდე ჯიშია გამოყვანილი. საქართველო მსოფლიოში ასევე ცნობილია როგორც ხორბლის წარმოშობის ცენტრი. დედამინაზე ცნობილი ხორბლის 29 სახეობიდან საქართველოში აღწერილია 14, რომელთა შორის 5 ენდემურია. მსოფლიოში ასევე ცნობილია ხეხილის, ცხენის, ძროხის, ცხვრის, ფუტკრის, ძალლის და სხვ. ადგილობრივი სახეობები.

საქართველოსტურისტულ მიმზიდველობას კიდევუფროზრდის მისიისტორიული, ეთნოგრაფიული და კულტურული მრავალფეროვნება. საუკუნეების მანძილზე ცივილიზებული მსოფლიო მუდმივად ინტერესდებოდა ქართველი ხალხის თვითმყოფადი სამეურნეო კულტურით, ხელოვნებით, არქიტექტურით, ყოფა-ცხოვრებით, სამზარეულოთი და ტრადიციებით.

საქართველოში რეკრეაციული მეურნეობის განვითარება უშუალოდ უკავშირდება ტერიტორიის იმგვარი დაგეგმარებას, რის შედეგადაც იგი მაქსიმალურად წარმოაჩენს ქვეყნის რეკრეაციულ პოტენციალს და რეკრეანტთა ინტერესებს. გარდა ტერიტორიული დაგეგმარებისა, სასურველია განხორციელდეს რეკრეაციული რესურსების და პოტენციალის კლასიფიცირებაისეთი მახასიათებლების მიხედვით, რომელიც წარმოაჩენს: გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ბუნებრივი გარემოს და ლანდშაფტების, რეკრეაციული ფუნქციების, ბუნებრივი კომპონენტების, ინფრასტრუქტურის და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების თავისებურებებს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში რეკრეაციული მეურნეობის ტერიტორიული დაგეგმარება, რეკრეაციულ რესურსების და პოტენციალის კლასიფიცირება არც თეორიულ და მით უფრო პრაქტიკულ დონეზე, დღემდე არ განხორციელებულა.

რეკრეაციული მეურნეობის ოპტიმალური შეფასება და ტერიტორიული დაგეგმარება, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში ტურიზმის განვითარების, ჯეროვანი ადგილობრივი და რეგიონული ურთიერთობების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდება.

### **საქართველოს ტურისტული პოტენციალი**

საქართველოში ტურიზმი მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება, რასაც ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალფეროვანი ბუნებრივი გარემო, დაცული ტერიტორიების სისტემა, საკურორტო პოტენციალი, ეკოლოგიურად ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, მიმზიდველი ეთნოკულტურული თავისებურებანი და უნიკალური ისტორიული ძეგლები განაპირობებს. ტურიზმის განვითარებას ხელს ასევე უწყობს მისი ტრადიციებიც, რაც მე-20

საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბდა. ჩვენს ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ადამიანი სტუმრობდა, რასაც ასეულობით ტურისტული და რეკრეაციული დაწესებულება ემსახურებოდა.

ცნობილია, რომ საკურორტო ადგილი სასურველია მკვეთრად იყოს გამიჯჯნული იყოს დასახლებების, სამრეწველო ობიექტების, სატრანსპორტო კვანძებისა და სასფლო-სამეურნეო სავარგულებისგან. მისი არეალი იზოლირებული და განსაკუთრებული ეფექტურობით უნდა გამოირჩეოდეს. მას უნდა გააჩნდეს ინდივიდუალური ესთეტიკური გარემო და დასვენების ზონა. საკურორტო ადგილი, როგორც წესი, შედგება ბუნებრივი და კულტურული სივრცისგან. კულტურული სივრცის ფუნქცია შეიძლება შეითავსოს საკურორტო ადგილის მიახლოებაზე არსებულმა ისტორიულმა ძეგლმაც (2). ამგვარი თვალსაზრისით, საქართველოს კურორტების ხელახალი დაგეგმარება აქტუალურ სამეცნიერო-პრაქტიკულ ამოცანად წარმოჩინდება, რაც სასურველია ევროპის ლანდშაფტური კონკიციის (საქართველო მიერთდა 2012 წელს) დებულებების გათვალისწინებით განხორციელდეს.

საქართველოში ცნობილია დასახლებათა ისეთი ფუნქციური ტიპი, როგორიცაა ქალაქი-კურორტი, დაბა-კურორტი ან სოფელი კურორტი. ამგვარად ქალაქებად შეიძლება ჩაითვალოს ქობულეთი, ბორჯომი, წყალტუბო და სხვ. ისინი საკურორტო მეურნეობის შესაძლო დაგეგმარების და განვითარების საპილოტე ტერიტორიებად უნდა იქცეს. საკურორტო მეურნეობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ასევე შეიძლება ითამაშონ დაცულმა ტერიტორიებმა, როგორც ჯანსაღი ბუნებრივი გარემოთი გამორჩეულმა ადგილებმა და შემეცნებითი ტურიზმის ობიექტებმა.

საქართველოში გვხვდება კურორტის ყველა ტიპი, რაც კი ცნობილია მსოფლიოში. მათ შორის ძირითადია საზღვაო, მთის და კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტები. მათი ბუნებრივი გარემოს კომპლექსური შეფასება ასევე აქტუალური სამეცნიერო ამოცანაა. ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ: 1) საზღვაო კურორტების ბუნებრივი გარემოს შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი კრიტერიუმები: წყლის ტემპერატურის და მარილიანობის დინამიკა, სანაპირო პლაჟების ფრაქციული (ქვა, წვრილი ნატეხი, სილა, თიხა და სხვ.) შედგენილობა, გარემომცველი ლანდშაფტის ეფექტურობა, მცენარეულობის ტიპი და გავრცელების თავისეურებანი, სანაპირო დინების სიჩქარე, ქარების სიძლიერე, ნალექების და ღრუბლიანობის სიხშირე და ა.შ. 2) მთის კურორტების შეფასებისას: ადგილის სიმაღლე, ექსპოზიცია, ჰაერის ტემპერატურის წლიური, სეზონური და დღელამური ამპლიტუდა, რელიეფის ფორმები და დახრილობა, ჰორიზონტის ხასიათი (ლია, დახურული), ლანდშაფტის ეფექტურობა, მცენარეულობის ტიპი, ნალექების და ღრუბლიანობის თავისებურება, თოვლის საფარის სიმძლავრე და ხანგრძლივობა, ლანდშაფტის ვერტიკალური ზონალობა და მრავალფეროვნება, და ა.შ. 3) კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტების შეფასებისას: მინერალური წყლის შედგენილობა, დებიტი, ტემპერატურის და მარილიანობის დინამიკა, გარემომცველი ლანდშაფტის ეფექტურობა და მცენარეულობის ტიპი, მზის ნათების ხანგრძლივობა, ქარების სიძლიერე, ნალექების და ღრუბლიანობის დინამიკის თავისებურებანი, ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნება და ა.შ.

### **საქართველო და გარესამყარო**

საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნება გამორჩეულია მსოფლიოში, განსაკუთრებით კი სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყელში. აქ შვიდ ათეულზე მეტი ბუნებრივი ლანდშაფტია წარმოდგენილი. მის ვაკე-დაბლობებზე ვხვდებით როგორც ნოტიო კოლხურ ტყეებს, ისესემიპუმიდურსტეპებსდაბუჩქნარებს, სემიარიდულ ნათელ ტყეებს და არიდულ ნახევრად უდაბნოებს. მთებში რამდენიმე ბუნებრივი ზონაა წარმოდგენილი- დაწყებული ჰემიპილებით და დამთავრებული ნივალურ-გლაციალური ლანდშაფტებით. ამგვარი მრავალფეროვნება რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება, რომელთაგან მნიშვნელოვანია: გეოგრაფიული მდებარეობა (ტროპიკული და ზომიერი სარტყელის მიჯნაზე), გაუყინავი შავი ზღვის სიახლოვე და სიმაღლებრივი სარტყელურობა (ზღვის დონიდან 5200 მეტრამდე).

საქართველო მსოფლიოში ასევე გამოირჩევა „პირველადი“, ხელუხლებელი ბუნებრივი გარემოს (ტერიტორიების) მაღალი ხვედრითი წილით, რაც ქვეყნის ფართობის 15%-ზეა წარმოდგენილი. სა-

ქართველოს ტერიტორიის 2/5 ტყეებითაა დაფარული, რაც უდიდესი ეკოლოგიური რესურსია. აქ გვხვდება 15 ათასზე მეტი სახეობის მცენარე, რომელთა შორისაა 4 ათასზე მეტი თესლოვანი, 75 გვიმრისებური და 2600 წყალმცენარე. მცენარეულობის 6.0% ანუ 900-მდესახეობა, ენდემური და რელიეტურია. ცოცხალი სამყაროს სახეობათა რაოდენობის, ენდემიზმის და ბიომრავალფეროვნების მიხედვით საქართველო ევროპის ქვეყნების ხუთეულში შედის, რაც მკაფიოდ მეტყველებს მისი ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნებასა და განუმეორებლობაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე ბუნების ასეულობით ისეთი ძეგლია, რომელიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. მათ შორისაა დინოზავრების ათეულობით ნაკვალევი, მსოფლიოში სიდიდით და სიღრმით გამორჩეული მღვიმეები, უხვწყლიანი მდინარეები, სხვადასხვაგვარი წარმოშობის ტბები, ულამაზესი მყინვარები, უნიკალური დაცული ტერიტორიები და ა.შ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბუნების მრავალფეროვნება მცირე ფართობზეა წარმოდგენილი, რაც ზრდის საქართველოს რეკრეაციულ დანიშნულებას.

საქართველო ლანდშაფტების რაოდენობით მე-12 ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო პირველ ადგილზე ევროპაში. იგი ამ მაჩვენებლით ჩამორჩება მხოლოდ ისეთ დიდ ქვეყნებს, როგორიცაა ჩინეთი, აშშ, რუსეთი, ავსტრალია, მექსიკა, ინდოეთი, კანადა, ბრაზილია, არგენტინა, თურქეთი და ჩილე. თუ ლანდშაფტების რაოდენობას დავუკავშირებთ ტერიტორიის ფართობს, მაშინ ლანდშაფტური მრავალფეროვნების მიხედვით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე აღმოჩნდება (4). ამგვარი მაჩვენებელი, ჩვენი აზრით, საქართველოს ტურისტული მიმზიდველობის უმთავრესი ფაქტორია.

საქართველო ევროპაში არ გამოირჩევა არც გეომეტრული პარამეტრებით და არც სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალით. თუმცა, მიუხედავად მცირე ფართობისა, ჩვენს ქვეყანაში გვხვდება ევროპის ლანდშაფტური ერთეულების ყველა ტიპი, ცოცხალი სამყაროს ვერტიკალური განაწილების ყველა ფორმა. საქართველო ფლორის სახეობათა რაოდენობით აღემატება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, ბულგარეთი, რუმინეთი და სხვ. ჩვენ ევროპაში პირველ ადგილზე ვართ ძუძუმწოვრებისა და ფრინველების სახეობათა რაოდენობით, ხელუხლებელი ტყეების ხედრითი წილით და გარემოზე აქტიური ანთროპოგენული ზემოქმედების ხარისხის მიხედვით (4). საქართველო ევროპაში, ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით, გამოირჩევა ბუნების ცალკეული კომპონენტების (წითელმიწები, რელიეტები, იშვიათი სახეობები, არაორგანული ბუნების ძეგლები და სხვ.) სიუხვითაც (5).

### **ტურიზმი სამხრეთ კავკასიაში**

კავკასია სწრაფად ვითარდება ტურიზმი, რაც მიუხედავად არაერთი კონფლიქტური რეგიონისა, უკავშირდება მსოფლიო მნიშვნელობის ბუნებრივ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებას.

ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში შეიცვალა როგორც ტურისტთა რაოდენობა, ისე გეოგრაფია. თუ მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედში ამ ქვეყნებში 6-7 მილიონი ტურისტი ჩამოდიოდა, ამჟამად მათი რიცხვი განახევრებულია. თუ საბჭოთა პერიოდში საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ძირითადად პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მოემგზავრებოდნენ, ამჟამად აქ ძირითადად მეზობელი ქვეყნებიდან და ევროპიდან ჩამოდიან. თუ გასულ საუკუნეში რეგიონული ტურიზმი სუსტად იყო განვითარებული, ამჟამად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ტურისტთა ნაკადების ყოველწლიური მატება აღინიშნება (6,7).

სამხრეთ კავკასიაში რეგიონული ტურიზმის განვითარება საზოგადოებრივ ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ საქმეში არსებითი როლი შეუძლია ითამაშოს საქართველომ, რომლის რეკრეაციული პოტენციალი და ტრადიციები ახალი გამონვების წინაშე დგას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ელიზბარაშვილი, 2010. 6. ელიზბარაშვილი. გეოგრაფიის საფუძვლები. – თბილისი, 2010.
2. ჟარფის, 1979. ჟარფის პ.გ. რეkreационная География СССР, курортологические аспекты. – Москва, 1979.
3. Atlas of Resorts and Resort Resources Georgian SSR. – Moscow, 1989.
4. საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. – თბილისი, 2000.
5. საქართველოს ბუნება – ჩვენი ფასეულობები. – თბილისი, 2013.
6. [www.advantour.com/rus](http://www.advantour.com/rus)
7. [www.traveling.am](http://www.traveling.am)

### სოფო დედაბრიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი ხელმძღვანელი,  
პროფესორი: ეკატერინე ფირცხალავა

## ქართველი სტუდენტების დამოკიდებულება რუსი ხალხისადმი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფონზე

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორია XV საუკუნიდან იწყება[1] და ამ დროის განმავლობაში თითქმის არც ერთ პერიოდში ამ ურთიერთობას დადებითი ხასიათი არ ჰქონია. მთელი ეს ექვსსაუკუნოვანი პერიოდი კონფლიქტებით იყო დატვირთული. თუ არ ჩავთვლით რასაკვირველია საბჭოთა პერიოდს, როცა საქართველოც იმ დიდი იმპერიის წევრი იყო, რასაც საბჭოთა იმპერია ერქვა.[2] თუმცა არც ასეთი ურთიერთობა შეიძლება ჩაითვალოს დადებითად, დღევანდელობიდან გამომდინარე.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები თითქმის ყოველთვის საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სადაც ტერიტორიებისთვის ბრძოლაში გამოიხატებოდა, რასაც რუსეთიდან უარყოფითი უკუკავშირი და ხშირად შეიარაღებული „თავდასხმა“ მოსდევდა (1800-იანი, 1921, 1992-1993, 2008 წლები).[3]

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების უარყოფითი ხასიათი გამოიხატება შემდეგში: 1801-1917 წლები-საქართველოს კუთხეების ანექსია; 1811 წელი-საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება; 1921 წელი-რუსეთის მე-11 წითელი არმიის შემოსვლა და საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა; საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება, საოკუპაციო რეჟიმის დამყარება: კომუნიზმი (იდეოლოგიური ფუძემდებელი კარლ მარქსი) და მისი ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. ბერ-მონაზვნების ტაძრებიდან გაძევება და ეკლესიებიდან განძეულობის ამოღება. ეკლესია-მონასტრების დახურვა და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება. ეკლესიური რიტუალების აკრძალვა. მღვდლების გაძევება და დაპატიმრება. 1937 წლის რეპრესიები-კრიტიკულად მოაზროვნე ინტელიგენციის მოსპობა, მასიური დაპატიმრება-გადასახლებები. 1992-1993 წლების აფხაზეთის კონფლიქტი, აფხაზეთის დე-ფაქტო დამოუკიდებლობა; 2008 წელი-რუსეთ საქართველოს ომი-სამხრეთ ოსეთი: მასობრივი ეთნიკური წმენდა. ქართველთა იძულებითი გადაადგილება. ქართული სოფლების დაბომბვა. (იარაღის არამიზნობრივი გამოყენება როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მიერ).[4]

ეს ყველაფერი ჰიპოთეტური საფუძველი შეიძლება გახდეს ქართველი ხალხის რუსი ხალხის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისა და ჩემი მიზანიც სწორედ ეს იყო, მეკვლია რუსეთ-საქართველოს სისხლიანი ურთიერთობების შედეგები ქართველ ახალგაზრდობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მძაფრი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს 2008 წლის აგვისტოს ომი, რომლის უშუალო მოწმეცაა დღევანდელი ქართველი სტუდენტობა. ამიტომ გასაკვირი არ იქნება, რომ ქართველ ახალგაზრდათა ცნობიერებაში შექმნილი იყო რუსეთი, როგორც მტრის ხატი.

ჩემი კვლევის მიზანი იყო გამერკვია, რა დამოკიდებულებებია ქართველ ახალგაზრდებში (სტუდენტებში) რუსი ხალხის მიმართ საქართველო-რუსეთის კონფლიქტის ფონზე. რა სახის არის ეს დამოკიდებულებები: დადებითი თუ უარყოფითი; მტრული, თუ კეთილგანწყობილი და ა.შ. კვლევაში აქცენტირებულია სტუდენტების რუსი ხალხის მიმართ დამოკიდებულებაზე და არა ზოგადად, რუსეთის, როგორც სახელმწიფოს მიმართ, ან მისი მთავრობის მიმართ.

### კვლევითი ნაწილი

როგორ გავზომეთ დამოკიდებულებები?

რა არის ატიტუდი? [5]:

- ატიტუდები, ესაა განზოგადებული შეფასებები, რაც აქვს ადამიანს საკუთარი თავის, სხვა ადამიანების, ობიექტებისა და საკითხების მიმართ;
- სოციალური ობიექტის პოზიტიურად ან ნეგატიურად შეფასების, მის მიმართ სიამოვნება-უსიამოვნების განცდის და სასიკეთოდ ან სამტროდ მოქმედების ტენდენციათა დროში გამძლე სისტემა.

რუსი ხალხის მიმართ დამოკიდებულებების (ატიტუდების) კვლევა განვახორციელე კითხვარით, რომელშიც გამოვიყენე ლაიკერტის სკალა[6], თანაბარი რაოდენობით იყო მოცემული შემდეგი სახის დადებითი და უარყოფითი დებულებები:

**მაგალითად, დადებითი:** ვისურვებდი, საქართველოს ბევრი რუსი ესტუმროს;

**უარყოფითი:** ჩემი აზრით, რუსები არ უნდა ცხოვრობდნენ საქართველოში.

კვლევა ჩატარდა 100 სტუდენტზე. კვლევის შედეგების მიხედვით დამოკიდებულებათა განაწილების ხასიათი შემდეგნაირია:

**დადებითი დამოკიდებულება:** 71%;

**ნეიტრალური დამოკიდებულება:** 28%;

**უარყოფითი დამოკიდებულება:** 1%.

შედეგების უფრო ღრმა დიფერენციაცია შემდეგნაირ სურათს გვაძლევს:

**მკვეთრი დადებითი დამოკიდებულება-საერთო რაოდენობის 17% და დადებითი დამოკიდებულების 23,9%;**

**ნეიტრალური დადებითისკენ გადახრილი დამოკიდებულება-საერთო რაოდენობის 23% და ნეიტრალური დამოკიდებულების 82,1%;**

**ნეიტრალური უარყოფითისკენ გადახრილი დამოკიდებულება-საერთო რაოდენობის 5% და ნეიტრალური დამოკიდებულების 17,9%**

მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება კვლევაში არ დაფიქსირდა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსი ხალხის მიმართ სტუდენტების დამოკიდებულებაზე არ უმოქმედია იმ სისხლიან ისტორიას, რაც საქართველომ გამოიარა 6 საუკუნის განმავლობაში. ეს მათი ცნობიერების მაღალ დონეზე მიუთითებს, ვინაიდან არ აზოგადებენ თავიანთ შეფასებებს რუსეთის მთავრობისა, თუ ცალკეული ადამიანების მიმართ, ზოგადად რუს ხალხზე.

კვლევის შედეგები გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ, თუ ქართველი ახალგაზრდობის დამოკიდებულება რუსი ხალხის მიმართ ასეთივე დადებითი დარჩება, ეს ფაქტი კონფლიქტის მოგვარების საფუძველი შეიძლება გახდეს. ქართველი და რუსი ხალხის მეგობრული ურთიერთობა დამოუკიდებელია ქვეყნების მთავრობების ურთიერთობის გავლენებისგან. ქართველი სტუდენტების ცნობიერებაში არ არის რუსი ხალხი, როგორც მტრის ხატი.

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგები ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს-დამყარდეს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებითი ურთიერთობები. ისეთი, როგორსაც გვაჩვენებს ქართველი ახალგაზრდობის კეთილგანწყობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. [http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1 %E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98#.E1.83.A3.E1.83.A0.E1.83.97.E1.83.98.E1.83.94.E1.83.A0.E1.83.97.E1.83.9D.E1.83.91.E1.83.94.E1.83.91.E1.83.A8.E1.83.98\\_1491-1783 .E1.83.AC.E1.83.9A.E1.83.94.E1.83.91.E1.83.A8.E1.83.98](http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1 %E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98#.E1.83.A3.E1.83.A0.E1.83.97.E1.83.98.E1.83.94.E1.83.A0.E1.83.97.E1.83.9D.E1.83.91.E1.83.94.E1.83.91.E1.83.98_1491-1783 .E1.83.AC.E1.83.9A.E1.83.94.E1.83.91.E1.83.A8.E1.83.98)
2. გედენიძე 2011. თ. გედენიძე. „მსოფლხედველობითი კონფლიქტი საბჭოთა კავშირში 1921-1943 წლებში მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფო იდეოლოგიას შორის {რეპრესირებული ქართველი სამღვდელოება}“ თბილისი 2011;
3. [http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1 %E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98\\_\(1992-1993\)](http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1 %E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98_(1992-1993))
4. უგრეხელიძე 2012. ლ. უგრეხელიძე. ქეისი „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“-რატომ ვერ დამტკიცდა „ქართული სიმართლე“ თბილისი 2012;
5. ბალიაშვილი 2010, მ.ბალიაშვილი „სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები“. თბილისი 2010;
6. წულაძე 2008. ლ. წულაძე. „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ თბილისი 2008;
7. <http://www.media.ge/ge/portal/articles/52079/>

**დავით ძიძიშვილი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა  
ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო ჭალაგანიძე

**ზორი, როგორც პოლიტკომუნიკაციის საშუალება და მისი როლი მედიით  
მარიალირებისას (ქართული მაგალითისას საფუძველზე)**

ჭორი, როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების საშუალება, სხვა და სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო მიზნის მისაღწევად საუკუნეთა მანძილზე გამოიყენებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი დღესაც რჩება საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ, თუმცა რთულად გამოსაყენებელ იარაღად, რაც მისი თვისებურებებითაა განპირობებული. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ჭორის, როგორც პოლიტ. კომუნიკაციის შემადგენელი ნაწილისა და მედიასთან მისი ურთიერთდამოკიდებულების ასპექტების განხილვა.

ინფორმაცია, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილება, დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა მეცნიერთა შესწავლის საგანს, მას დღესაც ისეთივე აქტუალურობით იკვლევენ, როგორც 40-50 წლის წინათ. პირველი მკვლევარები ინფორმაციას ასე განმარტავდნენ: „ინფორმაცია ეს არის რაიმე ცნობა, შეტყუბინება (Informatio ლათ. – განმარტება, გადმოცემა), რომელიც ადამიანის მიერ გადაიცემა სიტყვიერი, წერილობითი ან სხვა საშუალებით (პირობითი სიგნალები, ტექნიკური საშუალებები და სხვ.). მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ის სამეცნიერო ტერმინი გახდა, რომელიც გულისხმობს ცნობების გაცვლას ადამიანებს შორის, ადამიანსა და ტექნიკას შორის, ტექნიკას შორის, ასევე სიგნალების გაცვლას მცენარეთა და ცხოველთა სამყაროში, თვისებების გადაცემას უჯრედიდან უჯრედისთვის, ორგანიზმიდან ორგანიზმისთვის. ინფორმაცია კიბერნეტიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. კაცობრიობის არსებობის მესამე ათასწლეულს თამამად შეიძლება ენოდოს ინფორმაციის ბატონობის ეპოქა. ინფორმაციული საჭიროება არსებობს ყველგან და ყველაფერში და, რა თქმა უნდა, არც პოლიტიკური გარემოა გამონაკლისი.

პოლიტიკური გარემოს ფორმირების ერთ-ერთი მთავარი საშუალება კი პოლიტ. კომუნიკაცია ანუ „პოლიტიკური ინფორმაციის გაცვლის პროცესი რომლის დროსაც ინფორმაცია პოლიტიკური და სოციალური სისტემის სუბიექტებს შორის მოძრაობს.

პოლიტ. კომუნიკაციის სამ ძირითად ხერხს გამოყოფენ, ესენია:

- პოლიტ. კომუნიკაცია მედიის არხების საშუალებით;
- პოლიტ. კომუნიკაცია შიდაპარტიული არხების საშუალებით;
- პოლიტ. კომუნიკაცია არაფორმალური არხების საშუალებით.

სწორედ ამ სამი საშუალებით ხდება იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საბოლოოდ უდიდეს ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური გარემოს ფორმირებაში.

ჭორი, როგორც ინფორმაციის დამახინჯებული ფორმა საუკუნეების მანძილზე ახერხებდა ზემოქმედების მოხდენას პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ პროცესებზე. ჭორის კლასიკური განმარტების მიხედვით, ეს არის გადაუმოწმებელი, არასანდო ინფორმაცია (ან ნებისმიერი გადასაცემი ინფორმაციის დამახინჯებული ფორმა), რომელიც ჩვეულებრივ, ზეპირი ფორმით ვრცელდება – თითქოს „საიდუმლოდ“. მის წარმოქმნას განაპირობებს ისეთი ფაქტორები როგორიცაა – ინფორმაციული ვაკუუმის არსებობა; არასანდო ინფორმაციული ნაკადები; საინფორმაციო ველის უკონტროლობა ან კონტროლი სპეციალიზირებული დაწესებულებების მიერ.

პოლიტიკურ კომუნიკაციაში ჭორის გამოყენებას ორი ძირითდი მიზეზი აქვ. პირველი - ჭორი, ეს არის საზოგადოებრივი აზროვნებისა და მასობრივი განწყობის თვითგამოხატვის განსაკუთრებული ფორმა; და მეორე - ჭორი ერთ-ერთი ეფექტური სამუალებაა მასობრივ ქცევებზე ზემოქმედებისთვის.

აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჭორის გავრცელების სისწრაფე საქმაოდ მაღალია, აქე-დან გამომდინარე, მისი, როგორც ზემოქმედების საშუალების ეფექტიანობა კიდევ უფრო იზრდება.

ჭორი სამი ძირითადი პარამეტრის მიხედვით ფასდება. თითოეული მათგანი მოიცავს კრიტერიუმთა ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს როგორც ტიპს, ასევე მის ეფექტურობას.

აღნიშნული პარამეტრები შემდეგნაირად გამოიყურება:

- ექსპრესიული (ის ემოციური მდგომარეობა, რომელიც ჭორშია გამოხატული და მასზე ემოციური რეაგირების თავისებურებები)
- ინფორმაციული (ჭორის სიუჟეტის, რეალურობის დონის შესაბამისად)
- ადამიანზე ზემოქმედების დონე.

ექსპრესიულ მახასიათებელთაგან გამოიყოფა:

1) სასურველი ჭორი - როცა გავრცელებულ ინფორმაციას მიზნად აქვს გამოიწვიოს იმედგაც-რუება (შეუსრულებელი სურვილების გამო) და ზემოქმედების ობიექტის დემორალიზება (მაგ: ამათუ იმ პოლიტიკური მოთამაშის მიერ ცრუ მოლოდინების ინიცირება).

2) შემაშინებელი ჭორი - მათი საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია მიზნად ისახავს ინიცირება გაუკეთოს ზემოქმედების ობიექტის ისეთ მდგომარეობას, როგორიცაა, დათრგუნვა, ღელვა, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვის შეტანა (მაგ: კონკრეტული პოლიტიკური ძალის მიერ რომელიმე სოციალური კლასის დაჩაგვრის შიში).

3) განზოგადებული აგრესიული ჭორი – მათი საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია მიზნად ისახავს გარემოში უთანხმოების შეტანასა და სოციალური კავშირების დაქვეითებას, დარღვევას. (მაგ: პოლიტიკური სუბიექტის მიერ კონკრეტული სოციალური ჯგუფის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამოვლენა).

ინფორმაციული მახასიათებლის მიხედვით ჭორები იყოფა შემდეგნაირად:

- არარეალური (ტყუილი);
- ნახევრადრეალური (შეიცავს სიმართლის ელემენტებს);
- რეალობასთან ახლო.

ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების დონის მიხედვით კი ჭორები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

1. საზოგადოებრივი აზრის გამაღიზიანებელი - მას არ მოსდევს მასობრივი ან ინდივიდუალური ანტისაზოგადოებრივი მოქმედება;

2. კონკრეტული სოციალური ჯგუფების ნაწილში - ანტისაზოგადოებრივი ქცევის გამომწვევი.

3. სოციალური კავშირებისა და ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობების დამრღვევი - მასობრივი არეულობებისა და პანიკის გამომწვევი.

იმისთვის, რომ რაიმე ინფორმაცია გახდეს ჭორი, საჭიროა:

- ინფორმაცია სამიზნე აუდიტორიისათვის მნიშვნელოვანი იყოს (ანუ პირდაპირ ეხებოდეს მის ინტერესებს);

- მიწოდებული ამბები, გასაგები იყოს ჭორის ტრანსლირების პროცესის ყველა მონაწილისთვის;
- ინფორმაციის ფლობა ხელს უწყობდეს ჭორების გამავრცელებლის პრესტიჟის ამაღლებას.

გასათვალისწინებელია ის, რომ ჭორის მართვას ბევრი შემზღვდავი ფაქტორი ახლავს თან, აქე-დან გამომდინარე, მისი გამოყენება საკმაო რისკებთან არის დაკავშირებული. ძირითადი შემზღვ-დავი ფაქტორია ის, რომ ჭორი, როგორც ინფორმაციის სახეობა, უკონტროლობა, ანუ სპეციალისტები ჭორის მხოლოდ პროვოცირებას და მის შეძლებისდაგვარ გამყარებას (გარეალურებას) ახდენენ, ხოლო ის, თუ რა ფორმას მიიღებს იგი გავრცელებისას, სცდება მათი კონტროლის სფეროს. აქედან

გამომდინარე, შესაძლოა, კარგად დაგეგმილმა და ორგანიზებულმა პროცესმაც კი უარყოფითი შე-დეგები მოიტანოს. სწორედ ამიტომ ეკიდებიან განსაკუთრებული სიფრთხილით ინფორმაციით მანიპულირების სპეციალისტები ჭორით ზემოქმედებას.

თუმა ამ მიმართულებით საკმაოდ მდიდარი გამოცდილება დაგროვდა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. დაწყებული 90-იანი წლებიდან ხშირად გაიგებდით ამბავს ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერის სექსუალური ორიენტაციის, უცხოეთში არსებული საბანკო ანგარიშების, წამალდამოკიდებულების ან სხვა მანკიერი მხარის შესახებ, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ე.წ. პოზიტიური ჭორები - „2008 წელს ბათუმი იმიტომ არ დაპომპეს, რომ ასლან აბაშიძემ უთხრა რუსეთის ხელისუფლებას ეგ არქნათო. . .“ ან „მიშა, რომ დათვრება უკრაინაში დაფრინავს“. ამ და მსგავსი ჭორების გავრცელების საშუალებია ძირითადად ზეპირი წყაროებია, თუმცა ხშირია შემთხვევა როცა ჭორი თნდათან მედიის განხილვის საგანი ხდება.

ქართული მედიის მაგალითების ანალიზმა აჩვენა, რომ დღვანდელი ქართული მედიასივრცე გაჯერებულია გადაუმოწმებელი ინფორმაციით. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევია ისეთ თმატიკასთნ მიმართებაში როგორიცაა პოლიტიკა. მედიასამუალებებიდან გამოსაყოფია ისეთი გაზეთბი, როგორიცაა ასავალ-დასავალი, ალია, ქრონიკა. რაც შეეხება სატალევიზიო მედიასა-შუალებებს, აქ ყველაზე აქტიური ტელეკომპანია კავკასიაა, სადაც ცალკეულ რესპონდენტთა მხრიდან ხშირად ისმის ინფორმაციის ის კატეგორია რომელიც ცალსახად შეიძლება ჭორებს მივაკუთვნოთ. რადიო - შედარებით ნაკლები დოზით ახდენს პოლიტიკური ჭორების ტრანსლირებას, თუმცა რიგ შემთხვევებში, აქაც აქვს ადგილი ცალკეული პირების (ძირითადად პოლიტიკური აქტორებისა და ე.წ. ექსპერტების) მხრიდან დაუზუსტებული, ჭორად გადაქცეული ინფორმაციის ტირაჟირებას. ცალკე აღნიშვნის ღირსია ინტერნეტმედია, სადაც განსხვავებით ტელე-რადიო საშუალებებისაგან, სწორედ უურნალისტები გვევლინებიან გადაუმოწმებელი ინფორმაციის ავტორებად. ხშირია შემთხვევა როცა რომელიმე პოლიტიკოსის მიერ, იდეის დონეზე გაუღრძებული ფრაზა, ამა თუ იმ პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, ინტერნეტმედიის მხრიდან უტყუარ ფაქტად წარმოჩნდება.

რთული სათქმელია რამდენად გააზრებული და მიზანმიმართულია ის პროცესები, რომელსაც მასებზე ჭორით ზემოქმედების ანალიზისას ვხედავთ. გაურკვეველია, სპეციალურად დაგეგმილ პოლიტიკური ზემოქმედების კამპანიასთან გვაქვს საქმე თუ სპონტანურად პროვოცირებულ ჭორთან, თუმცა ფაქტია რომ ქართული მედია აქტიურადაა ჩართული პოლიტიკური კომუნიკაციის იმ იარაღის გამოყენებაში რომელსაც ჭორი ეწოდება.

**დასკვნა:** დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მედიას უდიდესი ადგილი უკავია პოლიტიკური გარემოს ფორმირებაში, აქედან გამომდინარე ის თუ რა ტიპის პოლიტიკური ინფორმაციის ტირაჟირებას ახდენს იგი, მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, თუ როგორ იცვლება ქვეყნის პოლიტიკური ვითარება.

ჭორი როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის იარაღი, პოლიტ. კომუნიკატორის ხელში, ყოველ-თვის იყო და დარჩება საზოგადოებაზე ზემოქმედების მოხდენის ერთ-ერთი სასურველ იარაღად. გასათვალისწინებელი ის ფაქტიც, რომ ჭორის პირველწყაროს ამოცნობა ფაქტიურად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე ყოველთვის როცა მანიპულატორი ჭორის პროვოცირებას ახდენს იგი საკუთარი ვინაობის გამუღავნებისაგან დაცულია, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის პოლიტიკური კომუნიკაციის ამ ხერხს.

მედიის, პასუხისმგებლობა მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი, ყველაზე სანდო წყაროსაგან მიწოდებული ზეპირი ინფორმაციაც კი, გადაამოწმოს, დააზუსტოს და მხოლოდ შემდეგ მოახდინოს მისი ტირაჟირება, ხოლო იმ შემთხვევაში კი, როცა რესპონდენტი პირდაპირ ეთერში ახდენს გადაუმოწმებელი ინფორმაციის ტირაჟირებას, ეცადოს დააზუსტებინოს მას მის მიერ გამოთქმული აზრი და მოსთხოვოს გავრცელებული ინფორმაციის დამადასტურებელი ფაქტები.

**ლიტერატურა:**

- 1) პოლიტიკური კომუნიკაცია და საზოგადოება <http://www.socium.ge/downloads/politikurisociologia/politikuri-komunikacia-da-sazogadoeba.pdf>
- 2) გაზეთი 24 საათი - <http://24saati.ge/index.php/category/culture/2011-02-19/14178>
- 3) Крысько В.Г. Секреты психологической войны – [http://www.evartist.narod.ru/text\\_19/001.htm](http://www.evartist.narod.ru/text_19/001.htm)
- 4) ქართული პერიოდული გამოცემები ასავალ-დასავალი; კვირის პალიტრა; ალია; 24 საათი; ქრონიკა. (2013 01 - 2013 04)

**თამარ კურატიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი

ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო ჭალაგანიძე

**გავრცელების განვითარება ერთულ სატელევიზიო მედიაში (საკვლევი  
პერიოდი: 2012/04 - 2013/04)**

ნაშრომის მიზანია, ქართული ტელეკომპანიების ახალი ამბების ძირითად გამოშვებებსა და გა-დაცემებში ბავშვთა საკითხების პროფესიული გაშუქების ხარისხის შესწავლა. გამოვლენილია უურ-ნალისტების მხრიდან ბავშვთა უფლებების შელახვისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევის არაერთი ფაქტი.

მთავარი საკვლევი კითხვაა, არღვევენ თუ არა უურნალისტები ბავშვთა უფლებებსდა, შესაბა-მისად, გაშუქების პროფესიულ სტანდარტებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ბავ-შვთა ინტერესების გამუქებას ან, თუნდაც, უგულებელყოფას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე დასაერთოდ საზოგადოების დამოკი-დებულებაზე მათ მიმართ.

კვლევის პროცესში შესწავლილი და გაანალიზებულია მასმედიის საშუალებებში, განსაკუთრე-ბით კი, ტელევიზიებში (რადგან ტელევიზიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის მიღება გაცილებით მეტ ადამიანს შეუძლია, ვიდრე სხვა რომელიმე მედიასაშუალებას) ბავშვთა საკითხებზე მომზადებული მასალები, მედიის მიერ სტერეოტიპებისა და გაშუქების არამართებული ფორმების დამკვიდრების მცდელობები. არასწორად, დარღვევებით მიწოდებულმა ინფორმაციამ, შესაძლოა შემდეგში ბავშვებს შეუქმნას ისეთი პრობლემები, როგორიცაა, მაგალითად, პიროვნების საზოგა-დოებისგან გაუცხოება, სოციუმთან ინტეგრაციის გართულება და სხვ.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მასმედიისათვის იმის განსაზღვრა, უურნალისტური ეთიკის უგულებელყოფის ფონზე, თუ რა საფრთხის წინაშე დგას ბავშვი და როგორ ირღვევა მისი უფლებები. მას მედიის ყველა იმ არსებული საშუალებებიდან, რომელიც დღეს არსებობს, ტელევი-ზიას გაცილებით დიდი ეფექტი სმოხდენაშეუძლიათავისიე.ნ. დასწრების ეფექტის, გამომხატველო-ბითი და სმენითი საშუალებით, რომელსაც მოსახლეობის გაცილებით დიდი ნაწილი იღებს ინფორ-მაციის სახით და თანაც უფასოდ, ოპერატორულად. ამიტომ, ტელეგადაცემებში გასული სიუჟეტები, რეპორტაჟები ან სულაც, ბავშვთა პრობლემატურ საკითხებს მიძღვნილი გადაცემები, განსაკუთრე-ბულად ფრთხილად უნდა აიწყოს და დაიგეგმოს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შესაძლე-ბელი ხდება ამა თუ იმ ფაქტის სააშკარაოზე გამოტანა, სწორედ ამ დროს მართებს უურნალისტს გა-მოავლინოს პროფესიონალური დამოკიდებულება საკითხისადმი, რადგან თავად არ მოექცეს სტე-რეოტიპული დამოკიდებულების ზეგავლენის ქვეშ და იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს არაადეკ-ვატური საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ბავშვთა დისკრიმინაციისა თუ ძალადობის აღსაკვე-თად, თავად არ უბიძგოს ხალხს აღნიშნული ქმედებებისაკენ. სწორედ ტელევიზიისათვის დამახასი-ათებელი ნიშნების გამო, გადაწყდა, ბავშვთა საკითხებზე გაკეთებული ტელეგადაცემებზე, სიუჟე-ტებსა თუ რეპორტაჟებზე დაკვირვება და შეფასება. ბავშვთა საკითხების გაშუქებისას, უურნა-ლისტმა აუცილებლად თავადვე უნდა შეაფასოს, ის პროდუქტი, რომელსაც საზოგადოებისათვის ქმნის და არდაუშვას, თუნდაც გაუცნობიერებლად, ბრალი დასდოს საზოგადოებრივი ჯგუფის ბავ-შვებს, დანაშაულის ახალი ტალღის აგორებაში ან სოციალური არასტაბილურობის გამოწვევაში.

განვიხილოთ სიუჟეტები, რომლებშიც განსაკუთრებულად ჩანს ბავშვის უფლებების შელახვა და უურნალისტთა მხრიდან პროფესიული ეთიკის უგულვებელყოფის ფაქტები.

2012 წლის 20 აპრილს, გადაცემა „100 აც-ის” ურნალისტი, ნოდარ მელაძე სწორედ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, როდესაც ტელეკომპანია „იმედის” ეთერში ქართველი ემოების, როკერებისა და გოთების ცხოვრების შესახებ გადაცემა – (<http://www.youtube.com/watch?v=K8P1Ne4bWVI>) გავიდა. სწორედ ამ გადაცემამ დაადანაშაულა ზემოთ აღნიშნული სუბკულტურების წარმომადგენლები სატანიზმში. ეს იყო გადაცემა, რომლის ყურების შემდეგაც საზოგადოებაში ახალი მცდარი სტერეოტიპი გაჩნდა, რომ როკ-მუსიკა, შავი მანიკური, პირსინგი, სვირინგი და მსგავსი გამოხატულები სატანიზმის მანიშნებელია და ამ მიზეზით ბევრი ბავშვი ქუჩაში დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა.

ბავშვებს როგორც გადაცემის წამყვანი, ისე მოწვეული სხვა სტუმრები, მაგალითად მოძღვრები, სატანიზმსა და სატანისტური რიტუალების გამართვაში სდებდნენ ბრალს; „ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, სატანურია”-ამბობს მღვდელი და მოზარდებს მოუწოდებს, ჩახედონ იმ სატანურ მოძღვრებებსა და ლიტერატურას, რაც არსებობს და შეადარონ, არის თუ არა მათი ქმედებები სატანისტური; თუ მღვდელმა წინასწარ იცის, რომ მის მითითებულ ლიტერატურას ცუდი გავლენის მოახდენა შეუძლია მოზარდების ფსიქიკაზე, მაშინ რატომ აყენებს მათ ამ საფრთხისწინაშე?!

სიუჟეტს, დაწყებამდე გამაფრთხილებელი წარწერა უძლოდა – „აუცილებლად მოარიდეთ ეკრანს ბავშვები და სუსტი გულის მქონე ადამიანები.“ – ეს წარწერა არასერიოზულად ჟღერს, როდესაც უკვე ანონსიდანაც ცხადია, რომ სიუჟეტში მონაწილეები თავად არიან ბავშვები. არაპროფესიონალიზმისა და სენსაციური ამბით მანიპულირების შედეგად, დაირღვა „კანონი მაუნყებლის შესახებ (1)“ – მიუკერძოებლობის პრინციპი (თავი IV. მუხლი 15); სამართლიანი მოპყრობის პრინციპი (თავი V; მუხლი 19); თავი V; მუხლი 21, რომელშიცნათქვამია, რომთუმონანილეარის 18 წლამდეასაკის, სიუჟეტსა თუ გადაცემაში მონაწილეობის თანხმობა მიღებული უნდა იყოს მშობლისაგან, მეურვისაგან ან მზრუნველისაგან. გადაცემაში ე.წ. ფარული გადაღების დროს დარღვეული იქნა არასრულ-წლოვანთა უფლება, მოხდა რა ფარულად ჩანქრილი მოზარდის ფაქტობრივი იდენტიფიცირება – მოზარდის ხმა არ იყო შეცვლილი, კორესპონდენტმა დაასახელა რესპონდენტი გოგონასათვის დამახასიათებელი გარეგნული ნიშანი და, ასევე, გამოქვეყნდა ფოტოსურათები, რომელშიც მოზარდის ასევე მოზარდი მეგობრები არიან იდენტიფიცირებულები; გადაცემაში ახალგაზრდული სუბკულტურების გაშუქება მოხდა არასანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნაჩვენები ფოტო თუ ვიდეომასალის წარმოშობის წყაროს მითითების გარეშე; მთელი რიგი ფაქტების - მტრედებისა თუ სხვა ცხოველების დახოცვა და ასე შემდეგ, ყოველგვარი საფუძვლისა და დამამტკიცებელი მასალის გარეშე, გადაცემის ავტორებმა დაუკავშირეს ემო-ს, გოთებისა თუ სხვა სუბკულტურულ ჯგუფებს. მოახდინეს განზოგადება. ეს იყო ერთადერთი მიზნით გაკეთებული გადაცემა – „პური და სანახაობა“ და ამ სანახაობამ გაეროს მიერ მიღებული „ბავშვის უფლებათა კონვენციის (2)“ დარღვევა გამოიწვია – მუხლი – 13(გ) რომ არაფერი ვთქვათ—კანონზე მაუნყებლის შესახებ, ურნალისტური ეთიკის ქარტიასა ([http://qartia.org.ge/?page\\_id=1371](http://qartia.org.ge/?page_id=1371)) და დისკრიმინაციის შესახებ შემუშავებულ ყველა იმ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტზე (კონვენციის მე-10 მუხლი; ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მე-19 მუხლი), რომელთაც საქართველოს უზენაესი კანონი აღიარებს (3).

შემდეგი სიუჟეტი უკავშირდება „მეცხრე არხის“ ეთერში, 2013/04/20 გასულ სიუჟეტს-იშვიათი დაავადება (<http://www.tv9.ge/?m=6&id=20710>), რომელშიც მოთხოვილი იყო სამი წლის თამარ მშვიდობაძის უკურნებელი დაავადების, ლამინარული იქთიოზის შესახებ. დაავადების სიმპტომები -ყავისფერი, ქერქოვანი ლაქები სხეულსა და სახეზე. სიუჟეტში პრობლემა გამოკვეთილი იყო, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახს, რომელსაც ეს სტატუსი ჯერ-ჯერობით მინიჭებული არა ქვს, უსახსრობის გამორეგულარული მკურნალობის კურსის ჩატარებ აარ შეუძლია. არც იმ ძვირადღირებულ მედიკამენტზე მიუწვდებათ ხელი, რომელიც ბავშვისთვის აუცილებელია.

სიუჟეტში არ უნდა ეჩვენებინათ გოგონას სახე, არც მისი გახდილ მდგომარეობაში წარმოჩენა იყო საჭირო. საკითხის გაზვიადებისა და სენსაციად გადაქცევის მცდელობას ეწირება ბავშვის უფ-

ლებები, რაც კანონის დარღვევასთან ერთად არაეთიკურია და დაუშვებელია. უურნალისტებს უნდა ახსოვდეთ, „სად გადის ზღვარი თანაგრძნობასა და შეცოდებას შორის(4)“. დაავადების სიმწვავეზე წარმოდგენის შესაქმნელად ხელების ჩვენებაც საკმარისი იქნებოდა და აუცილებლობას არ წარმო-ადგენდა ბავშვის შიშველი სხეულის ჩვენება. რადგან დაავადება მემკვიდრეობით სენად შეფასდა, ამან სამომავლოდ, შესაძლოა გარკვეული პრობლემები (იგულისხმება დაოჯახება, მემკვიდრეობი-თობის გამო შიშის ფაქტორი შეიძლება იყოს გამოწვეული, რაც ცალკე ხელს უშლის საზოგადოებაში ინტეგრაციას) შეუქმნას გოგონას. ექიმი ამბობს, რომ დაავადება გონებრივსა და ფიზიკურ შესაძ-ლებლობებზე ნეგატიურ გავლენას არ ახდენს, მაშინ, როცა უურნალისტს საპირისპირო, გადაუმოწ-მებელი ინფორმაცია მოჰყავს და ამბობს, რომ ექსპერტები ამ დაავადებისათვის შეზღუდული შე-საძლებლობების მქონე სტატუსის მინიჭებაზე მუშაობენ. ეს უურნალისტის შეფასებაა, რადგან ექ-სპერტი ინტერვიუს დროს ამას არ ადასტურებს.

ასევე, „მეცხრეარხის“ საინფორმაციო გამოშვებაში, 2013/04/13, გავიდა სიუჟეტი ცხრაშვილიან დედაზე, რომელიც ბავშვებზე მეურვეობის ჩამორთმევის შესაძლო შემთხვევის წინაშე იდგა. მძიმე სოციალური პირობებისა და არასათანადო მოპყრობის გამო მოზარდები მიმღებ ოჯახებში მოხ-ვდნენ. ორი მათგანი კიკლინიკაში მკურნალობდა. მართალია, სიუჟეტის მსვლელობისას, ფოტოებზე აღბეჭდილ ბავშვებს სახე დაფარული ჰქონდათ, არც მათი მშობლები უჩვენებიათ, მაგრამ კადრში ზედმინევნით ჩანს საცხოვრებელი ადგილი და მეზობლები, რომლებიც არ არიან იდენტიფირებუ-ლები, ჰყვებიან, როგორ ჭამდნენ ბავშვები განავალს, ბალას, მინას, როგორ სასტიკად სცემდა დე-და მათ, აშიმშილებდა დ ა.შ. ცხრა ბავშვიდან რამდენიმე სკოლაში, იშვიათად, მაგრამ მაინც დადი-ოდა. მათი თანაკლასელებისათვის ადგილი ამოსაცნობი შეიძლება გახდეს საცხოვრებელი ადგილი, მეზობლები, რამაც ბავშვებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა გამოიწვიოს თანაკლასელებისგან. ამიტომ, ბავშვთა იდენტიფირების საკითხი, მცდელობის მიუხედავად, დარღვეულია. ამუფლებას საქართვე-ლოს კანონის 35-ე მუხლი იცავს-”ინფორმაცია პირის საცხოვრებელი ადგილის, ტელეფონის ფოს-ტის თუ სხვა პირადი საკონტაქტო მონაცემების შესახებ, შეიძლება გამუღავნდეს მხოლოდ საზოგა-დოებრივი ინტერესის არსებობისას“ – ამ შემთხვევაში საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი საკითხისადმი არ არის გამოკვეთილი.

“INFO9-ბ” გამოაქვეყნა სიუჟეტი (<http://www.youtube.com/watch?v=VhFvbBRTFu0>) სენაკის უნარ-შეზღუდულ ბავშვთა სახლში მიმდინარე დარღვევებზე. აღნიშნული დარღვევების შესახებ, ამ ბავ-შვთა სახლის ყოფილი მცხოვრები, ვალერი ჩირაია (სრულწლოვანი) ჰყვება. სწორედ მის ისტორიებ-სა და ბრალდებებზე დაყრდნობით მიღის უურნალისტი სენაკის ბავშვთა სახლში დაეცნობა იქაურ გარემოს. იქ მომუშავე პერსონალი უურნალისტის ხელთ არსებულ ბრალდებებსა და ინფორმაციას უარჲოფს, მაგრამ არასრულწლოვანი შშმ (შეზღუდულიშესაძლებლობებისმქონდე) სტაუტუსის მქონე ბავშვი, ღიად, იდინფიცირების გარეშე ჰყვება იმ ძალადობაზე, რომელსაც ბავშვთა სახლში მომუშავე ადამიანები ახორციელებდნენ ბ

ენეფიციარებზე. უურნალისტის კითხვა-ჩვენ რომ წავალთ, რას გიზამენ, როგორ გექცევიან? პა-სუხი: ”დღეს, რათქმაუნდა, კარგად, თქვენ რომ მოხვედით იმიტომ, თქვენ რომ წახვალთ, არ ვიცი რას გვიზამენ.“ ჩამკეტავენ -ამას რამდენჯერმე იმეორებს არასრულწლოვანი უჩა ოსეფოვი და აღ-ნიშნავს, რომ მსგავსი რამ ხშირად ხდება.

დარღვევები: ნაჩვენებია სახელი, გვარი, ხმა და სახე დაუფარავია, სიუჟეტი გადაღებულია იმ ადამიანების თანხლებით, რომლებსაც მოზარდი ძალადობრივ ფაქტებში ადანაშაულებს და ღიად უპირისპირდება, რაც იწვევს ბავშვის გაღიზიანებას და დაძაბულობას. იდენტიფიცირება აუცილე-ბელი იყო, რადგან უურნალისტთან საუბრისა და მისთვის ხელმძღვანელობისათვის არასასურველი ინფორმაციის მიწოდების გამო, ბენეფიციარზე ძალადობისა და დამსჯელი ქმედებების განხორციე-ლების რისკები გაიზარდა, ამის შესახებ თავად მოზარდი აღნიშნავს სიუჟეტში.

ტელეკომპანია ”იმედის“ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი ([http://www.youtube.com/watch?v=tsYuRF\\_u7to](http://www.youtube.com/watch?v=tsYuRF_u7to)) მკვლელობა დიღმის უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლში. 16 წლის გიორგი ჩოგოვაძემ 14 წლის ხატია მექუდიშვილი, სავარაუდოდ, ქამრით გაგუდა. დამნაშავის ფოტო, რომელიც ნათესავებთან ერთად აქვს გადაგებული, არ არის იდენტიფირებული, რა თქმა უნდა, სახელისა და გვარის დაფარვაზე არც არავის უფიქრია, მაშინ, როცა სიუჟეტში გარდაცვლილი გოგონას ცხედარს იატაკზე დაგდებულს აჩვენებენ, რომელშიც გარკვევით ჩანს ბავშვის სახე. არც იმის აუცილებლობა იყო, რომ ბავშთა სახლის სხვა არასრულნლოვანები გადაელოთ და ისეთი ნეგატიური ინფორმაციის გავრცელების დროს, როგორიც ეს შემთხვევა იყო.

31/05/12 – ”იმედი“ (<http://www.youtube.com/watch?v=z30ec12FyKY>), სიუჟეტში, მკვლელობაში ეჭვმიტანილი მოზარდი ყვება ისტორიას. მოზარდის მარიამ მანუკიანის ბრალეულობა დამტკიცებული არ არის. სახე დაფარული აქვს, მაგრამ ხმა არ არის შეცვლილი, რაც მისი მარტივად ამოცნობის საშუალებას იძლევა. გოგონას შემთხვევაში, ასევე მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმაცია (5).

მომდევნო სიუჟეტი, რომელიც ასევე ძალიან მძიმე სანახავი იყო: კახეთის სოფელ კოლაგში მომხდარ უბედურ შემთხვევას ეხება (<http://www.youtube.com/watch?v=4mNWNq0sqWw>). რვა თვის ბარბარე რაფალიანცის მკვლელობა 3 თვისმანძილზე აქტიურად შუქდებოდა. ეს მოვლენა მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში მოხდა და პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. ბავშვის მკვლელობაში დამნაშავედ ოჯახი “ნაციონალური მოძრაობის” ერთ-ერთ წევრს მიიჩნევდა. ეთერში გასულ პირველ (შემდგომ რეპორტაჟებშიც ასევე გრძელდებოდა) სიუჟეტში არ იყო დაფარული გარდაცვლილი ბავშვის სახე, დეტალურად იყო ნაჩვენები ცხედრის ქვევრიდან ამოყვანა, მშობლების ტირილი, რაც უურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევაა. ეს სხვა არაფერია თუ არა ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრა. ეთიკის ქარტია, მუხლი 10: „უურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებილი საზოგადოებრივი ინტერესი.“ რა თქმა უნდა საზოგადოების ინტერესიც დიდი იყო, მაგრამ უშუალოდ ფაქტის მიმართ და არა მშობლების გლოვის მიმართ.

ამდენად, შესწავლილ სიუჟეტებში სწორედ კონფიდენციალობა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისუფლება არ არის დაცული, რაც არღვევს არასრულნლოვნის გაშუქების სტანდარტებს დაზიანს აყენებს მას.

ბავშვთა საკითხების გაშუქების სტანდარტი უმეტესად ირლვევა მაშინ, როდესაც შუქდება არასრულნლოვნების კონკრეტული პრობლემური შემთხვევები. დარღვევას უმეტესად იწვევს სიუჟეტში ფაქტისა და კომენტარის არევა, ფაქტების შეცვლა, არასრულნლოვნების იდენტიფიკაცია და მათი პირადი ცხოვრების ხელყოფა ყოველგვარი აუცილებლობისა და საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის გარეშე. ამავე დროს, უურნალისტები ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანონ ამით თავად სიუჟეტის გმირს ან მასთან ასოციერებული ჯგუფის წევრებს. კომენტარისათვის უურნალისტები თავად ბავშვების გარდა მიმართავენ მათი ოჯახის წევრებსა და ნათესავებს, რომლებიც ასევე, ხშირად ლახავენ მათ უფლებებსკომენტარის მიცემისას დანაკლებად ფიქრობენ ბავშვისათვის მიყენებულ პოტენციურ ზიანზე. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების ჯანმრთელობასა დაგანათლებასთან დაკავშირებული თემები ყველაზე მეტი მოხვდა სატელევიზიო ახალ ამბებში, საკითხი მოკლებულია სიღრმეს და უკავშირდება მხოლოდ საგანგებო პრეზენტაციებს, სკანდალურ დაკრიმინალურ შემთხვევებს.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. კანონი მაუწყებლის შესახებ [http://www.gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=7110&info\\_id=9041](http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7110&info_id=9041)
2. “ბავშვის უფლებათა კონვენცია”, მუხლი 13 – [http://www.unicef.org/georgia/CRC\\_child\\_friendly\\_resized.pdf](http://www.unicef.org/georgia/CRC_child_friendly_resized.pdf)

3. საქართველოს უზენაესი კანონი საქართველოს კონსტიტუცია-მუხლი 7, ([http://www.idfi.ge/\\_uploaded\\_Files/konstitucia.pdf](http://www.idfi.ge/_uploaded_Files/konstitucia.pdf)).
4. ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში. სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის [http://unicef.ge/uploads/Childrens\\_Rights\\_and\\_Journalism\\_Practice - manual\\_for\\_students\\_in\\_georgian.pdf](http://unicef.ge/uploads/Childrens_Rights_and_Journalism_Practice - manual_for_students_in_georgian.pdf)
5. უდანაშაულობის პრეზუმეცია. საერთაშორისო აქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ მე-14 მუხ., მე-2 პ.
6. ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ მე-6 მუხლი (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7051>)

#### გამოყენებული საინფორმაციო მასალა:

1. <http://www.tv9.ge/?m=6&id=20710>
2. <http://www.youtube.com/watch?v=K8P1Ne4bWVI>
3. <http://www.youtube.com/watch?v=z30ec12FyKY>
4. [http://www.youtube.com/watch?v=tsYuRF\\_u7to](http://www.youtube.com/watch?v=tsYuRF_u7to)
5. <http://www.youtube.com/watch?v=VhFvbBRTFu0>
6. <http://www.youtube.com/watch?v=4mNW>

## მარიამ გაბოშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ხელმძღვანელი პროფესორი: მაკა დოლიძე

### საარჩევნო მარათონი

კაცობრიობის ისტორიაში არჩევნებსა და სააარჩევნო პროცესებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. დემოკრატიული არჩევნების ინსტიტუტი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. თითოეული ქვეყანა თავისებურად გაივლის პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ მიმავალ გზას. ამიტომ არჩევნებისა და საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის.

ხშირია შემთხვევები, როცა სახელმწიფოში არჩევნები გამოდის დემოკრატიული ფასადის, ლამაზი დეკორაციის სახით, რაც ფარავს ვიწრო ჯგუფს ან ერთი პირის მონოპოლიას ხელისუფლებაზე.

არის ისეთი შემთხვევები, როცა არჩევნებითვის მოსული პრეზიდენტი საზოგადოებისთვის იმედგაცრუების მიზეზი ხდება. დემოკრატიული გზით ჩატარებული არჩევნების შემდეგ შეიძლება კვლავ იყოს ნიჰილიზმი საზოგადოებაში, რადგან ხალხს უარესებს შორის უკეთესის არჩევა მოუწიოს. არჩეულმა კანდიდატმა კი დაკისრებულ მოვალეობას ვერ გაართვას თავი.

ხალხი შეიძლება მანიპულაციის მსხვერპლი არმოჩნდეს და პრეზიდენტად აირჩიოს დემაგოგი.

საზოგადოება ჩვეულებრივ აღიქვამს პრეზიდენტის კანდიდატის გარეგნულ სახეს, მასმედიის მიერ შექმნილ მითებს და არ შეუძლია კანდიდატის რეალური შეფასება. “ჩვენთან ძირითადი აქცენტი კეთდება პიროვნებებზე, მათ თვისებებზე, წარმოშობასა და შესაძლებლობებზე” -ვკითხულობთ ჟურნალში “თბილისელები”, (20.10.2003)

ხშირი აშემთხვევები, როცა საზოგადოება მანიპულაციის მსხვერპლი ხდება და კარგი იმიჯის შექმნის შედეგად იმარჯვებს კანდიდატი, რომელმაც საზოგადოებისათვის მისაღები იმიჯი შეიქმნა. იმიჯი იქმნება სამი მთავარი ელემენტიდან გამომდინარე: კანდიდატის რეალური თვისებები, იდეალური კანდიდატის სახე და ის იმიჯი, რომელიც შესაბამება საარჩევნო კამპანიის სტატეგიულ მიზნებს.

ამერიკელი პოლიტოლოგები, წიგნის “ამერიკული დემოკრატიის” ავტორები

(ქენეთ ჯანდა, ჯეფრიმ. ბერი, ჯერი გოლდმენი), მიიჩნევენ რომ დემოკრატიული არჩევნების ვითარებაში “მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მთავარი ფუნქციაა ხელი შეუწყოს ხალხის განხელისუფლებისათვის ინფორმაციის გადაცემას, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე.”

მედიის დანიშნულება ხომ სწორედ ისაა, რომ საზოგადოებას ობიექტური დადამაჯერებელი ინფორმაცია მიაწოდოს კანდიდატის შესახებ.

წინასაარჩევნო პრიორული საინფორმაციო საშუალებები რეკლამას უკეთებენ პრეზიდენტობის კანდიდატს, ამყარებენ კავშირს კანდიდატსა და ამომრჩეველს შორის. მედიამ უნდა შექმნას არსებული სიტუაციის ნამდვილი სახე და ამომრჩეველს შეუქმნას იმის შესაძლებლობა, რომ სამართლიანად აირჩიოს თავისი ქვეყნის პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ღირსებების განხილვისას ძირითადად

ყურადღება მახვილდებოდა მის ქარიზმატულობაზე, გამბედაობაზე, ემოციურობაზე.

თუ კენჭს იყრის ცნობილი სახე, მაშინ მასზე საზოგადოებას გარკვეული წარმოდგენა უკვე აქვს შექმნილი, ამიტომ შესაძლებელია მხოლოდ კორექტირება გაკეთდეს მიღებული იმიჯის, ან ბიოგრაფიაში ჩართული იქნეს ახალი ლეგენდები კანდიდატის შესახებ, რომელიც დადებით ზეგავლენას

მოახდენს ამომრჩეველზე. ამის კარგი მაგალითია მიხელ სააკაშვილის გამოცდილება, სხვადასხვა სატელევიზიო რეკლამები, რომლითაც უქმნიდნენ იმიჯს, „პრეზიდენტის ცრემლები“ „უშუალობა“ „თბილი პრეზიდენტი“ და ა.შ. ვინაიდან მიხელ სააკაშვილი იყო უკვე ცნობადი სახე და აღარ ესაჭიროებოდა ცნობადობის გაზრდა, ამჯერად საჭირო გახდა შეექმნათ კარგი ადამიანის იმიჯი, აგრეთვე კარგი პროფესიონალიზმის იმიჯი, ხაზს უსვამდნენ მის განათლებას, ენების ცოდნას, აგრეთვე ცდილობდნენ წარმოეჩინათ როგორც საუკეთესო ლიდერი. საინფორმაციო საშუალებები ამ თანამდებობისთვის საუკეთესო კანდიდატის სახეს ქმნიდნენ.

კანდიდატი იყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ატარებს წინასაარჩევნო კამპანიას, ამომრჩეველს აცნობს პროგრამებს, ინფორმაცის აწვდის ამომრჩეველს, გავლენას ახდენს მისი პოზიციის ჩამოყალიბებაზე.

მკვლევარები ბეჭდურ მედიას, რომელიც აშუქებს წინასაარჩევნო კამპანიას ოთხ კატეგორიად ჰყოფენ:

1. გაზეთები, რომელიც არჩევნების წინ ბიუჯეტიდან ფინანსდებიან.
2. გაზეთები, რომელთაც არ აქვთ პოლიტიკური ორიენტაცია (ყვითელი პრესა)
3. რეგისტრირებული პოლიტიკური პირების მიერ დაარსებული ბეჭდური ორგანოები
4. თავისუფალი გაზეთები.

პროფესორი მ. აფეტოლივი მიიჩნევს, რომ მთავარი დატვირთვა პირველი კატეგორიის გაზეთებზე მოდის.

ოპოზიცია პირდაპირ სდებდა ბრალს ზვიად გამსახურდიას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უზურპაციაში: „, ხელისუფლებამ ყველა მთავარი გაზეთი ჩაიგდო ხელში და ოპოზიციას მხოლოდ რამდენი მემცირეტირაჟიანი კვირეული გამოცემა დარჩა, რითაც განსხვავებული აზრი ფაქტიურად აიკრძალა.“

პრესისა და დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით 2000 წელს ჩეტარებული საპრეზიდენტო არჩევნები მაღლა აღმოჩნდა ხელისუფლებაზე, მედია ცდილობდა, აესახა რეალური სურათი. საარჩევნო კამპანიის დამთავრებისთანავე პრესამ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა აქტიურად დაიწყეს საუბარი არა მხოლოდ არჩევნების შედეგების გაყალბებაზე, არამედ, შეტევა პრეზიდენტზე (ძირითადად, „ალიამ“ და „რეზონანსმა“) და ფონის შექმნა მისი დისკრედიტაციისათვის. რაც შეეხება 2004 წელს საპრეზიდენტო არჩევნების დროს მედიაში არსებულ სიტუაციას, არჩევნები საერთაშორისო ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა სამაგალითოდ მიიჩნია, თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობს, იმდროს ასარჩევი არც არაფერი იყო, რადგან რევოლუციის პერიოდში ოპოზიციურ იაზრი გაქრა.

როგორც ვხედავთ, არჩევნები და ამომრჩევლის დამოუკიდებლობის ფაქტორი ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია. ამ ფონზე პასუხისმგებლობა და როლი მედიისა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ელექტორალურ არჩევანზე, უაღრესად მნიშვნელოვანია.

## გორგოძე სალომე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო ჭალაგანიძე

### ჰავშვთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხების გაშუქვა ეართულ მედიაში

ბავშვთა ჯანმრთელობასთან და სოციალურ დაცვასთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტები, შეიძლება ითქვას, იმ სენსაციურ თემათა რიგს განეკუთვნება, რომელსაც არასოდეს ტოვებს მედია უყურადღებოდ. როგორც სახელმძღვანელოში<sup>1</sup> ვკითხულობთ ბავშვები მედიის ყურადღების ცენტრში ძირითადად რაიმე ნეგატიური ან დრამატული მოვლენის შედეგად ხვდებიან. ამ საკითხის არასწორად გაშუქება კი გავლენას ახდენს, ერთი მხრივ ბავშვზე, მეორე მხრივ აუდიტორიაზე. უურნალისტი ცდილობს აღნეროს რაც შეიძლება „მძიმე“ და „საშინელი“ ისტორია და აუდიტორიას მიაწოდოს „სენსაციური მასალა“, რაც თავის მხრივ ამძიმებს ამბის ხარისხს.

ბავშვთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის გაშუქება უურნალისტისგან სათანადო ეთიკურ-სამათებლივი საკითხების ცოდნას მოითხოვს, რადგან შემცირდეს რისკი იმისა, რომ ამ სიუჟეტით ბავშვს ზიანი მიადგება.

კვლევის მიზანს წაროადგენს იმისი ჩვენება, თუ როგორ შუქდება ქართულ მედიაში ბავშვთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის თემა, რამდენად იცავენ უურნალისტები პროფესიულ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს.

კვლევის ჰიპოთეზა: თანამედროვე ქართული ბეჭდური და ონლაინ მედია არცთუ იშვიათად პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევით აშუქებს ბავშვთა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის თემატიკას.

აღნიშნული თემის გაზრდებისათვის და საკითხთან დაკავშირებით არსებული პრობლემების უკეთ წარმოჩენისათვის დავამუშავეთ შემდეგი ლიტერატურა: დელფორიმ. დენისიე, „მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის“ (თბილისი, 2009). წიგნი თანამედროვე რეალობაში მასობრივი კომუნიკაციის როლსა და მნიშვნელობას ასახავს. ასევე, კლოდ ჟანბერტნარი „მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები“ (2004). „ბავშვის უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა“, (თბილისი 2011წ.) ასევე, „ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში“ (სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, თბილისი, 2008წ.) წარმოდგენილი მაგალითების ეთიკის ნორმების ჭრილში განხილვისას, დავეყრდენით წიგნს: „საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტია“ (თბილისი, 2010წ.) დამატებით გავეცანით 2008 წელს ჩატარებულ კვლევას, სახელწოდებით: „ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედია ეთიკა საქართველოში--სიტუაციური ანალიზი“ (2008წ.)

საკვლევი პერიოდი მოიცავს 2013 წლის იანვარი-მარტის მონაკვეთს. საკვლევი მასალა: პრესის სამი გამოცემის („კვირის პალიტრა“, „კვირის ქრონიკა“, „ალია“) ასევე ონლაინ მედიის: („ამბები.გე“, „პრესა.გე“, „droni.gekk“) ამ პერიოდში გამოქვეყნებული სტატიები ბავშვთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესახებ.

კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ კონტენტ ანალიზი. თვისებრივი მონიტორინგის შედეგად გავანალიზეთ სტატიები პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების ჭრილში.

<sup>1</sup> „ბავშვთა უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა თბილისი 2011 გვ.35-36.

რაც შეეხება თვისებრივ მხარეს: საანგარიშო პერიოდში ბავშვთა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის თემაზე მოკვლეულია 26 სტატია, ამათგან 16 პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დარღვევით.

თვისებრივი მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა დარღვევათა შემდეგი ტიპები:

- **გაზვიადება, მკითხველის გრძნობებზე გათვილილი ტექსტი.**

ონლაინ მედია, ambebi.ge, გამოქვეყნდა სტატიასათაურით: “გოგიტა აბაშიძის ოჯახს ოთხი წლის წინ ახალშობილი გოგონაც დაეღუპა”<sup>1</sup> სტატიაში ინტერვიუა ბავშვის მშობლებთან. სტატიის დასაწყისი პათეტიკურია, გულისამაჩუყებელი და მკითხველის გრძნობებზე გათვლილი, რაც აკნინებს ნაშრომის როგორც უურნალისტური ტექსტის ღირებულებას: “24 მარტს 3 საათი სრულდებოდა, როცა ახალგაზრდა ქალის სულისშემძვრელი „იავნანა“ გაისმა. შვილის ცხედარზე დამხობილმა დედამ შიმშილით გარდაცვლილ გოგიტას ტირილნარევი ხმით უკანასკნელად უმდერა.”

- **ფაქტისა და კომენტარის აღრევა.**

ონლაინ მედია, ambebi.ge, გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ ტრაგედია უგმიროდ-შიმშილით გარდაცვლილი ერთი წლის გოგიტას მამის აღსარება”<sup>2</sup> სათაური ზედმეტად პათეტიკურია. სტატიას ვკითხულობთ და იქ არანაირი „აღსარება“ არ არის, უბრალო ინტერვიუა აბაშიძის მშობელთან. მეორე მხრივ, სტატიაში გვხვდება ფაქტისა და კომენტარის აღრევა. უურნალისტი პირდაპირ აფასებს მომხდარს და სუბიექტური აზრის დაფიქსირებას არ ერიდება: „ასეთია ის შემზარავი რეალობა, რომლის მიხედვით ჩვენს ქვეყანაში ბავშვები შიმშილით იხოცებიანლთუ ასეთი ტრაგიკული მოვლენებიც არ დაგვაფიქრებს სადამდე მივყავართ გულგრილობას, მაშინ ჩვენი საშველი აღარ ყოფილა“.

- **სკანდალური სათაურები**

გაზეთი „კვირის ქრონიკა“, დაიბეჭდა სტატია სათაურით: “ვინ მოკლა ერთი წლის გოგიტა აბაშიძე”<sup>3</sup>სათაური სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევს მომხდარს, აქცენტი იმაზე რომ ვიღაც ბავშვის მკვლელია, უურნალისტის შეფასებაა და რეალურ ფაქტს არ წარმოადგენს. ბავშვი შიმშილით გარდაიცვალა, უურნალისტს უფლება არ აქვს ვინმე ღიად დაადანაშაულოს ამაში. აქვე ვხვდებით ფაქტისა და კომენტარის აღრევას, სადაც უურნალისტი არ ერიდება საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს: „სააკაშვილს მაშინ რატომ არ გახსენებია მშიერი ბავშვები, როცა მილანში საყიდლებზე გარბოდა, როცა ქალაქი ლვარცოფს მიჰეონდა? რა, არ იცოდა პრეზიდენტმა რა ხდებოდა ქვეყანაში?“

- **ბავშვის ფოტოების დაბეჭდვა.**

გაზეთი „კვირის პალიტრა“, დაიბეჭდა სტატია სათაურით: „ეს „ჩვილი“ 28 წლის ქალია!“<sup>4</sup> სტატიიში მოთხოვნილია მარტოხელა დედის ტრაგიკული ისტორია, რომელიც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე შვილს, 28 წელია უვლის. დაბეჭდილია ძალიან მძიმე ფოტოები, მათ გარეშეც ამბავი ძალიან მძიმეა, ამიტომ მათი ჩვენებით დამატებით ინფორმაციას ვერ ვიღებთ. მათში გარკვევით სჩანს ბავშვის სახე და სხეული.

- **სტერეოტიპების შექმნა.**

ომლაინ მედია, ambebi.ge, გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ღორის გრიპის ვაქცინამ ბავშვები ზომბებად აქცია“<sup>5</sup> სათაური სკანდალურია და როგორც სტატიის წაკითხვის შემდეგ ვარკვევთ, უსაფუძვლოდ გაზვიადებული. ვგებულობთ, რომ ბრიტანეთში ღორის გრიპის ვაქცინამ ბავშვებში ძილის დარღვევა გამოიწვია, „ბავშვთა ჯგუფს იშვიათი დაავადება – ნიკოლეფსია აღმოაჩნდათ, რომლის გა-

<sup>1</sup> ambebi.ge/29.03.2013, დანართი 1

<sup>2</sup> ambebi.ge/23.03.2013, დანართი 2

<sup>3</sup> „კვირის ქრონიკა“ 12. 25-31 მარტი

<sup>4</sup> კვირის პალიტრა 5 23 იანვარი-3თებერვალი

<sup>5</sup> ambebi.ge, დანართი 3

მოც პატარებს შეუძლიათ 19 საათი იძინონ“ . თავის მხრივ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ვაქცინამ რეაქცია გამოიწვიოს, მით უმეტეს, სტატიიდან ვგებულობთ, რომ ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 11 ბავშვი დაზარალდა. ამ სათაურის სტატიას კი შეუძლია მშობლებში ეჭვი გააჩინოს, იმის შესახებ, თუ რამდენად სანდოა ვაქცინა. წარმოშვას ან გაამყაროს სტერეოტიპი იმისა, რომ ვაქცინა შესაძლოა სახითათო აღმოჩნდეს.

საინტერესო იქნება, აქვე განვიხილოთ 2008 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის ეგიდით ჩატარებული კვლევა სახელწოდებით: „ ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედია ეთიკა საქართველოში-სიტუაციური ანალიზი“.<sup>1</sup> კვლევა მიმოიხილავს საქართველოში არსებული მედია ეთიკის კოდექსებსა და მედიის თვითრეგულირების მექანიზმებს ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით და ასახავს ქართული მედიის სამთვიანი მონიტორინგის შედეგს იმის თაობაზე, თუ რამდენად იცავს მედია ბავშვთა უფლებებს ბავშვთა საკითხების გაშუქებისას.

როგორც კვლევის მიგნებები ცხადყოფს, ქართულ მედიაში ხშირია იმგვარი სტატიები, სადაც არ არის გამიჯნული ფაქტი და კომენტარი, ფიგურირებს დაუზუსტებელი და გადაუმონმებელი ინფორმაცია. ბავშვებზე საუბრისას უურნალისტები არ ერიდებიან განზოგადებას, რაც თავისთავად ხელს უწყობს სტერეოტიპებს. გარდა ამისა, ნაკლებად ხდება პრობლემის დეტალური ანალიზი და ინფორმაცია რამდენიმე წყაროს საფუძველზე შუქდება.

რა იგულისხმება ჯანდაცვის ამბებში? როგორც სახელმძღვანელოში<sup>2</sup> ვკითხულობთ, ეს საკითხი ჯანდაცვის სფეროში არსებულ მრავალრიცხოვან პრობლემას მოიაზრებს. ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა კი, უდავოა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში. ამ სისტემის ეფექტურობა კი გაზომვადი კრიტერიუმებით ფასდება, მაგალითად: ორსულთა და მშობიარეთა სიკვდილიანობა, შობადობის და მკვდრად შობადობის დონე, 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

ბავშვებს უფლება აქვთ მიიღონ სპეციალური დაცვა, რათა განვითარების ამ საფეხურზე, ისარგებლონ ამ უფლებებით. კარგ ჯანმრთელობაზე ბავშვის უფლების დაცვა მოიცავს პრევენციულ მზრუნველობას და განათლებას ჯანდაცვის საკითხებზე, ასევე შეურაცყოფისა და ექსპლუატაციისაგან დაცვას და შემდგომ რეაბილიტაციას. ამდენად ამბავი მეტად ფართო და მრავლისმთქმელია, რაც უურნალისტისგან ცოდნას მოითხოვს.

ქართულ მედიაში ჯანდაცვის საკითხების გაშუქებისას, მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ საკითხის მიმართ ზერელე დამოკიდებულობაში მდგომარეობს, რაც სწორად გაშუქების შემთხვევაში, მკითხველსა თუ მაყურებელს საშუალებას მისცემდა თავად მიეღო გადაწყვეტილიება და გაეკეთებინა არჩევანი, მაგალითად აცრას თუ არა შვილი ახალი ვაქცინით, ან მიიღოს თუ არა რაიმე ზომები, როცა მისი შვილი შიდცით ან ტუპერკულოზით დაავადებულ თანატოლს ეთამაშება.

ხარისხიანი უურნალისტიკური ნაშრომი სწორედ ამ არჩევანის თავისუფლებას აძლევს საზოგადოებას.

შესაძლოა უამრავი ადამიანი იყოს მძიმედ დაავადებული, თუმცაუ ეს ავადმყოფი ბავშვია, ეს ხშირად საკმარისია შემთხვევა მედიაში გააშუქოს. ამით მედია ქმნის სტერეოტიპებს, რომ ბავშვი მსხვერპლია ან „ქველმოქმედების ობიექტი“ . ხშირად ინტერესდებიან უურნალისტები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების თემით, რადგან საკითხი მგრძნობიარეა და მას ბევრი პოტენციური მკითხველი ეყოლება.

ბავშვთა საკითხების გაშუქება უურნალისტისაგან სათანადო ცოდნასა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვას მოითხოვს. ნებისმიერმა სიტყვამ თუ ფრაზამ შესაძლოა მთლიანად განსაზღ-

<sup>1</sup> ბავშვის უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, თბილისი 2011, გვ. 55

<sup>2</sup> ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში, თბილისი, 2008, გვ. 14-15

ვროს ბავშვის შემდგომი ცხოვრება. ამიტომ ბავშვზე საუბრისას უდიდესი სიფრთხილე და პროფესიონალიზმია საჭირო.

უდავოა, რომ მედიას საზოგადოებაზე დიდი გავლენა აქვს. „შეუძლებელია სრულიად გავიაზროთ თანამედროვე ცხოვრებაში მასობრივი კომუნიკაციის როლის მნიშვნელობა თუ არ ვაღიარებთ, რომ ჩვენი მედია საზოგადოებისა და თითოეული ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია... ამიტომ ყოველგვარი მსჯელობა უნდა დავიწყოთ იმის აღიარებით, რომ ჩვენ ძალიან ვართ დამოკიდებული მის არსებობასა და შინაარსზე.“<sup>1</sup>

ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე უურნალისტთა საქმიანობა შეიძლება ითქვას ორმაგი ჩარჩოთი იზღუდება: ეთიკა და პროფესიული სტანდარტები. „ეთიკა გულისხმობს დაუნერელ წესებს, რაც წარმოადგენს კონსესუსს იმის თაობაზე, თუ რა ქმედებაა მისაღები და რა მიუღებელი. როგორი ქმედების გამო შეიძლება გარიყონ უურნალისტი კოლეგებმა პროფესიოდან.“<sup>2</sup>

„უურნალისტური ეთიკის ქარტიაში“<sup>3</sup> ვკითხულობთ, მუხლი 8: „უურნალისტი ვალდებულია დაიცვას ბავშვის უფლებები. პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვის შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათვის. უურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლებ ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე, იმ იმ საკითხებზე რომლებიც მისი ან სხვა მოზარდის კეთილდღეობას ეხება“.

რაც შეეხება პროფესიულ სტანდარტებს, ბავშვთა საკითხების გაშუქებისას, უურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმძღვანელო მითითებების<sup>4</sup>თანახმად:

- ბავშვის საკითხების გაშუქებისას, უურნალისტებმა ძლისხმევა არ უნდა დაიშურონ სიზუსტისა და კორექტულობის დასაცავად.
- მოერიდონ პუბლიკაციებისათვის პოპულარობის მოპოვების მიზნით ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების სენსაციურ და სტერეოტიპულ გაშუქებას.
- ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი მასალის გამოქვეყნებისას საგულდაგულოდ აწონდანონ შესაძლო შედეგები და მინიმუმამდე დაიყვანონ ზიანის ფაქტორი.
- თუ ამას საზოგადოებრივი ინტერესი არ მოითხოვს, დაიცვან ბავშვის ვინაობა და არ გამოაქვეყნონ მისი ფოტოები.

ამდენად, პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების მიხედვით გაანალიზებულმა მასალებმა ცხადყო, რომ მართებულია ჰიპოთეზა: თანამედროვე ქართული ბეჭდური და ონლაინ მედია არცთუ იშვიათად პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევით აშუქებს ბავშვთა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის თემატიკას.

კვლევის მიგნებები:

1. ფაქტის და კომენტარის ალრევა- ბავშვთა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის თემების გასუქებისას, გამოვლინდა ტენდენცია, რომ უურნალისტები არ ერიდებიან ღიად გამოხატონ სუბიექტური აზრი, რომელიც არგუმენტებით არაა გამყარებული.
2. მგრძნობიარე თემით მანიპულირება- გულისამაჩუყებელი ისტორიებით მკითხველის გრძნობებზე თამაში.
3. სკანდალური სათაურები-სათაური რომელიც არ გამოხატავს სტატიაში არსებული ამბის აზრს, არამედ მკითხველის მოსაზიდადა გაზვიადებული. მეორე მხრივ, მათ შეიძლება არასწორი დასკვნების გაკეთებისაკენ უბიძგოს აუდიტორიას.

<sup>1</sup> დეფლორიმ. დენისიე. მასობრივიკომუნიკაციისგააზრებისთვის, თბილისი, 2009

<sup>2</sup> ბერტრანიუ. კ. მედიაეთიკადანგარიშვალდებულებებისსისტემები, თბილისი 2004გვ. 36-37

<sup>3</sup> საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტია, თბილისი, 2010

<sup>4</sup> ბავშვის უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა- უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, 2011, გვ. 53

4. ბავშვის ფოტოების დაპეჭდვა-ყველა სტატიაში გვხვდება ბავშვის ფოტო, იშვიათია მათი სახის დაფარვა, მაშინაც კი, როცა საზოგადოებრივი ინტერესი ნაკლებია.

5. თემის პოლიტიზირება-განხილულ სტატიებში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ბავშვები ჯან-დაცვის და სოციალური დაცვის თემა ხშირად პოლიტიკურ ქრილში აწარმოდგენილი.

6. ზედაპირული მასალები-წარმოდგენილ საკვლევ მასალაში არ ვხვდებით ანალიზურ სტატიებს, სადაც იქნებოდა პრობლემის საფუძვლიანი განხილვა.

წარმოდგენილმა დარღვევებმა ცხადყო, რომ არსებული მცირე რაოდენობის მასალებშიც კი ვხვდებით პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების უხეშად დარღვევის ფაქტებს.

შესაბამისად, რეკომენდაციები შემდეგია:

უურნალისტებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ბავშვთა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის თემების სწორად გაშუქებას.

ყველა უურნალისტის მოვალეობაა პროფესიული სტანდარტების დაცვა.

უურნალისტურ ტექსტებში საჭიროა ეთიკური ნორმების გათვალისწინება.

რაც თავის მხრივ გამორიცხავს ფაქტისა და კომენტარის აღრევას, ბავშვთა გულისამაჩუყებელი თემებით მანიპულირებას, სკანდალურ, არაფრისმთქმელ სათაურებსა და გარდაცვლილი თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ფოტოების გამოქვეყნებას.

## ბიბლიოგრაფია:

1. ბავშვთა უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა- უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა თბილისი 2011
2. ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში თბილისი 2008
3. დეფლორი, დენისი 2009. დელფორი ე. დენისი მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის თბილისი 2009
4. ბერტრანი 2004 უ.კ. ბერტრანი მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები თბილისი 2004
5. საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტია თბილისი 2010

**ხვიჩა კონცელიძე თორნიკე ზეგიძე  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი**

## თანამედროვე ქართული მაღის ეთიკური პრობლემები

ეთიკური პრობლემები თანამედროვე ქართულ მედის მტკინეულ წერტილს კვლავ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მედია, წინა ათწლეულებთან შედარებით, უფრო დამოუკიდებელი გახდა, ამ ფაქტს, დადებით შედეგებთან ერთად, უარყოფითი ცვლილებებიც მოყვა. გარდაქმნას, საჯაროობასა და ინფორმაციის პლურალიზაციას ადგილიბრივმა მოსახლეობამ არც მთლად ადეკვატურად აუბა მხარი, ბევრისთვის კი ის სულაც ილუზიური გამოდგა. შედეგად: არსებული სატელევიზიო თუ რადიო მრავალარხიანობა, პრესის ფართო არჩევანი, რომ აღარაფერი ვთქვათ ახალ მედიაზე, რომელიც საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, უზრნალისტური პროდუქტი დღესაც ვერ აკმაყოფილებს განსხვავებული აზრის მქონე რეციპიენტთა მოთხოვნებს. გამოკითხვის შედეგები კი გვიჩვენებს, რომ სრული სანდოობით არცერთი მედიასაშუალება არ სარგებლობს.

აუდიტორიის სანდოობის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის დაკმაყოფილებაა საჭირო, უპირველესად, ესაა გადამოწმებული ინფორმაციის გადაცემა. (გავიხსენოთ ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუნიშვნებლობის BBC-ს უმნიშვნელოვანესი პრინციპი: გამოსავეყნებელ მასალას, სულ მცირე, სამი წყარო უნდა ადასტურებდეს). მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი პოლარიზების პრინციპია — ჩვენი კვლევისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი: ფაქტის მრავალმხრივი გაშუქება, რაც ობიექტურობის შენარჩუნებას უწყობს ხელს და მესამე, აუდიტორიამ უნდა მიიღოს გაწონასწორებული, კორექტული მასალა, რომელიც არცერთი, თუნდაც დანაშაულში ეჭვმიტანილი ან, კიდევ მეტი, დამნაშავედ ცნობილი ადამიანის ღირსებას არ ხელყოფს, არავის შეურაცხოფს.

ჩამოთვლილი პარამეტრები ძალიან ხშირად ირღვევა ქართულ ბეჭდურ, სამაუნიშვნებლო და ელექტრონულ მედიაში. სწორედ მინუსის ნიშნის მქონე მაგალითებია ჩვენი კვლევის საგანიცა და საფუძველიც. კვლევის აქტუალობას კი არსებული რეალობის უარყოფითი მაგალითების ხაზგასმითა და წინ წამოწევით, ოპტიმიზაციის გზების ძიება წარმოადგენს.

სანამ ეთიკურ მორალურ ბალანსა თუ დისბალანსზე ვისაუბრებდეთ, რამდენიმე სიტყვით ავსნით, თუ როგორ ვხედავთ ჯანსაღ მედია კლიმატს: ესაა ვითარება, როდესაც საპირისპირო შეხედულებებისა და ინტერესების ადამიანები აღიარებენ ერთმანეთის უფლებას იყვნენ განსხვავებულები, პატივს სცემენ ურთიერთს და შეთანხმებული (ხშირად, დაუნერელი) წესების მიხედვით ცდილობენ, მოაგვარონ საკამათო პრობლემები. ჯერჯერობით, ეს პრინციპი კავკასიასა და, კონკრეტულად, საქართველოში მცხოვრები ადამიანების დიდი ნაწილისათვის და განსაკუთრებით იმათვის, ვინც პოლიტიკური ცხოვრების დინამიკას განსაზღვრავს, რომელად მისაღწევია.

**კვლევის ფარგლებში აქტიურად ვეცნობდით არამხოლოდ გამოქვეყნებულსა და გაშუქებულ მასალებს, არამედ მასმედიის შიდა სამზარეულოს. ვაწარმოეთ რეციპიენტთა გამოკითხვა: გამოკითხულთა აზრით, რომელია მიკერძოებული მედია საშუალებები და რომელი არხი/გაზეთი/საგენტო შეიძლება მოვიაზროთ შედარებით თავისუფალ მედიასაშუალებად.**

გამოკითხვის თანახმად, რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი გამოიკვეთა:

ა) ბოლო წლებში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება მეორეხარისხოვანი გახდა;

ბ) თავისთავად ის ფაქტი, რომ სულ თუ არ გაქრა, ცენზურა შემცირდა მაინც, სასიხარულოა, თუმცა მედიასაშუალებათა მფლობელებმა ესეც სათავისოდ აღიქვეს, კანონი საკუთარ სურვილებს მოარეს და ცენზურის გაქრობა, პირდაპირი მნიშვნელობით, უცენზურობის პროპაგანდად აქციეს.

გ) თანამედროვე ქართული მედიის კიდევ ერთ აქტუალურ პრობლემას ადამიანის ღისების შეღახვა წარმოადგენს.

განსაკუთრებით ხშირად ზემოჩამოთვლილი პრობლემები ე.წ. ყვითელ მედიაში იჩენს თავს, რომელიც საქართველოში საკმაოდაა ფეხმოკიდებულიცა და გავრცელებულიც. მეტიც, თანამედროვე პრესამ, ზოგადად მედიამ, ჩაანაცვლა ყველაფერი, მათ შორის კულტურაც და თავისთავზე აიღო კრიტიკის ფუნქციაც. იმას, რასაც უნდა აკეთებდეს პროფესიონალი კრიტიკოსი, აკეთებს “ყვითელი კრიტიკანი”. (ჟურნ. „ცხელი შოკოლადი“, 1 მარტი, 2007, გვ. 2) დღევანდელ პრესაში იერარქია აღარ არსებობს. ყვითელი პრესის ელემენტები მეტ-ნაკლებად ყველას ახასიათებს, ნორმები და თამაშის წესები არცერთ სფეროშია დადგენილი. ინგლისში ასეთი გამოთქმაა - “ეს რომ გავაკეთო, ოქ-სფორდში ხელს არ ჩამომართმევენ”, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პროფესორს რამე შეეშალა, მას საზოგადოება გარიყავს. ასეთ ქვეყნებში არსებობენ ძლიერი საზოგადოებები, რომელთაც ჩვენგან განსხვავებით, აქვთ არა ორმაგი მორალი, არამედ ღირებულებები და ფასეულობები, ისინი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ადგენენ საკუთარი თამაშის წესებს.

მივუახლოვდით მთავარ სათქმელს: მორალურად გამართული, ეთიკური და პლურალისტური მედიის ასპარეზი სამოქალაქო საზოგადოებაა, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს სხვადასხვა ინტერესებისა და ღირებულებების მატარებელი ჯგუფების კომფორტული თანაარსებობა, მისი უპირველესი ხელისშემწყობი კი ხელისუფლება და ე.წ. მეოთხე ხელისუფლება, იგივე პრესაა, რომელიც, ამასთანავე, ინფორმაციის საჯაროობასაც უზრუნველყოფენ.

მეტად საინტერესო მონიტორინგი ჩაატარა საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტიამ, რითაც კიდევ ერთხელ ცხადყო ის ძირითადი ეთიკური პრობლემები, რომლებიც თანამედროვე ქართულ მედიაში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ესენია: დაუბალანსებლობა, ფაქტისა და კომენტარის ერთმანეთში აღრევა, წამყვანთა მიკერძოებული დამოკიდებულება და პოლიტიკური სუბიექტებისათვის დროის არათანაბარი განაწილება.

ქართულ მედიაში გავრცელებულ ეთიკური დარღვევებს შორის ყველაზე ხშირია შემდეგი სახის ხარვეზები: სამეტყველო ენის უცოდნრობის გამო დაშვებული შეცდომები, ტერმინოლოგიის, სახელ-გავრების არასწორად გამოთქმა;

ეთერში დაზარალებულთა მძიმე კადრების, დაავადებულთა, სისხლის ან მიცვალებულთა ჩვენება; ოპონენტთა მიერ ერთმანეთის ეთერში შეურაცხყოფა, პრესაში უცენზურო დებატების გაშუქება.

ახლა კი განვიხილოთ რამოდენიმე ფაქტი, რომლებიც კარგად ასახავს თანამედროვე ქართულ მედიაში არსებულ ეთიკურ პრობლემატიკას.

რამდენიმე კვირის ნინ ქართულ მედიაში გააშუქეს გაუპატიურების ფაქტი. ერთი შეხედვით, მასალა აღიარებული ნორმების დაიცვით გაშუქდა: გოგონას სახე დაფარული იყო, თუმცა მორბენალ სტრიქონზე დაზარალებულის სახელ-გვარი გამოაქვეყნეს. რა მნიშვნელობა აქვს იდენტიფიცირების ნაწილობრივ დაფარვას, ეს, აღბათ, მლმხოოდ სიუჟეტის ავტორნა იცის.

ცოტადენი ხნის ნინ მსოფლიო შეძრა ციხის კადრებმა: ტელეკომპანია „მაესტრომ“ დაზარალებული და ჩაგრული პატიმრების სახეები ეთერში დაუფარავად გაუშვა. იგივე ხდებოდა ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა – „მოამბეში“ გასულ სიუჟეტებსა და გაზეთ „აღიაშიც“. ხშირი იყო უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის შემთხვევები. „მოამბეს“ უურნალისტებმა რამდენჯერმე დაარღვიერ პროფესიული ეთიკა და კრიმინალური შემთხვევების ამ-სახველ სიუჟეტებში მოახდინეს მოზარდი რესპონდენტების იდენტიფიკაცია.

ეთიკური ნორმები დაარღვია საქართველოში ყველაზე დიდი აუდიტორიის მქონე მედიასაშუალება – „იმედმაც“, როცა ნოდარ მელაძის სავტორო გადაცემაში ემოების შესახებ დაუფარავად აჩვენებდნენ ზიზლისა და შიშის მომგვრელ კადრებს.

დემოკრატიული ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა შესაბამისი სამართლებრივი და რეალური ბაზის უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელს გახდის საწინააღმდეგო აზრის მქონე ადამიანების მრგვალ მაგიდასთან შემოკრებასა და ოპონირების რეჟიმში მშვიდ და ეფექტურ მუშაობას.

ამიტომაც, შევეცდებით ოპტიმისტურ ნოტაზე დავასრულოთ ნაშრომი და საინტერესო სტატისტიკა წარმოგიდგინოთ, რომელიც თვალსაჩინოდ ასახავს საქართველოს მოსახლეობის განწყობას მედიის მიმართ.

კომპანია CRRC -ის კვლევის მიხედვით, ამიერკავკასიაში მედიის მიმართ ნდობის თვალსაზრისით მაინც საქართველო ლიდერობს: საქართველოში გამოკითხული რესპონდენტების 47% ნაწილობრივ ან სრულად ენდობა მედიას. შედარებისათვის, აზერბაიჯანში 43% ენდობა მედიას, ხოლო სომხეთში -39% {CRRC Data Initiative 2008}.

მიუხედავად იმ პრობლემების, რომელთა ნინაშეც ქართული მედია დგას, ქართველების 64% ნაწილობრივ მაინც ენდობა უურნალისტებს. 60%დზე მეტი მოინონებდა თავისი შვილის არჩევანს, თუ ის უურნალისტობას მოინდომებდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის უმეტესობა ფრთხილი ოპტიმიზმით უყურებს ქართული მედიის მომავალს.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. 6. ჭალაგანიძე კავკასიის საინფორმაციო ველი ქართული მედიის მაგალითზე (2009 წ. მაისი სექტემბერი) გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომათა კრებული; 2005 წ.
2. <http://netgazeti.ge/GE/105/News/12814/>
3. ეთიკის ქარტია

## ხატია ცარციძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ზვიად მიმინოშვილი

### ლირეპულებები და იდეოლოგიები მაღიდის ესთეტიკაში

მასმედიის ერთ-ერთი ფუნქცია გართობა დ რეკრეაციული ფუნქცია. ეს დასვენებას, ადამიანის მიერ შრომის პროცესში დახარჯული ძალების აღდგენას ნიშნავს.

მაყურებლის გართობა კი ყველაზე მეტად კომედიური ჟანრის გადაცემებითაა შესაძლებელი. ვიდრე ამ ჟანრის კონკრეტულ მაგალითს განვიხილავთ, გავსაზღვროთ იუმორის მნიშვნელობა, ძალმოსილება და მისი გავლენა საზოგადოებაზე.

კომედია ესთეტიკის სფეროს განეკუთვნება. თუმცა, ისე როგორც ყველაფრის, მისი დეფინიციის დროსაც დილემის წინაშე ვდგებით. ბენედეტო კროჩეს თქმით: „კომედიის განსაზღვრისას ყველაზე კომიკური და სასარგებლო ისაა, რომ ყველა მისი განმმარტებელი თანაგრძნობას იწვევს.“

კომიზმის ძირითადი ტიპებია იუმორი და სატირა. თუმცა სიცილის სპექტრის მთელი რიგი არსებობს. დაცინვა (ეზოპე), კარნავალური ხარხარი (რაბლე), სარკაზმი (სვიფტი), ნატიფი ირონია (ერაზმ როტარდამელი), მკაცრი სატირა (მოლიერი), ბრძნული და ბოროტი ღიმილი (ბოლტერი), ხალასი იუმორი (ბერანჟე), კარიკატურა (დომე), მძვინვარე გროტესკი (გოია), რომანტიკული ირონია (ჰეინე), სკეპტიკური ირონია (ფრანსი), მხიარული იუმორი (ტვენი), ინტელექტუალური ირონია (შოუ), ცრემლნარევი (მწარე) სიცილი (კლდიაშვილი), გულთბილი იუმორი (დუმბაძე), სევდიანი, ლირიული იუმორი (ჩეხოვი) და სხვ...

კარნავალური სიცილი დ ყველა ჩართულია და არავის გამორჩევა არ ხდება, სატირული სიცილი დ სინამდვილის მხატვრული ასახვის ისეთი ფორმა, როდესაც გამანადგურებელი სიცილით ამხილებენ ასახულის უარყოფით, მანკიერ ბუნებას. სატირა სიცილით ამხილებს, ბოლომდე „აშიშვლებს“ თავის ობიექტს, ააშკარავებს შეუთავსებლობას გარეგან და შინაგან მხარეებს შორის, ფორმასა და შინაარსას შორის. სატირისთვის დამახასიათებელია პუბლიცისტურობა, ავტორისეული ტენდენციურობა და გადაულახავი ზღვარი ავტორისეულ იდეურ სამყაროსა და მხილების ობიექტს შორის, ხოლო მისი ესთეტიკური ამოცანაა გამოიწვიოს და გამოაცოცხლოს გახსენება მშვენიერისა, რასაც შეურაცხყოფს მხილების ობიექტი თავისი მანკიერი არსით. სატირის აქტუალობა დამოკიდებულია ისტორიულ, გეოგრაფიულ და სოციალურ ფაქტორებზე. რამდენადაც უფრო ზოგადსაკაცობრიოა იდეალი, რომლის სამუალებით სატირიკოსი წარმოაჩენს თავის ანტიდეალს და რამდენადაც უფრო ესთეტიკურად გამართულია მისი უარყოფითი სიცილი, მით უფრო ხანგრძლივდება სატირის ცხოველმყოფელი მნიშვნელობა.

იუმორული სიცილი ასახულის მიმართ კეთილგანწყობილი, ცდილობს სიცილით „განკურნოს“, გამოასწოროს.

ირონიული (მოჩვენებითი, თვალთმაქცური) სიცილი თავაზიანობით შენიღბული დაცინვა, დამცინავი გადაკვრით ნათქვამი (თავშეკავებული, მშვიდი, სერიოზული ტონი, გარეგნულად გამოხატული პატივისცემა).

სარკასტული სიცილი ინდივიდის ან ცხოვრების მანკიერი მხარეების, უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენების ლვარდლიანი დაცინვა, მწვავე ირონია. მას გესლიანი ირონიასაც უწოდებენ. სარკაზმი დაუნდობლად ააშკარავებს გულქვაობას, სიმახინჯეს, ბოროტებას, ფარისევლობას.

სიცილი უმძლავრესი იარაღია, რომლითაც წინასწარმეტყველი შეიძლება შლეგად წარმოჩნდეს. მეტიც, სიცილს დამანგრეველი ძალა გააჩნია, როგორიც იყო ვოლტერისა. სიცილს ძალუძს კერპების დაქცევა, დიდების გაუბრალოება, სიცილი სასწაულმოქმედ ხატსაც კი ბავშვურ თამაშად გადააქცევს.

გენიალური კომიკოსის ჩარლი ჩაპლინის თქმით: ჩვენს ეოქაში იუმორი წამალია სიძულვილისა და შიშის წინააღმდეგ. ის განაქარვებს დღეს სამყაროზე მოძალებულ ეჭვისა და შფოთვის ბურუსს.

დღეს ატომის ეპოქაში ტყვია უგნურია, რადგან არ იცის თუ საით გაფრინდეს. სიცილს კი შეუძლია მიზანს დღიდი სიზუსტით მიაღწიოს. სიცილი არის პიროვნების გამანადგურებელი იარაღი. და როცა ადამიანი ხელს აიღებს განადგურების ტრადიციულ საშუალებებზე (ციხე, სკონცენტრაციონ ბანაკები) მას დარჩება მხოლოდ ყველაზე ეფექტური, საშინელი და ჰუმანური იარაღი დ სიცილი. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს კეთილი და მომფერებელი. მას ნგრევის გარდა შენებაც შეუძლია.

ციცერონის შენიშვნით სასაცილოს ყოველთვის აქვს რაღაც უსახური და საზიზღარი.

სულელი მუდამ მოძებნის უფრო მეტ სულელს რომელსაც გააკვირვებს.

კანტის შენიშვნით ყველაზე მეტად იმაზე იცინიან, რასაც ძალიან სერიოზული სახე გააჩნია. „მასზე, არზედაც ვიცინი, უკვე აღარ შემიძლია გაჯავრებული ვიყო, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის მე ზიანს მაყენებს“ (კანტი. 1963. ტ. 2. გვ. 216).

ჰეგელის მიხედვით, კომიკური, შინაგანი მიჯაჭვულობისა და გარეგანი საფუძვლების შედეგია. კომიკური არსა და სახეს, შინაარსა და ფორმას, მიზანსა და მისი მიღწევის საშვალებებს შორის კონტრასტის შედეგია. ცნობილია ისიც, რომ ჰეგელის შეხედულებათა პერიფრაზირების შედეგად მარქსს უთქვამს, რომ: „ისტორია ორჯერ მეორდება: ერთხელ ტრაგედიის, მეორედ კი ფარსის სახით“. ეს ფარსი უკვე სასაცილოა და კომიკური.

ნიცშე კომიკურს ხელოვნების ორბუნებოვნების გლობალური მაშტაბის მიხედვით აპოლონურ-დალასტიკურდლოგიკურდმათემატიკურდცნობიერ და დიონისურდმუსიკალურდინტუიციურდსიმბოლურდცნობამიხდილობის სანყისების დონეზე განიხილავს.

სიცილს განსაკუთრებული ძალა აქვს, როცა ის მასობრივია, თანამედროვე ეპოქაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას მედია ახდენს. მასმედიის ერთ-ერთი ფუნქციაა გართობა დ რეკრეაციული ფუნქციაა. ეს დასვენებას, ადამიანის მიერ შრომის პროცესში დახარჯული ძალების აღდგენას ნიშნავს.

იუმორისტული გადაცემები, ხომ ტყუილის ხელოვნებაა. ადამიანთა ჯგუფი იგონებს გარკვეული შინაარსის ამბებს, რაც ხშირ შემთხვევაში რეალობასთან ახლოსაა. ადამიანებმა იციან, რომ ტყუილს უსმენენ და ამგვარი ტყუილის მოსმენით განმუხტვას ცდილობენ.

როგორც რიჩარდ რენე ამბობს: „მოტყუების ეფექტურობა დამოკიდებულია მოსატყუებლის პიროვნული თავისებურებების გამოყენებაზე. ამრიგად, თითოეულ ადამიანს გააჩნია განსაკუთრებული „გასაღები,“ რომელიც საშუალებას იძლევა შევაღნიოთ მის სულში და მოვახდინოთ ზემოქმედება მის აზრებსა და ქცევებზე.“

აი რას წერადა ამაზე ბალთაზარ გრაციანი: „თითოეულს მოვარგოთ გასაღები . ამაშია ადამიანის მართვის გასაღები. ამისთვის საჭიროა არა გამბედაობა, არამედ მოხერხება, ადამიანისთვის მიღების უნარი.“

იმის გასარკვევად თუ როგორ ართობს მედია საზოგადოებას, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გასართობ გადაცემას დ comedy show-ს განვიხილავ. ამ გადაცემის სახუმარო თემა პოლიტიკაა, მაგრამ იუმორი სატირლად მაშინ იქცევა როცა ქართული ლიტერატურის, ისტორიისა თუ საზოგადოების გმირებს საჯაროდ აქილიკებენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ კულტურის ძეგლებს დასცინიან და ამ ყველაფერს საზოგადოება იღებს, როგორც მორიგი სახუმარო ნომერი.

მეოცე საუკუნის დასავლურ სამყაროში გაძლიერდა და შემდეგ საყოველთაოდ გავრცელდა მასობრივი კულტურა - მსუბუქი გასართობი ლიტერატურა და ხელოვნება, სხვადასხვაგვარი სანახაობა, შოუ. მასკულტურა ბიზნესია, რომელიც მასისთვის განკუთვნილ „კულტურულ პროდუქციას“ აწარმოებს. ამიტომ მის ესთეტიკურ და ინტელექტუალურ რაობას, ხარისხს უპირველესად კომერციული ინტერესები განსაზღვრავს და არა ადმიანთა სულიერი ცხოვრების გაღრმავების ამოცანა. კომერცია, ზოგრჯერ, თავის ამოცანას უმორჩილებს და იყენებს მასობრივი კულტურის ფორმებს.

აშკარაა, რომ მასკულტურის მდარე ნიმუშები საზოგადოებას გემოვნებას, ზნეობრივი და ინტელექტუალური არსებობის დონეს უქვეითებს, ხშირად კი მდაბალ ვნებებს და ანტიპუმანურ განწყობას უდვივებს.

საინტერესოა როგორ აღიქვამს ამ გადაცემას მაყურებლის ფსიქოლოგია, რა ზეგავლენას ახდენს მაყურებელზე? არანაირი ასაკოვრივი შეზღუდვა გადაცემას არ გააჩნია, მისი მაყურებლები ასაკოვან ადანიანებთან, ზრდასრულებთან და მოზრდილებთან ერთად მცირებლოვანი ბავშვებიც არიან.

რა ასოციაციას იწვევს comedy show-ს ე.წ. სკეტჩები მაყურებელის და განსაკუთრებით ბავშვების ფსიფოლოგიაზე? ამ საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქოს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ფსიქოლოგიური დაბმარების ცენტრის ხელმძღვანელს ფსიქოლოგს, ფსიქოთერაპევტს ქალბატონ ნინო კანდელაკს ვესაუბრეთ.

„ეს გადაცმა მაყურებლის ფსიქოლოგიაზე ცუდ გავლენას ახდეს, პირველ რიგში იმიტომ, რომ ირყევა ჩვენი ტრადიციული ღირებულებები, მათი სკეტჩები ეხება ჩვენს კონკრეტულ ღირებულებებს. ეს ღირებულებები რა საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი იყო იქ არის გამასხარავებული, გაუბრალოებული და ხელწამოსაკრავი. თვალში საცემია მათი სხეულის ენა, ქცევა, მანერა, ჟესტიკულაცია. მათ ქცევებს მაყურებლის ქვეცნობიერი იღებს და ეს ქცევა უკვე მისაღები ხდება, ტაბუ იხსნება და ქცევის ახალი სურათ-ხატები შემოდის ადამინში და არაცნობიერში იღექება. უნარების დონე ქცევის დონეზე უფრო მაღალია, ასეთი გადაცემები უნარებს აქვეითებს, იმიტომ რომ ადამიანს შეუძლია კრიტიკული თუ ფილოსოფიური აზროვნება, რაღაც მასში მნიშვნელობა შესაბამისი საზრდო და შემდეგ ვითარდება. ეს გადაცემა ადამიანს ამგვარ საზრდოს ხომ არ აძლევს, ეს არ არის რიგითი ხუმრობა. მაგალითად ანეგდოტები ადამიანის ცხოვრებაში აუცილებელია და მას ფსიქოლოგიაც იყენებს. ღიმილი აუცილებელია.

განსაკუთრებით აღიქვამს ბავშვის ფსიქოლოგია ამაგვარ ხუმრობას. ეროვნული ღირებულებების გადაფასება შეუმჩნევლად ხდება. განსაკუთრებით ეს ცუდია მაშინ როცა ბავშვსს ჯერ არც აქვს გაცნობიერებული ღირებულებების მნიშვნელობა და უკვე მისი გადაფასება ხდება, ვეფხისტყაოსანი ჯერ ღირებულება უნდა გახდეს და მერე ამან გადააფასოს, ამას ბავშვები ისეთ ასაკში უყურებენ, მათთვის ჯერ ეს არცა ღირებულება. უკვე პირდაპირ გადაფასებულია.

ყოვლად მიუღებელია ეროვნული სამოსის გამასხარავება, სცენაზე ჩოხით გამოსვლა და მთელი რიგი სკეტჩების აგება. ეს გადაცემა კი არ გიხალისებს ცხოვრებას არამედ სულში რაღაცას ამახინ-ჯებს. ეს გადაცემა აკნინებს ხედვებს, წარმოდგენებსა და ღირებულებებს.“-გვითხრა ქალბატონმა ნინო კანდელაკმა.

უკიდურესი დეტერმინიზმის მიხედვით ნების თავისუფლება არ არსებობს, რასაც იზიარებენ უკიდურესი ინკომპატიბილისტები, თავისუფალი სკეპტიკოსები, ილუზიონისტები და სიმპოსიბილისტები. ნებისმიერი სახის გრძნობა ილუზია და მოჩვენებითიაო, ამტკიცებენ. ამ ფილოსოფიის მიხედვით შემთხვევით, სპონტანურად არაფერი არ ხდება, იდუმალი მოვლენები არ არსებობს და სასწაულები დ მით უმეტეს. მეცნიერების ლოგიკური განვითარების უმაღლესი და საბოლოო წერტილი დეტერმინიზმია დ ამტკიცებენ. უილიამ ჯეიმსის თქმით ფილოსოფოსები და მეცნიერები „Santis მიმართ ანტიპათიით“ არიან განწყობლნი. შემთხვევითობა და კვანტური მექანიკის შედეგები გამორიცხავს მიზეზობრიობას. ის რაც წინასწარგანსაზღვრულია აუცილებლად მიზეზობრივიც უნდა იყოს.

მორალური შედეგები. თავისუფალი ნებისთვის გარდაუვალია მორალური პასუხისმგებლობა და მის გარეშე ამ თეორიის ეთიკა კატასტროფას განიცდის. ამის შესანარჩუნებლად წარმოდგენილ იქნა ნების თავისუფლების „ილუზია“. ამით ზნეობა თავად იქცა ილუზიად ან უკეთეს შემთხვევაში ფარისვლობად. დეტერმინისტების აზრით არა თუ თავისუფალი ნება არ არსებობს, არამედ ზნეობა თავად გაუმართლებელია, რადგან შედეგებსა და სიმართლეზე მას არანანირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია. მიუხედავად ამისა უკიდურეს დეტერმინიზმს მაინც გააჩნია „მორალური სისტემა“. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ ყოველ მოცემულ შემთხვევაში მოქმედება განპირობებულია

გარემოებითა და აღზრდით. ამიტომაა, რომ დეტერმინისტს არასასურველი მოქმედების სანქციონი-რება შეუძლია ქცევის მოდიფიკაციისა და ქცევისგან თავშეკავების მიზნით.

ამგვარი გადაცემების წყალობით ადამიანებს არ ექნებათ პროტესტის გრძნობა, კულტურული მემკვიდრეობის შეურაცხოფის განცდა და ადამიანური ფაქტორი კიდევ უფრო დაკანიდება. ეს საბოლოოდ საზოგადეობის დეპუტანტაციას გამოიწვევს.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. ბოლქვაძე ზ., სიბრძნე სიცილისა, თბ., 1976
2. გვასალია ლ., სიცილის ფენომენი, თბ., 1998
3. ვასალია ლ., სიცილის სამეფო რუსთაველის გამზირზე, თბ., 2012
4. გაჩეჩილაძე დ., სატირა, თბ.: 1942
5. გოგიაშვილი მ., სატირა და იუმორი, თბ., 1953
6. თოდრია ს., სატირა და იუმორი, ტფ., 1934
7. კასრაძე ქ., მხიარული მიკროფონი, თბ., 1984
8. კიკნაძე ვ., ცრემლიანი სიცილი, თბ., 1964
9. მიქაბერიძე რ., ლალე, თბ.: 2000
10. ნიშნიანიძე გ., სიცილის არქივიდან: სატირა რევოლუციის სამსახურში, თბ.: 1971
11. ოშო, სიცოცხლე, სიყვარული, სიცილი, თბ., 1997
12. ქუთელია ა. სიცილი და მისი სოციალური ძალა, თბ., 1961
13. ცინცაძე ვ., სიცილის ბიბლიოთეკა, თბ., 1991
14. ჭეიშვილი რ., ახალი “კურუ”, თბ., 2011
15. ხუციშვილი ო., სიბრძნე სიცილისა, თბ., 2001

**ნინო ახალაია**

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: მაკა დოლიძე

**მედია - მანიპულირებისა და პროპაგანდის მძღავრი იარაღი**

საქართველოში სხვადასხვა ტიპის მედია არსებობს, რომლებიც დედაქალაქსა და რეგიონებში ფუნქციონირებს. გაზეთები, ჟურნალები, რადიოსადგურები განსხვავებულ შეხედულებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ავრცელებენ. მაგრამ ტელევიზით, რომელიც ყველაზე გავლენიანია და პოპულარული, განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა დედაქალაქის გარეთ რთულია.

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია ინფორმაციის გარეშე. საზოგადოების ნებისმიერ წევრს სჭირდება სამართლიანი, სანდო და ობიექტური ინფორმაცია. მედიას მრავალი ფუნქცია აკისრია. ის თავისი საქმიანობის შესრულებისას ანგარიშვალდებულია აუდიტორიის წინაშე. საინფორმაციო მასალებში აუცილებელია პროფესიული მოთხოვნების, ინფორმატიულობის, სიზუსტისა და ობიექტურობის დაცვა. ის უნდა გამოხატავდეს განსხვავებულ შეხედულებებს და უნდა შეეძლოს ხელისუფლების კრიტიკა, ქმნიდეს დისკუსიას.

საერთოდ დისკუსია, დებატები ტელეეკრანისთვის საკმაოდ მიმზიდველია, რადგანაც ცოცხალი აზროვნების პროცესის დემონსტრაციას ახდენს. მისი დაბადება, განვითარება და მიზნისკენ სწრაფვა მაყურებლის თვალწინ მიმდინარეობს. სხვადასხვა მოსაზრებების შეჯახება ტელეაუდიტორიას ითრევს.

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია, რომ სატელევიზიო დრო ან სრულ განკარგულებაში ეძლევა კანდიდატს (რომელსაც იგი თავისი შეხედულებისამებრ იყენებს), ან ამ დროში ჩასმული გადაცემის ფორმას თვითონ უურნალისტები განსაზღვრავენ. საქართველოს ტელევიზიისთვის უფრო ტიპიური გამოდგა მეორე ფორმა, სატელევიზიო დიალოგი, როცა ეკრანზე ერთმანეთის პირისპირ არიან უურნალისტი და პოლიტიკოსი (ან საზოგადო მოღვაწე), რომლის შეხედულებანიც აუდიტორიის გარკვეულ ინტერესს იწვევს.

ქართულ ტელესივრცეში დისკუსიის ფორმატის გადაცემები, საკმაოდ ხშირია.

იცვლება მათი სახელწოდებები, იცვლებიან წამყვანები, მაგრამ დისკუსია მაინც რჩება ქართული ტელევიზიის ერთ-ერთ საყვარელ სახედ. ამას აქვს თავისი მიზეზები. პირველ ყოვლისა, ეს გამოწვეულია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ქართული საზოგადოების განსაკუთრებული აქტიურობით. მრავალპარტიული ქართული პოლიტიკური სპექტრი, რომელიც მუდმივად ცდილობს იყოს პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში, საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებების დემონსტრირებისთვის აქტიურად იყენებს სატელევიზიო ეთერს. პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირება კი კარგი მასალა ტელევიზიებისთვის საკუთარი გადაცემების, დისკუსიების წარსამართავად. ტელეწამყვანებიც ყველაზე მეტად ამ ტიპის გადაცემების შექმნისკენ ისწრაფიან, რადგან მათზე განუზომლად დიდია საზოგადოების მოთხოვნა, რაც ყურებადსა და რეიტინგულს ხდის ასეთი ტიპის გადაცემებს.

დებატები განსაკუთრებით ხშირია წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც პოლიტიკურ პარტიებს სჭირდება ელექტორატის გულის მოგება და მისთვის საკუთარი პოლიტიკური პროგრამის გაცნობა. რამდენადაც ქართული რეალობა ხშირად დგას არჩევნების წინაშე, ტელემაუნიკებლობებშიც თითქმის მუდმივად არის ტელედებატების ფორმის სატელევიზიო დისკუსიები.

დისკუსია-დებატები შეუძლებელია იყოს ცალმხრივი, მასში აუცილებლად ორი დაპირისპირებული მხარე უნდა მონაწილეობდეს. მათ შორის სერიოზული და არგუმენტირებული კამათი მიმდინარეობს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად და მოწინააღმდეგის წაკლოვანი მხარეების გამოსავლენად.

ქართულ საინფორმაციო სივრცეში არის არა ერთი თოქ-შოუ. მაგალითად: ნინო შუბლაძის „პოზიცია“ („რუსთავი 2“), თეა სიჭინავას „არგუმენტები“ („მაესტრო“), ნინო უიჟილაშვილის „პოლიტ-მეტრი“ („მაესტრო“) და სხვა. სადაც იმართება დებატები განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანებს შორის. დროის დაბალანსება მეტ-ნაკლებად ხერხდება.

2012 წლის 9 ივლისი-2 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი. მონიტორინგში სხვა გადაცემებთან ერთად მოხვდა თეა სიჭინავას „არგუმენტები“. ეს გადაცემა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადიოდა საღამოს 20:00 საათზე. ძირითადად, არგუმენტები დებატების ფორმატითა წარმოდგენილი და სტუდიაში 2 სტუმარია მოწვეული. მონიტირინგის პერიოდში სულ 39 გადაცემა გავიდა. გადაცემები საშუალოდ 40წთ გრძელდება, თუმცა იყო ერთი შემთხვევა, როდესაც 31 აგვისტოს, არხის რეორგანიზაციის გამო „არგუმენტებს“ მხოლოდ 13წთ დაეთმო. გასული გადაცემები თემების თვალსაზრისით მრავალფეროვანი იყო და ძირითადად, მიმდინარე აქტუალური საკითხები შუქდებოდა. მაგალითად განხილულ იქნა შემდეგი თემები: არჩევნები (საარჩევნო სიები და წინასაარჩევნო გარემო), ევროპარლამენტში გამართული დებატები, კარალეთის ინციდენტი, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და სხვა. სტუმრების თვალსაზრისით თითქმის ყველა გადაცემა დაბალანსებული და მრავალფეროვანი იყო. მოწვეული იყო, როგორც მმართველი გუნდის, ასევე კოალიაცია „ქართული ოცნების“ წევრები, საზოგადო მოლვანეები, მედიის წარმომადგენლები და ექსპერტები. დროის გადანაწილება სტუმრებს შორის მეტ-ნაკლებად თანაბარია და გადაცემის ხანგრძლივობასა და სტუმრების რაოდენობაზე დამოკიდებული. ვინაიდან „არგუმენტებში“ ძირითადად ორი მხარეა მოწვეული, გადაცემა დებატების და დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობს. თოქ-შოუს თემები თითქმის ყოველთვის მიმდინარე აქტუალურ საკითხებს ეხმიანება. უურნალისტი აქტიურადაა ჩატარული გადაცემაში და ცდილობს კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღოს.

ერთ-ერთი რეიტინგული გადაცემა „რუსთავი 2-ის“ თოქ-შოუ „პოზიცია“, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებსა და თემებს ეხება და მაყურებელს საფუძვლიანი ანალიზის საშუალებას აძლევს. გადაცემა მაყურებელს სთავაზობს განსხვავებულ პოზიციებსა და დებატებს სხვადასხვა მხარეს შორის. „პოზიცია“ ეთერს უთმობს ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელიც აქტიურად არის ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. გადაცემის მცდელობაა ობიექტის არსები წვდომა და გარკვეული კანონზომიერების დადგენა, ჩვენება არა მხოლოდ იმის, რაც არის და როგორია ან იმის სად და როდის მოხდა, არამედ იმისი თუ რატომ, რა მიზეზით და მიზნით მოხდა, როგორ შეიძლება მისი აღკვეთა, ან პირიქით პოპულარიზაცია. გადაცემაში არის მსჯელობა, განსჯა, ანალიზი და

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი და მსგავსი გადაცემები, მაყურებლის, დიდ ინტერესს იწვევს, რადგან მას აინტერესებს, როგორ პასუხობენ საჯაროდ დასმულ შეკითხვებზე რესპონდენტები, მიწვეული სტუმრები, როგორ რეაგირებენ კრიტიკაზე, როგორ იცავენ თავიანთ პოზიციას, შეხედულებებს, რა არგუმენტებით და ა.შ. ხალხს იმის უფლება აქვს რომ იცოდეს თუ როგორ ასრულებს მის მიერ არჩეული ხელისუფლება დაკისრებულ ვალდებულებას.

## ლიტერატურა:

1. თ. ჯაგოდნიშვილი, ი. ჯაგოდნიშვილი, ვერბალური კომუნიკაციები. თბ., 2009

## დარეჯან დეკანოიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), ბაქალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: მაკა დოლიძე

### მიზანი და აღმიანვები

ყველასათვის ცნობილია, რომ მედიის მიზანია ზუსტად ასახოს მიმდინარე მოვლენები, იყოს მიკერძოებული, სამართლიანად გამოხატოს განსხვავებული აზრი, დაიცვას ბალანსი და არ იყოს არც ეთი პოზიციის მხარდამჭერი. საინტერესოა ასრულებს თუ არა ამ მოთხოვნებს ქართული საინფორმაციო საშუალებები. ამის გასარკვევად გადავწყვიტეთ განგვეხილა ტელეკომპანიების „რუსთავი 2-სა“ და „მაესტროს“ საქმიანობა საარჩევნო პერიოდში.

მნიშვნელოვანია, რომ „რუსთავი 2“ საინფორმაციო ბადეში დომინირებდა საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებული სიუჟეტები, რა დროსაც აქტიურად შუქდებოდა საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრების და მთავრობის პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კომპანიები. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყოველდღიურ რეჟიმში წარმოჩნდილი იყო მხოლოდ დადებითი კუთხით. ყოველი სიუჟეტი, რომელიც ასახავდა პრეზიდენტის შეხვედრებს რეგიონებში, სტრუქტურის მიხედვით ერთმანეთის იდენტური იყო და ინყებოდა ხალხის მასის ჩვენებით. რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ნაციონალებს ბევრად უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავდათ, ვიდრე ოპოზიციურ პარტიებს. სულ სხვა რაკუსით აშუქებდნენ ოპოზიციონერი კანდიდატების საქმიანობას. არა და მედია ვალდებულია საარჩევნო კამპანიის დროს ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი თანაბრად გააშუქოს და არ იყოს მიკერძოებული.

ტელეკომპანია აქტიურად აშუქებდა სხვადასხვა პარტიის წინასაარჩევნო კამპანიას. მნიშვნელოვანია, რომ დადებით კონტექსტში და სხვა პოლიტიკური სუბიექტებისგან განსხვავებულად შუქდებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის“ აქტივობები. კერძოდ: მათ უფრო მეტი დრო ეთმობოდათ;

1. მოსახლეობასთან სხვა პოლიტიკური სუბიექტების შეხვედრები ერთ სიუჟეტად მზადდებოდა, ხოლო ამ ორი სუბიექტის – ცალკე სიუჟეტებად გადიოდა;

2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის“ შევედრების გაშუქებისას, ყოველთვის იყო წარმოდგენილი ყველა ლიდერისა თუ მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატის ინტერვიუ;

3. ამ პარტიების შეხვედრისას ჩანდა ხალხის სიმრავლე, ხოლო სხვა პარტიების შეხვედრების ამსახველი კადრების ჩვენებისას იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დაესწრო შეხვედრას. მაგალითად: კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივობა შუქდებოდა თითქმის ყოველდღიურად, თუმცა ნეგატიურ ტონში.

ასევე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ 29 ივლისს „პოსტკრიპტუმში“ გასული პაატა იაკობაშვილის მიერ მომზადებული სიუჟეტი „ბიძინა ივანიშვილის უანგარობა წინასაარჩევნო პიარზე გაიყიდა“. ასე დაიწყო თითქმის 8 წუთიანი სიუჟეტი, რომელიც ივანიშვილის მიერ 80 მილიონიანი ჯარიმის გადახდას მიეძღვნა.

სიუჟეტი გამოირჩეოდა ტენდენციურობით. ნაციონალური მოძრაობის წევრები, მემარჯვენები, ლეიიბორისტები, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი დამოუკიდებელი ექსპერტები ერთხმად ლანდღავდნენ ივანიშვილს და ამბობდნენ, რომ თანხის გადარიცხვა ქველმოქმედება არ იყო, ივანიშვილმა ეს ბანკის დასაბრუნებლად და საარჩევნო პიარისთვის გააკეთა. უურნალისტი არ ერიდებოდა შეფასებით ტექსტებს და მოსაზრებების გამოთქმას.

23 აგვისტოს საინფორმაციო გადაცემაში ნაჩვენები იყო საქართველოს პრეზიდენტი სამტრე-დიაში, რომელმაც მაჟორიტარი დეპუტატის წარდგენისას განაცხადა: „ვინც პარლამენტის ქუთაის-ში გადატანას აპროტესტებს, მას საკუთარ კარში გოლის გატანა უნდა.“ ამის შემდეგ ტელეკომპანიამ აქცენტი გააკეთა „ქართული ოცნების“ სამტრედის მაჟორიტარ კანდიდატზე კახა კალაძეზე და იგი კარალეთში განვითარებულ დაპირისპირებაში დაადანაშაულა.

აღსანიშნავია, ასევე რუსთავი 2-ის საინფორმაციო გადაცემების სარეკლამო ჭრები. რეკლამების სახით გადიოდა ორი პოლიტიკური სარეკლამო რგოლი, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა შინაარსობრივი დატვირთვით: ერთი წარმოადგენდა ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო რეკლამას, რომელიც პირველ რეკლამად გადიოდა, ხოლო მეორე სარეკლამო რგოლი, რომელიც რიგითობით მესამე ან მეოთხე იყო, წარმოადგენდა „ქართული ოცნების“ ანტირეკლამას, რომელშიც ხაზგასმული იყო თუ რა შედეგი მოჰყვება მის გამარჯვებას და კეთდებოდა უარყოფითი, ირონიული აქცენტები კოალიციაში განევრიანებულ პირებზე.

ამრიგად, არხის საქმიანობა შეიძლება შევაფასოთ, როგორც მიკერძოებული და დაუბალანსებელი.

ახლა ორიოდე სიტყვით შევეხოთ „მაესტროს“ საქმიანობას. უნდა ითქვას, რომ არხი დატვირთული იყო საინფორმაციო გადაცემებით, პოლიტიკური თოქ-შოუებით. არხის ზოგადი საქმიანობა შეიძლება შეფასდეს, როგორც მაღალი ხარისხის. რაც შეეხება ახალ ამბებს შეიძლება, რომ არ ხასიათდება უხეში დარღვევებით, რედაქცია ახერხებს, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე მოვლენები გააშუქოს ოპერატიულად, მრავალმხრივ და ხშირ შემთხვევაში დაბალანსებულად.

23 ივლისს „მაესტრომი დიდი დრო დაუთმო კახეთში ქართული ოცნებისა და მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერებს შორის დაპირისპირებას, მთელი სიუჟეტი წარმოადგენდა მცდელობას დამტკიცებულიყო, რომ ქართული ოცნების მხარდამჭერი მამაკაცი პროვოკაციას წამოეგო. კადრებში ჩანდა, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერ ქალბატონს ამ მამაკაცმა სახე მოუგრიხა. ამ ფაქტს სიუჟეტის რესპონდენტები „სახეზე ხელის მიდებას“ უწოდებდნენ.

სიუჟეტში გამოყენებული ყველა წყარო მხოლოდ ერთი მხარის პოზიციას წარმოადგენდა და ცდილობდნენ პროვოკატორად ქალბატონი წარმოეჩინათ.

მნიშვნელოვანია, რომ საინფორმაციო გადაცემები გამოირჩეოდა წყაროთა მრავალფეროვნებით. არხი ხშირად იყენებდა საინფორმაციო სააგენტოების, მათ შორის რეგიონული საინფორმაციო ცენტრების მიერ მოპოვებულ მასალას.

არხის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა „I 9“, მისი მასალები თითქმის ყოველდღიურად გამოიყენებოდა.

„ახალ ამბებში“ იშვიათად ვხვდებით ფაქტებისა და მოსაზრებების აღრევას.

ნამყვანის მიკერძოებული კომენტარი გამოვლინდა პირველი ივლისის გამოშვების სიუჟეტში, რომელიც ვანო მერაბიშვილის გაპრემიერებას ეძღვნებოდა. გადაცემის წამყვანმა ვანო მერაბიშვილი ასე მოიხსენია: „ქვეყნის ხერხემალი, გაღლეტილი და ღირსების ორდენისანი.“

არხზე ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის დებატების სიმწირე შეიმჩნეოდა, ეს შესაძლოა, განპირობებული იყო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან დებატებზე უარის თქმით. არადაცნობილია, რომ, კანდიდატი, რომელიც უარს განაცხადებს დებატებში მონაწილეობაზე, კარგავს დებატებისატვის განკუთვნილი უფასო ეთერის გამოყენების იფლებას. დებატებისაგან განსხვავებით თოქ-შოუებში როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ ხშირად ერთი და იგივე სახეები ჩანდა, მათ ოპონირებას კი წამყვანები ცდილობდნენ.

თემების აქტუალობის მიუხედავად იყო შემთხვევები, როდესაც სამივე თოქ-შოუ „არგუმენტები“, „პოლიტმერი“ და „პირდაპირი საუბრები“ ერთსა და იმავე თემას ეძღვნებოდა, თუმცა, სტუმრებს შორის დამთხვევა არ გამოვლენილა.

მაგალითად 23 აგვისტოს სამივე გადაცემაში ეუთოს, ევროსაბჭოს ასამბლეასა და ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაზე მსჯელობდნენ. 26 აგვისტოს კი მთავარი თემა სამივე გადაცემაში „ქართული ოცნების“ საარჩევნო წომერი იყო.

ბალანსისა და ობიექტურობის კუთხით განსაკუთრებით პრობლემურია ყოველდღიური გადაცემა „სუბიექტური აზრი“. ეს გარკვეულწილად მოსალოდნელიცაა გადაცემის სახელწოდებიდან გამომდინარე. გადაცემის წამყვანი შალვა რამიშვილი ლიად აცხადებდა, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ უჭერდა მხარს, რაც თავისთავად ქმნიდა ერთი პოლიტიკური ძალის პოზიციის წარმოდგენისთვის სარბიელს.

მიკერძოებულობის კარგი მაგალითი იყო წამყვანის მიერ გადაცემაში ქართული ოცნების წარმომადგენლის, ირაკლი ტრიპოლსკის წარდგენა. „ჩვენი სტუმარია, კაცი რეჟისორი, ჩემი მეგობარი, ბიძინას მეგობარი, რომელიც პოლიტიკაში გადაეშვა.“ გადაცემა უფრო მეტად მიკერძოებული იყო, როცა პოლიტიკოსი ეგრედწოდებული თანაწამყვანის ფუნქციას ასრულებდა. მაგალითად ხუთი დღის განმავლობაში გადაცემის თანაწამყვანი კოალიციის კანდიდატი — თეა წულუკიანი იყო. მან ყოველდღიური 25 წუთიანი ეთერი აქტიურად გამოიყენა ხელისუფლებისა და ნაძალადევის რაიონში საკუთარი კონკურენტის კრიტიკისათვის. რაც შეეხება „პოლიტმერის“ წამყვანს ნინო ჟიჟილაშვილს, იგი წარმატებით უძღვებოდა საინტერესო დისკუსიებსა და ინტერვიუებს. წამყვანი მმართველი პარტიის მიმართ მწვავე კითხვებით გამოიჩეოდა და დასმულ კითხვაზე პასუხის მიღებას ყოველთვის ცდილობდა. მაგალითად 21 აგვისტოს აკაკი მინაშვილს დაახლოებით ხუთჯერ ჰქითხა, რა უნდოდა კულტურის მინისტრ ნიკა რურუას სამხედრო ბაზაზე?! 16 აგვისტოს კი ლევან ბეჟაშვილს – პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენელს კახეთში ამდენჯერვე გაუმეორა კითხვა, როდის გახდება საჯარო ზარალის ასანაზღაურებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ხარჯთაღრიცხვა?! წამყვანი წაციონალური მოძრაობის წევრებს ხშირად აწყვეტინებდა საუბარს და დაუინებით ცდილობდა პასუხების მიღებას.

ეს მეთოდი უურნალისტურ პრაქტიკაში მიღებულია. განსაკუთრებით გამოიყენება დასავლურ მედიაში, მაგრამ დასავლეთის უურნალისტებისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში ნინო ჟიჟილაშვილი ტენდენციური იყო, რადგანაც მსგავსი პრინციპულობა არ გამოუმჯდავნებია ქართული ოცნების წევრ თეა წულუკიანთან საუბრისას.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ არხი აკმაყოფილებდა მაღალი ხარისხის კრიტერიუმს, თუმცა, მედიაში არსებული მრავალი მეთოდის გამოყენებით ცდილობდა შეენიჭა მიკერძოებული პოზიცია.

საბოლოო დასკვნა კი ასეთია: ორივე არხი, „რუსთავი 2“ და „მაესტრო“ მიკერძოებული იყო როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მიმართ.

**Читанава Медея**

*Тбилисский Государственный Университет имени*

*Иване Джавахишвили, бакалавриат*

*Руководитель профессор: Ирина Бичикашвили*

## **СТИЛИСТИКА СОВРЕМЕННОЙ ГАЗЕТЫ**

В эпоху бурного развития аудиовизуальных и электронных СМИ печатная пресса постепенно сдает свои позиции.

При этом темп жизни современного человека ускоряется, и у него остается все меньше времени для того, чтобы полистать газету или журнал. Однако ни одно средство массовой информации не может существовать без своего потребителя, в том числе и газета.

По мнению экспертов, в связи с появлением новых медиа проблемы возникли у всех традиционных СМИ. Результатам исследования, проведенного TNS Gallup Media на 2007 год, показали значительное сокращение аудитории печатных СМИ.

Печатные носители не сдаются, всячески стараясь удержать читательский интерес. И не без успеха. Опрос, проведенный Всемирной газетной ассоциацией показал, что за последние пять лет мировой тираж газет вырос почти на 10%.

**Увеличилась аудитория и «Комсомольской правды» – с 404,1 до 442,9 тыс. человек**

**Аудитория «АиФ» увеличилась более чем на 100 тыс. человек и составила 1525,5 тыс. человек .**

**Но, удивительным является то, что спал интерес аудитории на «еженедельные журналы» и «ежемесячные или выходящие раз в два месяца журналы». Так за период с марта по июль текущего года значительно сократилась аудитория читателей Cosmopolitan (до 1141,4 тыс. человек).**

Мир газет очень интересен и удивителен. Здесь в последнее время, все больше становится ранее недоступных, раскрепощенных тем. Вследствие чего структурно-жанровые модели газет, относящиеся к «качественной» и «желтой» прессе, иногда приближенны друг к другу. Эти модели определяются выбором жанров и самими авторами, проявления авторского «я» и средствами выражения этого «я».

Чаще всего используются такие жанровые приемы как: *информация, комментарий, интервью, репортаж, корреспонденция*.

Рассмотрим самые популярные и пользующиеся большим спросом жанры: *интервью, репортаж и комментарий*, на примере газет «Аргументы и Факты», «Комсомольская правда».

Репортаж и интервью сочетают в себе документальность, объективность, эмоциональность и яркость изображения различных по значимости событий. Интервью и репортажи в газетах посвящаются, как правило, значительным событиям, важным для города, региона, территории, страны в целом, темам и датам. Если в интервью и репортаже речь идет о конкретном событии, то журналист является его очевидцем, а его собеседником может быть непосредственный участник события или же свидетель данного события.

В отличие от других информационных жанров *репортаж* не просто сообщает о фактах, событиях, а показывает их через непосредственное восприятие автора, как бы воссоздавая картину

происходящего. В основе репортажа всегда находится общественно значимое событие, которое развивается на глазах у читателя. Это своего рода история события.

*Характерные особенности жанра – оперативность, динамичность, наглядность происходящего, активно действующее авторское «я», которое помогает создавать так называемый «эффект присутствия», позволяет читателю как бы находиться рядом с репортером и вместе с ним видеть, ощущать событие.*

**Интервью** – особый тип газетных текстов. Оно отличается от других жанров, как по форме, так и по содержанию. Интервью дается, как правило, в виде беседы (диалога) журналиста с интервьюируемым лицом, но нередки варианты, когда текст интервью компонуется только из прямой речи интервьюируемого или же в виде сочетания прямой и косвенной речи.

**Пример:** «**Аргументы и Факты**» №20 (май 2013) материал: Диплом на Душу не выдают ( автор Татьяна Кузнецова) ; Хоккеист и вампир (автор Сергей Грачевский)

Для восприятия оценочной информации, содержащейся во всех газетных жанрах, важное значение имеют фоновые знания. Различные виды оценок, в частности, интеллектуальной, эмоциональной, проявляются в номинативных единицах текста.

Оценочные номинативы представляют собой очень продуктивный пласт лексики, позволяющий автору публикации высказывать свое мнение о степени важности и ценности данной информации и распространить это мнение на читателей. Язык молодежной современной прессы характеризуется сленговыми выражениями, особенно это относится к жанру интервью, в которых журналист стремится адекватно передать индивидуальность и самобытность речи интервьюемых студентов, лицеистов и т.д. (*Пример из газет*)

*Нередко используются общеязыковые метафоры, перифразы, интеллектуально-оценочные выражения, а материалы современных газет показывают интенсивное проникновение в текст информации разговорно-просторечных и даже жаргонных средств языка. (Пример из газеты)*

**Комментарий** также занимает особое место среди жанров газетных текстов, поскольку он отличается от всех других своим функциональным назначением.

Основная коммуникативная цель комментария – интерпретация и разъяснение сущности и значение актуального события, факта, документа.

**Пример:** «**Аргументы и Факты**» №20 (май 2013), материалы: Неужели мы стали меньше пить?; Пенсия-миф?; На сцену!

Комментарий используется для оперативного разъяснения важных событий общественной жизни. До недавнего времени его считали одной из разновидностей статьи, которая применяется для отклика на такие явления, как документ, речь политического деятеля, выступление прессы и т. д. Однако несмотря на то, что эти два жанра часто фигурируют в одном ряду, между ними есть существенная разница. Комментарий требует минимального размера и выстраивается, как правило, вокруг одного факта (или цепи однозначных фактов).

Как показывает практика, комментарий сегодня уже уверенно занял собственные позиции как самостоятельный жанр в ряду других аналитических жанров. Особенно это заметно в публикациях на международные темы. Комментарий представляет собой актуальное публицистическое выступление, которое объясняет факты и явления с политических позиций, на которых стоит автор. Основные требования к этому жанру – лаконичность и точность оценки автором происходящих событий.

Вместе с тем, нельзя отрицать и право на существование развернутых комментариев, в которых автор опирается на факты из различных источников, прослеживает историю того или иного явления, раскрывает читателями его истинный смысл.

*Комментарий может иметь пропагандистскую, критическую, сатирическую, полемическую окраску в зависимости от конкретного повода.*

*(Пример из газеты)*

Язык газеты – это живая и постоянно развивающаяся система, требующая от журналистов постоянного творческого напряжения. Наконец, специфика отбора языковых средств на газетной полосе во многом определяется расчетом на массовую, нейтральную в лингвистическом отношении читательскую аудиторию.

Язык журналистики в силу своей специфики является предметом постоянного научного исследования лингвистов, историков, культурологов, социологов и психологов. Он отражает политическую, экономическую и духовную жизнь социума. Изучая газетные и журнальные тексты, можно составить четкое представление о времени и эпохе. Язык СМИ динамичен, он находится в постоянном развитии.

Отсюда и вывод, что влияние газеты оказывается не только на сфере потребительского рынка, но и на политической и культурной жизни общества, на употреблении русского языка и – опосредованно – на развитии его системы. Ведь именно главной задачей для печатных СМИ является доступность языка, близость к читателю, через метафоры, жаргоны, перифразы, интеллектуально-оценочные выражения. Язык и способ подачи информации через информационные жанры и есть главная стилистическая особенность современной газеты.

Газета становится демократичнее (по темам), понятнее (по языку), образнее (в силу использования документального фото). Поэтому нас не удивляет устойчивость тиража некоторых популярных изданий. Петь отходную бумажным СМИ еще рано.

### **Литература:**

1. Вакуров В.Н., Кохтев Н.Н., Солганик Г.Я. Стилистика газетных жанров. 2007г.
2. Статистические данные **взяты с DP.ru. и advesti.ru**
3. Иван Скворцов-Степанов. Капитал и газеты.(Вестник труда №2 (1909))
4. Мосиенко Л.В. Стилистические и лингвистические особенности газетного текста.

## გოდერძიშვილი თეონა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო ჭალავანიძე

### გავმვთა საკითხების გაშუქება საქართველოში და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა (ახალი მედიის 2012 წლის შემოდგომა-ზამთრის მონაცემებზე დაყრდნობით)

ნაშრომის მიზანია, წარმოადგინოს, თუ როგორ შუქდება ქართულ მედიაში ბავშვთა საკითხები; განსაზღვრულია, რამდენად შეესაბამება ეთიკურ სტანდარტებსა და პრინციპებს ჟურნალისტური ნამუშევრები. აქვე საუბარია იმაზე, თუ რა შეცდომებს უშვებენ მედიის წარმომადგენლები არას-რულწლოვნებთან დაკავშირებულ თემებზე მუშაობისას და რა დარღვევები შეინიშნება ყველაზე ხშირად.

მედიის როლი თანამდროვე საზოგადოებაში არამარტო ინფორმაციის გავრცელებაა. ის გარკვეულწილად გავლენას ახდენს მოქალაქეთა აზრის ფორმირებაზეც. ამიტომ ჟურნალისტებს მართებთ მეტი მობილიზება და ყურადღების გამოჩენა მცირებლოვანთა საკითხებზე მუშაობისას, რათა მათ წინდაუხედავად და დაუფიქრებლად გაკეთებულ სიუჟეტს სავალალო შედეგი არ მოჰყვეს.

საკვლევად აღებულია 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2013 წლის 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდი.

საანალიზო პერიოდის განმავლობაში განხილულ იქნა რამდენიმე ვებ პორტალზე განთავსებული მასალები.

#### სულ გაანალიზდა:

- [www.presa.ge](http://www.presa.ge)-ს 9;
- [www.internet.ge](http://www.internet.ge)-ს 30;
- [www.ambebi.ge](http://www.ambebi.ge)-ს 22;
- [www.info9.ge](http://www.info9.ge)-ს 64;
- <http://ick.ge>-ს 1;
- [www.media.ge](http://www.media.ge)-ს 1;
- <http://pirweli.com.ge>-ს 18 სტატია.

### „ბავშვთა საკითხების გაშუქება საქართველოში და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა“ (ახალი მედიის 2012 წლის შემოდგომა-ზამთრის მონაცემებზე დაყრდნობით)

მედიის როლსა და გავლენაზე თანამედროვე საზოგადოებაში ბევრს მსჯელობენ. სერიალები, გასართობი გადაცემები, საინფორმაციო გამოშვებები, მულტფილმები - თითოეულ პროექტს საკუთარი სამიზნე ჯგუფი ჰყავს, ერთგული მაყურებელი. მედიასაშუალებებიდან მიღებული ინფორმაცია კი თითოეულის განწყობაზე, ქცევასა და დამოკიდებულებებზე გარე სამყაროსთან მიმართება-ში გავლენას ახდენს. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ფარულ პროპაგანდას ადამიანები, ხშირად, თავადაცვერ აცნობიერებენ.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, როდესაც საქმე ბავშვებს ეხება. მათი უფლებების დაცვა, არასრულწლოვანთა პოზიტიური მხარეების წარმოჩენა, ჩართულობა სამოქალაქო საზოგა-

დოების ცხოვრებაში მომავალი თაობების განვითარებისათვის წინ გადადგმული უდიდესი ნაბიჯია. ამის სანაცვლოდ კი სხვადასხვა მედია საშუალებაში ხშირად ვხვდებით სტერეოტიპულ მიღებას, დისკრიმინაციის შემცველ წინადადებებს, როგორიცაა „უნარშეზღუდული“. პრობლემად რჩება ბავშვთა იდენტიფიცირების საკითხიც - მედიის წარმომადგენლები მშობელთა ნებართვის გარეშე ამჟღავნებენ არასრულნლოვანთა ვინაობას, აქვეყნებენ მის ფოტოს და ა.შ., რასაც შეიძლება, გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს.

ნაშრომში ასახული პრობლემატიკა თავისთავად მეტყველებს თემატიკის აქტუალობაზე. გაანალიზებულია, რამდენად აკმაყოფილებს თანამედროვე ქართული ახალი მედია ეთიკურ ნორმებს და შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

კვლევის მიზანია 2012 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდის საქართველოს ახალ მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების ანალიზი, უურნალისტურ სტანდარტებსა და პრინციპებთან შესაბამისობის დადგენა და არსებული ვითარების შეფასება.

მთავარი კითხვაა, ემპირიული მასალების შესწავლის შედეგად გაირკვეს, არღვევენ თუ არა ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ბავშვთა უფლებებსა და აგრეთვე დეკლარაციებით გათვალისწინებულ უურნალისტურ სტანდარტებს (საუბარია საკვლევი პერიოდის განმავლობაში).

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და პრაქტიკული რეკომენდაციები, რა უნდა გაკეთდეს არსებული მდგომარეობის ოპტიმიზაციისათვის.

### მეთოდოლოგია

ახალი მედიის სხვადასხვა გვერდზე გამოქვეყნებული ბავშვთა საკითხების ანალიზისათვის გამოყენებულია კვლევის რაოდენობრივი მეთოდი. საანალიზო პერიოდის განმავლობაში ხდებოდა ინტერნეტში განთავსებული შესასწავლი თემის შესახებ მასალების მოძიება-განხილვა. სულ კვლევის პერიოდში გაანალიზებულია 150-მდე სტატია და/ან მოკლე ჩანაწერი, ე.წ ნიუსი. მათ შორის [www.presa.ge](http://www.presa.ge)-ს 9, [www.internet.ge](http://www.internet.ge)-ს 30, [www.ambebi.ge](http://www.ambebi.ge)-ს 22, [www.info9.ge](http://www.info9.ge)-ს 64, <http://ick.ge>-ს 1, [www.media.ge](http://www.media.ge)-ს 1, <http://pirweli.com>-ს 18 სტატია.

კვლევაში ჩართული და განხილულია უურნალისტ ნინო დანელიას ანგარიში, სახელწოდებით, „ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში“.

კვლევის შინაარსიდან და ფორმატიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ, მოხდა ზემოთ ვლილი თითოეული სტატიის შინაარსობრივი ანალიზი.

### კვლევის შედეგები

#### შინაარსობრივი ანალიზი და შესაბამისობა უურნალისტურ სტანდარტებთან

კვლევაში ჩართული ვებ გვერდების დაკვირვების შედეგად ტენდენცია გამოიკვეთა. ბავშვებთან დაკავშირებული გარკვეული თემები, ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების მაგალითზე შეიძლება, ითქვას, პოლიტიზირებულია. არასრულნლოვანთა მიმართ განხორციელებულ ძალადობაში, არასათანადოდ მოპყრობასა და არასტაბილური მდგომარეობის არსებობაში მედიასაშუალებების ნაწილი პოზიციას ღიად აფიქსირებს და ბრალს მთავრობას სდებს, ნაწილი - ოპოზიციას.

[www.presa.ge](http://www.presa.ge) – საკვლევი პერიოდის განმავლობაში ბავშვთა საკითხებისადმი მიძღვნილი სულ 9 სტატია გამოქვეყნდა.

5 ოქტომბერს „presa.ji“ გვერდზე განთავსდა სტატია<sup>1</sup>, სათაურით, „ზუგდიდში გუშინ ტრაგიკულად მოკლული 1 წლისა და 7 თვის ნიკა კვირტიას ოჯახის ახლობლები მომზდარის შესახებ „presa.ji“ – სთან პირველად საუბრობენ“. სტატიის ბოლოს უურნალისტი წერს, „მიმდინარეობს გამოძიება, ამ ეტაპზე ეს არის ჩემი პასუხი ყველა თქვენს კითხვაზე, – აღნიშნა მახარაძემ (შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა).“

<sup>1</sup> <http://presa.ge/new/?m=crimes&AID=19415>.

აშკარაა, აქციის დასრულების შემდეგ ბავშვის ტრაგიულად დაღუპვაში ეჭვმიტანილი პირი ამ დროისათვის დასახელებული არ არის, თუმცა, სტატიის ავტორი სათაურშივე უსვამს ხაზს პირად დამოკიდებულებას სიტყვით „მოკლული“ (შესაძლებელია, მომხდარი უბედური შემთხვევა ყოფილიყო) და ამით მომხდარს საკუთარ შეფასებას აძლევს. ჯაბა დათუაშვილი (სტატიის ავტორი) აქვე ყურადღებას ამახვილებს გურჯაანის რაიონში მომხდარ უბედურ შემთხვევაზე 9 თვის ბარბარე რაფალიანცის მკვლელობასთან დაკავშირებით და წერს, „ცნობისთვის, ბოლო დღეების განმავლობაში მცირენლოვანი ბავშვების ტრაგიულად გარდაცვალების ეს უკვე მეორე შემთხვევაა“. რამდენიმე წინადადების შემდეგ იმავე სტატიაში იკითხება „მაშინ, ივანიშვილის ტელევიზიაც და ბერიკაშვილიც ურცხვად აცხადებდნენ, რომ ბავშვზე შური პოლიტიკის გამო იძიეს, რადგან მისი მშობლები „ქართული ოცნების“ აქტივისტები არიანო“.

საფიქრებელი და მოსალოდნელია, უურნალისტის ამ ფრაზამ საზოგადოებაში - მის მკითხველთა წრეში მაინც, ეჭვი და შურისძიების გრძნობა გამოიწვიოს. აშკარაა, უურნალისტი ერთმანეთში ურევს ფაქტსა და შეფასებას. ამგვარი ქცევა არაეთიკურია. პირდაპირ ეწინააღმდეგება „საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს“<sup>1</sup> მიერ შემუშავებულ ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლს:

„უურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.“

რაც შეეხება ზოგად განწყობას, ამ ვებ გვერდზე ბავშვთა საკითხებზე პოზიტიური ან ნეიტრალური სტატიებია განთავსებული. რასაც ვერ ვიტყვით შემდეგ საინფორმაციო პორტალზე.

[www.internet.ge](http://www.internet.ge) – 6-თვის განმავლობაში 30 სტატია მიეძღვნა ბავშვთა საკითხებს. მათგან ერთი [www.presa.ge](http://www.presa.ge)-ს იდენტურია, მხოლოდ სათაურია შეცვლილი<sup>2</sup>. „ინტერვიუ „ქართული ოცნების“ აქციას შეწირულ წლისა და 7 თვის ბავშვის ოჯახთან“. აღსანიშნავია, შეფასებით სიტყვა „შეწირულს“ უურნალისტის რესპონდენტი არ იყენებს. მის-ის წარმომადგენელი ამ ერთი წინადადებით ქმნის განწყობას, რომ მცირენლოვანი ბავშვის გარდაცვალება საზოგადოების გარკვეული ჯგუფების პოლიტიკური აქტივობის უარყოფითი შედეგია. სახეზეა უურნალისტის მხრიდან სუბიექტური შეფასება და ეთიკის დარღვევის ფაქტი-

„უურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას-მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“ („საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს“ ეთიკის კოდექსი, მუხლი<sup>3</sup> პირველი).

საანალიზო პერიოდში განხილულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ 30 სტატიიდან 2 შედარებით პოზიტიურია „17 სექტემბერს ყველა პირველკლასელს ნეტ-ბუკი მერხზე დახვდება“ და „2011-2012 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროს მედლები გადაეცათ“. დანარჩენ უმეტეს შემთხვევაში აქცენტი ნეგატიურ თემებზე კეთდება. მიუღებელია ყურადღების უარყოფით თემებზე გადატანა, რადგან სტერეოტიპული შეხედულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

[www.ambebi.ge](http://www.ambebi.ge) - საინფორმაციო პორტალი საკვლევი სუბიექტის შესახებ 22 სტატიას აქვეყნებს.

მათ შორის ერთი-ერთია 22 ოქტომბერს განთავსებული ნამუშევარი,<sup>4</sup> სადაც უურნალისტი ერთი ოჯახის საცხოვრებელს აღნერს მრავალი შეფასებითი სიტყვების გამოყენებით: „კოშმარი“, „ძაღლის ბუდრუგანაში შეყრილი თურმანიძეების შვიდი შვილი“. უურნალისტი ღიად საუბრობს თურმა-

<sup>1</sup> საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს 2010 წლის ანგარიში, თბილისი, 2011

<sup>2</sup> <http://www.internet.ge/?l=GE&m=10&sm=0&ID=12904>

<sup>3</sup> საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს 2010 წლის ანგარიში, თბილისი, 2011

<sup>4</sup> <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/63911-ckhovreba-romelic-koshmarze-uaresia.html>

ნიძების საცხოვრებელი პირობების გაცნობის შემდეგ საკუთარ განცდებსა და ემოციებზე. ერთი მხრივ, მისასალმებელია უურნალისტის წერის ასეთი მანერა, რადგან კარგად გადმოსცემს სოციალურად დაუცველი ოჯახის გასაჭირს. სტატიას თან ერთვის 4 ფოტოც. თუმცა, უურნალისტური ნამუშევარი არასრულია-ცალმხრივია და არ ჩანს პასუხისმგებელი პირის კომენტარი, შეფასება.

რაც შეეხება სტატიების შინაარსობრივ და ემოციურ დატვირთვას, მეტ-ნაკლებად იწერება როგორც ნეგატიურ ასევე პოზიტიურ თემებზე. საერთო ჯამში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ვებ პორტალის გამოხატვის ენა ნეიტრალურია.

<http://ick.ge/> – გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში ოჯახის წევრების მიერ 9 თვის ბავშვის ბარბარე რაფალიანცის გვამის ქვევრიდან ამოყვანის კადრები<sup>1</sup> კახეთის საინფორმაციო სააგენტომ 30 სექტემბერს გაავრცელა. ვიდეომასალაში ჩანს ქვევრიდან გვამის ამოყვანის მომენტი და ახლობლების მიერ მისი გადარჩენის მცდელობა. ფაქტები შემზარავია. საფიქრებელია, რომ მსგავსი მასალის სრული სახით განთავსება, არაეთიკურია. ამ შემთხვევაში, შეიძლება, ითქვას, დაირღვა „უურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმძღვანელო პრინციპები „ბავშვის უფლებები და მედია: ბავშვის პრობლემებისადმი მიღვნილი საკითხების განხილვის სახელმძღვანელო მითითებები და პრინციპების“ ერთ-ერთი პუნქტი<sup>2</sup>.

„უურნალისტმა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ არ გადაუხვიონ უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებსა და ნორმებს ბავშვთა პრობლემების გაშუქებისას. კერძოდ:

3. მოერიდონ პუბლიკაციებისათვის პოპულარობის მოპოვების მიზნით ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების სენსაციურ და სტერეოტიპულ გაშუქებას“.

[www.pirweli.com.ge](http://www.pirweli.com.ge) და 18 სტატია გამოქვეყნდა. მათგან ბავშვთა პოზიტიურ და ნეგატიური საკითხების გაშუქების შემთხვევები 50/50-ზე იყო. უურნალისტური საქმიანობის არაპირნათლად შესრულების მაგალითია საინფორმაციო სააგენტო „პირველი<sup>3</sup>“-ს მიერ 24-სექტემბერს გამოქვეყნებული ლალი მოროშკინას განცხადება. როგორც ირკვევა, პორტალმა მოროშკინას რამდენიმე ციტატა გაზირ „ქრონიკიდან“ ამოილო. აქ მიცემულ ინტერვიუში უურნალისტი სამი ქალის სახელსა და გვარს ასახელებს და აცხადებს, რომ ისინი მკვლელები არიან. აკონკრეტებს ამავე პირების მხრიდან არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ ჩადენილი შეურაცხმყოფელი ქმედებების შემთხვევებსაც. აშკარაა, საინფორმაციო სააგენტოს წარმომადგენლობა მოცემულ ვითარებაში დაინტერესებულია მხოლოდ სენსაციური მასალის გავრცელებით. რადგან, გარდა მოტანილი ციტატისა, აქ არ ვხვდებით საჯაროდ ბავშვების „მკვლელი“ ადამიანების კომენტარებს. მოროშკინას მიერ დასახელებული სამი ქალის, ან თუნდაც სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ჩანერა და მისი ციტატის დართვა მოცემულ მომენტში უურნალისტის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს. ამ შემთხვევას სიმძაფრეს მატებს ის, რომ საქმე ბავშვებს ეხება. ამიტომ, ასეთ სენსიტიურ საკითხებზე მუშაობისას მედია ორგანიზაციებს მეტი ყურადღება მოეთხოვება.

[www.info9.ge](http://www.info9.ge) – საინფორმაციო პორტალმა საკვლევი პერიოდის განმავლობაში ბავშვთა თემატიკასთან დაკავშირებული ყველაზე მეტი ვიდეო გამოაქვეყნა. ეს ბუნებრივიცაა, მას კორესპონდენტები მთელი საქართველოს მასშტაბით ჰყავდა. სულ 64 ვიდეოა განთავსებული. ბავშვთა საკითხების გაშუქებისას უხეში შეცდომები ფიქსირდება.

<sup>1</sup> <http://www.palitrav.ge/akhali-ambebi/shemthkhveva/21962> შემზარავი კადრები 10-თვის-ბარბარე-რაფალი-ანის-გარდაცვალებასთან -დაკავშირებით-18.html.

<sup>2</sup> ბავშვის უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიღვომა, UNICEF, 2011, გვ. 53.

<sup>3</sup> <http://pirweli.com.ge/?menuid=8&id=16316>.

„ნაციონალების“ აგიტაციაში ჩართული ბავშვები”<sup>1</sup> - „მარნეულში ბიძინა ივანიშვილის სტუმრობის დროს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა მცირენლოვან ბავშვებს მმართველი პარტიის მაისურები და ფლაერები დაურიგეს და „მე მიშა მიყვარს“ სკანდირება დაავალეს.“ - უურნალისტი მიკროფონით ხელში კამერის წინ სრულიად დაუფიქრებლად მიდის ბავშვებთან და ეკითხება, რა მისცეს მათ იმის სანაცვლოდ, რომ იქ იდგნენ და „მიშა მაგარია იყვირონ“. ბავშვები პასუხობენ, ფული მოგვცესო. არც ამას ჯერდება უურნალისტი და კითხვას სხვა ბავშვს უსვამს, „რამდენი მოგცეს“, პასუხის შემდეგ კიდევ კითხვა, „სათითაოდ დაგირიგეს ამდენი?“.

უურნალისტის უნდა ესმოდეს, რომ მას არ აქვს ბავშვების იდენტიფიცირების უფლება, თუ ამაზე არ აქვს მეურვის ან მშობლის ნებართვა. ყველა ბავშვი ჩანს კადრში და მათი იდენტიფიცირებაც შესაძლებელია.

„ახალციხელი მოსწავლეები, პრეზიდენტთან შესახვედრად ბორჯომში წაიყვანეს“<sup>2</sup> – ამ შემთხვევაშიც გაუმართლებელია უურნალისტის ქცევა. ბავშვებს დასდევს მიკროფონით. არასრულნლოვნები თავს არიდებენ და არ სურთ მასთან საუბარი. თუმცა, მედიის წარმომადგენელი, თითქოს, დამნაშავეები რაიმეში ამხილა, დასდევს და სათითაოდ ეკითხება: რამდენი წლისაა, სად სწავლობენ. უნდა აცნობიერებდეს, რომ მისმა ამგვარმა საქციელმა შეიძლება, საზოგადოება ნეგატიურად წაახალისოს. მით უმეტეს, რომ გასათვალისწინებელია წინაასარჩევნო კამპანიის პიკი და განსაკუთრებული დაძაბულობა.

„სასწავლო პროცესიდან გამოყრილი სკოლის მოსწავლეები“<sup>3</sup> – პირველ რიგში, სიტყვა „გამოყრილები“ თავისითავად უკვე შეფასებითია და უურნალისტის დამოკიდებულებას ასახავს საკითხის მიმართ. მეორე და მნიშვნელოვანი, რაც უკვე არაერთხელ დაფიქსირდა ამ საინფორმაციო სააგენტოს მუშაობის პროცესში, დაუკითხავად იღებს ბავშვებს - არასრულნლოვნებს, ესაუბრება ჩართული კამერის წინ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მანდატურმა გააფრთხილა, არ გადაელო და არ შესულიყო ბავშვებთან კონტაქტში, რადგან ამის უფლება არ ჰქონდა, ის არასრულნლოვნებს მაინც გაესაუბრა. თუმცა, ამ შემთხვევაში, უკვე მისი რესპონდენტები დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები აღმოჩნდნენ.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო9“-ის გვერდზე 23 სექტემბერს გამოქვეყნებულ ვიდეოში<sup>4</sup> საუბარია სკოლიდან გარიცხულ რამდენიმე ბავშვზე. პასუხისმგებელ პირთან - დირექტორთან საუბრისას უურნალისტი ღიად და აშკარად ასახელებს ყველა გარიცხული ბავშვის გვარ-სახელს. აღსანიშნავი და ყურადსალებია ის ფაქტი, რომ მედიას არ აქვს ბავშვის იდენტიფიცირების უფლება, მისი ნებართვის გარეშე, გარდა საზოგადოების მხრიდან მაღალი ინტერესისა.

არასრულნლოვანთა უფლებების დაცვის ვალდებულებას უურნალისტებს „უურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპებიც“ უყენებს. კერძოდ<sup>5</sup>:

5. თუ ამას საზოგადოებრივი ინტერესი არ მოითხოვს, დაიცვან ბავშვის ვინაობა და არ გამოაქვეყნონ მისი ფოტოები.

ვიდეომასალიდან გამომდინარე, აშკარაა, სკოლიდან გარიცხული მოსწავლეების მიმართ მაღალინტერესს მხოლოდ მათივე ოჯახის წევრები იჩენენ და არა-საზოგადოება. ამდენად, არ იყო არას-

<sup>1</sup> <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=4636>

<sup>2</sup> <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=5769>

<sup>3</sup> <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=6074>

<sup>4</sup> <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=5530>

<sup>5</sup> ბავშვის უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, Iჩ, 2011, გვ.74.

რულწლოვანთა გვარ-სახელების დასახელება აუცილებელი. უურნალისტმა დაარღვია ბავშვების უფლებები. აგრეთვე - პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ „პეკინური წესები“. თავი<sup>1</sup> მე-8.

8.1. ყველა ეტაპზე დაცული უნდა იქნეს არასრულწლოვანის უფლება პირად ცხოვრებაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასათანადო საჯაროობით ან რეპუტაციის შელახვით გამოწვეული ზიანი.

8.2. ზოგადად არ უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანის ვინაობის დადგენას.

მე-8 მუხლის კომენტარში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდები განსაკუთრებით ექვემდებარებიან სტიგმატიზაციას. რეპუტაციის შელახვის შესახებ კრიმინოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ არასრულწლოვნის მუდმივ იდენტიფიკაციას სამართალდამრღვევებად და დამნაშავეებად მოსდევს სხვადასხვა სახის დამღუპველი შედეგები. სწორედ ამიტომ, მე-8 წესი ხაზგასმით აღნიშნავს არასრულწლოვანის დაცვის აუცილებლობას საქმესთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ინფორმაციის (მაგ., ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, მსჯავრდებულის სახელები) ვინაობის შედეგებისაგან.

„ინფო9“-ის უურნალისტი, საინფორმაციო სააგენტოს ვებ გვერდზე განთავსებულ ვიდეოში<sup>2</sup>, ჩანს, 2 წლის წინათ დაკარგული ბავშვის მშობლებს ესაუბრება. ისინი შვილის კლასელის სახელსა და გვარს ახსენებენ და აღნიშნავენ, ამ ბავშვთან ერთად სახლიდან გასული მცირენწლოვანი შინ აღარ დაბრუნებულა. საუბრიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, რომ მშობლები შვილის თანაკლასელს ეჭვმიტანილად მიიჩნევენ.

უურნალისტმა მშობლების მიერ ხაზგასმით აღნიშნული ბავშვის ვინაობა არ დაფარა. გარკვევით ისმის, „ბრალდებულის“ გვარ-სახელი. თუმცა, აშკარაა, მეურვეებთან გასაუბრება, არ უცდია. მთელი ვიდეომასალა დაკარგული არასრულწლოვნის დედისა და მამის საუბარს ეთმობა. უურნალისტური ნამუშევარი ცალმხრივია. არაა სამართალდამცავების კომენტარი. უურნალისტმა დაარღვია დაკარგული ბავშვის თანაკლასელის უფლებები. შესაძლებელი და მოსალოდნელია, საზოგადოებას ამ არასრულწლოვნის მიმართ ჩამოუყალიბდეს აგრესია და გახდეს გაკიცხვის ობიექტი.

12 სექტემბერს „ინფო9“-ის მიერ გამოქვეყნებულ ამ ვიდეომასალაში<sup>3</sup> საუბარია სოციალურად დაუცველ ოჯახზე. ყურადღება მახვილდება ოჯახის უკიდურეს სილარიბესა და საცხოვრებელი გარემოს ანტისანიტარულ მდგომარეობაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბავშვი მანიპულაციისათვის არის გამოყენებული. გარდა ამისა, უურნალისტს არ ჰყავს არც ერთი რესპონდენტი, გარდა ახალგაზრდა ქალისა, ვინც გაჭირვებას ჩივის. ამ შემთხვევაში, უმჯობესი იქნებოდა, მედიის წარმომადგენელს მოპასუხე მხარის, მაგალითად, იმავე რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელიც ჩაეწერა.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო9“ 14 ოქტომბერს ავრცელებს სიუჟეტს<sup>4</sup>, რომელიც სენაკის ბავშვთა სახლს ეხება. საუბარია, იქ არსებულ არასახარბიელო ვითარებაზე. უურნალისტი ვიდეომასალის მინანერში არღვევს უურნალისტურ სტანდარტებს და იყენებს პირის დამაკნინებელ ტერმინს: „სენაკის უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლის ყოფილი ბენეფიციარი ვალერი ჩიტაია ბავშვთა სახლში არსებულ უკანონობასა და დარღვევებზე საუბრობს.“ ცხადია, უურნალისტს „უნარშეზღუდულის“ ნაცვლად, ტერმინი „განსაკუთრებული საჭიროების მქონე“ უნდა გამოეყენებინა. ვიდეოს შინაარსი არაეთიკურია და უურნალისტური საქმიანობისათვის შეუფერებელი. მედიის წარმომადგენელს რესპონდენტად ჰყავს შშმ ბავშვი, ამავე სახლის აღსაზრდელი, რომელიც ვერ მეტყველებს გამართუ-

<sup>1</sup> ბავშვის უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, UNICEF, 2011, გვ. 111.

<sup>2</sup> <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=4617>

<sup>3</sup> <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=4526>

<sup>4</sup> <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=7263>

ლად. ხელს ადებს და ადანაშაულებს აღმზრდელებს ცუდად მოპყრობაში და ამბობს, რომ უურნალისტების წასვლის შემდეგ ისინი უარესად მოექცევიან. ვიდეოში კარგად ჩანს, როგორ იცინიან აღმზრდელები გაპრაზებული არასრულნლოვნის საუბარზე, აშკარაა, სახეზეა „გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლის დარღვევის შემთხვევა<sup>1</sup>.

- მე-19 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ბავშვებს უფლებები აქვთ, დაცული იყვნენ ბავშვზე მზრუნველი პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ სულიერი ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, მათ შორის სექსუალური ძალადობისაგან.

უურნალისტი კი მის დამშვიდებას ხელის გადასმით ცდილობს. უურნალისტმა უხეშად დაარღვია ამ ბავშვის უფლებები. მან საფრთხე შეუქმნა ბავშვის უსაფრთხოებას.

„ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელის“ ეთიკურ სახელმძღვანელო პრინციპებში ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისათვის მითითებულია<sup>2</sup>.

- თუ ეჭვობთ, რომ ბავშვს საფრთხე ემუქრება, მოყვით ბავშვებთან დაკავშირებული ზოგადი სიტუაციის შესახებ და არა - კონკრეტული ბავშვისა, რამდენად სენსაციურიც უნდა იყოს ეს ამბავი.

ბავშვებზე ზენოლის მოსალოდნელი ფაქტის შესახებ ინფორმაციის ფლობისას, უურნალისტი ვალდებულია გაითვალისწინოს აგრეთვე „bi-bi-si“-ს სარედაქციო პრინციპები ბავშვების გაშუქებასთან დაკავშირებით<sup>3</sup>. პროგრამის შინაარსზე პასუხისმგებელმა ადამიანმა, რომელიც თავის პროდუქციაში აპირებს ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართვას:

- უნდა მოიპოვოს თანხმობა ბავშვის ან ახალგაზრდისგან, ხოლო უარის შემთხვევაში პატივი სცეს მის გადაწყვეტილებას. იმის გადაწყვეტილისას, შეუძლია თუ არა ბავშვს ინტერვიუზე თანხმობის მიცემა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი განვითარების დონე, ასაკი და ინფორმაციის გათვითცნობიერების უნარი.

- უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვს განემარტოს მისი მონაწილეობის ნებისმიერი სავარაუდო შედეგები, მაგალითად, მასზე ზენოლის შესაძლებლობა.

„ინფო9“-ის უურნალისტის მიერ ქობულეთში არსებული სკოლა-პანსიონის შესაძლო დახურვის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში<sup>4</sup> ჩანს იქ მცხოვრები ბავშვების სახეები თამაშის, ჭამის დროს. თავისუფლადაა შესაძლებელი მათი იდენტიფიცირება. მართალია, ე.წ. კადრისთვის (გადასაფარად) სკოლაში ბავშვების ყოფნა აუცილებელია, მაგრამ არაა მიზანშენონილი ასეთი ტიპის დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების გადაღება, თანაც მათი მეურვეების გარეშე. უურნალისტი არღვევს ბავშვთა უფლებებს. თუმცა, სხვა მხრივ აღსანიშნავია, რომ ეს სიუჟეტი დაბალანსებულია. ჩანს სკოლის წარმომადგენლებისა და მოპასუხე მხარის კომენტარები. თუმცა, მეტი სარწმუნობისათვის უმჯობესი იქნებოდა, საკვებზე საუბრის დროს ადმინისტრაციის წევრების ნაცვლად სკოლის აღსაზრდელს ესაუბრა (უმჯობესი იქნებოდა, თუ მათი იდენტიფიცირება არ მოხდებოდა).

კვლევაში გამოყენებული მედია ორგანიზაციების მაგალითებში უურნალისტების მხრიდან შეცდომები შეიძლება, იმით აიხსნას, რომ ზოგიერთი ახლადშექმნილია, ზოგი მეტად პოლიტიზებულია და ა.შ.

<sup>1</sup> ბავშვის უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, UNICEF, 2011, გვ. 91

<sup>2</sup> ბავშვის უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, UNICEF, 2011, გვ. 77

<sup>3</sup> ბავშვის უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, UNICEF, 2011, გვ. 82

<sup>4</sup> <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=7738>

აქვე საკვლევის თემების ბოლოს გაანალიზებულია მკვლევარისა და უურნალისტის ნინო დანელიას კვლევის ანგარიში, სათაურით „ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში“<sup>1</sup>. კვლევა 2012 წელს მაისში არის ჩატარებული. საინტერსო და მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რაც აქ იყითხება. თუმცა, უურნალისტის მხრიდან კვლევაში ისეთი უხეში შეცდომის დაშვება და ტერმინის გამოყენება, როგორიცაა „უნარშეზღუდული“ მიუღებელია. თუ მკვლევრები, რომლებიც ავტორიტეტები არიან და მათს შემოქმედებას დამწყები უურნალისტები მაგალითის ასაღებად გაეცნობიან, ასეთ შეცდომებს უშვებს, მაშინ არც ზემოთ განხილული მაგალითებია გასაკვირი.

### **დასკვნა**

განხილული 7 მედიასაშუალების ბავშვთა საკითხებზე გამოქვეყნებული 150-მდე მასალის მიხედვით შეიძლება, ითქვას, რომ ქართულ უურნალისტიკაში დიდი აქცენტია ბავშვთა მკვლელობის, დაკარგვის, უფლებების დარღვევის შესახებ. საკვლევ სტატიებსა და ვიდეო მასალებში საუბარია აგრეთვე სოციალურად დაუცველ ბავშვებზე. ძირითადი აქცენტი მაინც გადატანილია ბავშვთა ნებატიური საკითხების გაშუქებაზე.

ბავშვთა მონაწილეობით გამართული კულტურული ან სხვა სახის ლონისძიებების შესახებ აღნიშნულ მედიასაშუალებებში მასალები არაა გამოქვეყნებული.

ბავშვები ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან. უურნალისტური გარემო უნდა ზრუნავდეს, ბავშვების განვითარებაზე, მათს ჩართულობასა და გააქტიურებაზე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრებისა. ამ მხრივ მედიას ბევრის გაკეთება შეუძლია.

პრობლემურია და არასწორია უურნალისტების მხრიდან კითხვის დასმის კულტურაც. დაუშვებელია მიმართულების მიმცემი კითხვების გამოყენება, მაგ., „თქვენ ხშირად გისწორდებიან ფიზიკურად ბავშვთა სახლში, ხომ?“ მსგავსი შეცდომები მრავლად მოიძებნება.

რადგანაც განსახილველი უურნალისტური ნამუშევრები სხვადასხვა საინფორმაციო გვერდიდან განსხვავებული რაოდენობითაა წარმოდგენილი, ამიტომ არ იქნება სამართლიანი საუბარი თუ სად მეტი შეცდომაა. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია, ყურადღება გამახვილდეს, სად უფრო უხეში შეცდომები იყო დაშვებული. ამის კარგი მაგალითია „presajji“-ს სტატია „პოლიტიკური სარჩულითა“ და უურნალისტის შეფასებებით. მეორე, ალბათ, ყველაზე საინტერსო ქეისი, ესაა საინფორმაციო სააგენტო „ინფო9“-ის სიუჟეტი შშმ ბავშვთა სახლზე, სადაც ერთ-ერთი რესპონდენტი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვია.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მედია საშუალებების მიერ განხილული ბავშვთა საკითხები ზედაპირულადა და ცალმხრივადა გაშუქებული. საჭიროა, მეტი ჩაღრმავება, ფაქტებისა და შეფასებების ერთმანეთისაგან განცალკევება.

### **რეკომენდაციები**

საკვლევ პერიოდზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ უურნალისტები ხშირად პროფესიული თვალსაზრისით არაეთიკურად იქცევიან. საფიქრებელია, ეს მათი უცოდინარობის ბრალია. ამიტომ, ამ პრობლემის გამოსასწორებლად საჭიროა, რაც შეიძლება მეტი უურნალისტური ტრენინგის ჩატარება სპეციალისტების მიერ, სადაც გაეცნობიან ბავშვებისადმი მიძღვნილი საკითხების გაშუქების უურნალისტურ სტანდარტებს.

თავად მედიის წარმომადგენლებმა უნდა გაითავისონ, რომ არასრულწლოვანთა პრობლემების გაშუქება საჭიროა მათივე პირობების გაუმჯობესებისათვის. აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის პერსპექტივები.

ყველა მედია ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს პროფესიული ქცევის სტანდარტები. მომუშავე უურნალისტებს კი დაევალოთ ამ სტანდარტების დაცვა.

<sup>1</sup> [http://www.media.ge/sites/www.media.ge/files/bavshvta\\_sakitxebis\\_gashukeba\\_qartul\\_satelevizio\\_mediashi.pdf](http://www.media.ge/sites/www.media.ge/files/bavshvta_sakitxebis_gashukeba_qartul_satelevizio_mediashi.pdf)  
გვ. 9 (იხ. დანართი)

„ყურადღება<sup>1</sup> უნდა მიექცეს, აგრეთვე, ბავშვებში მედიის შესახებ ცოდნის გავრცელებას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აფასებდნენ მედიის როლს სამოქალაქო საზოგადოებაში და შეეძლოთ, კრიტიკულად შეხედონ ამას, რათა უურნალისტები ითვალისწინებდნენ ბავშვების საჭიროებებს, პრობლემებს და უფლებებს.“

კარგი იქნება მეტი საბავშო გადაცემის გაკეთება. ბავშვთა პოზიტიური საკითხების გაშუქებაც და არა ისეთი სტერეოტიპული ხედვის ჩამოყალიბება, როგორიცაა, მაგ., საქართველოში დღეს საცოდავი და ყველანაირად დაუცველი ბავშვები ცხოვრობენ. ხელი უნდა შეეწყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

აქვე გასათვალისწინებელია 2007 წელს იუნისეფის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევა, რამაც „ოჯახში ბავშვზე ძალადობის ძალიან მაღალი დონე გამოავლინა<sup>2</sup>“. მნიშვნელოვანია ის მოსაზრებაც, რაზეც უურნალ „ლიბერალის“ სტატიაშია საუბარი. „ფსიქოლოგები თანხმდებიან, რომ ბავშვზე ძალადობა ოჯახში ქალზე ძალადობის პირდაპირპოპორციულია. 2010 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით კი საქართველოში ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლია“. ამ ლოგიკით, მაშინ ყოველი მესამე ბავშვი შეიძლება, ძალადობის მსხვერპლი იყოს. მნიშვნელოვანია, ამ მეტად სერიოზული პრობლემის გააზრება. მცირე სტრესის გაღრმავებას, რომელიც ოჯახური პირობებიდან შეიძლება, მომდინარეობდეს, უურნალისტმა ხელი არ უნდა შეუწყოს.

დაბოლოს, რაც, ალბათ, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, ბავშვთა საკითხების გაშუქები-სადმი მიძღვნილი ტრენინგების, კვლევების ჩატარება, ისევე როგორც მედიაში მუშაობა და მაგალითად, არასრულწლოვანთა თემებზე სიუჟეტების მომზადება, უნდა დაევალოთ ამ საქმის პროფესიონალებს!

### **ლიტერატურა და მასალები:**

1. საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს 2010 წლის ანგარიში, თბილისი, 2011
2. ბავშვის უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, Iჩ, 2011
3. [http://www.media.ge/sites/www.media.ge/files/bavshvta\\_sakitxebis\\_gashukeba\\_qartul\\_satelevizio\\_mediashi.pdf](http://www.media.ge/sites/www.media.ge/files/bavshvta_sakitxebis_gashukeba_qartul_satelevizio_mediashi.pdf) gv. 9 (ix. danarTi)
4. <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/111247/>
5. <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=7263>
6. <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=4617>
7. <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=4526>
8. <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=5530>
9. <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=5769>
10. <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=6074>
11. <http://pirweli.com.ge/?menuid=8&id=16316>
12. <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=4636>
13. <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/63911-ckhovreba-romelic-koshmarze-uaresia.html>
14. <http://www.palitraty.ge/akhali-ambebi/shemthkhveva/21962-shemzaravi-kadrebi10-thvis-barbare-rafalianis-gardacvalebasthan-dakavshirebith-18.html>
15. <http://presa.ge/new/?m=crimes&AID=19415>
16. <http://www.internet.ge/?l=GE&m=10&sm=0&ID=12904>

<sup>1</sup> ბავშვის უფლებები და უურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, UNICEF, 2011, გ3. 50

<sup>2</sup> <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/111247/>

## სალომე ჩავლეიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო ჭალაგანიძე

### სოციალური მედიის ტენდენციები საქართველოში

აგერ, უკვე მესამე ათეული წელია, სამყარო წარმოუდგენელია გლობალური ქსელის გარეშე. ინტერნეტბანკინგი, ინტერნეტშოპინგი, კომუნიკაციის ინტერნეტ-დაფარვა, ინტერნეტი, როგორც ინფორმაციის წყარო: ინტერნეტ-გაზეთი, აუდიო თუ ვიდეოქსელი, სოციალური მედია- ყველაფერი ეს თანამედროვე მომხმარებლისთვის მომსახურების აუცილებელი სფეროებია.

ინტერნეტის განვითარების და მისი მომხმარებლის რაოდენობის მატების კვალდაკვალ, სოციალური მედიის როლი ადამიანის ცხოვრებაში სულ უფრო იზრდება. მთავარი მახასიათებელი, რომელიც სოციალურ მედიას ტრადიციულისგან განასხვავებს, ისაა, რომ მისი ძირითადი ნაწილი მომხმარებლის მიერვე იქმნება.

ძნელია ცვლილებების სრულად გაზიარება, როდესაც თავად ამ ცვლილებების ეპიცენტრში იმყოფები. დღეს იცვლება ადამიანთა შორის კომუნიკაციის საშუალებები, იცვლება ინფორმაციის გაცემისა და მიღების ფორმებიც. ამ ყველაფერის მთავარი მიზეზი კი ინტერნეტია.

ინტერნეტი გასული საუკუნის სამოციან წლებში აკადემიურ წრეებში გაჩნდა. უკვე ოთხმოცდა-ათიანებში ნებისმიერ მსურველს მოდემის საშუალებით ინტერნეტში ჩართვის საშუალება მიეცა. ხოლო 2000-იან წლებში ვებ 2.0 პრონციპების ჩამოყალიბებამ, ინტერნეტის, ფაქტიურად, ხელახალი დაბადება განაპირობა.

„მას შემდეგ, რაც ინტერნეტმა ტრადიციული მედიასაშუალებების ფუნქციები შეითვისა, ადამიანები მიხვდენენ, რომ მსოფლიო აბლაბუდა მათ არამარტო ინფორმაციის მიმღებ, არამედ გადამცემად ყოფნის საშუალებასაც აძლევდა“.<sup>1</sup>

რაც მთავარია, ზოგადად, ინტერნეტმა და, კონკრეტულად, სოციალურმა მედიამ, საბოლოოდ ჩამოაყალიბა ახალი პრინციპები და ტრადიციული მედიის სახე საბოლოოდ შეცვალა. რაში გამოიხატება ეს ცვლილებები?

ოდესლაც უურნალისტები მხოლოდ ბეჭდურ მედიაში მუშაობდნენ, შემდეგ გაჩნდა რადიო და მათ შეძლეს აეთვისებინათ ახალი სივრცე. გარკვეული დროის მერე აუდიტორიამ ტელევზიონების-კენ გადაინაცვლა და უურნალისტებმაც არ დააყოვნეს. მედია სულ უფრო და უფრო ოპერატორული ხდებოდა, რეპორტაჟებს ვიდეოგამოსახულებაც დაერთო. დღეს პრესას სულ ნაკლები ადამიანი კითხულობს, ტელევიზორს უყურებენ სახლში, რადიოს უსმენენ ტრანსპორტში. ახალმა მედიამ ინტერნეტში სამივე საშუალებას ერთად მოუყარა თავი.

მომხმარებლის ერთ-ერთი მთავრი მოტივაციაა, წაიკითხოს, მოუსმინოს ან უყუროს ვებზე. ამასთანავე, ახალი მედია ინტერაქტიურია და, ხშირ შემთხვევაში, აქ გამოქვეყნებული მასალის შესახებ აზრის საჯაროდ დაფიქსირებაა შესაძლებელი. ინტერაქტიული ურთიერთობა კი ყველასთვის მომგებიანია – მომხმარებელს საშუალება ეძლევა გამოხატოს საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ავტორს კი მომხმარებლის დამოკიდებულების შესახებ ექმნება წარმოდგენა. ურთიერთობის ეს ფორმა კარგი ინსტრუმენტია ერთნაირი ინტერესების მქონე ადამიანთა ჯგუფების-თვის, მათ საშუალება ეძლევათ, დაგეგმონ და განახორციელონ ესა თუ ის აქტივობა: უბრალოდ შემოიკრიბონ თანამოაზრები, ან რაიმე ერთობლივი საქმე გააკეთონ.

მსოფლიოს მასშტაბით ინტერნეტში ინიცირებულ აქტივობათა უამრავი მაგალითი არსებობს მაგ: 2009 წლის გაზაფხულზე მოლდოვაში განვითაებული მოვლენები „Twitter -ის რევოლუციად“

<sup>1</sup> „ახალი მდინა ძველი მედიისთვის“, 2011.

მოინათლა.ამ პერიოდში კომუნისტური მთავრობის საწინააღმდეგო მოთხოვნებით ქუჩაში ათიათა-სობით ადამიანი გამოვიდა. აქციის მასშტაბურობაში სწორედ, სოციალურმა საიტმა Twitter -მა შეასრულა დიდი როლი.

საინტერესოა, რატომ არის ასეთი მიმზიდველი ახალი მედია და სოციალური ქსელი მომხმარებლისათვის. ეს საკითხი ფსიქოლოგთა შორის პოლულრული კვლევის საგანია, შესაბამისად პასუხებიც სხვადასხვაგვარია:

**ანონიმურობა** - მიუხედავად იმისა, რომ ქსელში რეგალიები იდენტიფიცირებულია პიროვნება მაინც ანონიმური რჩება, რაც მას ურთიერთობაში უფრო თავისუფალს ხდის.

**რისკის დონის დადაბლება**, რაც დადებითდ მოქმედებს აქტიურობაზე.

**ურთიერთობის არაძალისმიერი სურვილი**- ქსელის მომხარებელი, როგორც წესი, საკუთარი ნებით შედის ურთიერთობაში, საკუთარი ნებითვე ასრულებს მას ან წყვეტს დროის ნებისმიერ მონაკვეთში.

**ნერილობითი ურთიერთობა** რომანტიკულს ხდის კომუნიკაციას.

**ემოციური შეზღუდულობა** აიძულებს ტექსტის ემოციურ დატვირთვას.

**არატიპიური მოქმედებისადმი მიდრეკილება** – დაფარული თვისებების გამოვლინება, ანუ „ვირტუალური პიროვნების“ შექმნა.<sup>1</sup>

ამ მახასიათებლები პასუხობს კითხვზე: რატომ არის ინტერნეტი ასეთი მიმზიდველი მომხამარებლისათვის.

„გაეროს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლიოგიების სააგენტოს „(ITU) 2010 წლის მონაცემებით საქართველოში 1,3 მილიონი ინტერნეტ მომხმარებელია- (ქვეყნის მოსახლეობის 28,3 პროცენტი), ეს ბოლო წლებში დიდი ზრდის მაჩვენებელია.ბეჭდური გამოცემები სხვადასხვა სტრატეგიას იმუშავებენ, დღეს სულ უფრო მეტი უურნალი თუ გაზრი ქმნის ვებსაიტებს.გაზეთები, უურნალები და საინფორმაციო სააგენტოები თავიანთი მასალის გასავრცელებლად აქტიურად იყენებენ Facebook სა და Twitter. იზრდება ბლოგსფეროც.

სოციალური მედია საზოგადოების ცალკეული წევრის ან ჯგუფის მიერ შექმნილი მედია საშუალებაა, მაგალითად, ბლოგი, რომელზედაც ხდება ინფორმაციის შენახვა და გადაცემა.თავად სიტყვა ბლოგი (blog) ასე განიმარტება: web blog, ანუ ვებ ჩანაწერი. იგი ერთგვარი ინტერნეტ გვერდია, რომელშიც მისი ავტორი ქრონილოგიური თანმიმდევრობით განალაგებს ჩანაწერებს.

პირველი ბლოგები საქართველოში 2005 წლიდან არსებობს. ბოლო ერთი წელია შეინიშნება ბლოგერთა ზრდა. ქართულ ენოვანი ბლოგით დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია მიმართოს ვებ გვერდს blogroll.ge, აქ არის თავმოყრილი ქართული ბლოგები, აქვეა შესაძლებელი ბოლოდროინდელი ჩანაწერების ნახვა.საქართველოში დაახლოებით ათასამდე აქტიური ბლოგერია.

ქართული ბლოგინგის პოპულარიზაციისთვის დადებითი შედეგები მოაქვს ამა თუ იმ ფონდისა თუ ჯგუფის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებს.საქართველოში სოციალური მედიას და კერძოდ, ბლოგინგის განვითარებაში აქტიურად არის ჩართული ფონდი „ ღია საზოგადოება საქართველო“, რომლის მახარდაჭერითაც შეიქმნა bblogroll.ge. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბლოგინგის განვითარებამდე საკმაოდ დიდი წარმატება მოიპოვა თბილისის ფორუმმა.იგი წლების განმავლობაში ვითარდებოდა, სანამ საბოლოოდ ქვეყნის ძირითად სოციალურ ქსელად არ ჩამოყალიბდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დღესყველაზე პოპულარული და ეფექტური საშუალება ინტერაქტივისთვის Facebook-ია. გლობალურად მისი მომხმარებლების რაოდენობამ 500 მილიონს მიაღწია. ქსელი მომხმარებლებს სხვადასხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობს. მსოფლიოს წამყვან, თითქმის ყველა ბრენდს აქვს თავისი ფან-გვერდი, რომელზეც სიახლეები ვრცელდება. პოპულარობის პარალელურად, ფეისბუქი საფრთხის შემცველია არადემოკრატიულ ქვეყნებში. მისი საშუალებით, ბო-

<sup>1</sup> „ახალი მდინარეების მედიასთვის“, 2011.

ლო დროს არაერთი რევოლუციის დაგეგმვის მოწმენი გავხდით-დღემდე უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდება ქსელის გარშემო.არის თუ არა ჩვენი პირადი ინფორმაცია დაცული, რამდენად ასრულებს უშიშროების სამსახურის დაკვეთებს, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოპოვება რთულია. ფაქტია, რომ Facebook არის ქსელი, რომელშიც, მსოფლიოში წუთში 10 ადამიანი რეგისტრირდება, მათ შორის საქართველოდანაც.

ქვეყანა	კაცები და ქალები	კაცები	ქალები
საქართველო	340,800	147,680	192,980

რა თქმა უნდა, მომხარებლის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. განსხვავებულია მოტივაცია და მიზნები, თუმცა ფაქტი ერთია - ინტერნეტი ეს არის ინოვაცია, რომელმაც თითოეულ მოქალქეს, სოციუმის წევრს მისცა საშუალება იყოს მოვლენების ეპიცენტრში და რაც მთავარია იყოს on line.

და ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რაც ახალმა მედიამ კაცობრიობას მოუტანა, ინტერაქტივის შესაძლებლობასთან ერთად, ესაა ადამიანის, ინდივიდის უნარი, მარტომ, თავად, სხვისი დახმარების გარეშე ანარმონს მედიაპროდუქტი. ამ პროდუქტის პოპულარულობა და წარმატება კი ავტორის ნიჭიერებასა და კრეატიულობაზეა დამოკიდებული.

### მარიამ გაზაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ია ხუბაძევილი

**„ვერსალის მესია და ცინას მინარეატუვალი“ – ვუდრო უილსონი „როდესაც მომი  
დამთავრდება ჩვენ ვაიძულებთ მარმარ ევეყნებს, იაზროვნო ჩვენებურად.“**

**XX** საუკუნის დასაწყისიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო პოლიტიკაში, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა მისმა 28-ე პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა (1856-1924). მისი მმართველობის წლებში (1913-1921) აშშ ევროპის მოვალე სახელმწიფოდან (1914წ.) მის მთავარ კრედიტორ ქვეყნად იქცა (1918 წ.).

უილსონის პრეზიდენტობამდე აშშ-ს დიპლომატები ძირითადად დაკავებულნი იყვნენ ცენტრალური ამერიკის საქმეებით და ნაკლებად ფიქრობდნენ მსოფლიო პოლიტიკური ცენტრის და ევროპის საქმეებში ჩარევაზე. ხოლო როდესაც რვანწლიანი მმართველობის შემდეგ უილსონი ტოვებდა თეთრ სახლს, აშშ უკვე აქტიურად მონაწილეობდა ხუთივე კონტინენტის დიპლომატიურ პროცესებში. აშშ-მა მიიღო მსოფლიო ზესახელმწიფოს სტატუსი.

უილსონი ორჯერ იქნა არჩეული აშშ-ს პრეზიდენტად. მისი პრეზიდენტობის პირველი ვადის-თვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფედერალური სარეზერვო სისტემის შექმნა და საბანკო რეფორმა.

1916 წელს მან კვლავ გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. ამ პერიოდს დაემთხვა ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა, როგორიც პირველი მსოფლიო ომი იყო. საარჩევნო კამპანიის დროინდელი ლოზუნგი „მან ჩვენ ომი თავიდან აგვაშორა“ არ გამართლდა. 2 ივნი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას. მან მრავალჯერ სცადა მოლაპარაკების გზით მოეგვარებინა ეს პრობლემა, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ადლოფ ჰიტლერი თავის „ჩემ ბრძოლაში“ წერდა „რომანტიკა მაღლ საშინელებამ შეცვალა. ენთუზიაზმი განელდა და გმირობის წყურვილი აგონით შეიცვალა.“ ევროპული ქვეყნები მოუთმენლად ელოდნენ გერმანია-ამერიკის ომის დაწყებას, ვინაიდან ნათელი იყო აშშ ნეიტრალიტეტის მანამ დაიცავდა, სანამ თავად არ შეექმნებოდა საფრთხე.

მართლაც, ამერიკელებმა მაშინ დაიწყეს ომში ჩაბმაზე ფიქრი, როცა გერმანია აბსოლუტურად ყველა ქვეყნის დროშის ქვეშ მყოფი გემის ჩაძირვას შეუდგა. კულმინაციას კი გერმანიის მიერ მექსიკაში ანტიამერიკული მოძრაობის გააქტიურება წარმოადგენდა. იმპერიის მთავრობამ ციმერმანის ტელეგრამით მექსიკას ომში ამერიკის წინააღმდეგ ალიანსი შესთავაზა, სანაცვლოდ კი 1846-1848 წლებში დაკარგულ არიზონის, ნიუ-მექსიკოსა და ტეხასის დაბრუნებას პირდებოდა. აღნიშნული ტელეგრამა უილსონმა გერმანიის წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბად გამოიყენა.<sup>4</sup>

უილსონს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი იმ ნაბიჯის სიმძიმე, რომელიც უნდა გადაედგა. მაგრამ ამ პროვოკაციის შემდეგ უკვე ალარ შეეძლო უკან დახევა, ეს ხომ მშვიდობის შუამავალი ქვეყნის ავტორიტეტის საბოლოოდ დაკარგვა იქნებოდა.

აშშ ომში ოფიციალურად 1917 წლის 6 აპრილს ჩაება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მან ჯარიშამპანში მხოლოდ 1918 წლის 24 ივნისს შეიყვანა.<sup>5</sup>

ეს ნათელყოფს უილსონის დამოკიდებულებას სახელმწიფო ინტერესების მიმართ. უილსონი აქცენტს ფინანსურ და დიპლომატიურ საკითხებზე აკეთებდა, თავისუფალი ობლიგაციების საშუალებით ომის დასაფინანსებლად მილიარდები დააგროვა. უილსონის დიპლომატიური მანევრი ძალიან ჰეგავს კარდინალი რიშელიეს მიერ კარგად გათვლილ გეგმას, რომლის მიხედვითაც საფრანგეთი მაშინ ჩაება ოცდაათწლიან ომში როცა თავად გაძლიერებული, სხვები კი დასუსტებულები იყვნენ. პარალელის გავლება შეიძლება რიშელიეს „პისტოლის დიპლომატიასა“ და უილსონის „დოლარის

დიპლომატიას” შორისაც. თითოეული მათგანი აფინანსებდა ომს. ამ ნაბიჯით ორივე ქვეყანამ მოახერხა თავისი ნება-სურვილი ეკარნახა როგორც მტრებისთვის, ასევე მოკავშირეთათვის. ეს აღიარა კიდეც უილსონმა მაშინ, როდესაც 1917 წელს განაცხადა „ჩვენ გვევალება მსოფლიოს დაფინანსება, მან კი ვინც იხდის მსოფლიოს მართვაც უნდა ისწავლოს!”

ომის დასრულების შემდეგ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მან 14 პუნქტი წარადგინა სადაც დაწვრილებით ჰქონდა აღნერილი თუ როგორ და რა სახით უნდა გაეგრძელებინა მსოფლიოს არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპამ დიდი კამათის შემდეგ მიიღო აღნიშნული ხელშეკრულება, ამერიკის კონგრესმა უარი უთხრა, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ ამერიკა როგორც ერთა ლიგის ერთ-ერთი წევრი ვალდებული გახდებოდა მონაწილეობა მიეღო ყველა ომში რაც კი ევროპაში დაიწყებოდა.

უინსტონ ჩერჩილი მასზე ამბობდა: „აშშ-ს მოქმედება, რომელმაც შეცვალა ისტორია, არმაგედონის საშინელ პერიოდში დამოკიდებული იყო ამ ადამიანის ჭურისა და სულის მუშაობაზე იმდენად, რომ მასთან შედარებით სხვა ფაქტორები კარგავდნენ მნიშვნელობას.” ეს მართლაც ასე იყო, უილსონმა დაიწყო სამყაროს მართვა. მან განახორციელა გეგმა, რომლის მიხედვითაც „ამერიკელები ელიტაში ადგილის დაკავებას შეძლებდნენ და ამავე დროს, თავისმხრივ არ დაემორჩილებოდნენ ძალთა წონასწორობის კანონებს. მისთვის საჭირო იყო არა ძალთა წონასწორობა, არამედ ძალთა ერთობლიობა.” ამერიკის მოვალე სახელმწიფოთა გაერთიანებული ძალები საუკეთესო საშუალება იყო საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებისა და ძლიერებისათვის. იგი იარაღისა და ძალის გამოყენების გარეშე ცდილობდა ხელთ ეგდო ინიციატივა მოსალოდნელ საერთაშორისო თუ დიპლომატიურ ურთიერთობებში, ხოლო „სამანდატო სისტემის” მიღებით “კოლონიური პოლიტიკის ამერიკული პრინციპი” განახორციელა. ამგვარად, რეალიზებულ იქნა პრინციპი, რასაც ჰანს მორგენტაუ ასე აფასებდა: „საერთაშორისო პოლიტიკა ხომ ყველა პოლიტიკის მსგავსად არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის”.

მიუხედავად იმისა, რომ უილსონი აღიარებულია როგორც „ახალი თავისუფლების” პრინციპების მქონე პრეზიდენტი და ფიქრობდა, რომ მხოლოდ დემოკრატია შეუწყობდა ხელს მსოფლიო მშვიდობიან განვითარებას, მან მაინც გამოიყენა შესაძლებლობა და მსოფლიო ნამყვანი ქვეყნები გახადა აშშ-ზე დამოკიდებული. იგი “საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა”, არც დააყოვნა და შანსი გამოიყენა. ალბათ ეს არის „მედლის ორი მხარე” და დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის მებრძოლმა პრეზიდენტმა ყოველგვარი ძალის გამოყენების გარეშე მოიპოვა შესაძლებლობა ყოფილიყო „მუსიკის შემკვეთი”. ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმისთვის, რომ იგი განადიდებდა თავის სამშობლოსა და თანამემამულებს.

უილსონს მტკიცედ სჯეროდა, რომ დასახული მიზნის განხორციელების გზაზე მსოფლიო შეძლებდა გვერდი აევლო მომავალში სერიოზული კრიზისებისა და დაბრკოლებებისათვის და მიაღწევდა პრინციპული იდეების ხელშეუხებლობასა და ურღვევობას. მიაჩნდა, რომ წლების მანძილზე ნაოცნებარი უსაფრთხოება თვეებისა და დღეების საქმე იყო. ომგამოვლილ საზოგადოებაში გამეფებული სასონარკვეთილება ოპტიმიზმს უნდა შეეცვალა. ეს შემართება არა მხოლოდ გამარჯვების, არამედ რეალური მოგების დაუკებელი სურვილით იყო გამოწვეული. ამისთვის კი როგორც უილსონი ამბობდა, „არა მხოლოდ თავის გონებას იყენებდა, არამედ ნასესხებსაც”. ჰენრი კისინჯერი ვუდრო უილსონის მოღვაწეობას დიდ შეფასებას აძლევდა და წერდა: „ვ. უილსონმა ჩამოაყალიბა საერთაშორისო ურთიერთობების ამერიკული აზროვნება”, ვფიქრობთ ეს შეფასება ძალიან ზუსტია; უფრო მეტიც, გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ უილსონმა სათავე დაუდო საერთაშორისო ურთიერთობებში ამერიკულ მესიანიზმს. მას მიაჩნდა, რომ ამერიკას მისია ხვდა წილად, რათა უბრალოდ მონაწილეობა კი არ მიეღო ძალთა წონასწორობის სისტემაში, არამედ გაევრცელებინა თავისი დემოკრატიული პრინციპები მთელ მსოფლიოში. მართლაც, უილსონის პრეზიდენტობიდან მოყოლებული ამერიკა განსაკუთრებულ როლს ასრულებს მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში: უილსონი 1914 წელს კონგრესს არწმუნებდა, რომ: „ამერიკის განსაკუთრებული მისია დგას ყოველ-დღიურ დიპლომატიაზე მაღლა და ავალდებულებს მას როგორც თავისუფლების შუქურას დანარჩე-

ნი კაცობრიობის წინაშე”. უილსონს ღრმად სწამდა რომ „თუ მსოფლიოს ნამდვილად სურს მშვიდობა, მან უნდა მისდიოს ამერიკის მორალურ ღირებულებებს”. ვესტპლინტის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა წინაშე გამოსვლისას 1916 წლის 13 ივნისს, იგი მოუწოდებთა მათ, რომ „ყველაზე მეტად უყვარდეთ თავისუფლება და ადამიანის უფლებები”.

მუსოლინი ამბობდა „ომი ადამიანის ენერგიის მობილიზაციას ახდენს და განადიდებს მათ, ვისაც ძალა შესწევთ მას თვალი გაუსწორონ”, უილსონმა ნამდვილად მოახერხა ეს და | მსოფლიო ომი ამერიკის დიდებისა და ჰეგემონობის უვერტიურად აქცია.

მადლიერმა ამერიკელებმა კი მისი სახე ფულის ყველაზე დიდ ნომინალიაზე, 100 000 დოლარიანზე გამოსახეს.7 ეს ფაქტი თავისთვის მრავლის მეტყველია.

#### **ლიტერატურა:**

1. [www.nanaberuashvili.wordpress.com](http://www.nanaberuashvili.wordpress.com) ვუდრონ ვილსონი – „როდესაც ომი დამთავრდება ჩვენ ვაიძულებთ მეომარ ქვეყნებს, „იაზროვნონ ჩვენებურად”;
2. ჯაფარიძე შ., ვუდრონ უილსონი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა”, ბათუმი – 1999, გვ. 226;
3. ადოლფ ჰიტლერი „ჩემი ბრძოლა”(შემოკლ. ვარიანტი), მსოფლიო ომი, თბ., 1991, გვ .22;
4. [www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org) ვუდრონ უილსონი;
5. [www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org) პირველი მსოფლიო ომი;
6. [www.nanaberuashvili.wordpress.com](http://www.nanaberuashvili.wordpress.com) ვუდრონ ვილსონი – „როდესაც ომი დამთავრდება ჩვენ ვაიძულებთ მეომარ ქვეყნებს, „იაზროვნონ ჩვენებურად”;
7. [www.ucnauri.com](http://www.ucnauri.com), ამერიკული დოლარი.

## ნანა პარინოს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, მაგისტრატურა  
ხელმძღვანელი პროფესორი: მარინა ლომიძე

### ჰილარი კლინტონი ამერიკული პრიზიპი

არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორი სიმკაცრით გაუკრიტიკებია ამერიკულ კრიტიკას ჰილარი კლინტონი, გაუკრიტიკებია მისი იმიჯი, პოლიტიკური ნაბიჯი თუ პირადი ცხოვრება. ამერიკული კრიტიკის დამოკიდებულების საჩვენებლად განვიხილოთ ჰილარი კლინტონზე დაწერილი მონოგრაფიები.

პირველი წიგნი, რომელსაც განვიხილავთ არის „Extreme Makeover of Hillary Rodham Clinton“. თავი პირველი იწყება სიტყვებით: „cota თუ ვინ მუშაობს კაპიტოლიუმში ჰილარი კლინტონზე უფრო მუყაითად და ცოტა თუ ვინ უთმობს საკითხის შესწავლას ამდენ დროს. ჰილარი სწავლობს საკითხს მანამ, სანამ ყველა ფაქტს არ დაეუფლება და სანამ მათი განხილვის შესაძლებლობა ყველასთან არ მიეცემა. მისი მიზანია არა პრობლემის გააზრება, არამედ იმ პრობლემის ექსპერტად გახდომა. ჰილარი საკმაოდ მარჯვეა სწავლაში, მეტად ცნობისმოყვარება და სხვა პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, დეტალებში ჩაძიებისას სიამოვნებას პოულობს.“ (1;13).

„ჰილარი ყოველთვის კარგად ინფორმირებულია; მაგრამ რამდენადაც უყვარს მას დეტალებში ჩაძიება, იმდენად სჭირდება კიდეცმას ეს დეტალები. ჰილარის არ გააჩნიასამომავლო ხედვა, ამიტომ ის ამ ყველეფერს ფაქტების ცოდნით ინაზღაურებს“. (1; 15). ავტორის თანახმად, ბილ კლინტონისაგან განსხვავებით ჰილარი კლინტონს არ აქვს ის ნიჭი, რაც საზოგადოების მოსანუსხად არის საჭირო. „ბილ კლინტონი ხალხთან კომუნიკაციას გულით ამყარებდა და არა გონიერი. ჰილარის ამგვარი ნიჭი არ აქვს. მოგვიანებით მაიკლ კელიმ, საკმაოდ გამჭრიახმა პოლიტიკურმა მკვლევარმა, აღნიშნა: „იმ დროს, როდესაც ბილ კლინტონი პოლიტიკის შექმნაში შეუდარებელია, გორი ნაკლებად კომპეტენტური, ჰილარი საშინლად არაკომპეტენტურია“. (1; 15)

ბეი ბიუქენენის თანახმად, ჰილარი კლინტონი ცივიადამიანია, ის ნაკლებად იმსახურებს ხალხის სიმპატიას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ბარაკ ობამას ასპარესზე გამოჩენა და ჰილარის პერსონის გადაფარვა გამოწვეულია ჰილარის არაკომუნიკაბელურობით. „ჰილარი აჯა-დოვებს მაყურებელს თავისი ცნობადობით და ცოდნით, მაგრამ ის ვერ ამყარებს კონტაქტს დამსწრე საზოგადოებასთან. სამწუხაროდ, ჰილარისათვის ეს არის ის, რასაც ის ვერ ისწავლის, სხვა შემთხვევაში ის ამ დარგის ექსპერტიც კი გახდებოდა. ობამამ იცის თუ როგორ შეეხოს და მონუსხოს აუდიტორია“. ბიუქენენი დაუფარავად ამბობს, რომ ობამას ჰქონდა ყველაფერი ის, რის დეფიციტსაც ჰილარი განიცდიდა. (1; 16)

მეტად საინტერესოდ აღნერს ბეი ბიუქენენი ჰილარის შესვლას თეთრ სახლში. პირველი, რასაც ავტორი ხაზს უსვამს არის ის, რომ ჰილარიმ თეთრი სახლის კარები შურისძიების გრძნობით შეაღლ. მან დაამტკიცა რომ ის ბოსი გახლდათ. ბიუქენენი ჰილარის თანაპრეზიდენტს უწოდებს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ჰილარი ღებულობდა გადაწყვეტილებებს თეთრი სახლის პერსონალიდან ვინ დაეთხვათ სამსახურიდან და ვინ დაექირავებინათ. ჰილარის მეორე თვისებად, რომელსაც ბიუქენენი მაინცდამაინც დადებითი კუთხით არ აფასებს, არის ის, რომ ის მას პარანოიას უწოდებს, რადგან ჰილარის ყველას ერთგულებაში ეჭვი ეპარებოდა.

ამ ყოველივეს დასამოწმებლად წიგნში მოყვანილია მაგალითი იმისა თუ როგორ გაანთავისუფლა პროგრამისტი ქრის ემერი თანამდებობოდან ჰილარის ღებულიმ, მხოლოდ იმიტომ, რომ მან, ყო-

ფილი პირველი ლედის, ბარბარა ბუში ზარს უპასუხა, რომელმაც სთხოვა მას საკუთარ კომპიუტერ-ში არსებული პრობლემის მოვარება.

ამ წიგნში ბეი ბიუქენენი საქმაოდ საინტერესოდ აფასებს ჰილარის დამოკიდებულებას თეთრი სახლის მოხელეებისადმის: „ჰილარის სამყაროში არსებული ყოველგვარი შიში, წარმოსახვითი თუ რეალური თავიდან აცილებელი უნდა ყოფილიყო. შიში არ იყო არგუმენტებით გაჯერებული. იმ ამერიკელი მოხელეების ბედი კი, ვინც, თეთრ სახლში თავის უფლება-მოვალეობებს სიყვარულით ასრულებდა, ჰილარის სრულებით არ ადარღებდა. მათ მიერ გაწეული სამსახური არაფრად მიაჩნდა“ (1; 55).

ასევე, წიგნში ვაწყდებით მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როგორ უთვალთვალებდა ჰილარი კლინტონი ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირეოდენ საშიშროებას მაინც წარმოადგენდა მისთვის და ბილ კლინტონისათვის. ბიუქენენის თანახად მან სრულიად გამოიყენა საკუთარი ძალაუფლება იმისათვის, რომ ენახა გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ გაკეთებული ყველა მისთვის სასურველი ჩანანერი. მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჰილარი ქირაობდა დეტექტივებს, რათა დაედგინა იმ ადამიანების ოჯახის წევრების, ბოიფრენდების, თუ მათთან დაკავშირებული სხვა ადამიანების ვინაობა და მისამართები.

წიგნში *Extreme Makeover of Hillary Rodham Clinton*, ავტორი გარკვევით ამბობს იმასაც, რომ ჰილარიმ მეუღლის ყველა სასიყვარულო ინტრიგების საქმის კურსში იყო. ის მშვენივრად იყო ინფორმირებული დასაწყისშივე, და თავიდანვე ცდილობდა სიტუაცია კონტროლიდან არ გამოსულიყო. ბიუქენენი მკაფიოდ აცხადებს, რომ განსაკუთლებული ჰილარის არაფერი გაუკეთებია, რადგან ის ბილს იცავდა იმისათვის, რომ თავისი კარიერა გადაერჩინა. ბილი ჰილარის კარიერული წინსვლის ბილეთი იყო. (1; 65)

ბიუქენენი მძაფრად აკრიტიკებს ჰილარი კლინტონის საქციელს. ჰილარი, რომელიც გამუდმებით ქალთაუფლებების უზენაეს დამცველად გვევლინებოდა და ყველა ქალს მოუწოდებდა ხმა ამოელოთ და არ შერიგებოდნენ სექსუალურ ძალადობას და ყველას გვერდით დგომას პირდებოდა, - არ დაინდო ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელე პაულა ჯონსი. მან სწორედ ის გააკეთა, რასაც ჰილარი ქადაგებდა. რატომ წუთით არ წარმოიდგინა ჰილარიმ თუ ოცდაშვიდი წლის გოგონასთვის რაოდენ დიდი გამბედაობა იყო საჭირო შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინაშე დგომისას მისთვის ბრალის წაყენება. (1; 65) „ჩვენ გვეგონა, რომ ეს სკანდალიც სხვა ცრუ სკანდალებივით ჩაივლიდა“ მოგვიანებით დაწერა ჰილარიმ თავის მემუარში. (1; 66)

ავტორს აინტერესებს თუ რას მოელოდა მსოფლიოში ქალთა უფლებებისადმი მებრძოლი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფემინისტი ქალბატონი - ჰილარი კლინტონი პაულა ჯონსისგან და სხვა მის მდგომარეობაში მყოფი ქალებისაგან? ფიქრობდა თუ არა ჰილარი, რომ ამ ქალბატონებს უნდა ეპატიებინათ ბილ კლინტონისათვის ჩადენილი და თუ კი ის ასე ფიქრობდა, რატომ? რატომ არ უნდა ეგებინებინათ ამ ქალბატონებს პასუხი ბილისათვის, რით განსხვავდებოდა ის სხვა მამაკაცებისაგან? რატომ არ მოქმედებდა კანონი ბილ კლინტონზე? თუ კანონი ჰილარიზე არ მოქმედებდა? ეს არის სწორედ ის კითხვები, რომელიც ავტორს თითქოს მოსვენებას უკარგავს. (1; 68)

ჰილარიზე, როგორც სენატორზე ბიუქენენი წერს: „ჰილარის ბუნების ერთ-ერთი ყველაზე მაკოპრომენტირებელი ასპექტია მისი დამოკიდებულება სიმართლისადმი. ჰილარისათვის ის მენიუზე მეტს არ წარმოადგენს. მას შეუძლია დღეს ის შეუკვეთოს, ხოლო ხვალამოაგდოს მენიუდან. ჰილარი ტყუის, უარყოფს, ამართლებს ტყუილებს. ის იტყუება ყველაფერში და ყველასთან. იქნება ეს გარემო პირობებით თუ ყოველდღიური მიზეზით გამოწვეული - ის ტყუის, მიზეზით, თუ უმიზეზოთ. ჰილარისათვის ტყული გახდა კომუნიკაციის ცენტრალური საშუალება“. (1; 78)

მაგრამ არ შეიძლება არ დაეთანხმო ბუქენენს, როდესაც ის გამოყოფს ჰილარი კლინტონის დადებით მხარეს. „ის კომპეტენტურია, ამბიციური, შრომისმოყვარე და ცნობისმოყვარე ქალბატონი სხარტი გონებით, მაგრამ ამავე დროს ის ანგარებიანია, ყველაფერი კონტროლის ქვეშ აქვს, ის არის

პოლიტიკურად არასანდო ადამიანი, რომლისთვისაც არ არსებობს ბარიერი არც ღირებულებების, არც იდეალების და არც პრინციპების წინაშე. ერთი სიტყვით, მიზნის მისაღწევად ის უკან არაფერზე დაიხევს.(1; 80)

უდავოდ საინტერესოა ბიუქენენის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება: „ჰილარი უბრალოდ პოლიტიკოსი კი არ არის, ის - სუპერ ვარსკვლავია“. (1; 85) ეტაპობრივად ავტორი უახლოვდება კითხვას თუ რამდენად შესძლებს ჰილარი კლინტონი გახდეს ქვეყნის მთავარსარდალი- შეერთებული შტატების პრეზიდენტი? ხოლო იმათ, ვინც დადებითად შეხვდება ჰილარის გაპრეზიდენტებას ბუქენენი ეკითხება: „მომიყვანეთ ერთი მაგალითი მაინც, სადაც ჰილარიმ ბოლომდე აიღო პასუხისმგებლობა იმაზე, რაც საკუთარ თავზე იტვირთა?“ (1; 85)

შემდეგი წიგნი, რომელსაც გავეცანით და რომელიც ასევე, ნაკლებად ცნობილია ქართველი მკითხველისათვის არის „*Can She Be Stopped?*“. წიგნის ავტორი ჯონ პოდჰორეცი ამბობს: „ უბედურება, რაც შეიძლება ჰილარიმ თეთრ სახლს თავს დაატეხოს გაცილებით უფრო დამანგრეველი ძალის იქნება ქვეყნისათვის, ვიდრე რაც აქამდე უკეთებიათ მასა და ბილ თეთრ სახლში 1990- იან წლებში“. (2; 7)

წიგნში ნახსენებია, რომ 2005 წელს ისრაელის ტელევიზიას ბილ კლინტონმა უთხრა, რომ ჰილარი „რაღაც მოსაზრებით უკეთესი პრეზიდენტი იქნება იქედან გამომდინარე თუ რაოდენ ბევრი გვაქვს ერთად გაკეთებული.პირველი, მას აქვს სენატში მუშაობის გამოცდილება, რომელიც მე არ მქონია. მეორე, ის რვა წელი ცხოვრობდა თეთრ სახლში. მე ვფიქრობ ის არ ჩაიდენს ამდენ შეცდომას, რადგან ეხლა მეტი ასაკის ვართ და ჰილარის გაცილებით მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე მე, როდესაც ოფისში შევდგი ფეხი.(2;7)

საინტერესოა ის ადგილი, სადაც ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე თუ როდის გაიცნო ამერიკელმა ხალხმა ჰილარი კლინტონი. ამერიკელმა ერმა ჰილარი კლინტონი გაიცნო 1992 წელს გადაცემაში „60 წუთი“, სადაც ბილ კლინტონს ვინმე ჯენიფერ ფლაუერსთან ურთიერთობაში ედებოდა ბრალი. ეს იყო გარდამტეხი მომენტი ბილის ცხოვრაბაში, რომელიც გვერდით ჰილარის გარეშენარმატებულად ვერ ჩაივლიდა. აქამდე მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა, რადგან აქამდე არავის ახსოვს ჰილარის მსგავსი პრეზიდენტობის კანდიდატის მეუღლე.(2; 33)

საკმაოდ საინტერესოა ის ფაქტრი, რომ ჯონ პოდჰორეთცმა თავის წიგნში ახსენა ერთ-ერთი ლესბოსელი აქტივისტის კარენ ბურსტაინის მოსაზრება ჰილარი კლინტონზე: „ ჰილარი კლინტონი არის ის ადამიანი, რომელიც პატარა გოგონებს სთავაზობს გარკვეული ცხოვრების მოდელს, ხოლო პატარა ბიჭებს იმ მიცემული პირობების და შესაძლებლობების შესრულებას და გააზრებას, რაც განკუთვნილია ქალებისათვის.(2; 59)

ავტორს ჰილარიისთან მიმართებაში თავისი ხედვა აქვს, ის თვლის, რომ ჰილარი არ არის ჯერალდინო ფერარო. ერთის მხრივ, მან იცის როგორ აკონტროლოს საკუთარი ხასიათი ხალხთან, მაგრამ მეორეს მხრივ, მისი საჯარო გამოსვლები სულაც არ არის ეფექტური და გონებამახვილური. პოდჰორეცი თვლის, რომ ჰილარის პრობლემა, როგორც ყველა ქალის, ვისაც პრეზიდენტად გახდომა სურს, არის ის, რომ ეს თანამდებობა ყოველთვის მამაკაცებთან ასოცირდება. (2; 60)

თავად ავტორს აქვს თავისი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა სჭირდება ჰილარის იმისათვის, რომ გახდეს პრეზიდენტი. ის თვლის, რომ ჰილარი უნდა იყოს ცივი ქალბატონო გაუმტარი გარსით, უნდა იქტერდეს ყოველთვის ცალსახა პოზიციებს, აშინებდეს ადამიანებს და ხანდახან მათ უხერხულ მდგომარებაშიც უნდა აგდებდეს. ამით ის შეიქმნის იმიჯს, რომ ჰილარი გაუმკლავდეს ნებისმიერი ტიპის კრიზისს და კატასტროფას, რომელიც შეიძლება პრეზიდენტობისას შეხვდეს.პრეზიდენტად გახდომისათვის ქალმა უნდა მოახდინოს ნაკლები ქალურობის დემონსტრირება. (2; 65)

შემდეგი წიგნი არის „*Hillary's Choice*“ სადაც დეტალურად არის აღნერილი მისი სიყვარულის იტორია ბილ კლინტონთან და ასევე, რაც ყველაზე საინტერესოდ მეჩვენა ერთი თავი მიძღვნილია მისი და ელეონორა რუზველტვის ვირტუალური საუბრებისათვის. სწორედ ჰილარი კლინტონს ეკე-

უთვნის ფრაზა: „სწორედ ეხლა მქონდა წარმოსახვითი საუბარი პირველ ლედისთან - ელეონორა რუზელტთან და ის ფიქრობს, რომ ეს შესანიშნავი იდეაა. (3; 255).

სევე წიგნში ერთ-ერთი თავი განიხილავს ჰილარიის ჩასვლას ჩინეთში, ქალთა უფლებებისადმი-მიძღვნილ კონფერენციაზე, სადაც მან მძაფრად კააკრიტიკა ჩინეთის მთავრობა. სწორედ იქ წარ-მოთქვა ჰილარიიმ თავისი ცნობილი სიტყვები: „ქალთა უფლებები არის ადამიანის უფლებები, ხოლო ადამიანის უფლებები -ქალთა უფლებებია, დაიმახსოვრეთ ეს ერთხელ და სამუდამოდ“. ავტორი და-ჯილდოებულია წერის უნიკალური ნიჭით, თუმცა წიგნი არ მოიცავს სიღმისეულ დასკვნებს და ანა-ლიზს.

### დასკვნა

საინტერესოა ის ფაქტი, რომ განხილული სამი მონოგრაფიიდან ორი მძაფრად აკრიტიკებს ჰილარი კლინტონს, ხოლო მესამე აბსოლუტურად ნეიტრალურია. ისმის კითხვა: არის თუ არა ასეთი ჰილარი კლინტონი სინამდვილეში თუ ავტორები მეტად სუბიექტურები აღმოჩნდნენ? მონოგრაფიის წერისას შეუძლებელია არ იყო სუბიექტური, თუმცა დიდ საშიშროებას წარმოადგენს ობიექტურობის ქვეშ ამოფარებული აბსოლუტური სუბიექტურობა. ვფიქრობ, რომ წიგნებში: “Extreme Make-over of Hillary Rodham Clinton“ და „მისი შეჩერება შესაძლებელია?“ ავტორების კრიტიკა მეტად და-უბალანსებელია.

ბიუქენენის შეხედულებები ძალიან საინტერესოა, მაგრამ მეტად რადიკალური თუმცა ერთი შეხედვით არგუმენტირებული. ყველა ავტორს თავისი ხედვა აქვს და თითოეული სხვადასხვაგვარად აღიქვამს დეტალებს. ბიუქენენისეული ხედვა კი ასეთია. მას არ აქვს დაკნინებული ჰილარიის დადებითი თვისებები, თუმცა არც წინა რიგებში არ აქვს გამოტანილი. უარყოფითზე კი გაცილებით მეტს საუბრობს. ეს შიძლება უბრალოდ იმიჯის ნაწილი იყოს, რადგან რადიკალურად განწყობილი ავტორის იმიჯი კი გაცილებით უფრო მომხიბვლავად გამოიყურება. ამიტომ, არ ვიცით თუ რამდენად სრწმუნოა ავტორისმიერ მოწოდებული აბსოლუტური და მწვავე რადიკალიზმი.

### გამოყენებული ლიტარატურა:

1. B. Buchanan; *Extreme Makeover of Hillary Rodham Clinton*, Reghery Publishing, Eagle Publishing Company, Washington DC, 2006;
2. J. Podhoretz; *Can She Be Stopped?: Hillary Clinton will be the next President of the United States*, Crown Forum Publishing Group, The United States of America, 2006
3. G. Sheehy; *Hillary's Choice*, Random House, New York, 1999;
4. R. Busby, *Defending the American Presidency,: Clinton and the Lewinsky Scandal*, Palgrave, New York, 2001;
5. R. Lawrence; M. Rose; *Hillary Clinton's Race for the White House: Gender Politics and the Media on the Campaign Trail*, USA, Lynne Rienner Publisher's Inc, 2010

**თინათინ ასანიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ვასილ კაჭარავა

**მშრალი კანონი ამარიკაში**

1920 წლის იანვარი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა წლის ნებისმიერი თვე, აღსავსე იყო მრავალი მოვლენით. თუმცა 16 იანვარს აშშ-ში უჩვეულო ამბავი მოხდა. დამეთანხმებით, რომ აღნიშნული თარიღი არ გამოირჩეოდა რაიმე ისტორიული ან სადღესასწაულო მოვლენით. მაგრამ სწორედ 16 იანვარს ნიუ-იორკსა თუ ჩიკაგოს, სან-ფრანცისკოსა თუ ფილადელფიის რესტორნებსა და ბარებში განსაკუთრებული ხალხმრავლობა და გამოცოცხლება შეინიშნებოდა. საინეტერესოა ის, რომ 16 იანვრის ღამეს მსმელთა მნიშვნელოვან ნაწილს სახეზე სინაულისა და ირონიის გამომეტყველება ეხატა სახეზე, ხოლო ნიუ-იორკის ზოგიერთ რესტორანში კი თავისებური გლოვის ნიშნად შავი ფერის სუფრებით იყო მაგიდები განყობილი, თითქოს ამერიკის საზოგადოებას გული უგრძნობდა, რომ უკანასკნელად ეწაფებოდა მათობელა სიამეს, მათგან განსხვავებით კი შუა დასავლეთისა და სამხრეთის მრავალი შტატის პატარა ქალაქებსა თუ დაბაში ათასობით ადამიანი საზეიმო მანიფესტაციას აწყობდა, სასულიერო პირები ეკლესიებში მადლობას სწირავდნენ, ხოლო მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ხელისუფალნი ახალი ეპოქის დასაწყისს ულოცავდნენ თანამემამულებს.. ამ ორი განსხავავებული ემოციის მიზეზი კი მხოლოდ ერთი იყო: ამ დღეს შუალამისას ძალაში შევიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის რიგით მე-18 შესწორება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს ტერიტორიაზე იკრძალებოდა ალკოჰოლური სასმელების წარმოება, გაყიდვა და იმპორტიც კი ნებისმიერი ქვეყნიდან. სწორედ ამიტომ ეს შესწორება „მშრალი კანონის“ სახელით არის ცნობილი. სწორედ მისი წყალობით იქცა 1920-იანი წლები სრულიად განსაკუთრებულ პერიოდად ამერიკის ისტორიაში და შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოს ისტორიაში. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ შეერთებულ შტატებში „მშრალი კანონი“ ხშირად ტერმინით „Prohibition“ აღინიშნებოდა, რაც აკძალვას ნიშნავს.

1919 წლის ოქტომბერში მე-18 შესწორება შეივსო მინესოტას შტატის კონგრესმენ ენდრიუ ვულსტედის მიერ წამოდგენილი კანონით, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი სახის სასმელი, რომელშიც ალკოჰოლის შემადგენლობა ნახევარ პროცენტს აღემატებოდა, ალკოჰოლურად ითვლებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა კანონებთან შედარებით, სენატში მე-18 შესწორების მიღებას სულ რაღაც 13 საათის დებატები დასჭირდა, წარმომადგენლობა პალატაში კი მისი განხილვა ერთ დღეს მიმდინარეობდა. მისი ტრიუმფალური სვლა მხოლოდ ვუდრო ვილსონის ვეტომ შეაჩერა, რადგანაც თვლიდა რომ მშრალი კანონის სრული ფორმით რეალიზაცია შეუძლებელი იქნებოდა. მისი აზრით ლუდი ან მსუბუქი დვინო მაინც უნდა გაყიდულიყო, თუმცა ამ აზრს მხარდაჭერა არ მოჰყოლია, რის გამოც ამ კანონის მიღების დაყოვნება ცოტა ხნით გაგრძელდა. შტატების თანხმობას სულ რამდენიმე თვე დასჭირდა, ნებრასკა იყო 36-ე შტატი, რომელმაც განაპირობა შტატების კვალიფიციური უმრავლესობა. ვუდრო ვილსონის ვეტოს მიუხედავად კი კონგრესმა მიიღო იგი, ხოლო არსებული წესის თანახმად შესწორება ძალაში ზუსტად ერთი წლის შემდეგ შევიდა, რითიც საბოლოოდ გადაუწურა სასმელის მოყვარულ ამერიკელებს უკანასკნელი იმედიც კი.

თუმცა სანამ უშუალოდ „მშრალი კანონის“ მიღების მიზეზებისა და შედეგების შეფასებაზე გადავალ, ვფიქრობ უნდა ავლნიშნოთ ის მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდა ამ კანონს. ჯერ კიდევ პირველმოსახლეებმა შემოიტანეს ახალ სამყაროში ალკოჰოლის სმისა და მოხმარების ტრადიცია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი პურიტანები იყვნენ და გმობდნენ ყოველგვარ გართობას, ისინიც კი არ ერიდებოდნენ ვისკის მოწრუპვას. მაგრამ ვინაიდან ისეთი მაგარი ალკოჰოლური სასმელების გამოყენება, როგორიც ირლანდიური ვისკი და იამაიკის რომია, ძალიან ცუდ და ხშირ შემთხვევაში სა-

ვალალო შედეგებსაც კი იწვევდა. კოლონიების თვითმმართველობებმა დაიწყეს ზრუნვა ამ ალკოპოლური სასმელების გამოყენების შეზღუდვაზე. სწორედ ამან გამოიწვია ის რომ, ჯორჯიის შტატში აიკრძალა მაგარი სასმელების იმპორტი, იგივე მიზანს ემსახურებოდა ვირჯინიაში მელვინეობის განვითარების პროპაგანდაც.

ასევე აღსანიშნავია, რომ 1789 წელს, როცა აშშდს კონსტიტუცია მიიღეს საკმაოდ მაღალი გადასახადები დაწესდა სპირტიან სასმელებზე. 1791 წელს კი, ალექსანდრე ჰამილტონის ინიციატივით არა მარტო გაიზარდა გადასახადები იმპორტულ და ადგილობრივ პროდუქციაზე, არამედ მაღალი გადასახადი დაწესდა თვით ვისკის წარმოებაზეც, რამაც განსაკუთრებით პენსილვანიელები და შოტლანდიური და ირლანდიური წარმოშობის ხალხი და გაანაზუნა, ვინაიდან ვისკი არა მარტო მათი საყვარელი სასმელი, არამედ შემოსავლის მთავარი წყაროც იყო. ამიტომაც დასავლეთ პენსილვანიაში ბიოკოტი გამოუცხადეს ამ კანონს, რაც სრულიად მოულოდნელად, პოლიტიკურ მანიფესტადაც კი გადაიქცა. ამ აქციის ზოგიერთი მონაწილეშეიარაღებული ამბოხებისკენაც მოუწოდებდა ხალხს. როცა ამ ამბავმა, ვაშინგტონშიც ჩააღწია, ქვეყნის პრეზიდენტმა აქ 13 ათასიანი არმია გამოაგზავნა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, პენსილვანიელებს წინააღდეგობა არც კი გაუწევიათ დაიღუპა სულ სამი კაცი, ასამდე კი დააპატიმრეს, რომ პატიმარს სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მაგრამ პრეზიდენტმა ისინი შეიწყალა. ეს ფაქტი ისტორიაში „ვისკის ამბოხის“ სახელით შევიდა.

კონგრესი შემდგომშიც არაერთხელ შეეცადა სპირტიან სასმელებზე საბაჟო გადასახადების გაზრდას, თუმცა ეს ნაბიჯები არ იდგმებოდა ჭეშმარიტი პროპიბიციისკენ. მხოლოდ მედ 19 საუკუნის 20დიან წლებში დაიწყო ფართომასშტაბიანი ბრძოლა პროპიბიციისთვის. ანტიალკოლურ პროპაგანდაში თავი საკმაოდ გამოიჩინა ეკლესიამ, რომელიც ლოთობას ქრისტიანული პოზიციიდან აკრიტიკებდა. თანაც, ანგლოსაქსური წარმოშობის პროტესტანტ ამერიკელებში საკმაოდ ძლიერად იყო გამჯდარი პურიტანიზმი, რომელიც კრიტიკულად უყურებდა სხვადასხვა სახის გართობასა თუ მოხლენას და უკიდურეს თავდაჭრილობას ქადაგებდნენ. პროპიბიციის პრობლემა არა მარტო რელიგიაში, არამედ სხვა სფეროებშიც გამოიკვეთა, მაგალითად ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში. პროტესტანტ ანგლოსაქსებს ძალიან აღიზიანებდათ ირლანდიელ ემიგრანტთა უსაზღვრო ლტოლვა ვისკისადმი. მედ 19 საუკუნის 30დ40-იან წლებში კი, ქვეყანაში დიდი რაოდენობით გერმანელების შემოსვლამ, რომელთაც ლუდის სმის დიდი ტრადიცია ჰქონდათ, ანგლოსაქსების უკმაყოფილება კი-დევ უფრო გაზარდა.

სწრაფვა პროპიბიციისკენ კიდევ უფრო გაიზარდა შემდგომ წლებში, კერძოდ კი 1826 წელს ჩამოყალიბდა ამერიკის ზომიერთა კავშირი, რომელიც პროპიბიციისკენ ისწრაფვოდა. მათმა საქმიანობამ შედეგი გამოილო და 1846 წელს მენის შტატში მიიღეს მშრალი კანონი, ათ წლიწადში კი უკვე 13 შტატში მოქმედებდა ალკოლური სასმელების შემზღუდველი სხვადასხვა სახის კანონი. 1870დიანებში კი პროპიბიციურ მოძრაობაში აქტიურობის ახალი ტალღა წარმოიშვა. საქმე იმაშია, რომ ამერიკის მოსახლე ქალბატონებმა დიდი სოლიდარობა გამოუცხადეს ერთმანეთს და აქტიურად დაიწყეს ბრძოლა ალკოლოლის მოხმარების წინააღმდეგ, ვინაიდან ვის თუ არა მათ, უნევდათ მთვრალი ქმრების გამაღიზიანებელი და ზოგჯერ შეურაცხმყოფელი ქმედებების ატანა. 80დიან წლებში კი ამერიკას მშრალი კანონების მეორე ტალღა მოედო, მაგრამ საკმაოდ მაღე დაცხრა ისე, რომ 1905 წლისთვის მხოლოდ სამ შტატში მოქმედებდა პროპიბიცია. დაახლოებით ამ პერიოდში დაიწყო აქტიურობის გადამწყვეტი, მესამე ტალღა. მშრალი კანონის მომხრეთა წარმატება დიდწილად განაპირობა მოძრაობა „ანტისალუნური“ ლიგის შექმნამ, რომელსაც შემოწირულობების ხარჯზე საკმაოდ დიდი ბიუჯეტი ჰქონდა პროპიბიციის აქტიური პროპაგანდისთვის.

როგორც ვნახეთ, სხვადასხვა დროს, გარკვეულ შტატებში მშრალი კანონი მოქმედებდა. თუმცა-საბოლოოდ ამ მოძრაობების შედეგი იყო ის, რომ 1920 წელს მიღებული კანონი მთელი ქვეყნის მას-შტატით გატარდა, რამაც საერთო ჯამში ძალიან დიდი უარყოფითი მოვლენები გამოიწვია, რაც გამოწვეული იყო იმით რომ ეს კანონი ფაქტობრივად ზუსტად განსაზღვრავდა, თუ რა უნდა ეჭამა და ესვა ამერიკის თავისუფალ მოქალაქეს, რაც გარკვეულ წილად ზღუდავდა კონტიტუციით მინიჭე-

ბულ მის უფლებას. ეს კი მასში საკმაოდ დიდი პროტესტის გრძნობას იწვევდა.ამან გამოიწვია ის- ,რომშეიქმნა მრავალი ანტიპროპიბიციული მოძრაობა და ბოლოს ქალებმაც კი რომლებიც ასე იბ- რძოდნენ ალკოჰოლური სასმელების წინააღმდეგ,ფარაზემალი დაყარეს.თუმცა სანამ ვილსონის სიტყვებში დარწმუნდებოდნენ და მშრალი კანონის უარყოფით შედეგებს ბოლომდე დაინახავდნენ- პროპიბიციული განწყობა მთელს ქვეყანას მოედო.კონგრესი კი, როგორც მოსახლეობის ინტერესე- ბის გამტარებელი და დამცავი საკანონმდებლო ორგანო იძულებული იყო მიეღო გარკვეული ზომე- ბი.თუმცა პარადოქსია, მაგრამ ფაქტია,ის რომ მოსახლეობა,რომელიც ასე იბრძოდა კანონის მისა- ლებად, ცხოვრებაში სრულიად უგულვებელყოფდა მას.საუბარია არა მხოლოდ იმაზე, რომ ჩვეუ- ლებრივი მოქალაქე მიირთმევდა ალკოჰოლურ სასმელს, არამედ ქვეყნის პირველ პირზეც კი, კერ- ძოდ ჰარდინგზე, რომელიც ბანქოს თამაშის დროს ვისკისაც დიდი სიამოვნებით მიირთმევდა. აკ- რძალული ხილის არ იყოს, ალკოჰოლური სასმელების აკრძალვამ ახალგაზრდებში მათ მიმართ მე- ტი ინტერესი გამოიწვია. მოკლედ ყველა, დიდი თუ ჰატარა, სახელმწიფო პირი თუ უბრალო ადამია- ნი, მიღებული შესწორების მიუხედავად მაინც მიირთმევდა სპირტიან სასმელს. ოღონდ განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა საჯაროდ, ნებისმიერ მაღაზიაში შეე- ძინათ ვისკი, არამედ ჩუმადარაკანონიერი გზით უწევდათ ალკოჰოლის შეძენა.ამან კი კიდევ ერთი დიდი პრობლემა შესძინა ქვეყანას.პროპიბიციამ წარმოშვა კონგრაბანდისტთა და ბანდიტთა მთელი კლანები, რომლებმაც საბოლოოდ ქვეყნის თუ არა ყველაზე დიდი ქალაქების კონტროლიც კი და- ინყეს. ამ დროის ყველასთვის ცნობილი განგსტერი და კონტრაბანდისტი იყო ალ კაპონე,რომელმაც მოახერხა ეკონტროლებინა საკმაოდ დიდი ქალაქები.ამავდროულად საეჭვოა, რომ სასმელის დამ- ზადების პროცესში დაცული იყო სანიტარიის ნორმებიც, რამაც საბოლოოდ ის გამოიწვია, რომ მშრალი კანონის მოქმედების პერიოდში, 4დჯერ უფრო მეტი ადამიანი იღუპებოდა ალკოჰოლური ინტერიკაციით, ვიდრე მანამდე, ან მას შემდეგ. თუმცა ეს ე.წ „აკრძალული ხილი“ იმდენად დიდი ინტერესით და პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოებაში,რომ აკრძალვის გამო იძულებულნი იყვნენ საეჭვო ადგილიდან მოპოვებული ალკოჰოლიც კი შეეძინათ განგსტერული ბანდებისგან.

ვინაიდანაც ამერიკელთა უმეტესობა არ აპირებდა მშრალი კანონის ნებაყოფლობით დაცვასსა- ჭირო გახდაპროპიბიციის აგეტნტის თანამდებობის შექმნა, რომელიც ფედერალურ და არა ადგი- ლობრივ აღმასრულებელ ორგანოს დაქვემდებარებოდა.თუმცა ამ სააგენტოების მცდელობის მიუ- ხედავად,ეს „რეფორმა“ კრახით დამთავრდა,რაც ძირითადად გამომდინარეობდა იქიდან,რომ მათი რაოდენობა 1786 კაცი იყო, მაშინ როცა ქვეყანაში 122მლნ ადამიანი ცხოვრობდა.ამავდროულად ეს რეფორმა ასე თუ ისე ეფექტური იქნებოდა იმ შემთხვევაშიც თუ ადგილობრივი პოლიციაც ითანამ- შრომლებდა მათთან,თუმცა დახმარების ნაცვლად ისინი ბუტლებერებს არათუ აფარებდნენ ხელ- ს,ეხმარებოდნენ კიდეც.ქვეყანაში საკმაოდ ცუდი სიტუაცია შეიქმნა,კანონის ასეთი უკუქმედება უფრო და უფრო აძლიერებდა კრიმინალურ დაჯგუფებებს და მათ ლიდერებს.თუმცა ორი მთავარი პრობლემა,რომელსაც შეეძლო ქვეყანა კრახამდე მიეყვანა მხოლოდ კრიმინალური დაჯგუფებების გაძლიერებაშიარ მდგომარეობდა. საქმე ეხებოდა აქამდე უცნობ ტენდენციას დ მოქალაქეთა უმ- რავლესობის მიერ კანონის უგულვებელყოფას. საერთოდ, ითვლება, რომ ამერიკელთა უმრავლესო- ბა მუდამ ჰატივისცემით ეკიდება თავისი ქვეყნის კანონებს, მით უმეტეს კი კონსტიტუციას, რო- მელსაც ისინი „სამოქალაქო ბიბლიასაც“ კი უწოდებენ. მაგრამ ამ შემთხვევაში დავრწმუნდით, რომ მიუხედავად მიღებული შენსორებისა, მოქალაქეთა უმრავლესობა ენინააღმდეგებოდა კანონს და ჩუმად, იატაკვეშ სჩადიოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. ჩნდებოდა ეჭვი, რომ თუკი მოქალა- ქები უგულებელყოფდნენ ერთ კანონს, იგივე ბედი ეწეოდათ სხვა რეგულაციებსაც,რაც საერთო ჯამში გამოიწვევდა კონსტიტუციისადმი უნდობლობას. ეს კი აშშ-ს ანარქიის ზღვარზე მიიყვანდა და შებლალავდა კონსტიტუციის ძალაუფლებას.

ამას გარდა მშრალი კანონის მიღება ზღუდავდა შტატთა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების სუვერენულ უფლებებსაც. ამერიკაში მოქმედი ფედერალიზმი ითვალისწინებს ფედე- რალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის ძალაუფლების გადანაწილებას. მშრალი კანონის

ეროვნულ დონეზე გამოცხადება კი, შტატების ხელისუფლებასაც აიძულებდა აეკრძალა ალკოჰოლის მოხმარება,რაც შტატების უკმაყოფილებას იწვევდა. შესაბამისად, განაწყენებული შტატები,იმის მაგივრად,რომ ეთანამშრომლათ ფედერალურ ხელისუფლებასთან და დახმარებოდნენ მშრალი კანონის ცხოვრებაში გატარებაში,ძალიან ხშირად ხელსაც კი უშლიდნენ პროპიბიციის აგენტებს.ამ ქვეყნის გაჯანსაღების,,მიამიტმა ცდამ“ კი საბოლოოდ შტატებისა და ფედერალურ ხელისუფლება-თა დაპირისპირება გამოიწვია.ნიშანდობლივია ისიც,რომ თვით ქვეყნის პრეზიდენტებიც კი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი მედ18 შესწორების მიმართ დ საკმარისია გავიხსენოთ ვუდრო უილსონის ვეტო ანჰარდინგის მიერ ვისკის სმა ბანქოს თამაშის დროს.

დრო და დრო, უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა სახელმწიფო უწყებებისგან, ავტორიტეტული ადამიანებისგან და მოღვაწეებისგან ანტიპროპიციული განცხადებები, რომლებიც პროპიბიციას, როგორც ადამიანის უფლებათა შეზღუდვის ერთდერთ გამოვლინებას ასახელებდნენ.ადამიანთა უფლებების შეზღუდვასთან ერთად სულ უფრო ხშირად ისმოდა შტატების უფლებების დაცველთა ხმაც,გინაიდანაც აშშდს კონსტიტუციის მეათე შესწორების მიხედვით,ყოველ შტატს აქვს მართვის სუვერენული უფლებანი და შტატებიც მუდამ იცავდნენ ამ უფლებებს ფედერალური ხელყოფისგან-,გამონაკლისი არც მშრალ კანონთან მიმართებაში დაუშვიათ.

საინეტერესოა ე.წ. „ვიკერშამის კომისია“, რომელიც მშრალი კანონის ავტორიტეტულ ანალიზს იძლევა.ეს კომისია ფედერალურმა მთავრობამ სწორედ ამ კანონთან დაკავშირებით შექმნა.კომისიის დასკვნაში წერია,რომ მედ18 შესწორების მიღების დროს უკვე რამდენიმე შტატში მოქმედებდა მშრალი კანონი,ხოლო მას შემდეგ რაც რეგულაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით გახდა სავალდებულო, ის შტატებიც კი,სადაც საკუთარი მშრალი კანონები ჰქონდათ, ცდილობდნენ ფედერალურ მთავრობისთვის გადაებარებინათ კანონის ცხოვრებაში გატარების მთელი სიმძიმე. ასე კი,ურთიერთთანამშრომლობის გარეშე,კანონი მხოლოდ ფურცელზე დარჩა კანონად.ამ ყველაფერმა კი გამოიწვია ის,რომ შტატების უკმაყოფილება გაიზარდა,რის შედეგადაც 1923 წელს ნიუდიორკში,ნევადა-სა მონტანაში, 1929 წელს ვისკონსინში, მასაჩუსეტში, ილინოისა და როდ აილენდში საერთოდ გაუქმდა მშრალი კანონი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სანამ მშრალი კანონი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, ასე ვთქვათ პოპულარობით სარგებლობდა და სანამ ზემოთ განხილულ მძიმე უარყოფით შედეგებს გამოიღებდა ქვეყანაში როგორც დემოკრატები ასევე რესპუბლიკელები აქტიურად უჭერდნენ მხარს პროპიბიციის კანონს. თუმცა მას შემდეგ რაც ამ ე.წ.„ზნეობრივმა კანონმა“ კრახი განიცადა ორივე მხარემ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უარყო ზოგადეროვნული მშრალი კანონი.საბოლოოდ სწორედ დემოკრატებმა შეიტანეს 1933 წლის თებერვალში, კონგრესში განსახილველად 21-ე შესწორება, რომელიც მშრალი კანონის გაუქმებას გულისხმობდა და რომლითაც საბოლოოდ დასრულდა ერთდერთი ყველაზე დიდი სოციალური ექსპერიმენტი მსოფლიოში.

### მეგი საჯაია, თინათინ სურმავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ხელმძღვანელი პროფესორი: ლალი სურმანიძე

## არავერბალური კომუნიკაციის ეფექტური გამოყენება

ინტერპერსონალურ კომუნიკაციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენს ცხოვრებაში. კომუნიკაციის გარეშე ნარმოუდგენელია ადამიანის ფუნქციონირება. ურთიერთობაში, უპირველეს ყოვლისა მოიაზრება ვერბალური კომუნიკაცია, რომელიც ინფორმაციის სიტყვიერი გადაცემის გზაა, თუმცა, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის არავერბალური სახეს, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაიცემა არა მეტყველებით, არამედ სხეულის ენით – სახის გამომეტყველებით, პოზით, უესტებით, მიმიკებით, თვალის კონტაქტით და სხვა. კაცობრიობის ისტორიაში არავერბალური კომუნიკაცია დროში წინ უსწრებდა ვერბალურს. ენის ნარმოშობამდე ადამიანები ურთიერთობდნენ უესტების, გამომეტყველების, ყვირილის და შეხების მეშვეობით. იგივე კანონზომიერება ალინიშნება ადამიანის განვითარების პროცესშიც. ლაპარაკზე ბევრად უფრო ადრე ბავშვი თავის სურვილებსა და წუხილს ტირილის, სიცილის თუ შეხების მეშვეობით გადმოგვცემს.

### არავერბალური კომუნიკაცია

გრძნობები გადმოიცემა არავერბალური კომუნიკაციის მეშვეობით. ინტერპერსონალური ურთიერთობების ნახევარზე მეტი ხორციელდება არავერბალური კომუნიკაციით. არავერბალური კომუნიკაცია ფართოდაა ცნობილი სხეულის ენის სახელწოდებით.

სხეულის ენის შესწავლა რამდენიმე მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, სიტყვებით შესაძლებელია ფაქტების გადმოცემა, მაგრამ გრძნობების გამოსახატავად მხოლოდ სიტყვები არ კმარა. გრძნობები, რომლის გამოხატვაც ვერ ხერხდება ვერბალური კომუნიკაციის საშუალებით, გადაეცემა არავერბალურ ენას. მეორეც, არავერბალური ენის ცოდნა მიგვანიშნებს, რამდენად შეგვიძლია საკუთარი თავის ფლობა. თუ მოსაუბრე ვერ ახერხებს რისხვასთან, გამკლავებას, ის უმატებს ხმის ტონს, იქცევა გამომწვევად. სხეულის ენა გვეხმარება გავიგოთ, თუ რას ფიქრობს ხალხი ჩვენზე რეალურად. და ბოლოს – არავერბალური კომუნიკაციის განსაკუთრებული ღირებულებაა, მისი არაცნობიერად გამოვლინება. ადამიანები ცდილობენ აკონტროლონ საკუთარი სიტყვები, თუმცა მათი მიმიკა, უესტიკულაცია და ხმის ინტონაცია გასცემთ მათ.

მწერალი ფიუსტი ყვება 15 წლის პუერტო-რიკოელ გოგონაზე, რომელიც გამოიჭირეს სკოლის მწეველ გოგონათა ჯგუფში. სკოლის დირექტორმა გადაწყვიტა მისი დასჯა. დირექტორის ყურადღება მიიპყრო მისმა საეჭვო ქცევამ: გოგონა საუბრისას თვალებში მას არ უყურებდა. დირექტორმა იფიქრა, რომ ეს დანაშაულის გრძნობის გამომხატველი იყო. თუმცა, ესპანური ენის მასწავლებელმა აუხსნა დირექტორს, რომ პუერტო-რიკოში თავაზიანი გოგონა არასოდეს უყურებს უფროსს თვალებში, რასც პატივისცემისა და მორჩილების გამოხატულებაა. ეს შემთხვევა ნათელს ხდის, რომ არავერბალური კომუნიკაცია სხვადასხვანაირად გაიგება სხვადასხვა კულტურაში.

ამავე დროს, კვლევებით დასტურდება, რომ ქალები უკეთ იგებენ არავერბალურ მანიშნებლებს, უკეთ გადმოსცემენ გრძნობებს. არავერბალური კომუნიკაცია უნარია, რომელიც სწავ-

ლასა და გავარჯიშებას ექვემდებარება და სიზუსტე არავერბალურ ურთიერთობაში იზრდება ასაკისა და გამოცდილების შედეგად.

### **სახის გამომეტყველება**

სახის გამომეტყველება გრძნობების მთავარი მაჩვენებელია. ისეთი პოზიტიური ემოციები, როგორიცაა ბედნიერება, სიყვარული, შედარებით ადვილად აღიქმება, ხოლო რთულად აღქმადია უარყოფითი ემოციები – მწუხარება, განრისხება. ჩვეულებრივ ეს ემოციები მიმიკასთან ასოცირდებია:

- გაკვირვება-აწეული წარბები, ფართოდ გახელილი თვალები, ტუჩის ბოლოები ჩამოწეული.
- შიში-ფართოდ გახელილი თვალები, ტუჩის კუთხეები ჩამოშვებული და ოდნავ უკან გადაწეული, შესაძლოა პირი.
- რისხვა-ქვემოთ ჩამოწეული წარბები, გამოკვეთილი შუბლის ნაოჭები, დაშვებული თვალები, ტუჩები მოკუმული, კბილები ერთმანეთზე მიჯრილი და შეკუმშული.
- ზიზღი-ქვემოთ ჩამოწეული წარბები, შეჭმუხნული ცხვირი, ოდნავ მაღლა აწეული ზედა ტუჩი.
- მწუხარება-ჩამქრალი თვალები, ჩამოწეული ტუჩის კუთხეები
- ბედნიერება-მშვიდი თვალები, ჩამოწეული ტუჩის კუთხეები და ამასთანავე ოდნავ უკან გადაწეული.

მხატვრებისა და ფოტოგრაფებისთვის დიდი ხანია ცნობილია, რომ ადამიანის სახე ასიმეტრიულია, შესაძლოა სახის მარჯვენა და მარცხენა მხარემ ემოციები სხვადასხვანაირად გამოხატოს. კვლევებით დასტურდება, რომ სახის მარჯვენა და მარცხენა მხარე ტვინის სხვადასხვა ნახევარსფეროს მიერ კონტროლდება. მარცხენა ნახევარსფერო აკონტროლებს მეტყველებას და ინტელექტუალურ საქმიანობას, ხოლო მარჯვენა მართავს ემოციებსა და სენსორულ ქმედებებს. დადებითი ემოციები მეტნაკლებად თანაბრად აისახება სახის ორივე ნაწილში, ხოლო უარყოფითი ემოციები უფრო მკაფიოდ ვლინდება სახის მარცხენა მხარეს. იმისთვის რომ ემოციები აღინიროს, საჭიროა განვიხილოთ გამომეტყველების თითოეული ნიუანსი.

### **თვალებით კონტაქტი**

თვალებით კონტაქტი არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია და მისი მნიშვნელობა ცვალებადია კონტაქტის მიხედვით. თვალებით კონტაქტი მიუთითებს დაინტერესებაზე, მონონებაზე, ან პირიქით თვალის არიდება ინტერპრეტირებულია, როგორც დაინტერესების არ ქონა. თვალებში განუწყვეტლივ ყურება შესაძლოა უხერხულ სიტუაციის ქმნიდეს, სწორედ ამიტომ მოსაუბრე და მსმენელი, როგორც წესი, ერთმანეთს 10 წამზე დიდ ხანს არ უყურებენ თვალებში. უშუალოდ საუბრისას მოსაუბრე სხვადასხვა მხარეს იყურება, ხოლო საუბრის დასრულებისას პირდაპირ თვალებში გვიყურებს, თითქოს გვატყობინებს, რომ მან თავისი სათქმელი დაასრულა და ახლა ჩვენი ჯერია. ვიზუალური კონტაქტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საუბრის კონტროლის საშუალება. აღსანიშნავია, რომ თვალებით კონტაქტის კონკრეტული ასპექტები დამოკიდებულია ურთიერთობის ხასიათზე, მაგალითად, ჩვენ უფრო დიდხანს ვუყურებთ მათ, ვინც იწვევს აღფრთოვანებას, ან ვისთანაც ახლო ურთიერთობა გვაქვს.

### **ინტონაცია და ხმის ტემპი**

მოსმენის უნარის მქონე ადამიანი იგებს იმაზე მეტს, ვიდრე მოსაუბრის მიერ წარმოთქმული სიტყვებია. ის უსმენს და აფასებს ხმის ტონს, საუბრის სისწრაფეს, ვარიაციებს ფრაზებს შორის, ამჩნევს პაუზებს მეტყველებაში. ეს ყველაფერი სახის მიმიკასთან ერთად, გვეხმარება უკეთ გავიგოთ კომუნიკაციის მნიშვნელობა. გრძნობები სიტყვის მნიშვნელობისგან დამოუკიდებელია. ხმის სიძლიერე და სიმაღლე აგრეთვე გამოსადეგი ელემენტია მოსაუბრის გზავნილის გასაგებად. რამდენიმე გრძნობა, მაგალითად ბრაზი და სიხარული გადმოიცემა მაღალ

ხმაზე, ხოლო ისეთი გრძნობები, როგორიცაა სევდა და დაღლილობა, გადმოიცემა რბილი, დაბალი ხმით და ინტონაციით. საუბრის სისწრაფე გამოხატავს თანამოსაუბრის გრძნობებს. სწრაფად ლაპარაკობენ მაშინ, როდესაც არიან ალელვებულნი ან გადმოსცემენ პირად გრძნობებსა და განცდებს. ის, ვინც ცდილობს დაგვარწმუნოს და გავლენა მოახდინოს, საუბრობს სწრაფად. ხალხი უნებლიერ ამჟღავნებს საკუთარ გრძნობებს და განზრახვებს საუბარში ისეთი შეცდომებით, როგორიცაა სიტყვების გამეორება, მათი არასწორად შერჩევა, ფრაზების განყვეტა. ხშირად შეცდომები საუბრისას იმის მაჩვენებელია, რომ მოსაუბრე ნერვიულობს ან ცდილობს მოგვატყუოს.

### **პოზა და უესტი**

ადამიანის გრძნობებზე შესაძლოა მეტყველებდეს მისი დგომის ან ჯდომის მანერა, პოზა, უესტიკულაცია და მოძრაობები. როდესაც ადამიანი საუბრისას ჩვენსკენ იხრება, ეს პოზა მიუთითებს დაინტერესებაზე. საუბრისას ნაკლებად კომფორტულად ვგრძნობთ თავს, როცა მსმენელი უკან გადახრილია. დახრილობა, რომელშიც მოსაუბრე თავს კარგად გრძნობს, დამოკიდებულია სიტუაციის შინაარსზე, მოსაუბრეთა მდებარეობაზე და კულტურულ დონეზე. დგომის მანერაში არის კულტურული და გენდერული განსხვავებები. ბევრი უესტისა და პოზის მნიშვნელობა მკაფიოდ განსაზღვრულია. მაგალითად გადაჯვარედინებული ხელები ან ფეხები ხშირად მიუთითებს სკეპტიკურ დამოკიდებულებაზე, თავდაცვაზე. მაშინ როდესაც გახსნილი ხელები მიგვანიშნებს ღიაობაზე. ხელების ნიკაპთან მიტანა ჩაფიქრების მაჩვენებელია. ხელების თავს უკან შემოწყობა უპირატესობის მანიშნებელია. საუბრისას თავის დაქნევა, ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა, რომელიც ანიშნებს მოსაუბრეს, რომ განაგრძოს ლაპარაკი. თავის დაქნევა დადებითად მოქმედებს მოსაუბრები ჯგუფური საუბრის დროსაც. ამიტომ ის ხშირად მისკენ მიმართავს საუბარს, ვინც უქნევს თავს.

### **სიცრუის თეორია**

ადამიანისთვის არც თუ ისე უჩვეულოა ტყუილი და მას ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ვიყენებთ. სტატისტიკამ აჩვენა რომ ადამიანი საშუალოდ 10 წუთიან საუბარში მინიმუმ 3 ტყუილს ამბობს ხოლო ყოველი ტყუილის შემდეგ სავარაუდოდ იგი იყენებს 2-3 ტყუილს რათა პირველი ტყუილის დაცვა შეძლოს. დედამიწაზე, ორი ერთნაირი ადამიანი არ არსებობს, ყველანი განსხვავებულები ვართ. განსხვავებულად აღვიქვამთ მოვლენებს, გვესმის, ვფიქრობთ და ერთმანეთისგან განსხვავებულად ვიტყუებით. არ არსებობს სახელმძღვანელო, რომელიც გვაწვდის ტყუილის უესტების სტანდარტულ ნაკრებს, რომლითაც შესაძლებელი გახდოდა ადამიანის ტყუილში გამოჭრა.

ტყუილი მაშინ ხდება თვალში საცემი, როდესაც ის იწვევს გარკვეულ ემოციებს (ნერვიულობა, შიში ან სირცხვილი). ზუსტად ეს ემოციები გადმოიცემა სხეულის ენით. თუმცა იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ ადამიანი ტყუის, საჭიროა კონტექსტის, სიტუაციის და არავერბალური კომუნიკაციის ბაზისური არხების თანხედრა.

### **ლექსიკა**

ადამიანი, რომელიც იტყუება, ხშირ შემთხვევაში, არ ლაპარაკობს პირველ პირში. მის სიტყვებში ნაკვალსახელი “მე” ნაკლებად შეგხვდებათ. უფრო მეტიც, მან საკუთარ თავზე შესაძლოა მესამე პირშიც ილაპარაკოს. ეს იმით აიხსნება, რომ ტყუილის თქმისას ადამიანი გაურბის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას.

### **თვალებით კონტაქტი**

მატყუარასთვის რთულია სიცრუის თქმისას ვინმესთვის თვალებში ყურება. უფრო ადვილია მზერა კედელზე ან ახლო მდებარე საგანზე შეაჩერო, ვიდრე იმ ადამიანს შეხედო თვალებში, რომელსაც ატყუება.

### **სახეზე ხელის მოკიდება**

ტყუილის თქმისას ადამიანი ხშირად იკიდებს ხელს სახეზე, განსაკუთრებით ცხვირზე, ყურებზე, პირსა და ყელზე. ამასთან ნაკლებად იდებს ხელს მკერდზე.

### **გამორება**

ჩვეულებრივ, როცა ვინმეს ეკითხებით “რას აკეთებდი გასულ შაბათს”, ის პასუხამდე რამდენიმე წუთი ფიქრობს. მატყუარას კი წინასწარ მომზადებული აქვს პასუხი. ამგვარად, ის უბრალოდ იმეორებს წინასწარ შეთხზულ ამბავს. თუკი კარგი მეხსიერებით არგამორჩეული ადამიანი ამ შეკითხვაზე მაშინვე გცემთ პასუხს, თქვენთვის ეს საეჭვო ნიშანი უნდა იყოს.

### **ყალბი ემოციები**

ტყუილის თქმისას გამოხატული ემოციებიც ყალბია. მაგალითად, ადამიანი მარტო პირით იღიმება, თვალები კი ამ ემოციას არ გამოხატავს.

### **სიმართლის ოქმის დაუინება**

ჩვეულებრივ, მატყუარა დაუინებით ამტკიცებს, რომ სიმართლეს ამბობს. ხშირად იფიცება. მართალ ადამიანს ნაკლებად ჭირდება ყოველ წამს იმის შეხსენება, რომ არ იტყუება.

### **ხმის ტონის შეცვლა**

ტყუილის თქმისას ადამიანს ხმის ტონი ეცვლება: ის შესაძლოა ამაღლდეს ან პირიქით, დადაბლდეს.

### **წინაღობის შექმნა**

მატყუარას ობიექტების მოთავსება სჩვევია მასა და იმ პიროვნებას შორის, ვისაც ატყუებს. ის შესაძლოა გამოგელაპარაკოთ სხვა ოთხიდან, ან სულაც წინაღობად მაგიდაზე დადებული წიგნები გამოიყენოს.

### **დამატებითი დეტალები**

ტყუილის თქმისას ადამიანი ხშირად არასაჭირო დეტალების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. ის ფიქრობს, რომ ამგვარად უფრო დამაჯერებელი იქნება მისი ტყუილი. სინამდვილეში ასეთი დეტალების მოყოლა ეჭვს უფრო იწვევს. მაგალითად, თუ თქვენი ქმრის (ცოლის) პერანგის რეცხვისას ჯიბეში აღმოაჩენთ ტელეფონის ნომერს და კითხავთ მას ამის შესახებ, პასუხი „ეს სამსახურს ეხება“ უფრო დამაჯერებელი იქნება, ვიდრე „ორი დღის წინ სამსახურში უფროსმა მთხოვა დავხმარებოდი მის ახალ პროექტზე მუშაობაში. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მან მომცა სარეკლამო კომპანიის ნომერი, რომ დამერეკა და გამერკვია პროექტთან დაკავშირებული საკითხები. მეც დავრეკე, ეს ნომერი კი დამრჩა ჯიბეში.“

რა თქმა უნდა, ტყუილის ეს ნიშნები არ მოგცემთ 100%-იან გარანტიას, რომ ვიღაც გატყუებთ, მაგრამ გარკვეულ წვლილს შეიტანს სიცრუე-სიმართლის გარჩევაში.

### **დასკვნა:**

ჩვენ შევძლებთ სხეულის ენის ზუსტ და სწორ გაგებას იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ კონკრეტულ სიტუაციურ კონტექსტს, ასევე თანამოსაუბრის სოციალურ მდგომარეობასა და კულტურას. მნიშვნელოვანია არავერბალური მაჩვენებლების არა ცალ-ცალკე, არამედ მთლიანობაში განხილვა.

არავერბალური კომუნიკაციის ბაზისური არხების ცოდნა ხელს შეგვიწყობს ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაში, აგრეთვე გვეხმარება საკუთარი გრძნობებისა და ემოციების მართვაში. ჩვეულებრივ, მსმენელსაც და მოსაუბრესაც უადვილდებათ კონტაქტი იმასთან, ვისაც აქვს ცოცხალი გამომეტყველება, გამომხატველი მოძრაობები. აქტიური უესტიკულაცია ხშირად მიუთითებს დადებით ემოციებზე და აღქმულია როგორც დაინტერესების ნიშანი.

### თეონა ჯიბლაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი, პროფესორი: ნანა ბურდული

## რეალიათის გავლენა ქვეცნობისაზე

„რაც უფრო მეტად ვეთამაშები თქვენს ქვეცნობიერს, მით  
უფრო ადვილად მემორჩილებით“  
(ფ.ბეგბედერი „99 ფრანკი“)

ქვეცნობიერი აღქმა ერთერთი ყველაზე აქტუალური, მნიშვნელოვანი და საინტერესო საკამათო თემაა მარკეტოლოგთა და ფსიქოლოგთა წრეებში. მართალია ქვეცნობიერის არსებობა დიდი ხნის წინათ არის დამტკიცებული აღარც ქვეცნობიერი აღქმის მეშვეობით ინფორმაციის მიღებისა და დამახსოვრების შესაძლებლობაა სადაც, რეალურად მაინც არავინ იცის, თუ რა კონკრეტულ ზე-მოქმედებას ახდენს ამგვარი ინფორმაცია მომხმარებელთა ქცევაზე (ვილსონ ბრაიან ქეი „ქვეცნობიერი ცდუნება“).

როგორც ფრონდი ამბობს „ფსიქიკა არ აოინურება ცნობიერებით. უფრო მეტიც, ფსიქიკა აის-ბერგს წააგავს, რომლის მხოლოდ ზედა, მცირე ნაწილია ცნობიერება, ხოლო უმეტესი ნაწილი არაც-ნობიერის სიღრმეშია ჩაძირული“.

რეკლამის მნარმოებლები აშშ-ში, უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ ე.წ. „სიღრმითი ფსიქოლოგიის“ მიმართ და მის მეთოდებს ცდისპირებთან გასაუბრების დროს იყენებენ. მაგალითად „სიღრმით საუბრის“ შედეგად გამოირკვა, რომ ადამიანს, რომელიც მრავალსულიან ოჯახსა და ვიზროობაში გაიზარდა, მოსწონს დიდი ზომის ავტომობილი და ყიდულობს ზრდადასრულებულობაში, თუმცა იგი ამას ვერ აცნობიერებს.

ქვეცნობიერი აღქმის თეორია მნიშვნელოვანი მოცულობითაა წარმოდგენილი პრაქტიკაში. მასზეა დაფუძნებული სწავლების პროცესში ე.წ. „ოცდამეხუთე კადრის“ ეფექტის გამოყენება.

ქვეცნობიერი აღქმის თეორიისადმი დასავლეთის, კერძოდ კი, აშშ-ს საზოგადოების დაინტერესების პიკი 1950-იანი წლების ბოლოზე მოდის და აშშ-ს ნიუ ჯერსის შტატის პატარა ქალაქ ფორტ ლის კინოთეატრში მომხდარ ერთ დამაინტრიგებელ ეპიზოდს უკავშირდება. კერძოდ, 1957 წელს რეკლამის ამერიკელმა სპეციალისტმა ჯეიმს ვაიქარიმ განაცხადა, რომ იგი ამ კინოში ექვსი კვირის განმავლობაში ყოველ ხუთ წამში ერთხელ, სპეციალური მოწყობილობის საშუალებით, უშვებდა 3 მილინამის სიგრძის ფარულ სარეკლამო გზავნილებს - „მიირთვით ბატიბუტი“ და „დალიეთ კოკა--კოლა“. ეს გზავნილები იმდენად ხანმოკლე იყო, რომ ცნობიერად ვერ აღიქმებოდა, თუმცა, ქვეცნობიერში აღწევდა და გავლენას ახდენდა მაყურებლის ქცევაზე. შედეგად, აღნიშნულ პერიოდში, კინოთეატრში ბატი-ბუტის და „კოკა-კოლას“ გაყიდვები შესაბამისად 57,7% და 18,1%-ით გაიზარდა. ამ განცხადებამ აღიარება და მატერიალური სარგებელი მოუტანა მის ავტორს და ფართო საზოგადოებრივი რეზონანსიც გამოიწვია.

„ქვეცნობიერი გზავნილის“ ცნების დამკვიდრების შემდეგ, რაც ჩვენში უფრო „ოცდამეხუთე კადრის“ სახელით არის ცნობილი, დაისვა ლოგიკური კითხვა - რა გზავნილს უნდა გადაცემდეს კომპანია ამ ეფექტების საშუალებით იმისთვის, რომ მომხმარებელში თავისთვის სასურველი ქცევა გამოიწვიოს? ამ კითხვის პასუხად გაჩნდა კიდევ ერთი ახალი ტერმინი - „ქვეცნობიერი ცდუნება“, ract ძირითადად „ფარულ“ სარეკლამო გზავნილებში სექსისა და სიკვდილის სიმბოლოების გამოყენებას

უკავშირდება. პროდუქტი, რომლის რეკლამაც მომხმარებელთა ქვეცნობიერ ცდუნებას ცდილობს, მათთვის უფრო სასურველი ხდება. ბევრ ცნობად ბრენდს ადანაშაულებენ ამ კონკრეტული ტექნიკის გამოყენებაში, მათ შორის - „პეპსისა” და „ქემელს”. თუმცა, კომპანიები ამგვარ ბრალდებებს ყურადღებას არ აქცევენ ან, რიგ შემთხვევებში, საპასუხო ბრალდებითაც კი გამოდიან და მათ რეკლამებში ამგვარი სიგნალების ძიებას და პოვნას მავანთა ფსიქოლოგიურ პრობლემებს უკავშირდებენ.

ქვეცნობიერი გზავნილების რეკლამაში განთავსებისთვის შემდეგ ექვს სტრატეგიას გამოყოფება:

- ✓ ფიგურისა და ფონის ურთიერთშექცევა (Figure-Ground Reversal)
- ✓ ჩასმა (Embedding)
- ✓ ორმაგი მნიშვნელობა (Double Entendre)
- ✓ ტაპისტოსკოპური გამოსახულებები (Tachistoscopic Displays)
- ✓ დაბალი განათება და დაბალი ხმა (Low-Intensity Light, Low-Volume Sound)
- ✓ განათება და აუდიო ფონი (Lighting and Background Sound)

**ფიგურისა და ფონის ურთიერთშექცევის ტექნიკა** ვიზუალური და სმენითი ალექტის ორ კომპონენტს - ფიგურასა და ფონს აერთიანებს. ჩვეულებრივი ალექტის დროს, როგორც წესი, ფონი საკმაოდ უმნიშვნელოდ მიიჩნევა და თითქმის იგნორირდება, ხოლო ძირითადი ყურადღება ფიგურას ეთმობა.

ხშირად, ფიგურისა და ფონის ურთიერთშექცევა ოპტიკურ ილუზიადაც მიიჩნევა. ამ თეორიის პოპულარიზაციას დანიელ ფსიქოლოგს, ედგარ რუბინს მიანერენ, რომელმაც რუბინის ვაზის ცნობილ მაგალითზე წამოჭრა ფონისა და ფიგურის ორმაგი ალექტის არსებობის აქტუალობა. ძირითადი სურათი ვაზას აღბეჭდავს, თუმცა, თუ ფონს დავაკვირდებით, ერთმანეთისკენ მიბრუნებული ორი ადამიანის პროფილი წარმოგვიდგება. ამგვარი ოპტიკური ილუზიების საფუძველზე არის დამყარებული ფიგურისა და ფონის ურთიერთშექცევის კომუნიკაციის სტრატეგია. მაგრამ სადაც საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ქვეცნობიერია ამგვარი სტიმულები. მინიშნების შედეგად, ადამიანთა უმრავლესობა ფონისა და სურათის ასეთ ურთიერთჩანაცვლებას ცნობიერად აღიქვამს.

კარგი მაგალითია ფორთოხლების წვენის კეკლამა სამი ფორთოხლის გამოსახულებით, რომელიც ორმაგად აღიქმება. ერთი მხრივ, სურათზე გამოსახულია სამი ფორთოხალი, რაც ლოგიკურად ადამიანის გონებაში ფორთოხლის წვენის ასოციაციას უნდა აღძრავდეს, მაგრამ, იმავდროულად, საკმაოდ მოსახულია და ძლიერ ყურადღებას ვერ მიიპყრობს. მაგრამ, ფორთოხლებს შორის გამოტოვებული ადგილი ბიკინის ფორმისაა და თუ ფორთოხლებს ფონად მივიჩნევთ, მთლიანი სურათი ქალის წელს ქვემოთ გადაღებულ სურათთან ასოცირდება. ამგვარ სურათს ბევრად მეტი ყურადღების მიპყრობა და შენარჩუნება შეუძლია, ვიდრე უბრალოდ ფორთოხლებს.

შემდეგი სტრატეგია ქვეცნობიერი გზავნილის ძირითად სურათში ჩასმას გულისხმობს და ხორციელდება ჩრდილების, დაჩრდილვის ეფექტების ან სხეულთან დაკავშირებული ფორმებისა და კონტურების ურთიერთჩანაცვლების საშუალებით. ამ შემთხვევაში, მთავარი სურათი მკაფიოდ დაიმზირება, ხოლო ფარული გამოსახულება, როგორც წესი, იგნორირდება და მეხსიერებაში ქვეცნობიერი ალექტის მეშვეობით ინახება. ქეის მიხედვით, ამის მაგალითია სექსუალური შინაარსის ქვეცნობიერი გზავნილები, რომლებიც ძნელად გასარჩევი სახითაა ჩასმული დისნეის მულტფილმების ყდების სურათების ფონებში. აღსანიშნავია, რომ დისნეის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელებიც კი შეიტანეს ასეთი ტექნიკის გამოყენების გამო, რის შემდეგაც ახალ ყდებზე ეს სურათები აღარ იყო გამოსახული. მსგავსი შემთხვევები სიგარეტის რეკლამებშიც აღინიშნება. რეკლამაში „ქვეცნობიერი გზავნილის ჩასმის“ გამოყენების მრავალი სხვა ნიმუშიც არსებობს. მაგალითად გამოდგება ეროტიულ თუ სიკვდილის თემაზე ჩასმული მეორადი სურათები „koka-kolas“ და „pepsis“ რეკლამებში. თუმცა, კომპანიები ბრალდებებს უარყოფენ და ნებისმიერ მსგავსებას უბრალო დამთხვევით ხსნიან. ადამიანები ცნო-

ბიერად ვერ აღიქვამენ ჩასმულ ქვეცნობიერ გზავნილებს და მათ მიღებას ან უარყოფას შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არ გააჩნიათ, რის გამოც, ზოგიერთ ქვეყანაში სურათში სიტყვებისა და ადამიანის სხეულის ნაწილების გამუქება ან ჩრდილების სახით ჩასმა აკრძალულია.

**ორმაგი მნიშვნელობის სტრატეგია,** თავისი სახელიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს ერთი რეკლამით ორი სხვადასხვა გზავნილის გადაცემას.

ამგვარი ტექნიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითი მანქანების მნარმოებლი ფირმა ჭ-ს რეკლამაა, რომელიც ორმაგ მნიშვნელობასა და ფონისა და ფიგურის ურთიერთშექცევას აერთიანებს, რეკლამაში უცნაური სურათია გამოსახული, რომელიც ადამიანმა შეიძლება როგორც ღიმილად, ასევე, ზურგად აღიქვას. რეკლამის ტექსტი ორ კითხვას მოიცავს: „ეს ზურგია? თუ ღიმილია?“ მიუხედავად იმისა, რომ რეკლამა ინფორმაციული არ არია, ის ორაზროვნებას ბადებს, ყურადღებას და ინტერესს იპყრობს- შედეგად უფრო დამახსოვრებადია.

ავტომანქანა დოჯის სარეკლამო რგოლში გამოყენებული ლოგო, რომელიც საკმაოდ „პრძნულად“ არის მოფიქრებული. ეს ავტომობილი განსაკუთრებით მამაკაცებს მოსწონთ. მეცნიერთა გარკვეულმა ჯგუფმა ჩაატარა კვლევა და დაადგინა, რომ კომპანია „დოჯის“ ლოგო, რომელზედაც ერთი შეხედვით ცხოველია გამოსახული, სინამდვილეში არც მეტი, არც ნაკლები ქალის საშვილოსნოა, რის გამოც მამაკაცებში ქვეცნობიერ ინტერესს იწვევს და მათ ეს მანქანა „უყვარდებათ“.

განსხვავებული ინტერესის გამო მოიპოვა პოპულარობა კომპანია „მაკდონალდსის“ ჰამბურგერმა. 1990-იან წლების ბოლოს აშშ-ში გასული „მაკდონალდსის“ ჰამბურგერის მორიგი რეკლამაის ხილვის შემდეგ, მისმა გაყიდვებმა განსაკუთრებულად „საეჭვოდ“ მოიმატა. მაკდონალდსის ოპონენტებმა ბევრი იფიქრეს, ეძიეს და იპოვეს კიდეც „ის“, რის გამოც დროის მცირე მონაკვეთში განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოიპოვეს ამ ჰამბურგერებმა. საქმე ისაა, რომ „მაკდონალდსის“ მესვეურებმა კარგად გამოიყენეს ამერიკელი მოსახლეობის საყვარელი „მწვანე ფული“ (დოლარი) და ის სიმწვანე რომელიც სალათის ფურცლებს ახასიათდეს, ჰამბურგერის სალათის ფურცლებს თითქოს შეუმრნევლად დოლარის კუპიურა მიახატეს.

მეცნიერებმა დაასკნეს: „მაკდონალდსის“ ჰამბურგერის პოპულარობა აღნიშნული რეკლამის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა იმიტომ, რომ როდესაც ადამიანი ამ რეკლამას უყურებს, მისი ტვინის ქვეცნობიერს ორმაგი ინტერესი უყალიბდება. მათგან პირველი გაცნობიერებულია და შიმშილის დაკმაყოფილების სურვილითაა განპირობებული, ხოლო მეორე ქვეცნობიერადაა დალუქული ტვინში და ფულის შობვნასთან ასოცირდება, რაც დამატებით სტიმულს აძლევს ჰამბურგერის მოყვარულებს. მედიაკრიტიკოსი ნილ პოსტმანი თავის წიგნში- „როგორ ვუყუროთ სატელევიზიო ახალ ამბებს“ - აღნიშნავს: „სარეკლამო რგოის სრულყოფილი შეფასებისთვის მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი ორი განზომილება, რომელთაგან პირველი ეხება ფულს, ხოლო მეორე - სოციალურ ფასეულობებს.“

ორმაგი მნიშვნელობის სლოგანი საკმაოდ ეფექტიანად გამოიყენა სტომატოლოგმა მალკომ ვორდმა. კომუნიკაციის გზავნილი შემდეგია: „ოფლიანი ხელები, პეპლები, სისუსტე მუხლებში; და ის მხოლოდ წელიწადში ორჯერ მხედავს“. მიუხედავად იმისა, რომ გზავნილში იუმორის გრძნობითაა გადმოცემული ის ნერვიულობა, რომელსაც ადამიანთა უმრავლესობა განიცდის სტომატოლოგთან წასვლის წინ, სლოგანი ასევე სიყვარულთან ასოცირდება.

რეკლამის საიდუმლო მის სლოგანებშია, რომელიც ჩვენი ყურადღების მისაპყრობად არის გამიზნული. მაგალითად :

საპარსი ქალებისთვის. „იგრძენი თავი ქალღმერთად“. გგონიათ ასეთი ფრაზა თქვენზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს? რომელი ქალი არ ოცნებობს, თავი, თუნდაც მცირე ხნით, ქალღმერთად იგრძნოს? რა თქმა უნდა, მათ კარგად იციან, რომ საპარსი ამ ოცნებას ვერ აუხდენთ და მიუხედავად ამისა, მაინც სჯერათ სასწაულის.

1. სლოგანი: „და შენ მზად ხარ ოცნებასთან შესახვედრად“? ეს შამპუნია.. ნუთუ არ მოგინდებათ მისი ყიდვა საყვარელი მამაკაცისთვის?

2. დეზოდორანტთან დაკავშირებული სლოგანი: „waisvi და დრო გაატარე“. შეიძლება წახვიდე დისკოთეკაზე, წვეულებაზე, იცეკვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და სულაც არ ინაღვლო იმაზე, რომ ოფლი განწყობას გაგიფუჭებს.

**ტაჰისტოსკოპური გამოსახულებები ოპტიკურ ლაბორატორიაში მზადდება და გადაიცემა ოპტიკური პროექტორის, ე.წ. ტაჰისტოსკოპის საშუალებით. ეს მოწყობილობა ძალზედ მოკლე ხანგრძლივობით ასხივებს სიტყვებსა და სურათებს, ისეთი დიდი სიჩქარით, რომ მაყურებელთა და მსმენელთა უმრავლესობას მათი აღქმა მხოლოდ ქვეცნობიერად შეუძლია. სწორედ აღნიშნული მეთოდი იყო გამოყენებული ზემოთ მოხსენიებულ მაგალითში კინოფილმის მსვლელობისას „koka-kolasა“ და ბატი-ბუტის სარეკლამო გზავნილების გაშვების შესახებ. ამგვარად გადაცემულ გზავნილს ჩვენთან „ოცდამეხუთე კადრს“ უწოდებენ. ეს სახელი დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ჩვეულებრივი კინოფირის გაშვებისას წამში 24 კადრი გადაიცემა, ხოლო მომდევნო 25-ე კადრი უხილავ, ანუ ქვეცნობიერებაზე გავლენისთვის გამიზნული გზავნილის სახელად გამოიყენება.**

**დაბალი განათება და დაბალი ხმა ქვეცნობიერ აღქმაზე ზემოქმედების ყველაზე აქტიური საშუალებაა. დაბალი განათება ხშირად ფოტოსურათების გადაღებისას გამოიყენება, ამიტომ ქვეცნობიერი გზავნილების უმრავლესობაც ფოტოებზეა განთავსებული. აქ მეორადი სურათი მნიშვნელოვნად უფრო მკრთალად ედება ძირითად სურათს. გარკვეულ ინტენსივობაზე დაბალი განათების პირობებში, მეორადი სურათი ცნობიერად არააღქმადია. ეს კონცეფცია პირველად „koka-kolam“ გამოიყენა. დღეს ასეთი სურათები ძირითადად ისეთ ბეჭდვით რეკლამებში გვხვდება, სადაც გამოსახულებები ნახატებითაა წარმოდგენილი. ქვეცნობიერი გზავნილი ნახატს ფოტოლაბორატორიისა თუ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ედება. ამ შემთხვევაშიც გზავნილები სიკვდილს, საშიშროებას ან ეროტიკულ თემებს უკავშირდება.**

ბოლო, მექევსე სტრატეგია განათების და აუდიო ფონის გამოყენებას გულისხმობს. ორთავეს - განათებას და ფონურ ხმას - უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს კინო და ვიდეო პროდუქციაში. ისინი ცნობიერად არ აღიქმება აუდიტორიის მიერ, მაგრამ ქვეცნობიერ აღქმაზე გავლენის მძლავრი საშუალებებია. სათანადო მომენტში სწორად შერჩეული, დაბალ ხმაზე გაშვებული მუსიკა, ეფექტური განათების თანხლებით, სასურველ ემოციურ რეაქციას იწვევს. ამასთან, ოპტიმალურად შერჩეული განათება და აუდიო ფონი ადამიანში რეალისტური სურათების წარმოსახვას უზრუნველყოფს, რაც რეკლამას ცნობიერადაც უფრო ბუნებრივს და, შედეგად, უფრო სანდოს ხდის. ამგვარი ტექნიკის ერთ-ერთ მაგალითად ლუდი „ტუბორგის“- ის სატელევიზიო რეკლამა მოჰყავთ, სადაც, ვიზუალურ დატვირთვასთან ერთად, ტანგოს მუსიკა გამოიყენება (ცნობილი რეკლამა აგებულია იმ მოტივზე, რომ „ტუბორგის“ მოხმარებასთან ერთად ადამიანის აღქმა უკეთესობისკენ იცვლება). ცნობილია, რომ ტანგოს მელოდია ადამიანთა უმრავლესობაში ვნების ასოციაციას იწვევს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამგვარი რეკლამების ქვეცნობიერზე ზემოქმედება, როგორც წესი, ვერ მტკიცდება, ამიტომ ისინი აკრძალული არ არის.

აუდიო ფონის მეშვეობით ქვეცნობიერზე ზემოქმედებაში ხშირად ფილმებსაც სდებენ ბრალს. როდესაც ფილმში დაბალ ხმაზე კარგად შერჩეული მუსიკაა, ის მართლაც ქმნის შესაბამის ხასიათს, მაგალითას დაძაბულობოს შესაქმნელად, ხშირად მოკლე, უდერად მუსიკას იყენებენ, ხოლო სითბოსა და სიყვარულის ემოციების აღსაძვრელად- უფრო ნაზ და დაბალი უდერადობის მქონე მუსიკას.

ადამიანი ყოველდღიურად საკმაოდ დიდი მოცულობის სარეკლამო ინფორმაციას იღებს. მოკლევადიან პერიოდში, რეკლამის ძირითადი მიზანი გაყიდვებისა და კომპანიების მოგების ზრდაა, რაც რეკლამის მხრიდან მომხმარებლის ახლო სამომავლო ქცევაზე ზემოქმედების პირდაპირი შედეგი უნდა იყოს.

როგორც ჯეკ ჰაბერტო ამბობს : „ყინულის ნატეხებს ბევრად უფრო მეტი ალკოჰოლის გაყიდვა შეუძლია, ვიდრე მიმზიდველ მოდელებს. ხშირად შეუმჩნეველ ყინულის ნატეხებში გაყიდვის უჩინარი უნარია დამალული - უჩინარი, რასაკვირველია, მხოლოდ ცნობიერი გონებისთვის. („სიმართლე ქვეცნობიერ რეკლამაზე“).“

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. იმედაძე - „ფსიქოლოგიის ისტორია“, თბ.2008;
2. ფ.ბეგბეგერი - „99 ფრანკი“, გამომცემლობა პალიტრა L;
3. <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0---0---0prompt-10---4---11-11-ru-50---20-help---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL2.8&d=HASH01f297cf670fa32339a27070.7>

### ნაზი ჩიქოვანი

საქართველოს საპატრიარქოს, წმიდა ანდრიაპირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტურა  
ხელმძღვანელი პროფესორი: ნანა დვალიშვილი

## STR ალელების გავრცელების სიხშირა ეათულ კოაულაციაში და მისი მნიშვნელობა სასამართლო სამართლის ექსპერტიზისათვის

კვალიფიციური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შესაძლებელია მხოლოდ პიროვნების იდენტიფიკაციის თანამედროვე ზუსტი მეთოდების გამოყენებით, რაც პირველ ყოვლისა, გულისხმობს დნმდის მოლეკულურდბიოლოგიურ გამოკვლევებს. იდენტიფიცირების სიზუსტისათვის აუცილებელია არსებობდეს საკვლევ პოპულაციაში სპეციფიკური ალელების გავრცელების სიხშირის ამსახველი მონაცემთა ბაზა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება შედარებითი ანალიზის ჩატარება და პიროვნების ზუსტი იდენტიფიცირება გენეტიკური მახასიათებლის პროფილის მიხედვით. თანამედროვე გენეტიკური ექსპერტიზა ეყრდნობა ოთხნუკლეოტიდიანი განმეორებადი თანმიმდევრობების ე.წ. მოკლე ტანდემურ განმეორებადობათა (STR) ლოკუსების კვლევას. სადლეოსოდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები სპეციფიკური STR ალელების გავრცელების სიხშირის შესახებ, რამაც განაპირობა ჩვენი დაინტერესება ამ საკითხით. სწორედ ამ კვლევის შედეგების ნაწილს წაროგიდგენთ წინამდებარენაშრომში.

იმისათვის, რომ დნმ ანალიზის შედეგად მოხდეს პიროვნების იდენტიფიკაცია და მაღალი სიზუსტით იქნეს გამოთვლილი პიროვნების მსგავსების (დამთხვევათა) თანაფარდობა, დღესდღეობით საქართველოში ხელმძღვანელობენ კავკასიოდურ რასაში ალელების გავრცელების სიხშირის მონაცემებით. ყველა ქვეყანას, რომელსაც დნმ იდენტიფიკაციის საშუალება გააჩნია, შესწავლილი და დათვლილი უნდა ჰქონდეს ყველა STR ლოკუსების ალელების გავრცელების სიხშირე, რომელიც დამახასიათებელია მათთვის, ვინორ პოპულაციაში, რითაც შემდგომ იხელმძღვანელებენ დნმ ლაბორატორიები პიროვნების იდენტიფიკაციისას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც, რადგან საქართველოს სამართლადამცველები აქტიურად თანამშრომლობენ ინტერპოლთან.

პიროვნების იდენტიფიკაციის მოლეკულურდბიოლოგიური მეთოდები განვითარებას იწყებს მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლებიდან და მსოფლიო მასშტაბით ძირებული გარდატეხა შეაქვს სასამართლო მედიცინაში. დნმ-მა, როგორც იდენტიფიკაციის საშუალებამ, მეცნიერთა ყურადღება მთელი რიგი თავისებურებების გამო მიიპყრო. მეთოდი, რომელიც დღემდე წარმატებით გამოიყენება სასამართლო მედიცინაში, ბრიტანელ მეცნიერს, ალექს ჯეფრის ეკუთვნის. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი დნმდის დაქტილოსკოპიას და განავითარა დნმდის პროფილის შექმნის ტექნოლოგიები/1/. მკვლევარებმა შენიშვნეს, რომ დნმდის გარკვეული უბნები შეიცავდა მოკლე, განმეორებად ნუკლეოტიდურ მონაკვეთებს, რომელთა გამოყენება ეფექტურია სასამართლო ექსპერტიზაში, რადგან მოკლე მონაკვეთები ნაკლებად ექვემდებარება მუტაციებს და გარემო ფაქტორების მადეგრადირებელ ზეგავლენას /2, 3, 4/.

ჩვენს კვლევაში ვიყენებდით დნმ-ის ფრაგმენტების სიგრძის პოლიმორფიზმის განსაზღვრის მეთოდს. აღმოჩნდა, რომ მანძილი მათ შორის სხვადასხვა პიროვნებას განსხვავებული აქვს. პიროვნების ინდივიდუალობის დახასიათებისათვის კი საჭიროა მონიშნული ფრაგმენტების ზომის (სიგრძის)

განსაზღვრა. რესტრიქციის ფრაგმენტების სიგრძის პოლიმორფიზმის (RFLP) კვლევა დაფუძნებულია ადამიანის დნმ-ის მაღალვარიაბელური უბნების დეტექციაზე. გარკვეული ფუძე (ბაზური) წყვილის თანმიმდევრობისა და ლოკუსში მათი ვარიანტების მიხედვით დგება პიროვნების გენოტიპი.

ჩვენი კვლევის სამიზნე პირველ ეტაპზე გახდა საქართველოს საზღვისრპირა ზოლი და კერძოდ თურქეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორია და ამისათვის შერჩეულ იქნა ლაზური პოპულაცია. ამასთანავე, მეორე საკვლევ პოპულაციად კი შევარჩიეთ მოსახლეობის რაოდენობის მხრივ მეორე ადგილზე მყოფი - იმერული პოპულაცია. პოპულაციური კვლევისათვის აუცილებელი მოთხოვნა იყო - საკვლევ პირებს არ უნდა ჰყოლოდათ საერთო წინაპარი და არ ყოფილიყვნენ ერთიდამავე გვარის წარმომადგენლები, რათა გამოგვერიცხა მათ შორის ნათესაური კავშირები და მეტდნაკლებად მართებული შედეგები მიგველო პოპულაციებში საკვლევი ალელების შემთხვევით განაწილებაზე. ამ პრინციპით შეირჩა 37 ლაზი (თურქეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე) და 34 იმერელი (ზემო და ქვემო იმერეთში) ცდის პირი. ნიმუშების ალების წინ დონორებს განემარტათ კვლევის არსი და მათგან მიღებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა. ანკეტებში მითითებული იყო მათი წინაპრების ვინაობა, წარმომავლობა, რითაც გამოვრიცხეთ მათ შორის ნათესაური კავშირების არსებობა.

ბიოლოგიურ მასალად გამოყენებულ იქნა ნერწყვის სინჯები. ნერწყვის შეგროვება ხდებოდა სპეციალურ კონტეინერში, რომელშიც წინდანინ ჩასხული იყო ლიზის ბუფერი პროტეინაზა -ს დაბალი შემცველობით. დნმ ექსტრაქციას ვახდენდით სტანდარტული, ფენოლ-ქლოროფორმის მეთოდით /5, 6/.

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა რეალური დროის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის აპარატი 7500 RT-PCR (Applied Biosystems), ადამიანის დნმ-ს რაოდენობის განმსაზღვრელი კიტი (Human DNA Quantification Kit-Applied Biosystems; Cata. No. 4343895). გამოკვლევა მიმდინარეობდა მწარმოებლის მიერ მოწოდებული კიტის სახელმძღვანელოში მოცემული პროტოკოლის შესაბამისად. რეაქციის დასრულების შედეგ, შედეგები გაანალიზდა 7500 SDS Software v.1.3.1.-ის მეშვეობით. მოვახდინეთ მიღებული დნმდის სამუშაო კონცენტრაციამდე ნორმალიზება შემდგომი ამპლიფიკაციისათვის.

საკვლევი ნიმუშების ტიპირებისათვის შეირჩა COrDIS 20. ამ მულტიპლექს სისტემის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთდროულად 20 ლოკუსის ამპლიფიცირების საშუალებას იძლევა: 19 STR მარკერი და სქესის განმსაზღვრელი ერთი ლოკუსის (ამელოგენინი). ყველა მარკერი, რომელიც ამ ნაკრებში შედის, ფართოდ გამოიყენება პოპულაციურ კვლევებში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნაციონალური კრიმინალისტიკური მონაცემთა ბაზის საფუძველს შეადგენს. მათ შორის, აღნიშნული კრებული მოიცავს STR ლოკუსების სტანდარტულ პანელს, როგორიცაა: D3S1358, D5S818, D7S820, D8S1179, D13S317, D16S539, D18S51, D21S11, CSF1PO, FGA, TH01, TPOX, და VWA; 5 STR მარკერი (რომელსაც ENFSI უწევს რეკომენდაციას ევროპული ნაციონალური მონაცემთა ბაზის საძიებო სისტემაში შესატანად. რეკომენდაცია გაცემულია 2009 წელს და მისი შესრულება 2011 წლიდან ევალება ყველა ქვეყანას, ვინც ამ ორგანიზაციის წევრია); D2S441, D10S11248, D12S391, D22S1045, D1S1656; და მარკერი SE33-ყველაზე პოლიმორფული დანარჩენ მარკერებთან შედარებით, რომელიც დიდი ნარმატებით გამოიყენება ევროპულ ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში.

გამოკვლევისათვის გამოვიყენეთ გენეტიკურიანალიზატორიდ 3130 ტიპის, 4 კაპილარიანი მოდელი-3130 GeneticAnalyser. პროცესის სამართავად გამოიყენებოდა ინსტრუმენტის შესაბამისი პროგრამა AB3130 Data Collection Softwarev.3. ელექტროფორეზის შედეგების გასაანალიზებლად კი ვისარგებლეთ კომპიუტერული პროგრამა - GeneMapper ID v 3.2-ით.

ორივე პოპულაციაში ცალ-ცალკე დათვლილ იქნა ალელების რაოდენობა. მათი გავრცელების სიხშირის დასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა ჯ. ბატლერის მიერ მოწოდებული ფორმულა 5/2 /7/. ჩვენ მიერ შესწავლილი ორი პოპულაცია შედარდა ერთმანეთს. პოპულაციური გენეტიკისათვის მნიშვნელოვანია შედეგი ფაქტორები: ჰომოზიგოტური და ჰეტეროზიგოტური გენოტიპები პოპულაციაში, დომინანტი და რეცესიული ალელის არსებობა, პოპულაციების ურთიერთშედარება და შეფასება იმისა, თუ რომელ ლოკუსში რომელი ალელის გავრცელების სიხშირეა უფრო მაღალი, ხომ არ ფიქსირდება დასაკვირვებელ პოპულაციაში ისეთი ალელები, რომელიც დამახასიათებელი არ

არის რომელიმე სხვა პოპულაციისათვის. ასევე, ალელებზე დაკვირვებით მსჯელობენ პოპულაციის მრავალფეროვნებაზე. მას იყენებენ გენოფონდის აღწერისას.

პოპულაციის შეფასებისათვის გამოიყენება ჰარდი-ვაინბერგის კანონი, ეს არის კანონი პოპულაციური გენეტიკის - პოპულაციის, რომელზეც არ მოქმედებს გადარჩევა, არ მიმდინარეობს მუტაციური პროცესები, არ მიმდინარეობს გენების დრეიფი, ყველა შეჯვარება ბუნებრივია. აქედან გამომდინარე (თუ პოპულაციაში ორი ალელი მაინც არის ერთი გენისა) შეადგინეს ტოლობა:  $p^2+2pq+q^2=1$ ; ჩვენ მიერ შესწავლილ 2 პოპულაციაში საკმაოდ დიდი მრავალფეროვნებაა ამ თვალსაზრისით. კერძოდ, ორივე პოპულაციაში არის ლოკუსები, სადაც კონკრეტული ალელები საერთოდ არ ფიქსირდება, აგრეთვე არის ალელები, რომელთა სიხშირე უკიდურესად მაღალია ერთ პოპულაციაში, ხოლო მეორეში - შედარებით დაბალი.

მაგალითისათვის, ლოკუსი TPOX-ის მონაცემები განსხვავებული აღმოჩნდა იმერულ და ლაზურ პოპულაციებში. იმერულ პოპულაციაში ამ ლოკუსში ალელი 7 სრულიად არ ფიქსირდება, როდესაც იგივე ალელი არცთუ უმნიშველო სიხშირით აღმოჩნდა ნარმოდგენილი ლაზურ პოპულაციაში. აგრეთვე, არ დაფიქსირებულა ალელი 20 იმერულ პოპულაციაში vWA ლოკუსში. განსაკუთრებით საყურადღებოა ლოკუსი SE33 რადგან აქ მთელი რიგი განსხვავებები იქნა გამოვლენილი: მაგალითად, ალელები 17.3; 18.2; 35.2. ისინი საკმაოდ ხშირია იმერულ, მაგრამ სრულიად არ გვხვდება ლაზურ პოპულაციაში. ამავდროულად, ლაზურ პოპულაციაში ამავე ლოკუსში არსებობს ალელები, რომელიც არ არის დამახასიათებელი იმერული პოპულაციისათვის: 20.2; 32; 33; 34. ასეთი მრავალფეროვნება შეინიშნება ჩვენ მიერ გამოკვლეულ თითქმის ყველა ლოკუსში. რაც შეეხება ალელების გავრცელების სიხშირეს, აქაც არის განსხვავება ამ ორ პოპულაციის შორის. კერძოდ, ლოკუსი TPOX მე-8 ნომერი ალელის გავრცელების სიხშირე ძალიან მაღალია იმერულ პოპულაციაში და ის 0.52941 შეადგენს, მაშინ როდესაც იგივე ლოკუსის სიხშირე ლაზურ პოპულაციაში 0.40541-ია (0.5-ზე მაღალი ალელის სიხშირე ითვლება უკიდურესად მაღალ მაჩვენებლად პოპულაციისათვის).

ჩვენ მიერ გამოკვლეული ორი პოპულაციის შედეგები შევადარეთ კავკასონიდურ პოპულაციაში გავრცელებულ ალელების სიხშირის მონაცემებს. მაგალითისათვის განვიხილოთ ლოკუსი D21S11. ამ კონკრეტულ ლოკუსში ჩვენ მიერ შესწავლილი პოპულაციისათვის დამახასიათებელია ისეთი ალელები, რომელიც სრულიად არ არის აღმოჩენილი კავკასონიდური პოპულაციის 302 ნარმომადგენელში. კერძოდ, ეს განსხვავება შედარებით უფრო მკაფიოდ იყო გამოხატული იმერულ პოპულაციაში, ვიდრე ლაზურში. ალელები 25, 26 დაფიქსირდა იმერულ, მაგრამ არ აღმოჩნდა ლაზურ და არც ზოგადად, კავკასონიდურ პოპულაციაში. სანაცვლოდ, ალელი 27, 32, 33 არის კავკასონიდურ, მაგრამ არ გვხვდება იმერულ პოპულაციაში.

### ლიტერატურა:

1. Zagorski N., Profile of Alec Jeffreys. Proc Natl Acad Sci U S A. 2006 June 13; 103(24): 8918–8920.
2. Jeffreys A.J., Royle N.J., Wilson V., Wong Z.. Spontaneous mutation rates new length alleles at tandem-repetitive hypervariable loci in human DNA //Nature, 2988. – Vol/332/-P. 278-281
3. Jeffreys A., Wilson V., Thein S. Individual specific fingerprints of human DNA. //Nature, 2005-Vol. 361-P 75-79
4. Jeffreys A., Wilson V., Thein S. Hypervariable minisatellite regions of human DNA. //Nature. 1985. Vol. 314-P67-73
5. Lincoln P.J., Thomson J. Forensic DNA Profiling Protocols, 1998
6. Willard J., Lee D., Holand M. „Forensic DNA Profiling Protocols. Vol. 98, 1998
7. Butler J.M. Forensic DNA Typing, 242, 2<sup>nd</sup> edition, 2005

### ხატია დადალაური

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა  
ხელმძღვანელი პროფესორი: მარიამ მირქაშვილი

## სასულიერო პირთა ზეორგივი კონფლიქტი (უმპარტო ეკოს „ვარდის სახელის“ მიხედვით)

ცნობილი იტალიელი მწერლის, უმბერტო ეკოს გახმაურებული მეტარომანი „ვარდის სახელი“ სამართლიანად მიიჩნევა პოსტმოდერნისტული მწერლობის საკულტო ნაწარმოებად. რომანის პრობლემატურ საკითხთა შორის, რომელსაც ავტორი ეხება, კრიტიკოსები გამოყოფენ სასულიერო პირთა ზნეობრივი კონფლიქტის პრობლემას; კერძოდ, მწერალი დეტალურად აღნერს შუასაუკუნეების მამათა მონასტერში ბერ-მონაზვნების ცხოვრების წესს და, ამასთან დაკავშირებით, ეხება მათი სექსუალური გადახრების პრობლემას. „ვარდის სახელში“ წარმოჩენილი ბერები, მიუხედავად მათი სტატუსისა, ურცხვად მრუშობენ, სოდომურ ცოდვას სჩადიან და ახალბედა მორჩილებსაც მოუნიდებენ გარყვნილებისკენ; ამ უკანასკნელებს კი, ხშირად თავის დაცვა უწევთ, რათა ზნეობრივ ნორმებს არ უდალატონ და უბინოება შეინარჩუნონ.

უმბერტო ეკო ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ზოგჯერ ნატურალისტურადაც წარმოაჩენს რომანის პერსონაჟების(ბერების) აღვირახსნილობას. ნაცვლად იმისა, რომ დაიცვან ბიბლიური შეგონებანი, შეინარჩუნონ სიწმინდე და სულის ცხონებაზე იფიქრონ, ბერები უარყოფენ ღვთის მოძღვრებას და ენინაალმდეგებიან უფლის ნებას. ისინი არც კი ცდილობენ ქვენა გრძნობების უარყოფასა და დათრგუნვას, პირიქით, დღითიდღე უფრო მეტად იძირებიან ცოდვის მორევში და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, თავიანთი ცხოვრების წესის ტირაჟირებას ცდილობენ, ახალგაზრდა მორჩილებშიც ეწევიან მის პროპაგანდას.

ერთი შეხედვით, ავტორი თითქოს განზე დგას, იგი უბრალო ნარატორად გვევლინება და საკუთარ ხედვას აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებით არ აფიქსირებს, თუმცა ქვეტექსტებში იკითხება მისი პოზიცია: ბერების ამგვარი ყოფა და მონასტრის გადაქცევა გარყვნილების ბუდედ ყოვლად მიუღებელია. მართალია, ცისა და ქვეყნის შემქმნელი უსაზღვროდ კაცთმოყვარეა, მაგრამ ამგვარ გამოუსწორებელ ცოდვას იგი არავის ჰპატიობს; მან ერთხელ უკვე გაანადგურა სოდომური ცოდვის მქმნელები და სავარაუდოდ, რომანის პერსონაჟებიც განწირული არიან.

შევნიშნავთ, რომ ზემოაღნიშნული პრობლემა XXI საუკუნის მსოფლიოშიც საკმაოდ აქტუალურია; იქმნება თითქმის მოუგვარებელი კონფლიქტი ღმერთსა და ადამიანებს შორის. ვფიქრობთ, რომ გამოსავალი მხოლოდ საკუთარი ბოროტი ფიქრების დათრგუნვა, ვნებების დაოკება, სულიერი ამაღლება, საკუთარი თავის ამოცნობა, თვითდაჯერება, ადამიანის მისის გააზრება, უფლის გზაზე დადგომა და ამ გზით სიარულია წრფელი გულითა და სუფთა გონებით.

სხვადასხვაგვარია მამათმავლობისადმი დამოკიდებულება მუსლიმანურ და ქრისტიანულ სამყაროში. ადათის მიხედვით, მაჰმადინები უმანკოები ქორწინდებიან. კაცის შემთხვევაში უმანკო - ქალთან ინტიმური კავშირის არქონას ნიშნავს, თუმცა ლამაზ ბიჭებთან ურთიერთობა სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მამათმავლობის შემთხვევები ეკლესიაშიც ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა ბერებს უბინოების აღთქმა აქვთ დადებული, ფარული ინტიმური კავშირი მონასტრის ბერებს ადგილობრივი სოფლის მცხოვრებლებთან მაინცა ქვთ. თუმცა, რადგან ქალი ყველაზე ამაზრზენი არსება დედამინაზე (ასე ფიქრობდნენ ეკოს პერსონაჟები) და თანაც სოფლიდან მათი ამოყვანა რთულია, ბერებისთვის აღტერნატივა ახალგაზრდა მორჩილებთან ურთიერთობაა. ყველაზე

საოცარი რაც არის, დანარჩენი ბერები ამ ფაქტს მშვიდად იღებენ. ერთმანეთის თვის საყვარლების წართმევა და ეჭვიანობის სცენებიც უცხო არა ამონასტრისთვის. ავტორი ერთგან მამათმავლობას სოდომის ცოდვას უწოდებს, მეორეგან კი აღნიშნავს, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო შუა საუკუნეების სამონასტრო ცხოვრებაში, მაგრამ არ არსებობს მიზეზი, რითაც შეიძლებ ამამათმავლობას გამართლება მოუძებნო, რადგან ეს არის ადამიანის გონების ყველაზე ბინძური, მანკიერი გამოვლინება და სულის გარყვნა.

წმინდა წერილში სქესთა განყოფის შესახებ მოთხოვილია დაბადების წიგნის I თავის 27-ედა II თავის 22-ე მუხლებში. პირველ შემთხვევაში დაბადებაში ვკითხულობთ: ”შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი”[2,7]. ადამიანის სექსუალობა მხოლოდ ორი სახით შეიძლება განხორციელდეს — ესაა ქორწინება და ქალწულობა. ორივე მათგანი ეკლესიის მიერ მაცხოვნებლადაა მიჩნეული. სქესობრივი ცხოვრების ნებისმიერი სხვა ფორმა ცოდვაა. ერთ-ერთი მათგანია ჰომოსექსუალიზმი. ბიბლია ამ ცოდვის შესახებ საკმაოდ მწირად, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავად და მკაცრად მოგვითხოვთ, ისე, რომ რელატივაციის არავითარ შესაძლებლობას არ ტოვებს.

ერთგან ეკო წერს: “ის, რაც ადამიანის გონებისთვის დაშვებულია, არ შეიძლება დაუშვებელი იყოს ღმერთისთვის, რადგან ჩვენ მისი ქმნილებები ვართ”, [3, 87] მხოლოდ უფალმა უწყის თავის ხატად და მსგავსად შექმნილი არსების გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები, მაგრამ ხდება ყოვლადდაუშვებელი რამ: ჰომოსექსუალიზმი იმგვარი ცოდვა, ანუ დაცემული ადამიანური ბუნების იმგვარი გამოვლინებაა, როდესაც შემოქმედის მიერ ჩაფიქრებულ მოვლენათა მსვლელობა კარგავს საწყის მიზან-მიმართულებას და თვითნებურად, მისი საპირისპირო მიმართულებით ვითარდება.

ღვთაებრივი განძრახვის შეგნებული დამახიჯება დ აი, რა არის ჰომოსექსუალიზმი, იგი უხვადაა ნასაზრდოები სეკულარული კულტურით. კულტურით, რომელიც ცდილობს ერთსქესიანი ურთიერთობები ნორმად დასაზოადოებისთვის მისაღებად გამოაცხადოს, რითაც ის ღვთისსანინააღმდეგო ქმედებას ეწევა. ამის გამო იყო, რომ ნებისმიერი ნარმართული ცივილიზაცია, უძველესი დროიდან მოყυლებული, ჰომოსექსუალიზმს ნორმალურ მოვლენად თვლიდა. ძველი აღთქმის რელიგია მკვეთრად აღუდგა ნინ ყოველგვარ სქესობრივ გარყვნილებას და მათ შორის ჰომოსექსუალიზმსაც. როგორც ვიცით, არცერთი ხალხი არ დაუსჯია უფალს იმგვარად, როგორც სოდომისა და გომორის მოსახლეობა დასაჯა, რომელთა შორისაც ეს ცოდვა განსაკუთრებულად იყო გავრცელებული. “და თქუა უფალმან ღმერთმან: ღალადება სოდომთა და გომორთა განმრავლდა ჩემდა მომართ, ცოდვანი მათნი დიდ არიან ფრიად” (დაბ. 18, 20)[2,16]. “და უფალმან აწვიმა სოდომსა და გომორსა ზედა წუნწუბა და ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით” (დაბ. 19, 24)[2,17].

მოგვიანებით, მოსეს სჯულის მიღების შემდეგ, ებრაელ ერს ეკრძალებოდა ყოველგვარი გაუკულმართებული სექსუალური ცხოვრება, მათ შორის ჰომოსექსუალიზმი. ლევიტელთა წიგნის მე-18 თავში (მუხლი22) ვკითხულობთ: “არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური ნოლით, ეს სისაძაგლეა”, ხოლო მე-20 თავის მე-13 მუხლში წერია: “ვინც მამაკაცთან დაწვება ისე, როგორც ქალთან წვებიან, სიბილნეს ჩაიდენენ ორივენი, უნდა მოკვდნენ. მათზე ამათი სისხლი”. რაც შეეხება ახალ აღთქმას, ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ კატეგორიულად ილაშქრებს პავლე მოციქული „ასევე მამაკაცებმაც მიატოვეს ქალის ბუნებრივი წესი და გახურდნენ ავხორციელით ერთიმეორის მიმართ. მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სამარცხვინოს, და მიიღეს საკადრისი საზღაური თავიაანთ ცდუნებისათვის –(რომ. 2, 27;) [1,329].

ეკლესია მამათმავლების მიმართ ყველაზე მკაცრ ეპიტიმიას აწესებდა. კერძოდ, წმინდა ბასილი დიდი ამფილოქე იკონიელისადმი მიწერილი მესამე კანონიკური ეპისტოლის 62-ე წესის მიხედვით, მამათმავლები წმინდა ზიარებიდან 15 წლით განიკვეთებოდნენ, ესეპიტიმია უფრო მკაცრია, ვიდრე მრუშობის ეპიტიმია, რომელიც 7,5 წლითგან კვეთას ითვალისწინებს. რადგან სოდომია ორმაგ ცოდ-

ვას წარმოადგენს. ცოდვას, რომელიც მიმართულია როგორც მეორე პიროვნების, ისე თვით ბუნების წინაღმდეგ[4].

ნმინდა ოიანე ოქროპირი პავლემოციქულის ზემოაღნიშნული ეპისტოლების შეასაბამისი ადგილების კომენტირებისას ძალზე კატეგორიულიად სოდომურ ცოდვას ღვთის წინაშე ჩადენილ უმძიმეს ცოდვად მიიჩნევს. წმინდა მამა მკვეთრად განარჩევს სქესობრივი ცხოვრების ორ, – ბუნებრივ და არაბუნებრივ მხარეს. პირველ მათვანში, თუ ის ეკლესიის მიერ აღსრულებული ქორწინების ფარგლებში თავსდება, არაფერი ცოდვის მიერი არ არის, რადგან სქესობრივი დიმორფიზმი ღვთის მიერ დადგენილ წესად მიიჩნევა.

ჰომოსექსუალიზმზე საუბრისას ოიანე ოქროპირი მკვეთრ ზღვარს ავლებს ქრისტიანობის სექსუალურ ეთიკასა და სოდომიისადმი წარმართობის ლიბერალურ პოზიციას შორის, რომლის მიხედვითაც მამათმავლობა ჩვეულებრივი, კანონიერი და მეტიც, მხოლოდ თავისუფალ მოქალაქეთათვის განკუთვნილი პრივილეგირებული ქმედება იყო, რომელიც მონებს, როგორც არასრულფასოვან არსებებს, ეკრძალებოდათ. ის წერს: “სოდომია უფრო საშინელია, ვიდრე მრუშობა, რომელიც მართალია უკანონოა, მაგრამ ბუნებრივია, მამათმავლობა კი უსჯულოებაცაა და ამავ ედროს, ბუნების წინააღმდეგ მიმართული ცოდვაც. რომ არა გეენა, მაშინ მამათმავლობა იქნებოდა ყველაზე დიდი სასჯელი” [4]. ოქროპირის აზრით, სოდომიური ცოდვა უფრო მძიმეა, ვიდრე მკვლელობა, რადგან: “უკეთესია სიკვდილი, ვიდრე ასეთი სიბილნით ცხოვრება. მკვლელი სულსა და ხორცს გაჰყრის ერთმანეთისაგან, მამათმავალი კი ღუპავს როგორც სულს, ისე სხეულს. არ არსებობ სცოდვა, რომელიც ამ უსჯულოებას შეედრება და მასში მყოფი რომ ამ ცოდვის სიმძიმეს აცნობიერებდნენ, ამ სისაძალეში ჩავარდნას მრავალგზის სიკვდილს არჩევდნენ” [4].

ამ ცოდვისაგან გათავისუფლების ერთადერთი საშუალება კვლავ ღმერთთან დაბრუნებაა, რაც სინანულით მიიღწევა. თუ ადამიანი დაგმობს ცოდვილ ცხოვრებას და სინანულით შესთხოვს უფალს ცოდვების მიტევებას, შენდობას მიიღებს, რადგან არ არსებობს ცოდვა, რომელიც ღვთისიყვარულსა და მოწყალებას აღემატება [4]. ამასთან დაკავშირებით, ეკო ადსოს ათქმევინებს: “უკვე ყველამ იცოდა, რომ ბერენგარიუსი ადელმუსისადმი არა ჯანსაღი ლტოლვით დადაგულიყო, ვნებით, რომლის მსხვერპლნიც სოდომისა და გომორაში დალახვრა ღვთის რისხვამ. . . . ვისაც სიყმანვილე მონასტერში გაუტარებია, ამგვარი ცოდვის შესახებ ყველას სმენია, თუნდაც უმანკოების შესანარჩუნებლად, ბევრს თავის დაცვაც კი უწევდა ამ სენით შეპყრობილთაგან. ბერის ფიცი გვაიძულებს, ვერიდოთ ბინიერების ისეთ წყაროს, როგორიცაა ქალის სხეული, თუმცა იგივე ფიცი სხვა ცოდვებთან გვაახლოვებს. განა შემიძლია, საკუთარ თავს არ გავუმხილო, რომ ჩემს სიბერეს დღესაც ამ-ლვრებს დემონი, როცა ქოროში მდგარ უნვერულ ყრმათა გოგოსავით კრიალა, ქორფასახეები მომტაცებს ხოლმე მზერას?” [3,218]. ყოველივე ეს საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი ბილნი ცხოვრებით ცხოვრებდნენ ეკოს პერსონაჟები, რა საშინელ ცოდვაში დგამდნენ ფეხს და, ნაცვლად იმისა, რომ უფალს დაახლოვებოდნენ, საოცარი სისწრაფით შორდებოდნენ მასდა ჯოჯოხეთის ცეცხლისკენ მიექანებოდნენ.

“ერთ მხარეს ანგელოზთა გუნდია, მეორე მხარეს კი ჯოჯოხეთის ხახა” [3, 370] – თავის ერთ-ერთ პერსონაჟს ათქმევინებს ეკო, გადაწყვეტილება კი შენი მისაღებია და შენზევეა დამოკიდებული რომელ გზას აირჩევ, უფლისკენ მიმავალს თუ ჯოჯოხეთისკენ. შუა საუკუნეების სამონასტრო ცხოვრების აღწერა მწერლისთვის ერთგვარი ფონი იყო, რათა წარმოეჩინა ადამიანის დეგრადირებული ბუნება, მისი გონების მანკიერი გამოვლინებანი, ისეთი ადამიანები (კონკრეტულ შემთხვევაში, ბერები), რომლებიც გამუდმებით მრუშობენ, სოდომურ ცოდვას ჩადიან და მათი სამოსი - ანაფორა მხოლოდ მათივე ცოდვების დაფარვას ემსახურება და საერთოდაც არ ჰგეანან ისინი “ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გვამთა მრთელ და სულითა უბინო” გრიგოლ ხანძთელს, რომელმაც ჯერკუალი განაგდო და მხოლოდ კარგი შეითვისა. ეს ბერები არამარტო საკუთარ სულს ღუპავენ, არამედ მონასტერში მცხოვრებ მორჩილებსაც მრუშობისკენ

უბიძებენ, სულიერად და ფსიქოლოგიურად ანადგურებენ. ამავე პრობლემას ეხებოდა რენესანსის ეპოქის უდიდესი მოაზროვნე ჯოვანი ბოკაჩი, რომელმაც “dekameronSi” არაერთ ნოველაში გაშალა ეს თემა. ასე რომ, უმბერტო ეკოს სამწერლო ფანტაზია არ სცდება დასაშვებ ზღვარს, როდესაც კა-თოლიკური ეკლესიის ამ უდიდეს ნაკლა და მახინჯ მხარეს ეხება.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1993.
2. ბიბლია, თბ. 2013
3. ეკო უ., ვარდის სახელი, თბ. 2011
4. ეკალაძე ზ., ჰომოსექსუალიზმი (სოდომია) - უმძიმესი ცოდვა, „sapatriarqos უნივერსი“ #11, (113), 2001.  
[http://www.orthodoxy.ge/tsodva\\_satnoeba/homoseqsualizmi.htm](http://www.orthodoxy.ge/tsodva_satnoeba/homoseqsualizmi.htm)

**ლილი ვაშაყმაძე, მარიამ რუხაძე**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ინგა სანიკიძე

## ლექსიკოლოგიური პარალელური ქველ ქართულ ტექსტები

ლექსიკოლოგიური კვლევები არასოდეს კარგავს თავის აქტუალობას, იმის გამოც, რომ ამა თუ იმ ენის ლექსებიში განვითარებულია ერის ისტორიისა და კულტურის საინტერესო პლასტები, ეპოქათა მაჯისცემა და ენობრივი მახასიათებლის მთელი სისტემა. სიტყვითი ერთეულების დიაქრონულ ჭრილში განხილვა, ჩვეულებრივ, საერთო ლექსიკური ფონდის თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას, რადგან სიტყვა მხოლოდ მეტყველების საშუალება როდია, იგი ენის განვითარებისა და კულტურული მდგომარეობის შესახებ მრავალსაუკუნოვან ისტორიას ინახავს.

ლექსიკოლოგიის არის სიტყვათა მარაგი. იგი შეისწავლის სიტყვის შინაარსეულ მხარეს, სიტყვათა კლასიფიკაციას მნიშვნელობის მიხედვით. მისი შესწალის საგანია სიტყვათა, როგორც მნიშვნელობის მატარებელოდენობათა ურთიერთდამოკიდებულება, ლექსიკოლოგიის კვლევის სფეროში შემოდის ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები ახალი სიტყვების შემოსვლა თუ წარმოქმნა ენაში.

როდესაც ლექიკოლოგიაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ შევეხოთ სიტყვათნარმოების საკითხს, რადგან ნაწარმოები სიტყვა, ისევე როგორც ყოველი სიტყვა, გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. სიტყვას სემანტიკური-შინაარსობლივი მხარის გარდა აქვს გარეგანი-აგებულებითი მხარეც. სწორედ ამ თვალსაზრისით სიტყვათნარმოება დაკავშირებულია მორფოლოგიასთან.

შესაბამისად, როცა მიზნად ვისახავთ გარკვეულ სიღრმემდე ჩავწვდეთ სიტყვის არსს, როგორც სემანტიკური, ისე ფორმობლივი თვალსაზრისის გათვალისწინებით, ვიკვლევთ მას, როგორც ლექსიკოლოგიური, ისე მორფოლოგიური კუთხით.

ლექსიკოლოგიის შესწავლის უმნიშვნელოვანესი სფერო არის სიტყვათა ეტიმოლოგიის ძიება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სიტყვათნარმოების საკითხს. ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოსაქმნელად ენა იყენებს წარმოქმნას (დერივაციას) და თხზვას (კომპოზიციას).

ქართულში სიტყვათნარმოსაქმნელად აფიქსები გამოიყენება, სახელი, რომლის ფუძისაგანაც სხვა სახელია ნაწარმოები, ძირეულია, ხოლო მისგან მიღებული სხვა შნაარსის სახელი-წარმოქმნილი. მაგ: ლაშქარი>მო - ლაშქრ - ე

ქართული აფიქსებით მდიდარი ენაა, იმდენად, რომ მათი დაჯგუფებაც შეიძლება სემანტიკურ ჯგუფებად: ა) ქონების სახელთა მანარმოებელი აფიქსებია: -ა; -იან; -

ოვან; ოსან; -იერ; -ედ.

მაგ: „ვეფხისტყაოსანში“: ყმ-იან-ი („ლშქარ-მრავალიყმიანი“)

ბ) უქონლობას ქართულში შემდეგი აფიქსები აწარმოებენ: უ-ო : უ-ლამაზ-ო; უ-ურ :

გ) წარმომავლობის სახელთა მაწარმოებლად ქართულში შემდეგი აფიქსები გვევლინება: -ელ: ქართვ-ელ-ი; -ურ: ფშა-ურ-ი; დასხვ.

დ) აბსტრაქტულ სახელთა მანარმოებლებია -ება; ობა; სი-ეაფიქსებს: ამხანაგ-ობა;

ე) პროფესიის სახელებს ვაწარმოებთ: მე-ე; მე-ურ; მო-ეაფიქსებით: მო-ნადირ-ე;

გარდა დერივაციისა, სახელთა წარმოება ქართულში თხზვით, ანუ კომპოზიციითაც შეიძლება. თხზვა გულისხმობს ახალი სახელის წარმოშობას ფუძის გაორკეცებით, ან ორი და მეტი სიტყვის შე-

ერთებით. თხზვის შედეგად მიღებულ ლექსემებს თხზული სახელი, ან კომპოზიტი ეწოდება. თხზული სახელია მაგ: ამირსპასალარი, რომელიც სპარსული წარმოშობისაა და ორი სიტყვის: ამირ და სპასალარის ნაერთია.

იმის საჩვენებლად, რომ ზემოთჩამოთვლილი ენობრივი მოვლენები არა მხოლოდ თანამედროვეობის კუთვნილებაა, არამედ სათავეს უძველესი დროიდან იღებს, ჩვენ საკვლევ თემად ავირჩიეთ XII საუკუნის ლიტერატურული ძეგლი - „ვეფხისტყაოსანი“ და უცნობი ავტორის საისტორიო თხზულება - „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომლებშიც გამოვყავით საბრძოლო და ბრძოლასთან დაკავშირებული ლექსემები. ეს ორი ნაწარმოები შეირჩა იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ერთიდამავე ეპოქის, თუმცა სხვადასხვა უანრის კუთვნილებაა, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამ პერიოდის ლექსიკას, რადგან გვხვდება, როგორც საერთო, ასევე განსხვავებული ლექსემები. ლექსიკური ერთეულები კი თავიანთი მნიშვნელობებითურთ ქვემოთაა წარმოდგენილი.

საერთო ლექსიკური ერთეულები:

სამხედროწოდებანი

ამირსპასალარი - [ არაბ. سპარს. ا,ირსაპაჰსალარ] ისტ. ერთ-ერთი დიდი ვაზირთაგანი ძველ საართველოში. მხედართმთავარი დ ასალაშქრო საქმეთა გამგე, მთავარსარდალი. (ქეგლი. ტ.I. 1950წ.)

„ამასზედა ივანე ამირსპასალარმან და სხუათა დიდებულთა კნინღლადა შეპყრობისა სახედ წარმოიყვანეს და გამომართეს მეტყუელთა ამისთა.“ ( ისტ. აზმ., გვ.13)

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა“ ( ვფხ., სტრ.40)

მებრძოლთააღმნიშვნელი:

მშვილდოსანი - მშვილდის ხმარებაში განაფული; მშვილდით შეიარაღებული (ქეგლი. ტ.V 1958წ)

მშვილდის მქონებელი და მცოდნე; მოისარი (საბა.t.I 1991წ.)

„ესე დავით წელიწადის მოქცევამდე წესრეთ წაეჯობინა ყოველსა მშლდოსანსა“ (ისტ.აზმ., გვ. 48)

„მინაცა თქვენი ავთანდილ თქვენს ნინა მშვილდოსანია.“ (ვფხ., სტრ. 67)

განსხვავებულილექსიკურიერთეულები:

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ - საბრძოლოწოდებანი;

სპასალარი - [სპარ. საფასალარ] ძვ. ჯარის უფროსი, მხედართმთავარი (qegli.t.V. 1960წ)

სპარსულია, ქართულად სპასპეტი ჰქვიან. მჩედართმთავარი.(საბა. ტ.II 1993წ)

„ოდესმე გამგზავნელი სპათა და სპასალართ ამისთა“ (გვ.17)

მებრძოლთა აღმნიშვნელი:

დამრღვეველი - ა)ვინც დაშალა, ვინც დაანგრევს.

ბ)უგულებელმყოფელი, გადამლახავი

გ) გადატყ.შემწყვეტი, მომშლელი (ქეგლი.t.III 1953წ.)

„...დამრღუეველმან დამარბიელმან დაამაობრებელმან გარეთთა ქუეყანათამან.“(გვ13)

ბრძოლის აღმნიშვნელი:

მხეთქელობა-ხეთქვა ძლიერი, დარტყმა. (ქეგლი.ტ.VIII 1964წ.)

„...მხეთქელობანი ჰოროლთანი“ (გვ52)

ანსხვავებული ლექსიკური ერთეულები

„ვეფხისტყაოსანი“

საბრძოლო წოდებანი

მარზაპანი - ისტორიული სახელმწიფოს განაპირა კუთხის მმმართველი, სპარსეთის შაჰის ნაცვალი დაპყრობილ ქვეყანაში. (ქეგლი. ტ. V 1960წ.)

არის განმგებელი, გინა სპათ-მთავარ , მეფეთ მონაცვლე. მარზაპანი უფროსად თქვეს. (საბა. ტ. I1993წ.)

„ვუბრძანე წვევა ლაშქართა , გავგზავნე მარზაპანია“ (სტრ.395).

მებრძოლთა აღმნიშვნელი:

მესროლი - მოქმ. გვარის მიმღ. ა) ვინც ისვრის, ვინც სროლა იცის ბ)სამხ. ცეცხლსასროლი იარა-ლით აღწურვილი. მსროლელთა დივიზია(ქეგლი. ტ.V 1960წ.)

„ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მებრძოლნი დავაწნბილენით“

ბრძოლის აღმნიშვნელი:

დავეკაზმენით - შეკაზმვა, უნაგირის დადგმა. ა) შეკაზმვა ბევრისა ბ) ცხენების დაკაზმვა (ქეგ-ლი. ტ. II. 1951წ.)

„დავეკაზმენით საომრად ჯაჭვითა, ჯავშან-ქაფითა.“ (სტრ. 434)

მასალის ანალიზი ცხადყოფს, თუ რაოდენ მდიდარია ქართული ენა სიტყვათწარმოების საშუალებებით, როგორ შეუძლია ერთი და იმავე ფუძისაგან ფონეტიკური პროცესებით აწარმოოს სხვადასხვა სემანტიკის შემცველი სიტყვები, რაც ესოდენ მნიშველოვანია ენის ლექსიკურად გამდიდრებისათვის. მაგალითისთვის ავილოთ სიტყვა „ლაშქარი“, რომლისაგანაც ნაწარმოებია: მიმღეობა- ლაშქრ-ობა, არ-სებითი სახელი - მო-ლაშქრ-ე, სიტყვისაგან ომი: მე-ომარ-ი, სა-ომარ-ი და სხვა მრავალი.

ქეგლებში მრავლად ვხვდებით ლექსემებს, რომლებიც მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის კუთვნილებაა, მაგ: დავეკაზმენით -„დავეკაზმენით საომრად ჯაჭვითა, ჯავშან-ქაფითა.“ (ვფხ. სტრ. 434) ჰოროლი – „მფებანი ბრმალთანი და მხეთქელობანი ჰოროლთანი.“ (ისტ. აზმ. გვ.52) და სხვა არერთი მაგალითი, რომელიც მასალის განხილვისას თვალსაჩინოდაა ნაჩვენები.

ქარქაში - ქარქაშ -ოსან-ი „pir-oqro რიდე ეხვია, შვენოდა ქარქაშოსანი.“ (სტრ.71)

ყოველივე კიდევ ერთხელ ადასტურებს , რომ ქართული ენა უძველესი ენაა, რომელიც საუკუნოვან ისტორიას ინახავს და რომლის ძირშიც მრავალი ისეთი რამ არის ჩამარხული, რომლის ძიებაცა და აღმოჩენაც კიდევ ერთი დიდი მონაპოვარი იქნება ქართული ენისათვის.

შემოკლებანი:

- 1.ვფხ.-ვეფხისტყაოსანი
- 2.ისტ. აზმ.-ისტორიანიდააზმანიშარავანდედთანი
- 3.საბა-სულხან-საბაორბელიანი; ლექსიკონიქართული(ორტომეული)
- 4.ქეგლი-ქართულიენისგანმარტებითილექსიკონი (რვატომეული)
- 5.სტრ.-სტროფი

6.გვ.-გვერდი

7.ტ.-ტომი

ლიტერატურა:

- 1.ვეფხისტყაოსანი- გამომცემლობა პალიტრა; თბილისი 2012წ.
- 2.ისტორიანი დააზმანი შარავანდეთანი- ქართლი სცხოვრება ტ.Ⅱ
- 3.ბ.ფოჩეუა-„ქართული ლექსიკოლოგია“
- 4.ვ.თოფურია-შრომები; ტ.Ⅲ (ქართული სიტყვათწარმოებიდან)
- 5.ვ.თოფურია- შრომები; ტ.Ⅲ (რედუქციისათვის ქართველურ ენებში)
- 6.მ.ტუსკია-წარმოქმნა (ქართული სიტყვის კულტურის საკითხები ტ.X)
- 7.ა.შანიძე-თხზულებები 12 ტომად; Ⅲ ტომი-ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები.

### თინათინ dმძუაშვილი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ლია ნოზაძე

## კოცლიქის მოგვარეობის გზები ლიტერატურაში

ლიტერატურა ცხოვრების მხატვრული ტრანსფორმაციაა და გასაკვირი არ არის, რომ კაცობრიობის ისტორიაში ასახულ სხვა მოვლენებთან ერთად, ლიტერატურას მხედველობიდან არც კონფლიქტები გამორჩენია. ამ პრობლემას, ისევე როგორც ადამიანთა ცხოვრებაში, ლიტერატურაშიც დიდი ისტორი ააქვს დახანგრძლივი კვლევის საგანია. ამ ეტაპზე კი ნაშრომის სიცხადისა და კონკრეტულობისათვის შევჩერდებით მხოლოდ სამ ლიტერატურულ ნიმუშზე (პლუტარქეს „ბიოგრაფიები“, რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“, „რომენ როლანის „კოლა ბრონიონი“), აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“, მიუხედავად მისი ისტორიული დანიშნულებისა, დიდი ხანია, რაც მევლევარებმა ლიტერატურული ესეს უანრის უძველეს ნიმუშად მიიჩნიეს და იგი ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა. ეს ძეგლები შევარჩიეთ იმის გამო, რომ:

1. მიუხედავად ეპოქალური სიშორისა, თითოეული მათგანი იდეურად ერთმანეთს უკავშირდება და ერთ მსოფლმხედველობრივ ჯაჭვს ქმნის (ანტიკურობა, რენესანსი, რომენ როლანის პუმანისტური ესთეტიკა);

2. ჩვენთვის საინტერესო იყო, რის საფუძველზე წარმოიქმნებოდა კონფლიქტები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და როგორია მათი დარეგულირების გზები მათი შესაბამისი ეპოქებისთვის.

პლუტარქეს „ბიოგრაფიებიდან“ (ალექსანდრე დიდი, მაკედონელი ძვ. წ. 336-323, გაიუსი ულიუს კეისარი ძვ.წ. 100-44) ირკვევა, რომ კონფლიქტის დაწყების მიზეზი უმეტეს შემთხვევებში ტერიტორიის დაპყრობისა და სახელის მოხვეჭისათვის გადადგმული, სტრატეგიულად სწორად გათვლილი ნაბიჯებია (ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი). მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი დამპყრობელი იყო, მაინც ყველა დიდ პატივს სცემდა. ისინი ისტორიაში შევიდნენ როგორც დამპყრობლური ამბიციის, ასევე, ტყვევების მიმართ გამოჩენილი ლმობიერების წყალობით. კონფლიქტის მოგვარების გზა კი ორივე სტრატეგოსის შემთხვევაში იდენტურია დ იმარჯვებს ძლიერი, მიზანდასახული მხარე, ის ვინც არ მიდის კომპრომისზე.

ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფიაში უამრავი ბრძოლაა, რომელმაც მისი დიდება განაპირობა, მაგრამ, ვფიქრობ, უპირველესად აღსანიშნავია ბრძოლა სპარსთა მეფის-დარიუსის წინააღმდეგ, რადგანაც ეს იყო ალექსანდრეს მიერ სტრატეგიულად სწორად გადაგმული ნაბიჯი... დარიოსი იყო ერთი-ერთი უძლიერესი მმართველი და ალექსანდრემ იცოდა, რომ მისი დამარცხების შემთხვევაში აზის დარჩენილი ნაწილის დაპყრობა არ გაუჭირდებოდა...

საინტერესოა მიზეზი, რის გამოც ალექსანდრემ ბრძოლა დაიწყო: პლუტარქე აღნიშნავს, რომ „სიმდიდრისა და განცხრომისაკენ მაკედონელს ლტოლვა არასოდეს არ ჰქონია. მისი ოცნება მამაცობა და დიდებით მოსილი სახელის მოხვეჭა იყო. იგი ფიქრობდა, რომ მამისაგან მიღებული დიდი მემკვიდრეობა პირადად მას დიდებისაკენ სვლაში ხელს უშლიდა. მეფისწული წუხდა, მამამისი თავისი ძლიერების ზრდასთან ერთად მის მომავალ დიდებას რომ ფრთას აკვეცდა“....

სწორედ ამიტომაც, იმ კონფლიქტების ძირითადი მიზეზი, რომელიც ალექსანდრემ წამოიწყო, განდიდების სურვილი და ტერიტორიების გაფართოებაა..

ბრძოლის დროს, ალექსანდრემ დარიოსის თორმეტიათასზე მეტი მეომარი მოსპო (დამპყრობელის აქცია), მაგრამ თვითონ ის ვერ შეიძყრო.. თუმცა, ქონების წარმევასთან ერთად ტყვედ წამოიყვანა მისი ოჯახის წევრები, რომელთაც ისევ მეფური პატივით ექცეოდა... ის ამბობდა: „საკუთარი

ვნებების დამორჩილება უფრო სასახელოა მეფისათვის, ვიდრე გამარჯვება. “ (როცა სპარსი ქალების სილამაზეს უყურებდა).

...გარდა ამისა, ის მისაბაძი იყო მხედრებისათვის მისი სიმამაცით და ყოველთვის ადვილად შესამჩნევი იყო მტრისათვის, მზრუნველობას იჩენდა ყველას მიმართ, ვისაც სჭირდებოდ (ლისიმაქე) და იყო გულუხვი....

საინტერესოა, როგორია დარიოსის რეაქცია? (დაპყრობილის რეაქცია) დარიოსმა ალექსანდრეს ელჩები გაუგზავნა და თან წერილიც გააყოლა. წერილში დარიოსი მას სთავაზობდა ტყველების გამოსასყიდად ათიათას ტალანს, უთმობდა მთელს სამეფოს, პეირდებოდა ერთი ქალიშვილის მითხოვებას და სთხოვდა მეგობრობასა და მეკავშირობას, მაგრამ ალექსანდრემ იუარა და მისწერა: თუ იგი მისი ნებით გამოცხადდებოდა მის წინაშე, კაცთმოყვარული პატივი არ მოაკლდებოდა და თუ არა, მაშინ თვითონ გაემართებოდა მასთან..

ეს გაუთავებელი კონფლიქტი დასრულდა იმით, რომ კომპრომისზე არც ერთი მხარე არ წავიდა, მაგრამ გაიმარჯვა იმან, ვინც:

1. პირველივე ნაბიჯებიდან სტრატეგიულად სწორი გათვლა გააკეთა.
2. დასახულ მიზანს არ გადაუხვია...
3. შეუპოვრობა და ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა..

პრაქტიკულად კონფლიქტის მოგვარების გზა გამოჩნდა დარიოსის შემოთავაზების სახით, მაგრამ არ გაამართლა. ალექსანდრე მაკედონელი

მოქმედებს პრინციპით : „მიზანი ამრთლებს საშუალებას“ და ალექსანდრეს მიზნის მისაღწევად ზავი ხელის შემშელელი აღმოჩნდა, რადგანაც „სახელი, სიცოცხლეზე და მეფობაზე უფრო მეტად უყვარდა“.

სახელის მოხვეჭა და დიდების მოპოვებაა მთავარი იულიუს კეისრისთვისაც... მან ერთხელ მეგობრებს უთხრა ცრემლმორეულმა - „როგორ გგონიათ, -განა არ არის სევდის ლირსი ის, რომ ალექსანდრე ჩემს ასაკში უკვე უამრავ ხალხზე მეფობდა, მე კი აქმდე არაფერი სასახელო არ გამიკეთებია?“

მართალია, ალექსანდრე მის ასაკში უფრო სახელგანთქმული იყო, მაგრამ კეისრის საგმირო საქმები ისტორიაში შევიდა ისე, რომ კეისარმა ყველა დამპყრობელს აჯობა-1. „მიუდგომელი ადგილ-მდებარეობის დაძლევით,

2. დაპყრობილი ქვეყნის სივრცით,
3. ურიცხვი და ძლიერი მტრის დამარცხებით,
4. მოწინააღმდეგის ფრიად ველურსა და ვერაგ ხასიათთან შერკინებით,
5. ტყვეების მიმართ გამოჩენილი ლმობიერებითა და მოწყალებით,
6. საკუთარი მეგობრების მიმართ გამოჩენილი გულუხვობითა და გაღებული საჩუქრებით, ყველას ერთად კი იმით, რომ ყველაზე მეტი ბრძოლა ჩაატარა და ყველაზე მეტი მტერი მოსპო.

სახელდობრ, ათ წელზე უფრო ნაკლებ დროში, რომლის განმავლობაშიც იგი ომს აწარმოებდა გალიაში, იერიშით აიღო რვაასზე მეტი ქალაქი, დაიმორჩილა სამასი სხვადასხვა ტომის ხალხი და მთელი ამ ხნის მანძილზე ბრძოლა ანარმოა სამ მილიონ კაცთან, რომელთაგან ერთი მილიონი ბრძოლის ველზე მოსპო და ამდენივე ტყვედ ჩაიგდო ხელში...“

და მაინც, რა იყო მისი წარმატების მიზეზი? ყველაზე საყურადღებოა კეისრის სტრატეგია- „misi აზრით, გაცილებით უფრო ადვილიამტრის დამარცხება და შეძრნუნება ანაზდეული იერიშით, ვიდრე მისი დამარცხება დიდი და მომზადებული ჯარის იერიშით“...

კონფლიქტების მიზეზი და მიზანიც, ისევე როგორც მაკედონელთან, აქაც მსოფლიოს დაპყრობისა და ყველაზე ბატონობის სურვილი იყო...

შემდეგ, უკვე დაპყრობილები, თავიდან უნევდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ კეისარი სწორი ტაქტიკით ყოველთვის აღწევდა გამარჯვებას... კეისრისისთვისაც მთავარი იყო მიზანი და სწრაფვა ამ მიზნის შესასრულებლად, ყველანაირი საშუალებით....

ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელში“ (XVIIს.) კონფლიქტის დაწყების მიზეზი აბ-სურდულია (ომი იწყებანა ზუქების გამო) და ომი გამართლებულია მხოლოდ საკუთარი ტერიტორიების დაცვის მიზნით. მეფე პიკროშოლისადმი ავტორის მიერ გამომუდავნებული ირონიის მიხედვით იგრძნობა, რომ ამ ნაწარმოებში დიდ როლს ასრულებს ჰუმანიზმის ესთეტიკა, რომლის მიხედვითაც არ არსებობს უფრო დიდი ღირებულებადა უფრო ჭკვიანური სტრატეგია, ვიდრე ადამიანისთავის უფლება და ბედნიერებაა. აქ კონფლიქტის და რეგულირების გზაა მშვიდობიანი მოლაპარაკება, კომპრომისი.

როგორ დაიწყო ყველაფერი: (პიკროშოლის) ლიენდ მეპურებს გრანგუზიეს მწყემსებმა ტკბილი სიტყვით სთხოვეს ქადა-ნაზუქები მიეყიდათ მათთვის, გაგულისებულმა მწყემსებმა მამლაყინ-ნობა დაიწყეს და უმიზეზოდ მწყემსებს... უკანდაბრუნებულებმა კი პიკროშოლს შესჩივლეს და ყველაფერი მათ სასარგებლოდ უამბეს... განრისხებულმა მეფემ მიზეზიც არ იკითხა ისე ბრძანა, „ქუდი კაცი გამოსულიყო“ მიზანი - აქაც მსოფლიოს დაპყრობაა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პიკროშოლის ოცნება, შემდეგ ქილა ერბოს ისტორიას დაემსგავსა...

როცა პიკროშოლის ჯარი შეიკრიბა და ნავიდნენ (დაპყრობელის აქცია) - „გზად ყველაფერს ანადგურებდნენ და იქადდნენ - „ნაზუქების ჭამა უნდა გასწავლოთო“... (დაპყრობილის რეაქცია) როცა გრანგუზიემ პიკრიშოლის გადაწყვეტილება გაიგო, დამწუხრდა, რადგანაც ამას მისი ძმადშეზრდილი და მეზობელი აკეთებდა. მას არ სურდა ომის დაწყება, მაგრამ სხვაგზაარ ჰქონდა :- „ჩანს მეც უნდა მოვიგდო იალამაგი ამ ჩემსა საცოდავ და ჯანმოხდილ მხარზედა - რათა დავიცვა და დავითარო საბრალო ქვეშევრდომნი ჩემი. მეტი რა ჩარაა, იმათით მიდგას სული, ისინი გვაჭმევენ, გვასმევენ და გვაცმევენ. ისინი ინახავენ დედანულ-სახლეულსა ჩემსასა. თუმცა შებმით მაინც არ შევებმები პიკროშოლსა, სანამ სუყველას არ მოვილორძინებ სამშვიდობოსა და საზავოსა“... (რათა არ გაენირა მისი ქვეშევრდომები)...

ის შვილს წერილს სწერს, სადაც ეუბნება, რომ ჩეუბი არ უნდა, დაზავებას ცდილობს, მაგრამ ვერც მისი ქვეშევრდომების დაჩაგვრის უფლებას მისცემს და ვერც სამეფოს გაანიავებინებს ვინმეს - „არასოდეს არავისგან დამონებულს“. (კონფლიქტის მოგვარების სტრატეგია)- გრანგუზიემ გადაწყვიტა კონფლიქტი მოეგვარებინა მშვიდობიანი გზით დაგაგზავნისკაცსმოსალაპარაკებლად - მაგრამ პიკროშოლმა „ქვა ააგდო და თავი შეუშვირა“...

გრანგუზიე (ქველი მმართველი) ღმერთს ევედრება დააცხროს პიკროშოლის აღშფოთება, რომ მას არ მოუწიოს ომში ჩაბმა. ამისათვის გადაწყვიტა ორჯერ მეტიქადა-ნაზუქები და სხვა უამრავი საბოძვარი გაეგზავნათ მისთვის, მაგრამრადგანაც პიკროშოლისაგან უარი მიიღო, გადაწყვიტა ჩაბმულიყო ბრძოლაში, მანამდე კი თავისი ჯარი დალოცა - „დვთსაგან დაცულთ ხატ-ანგელოზნიც კე-თილად გადმოგვხედავენ და ვერცა ჭირი მოგერევათ და ვერცა სხვა რამ სახადი“...

რაპლე აღნიშნავს, რომ: „სახელმწიფონი მხოლოდ მაშინ იქნებიან ბედნიერნი, თდეს მეფენი ფილოსოფოსნი გახდებიან, ანდა ფილოსოფოსნი მეფენიო“...

„ბევრისა მჭამელმა, ცოტაც ვეღარ ჭამაო“ - ამბობს გრანგუზიე..ადრინდელფეხისხმას აჰყოლია, ყოველთა ძველთა ჰერკულესთან, ალექსანდრეთა, პანიბალთა, სციპიონთა, კეისიართა და სხვათა რომელიც გვეუბნება, რომ „შენ შენსავე საკუთარ მიწა-წყალს მოუარეო და უბატრონეო და სხვისას მტრულად ნუ შეესევიო“...დარასაც სარკინოზები და ბარბაროსები გმირობას უწოდებდნენ - ახლა „ავკაცობა და ავაზაკობაო“...

მართალია, ზავი აქაც დამპყრობლის მიზნებისთვის წამგებიანია ..მაგრამ აქ იმარჯვებს გრანგუზიე (დაპყრობილი), იმიტომ რომ :

1. სიმართლე მის მხარესაა, ომი თავდაცვითია..
2. ერი და ბერი ქვეყნის საკეთილდღეოდ ერთიანდება;
3. მეფე ფილოსოფიურად მოაზროვნეა...

რომენ როლანის ნაწარმოებში (XX ს) გასათვალისწინებელია ავტორის აღმფოთება | მსოფლიო ომის მიზეზებითა და მასში მონაწილე სახელმწიფოების ამბიციებით, ამიტომაც ნაწარმოებში დაგმობილია ბრძოლის დაწყების მიზეზიდ მოსაზღვრე ქვეყნის უსამართლო საგარეო პოლიტიკა და მოულოდნელი თავდასხმა მისი დაპყრობის მიზნით. კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაკი ამ შემთხვევაში იუმორი და დიპლომატია.

„კოლა ბრუნიონი“ რომენ როლანმა დანერა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და აქ პრობლემები დაძლევადნა დიპლომატიითა და ცხოვრების სიყვარულით....

ყველაფერი დაიწყო ასე:- სოფლის ბაზარზე შეკრებილი ხალხი უცებ ატეხილმა ყვირილმა დააფრთხო, როცა ხალხი გაყვიროდა - „მგელი, მგელი!“... აქ, რათმაუნდა, მტერი იგულისხმებოდა... ეს იყო მეზობელი, ვეზელის ჯარი, რომლებმაც გაიგეს რომ ქალაქი დაუცველიაო და გადაწყვიტეს „ნაას-წრონ კაჭკაჭს ბუდეში“...

მოულიდნელიბისაგან დაბნეულმა მოსახლეობამ თავი სიმაგრეებს შეაფარა... როგორც ავტორი წერს, სოფელში დარჩენენ მხოლოდ ისინი, ვისაც დასაკარგი არაფერი ჰქონდათ...

ორივე დაპირისპირებულ მხარეს რამდენიმე დღიანი ლანდლავა-გინება და მსუბუქი ცეცხლის გახსნა იყო... საომარი სიტუაცია ისევ გრძელდებოდა და მოწინააღმდეგები კვლავ რჩებოდნენ ბარიკადების ორივე მხარეს... მათ შეეძლოთ ბატონიშვილი დე ნევერისათვის ეთხოვათ დახმარევა, მაგრამ არ უნდოდათ მისი ლაშქრისათვის კარი გაეყოთ - „სჯობს მტერი გყავდეს კარში, ვიდრე აბეზარი მოყვარე სახლში“ - ამბობს რომენ როლანი.

სანამ თავის დაცვა შეეძლოთ სოფლის მოსახლეობა ჩუმად იყო, არც მტერი აქტიურობდა მაინც დამაინც, - „არ გვინდოდა შუაკაცი, მორიგება ორში ჯობდა“... მოლაპარაკება დაიწყეს დინჯად, ყოველგვარი აჩქარების გარეშე... ერთი კვირა გავიდა, კიდევ მოლაპარაკების რეჟიმი იყო, მაგრამ როცა გაიგეს რომ მათთან ბატონიშვილი მოდილი შეთანხმებაც სასწრაფოდ მოხდა...

შეთანხმების შედეგებით ორივე მხარე კმაყოფილი იყო და საერთო ქეიფიც გადაიხადეს და როცა უკვე ქეიფსაც მორჩენენ, შემდეგ გამოჩნდა მათ დასახმარებლად გამოგზავნილი ბატონიშვილის ჯარი (ანუ მესამე ძალა), რაზეც ორივე მხარემ ბევრი იცინა.. „მერე კი ორივე მხარემ ზრდილობიანად ვთხოვეთ საიდანაც მობრძანდნენ იქით წაბრძანებულიყვნენ - რაზეც უარის თქმა ვერ გაგვიძედეს“....

როლანი ათემევინებს კოლას: „განა სულელები არ ვიყავით ერთმანეთს ჩვენი დარაჯების სასარგებლოდ რომ ვეჩხუბებოდით?! მტრები რომ არ გვყავდეს, მას ჩვენივე დარაჯები გამოიგონებდნენ ჩვენსავე დასაცავად!... უფალმა დაგვიცვას დამცველებისაგან! დანარჩენებისაგან კი როგორმე თვითონვე დავიცავთ თავს, საბრალო ცხვრები! მარტო მგლისაგან რომ გვჭირდებოდეს თავის დაცვა, რამენაირად გავართმევდით თავს, მაგრამ გვითხარით, - „ამ მწყემსებისაგან ვინ დაგვიცავს?“....

როგორც ვხედავთ, ზემოთ განხილულთაგან, მხოლოდ ამ შემთხვევაში (რომენ როლანთან) მოგვარდა საქმე მოლაპარაკების გზით. შეიძლება, რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი ასე მარტივად და თავისუფლად არ ხდება, მაგრამ ეს მონაკვეთი ნამდვილად გვეუბნება იმას, რომ დიპლომატიითა და სწორი ტაქტიკითაც შეიძლება საწადელის მიღწევა და არა სისხლისღვრით, სადაც მოგებული მხოლოდ მესამე მხარე, ე.წ. „დამცველები“ გამოვლენ... ბრძოლის დაწყების მიზეზი აქაც დაპყრობა და ტერიტორიის გაფართოება იყო....

ძირითადად, ბრძოლის მიზეზი, ანტიკურობიდან დღემდე, ტერიტორიების დაპყრობა, სახელისა და დიდების მოპოვება... ყოველშემთხვევაში, ამ ნაწარმოებთა (პლუტარქეს „ბიოგრაფიები“, რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“, „რომენ როლანის „კოლა ბრონიონი“) განხილვის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ ასე....

როგორც დავინახეთ, დიპლომატიის, მოლაპარაკების გზა კი ყველაზე მისაღებია კონფლიქტის მოგვარებისას, (ამას სჭირდება გონიერი მმართველი) ... ოლას მაგალითმა გვიჩვენა, რომ ამ ყველაფერს პლიუს იუმორი საუკეთესო გამოსავალია; კონფლიქტის, ძალმომრეობის გზის არჩევა კი ყველა შემთხვევაში გაუმართლებელია, რადგანაც კრახით მთავრდება და ის მისაღებია მხოლოდ ერთ

შემთხვევაში, როცა სხვა გზა არ არის და მეორე მხარე გაიძულებს შენი ტერიტორიების დასაცავად კონფლიქტში ჩაება.....

ამგვარად, ჩემ მიერ შერჩეულ ლიტერატურულ ქეგლებში, კონფლიქტის მოგვარების გზებია: ანტიურ ნიმუშებში - უკომპრომისობა, რენესანსის პერიოდის ნაწარმოებში - დათმობა, მშვიდობიანი დიალოგი, მე - 20 საუკუნის მწერლის მხატვრულ ნააზრევში - დიპლომატია.

### **ლიტერატურა:**

1. პლუტარქე 1975: დ „რჩეული ბიოგრაფიები“. თბილისი. 1975
2. ფრანსუა რაბლე 1991: – „გარგანტუა და პანტაგრუელი“. თბილისი. 1991
3. რომენ როლანი 1988: – „კოლა ბრონიონი“. თბილისი. 1984

**ქეთევან წიკლაური**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო შარაშენიძე

## დროის ეფექტი გურამ რჩეულიშვილის მოთხოვობი

**მწერლის ენის შესახებ** – ყველა მწერალს, რომელიც ისტორიას რჩება ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ინდუვიდუალიზმი. შემოქმედის ეს თვისება ეს შემდეგში გამოიხატება:

- რა მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი;
- როგორია მის ნაწარმოებებში სიტყვათა დისტრიბუცია სხვაგვარად როგორ სინტაქსურ კონსტრუქციებს იყენებს იგი წინადადებებში;
- იყენებს თუ არა დიალექტიზმებს და რა სახისაა ისინი;
- ვხვდებით თუ არა მის ნაწარმოებებში არქაიზმებს;
- იყენებს თუ არა მწერალი ნეოლოგიზმებს;
- ახასიათებს თუ არა მას სიტყვაქმნადობა;
- იყენებს თუ არა რაიმე ეფექტის შესაქმნელად პუნქტუაციას და სხვა რიგ ხერხებს;

ხშირად დაკვირვებული მკითხველი, რომელიც იცნობს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებას მისი ტექსტის წაკითხვისას, ან ნაწარმოებიდან გარკვეული ფრაზის გაგებისას ხვდება, თუ ვის ეკუთვნის იგი. აღნიშნული ფაქტი იმითაა განპირობებული, რომ მკითხველი ეჩვევა ავტორის წერის მანერას და მის მიერ ნაწარმოებებში გამოყენებულ გადმოცემის მეთოდიკას.

მწერალი პირადი აზრის გადმოსაცემად, რა თქმა უნდა, იყენებს ენას, მის შესაძლებლობებს. ამიტომ იგი კარგად უნდა იცნობდეს მის სტრუქტურას. მწერალს თუ არ შესწევს ენის წვდომის უნარი, მაშინ იგი ვერ შეძლებს შექმნას ახალი, განსხვავებული და ამასაც რომ თავი დავანებოთ, მის-თვის შეუძლებელი იქნება გადმოსცეს თავისი აზრი, სრულყოფილად მიიტანოს თავისი სათქმელი მკითხველამდე. საინტერესოა, ამ მხრივ ბესარიონ ჯორბენაძის სიტყვები:

„ყოველი ჭეშმარიტი პოეტი უპირველეს ყოვლისა დედანის მესაიდუმლეა, მის დაფარულ საუნჯეთა პირველამომცნობი და მიმკვლევი. ყოველ ნიჭიერი პოეტის მეტყველებაში ახლებურ ელვარებას იწყებს ენა, იქმნება ახალი თვალსაწიერი ენის განვითარებისათვის, უკვე ხშირად ნახმარი თითქოსდა გაცვეთილ სიტყვებიც ახლებური ფერადოვნებით წარმოჩნდებიან, როგორც მტვერთაგან განმენდილი თვალი პატიოსანი“.

იმ მწერალს, რომელიც იმეორებს მხოლოდ იმას, რაც მანამდე ითქვა, არ ეძებს ახალს, არ ვითარდება, არანაირი სარგებლობა არ მოაქვს ენისთვის. კონსტანტინე გამსახურდია ამბობს: „ენის კულტურის პროგრესი და მისივე პატრიოტიზმი მოითხოვს: ყოველ შემოქმედს ენისას სასიცოცხლო მიზნად უნდა ჰქონდეს დასახული, თუნდაც ერთი მტკაველით წინ წაუსწროს წინამორბედებს“. 2 ეს სიტყვები აქვს მოხმობილი თავის წიგნში ბესარიონ ჯორბენაძეს „ბალავარი მწერლობისა“, როდესაც განიხილავს კ. გამსახურდიას ენობრივ პოზიციას და ეთანხმება იმავეს, რასაც „დიდოსტატის მარჯვენას“ ავტორი. ვფიქრობ, მოცემული აზრი საინტერესოა მწერლის ენაზე საუბრისას.

ენა იძლევა საშუალებას პერსონაჟისა თუ აღნერილი მოვლენების მთელი სისავსთ გამოსახატავად.

მთავარი ყურადღება ნაწარმოებში წამოჭრილ პრობლემასა და საზოგადოებისთვის მის მნიშვნელობას ექცევა. მაგრამ ერთია კარგი აზრი, ხოლო მეორე მისი სრულფასოვნად, მთელი სისავსით გადმოცემა. საინტერესოა, ამის მაგალითად თუ მოვიყვანთ მხატვრობის სფეროს, კერძოდ, როდე-

საც მხატვარი შეარჩევს კარგ, სასიამოვნო კომპოზიციას და მას შეუფერებელი ფერებით გადმოიტანს ტოლოზე.

როგორც ნაწარმოების შინაარსში, ასევე, მწერლის მიერ მისთვის შერჩეულ ფორმაში ვლინდება ავტორის მსოფლმხედველობა, აზროვნება, პრობლემის გადაწყვეტის თავისებური ხედვა. ამაზე მწერლის ენის მკვლევარნი ერთხმად თანხმდებიან:

„სტილი არის ინდივიდუალური მსოფლაღქმა, გამოხატული შესაბამისი ენობრივი ფორმით. ამიტომაც ყოველი მწერლის სტილი, უპირველეს ყოვლისა, მისეული ხედვა, მისეული აღქმაა სამყაროსი“, „პოეტური ხედვა და თავისებურად, ასე ვთქვათ, პოეტურად დანახული სინამდვიელეა“.<sup>1</sup>

„ცნობილია, რომ ცალკეული მწერლის ენა უდიდეს როლს ასრულებს საერთო სალიტერატურო ენის განვითარებაში, ამიტომ ამ უკანასკნელის სრულყოფილი შესწავლისთვის ცალკეულ შემოქმედთა ენის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება“.<sup>2</sup>

მწერლის ენის შესწავლით დაინტერესბულნი არიან არა მარტო ფილოლოგები და ენათმეცნიერები, არამედ ისტორიკოსებიც, რადგან იგი ინახავს იმ უპოქის მსოფლაღქმას, რომელშიც ნაწარმოებია დაწერილი. ასევე საინტერესო იქნება თუ ენას განვიხილავთ შემდეგნაირად: „მწერლის ენა, როგორც ლიტერატურული ენის განვითარების მოცული საფეხურის ასახვა“.

**მოკლედ გურამ რჩელიშვილის სტილის შესახებ** - ინდივიდუალური სტილის მხრივ გურამ რჩეულიშვილი გამორჩეულია. მისი ენა ხასიათდება ლაკონურობითა და ამავე დროს თხრობის სიღრმით, გამოყენებული ენობრივი ფორმებით და ორიგინალური სიტყვათწყობით. ავტორი ქმნის სრულიად განსხვავებულ მხატვრულ სახეებს, ავლენს სხვადასხვა ენობრივ ფორმათა ახალ კონტექსტუალურ მნიშვნელობას.

ავტორი განსხვავებული ფუნქციით იყენებს გამეორებას, სიტყვათა რიგს, ასევე დროის გასვლის ეფექტის შესაქმნელად სრულიად ახალ დატვირთვას აძლევს ლექსიკურ ერთეულებს, სხვადასხვა მეტყველების ნაწილს. მწერლის ინდივიდუალური სტილსა და ენაზე ამ თვალსაზრისით დაკვირვება არაერთი საინტერესო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა.

**დროის ეფექტი** – გურამ რჩეულიშვილის ენაში ბევრი რამა საყურადღებო. მაგრამ დღეს საინტერესო მხოლოდ დროის ეფექტის შექმნის საშუალებებია, შეიძლება გამოიყოს ამ ეფექტის შესაქმნელად გამოყენებული სხვადასხვა საშუალებები.

„ექსპრესიულობა ნაირგვარი საშუალებებით მიიღწევა: ეპიზოდებისა და ფერების სწრაფი ცვლით, ლაკონური, მოსხლეტილი წინადადებებით, აღწერის ნაირგვარ საგანთა და მოქმედებათა მონაცვლეობით.

ენობრივად მოვლენათა ექსპრესიული გამოხატვა ძირითადად ორი საშუალებით ხდება: ზმნების ან სახელების ჭარბი გამოყენებით.

ზმნების სიჭარბე საკუთრივ მოქმედებათა სიმრავლესა და ნაირგვარობაზე მიგვანიშნებს.“<sup>3</sup>

ბესარიონ ჯორბენაძის სიტყვით, ექსპრესიულობის მიღწევის ერთ-ერთი ხერხი ზმნათა ინტენსიური, ხშირი გამეორებაა. ვისაუბროთ სწრაფე ამ უკანასკნელზე:

**ა) ზმნისა და სახელზმნის ინტენსიური გამოყენება:** ზმნათა და სახელზმნათა ინტენსიური გამეორება ფართოდ გამოყენებული ერთ-ერთი საშუალებაა მწერალთა მიერ გარკვეული მიზნის შესაბამისად და მიზნად დასახული ეფექტის შესაქმნელად. ამ ხერხით გამოიხატება პერსონაჟის სწრაფად განვითარებადი გრძნობები, დროის სწრაფი მიმდინარეობა, პერსონაჟისთვის სამოქმედო ადგილთა სწრაფი ცვლილება, ხალხის ცვლილება ერთ სამოქმედო გარემოში, მოქმედების ცვლილება. ასევე, ამ ხერხით ხდება შესაძლებებლი, რომ გადმოცემულ აზრსა თუ ზმნით გადმოცემულ მოვლენას უფრო მკაფიოდ გაუსვას მწერალმა ხაზი.

<sup>1</sup> ბ. ჯორბენაძე „ბალავარი მწერლობისა“ თბ. 1987 გვ. 146

<sup>2</sup> ბ. ჯორბენაძე „ბალავარი მწერლობისა“ თბ. 1987 გვ. 96

<sup>3</sup> ბ. ჯორბენაზე, „ბალავარი მწერლობისა“, თბ, 1987, გვ. 25.

ზმნათა ინტენსიურ განმეორებას ვხვდებით გურამ რჩეულიშვილის მოთხოვებში დროის ეფექტის გამოსახატავად. იგი ამ ხერხის გამოყენებით გადმოგვცემს, თუ როგორი მიმდინარეობა აქვს მის ემოციებს, როგორ ცვლის მის გონიერაში ერთი აზრი მეორეს, როგორ მოქმედებენ მის გარშემო პერსონაჟები:

„მატულობს მის სხეულში კახური, ქვევრდაკრული სასმელის სასიამოვნო სითბო, შეუჩერებლივ დადის ხალხში, ედება ყველას, ელაპარაკება, ვერ ასმენს და აღარ ესმის არაფერი. მაგრამ აუცილებელია მოქმედება, რამის გაკეთება, რაც წამით მაინც შეცვლის რაღაცას.“<sup>1</sup>

„უმუსიკოდ ლოთობენ, ნახევრად თათრული ნახევრად ქართული ლაპარაკით ბლუკუნბენ, ილოცებიან, ილანძლებიან. ეს-ეს არის უნდა მიწყდეს, მიიძინოს ღრეობამ, რომ ღამენათევებს უერთდება გამოძინებული დახლიდარებისა და შოფრების ახალი ნაკადი;“<sup>2</sup>

„ისევ გაიღიმა და ნაბიჯს აუჩქარა, სულ ჩქარა და ჩქარა მიდიოდა, მერე გაიქცა, მირბოდა, ხტუნაობდა შუა ქუჩაში ფრუტუნებდა ცხენივით.“<sup>3</sup>

**ბ) სახელდებითი წინადადებები:დროის ეფექტი** მიღწეულია, ასევე, სახელდებითი წინადადებების ერთმანეთის მიყოლებით ხმარებისას. ამას განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით გურამ რჩეულიშვილის უსიუჟეტო, გუნება-განწყობილების ამსახველი მოთხოვებში. „აღსანიშნავია, რომ ამწერალი ასეთი სახის მოთხოვებში მისთვის დამახასიათებელი ლაკონურობით იძლევა მოვლენათა თანმიმდევრულ აღწერას:

„სტადიონი, ზღვა ხალხი. ყაყანი. კიბეებზე უთვალავი მაყურებელი. მოწოლა ჭყლეტა.“ – არავითარი ზედმეტი სიტყვა და მოქმედების განვითარების სრული რეალობა, პუნქტუაციის მხრივ დ წერტილის ხშირი ხმარება, რაც განპირობებული უნდა იყოს მიმდინარე მოვლენათა ექსპრესიული აღთქმისთვის.“<sup>4</sup>

**გ) „მერე“ დროის ეფექტის შესაქმნელად:** გურამ რჩეულიშვილის მოთხოვებში შეიმჩნევა „მერეს“ ფუნქციის გაზრდა. დროის ეფექტის შესაქმნელად, მისი გასვლის უფრო მკაფიოდ შესაგრძნობად მწერალი ხშირად იყენებს აღნიშნულ ხერხს. ამ სიტყვის გამოყენება განსაკუთრებით ინტენსიურად გვხვდება მოთხოვები „ქიტესაში“. მას მწერალი იყენებს პერსონაჟის ცხოვრების მიმდინარეობის სწრაფად, მოკლედ, ლაკონურად ასაღწერად. მოვიყვანოთ ნაწყვეტი მოთხოვებიდან:

„ვერ გაიგო, ისე გაიპარა დრო. **მერე** ცოლი შეირთო. **მერე** მოუკვდა. ისევ შეირთო სხვა. ამ სხვას ოთხი შვილი ეყოლა. **მერე** ეს ცოლიც მოუკვდა. ... **მერე** ქიტესას რძალი მოუკვდა. ... პატარა კი განაგრძნობდა თამაშს. ქიტესა იწვა და კვდებოდა. **მერე** მოკვდა. ზაფხული იყო.“<sup>5</sup> „გურამი ანგლობს. მე ვიცინი. **მერე** მე ვხუმრობ.„<sup>6</sup> „პეტო იჯდა. **მერე** ადგა. **მერე** წავიდა“<sup>7</sup> „მერე მოადგილე ლაპარაკობს. **მერე** პროფესიონი. **მერე** დეკანი.“<sup>8</sup>

1. პარალელი: „მერეს“ ამ ფუნქციით გამოყენების შემთხვევას სხვა მწერლებთანაც ვხვდებით: მაგ. რევაზ ინანიშვილთან მოთხოვებაში „მთვარის ასული“: „ჯერ ხელჩანთას დაჰკიდებს საკიდზე, მერე პალტოს. მერე მოიხდის ქუდს, ორივე ხელით შედებს საკიდის თავზე“<sup>9</sup>.

დ) „ახლა“, „კიდევ“ და „ისევ“ ფორმების ერთად გამოყენება: როგორც აღვნიშნეთ, „მერეს“ ფუნქცია საკმაოდაა გაზრდილი გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებში. „მერესთან“ ერთად ერთსა

<sup>1</sup> გ. რჩეულიშვილი I თბ. 2002 „ფეხბურთი იწყება“ გვ. 59

<sup>2</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვებები თბ. 1977 „ალავერდობა“ გვ. 33

<sup>3</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვებები თბ. 1977 „ირინა“ გვ. 40

<sup>4</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვებები თბ. 1977 „ქიტესა“ გვ. 253-254.

<sup>5</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვებები თბ. 1977

<sup>6</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვებები თბ. 2002 ტ . II

<sup>7</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვებები თბ. 2002 ტ . II გვ. 7-8

<sup>8</sup> თეა მაისურაძე „გ. რჩეულიშვილის მოთხოვებები“ (ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, სადისერტაციო ნაშრომი.) 2003 წელი გვ. 117

<sup>9</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვებები თბ. 1977 გვ. 198 „ერთგული“

და იმავე მონაკვეთში დროის ეფექტის უფრო გასაძლიერებლად გურამ რჩეულიშვილი იყენებს „ახლა“, „კიდევ“, „ისევ“ ფორმებს. საინტერესოა, ის, რომ მწერალი საერთოდ ნაწილაკებსა და ზმნიზე-დებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დროის ეფექტის შესაქმნელად:

„ექვსი წრე გაიარეს. ერთგული **ისევ** წინ იყო. გახელდა. ერთგულს **კიდევ** ორმა გაუსწრო,

**მერე** კიდევ ერთმა. **ისევ** აკადრეს მათრახი. **ახლა** დარტყმა აღარ ეწყინა.“<sup>1</sup> „ისევ მირბოდნენ.

იყო ფრუტუნი. მოსალამოვდა.<sup>2</sup> „ერთგულს კიდევ ორმა გაუსწრო, **მერე კიდევ** ორმა. **ისევ** აკადრეს მათრახი. **ახლა** დარტყმა აღარ იწყინა. აღარც გამხნევებამ იმოქმედა. **ახლა** მხოლოდ უძალოდ ხტებოდა ჰაერში.“<sup>3</sup>

მოვიყვანოთ ამ ნაწილაკებით „მდიდარი“ კიდევ ერთი მოთხოვიდან ნაწყვეტი:

„ცხელოდა ვაუამ პიჯაკი გაიხადა. ცხელოდა. **მერე ისევ** ჩაიცვა. **მერე** თოვლი შეწყდა.

ლრუბლები გადაიყარა. აცივდა.“<sup>4</sup> „გაიზმორა. როგორც იყო, გაიხადა ტანზე. მთელი ტანი დაეჭიმა. **ისევ გაიზმორა. მერე როგორც** იყო ჩაეძინა.“<sup>5</sup>

ეს ნაწყვეტი, ასევე, საყურადღებო გამეორების თვალსაზრისითაც, რომელიც ცალკე უნდა იქნას განხილული, როგორც გურამ რჩეულიშვილის მიერ გამოყენებული კიდევ ერთი ხერხი დროის ეფექტის შესაქმნელად.

**ე) გამეორება, როგორც დროის ეფექტის შემქმნელი კიდევ ერთი ხერხი.** გურამ რჩეულიშვილის სამწერლობო ენისთვის დამახასიათებელია სიტყვათა გამეორება, იქნება ეს ინტენსიური თუ იშვიათი დ გარკვეული მონაკვეთების აზრობრივად შემაერთებელი. ავტორი ამ ხერხით მკითხველებს ანახებს, რომ დრო მიდის, მოქმედება კი მეორდება ისევ და ისევ, ან მდგომარეობა თუ მოქმედება უცვლელი რჩება, მიუხედავად დროის ცვლილებისა:

„კედლის საათი არ ტიკტიკებდა: - საათი სად არის, ბაბუ? - გაფუჭდა. **ისევ სიჩუმე:** ბაბუამ და შვილიშვილმა პაპიროსი გააბოლეს. - საანამლავია. - აბა! - კიდევ კარგად ვუძლებ, - თქვა ბაბუამ. - მშვენივრადა ხართ, - თქვა ვაუამ. - რას ვიზამ. **ისევ სიჩუმე. ელიმებოდა:** ფიქრობდა კოტეზე, ახალ იდეაზე. **ელიმებოდა:**“

მოყვანილ ნაწყვეტში ყურადღებას იქცევს სიტყვა „ელიმებოდა“, გარდა იმისა, რომ მწერალი იმეორებს მას, ასევე ამ სიტყვასთან ერთად გადმოაქვს მასთან ნახმარ პუნქტუაციის ნიშანი დ ორწერტილი. „ორწერტილის ხშირი ხმარება ქმნის შესაძლებლობას მკითხველმა აქცენტი მოსალოდნელზე გააკეთოს, ყურადღების მოუდუნებლად ადევნოს თვალი მოქმედების შემდგომ განვითარებას.“

„მატარებელი ჩერდება, მიდის ჩერდება.“<sup>6</sup>

ზემოთ აღნიშნული ხერხით ავტორი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ზმნით გამოხატულ იმ მოქმედებაზე, რომელიც მეორდება აღწერილ გარემოსა და ვითარებაში, თავს ხდება, ეხება, მოსდის პერსონაჟს:

„ცხელოდა. ლამფის შუქი თვალებში უჭყიტინებდა. **ცხელოდა. ... ცეკვავდენ. ცხელოდა. კარი გაიღო.**“

ზეგჯერ მთელი მოთხოვის გამეორების პროცესზეა აგებული. ასეთი მოთხოვისა „ქიტესა“. მსგავს მოთხოვისათა რიცხვს მიეკუთვნება, ასევე, მოთხოვის „მოუნდა“, რომლიდანაც ზემოთ მოვიყვანეთ ნაწყვეტი. აქ სახელზმნის განმეორებით ავტორი ხაზს უსვამს, რომ დრო გადის, მაგრამ პერსონაჟების გარშემო არსებული გარემო უცვლელი რჩება.

<sup>1</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვიდები თბ. 2002 ტ . II გვ. 109

<sup>2</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვიდები თბ. 2002 ტ . II გვ.155

<sup>3</sup> რევაზ ინანიშვილი მოთხოვიდების კრებული: „მთვარის ასული“ თბ. 1987 გვ. 14

<sup>4</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვიდები თბ. 1977 გვ. 201 „სალამურა“

<sup>5</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვიდები თბ. 1977 გვ. 197-198 „ერთგული

<sup>6</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვიდები თბ. 1977 გვ. 198 „ერთგული“

1 თეა მაისურაძე „გ.რჩეულიშვილის მოთხოვები“ (ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, სადისერტაციო ნაშრომი.) 2003 წელი გვ.117

დროის გასვლის ეფექტის უკეთ გადმოსაცემად გურამი ძირითადად ერთ სინტაქსურ კონსტრუქციას მიმართავს: მოცემული ეფექტის შესაქმნელად გამოყენებულ სიტყვებს ცალკე, სხვადასხვა ხაზზე ათავსებს, როგორც ამას ზემოთ ვხედავთ, მაგრამ ზოგჯერ ამ ხერხს ერთი აბზაცის შიგნითაც ვხვდებით:

„გამიტაცა ბაირონმა, ლერმონტოვმა, გამიტაცა ვაჟა-ფშაველამ, გამიტაცა მაიაკოვსკიმ, ესე-ნინმა. ღამეებს ვათენებდი “ალუდა ქეთელაურს” ვკითხულობდი.“<sup>1</sup>

1. „ენა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეულ პიროვნებათა საშუალებით ვლინდება, ცალკეული პიროვნების მეტყველებაში არსებობს“. გურამ რჩეულიშვილის სტილი გამორჩეული და თვალში საცემია. იგი ინდივიდუალიზმით გამორჩეული მწერალია. მისი სამწერლო ენის შესწავლა მნიშვნელოვანია, საერთოდ, მწერლის ენაზე დაკვირვების თვალსაზრისით და ამავდროულად, მისი ინდუალიზმზე ხაზგასასმელად. აღსანიშნავია, რომ რჩეულიშვილის სამწერლო ენის შესახებ ლიტერატურა მწირია, ამიტომ ამ საკითხის გარშემო კიდევ ბევრი რჩება საკვლევი, რომელთა შესწავლასა და დამუშავებას, სასურველია, დიდი ყურადღება დაეთმოს.

---

1. <sup>1</sup> გურამ რჩეულიშვილი მოთხოვები თბ. 1977

### ანა დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, მაგისტრატურა

## ვაჟა-ფშაველა თარგმანის შესახებ

შემოქმედებითი პროცესისა და თარგმანის ურთიერთმიმართება ერთ-ერთი არსებითი საკითხია ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკაში. ამ საკითხს მწერალი “ვეფხისტყაოსანთან” მიმართებაში სვამს და განიხილავს, მაგრამ საკითხის დასმაში ჩანს ვაჟა-ფშაველას ზოგადი დამოკიდებულება ორივე პროცესისადმი.

ვაჟა პოტურ, ორიგინალურ შემოქმედებას არქმევს “ხელოვნურს” და მას ანიჭებს უპირატეს მნიშვნელობას, თვლის ნიჭისა და შემოქმედების გამოვლინებად. მისი აზრით, ვინც ვერ არჩევს “ხელოვნურ ნაწარმოებს” თარგმანისაგან, “მას არა აქვს უნარი გაიგოს და დააფასოს ხელოვნური ნაწარმოები, არ იცის როგორ იწერება ნაწარმოებები საზოგადოდ, ერთი სიტყვით, ვერ შეუგნია შემოქმედების პროცესის თვისება, ხასიათი” [ვაჟა-ფშაველა 1964 : 303]; სწორედ ამით ასაბუთებს ვაჟა “ვეფხისტყაოსანის” სპარსულიდან ნათარგმნობის თეორიის სიყალბეს. მისი აზრით, შემოქმედებითი პროცესი განსხვავდება მთარგმნელობითი პროცესისაგან. შემოქმედების დროს მუდავნდება “დიადი ნიჭის ძლიერება”, რომელიც იმსახურებს ერის დიდ სიყვარულს. მთარგმნელს კი ძირითადად არც კი იცნობს ერი. ვაჟას სიტყვებით, “ერი რომ ეგრე ადვილად აღმერთებდეს უბრალო მთარგმნელებს, როგორც შოთა პეტრე გაღმერთებული ქართველ ერს, სათვალავი არ ექნებოდა, იმდენი გენიოსები და რუსთაველები ეყოლებოდა კაცობრიობას, მაგრამ ეგრე ადვილი არ გახლავთ ერის სიყვარულის მოხვეჭა, მერე როგორი სიყვარულისა? — დიდად დიდის სიყვარულისა...” [ვაჟა-ფშაველა 1964: 303-304]. ასეთი სიყვარულის მოპოვება მხოლოდ გენიოსს შეუძლია, რომელიც თავისი ერის ღვიძლი შვილია, მისი სულის, სისხლის და ხასიათის გამომხატველი, რომლის შემოქმედებაშიც მთელი ერი და მისი კულტურული სიმდიდრე როგორც ფოკუსში, ისე ნარმოჩნდება. მასში ერი თავის თავს ხედავს და შესტრფის იმას, ვინც თავისი თავი დაანახვა. “დიალ, შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე “ვეფხისტყაოსანი”, — ასკვნის ვაჟა, — “ასე რომ არ იყოს, ხომ ქართველებს ასეთი სიყვარულიც არ ექნებოდა შოთასი” [ვაჟა-ფშაველა 1964: 304]. მწერლის მართებული შეხედულებით, “მკვლევარი და ამხსნელი სწორედ ამისთანა ორმაგად და ორჯოფად ნათქვამს უნდა და არა იმას, რო ვარდი უკელოდ არ მოიკრიბებისო ... თუ “ვეფხისტყაოსანის” არაკი მართლა სპარსულია, ამისთანა შინაარსიანს არავს გამლექსავი, დამნერი, თვით სპარსეთშიაც ბევრი აღმოუჩნდებოდა, რადგან მგოსნები, პოეტები, როგორც მე-11 საუკუნეში, ისე მე-12-ში, სპარსეთს აუარებელი ჰყავდა. როგორ მოხდა, რომ ქართველმა საქართველოდან იპოვნა ეს ამბავი სპარსეთში, ხოლო სპარსელებმა კი ვეღარ თავის მშობელ ქვეყანა — სპარსეთში?” [ვაჟა-ფშაველა 1964: 306]. ვაჟას ეჭვი ეპარება, დიდებულ ფირდოუსს რომ ხელიდან გაეშვა ასეთი თქმულება, მაგრამ, მწერლის თქმით, შეუძლებელია იმის პოვნა, რაც არ არსებობს.

ვაჟა-ფშაველამ მეცნიერული სიზუსტითა და სიფრთხილით ჩამოაყალიბა ის არგუმენტები, რომლებიც განასხვავებს ორიგინალურ ნაწარმოებს თარგმანისაგან და სასტიკად დაგმო ნიკო მარის თეორია; ნერილში “ნიჭიერი მწერალი” ვაჟა აღნიშნავს, რომ გენიოსი ეროვნულ ნიადაგზე უნდა იყოს აღზრდილი; პატრიოტიზმი, თავისი ენისა და ერის სიყვარული უნდა ჰქვებავდეს მის ტალანტს და აქვე დასძენს: “როგორ შეიძლებოდა რუსთაველს მონგოლურად ან არაბულად ეფიქრა, ეგრძნო და ისე დაეწერა “ვეფხისტყაოსანიო” [ვაჟა-ფშაველა 1964: 297]. პატრიოტიზმი ერთ-ერთი ნიშანია

ორიგინალური ნაწარმოებისა. წერილში “ფიქრები “ვეფხისტყაოსნის” შესახებ“ ვაჟა მსჯელობს შემოქმედებითი პროცესის თავისებურებასა და ხასიათზე და აქაც პატრიოტიზმსა და ეპოქის სულის ჩვენებას მის არსებით ნიშნად.

ვაჟა შეახსენებს “ვეფხისტყაოსნის” მკვლევართა იმ ჯგუფს, რომელიც პოემის არაკას სპარსული ფოლკლორიდან მომდინარედ თვლის, რომ ეს გარემოება ხელს არ უშლის ნაწარმოების ორიგინალურობას და თვით “ლრმა ეროვნულობასაც”, რადგან პოეტური შემოქმედება შემდეგი თვისებისაა: “რაც უნდა დიდებული იყოს ზღაპარი, თუ მან არ გაიარა პოეტის ფანტაზიის და გონების მანგაში, თუ მას პოეტმა არ ჩაჰქერა უკვდავი სული, როგორც ღმერთმა თიხიდან შეზელილს ადამს, და იგი ზღაპარი თუ ლეგენდა არ შეუსისხლხორცა საკუთარს სულსა და გულსა, არაფერი გამოვა, — თავის დღეში “ვეფხისტყაოსნისთანა“ თხზულება არ დაიწერება“ [ვაჟა-ფშაველა 1964: 307]. ვაჟას მაგალითად მოჰყავს ლეგენდა ფაუსტზე, რომელიც ასობით მწერალმა გამოიყენა, მაგრამ მხოლოდ გოეთე შეიქმნა მისი ბატონ-პატრონი, რადგან “ლეგენდა ჩაუვარდა დიდი ნიჭის, დიდის გრძნობა—გონების პატრონს, მან შეასხა ამ ლეგენდას ახალი ხორცი და შთაპერა სული ცხოველი... ლეგენდაც, რა თქმა უნდა, როგორც მასალა, საჭირო იყო პოეტისათვის, მაგრამ რა უფლება გაქვთ არ დამეთანხმოთ, რომ თუ გიოტე არ ყოფილიყო, არც დღევანდელი “ფაუსტი“ ექნებოდა კაცობრიობას?! მაშასადამე, თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა. ეს ლეგენდაც რომ არ ყოფილიყო, ის აზრი და გრძნობა, რაც “ფაუსტშია“ გამოთქმულ-გამოსახული, მაინც გამოითქმებოდა გიოტეს კალმის წყალობით, თუმცა შეიძლება სხვა რამ სახელი პრქმეოდა, ან სხვა ფორმით დაწერილიყო“ [ვაჟა-ფშაველა 1964: 307-308]. იგივე საკითხზე მსჯელობს ვაჟა წერილში “დ შ“ და ლევ ტოლსტოისა და პუშკინის მაგალითები მოჰყავს; საუბრობს საკუთარ შემოქმედებაზეც, რომელიც ხალხურ თქმულებათა ზემოქმედებას განიცდის, მაგრამ ეს ზემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ხალხში გაგონილი ორი-სამი სიტყვით განისაზღვრება. ერთი სიტყვით, ვაჟა აღიარებს მასალის მეორადობას, რადგან ხელოვანმა თუ ეს მასალა თავისი გრძნობა-გონების საკუთრებად არ აქცია, ხელოვნების ნიმუში ვერ შეიქმნება, ხოლო ის აზრი და გრძნობა, რომელიც კონკრეტულ ნაწარმოებშია გამოთქმული, მაინც გამოითქმებოდა ამავე მწერლის წყალობით, თუმცა შეიძლება სხვა ფორმით დაწერილიყო [ვაჟა-ფშაველა 1964: 307-308].

მიუხედავად ხელოვანის დაფასებისა, ვაჟა არ აქარნწყლებს მთარგმნელის მისიას, თუმცა გენიოსს მხოლოდ ხელოვანთაგან მოიაზრებს. მისი აზრით, ერის სიყვარულის მოხვეჭა მხოლოდ ხელოვანს შეუძლია და არა მთარგმნელს. ვაჟა არ ხსნის უშუალოდ მთარგმნელობით პროცესს, მას შემოქმედებით პროცესთან ერთად განიხილავს, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ პროცესისთვისაც ნიჭიერებაა საჭირო.

ვაჟა განასხვავებს ხელოვანისა და მთარგმნელის მიდგომას ტექსტთან. მისი მსჯელობიდან გამომდინარე, მთარგმნელი ვერ იტყვის გმირზე, რომ ის მისია, მას ეკუთვნის — “ტარიელ მისა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა“, ეს მხოლოდ მისი შემქმნელის უფლებაა. წებისმიერ ნაწარმოებშიც ის ქვეყანა წარმოჩნდება ფარულად თუ ცხადად, რომელიც მისი ავტორისაა და არა მთარგმნელის. ვაჟა ვრცლად მსჯელობს საკითხზე, თუ როგორ წარმოჩნდება “ვეფხისტყაოსანში“ საქართველო; ტარიელის, ავთანდილის, ნესტან-დარეჯანის, ასმათის ქართველობა და ქრისტიანობა.

ვაჟას მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები, რომ პოემაში საქართველოს სინამდვილეა ასახული, რომლის მოწმე და თავად მონაწილეც არის ნაწარმოების ავტორი: 1) პოემაში სინამდვილე ანუ “მოქმედ პირთა ქართველობა მოპარულს მამალივით მაინც ბოლოს აჩენს“ [ვაჟა-ფშაველა 1964: 314], — წერს ვაჟა-ფშაველა, რადგან ფიქრობს, რომ საქართველოს სინამდვილე პოემაში შენიდბულია, მაგრამ ცალკეულ დეტალში მაინც მუღავნდება; 2) “ტარიელ და ავთანდილ ქრისტიანულად (ქართულად) იქცევიან, როცა “ერთი უჩანთ სათაყვანოდ, ერთსა ვისმე აშიყობენ“, — ამგვარი რწმენა კი, პარამხანის უარმყოფელი, შეუძლებელი იყო აღმოცენებულიყო მაპმადიანთა გულგონების ნიადაგზე“ (იქვე); 3) ვაჟამ ფსიქოლოგიურად გაანალიზა “ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ხასიათი და დაასკვნა, რომ ზოგადად პოემის ვერც ერთ მოქმედ პირზე ვერ იტყვი, ქართველი არ არისო; 4) ნეს-

ტან-დარეჯანის საყვედლურმა ტარიელისადმი — “შენ სავაზიროდ მჯდარხარ და ჩემი ხვარაზმშაპ-სთვის მითხოვება სხვებთან ერთად დაგიდასტურებიაო”, — შეუძლებელია ნესტან-დარეჯანის ქართველი ქალობა არ გაგვახსენოს; 5) ვაჟას აზრით, საქართველოს სამეფო კარზე მომხდარი ამბები ხვარაზმშას ძის მოკვლის ეპიზოდში თვალნათლივ გამომუდავნდა, აქვე გამოიკვეთა მიზეზიც, თუ რატომ სურდა რუსთაველს შეენიღბა სინამდვილე — “სწორედ ხვარაზმშას მოკვლა ტარიელისაგან და დავარისა თავის მოკვლა, მიჯნურობა ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა, სხვათა შორის, უნდა იყოს მიზეზი, რომ რუსთაველი თავის პოემის სიუჟეტს სპარსულს უწოდებს” (იქვე); 6) ვაჟა მიუთითებს საყველთაოდ ცნობილ ფაქტზე, რომ რუსთაველის ეპოქაში აუარებელი ლექსი იწერებოდა თამარ მეფეზე, მაგრამ მათი გამომზეურების ნებას არავინ სთხოვდა ხელისუფალს, პირიქით, თამარი ხელსაც კი უწყობდა მგოსნებს და აქეზებდა მათ. მხოლოდ რუსთაველი ითხოვს ნებართვას, რადგან შიშობს, რომ თამარს შეიძლება რაიმე ეწყიონოს. წყენა კი იმ უბრალო მიზეზის გამო შეიძლებოდა, რომ “ვეფხისტყაოსნის” სიუჟეტი სამეფო კარზე იმ მომხდარ ამბავს მოაგონებდა მკითხველს, რომელსაც საგულდაგულოდ მაღავდნენ. ამიტომაც რუსთაველი რამდენჯერმე იმეორებს, რომ უცხო ხელმნიფეთა საქმენი აღნერა, იპოვა და ლექსად გარდათქვა, თითქოს ამით ეუბნება მკითხველს, “ვითომ ნუ იფიქრებთ რომ მე იმ ამბავს გიამბობთ, რაც თქვენც, მკითხველებო, იცითო და თუ ჰგავს ეგ რა ჩემი ბრალია, ეგ თვით იმ ამბის ბრალია, რომელიც მე სპარსეთში ვპოვე და ლექსად გარდავ-სთქვიო” [ვაჟა-ფშაველა 1964: 327]; 7) პოემაში რუსთაველი აყენებს თავისი დროის საჭიროობრივ კითხვას, მოეწვიათ თუ არა უცხოტომელი კაცი თამარის მეუღლედ; ეს ორმხრივ იყო შეურაცხმყოფელი შოთასთვის: ერთი მხრივ, იტანჯებოდა მისი ეროვნული გრძნობა, მეორე მხრივ კი, “ამ მოწვევით პატრონი უწინდებოდა მის ხელმქმნელს, მაშასადამე, იტანჯებოდა მისი პირადი გრძნობა სიყვარულისა” [ვაჟა-ფშაველა 1964: 116]; 8) ვაჟა მწერლის, გენიოსის, მდგომარეობასაც კი წარმოიდგენს მაშინდელ საზოგადოებასა თუ სალიტერატურო წრეში. მისი აზრით, რუსთაველი ზღაპრის ყაიდაზე იმიტომაც კაზმავს თავის პოემას, რომ ამით აკმაყოფილებს თანამედროვეთა გემოვნებას, რომელიც სპარსულ ყაიდაზეა მოწყობილი და ამ გემოვნების მსახური კი პირველ რიგში არისტოკრატია. პოემის ეპილოგში ჩანს, რომ რუსთაველი თანამედროვე პოეტებისაგან გულნატკენია. ბევრი ეურჩება მას და “ჩემი სჯობსო”, გაიძახის, ამიტომაც უხდება რუსთაველს, რომ ამ წვრილფეხა მგოსნებს ლექცია წაუკითხოს და დამსახურებულად გააკრიტიკოს ისინი, შოლტი გადაკერას. ვაჟას ეჭვი ეპარება, რომ ამისთანა “კადნიერებას” შეძლებდა სპარსული ლექსების უბრალო მთარგმნელი — “ნუ თუ შოთას კი არა ჰკადრებდნენ: შენ ვინდა ბრძანდებიო? მთარგმნელს სხვის ნახელავისას ვინ მოგცა მაგოდენა უფლება ჩვენის შეურაცხყოფისაო? შოთას წყრომა გენიოსი რეფორმატორის წყრომაა, — დაასკვნის ვაჟა, — რომელიც ცდილობს მაშინდელ ავტორებს, პოეტებს სწორე გზა უჩვენოს” [ვაჟა-ფშაველა 1964: 329]. ეს რეფორმა კი, ვაჟას აზრით, ენის გახალხურებაში მდგომარეობს. “ეჭვს გარეშეა ისიც, — წერს ვაჟა-ფშაველა, — რომ შოთას ახალი ენა შემოაქვს მწერლობაში და ეს ენა წმინდა ხალხური ენაა” (იქვე).

როგორც ვხედავთ, ვაჟას შეხედულებით, ავტორი წანარმოებისა ამაყია, მთარგმნელი — უფრო მოკრძალებული. მას შეუძლია თავისი წანარმოები შეაფასოს, როგორც “წყობილი მარგალიტი”. “წყობილი მარგალიტობა” შემოქმედებით პროცესს ნიშნავს და არა მთარგმნელობითს. შემოქმედს შეუძლია წვრილფეხა მგოსნებს მოლექსეობაზე ლექცია წაუკითხოს და შეარცხვინოს ის, ვინც ჯორივით “უცილობლობს” — “ჩემი სჯობსო”. ვაჟა აღნიშნავს, რომ “ჯორის მსავსი პოეტები ეხლაცა გვყავს ბევრი და მაშინაც რო იქნებოდა რასაკვირველია და სწორეთ იმათა შემოლტავს შოთა ლირსეულად. განა ჭკუაში მოსასვლელია ამისთანა კადნიერებით გამოდგეს სპარსული ამბების მთარგმნელი, უბრალო გამლექსავი?...” [ვაჟა-ფშაველა 1964 : 329].

ვაჟა ზოგიერთი კრიტიკოსის იმ შეხედულებაზეც ამახვილებს უურადლებას, თუ როგორ მოახერხა რუსთაველმა უცხოელთა ზნე-ჩვეულებების აღნერა, თუკი მას დედანი არა ჰკონია. ვაჟა-ფშაველა დაწვრილებით განიხილავს ამ საკითხს და პასუხობს მათ, რომ უცხოელთა ზნე-ჩვეულებების აღნერა, თავად ეს ფაქტი, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ წანარმოები თარგმანად შევაფასოთ.

ეს მხოლოდ და მხოლოდ ავტორის განათლების და “თანამედროვე მეცნიერების ღრმა ცოდნის” შე-დეგია. სიტყვა “მეცნიერება” ვაჟას ამ წერილში “ცოდნის” მნიშვნელობით მოიაზრება. რუსთაველი იცნობს თავისი დროის მაკმადიანურ სამყაროს. აღმოსავლეთის მეფეთა ეტიკეტი კი ერთი მეორესა ჰქავს და რაკი რუსთაველმა “ქართველები უცხოელებად გადააქცია, უეჭველად ეცდებოდა თავთავისი როლი ყველას შესაფერისად აღესრულებინა და ყველა გმირი თავ-თავის აღაგასა ყოფილიყო” (“ფიქრები “ვეფხისტყაოსნის” შესახებ”) [ვაჟა-ფშაველა 1964 : 329-330]. მიუხედავად ამისა, ვაჟა აღნიშნავს, რომ სინამდვილე რუსთაველის პოემაში მოპარული მამლის ბოლოსავით მოჩანს, რომლის ქურდის გულწრფელობას თუმცა დაიჯერებდა პატრონი, ჩოხის კალთიდან გამოყოფილი კუდი რომ არ დაეწახა. ასეთ კუდებს მრავლად ხედავს ვაჟა “ვეფხისტყაოსანში”, ხოლო კრიტიკოსებს ურჩევს მათი დანახვის, პირდაპირ და ალეგორიულად ნათქვამის გარჩევის უნარი გააჩნდეთ.

როგორც წარმოჩენილი მასალიდან ვხედავთ, ვაჟას შეხედულებები შემოქმედებით პროცესებზე — მწერლობასა და თარგმანზეც დღემდე აქტუალურია; განსაკუთრებით ერთი კუთხით, როგორ უნდა გაირჩეს ინდივიდუალური შემოქმედება თარგმანისაგან; საკუთრივ მთარგმნელობით პროცესს, როგორც შემოქმედებას, ვაჟა ნაკლებად ეხება, მაგრამ თუ დავაკვირდებით მის თარგმანებს, დავინახავთ, რომ ვაჟა იმის მიხედვით ირჩევს სათარგმნ მასალას, რომ მასში გამოთქმული აზრი და გრძნობა ჯერ თავისი გონების საკუთრებად აქციოს და მერე ხელახლა გამოთქვას, ოღონდ არა სხვა ფორმით, არამედ ისევე, როგორც მწერალსა აქვს გამოთქმული; ვაჟას აზრით, მწერალი და მისი სამშობლო აუცილებლად ჩანს ნაწარმოებში. რა თქმა უნდა, ვეთანხმებით მის შეხედულებას, მაგრამ აქვე დავძენთ, რომ ვაჟას თარგმანებში მთარგმნელის (ანუ მისი) სამშობლოც წარმოჩნდა. ვაჟა ისეთ მხატვრულ სახეებს ქმნის, რომ დედნის ტექსტთან ერთად მათში მისი კუთხის მითოლოგიური წარმოდგენებიც აისახება. ალბათ იმიტომ, რომ ვაჟა პირველ რიგში მწერალია, რომელიც დედნის ტექსტს თავისი გონების საკუთრებად აქცევს, ძალაუნებურად უგულებელყოფს სიტყვა-სიტყვით თარგმანს და ნათარგმნ ტექსტშიც მწერლის “მეს” წარმოაჩენს, რაც მისი სტილის ნიშანია. გავიხსენოთ ვაჟას სიტყვები: “მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი “ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომია და, უკეთესად რომ ვსთქვათ, — მწერლის სულია; ენაში იმაღება მწერლის ინდივიდუალობა, მისი “მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ წაგიკითხავთ წინად, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგხვდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის. ამ განსაკუთრებულს დაღს რა ასვამს ნაწარმოებს და რა ჰედის მას ადვილ საცნობლად? ეს გახლავთ “ენა“, რაშიც უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი სულიერი სიცოცხლე, ავლადიდება. ფესვები მწერლის ენისა, სტილისა, იქ არის ჩანმახნული, მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზე-ოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინც და მაინც თავისებურობისა უნდა ესვას ...” (“ნიჭიერი მწერალი”) [ვაჟა-ფშაველა 1964 : 294].

ვაჟას თარგმანებში ჩანს თავად ვაჟა — ნიჭიერი მწერალი, რომელსაც აქვს თავისი ენა, ფრაზე-ოლოგია, წინადადებანი, საკუთარი სურათები, ორიგინალობა. მის თარგმანს ემჩნევა, რომ ის ვაჟას თარგმანია. რამდენად კარგია ეს საკუთრივ თარგმანისათვის, სხვა საკითხია და თანაც საკმაოდ საკამათო, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ვაჟა-მთარგმნელი ინდივიდი მწერალია, რომელიც თავისი შეხედულებისამებრ ცვლის თითოეულ დეტალს არა თავის ნებაზე, არამედ ღრმა ფიქრის შედეგად, რომ ეს ვარიანტი უმჯობესი იქნებოდა ქართველი მკითხველისათვის; მის სულთან და ბუნებასთან უფრო ახლოს მოვიდოდა. ეხლა კი შევეხოთ თავად ვაჟას თარმანებს.

### ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VIII, თარგმანები, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბილისი 1964, 7-405.

### თინათინ ლეკიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ელგუჯა ზინთიბიძე

### თამარის სახე „ვეფხისტყაოსანი“

მკვლევართა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მკითხველს აგრძნობინებს მისი ავტორის, შოთა რუსთაველის, ინტიმურ, ტრაგიკულ სამიჯნურო

განწყობილებას; რომ რუსთაველმა პოემით, კერძოდ პოემის პროლოგით, გაამხილა თავისი უზომო, დაუძლეველი, შმაგობამდე მისული სიყვარული თამარისადმი. ძველი ქართული ლიტერატურული ტრადიცია და ხალხური გადმოცემები სავსებით უჭერს მხარს წარმოდგენილ მოსაზრებას. ამის შესახებ მოვითხოვ ვეფხისტყაოსნის მე-13-მე-14 საუკუნეთა ინტერპოლატორ - კომენტატორები და უფრო გვიანი დროის ალორძინების ხანის პოეტებიც. ასე XV-XVI საუკუნეების მიჯნის მოღვაწე სერაპიონ საბაშვილი თავის პოეტურ გაბაასებაში რუსთაველთან, წარმოათქმევინებს რუსთაველს შემდეგ სიტყვებს თამარის შესახებ:

„აშიკი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დააშვენა ..  
თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა..“

ალორძინების ხანის მეორე განთქმული პოეტი თეიმურაზ I აგრეთვე თამარის მიჯნურად („ხელად“) წარმოგვიდგენს რუსთაველს და გადმოგვცემს პოეტის შესახებ:

„თვითცა ხელობდა, მის გამო ხელ-ყოფდა მათსა ქებასა,  
სწვავდა სახმილი უშრეტი პირმზისა თამარ მეფისა.  
ვითა ფოლადი მაღნიტსა თვალნი საჭვრეტლად ეფისა,  
მაგრამ მან მზემან სინათლე მიჯნურს არ უიეფისა.  
არად შესწონდა ზახილი ვარდსა ბულბულთა ყეფისა“  
(„იოსებ ზილიხანიანი“)

ხალხური გადმოცემების მიხედვითაც რუსთაველი თამარზე ყოფილა გამიჯნურებული.  
აღნიშნული ტრადიციის წყაროს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი. კერძოდ კი - შემდეგი სტროფები:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული  
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული,  
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,  
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.“ (4)

„თვალთა მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა  
აჲა, გული გამიჯნურდა, მიჲხვდომია ველთა რბენა!  
მიაჯეთ ვინ! ხორცობა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა,  
სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა.“ (10)  
„ჩემი ან სცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია;  
ესე მიჩის დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია,  
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს მიქია.“ (19)  
„მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:  
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი,  
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი  
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.“ (8)

აგრეთვე მე-9 სტროფში პოეტი აშკარად ამბობს: „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი.“ ამ სტროფით ნაგულისხმევი სიყვარულის საგანი რომ თამარია ამას ამტკიცებს წინა სტროფები, უფრო კი ზემოთ მოყვანილი მე-4( „თამარს ვაქებდეთ მეფესა..“). იგივე აზრია განვითარებული სხვაგანაც: „ჩემმა ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები“ (8.4). მე-10 სტროფში პოეტი აცხადებს, რომ მისი თვალები, სატრფოს სხივით ნათელ-წართმეული, დანატრებულია გამახელებლის ხილვას. გამიჯნურებულ გულს „მიჰხდომია“ ველად გაჭრა. პოეტი იხვენება, სატრფომ აკმაროს ხორცის დაწვა და სულს მაინც მისცეს შვება.

ამ მოსაზრების უტყუარობას განსაკუთრებული დაუზინებით ამტკიცებენ პავლე ინგოროვა და ნიკო მარი. პავლე ინგოროვა წერს: მკითხველს, რასაკვირველია, მოეხსენება, რომ შოთას და თამარის მიჯნურობის შესახებ მოგვითხრობს არა მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურული ტრადიცია, არამედ თვით პოეტი შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში. აქ მკვლევარს მოჰყავს ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული სტროფები და ამბობს: ეს სტროფები სრულებით არ არის უბრალო ტრუბადურული შექება დედოფლისა, არამედ ნამდვილი სიყვარულის გამომლუავნებაა. იგი შთაგონებულია უიმედო მიჯნურობის ტრაგიკული გრძნობით. პოეტი თავისი სიყვარულის შესახებ „სისხლცრემლდათხეული“ მოგვითხრობს.

მაგრამ შოთა ამაზე მეტსაც ამბობს. პოეტი გადმოგვცემს, რომ თვით „ვეფხისტყაოსნი“ შთაგონებულია თამარის სიყვარულით და რომ ქვემორე, ე.ი. პოემაში განსახიერებულია ეს სიყვარული:

„ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია..  
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს მიქია.“ (19)

შედარება თამარისა ვეფხვთან („უწყალო ვითა ჯიქია“) ხსნის ვეფხისტყაოსნის სიმბოლიკას. მკითხველმა, რასაკვირველია, კარგად იცის, თუ ვინ არის წარმოდგენილი პოემაში ვეფხვის სახით: ეს არის პოემის გმირი ქალი ნესტანდარეჯანი, ალტერ ეგო თამარისა. პოემის მთავარი შინაარსი კი ეს არის ამბავი ნესტანდარეჯანისა და ტარიელის მიჯნურობისა და „შემოსვა ტარიელისაგან ვეფხის ტყავისა“, ტარიელი თავის მიჯნურს ნესტანს წარმოიდგენს ვეფხვის სახით და მისი სიყვარულის ნიშნად ვეფხვის ტყავს ატარებს.

ამრიგად, ვეფხისტყაოსნის პროლოგში შოთა ხსნის პოემის შიფრს. პოეტი იგივეობის ნიშანს ავლებს თამარსა და ნესტანს შორის. იგი აცხადებს თავის თავს თამარის მიჯნურად, ისევე, როგორც ტარიელი იყო მიჯნური ნესტანისა, და როგორც ნესტანს, ისე - თამარს, ვეფხვის სახით წარმოგვიდგენს.

განხილული საკითხის თაობაზე ერთსა და იმავე მკვლევარს ზოგჯერ გამოთქმული აქვს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება, რაც ართულებს მათი თვალსაზრისის სწორი კვალიფიკაციის შესაძლებლობას. გამოჩენილი რუსთველოლოგი ნიკო მარი თავის სპეციალურ გამოკვლევაში ამბობდა, რომ რუსთაველი ცდილობს ქება შეასხას თავისი უგონო სიყვარულის საგანს, თამარს. მეფისადმი სიყვარულმა შოთას გონება შეურყია, დაკარგვინა განსჯის უნარი. ხოლო შემდეგ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით ნიკო მარი ასე განმარტავს რუსთაველის მიჯნურობის საკითხს: „საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ მისწრაფებას, გამოხატოს თავისი გრძნობა, ვერ ვუწოდებთ პლატონურ სიყვა-

რულს. ეს არის უბრალოდ გამჟღავნება მადლიერებისა და მოწინებისა, რომელიც სამეფო კარის ყველა პოეტის მოვალეობად ითვლებოდა“. შალვა ნუცუბიძე მართებულად უარყოფდა ვეფხისტყაოსნის პროლოგიდან თამარისადმი რუსთაველის სიყვარულის ამოცნობის შესაძლებლობას („რუსთაველი ი ვისტოჩნია რმუტხის“). ნაშრომში („ტე-აეშბგა- რუსთაველი“) პატივცემული ავტორი იმეორებს თავის ძველ შეხედულებას, მაგრამ საგანგებოდ იმ მოსაზრებას ავითარებს თითქოს რუსთაველმა განიცადა თამარისადმი „ნამდვილი სიყვარულის ტრაგედია“. თავის ადრინდელ სამქებრო ლექსებში რუსთაველს გაუმჟღავნებია თამარისადმი ტრფობა, რასაც უხერხული მდგომარეობა შეუქმნია პოეტისათვის. მეტიც, სკანდალი გამოუწვევია. რუსთაველი სასახლიდან დაუთხოვიათ, გარკვეული დროის შემდეგ იგი დაუბრუნებიათ სამეფო კარზე. პოეტს შეუგნია თავისი შეცდომა, ახლა ფრთხილად და წინდახედულად მოქცეულა. ძლიერი სატრფიალო გრძნობები „ვეფხისტყაოსანში“ გამოუხატავს შეფარვით. მკვლევარი ასკვნის: „მეფის მიერ მკაფრად დასჯილი პოეტი ითვალისწინებს რა წინანდელ ამბავს, პირდაპირ კი არა შეფარვით, მოკრძალებულად გამოხატავს თავის გრძნობებს.“

ჯერ კიდევ 1914 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ სიმონ ქვარიანი გამოთქვამს ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მოსაზრებათაგან საპირისპიროს. გავრცელებული აზრი, თითქოს რუსთაველს ჰყავარებოდეს თამარ მეფე და ამ გარემოებას წარმოეშვას ეს უკვდავი პოემა, მას სრულ აბსურდად მიაჩნია.

აი, რა მოსაზრებას გამოთქვამს მკვლევარი:

დაუჯერებელი აქ არაფერია. ადვილად შეიძლება პოეტს შეუყვარდა ზენაარის გრძნობით საქართველოს ცისკარი, შვენება თამარი. შესაძლოა თამარმაც თანაუგრძნო მგოსანს და მათ შორის დაარსდა საიდუმლო კავშირი. როდის უნდა ყოფილიყო ეს? ან ქალის გათხოვებამდე, ან ქალის გათხოვების შემდეგ. გათხოვების შემდეგ მისი ქმარი და პატრონი შეიქნა ჯერ გიორგი და შემდეგ ლამაზი, მხნე ჭაბუკი დავით სოსლანი. პოემაში კი ჩანს, რომ შოთას იგი დაუწერია თამარის მეფედ კურთხევის და დავითზე გათხოვების შემდეგ; აგრეთვე, უმთავრესი გმირი ქალი პოემისა თამარია. თამარისავე ბრძანებით არის დაწერილი ეს პოემა, როგორც ავტორი მოწმობს:

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა..“

„თამარს ვაქებდეთ მეფესა“ და სხვა.

აქედან ჩანს, - წერს სიმონ ქვარიანი, - რომ თამარის გარდა სხვასაც უბრძანებია, ან ნება მიუცია ლექსების დანერისა. მარტო თამარი რომ ყოფილიყო იტყოდა „მიბრძანა მისდა საქებრად“ და არა „მიბრძანეს მათად საქებრად“ -ო. ეს უკანასკნელი ფორმა კი მრავლობითია. მაშ ვის ეჭირვებოდა კიდე ქება და ლექსები თამარის გარდა? ეს იყო მისი ქმარი დავით სოსლანი.

მკვლევარი დასძენს: ჯერ დღეს, მეოცე საუკუნეში, როცა ევროპის მეფეთა სასახლეში მოხდება ხოლმე ამგავრი რამ და ვინმე კარის კაცი შეიყვარებს დედოფალს ან მეფის წულს, ცდილობენ მაშინვე დაფარონ ეს ამბავი სასტიკად და ყოველივე მოიცვან საიდუმლოებით. რაღა უნდა ყოფილიყო XII საუკუნეში, როცა სასახლის ეტიკეტი და საქრისტიანო მორალი გაცილებით მტკიცე იყო და მძაფრი?!

შოთა, უბრალო შინაყმა, ქვეშევრდომი, - აგრძელებს ს.ქვარიანი, იყვარებს თუნდ პლატონიურად საქართველოს ღვთაება თამარს, ესეც თანაუგრძნობს მგოსანს და აძლევს ნებას, აუნყე ქვეყანას ჩვენი სიყვარული და აქე მიჯნურობაო.. განა ეს დასაჯერია?! განა ბრძენი და დარბაისელი თამარი ასე გაირყვნა, ასე შეიშალა ჭეუით, რომ ამგვარი ბრძანება მისცა? ეს აზრი ამცირებს თამარის ლირსებას, ეს აზრი იმსხვრევა საღი მსჯელობის წინაშე, ვით სუსტი ფაიფური. შოთას გულის გამიჯნურება არის მხოლოდ პოეტური აღმაფრენა, ზეშთაგონება და არა ვნება და სიყვარული. - ამგვარად ასრულებს თავის აზრს სიმონ ქვარიანი.

არათუ ძველი ქართული ლიტერატურული ტრადიცია და მეოცე საუკუნის მკვლევრები, ჩვენი დროის მეცნიერი თამარ ერისთავი მეფისადმი სიყვარულს მიაწერს რუსთაველს. 2010 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ანუ „ვეფხისტყაოსნის“

სიუჟეტის მეორე განზომილება “იგი წერს: რუსთაველის თამარისადმი უსაზღვრო სიყვარული გამუღლავნებულია პოემის „დასაწყისში“. საგულისხმოა, რომ ეს აღსარება არ არის ერთმნიშვნელოვანი, ე.ი. ის მარტო სიყვარულზე კი არ ღალადებს, არამედ ვეფხისტყაოსნის დამწერის საოცარ ძალისხმევას ამ სიყვარულის გამოვლინებად წარმოგვიდგენს. იმ სტროფში, სადაც პოეტი თავისი ნაწარმოების შექმნის ამბავს გადმოგვცემს ქარაგმულად („ესე ამბავი სპარსული“), სტროფის ლოგიკური და ემოციური მნვერვალი თამარია: „ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლალმან და ლამაზმან ნები“. პროლოგის სტროფები ღალადებენ თამარისადმი თაყვანისცემას და ვნებიან სიყვარულს, იმასაც გვაუწყებენ, რომ თამარი ჯიქივით უწყალოა (შეუბრალებელია) მისი მიჯნურის მიმართ.

მკვლევრის თქმით, ცხადზე ცხადია, რომ რუსთაველის თამარისადმი მიმართება გამორიცხავს კარის პოეტის მიმართებას მეფისადმი. ეს იგრძნობა მე-4 სტროფში, რომელშიც პოეტი იწყებს უშუალოდ თამარის ქებას.

რაც შეეხება ცნობილი ქართველი მეცნიერის, ალექსანდრე ბარამიძის, მოსაზრებას, ვფიქრობთ, რომ ყველაზე მისაღები და გასათავლისწინებელი სწორედ ის გახლავთ:

არაერთხელ მიუქცევიათ ყურადღება იმისათვის, რომ პროლოგში გამოთქმული აღსარება ენინააღმდეგება პოეტისავე სიტყვებს: „არს პირველი მიჯნურობა..“ პროლოგი მოითხოვს სიყვარულის დაფარვას, სასიყვარულო „ხვაშიადის“ გაუმჯდავნებლობას, შორით ბნედას, შორით კვდომას, შორით დაგვას, შორით ალვას, რომ თავდაუჭერლობით, შეუფერებელი მოქმედებით, გრძნობების გამხელით არ „ავნოს“ სატრიოს, მის უმნიკვლო სახელს ზიანი არ მიაყენოს, არ შუქმნას უხერხული მდგომარეობა. თუ საკითხს კარგად ჩავუკვირდებით, აღნიშნული წინააღმდეგობა მხოლოდ მოჩვენებითია. რუსთაველის შეხედულებებში ნამდვილ წინააღმდეგობას მაშინ ექნება ადგილი, თუ პოეტის მართლაც მივაწერთ თამარისადმი ხორციელი, სქესობრივი სასიყვარულო გრძნობების გამოსახვას. სწორედ აქა შეცდომა - წერს მეცნიერი და აგრძელებს: ყოვლად შეუძლებელია დაუუშვათ, თითქოს შოთა რუსთაველი პროლოგში ლაპარაკობდეს რეალურ მგრძნობელობითს გატაცებაზე თამარის მიმართ. რუსთაველი, როგორც თამარის თანამედროვე პოეტი, იქნებ, თამარის კართან დაახლოებული პოეტი, იმ დროს არსებული წესების მიხედვით ვალდებული იყო შეემკი თავისი პატრონი, თავისი მეფე, გამოეხატა მისდამი პატივისცემა, აღტაცება და სიყვარული. პროლოგში გამუღლავნებული სიყვარულის აზრი უნდა გაგებულ იქნეს გადატანითად, პოეტურად, მეტაფორულად. რუსთაველი პიპერბოლური ხერხით გამოხატავს მშვენიერი მანდილოსანი პატრონით უსაზღვრო გატაცებას. ნამდვილად, ეს არის პოეტის მხრივ ამ პატრონის მიმართ გამოთქმული დიდი მოკრძალება, თაყვანისცემა, და მხოლოდ ამ კონტექსტით, დიდი სიყვარული. რუსთაველი არ შეიძლება, არ ყოფილიყო დამფასებელი მისი სამშობლო ქვეყნის იმდროინდელი წარმატებებისა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ ცხოვრებას კი სათავეში ედგნენ თამარი და დავით სოსლანი. ამიტომაცაა, რომ პოეტს აღტაცება გამოუხატავს არა მარტო თამარისადმი, არამედ დავითისადმიც. მეტიც, რუსთაველს პირველად დავითი შეუმკია, თამარის ლომი, რომლის ლირსეულად შექებისთვის თითქოს საკადრისი სიტყვიერი მასალა ვერ უპოვია(„მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა, შე, რისა“). დავითის ლირსებათა ჩამოთვლის შემდეგ იწყებს თამარის შესხმას. ყოვლად შეუძლებელია, დავუშვათ, რომ ჩვენი დიდებული პოეტი ჯერ დავითის მიმართ მომიჩებითს პატივისცემას გამოთქვამდეს, ქედს იხრიდეს მისი მაღალი ლირსებების წინაშე, ხოლო შემდეგ დავითის მეუღლეს, საქართველოს მეფესა და დედოფალს უმხელდეს ქვენა სიყვარულის გრძნობებს.

დასასრულ, ზემოთ განხილული მოსაზრებების შეჯამების შემდგომ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა ამ საკითხთან დაკავშირებით. მეცნიერები კვლავ დავობენ რუსთაველის თამარისადმი დამოკიდებულების შესახებ.

მაგრამ, ჩვენი აზრით, სრულიად შეუძლებელია, პოეტი მოვიაზროთ თამარისადმი გამიჯნურებულ ადამიანად, რადგან ასეთ შემთხვევაში აზრი ეკარგება რუსთველისეული სიყვარულის კონცეფციას, რომელიც მკაცრად მოითხოვს მიჯნურისაგან თავისი გრძნობების დამალვას. ხსენებული

სტროფები არის მხოლოდ და მხოლოდ გაგრძელება იმ ეპოქისათვის ნიშანდობლივი ტრადიციისა, რომელიც სამეფო კარის პოეტის მიერ უფლის ხსენებისა და ქების შემდეგ ხოტბის შესხმას გულის-ხმობს მეფისათვის. მეფე კი, პროლოგის მიხედვით, ღვთისგან ცხებული ყველაზე დიდი ადამიანია ამქვეყნად, რაც კარგად ჩანს პირველ სტროფში:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცით მონაბერითა,  
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერითა.“

#### **ლიტერატურა:**

1. ალექსანდრე ბარამიძე, „შოთა რუსთაველი“, თბ. 1958, გვ.48-52
2. პავლე ინგოროვა „შოთა რუსთაველი“, თბ. 1938, გვ.15-17
3. თამარ ერისთავი „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ანუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება“, თბ.2010, გვ.15
4. ქსენია სიხარულიძე, „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, თბ. 1961, ტ. I, გვ.110
5. სიმონ ქვარიანი, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, თბ. 1914, გვ.19-22
6. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, თბ. 2006, გვ. 12-14

მარიამ ოქროპირიძე, ეველინა თარაშვილი  
გორის სასწავლო უნივერსიტეტი  
ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ გოგალაძე

## „ხიდჩატებილობის“ პროგლემა ეართველი და აფხაზი მთავრლების ტექსტების მიხედვით

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის კიდევ ერთი აფხაზეთის ომთანაა და-კავშირებული (1992წ.). ყოველი მოვლენა მეტნაკლებად აისახება მხატვრულ ტექსტებში. აფხაზთა და ქართველთა შორის წინააღმდეგობამ გამოიწვია, ერთი მხრივ, მძაფრი გაღიზიანება და, მეორეს მხრივ, სევდა და ტკივილი. ამ ტკივილმა დაპერადა სწორედ ის ორი ნაწარმოები, რომელიც დღეს ჩვე-ნი განხილვის საგანია: ფაზილის კანდერის „ბიჭიდაომი“, ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკა-ში“. ამ „ტკივილს“ ჩვენ ვუწოდეთ „ხიდჩატებილობა“ (ილია ჭავჭავაძის ერთი ფრთიანი ფრაზის ასო-ციაციით). ილია ჭავჭავაძის სიტყვებისა არ იყოს, „ჩვენ-შუახია და ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაპრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორის-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვა-ლი მართალი და უტყუარი...“ (ი. ჭავჭავაძე 1987 წ. 164).

სწორედ საქართველოსა და აფხაზეთის ომის თემაზეა შექმნილი და მთლიანად ამ ომს ეხება 2007 წელს გამოცემული წიგნი „xidi“, რომელშიც შესულია როგორც ქართველ, ისე აფხაზ მწერალთა ნაწარმოებები. მხატვრულ ნაწარმოებთა ფონზეა გაშლილი ის მთავარი პრობლემები, რომელიც წარმოიშვა ამ ორ მოძმე ხალხს შორის.

ზემოთ დასახელებული წიგნის მოკრძალებული მიზანია ქართველ და აფხაზ ხალხს შორის პირ-ველი, თუნდაც „მხატვრული სიტყვის ხიდი“ გაიდოს. მთავარი პრობლემა, რაზეც ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ჩვენს მოხსენებაში გახლავთ ომის შემდგომი „ხიდჩატებილობა“ ორ ქვეყანას შორის.

„მშვიდობა ათასობით კილომეტრის სავალი გზააა ოლონდაც თითო ჯერზე მხოლოდ ერთი ნა-ბიჯი უნდა გადაიდგას“ (ლინდონ ჯონსონი). მაგრამ თითქოს სწორედ ამ ერთი ნაბიჯის გადადგმა გვიჭირს, ნუგზარ შატაიძე ისევე როგორც ფაზილ სკანდერი ცდილობენ თავის ნაწარმოებში სწო-რეთ ამ ერთი ნაბიჯის გადადგმაში დაგვეხმარნონ და ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარონ აფხაზ და ქართველ ხალხთა შორის ურთიერთობა, აღადგინონ „ჩატეხილიხიდი“ ქართველსა და აფხაზს შორის.

ნუგზარ შატაიძე ერთ-ერთი გამორჩეული თანამედროვე მწერალია მისი მოთხოვნები ბოლო რამდენიმე წელია აქტიურად ისწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რაც ნამდვილად მი-სასალმებელია. საოცარია, მაგრამ მის ძირითად პროფესიას ლიტერატურასთან საერთო არაფერი ჰქონია. მან პოლიტიკისტი ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა და სპეციალობით თბოენერგეტიკოსი გახლდათ. ერთი შეხედვით რადიკალურად განსხვავებულ საქმიანობას მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ მას ღრმა სულიერებით სავსე ნაწარმოებები შეექმნა, თავად ამბობდა: „ჩემ-თვის ამბავი კი არ არის მთავარი, არამედ მარჯვედ ნაპოვნი სიტყვა და ამ სიტყვებისგან აგებული მარჯვე წინადადებებიო“. მართლაც ამბებს რა გამოლევს, ვიდრე ადამიანი არსებობს, იარსებებს ამ-ბავიც, მთავარი ისაა, ვინ როგორ მოჰყვება, როგორ მიაწვდის მკითხველს. [<http://mastavlebeli.ge/>]

ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“, ტრაგიკული სუათია, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ დაზარალებული ხალხის ყოფას, მათ ტკივილს ეხმანება. ბიჭის შემზარავი ისტორია ამ საზარელი მოვლენების ანარეკლია, რომელმაც უამრავი ხალხი შეინირა, იძულებით აყარა საკუთარი მიწიდან და ფიზიკურად მოსპო ეს მოუშუშებელი ტკივილია, რომელსაც თითოეული დევნილი დღესაც ისევე მძაფრად განიცდის, როგორც მის დღებში.

ნუგზარ შატაიძე აღნერს პატარა, მანანნალა ბიჭებისა და გოგონების ცხოვრებას, მოგვითხობს, როგორ ატირებენ და აწამებენ მეტროში დაუცველ ბავშვებს, როგორ ართმევენ იმ მცირედსაც, მხოლოდ ლუკმაპურის საყიდლად რომ ძლივს ეყოფათ, როგორ ყნოსავს გათიშული მოზარდი წებოს, რეალობას რამდენიმე წუთით მაინც რომ გაექცეს და იწყება საოცარი მოგზაურობა აფრიკაში ყველაზე მიმზიდველ კონტინენტზე. სადაც საოცარი ცხოველები სპილოები, ჟირაფები და ზებრები ბინადრობენ....

მთავარი გმირი სწორედ მეგობრის ტრაგიკულმა სიკვდილმა აიძულა ახალი ცხოვრება დაეწყო და დაეწყო სწორედ მამის პოვნის გადაწყვეტილებით, როგორც ჩანს, წარსულის დაბრუნების გარეშე ახალის დაწყება შეუძლებელია, მამა კი წარსულის ხატია, ბედნიერი, უზრუნველი წარსულისა, თეთრი თოლიების კივილით და ზღვის ხმაურით რომ იყო სავსე.

ოცდაშვიდი ლარითა და ზურგჩანთაში თევზის კონსერვებით, ბიჭი აფხაზეთისკენ მიმავალ მატარებელში ჯდება, ოღონდ იცის, რომ თავი ყველას მუნჯად უნდა მოაჩვენოს, რადგან ქართულად ლაპარაკი საშიშია.

აფხაზეთში (ტყვარჩელი) ჩასული მოზარდი იმ სახლისაკენ მიემართება, სადაც მისი ოჯახიც ხოვრობდა, პოულობს ნაჭრის დათუნიას, გერასიმეს, თავისი წართმეული ბავშობის სახეს. სახლი, რომელსაც აღარც კარი აქვს, აღარც ფანჯარა, ნაგვით არის სავსე. ეზო ცარიელია, ერთი მოხუცი, მარო ბებოლა დარჩენილა წარსულის ნუგეშად. სწორედ მისგან იგებს ბიჭი მამის დაქორწილებისა და არმავირში გადასვლის ამბავს და კიდევ უფრო სევდიანი ბრუნდება თბილიშსი.

მამის დაოჯახება, ახალი ცხოვრების დაწყება ბავშვისთვის მოულოდნელი და მიუღებელი აღმოჩნდა. ალბათ, ძნელია ოცნებას ასე ახლოს ჩაუარო და ვერ მისწვდე... ღირდა კი წვალება იმ ადაიანის გამო, რომელსაც თურმე საერთოდ არ ახსოვდა დევნილი, გაუბედურებული ოჯახი! იქნება გმირის ც ხოვრება სხვაგვარად წარმართულიყო მამასაც რომ არ დავიწყებოდა? ეს რიტორიკული კითხვაა, რომელზეც ძნელად იპოვი პასუხს.

მოთხოვთ გვხვდებიან პერსონაჟები, რომელთა უანგარო სიკეთე მოზარდს აოცებს, როგორც ჩანს, ადამიანს კარგი უფრო უკვირს, ვიდრე ცუდი.

სამწუხაროდ, ის, რასაც პატარა ბიჭი გაურბოდა მოგზაურობის დასაწყისში, ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა. წუპკას სიკვდილმა იგი გამოაფხიზლა, იმედი ჩაუსახა, ოცნება გაუღვიძა, მაგრამ ამაოდ.... მრავლისმთქმელია მოთხოვთის ფინალი, რომელიც სულით ხორცამდე შეძრავს მკითხველს: აფხაზეთიდან დაბრუნებული გმირი ღრმად ჩაეფლო ქუჩის სიბინძურეში და შეიძინა შავი ფერის ორი ოცკაპიკიანი პარკი, ექვსი ცალი წებო-ლარიბთა და უქონელთა ნარკოტიკი და აი სულ მალე „შორეული აფრიკიდან მასთანაც მოვიდნენ საოცარი ცხოველები, მაგრამ სპილოსა და უირაფის ნაცვლად, სვავები და ორი აფთარი ესტუმრა. [„ხიდი“, ნუგზარ შატაიძე, „მოგზაურობა აფრიკაში“, 2007, 16].

ნუგზარ შატაიძის არაჩვეულებრივმა მოთხოვთამ „მოგზაურობა აფრიკაში“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში, რასაც ისიც მოწმობს, რომ ამ მოთხოვთის მიხედვით 2009 წელს რეჟისორმა გიორგი ოვაშვილმა გადაიღო ფილმი „გაღმა ნაპირი“, რომელშიც მოთხოვთის სიუჟეტმა გარკვეული ცვლილება განიცადა. ამ ფილმმა უამრავი ჯილდო მიიღო, წარმატება მოუტანა რეჟისორს ასევე მოთხოვთის ავტორმა ნუგზარ შატაიძემ გონ ფრევილის საერთაშორისო კონფერენციაზესაუკეთესო სცენარისათვის პრიზიც მიიღო. [<http://mastavlebeli.ge/>]

აფხაზეთი და საქართველოს ომშა ფართო ასახვა პპოვა ერთ-ერთი აფხაზი მწერლის, ფაზილ ისკანდერის მოთხოვნაში „ბიჭი და ომი“. ფაზილ ისკანდერი დაიბადა 1929 წლის 6 მარტს სოხუმში. ნარმოშობით ირანელ - აფხაზი რუსულენოვანი მწერალია. 1954 წელს მან დაასრულა გორგის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. ფაზილ ისკანდერი საქართველოში კარგად არის ცნობილი თავისი ადრეული ხანის მოთხოვნით „მახაზი და შალიკო“. იგი თავს თვლის რუს მწერლად, წერს მხოლოდ რუსულად, თუმცა მისი შემოქმედება, თემა მუდამ იყო და არის კავკასია, კერძოდ აფხაზეთი. [<http://7days.ge/>].

„სხვა ნაციონალური ხასიათის ანალიზისა და აღქმის პრობლემა, მისდამი მიმართების თემა, ძირითადად, ეთნოფსიქოლოგიური სტერეოტიპების ჭრილში განიხილება. ამგვარი კვლევისთვის მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები საინტერესო მასალას იძლევიან, რადგან მათში ფიქსირებულია, ერთიმერივ, სამყაროს ენობრივი სურათი და, მეორე მხრივ, მსოფლალმისთვის მნიშვნელოვანი ნარმოდგენები სხვა ნაციონალურ ხასიათებთან მიმართებით, რომლებიც, თავის მხრივ, ხორციელებულია მხატვრული პერსონაჟების მეშვეობით. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის კვლევებში აქცენტი გადატანილია არა მხატვრულ ნაწარმოებებში ნარმოჩენილი სხვა (უცხოელი) პერსონაჟების მხატვრულ ფუნქციაზე, არამედ ხალხში არსებულ ნარმოდგენებზე მათ შესახებ, ანუ სტერეოტიპებზე. [მ.მირე-საშვილი 2011; 32-33] - წერს აფხაზეთიდან ლტოლვილი მეცნიერი მარიამ მირესაშვილი.

და, მართლაც სწორედ ერთი მოვლენის ორი კუთხით აღქმაზე იძლევა ამა თუ იმ ფაქტის ობიექტური შეფასების საშუალებას. მ. მირესაშვილი ყურადღებას ამახვილებს ფ. ისკანდერის მოთხოვნის მთავარ პერსონაჟზე და მის მიერ აღქმულ სამყაროზე, კერძოდ, ნაცნობ თუ უცნობ ექიმზე, რომელიც ოშის მსხვერპლი გახდა.

მოთხოვნაში „ბიჭი და ომიკუ ნაჩვენებია ომის რეალური სურათი, ყოველგვარი მხატვრული შელამაზების გარეშე. ეს ნაწარმოები ყველას კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს იმაზე, რომ ომი საშინელებაა, რომელსაც ენირება არა ერთი მშვიდობიანი მოქალაქე. თუ როგორ ანგრევს იგი ადამიანთა ცხოვრებას, გვაკარგინებს საყვარელ ადამიანებს. და მარად მოუშუშებელ ჭრილობებს უტოვებს ადამიანის სულს, ისეთ ჭრილობებს, რომელიც ადვილად არ შუშდება და რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ამჩნევია ადამიანის ცხოვრებას. „სუნთქვაშეგუბებული ბიჭი უსმენდა ამბავს, რომელსაც სამზარეულოში ჰყვებოდნენ. ვერაფრით გაეგო ამ ამაზრზენი სისასტიკის არსი“ - წერს ფ. ისკანდერი და, გრძნობ, როგორ სტკივა გული ავტორს უაზრო, ამაზრზენი სისასტიკის გამო. ბიჭის-თვის გაუგებარია ასეთი არაადამიანური დამოკიდებულება ექიმის მიმართ, რომელიც ეროვნული ნიშნით არ განასხვავებდა პაციენტს და იმდენი სიკეთე ჰქონდა დათესილი გაგრაში, რომ არ უფიქრია ცოლ-შვილთან ერთად გამგზავრება და საკუთარ ბინაში მოხუც სიდედრთან ერთად დარჩა. ვის ჭირდებოდა ქალაქში ყველასათვის საყვარელი ექიმის მიზანმიმართული მოკვლა? ღამით ბინიდან მისი გამოყვანა და დახვრეტა ქალაქის განაპირობა. პატარა ბიჭი მეორედ დესაც განაგრძობს მომხდარზე ფიქრს, იგი ვერ გარკვეულა ცხოვრების საზრისში, თუ რა აზრი აქვს ცხოვრებას, თუკეთ ბოროტება სიკეთეს ამარცხებს. ბიჭი მამამისს უზიარებს თავის პესიმისტურ განწყობას და ეს უკანასკნელიც ვერ პოულობს დამაჯერებელ პასუხს.

მოთხოვნის ფინალში სადარბაზოდან გასული მამა-შვილი დაინახავს მოხუც ხეიბარ ქალს, რომელიც საჭმლის ნარჩენებს აჭმევს უპატრონო ძალებს. მამა ეუბნება შვილს, რომ სადღაც თუ ვიღაცა არამზადა ავ საქმეებს სჩადის და უდანაშაულო ადამიანებს კლავს, ეს მოხუცი ქალი, თავად გაჭირვებაში მყოფი, როგორც შეუძლია, ისე ზრუნავს სხვებზე. სწორედ ეს გახდა ბიჭის-თვის მაგალითი იმისა რომ სიკეთე ბოროტებას დაამარცხებს.

მწერალი პატარა ბიჭის წყალობით ამბობს თავის სათქმელს, სწორედ პატარა ბიჭი ათქმევინებს იმას, რის თქმასაც მოზარდები ვერ ბედავენ, ან შეგნებულად გაურბიან. სწორედ ბიჭი სვამს მეტად რთულ შეკითხვას, რომელზეც პასუხისმაცემა არც თუ ისე ადვილია. გაკეთილშობილდა თუ არა ადამიანი? ავტორი ბიჭის მეშვეობით გონიერების სიღრმეში გვახედებს.

ნაწარმოების გმირი, პატარა ბიჭი განასახიერებს მომავლის იმედს, მისი წყალობით ავტორი ამბობს თავის მთავარ სათქმელს, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ცხოვრებაში სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს, რომ ის დაუძლეველი ძალაა. „ბოროტება კი სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის ნაკლოვანება ადამიანში“.

სიკეთე, ერთმანეთისადმი სიყვარული, ჭირში თანადგომა ის დიდი მამოძრავებელი ძალაა, რომლის წყალობითაც ჩვენ, მოკვდავი ადამიანები, ვარსებობთ. არა აქვს მნიშვნელობა, შენ აფხაზი ხარ თუ ქართველი. აფხაზებსაც, ისევე როგორც ქართველებს ომმა ღრმად მოუშუშებელი ჭრილობები დაუტოვათ, რომელთა მორჩენაც, ალბათ, მხოლოდ ჩვენ შორის „ჩატეხილი ხიდის“ ხელახლა აღდგენის შედეგად იქნება შესაძლებელი.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ორივე მწერლის ნაწარმოები ერთ თემას ეხმიანება, აფხაზეთის ომის შემდეგ დაზარალებული ხალხის ყოფას, მათ ტკივილს. ორივე მწერალს ერთი დიდი ტკივილით სტკივა გული. ამ ორი ნაწარმოების შეხების მთავარი წერტილი არის ორ ხალხს შორის არსებული კონფლიქტი და ამ კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი „ხიდჩატეხილობის“ პრობლემა. მწერლები ცდილობენ საკუთარი სიტყვით აღადგინონ ის ხიდი, რომელიც 1992 წელს ჩატყდა და რომელიც დღემდე არაა აღდგენილი. ჩვენ არ ვიცით, რეალურად რა შედეგს გამოიღებს მათი მცდელობა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ როგორც ქართული ისე აფხაზი მხარე კიდევ ერთხელ უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ ჩვენ ერთნი ვართ და ჩვენი ერთმანეთისგან გაყოფა არ შეიძლება.

ჩვენ ვიტოვებთ იმედს. მათი მცდელობა უშედეგოთ არ ჩაივლის და ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება ყველაფერი. მათ გზა გაგვიკვალეს, ხოლო ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად და შეუცდომლად ვივლით ამ ძნელად სავალ გზაზე, რომელსაც აფხაზეთამდე და გამთელებულ ხიდამდე მივყავართ.

„არ არსებობს გზა მშვიდობისკენ, მშვიდობა თვითონ გზაა“.

## მარიამ ხანიშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო მინდიაშვილი

### მიხეილ ჯავახიშვილი ქართული ენის შესახებ

მწერლობა ერის სულიერი კულტურის ერთ-ერთ დედაბოძად ითვლება.ასე იყო ყველგან და ყოველთვის.ასეა ჩვენშიც,დღესაც.ერთი მუჭა ერი ვართ,ისიც ევროპელებთან შედარებით მეტად ღარიბ-ღატაკანი და ჩვენი მწერლობის ჩამორჩენის ერთადერთი მიზეზიც ეს გახლავთ,თორემ ჩვენი ლიტერატურეს ღარიბობას ვინ მიაწერს ქართველი ხალხის შემოქმედების უნარის სისუსტეს,ან ამონურვას?ამას თუნდ მარტო შარდენის სიტყვები დავუმატოთ “ქართველებს რომ შესაფერი პირობები ჰქონდეთ მრავალს დიდს ხელოვანსა და მეცნიერს მისცემდნენ კაცობრიობას”.

„უდიდესი ამოცანა ენის დაწმენდაა და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს.ხოლო ამ უკანასკნელს რომ შეეძლოს სხვათა მხილება,ჯერ თვით უნდა განიკურნოს”.ეს სიტყვები მიხეილ ჯავახიშვილს ეკუთვნის წერილში „ქართული ენა”. მისი შემოქმედება ჩვენი კაზმული სიტყვის მშვენებაა.მან ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული მოთხრობების უანრი და ახალი სული ჩაბერა ქართულ რომანს.

მიხეილ ჯავახიშვილს საზოგადოება იცნობს,როგორც საინტერესო მწერალსა და მხატვრული ტექსტების ავტორს.თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი პუბლიციისტური წერილები.შეიძლება დავასკვნათ,რომ მისი სახით ქართულ მწერლობას ჰყავს უბადლო მესიტყვეგანსაკუთრებით საინტერესოა ის წერილები,სადაც აანალიზებს ქართულ ენასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ჩვენი კვლევის საგანია მიხეილ ჯავახიშვილის ის წერილები,რომლებიც სწორედ ამ საკითხებს ეხება.

მთავარ პრობლემად ავტორი ენის გაუწმენდაობას ხედავს.ამტკიცებს რომ პროვინციულობა მიუღებლად არ მიაჩნია.ალბათ თითოეულმა შემოქმედმა უბრალოდ ის უნდა გაითვალისწინოს,რომ ყველა ნაწარმოებს ინდივიდუალური მიღვომა სჭირდება.მაგალითად ჯავახიშვილის აზრით სულ არ მოუხდებოდა ვაჟას შემოქმედებას ლიტერატურული ენა.მწერლის ამოცანაა მიყვეს ძირითად სამწერლობო ენას,პროვინციიდან მოტანილი სიტყვები კი მხოლოდ მის შენაკადად გამოიყენოს.

წერილი ქართულ ენაზე 1924 წლის 20 მაისს დაიწერა.ამ დროს ქართულ ენას,ქართულ ლიტერატურეს,ქართულ კულტურას ცუდი დღე ადგა.განსაკუთრებით პროლეტარი მწერლებისგან-,რომლებიც პროლეტარიატის დიქტატურისადმი აპირებდნენ ქართული მწერლობისა და საერთოდ კულტურის დაქვემდებარებას..მათვის მთავარი იყო ბოლშევიკური თემები,ხოლო ფორმები,გამოხატვის საშუალებები,ხარისხი მნიშვნელოვანი არ გახლდათ.ამგვარი მოვლენების წინააღმდეგ ყოველთვის ილაშქრებდნენ ნამდვილი ქართველი მწერლები.სწორედ ამგვარ გულისტკივილს გამოხატავს მწერალი ამ ესეში.

მიხეილ ჯავახიშვილი სამწერლობო-პუბლიციისტურ ასპარეზზე გამოდის 1903 წელს. პირველად მან შეაღო გაზეთ “ცნობის ფურცელის” რედაქციის კარი და ამ ორგანოს სასურველი თანამშრომელი გახდა.

ჯავახიშვილი მთავრობას მისდგება,თავს ესხმის მას, ამხელს მის ველურ ბუნებას,სიცრუეს და ყალთაბანდობას.მის წერილებში რუსეთის ცხოვრებიდან ისეთი ამბებია აღებული,რომელიც

ამხელს თვითმპყრობელობას მეფის ხელისუფლებისას,მის პირსისხლიან და ჯალათის სახეს.წერილებში ყველგან გაბედულად იგრძნობა ავტორის ზიზღი არსებული წესწყობილებისა და შავბნელი რეაქციის მიმართ.ამავე დროს წერილებს წითელ ზოლად გასდევს დიდი სიყვარული და სიმპათია დაჩაგრულთა და შევიწროვებულთა მიმართ,რევოლუციის მიმართ.უფრო მეტიც,ამ წერილებში ავტორი მოჩანს შეუპოვარ,გაბედულ,უშიშარ და ანთებულ რევოლუციონერად,რომელიც თავისი მგზნებარე ჟუბლიცისტიკით ათასების გულებს აანთებს რევოლუციის ხანძრის გასაღვივებლად და გასაძლიერებლად.

„ისევ ქართული ენის შესახებ” ამ წერილში ავტორი თითქმის იმავე პრობლემას სვამს რასაც პირველში.შეშფოთებას გამოთქვამს დამახინჯებულ ენაზე.იმ უარგონებზე,რომლებსაც შეგვიძლია თითოს ქართული რამდენიმე სიტყვა დავახვედროთ,მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა,რომ ეს უარგონები ჩვევადაა ქცეული.”უცებ რომ ჩვენმა წინაპრებმა წამოიწიონ და ყური უგდონ დღევანდელ ქართულს,ნებაყოფლობით უკანვე ჩასცვივდებიან საფლავებში”ამბობს ჯავახიშვილი და შიშობს არ გადაშენდეს შოთას,ილიას,აკაკის ენა.მთავარ გამოსავლად ასახელებს საკუთარ თავზე,ოჯახზე მუშაობას,ენის გადასარჩენად.

ეს წერილი დღესაც აქტუალურია მიუხედავად იმისა,რომ ქართული ენა სახელმწიპო ენაა,პრობლემა ისევ დგას. ხშირად გაიგონებს კაცი: “სპიჩა”, “დაუე”, “იმენნა”და ასე შემდეგ. ვერ იქნა და რუსული სიტყვები ვერ მოვიშორეთ.თუ გვინდა რომ საქართველომ ნამდვილად მიაღწიოს თავისუფლებას უნდა გავუმკლავდეთ იმპერიის შემოტევების შედეგად დატოვებულ მანკს და დავამარცხოთ-ლმერთმა დავვიფარა,რომ რუსულ ენაზე გადავსულიყავით,რუსულ ენაზე გვესაუბრა,რუსულად შექმნილიყო ჩვენი ლიტერატურები.მადლობა ლმერთს და ჩვენ დიდ მოღვაწეებს,თუმცა სასაუბრო მაინც დანაგვიანებულია რუსულით.

მე-20 საუკუნის დამდეგს უამრავი ქართველი მოსწყდა სამშობლოს და უცხოეთში გადაიხვეწა.-მნერალი თავის პიბლიცისტურ წერილებში ეხმაურება ახალგაზრდების წასვლას საკუთარი ოჯახებიდან და მათ სამუდამო გაუცხოებას.არადა ქვეყანა უსასო მდგომარეობაში იმყოფებოდა.ცხადია,-დაინყებოდა გენოფონდის შემცირება.ამ სავალალო შედეგების მოლოდინმა ააღებინა კალამი მიხ-ჯავახიშვილს ხელში.

ხელისუფლების მთავარი საზრუნავი მეტყველებია იარალი “ენა” იყო. ის აქტიურად ცდილობდა ქართული ენის გადაგვარებას.ჯავახიშვილს ეს მთავარი პრობლემა აქვს დასმული წერილში „ქართულის დამახინჯებანი“.

ერთ-ერთი პირველთაგანი,ვინც ხმა აიმაღლა ქართული ენის დაცვისთვის და გააფთრებული ბრძოლა გამოუცხადა მასში ყოველგვარ სიმახინჯეს ქართული სიტყვის დიდოსტატი მიხეილ ჯავახიშვილი იყო. იგი ძლიერ განიცდიდა ამ ფაქტს და გულისტყვილით აღნიშნავდა,რომ ქართულმა მნერლობამ ვერ მოუარა ხუცესის,მერჩულეს,მთაწმინდელის,შოთას და სხვათა ენას.მისი სიტყვით “დღევანდელმა ლიტერატორმა ვეღარ ზიდა სამემკვიდრო განძი და ლაფში ჩააგდო”.მნერალი დაუნდობელი იყო ინტელიგენციის იმ ნაწილის მიმართ,ვინც გულგრილად ეკიდებოდა ამ საქმეს და თითქოს შეუგნებლად უწყობდა კიდეც ხელს ქართული ენის დამახინჯებას.

საინტერესოა ჯავახიშვილის წერილი არსენა მარაბდელზე.სადაც ის განიხილავს არსენას პირვენებას.იმას,თუ რამ მისცა საბაბი დაეწერა არსენაზე ერთ ჩვეულებრივ ლექსზე რომანი და შემდეგ უკვდავად ექცია.აქ ზოგი პერსონაჟი მოგონილია,ზოგიც ნამდვილი,მაგრამ თითოეულს თავისი პროტოტიპი ჰყავს მნერლის თვალსაწირში.ნაწარმოების შესახებ კრიტიკასა და რჩევა-დარიგებებს მნერალი განიხილავს პუბლიცისტურ წერილში “პასუხი არსენა მარაბდელის ირგვლივ გამართულ დისპუტზე”,ამბობს სხვების აზრი გასათვალისწინებელია თუმცა ვიღაცამ სთქვა; “ყველას მოუსმინე,მაგრამ ბოლოს მხოლოდ შენ თავს დაუჯერეო”.ასეც იქცევა მნერალი,ამბობს-“ბოდიშს ვიხდი,მაგრამ ყველაფერს ისევ ჩემი ჭკუთა და გონებით გადავჭრიო.

მის წერილებში იგრძნობა დიდი პატრიოტიზმი,დიდი ტკივილი,რომელსაც განიცდის ჩვენი ერისა და ქვეყნის წინაშე.ამის მაგალითი სწორედ არსენა მარაბდელია.მან თავის რომანში ქართველებს

გმირი მოგვივლინა, რათა შეგვედარებინა ჩვენი არარაობა მისთვის. იქნებ ამის მერე მაინც გვეზრუნა საკუთარ სამშობლოზე, ენაზე, ერთმანეთზე.

ეს ისტორიული რომანი 1933-36 წლებში დაიწერა. ამ პერიოდის სისხლიანი რეპრესიების ფონზე რომანმა კიდევ უფრო დაამძიმა ხელისუფლების მწერლისადმი დამოკიდებულება. რომანში ნაჩვენებია ხალხის ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისთვის, სწორედ მეოცე საუკუნის პირველ სახევარში. მე-20 საუკუნის 20-იანი წლების საქართველო არსებითად იგივე მოვლენებით ხასიათდება, როგორც რომანში ასახული მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი. ჯავახიშვილი იძულებულია ამოეფაროს ისტორიის თემატიკას, წარსულში მოიძიოს ისეთი ამბები და სიუჟეტები, რაც მის თანამედროვეთა თვალწინ ხდება. წარსულის სახით ილაპარაკოს იმ პრობლემებზე, რომელიც ახალგაზრდებს აწუხებთ და ვერ გამოუთქვამთ. არსენა მარაბდელის ეპოქა ახლოსაა მწერლის ეპიქასთან. სწორედ ეს რომანი გახდა ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ 1937წელს მწერალი დაეპატიმრებინათ და შემდეგ სიკვდილით დაესაჯათ.

ის ერის მაჯისცემას მიყურადებული მამულიშვილი იყო, როგორც პავლე ინგოროვას უთქვამს, იგი მწერლობაში პუბლიცისტიკიდან და პოლიტიკიდან მოვიდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და საზოგადოებრივი პრობლემების არსი ძირით ძირამდე ჰქონდა გაჩხრეკილი.

ავტობიაოგრაფიაში ჯავახიშვილი წერს: "ადამაშვილის მოღვაწეობის მთავარი მიზანია საქართველოს თავისუფლება, საქართველოს ავონომია". მისი ამ სიტყვების სინამდვილესა და სიალალეზე ხომ თავისივე შემოქმედება მონმობს. და ვიქონიოთ იმედი, რომ მიხეილ ჯავახიშვილის ეს შრომა და გარჯა უშედეგოდ არ ჩაივლის ქართველი ერისთვის.

### თამარ მოდებაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ლადო მინაშვილი

## მასნავლებლის სახე იღია ჰავშავაძის გეორგელიაზი

„ცოდნა თავისთავად სიმდიდრეა. მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუნაწილო, შენ არა მოგაკლება-რა, თუ არ მოგემატება... ცოდნა ანთებულ სან-თელს ჰგავს. ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლება, არც სინათლე, არც სიცხოველე, პირიქით, იმატებს კიდეც, რადგან ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს“. აქ საუპარია ცოდნაზე მისი საუკეთესო გაგებით: ცოდნა დ ესაა განათლება, ნათელთან, სიკეთესთან ზიარება. ილია ყურადღებას ამახვილებს განათლებული ადამიანის ძლიერ მხარებზე: „ლონიერი და ჭირთა მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოუმართავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია“. მისი შემოქმედების ეროვნულ პრობლემატიკაში აღზრდის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ილია ეხება მას-ნავლებლის საქმიანობას და მის უდიდეს როლს აღსაზრდელის პიროვნებად ფორმირების პროცესში. იგი თვლის, რომ მასწავლებელი აღსაზრდელს ცოდნასთან ერთად აუცილებლად უნდა აძლევ-დეს სულიერ განათლებას, ზნეობრივი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს მისთვის.

ამ მხრივ ძალიან საყურადღებოა დაუმთავრებელი მოთხოვა „უცნაური ამბავი“. ილია ყურადღებას ამახვილებს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის მეგობრული დამოკიდებულების აუცილებლობაზე. აღმზრდელის მოვალეობის შესრულება რთულია და საპასუხისმგებლო. მასწავლებლობის მსურველ ახალგაზრდას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი პროფესიის სირთულე. „პედაგოგი უნდა ეძებდეს მოსწავლის გულისაკენ მიმავალ გზას. პირველ ყოვლისა, იგი კარგად უნდა იცნობდეს ბავშვის ხასიათს, რათა მათი ურთიერთობა საბოლოოდ მეგობრობაში გადაიზარდოს; რაც მთავარია, მასწავლებელი გამუდმებით უნდა იღრმავებდეს ცოდნას“.

მომავალი თაობის აღზრდის საქმეში განუზომელია მასწავლებლის როლი. ამიტომ მასწავლებელს პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა ევალება. ილია სოლომანის მაგალითით გვიჩვენებს, თუ როგორი სიყვარულით უნდა ემზადებოდეს ახალგაზრდა მასწავლებელი მოსწავლესთან შესახვედრად. ის გრძნობს თავისი მოვალეობის უდიდეს პასუხისმგებლობას. ილიამ მასწავლებლის ღვანლი შემოქმედის საქმეს გაუტოლა, როცა აღნიშნა, რომ მასწავლებელი მეორე შემოქმედია, რაც ერთმა მისცა ადამიანს ის მეორემ უნდა აღზარდოს. საძნელო საქმედ მიიჩნევს მნერალი მასწავლებლის საქმეს და თვლის, რომ მხოლოდ ინტელექტუალურ და მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მქონე ადამიანს შეუძლია პედაგოგიური პროცესის სათანადოდ წარმართვა.

ილია საუბრობს სიფრთხილეზე, რომელსაც აუცილებლად უნდა იჩენდეს დამწყები მასწავლებელი. [გრიგოლ ხანძთელის სიტყვების აზრი „პატივსა ვხედავ და პატოჟისაგან მეშინის“ უცვლელად მეორდება ილიას ამ მოთხოვანობაში]. სოლომანს მთელი გულით უნდა მასწავლებლობა, უყვარს ეს პროფესია; ამისთვის ემზადება და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ისწავლოს, რომ შემდეგ ღირსეულად შეუდგეს თავის საქმიანობას. მიღებული განათლების მიუხედავად სოლომანი საკუთარ თავს არ აძლევს იმის უფლებას, რომ ერთზე მეტი ბავშვის აღმზრდელობა იკისროს: „დიდი გაბედვა კი უნდა, რომ ეგ საქმე კაცმა თავს იდოს“ – ამბობს ის; მიღებული განათლებისა და საკუთარი საქმისადმი უდიდესი სიყვარულის მიუხედავად თავს აჩქარების უფლებას არ აძლევს და არ თანხმდება შემოთავაზებას, როდესაც მას სკოლის მასწავლებლად იწვევენ...

სკოლის მასწავლებლობაზე უარის თქმას სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზიც აქვს. ამ პრობლემაზე საუბრობს ილია პუბლიცისტურ წერილში „პედაგოგის საფუძვლები“. ის იზიარებს მატტეო ვეჯიოს მოსაზრებას, რომელიც მშობლებს არ ურჩევს შვილების ისეთ სკოლაში ტარებას, სადაც ბევრი ბავშვები არიან; იმიტომ, რომ საუკეთესო მასწავლებლისთვისაც შეუძლებელი იქნება თითოეული ბავშვისთვის ცალ-ცალკე თვალყურის დევნება და მათი გონიერები და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება.

„თუ წვრთნა გინდა ბავშვისა, იგი უნდა ჩაისო გულში და იმან შენ. ბევრში ეგ, ჩემი ფიქრით, შეუძლებელია, უმაგისოდ კი, შესაძლოა დ სწავლა, ცოდნა მისცე და ადამიანობა კი არასდროს. მე კი ასე მგონია, რომ ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვის წვრთნა-სწავლებაში“ და ამბობს სოლომანი და საქმით ასრულებს თავის სიტყვას. ცდილობს, ჩაწვდეს ბავშვის სულიერ სამყაროს და აღსაზრდელის პატარა გულში სიკეთის თესლი გაახაროს.

„ბავშვი იგივ ადამიანია, და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ეს ითქმის და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გვიკირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის პატარა სათავეშიაც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა“ დ შენიშნავს სოლომანი და უფიქრდება აღსაზრდელის ბუნებას. ის სასიამოვნოდ გაოცდა პატარა პატიკოს საქციელით, რომელმაც ხორცის ჭამაზე უარი თქვა: ძროხას რომ კლავენ, ცოდოაო... სოლომანმა მასში ნახა უდიდესი მადლი დ მადლი სიბრალულისა, დედა ყველა სხვა მადლისა. აღსაზრდელს მასწავლებლის ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უკავია, ამის დასტურია მისი ჩანაწერი: „პატარა პატიკოს ამბავი დ დიდი ამბავია. ხნული მზად არის, თესლიც გაღივებულა. უუწმინდესო მადლო სიბრალულისავ, გიცან შენ!..“

ილიას მასწავლებელი წარმატებით იყენებს ინდუქციურ მეთოდს აღმზრდელობით საქმიანობაში და ბავშვს ეხმარება სხვისი გრძნობების შემჩნევაში, რითაც ამცირებს მასში ეგოისტური საქციელის გამოვლენის ალბათობას:

„დაგე ბლარტის დედა, დ დაანახვა სოლომანმა ჩიტი: დ რარიგად ჰენალვლობს და იქნება სტირის კიდეც, შვილს რად მართმევენო, იმას უნდა ბლარტი ბუდეში ჰყვანდეს თავისთან.“

– აბა ბუდე? დ იკითხა ბავშვმა.

– აგე, დ დაანახვა სოლომანმა ხეზე ბუდე.

– ამსვი.

სოლომანმა აიყვანა ხელში პატიკო და ბუდის სისწვრივ გააჩერა. ბავშვმა ჩასვა ბლარტი. სოლომანმა პატიკო ძირს დაუშვა თუ არა, უთხრა:

– აბა უყურე, დედა ეხლავ მოჰყონდება და რადრიგად გაიხარებს!...

მართლა, ერთი წუთიც არ გასულა, დედა შემოსკუპდა ბუდეზე და, რა დაინახა თავისი შვილი მთელი და ცოცხალი, იმის სიხარულს ბოლო არა ჰქონდა. ტანზე ბუდმული დაულაგდა, ხმაც დაუტკბა და ისეთს ჭიკჭიკს სიხარულისას მოჰყვა, თითქო ჰლოცავს თავის შვილის მხსნელსაო...“

სოლომანი სიყვარულით და კეთილგანწყობით მიდის აღსაზრდელთან და მისგანაც იმავეს იღებს: „ბავშვის პატარა გულმა მაშინვე იგრძნო მეგობარი... მთელი დღე ბავშვი სოლომანს აღარ მოშორებია“.

მიშვნელოვანია, აგრეთვე, აღსაზრდელთან პირველი შეხვედრის შემდეგ მასწავლებლის უბის წიგნაკში გაკეთებული ჩანაწერი: „დღეს ... ჩემი პირველი გაკვეთილი იყო. ღმერთო შენით!.. ბავშვი ძალიან მომენტა. ძნელი დასაწყისი სწავლადნრთვნისა ერთ დღეს მომიხერხდა: მე და ბავშვი დავმეგობრდით. ბენვის ხიდი გავიარე“...

ილია თვლის, რომ ბავშვობის შთაბეჭდილებები გარკვეულწილად განაპირობებს მის მომავალ ადამიანობას. მიაჩნია, რომ ყველაზე მეტად მცირენლოვანს სჭირდება გონიერი ადამიანის თანადგომა, რომ მისგან ღირსეული ადამიანი ჩამოყალიბდეს.

„აღზარდო დ ნიშნავს დადებითი გავლენა მოახდინო მოსწავლის ფსიქიკურ და მორალურ სახეზე, ჩამოაყალიბო მისგან ადამიანი. აღმზრდელს უცქერის ბავშვთა ფხიზელი თვალი, რომელთაც გასაოცრად კარგად ეხერხებათ, შენიშნონ მასწავლებლის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მოსწავლეთა აღზრდა დ ეს არის მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი და სწორედ ეს აქცევს აღზრდას უძნელეს საქმედ“.

ილიას შემოქმედებაში გაიდეალებული არიან ის პერსონაჟები, რომლებიც კეთილის ქმნას ისახავენ ცხოვრების მიზნად. მასწავლებლის იდეალურ სახეს გვაჩვენებს ილია მოთხოვობაში „galaxis ნაამბობი“. ამ ნაწარმოებით ხაზს უსვამს იმას, რომ კარგი აღმზრდელი აღსაზრდელს გასაგებად უნდა ესაუბრებოდეს, ასწავლიდეს ზნეობას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქმით უნდა ამტკიცებდეს თავის სიტყვებს.

ვეფხისტყაოსნის სიბრძნის გადმოცემისას მოძღვარმა დაამტკიცა, რომ მთელი არსებით აქვს გათავისებული ის, რასაც ასწავლის. ის არა მარტო ცოდნას აძლევს აღსაზრდელებს, არამედ სიყვარულის გაკვეთილებს უტარებს, იმ გაკვეთილებს, რომლებიც სამუდამოდ რჩებიან აღსაზრდელის გონიერებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასაზრდოებენ მას.

მასწავლებლის თვისებები ჩვენთვის ცნობილი ხდება მისივე საქმეებით. მას უყვარს ყოველი ადამიანი და ცდილობს, ყველას სიკეთე გაუკეთოს. უსასყიდლოდ ასწავლის სწავლასმოწყურებულ, მაგრამ ღარიბ ახალგაზრდებს. გასამრჯელოდ მხოლოდ ღარიბებისა და გაჭირვებულებისადმი თანაგრძნობას ითხოვს. ასწავლის მათ, რომ სიკეთის კეთებაშია ცხოვრების აზრი. ისეთი ადამიანია, რომ „საცა კი სიკეთეა ამ უბანში, იმისი მადლიანი ხელიც იქ ურევა“; პატრონობს ყველას, ვისაც კი მისი დახმარება ჭირდება; არის გულთბილი, თავმდაბალი, ყურადღებიანი, ადამიანური ღირსების პატივისმცემელი, ბუნებით ოპტიმისტია („კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო“),

ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს: სწავლის დაწყებიდან სამიდოთხი თვის შემდეგ მოძღვარმა სხვა მოწაფეებს დააშორა გაბრიელი; შევარდენი ყოფილხარო, უთხრა, შენ შევარდენივით მიქრი, სხვები კი ტაატით მიდიან... ამიერიდან ისინი დილაობით ივლიან, შენ საღამოობით მოდი... კარგი მოსწავლე მასწავლებლის სიხარულია, მივუჯდეთ წიგნს, შენ მე წამახალისე, მე კი შენ წაგახალისებო. გაბრიელს აჩუქა ქართველი ერის საუნჯე დ „ვეფხისტყაოსანი“, თან ისტორიაც არ დაივიწყა და თამარ მეფის ეპოქაზე ესაუბრა; თუკი ჩვენი ქვეყანა წელში გამართულა, სიტყვას ძალა გამოუჩენია, გულს სიმტკიცე და მელავს სიმაგრე, ეგ დალოცვილი მეფის, თამარის დედობის დროს მომხდარაო. საყურადღებოა, რომ მოძღვარი გაბრიელს „ვეფხისტყაოსნის“ სწავლას პროლოგიდან კი არა, როსტევან არაბთა მეფის ამბიდან აწყებინებს, რადგან პროლოგი უფრო რთულია და მის გასაგებად გარკვეული საბაზისო ცოდნაა საჭირო. მასწავლებელი გაბრიელს ზნეობრივ საკითხებზე უმახვილებს ყურადღებას („რასაცა გასცემ შენია, რაც არა, – დაკარგულია“). „მართალი იყავ და სიმართლეს სდიო, გზა ყოველთვის კაცური გექნება“ – ასე არიგებს მოძღვარი გაბრიელს გამოშვიდობებისას.

ილიამ კარგად იცის, თუ რა ძალა აქვს მაგალითის მიცემას. მოძღვარი ზნეობრივად მაღალ საფეხურზე იდგა; იყო გლახაკთა შემწე, უნუგეშოთათვის ნუგეშის მიმცემი... შეეძლო, უყოყმანოდ გაეწირა თავისი სიცოცხლე მისთვის უცნობი ადამიანის გადასარჩენად. რაც მთავარია, მისი მაგალითით სხვებსაც უჩნდებოდათ სიკეთის კეთების სურვილი. გაბრიელს ასწავლიდა, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ამ დროს მოისმა ჩოჩქოლი... მუშა იხრჩობოდა, ხალხი ერთად შეგროვილიყო, განწირულის გადასარჩენად ცივ მდინარეში გადახტომას, სიკვდილის შიშით, ვერავინ ბედავდა, მაგრამ როგორც კი დაინახეს, რომ მოძღვარი დაუფიქრებლად გადაეშვა წყალში, სინდისმა შეაწუხა ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები და შვიდილე ყმაწვილი მიჰყვა მოძღვრის გზას.

მოძღვარმა არაერთხელ დაუმტკიცა გაბრიელს, რომ სწავას ის, რასაც ასწავლის; მისცა განათლება და ამ განათლებასთან ერთად, ჩამოაყალიბა ზნეობრივად ამაღლებული პიროვნება, რომელსაც, უბრალოდ, აღარ შეეძლო, ერთხელ არჩეული გზიდან გადაეხვია და ცოდვილი ცხოვრებით ეცხ-

ოვრა. გაბრიელს სინდისმა არ მისცა უფლება, რომ უცოდველი ადამიანი გაეუბედურებინა, უბრა-ლოდ მოეკლა კაცი ან თავი ყაჩაღობით ერჩინა. სინდისი უკარნახებდა, რომ ცოდვაა იმ ადამიანის მოკვლა, ვინც ცხოვრება დაუნგრია არა მარტო მას, არამედ მისთვის საყვარელ ადამიანებს.

აღმზრდელის, მოძღვრის სახე თავიდანვე იქცა მწერლის ასახვის ობიექტად. ეს ცხადად გამოჩნდა მის პროზაულ „პირმშოში“, „გლასის ნაამბობში“, სადაც მან დახატა სასულიერო პირის, გაბრიელის მასწავლებლის შთამბეჭდავი სახე, რომლის სწავლების მეთოდები და პირადი მაგალითები იქცა გაბრიელის სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელად.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე თავის ბოლო მხატვრულ ქმნილებაში, დაუმთავრებელ „უცნაურ ამბავში“ განსახიერების საგნად კვლავ აღზრდის პრობლემას ირჩევს. ილია ამ მოთხოვნაში მიზნად ისახავს ახალგაზრდა მასწავლებლის სანიმუშო სახე წარმოადგინოს. დაუმთავრებელი მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც მან დაბეჭდა, კარგად იგრძნობა, თუ რა ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა, იკისრო ბავშვის სულის წვრთნა და რა დიდი ბედნიერებაა, როცა მასწავლებელი ხე-დავს თავისი გარჯის პირველ ნაყოფს.

### ლიტერატურა:

1. ქართული პროზა, წიგნი VIII. ილია ჭავჭავაძე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984 წ.
2. ილია ჭავჭავაძე, ტომი IV (ხუთტომეული), პუბლიცისტური წერილები. გამომცემლობა „საბჭოთა სა-ქართველო“; თბილისი, 1987 წ.
3. აკაკის კრებული, ტ I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999
4. „მადლის“ 1990–2010 წლების კრებული, ტ. II, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილი-სი, 2004 წ.
5. განვითარებისა და სწავლების თეორიები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ.
6. ილია ჭავჭავაძე დ ბრძნული აზრები და გამონათქვამები. შემდგენლები: ნაირა დოლიძე, დოდო უუ-რული, ქეთევან ბანდუკაშვილი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; თბილი-სი, 1997 წ.

## ნინო ხაჟომია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ პაიჭაძე

### ოთარ ჭილაძის რომანი „მარტის მამალი“ – ძირითადი პროპლემატიკა

ოთარ ჭილაძის რომანი „მარტის მამალიკუ მრავალმხრივ საინტერესოა. მასში ასახვა ჰქონის მე-ოცე საუკუნის ისეთმა მნიშვნელოვანმა მოვლენებმა, როგორიცაა: ილიას მკვლელობა, საქართვე-ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა, მეორე მსოფლიო ომი, ომის შემდგომი წლების სოცია-ლური სირთულენი და ა.შ რომანის სათაური პირველივე თავშია განმარტებული. „მარტის მამალიკუ მთავარი პერსონაჟის მეტსახელად ნაგულისხმები ალეგორია. გმირისთვის პოეტის ეს სახელი იმი-ტომ შეურქმევია, „მარტის მამალი ჩვეულებრივზე მკვირცხლიც რომაა და ყოჩალიც.“ სწორედ ასეთ „მკვირცხლ და ყოჩალ“ პიროვნებად დახატა ავტორმა მთავარი პერსონაჟი. მამლის უამრავ სიმბო-ლოთაგან ის მარადიული განახლების, მარადიული სიკვდილისა და აღდგომის სიმბოლოდ იქცა. (ნი-კოლეიშვილი 2002, 567-568)

რომანში მთავარია იდენტობის ორი სახე და ფსიქოსოციალური და ეროვნული. ფსიქოსოციალუ-რი იდენტიფიკაციის მოპოვების პროცესი „მარტის მამალში“ უმთავრესი პრობლემაა. ფაქტობრი-ვად მთელი რომანი 15 წლის ბიჭის მიერ საკუთარი თავის ძიებასა და პოვნის ამბავს ასახავს. იდენ-ტობის მოპოვებისათვის მნიშვნელოვანია თანატოლებთან ურთიერთობა, მათი სიყვარული და სა-ზოგადოებაში თვითდამკვიდრება. ნიკო სწორედ ამ პროცესში დაშორდა მშობლებს, თანატოლებს. მის ფსიქიკური თავს იჩენს მოზარდისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. მას უჭირს საკუთარი თა-ვისა და პიროვნების რეალიზაცია. (ნემსაძე 2009, 69-70)

მეორე უმნიშვნელოვანესი რამ, რაც იდენტობის მოპოვებაში უშლის ხელს ნიკოს, არის შიში. ნიკოს ფსიქიკური ყალიბდება შიში შეუბრალებელი თანატოლისადმი, რომელიც ხელის აუკანკალებლად კლავს ადამიანს. შიში გარკვეულნილად, წინა თაობისაგან მემკვიდრეობით აქვს მიღებული. მისი პაპა მთელი ცხოვრება ამ გრძნობით იყო შეპყრობილი. მიუხედავად ყველაფრისა ნიკო თავის თავში იპოვის ძალას და გოგისა ჭეშმარიტ სახეს მიაწებებს. შიშის დაძლევა მას იდენტიფიკაციის პროცესში ძალიან დაეხმა-რა. კიდევ ერთი ბარიერი, რაც ნიკოს ხელს უშლის, არის დაეჭვება საკუთარ თავში. გაურკვევლობაში ყოფნას ბევრი რამ უწყობს ხელს: უმამობა, უდედობა, ხიზნობა, პაპის გაქცევა თუ გოგიასნაირების მი-მართ შიში. ნიკო საკუთარ თავს ეძებს. ამ რთულ პროცესში, ცნობიერებისა და ქვეცნობიერის ჭიდილში ვანო მასწავლებლის მიერ დასმული კითხვა: „სიღნაღი რას ნიშნავსო?“ ნიკოს იმედს უსახავს. „სიღნაღი იმას ნიშნავს, რასაც ყველანი დავეძებთ... სიღნაღი თურქულად თავშესაფარს ნიშნავს.“ ეს სიტყვები ნი-კოს ძალას მატებს. იდენტიფიკაციისთვის შვილებს აუცილებლად სჭირდებათ მამებთან კონტაქტი. ამ პროცესში ნიკოს მნიშვნელოვანად ეხმარება მამის ის საქციელი, როცა მამა თავად ამბობს უარს თვით-მკვლელობაზე. ღრმად სიმბოლურია კატლეტის მიცემის უესტიც. ეს დაუძლურებული მშობლების თაო-ბის მსხვერპლის სიმბოლოა. იდენტიფიკაციის პროცესი სრულდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ამირანის მითიურ სახესთან მამის ხატის იგივეობას ადგენს. „ჩვენ ყველანი ამირანის შვილები ვართ“ უკვე გან-ხორციელებულ იდენტობაზე მიანიშნებს. ფსიქოსოციალური იდენტიფიკაცია ხორციელდება ეროვნუ-ლი იდენტობის მოპოვებით. (ნემსაძე 2009, 71-73)

ეროვნული იდენტიფიკაცია ერის კოლექტიური ცნობიერების შიდა ფენებში აღწევს და ერთი პიროვნების ტრაგიკული სიკვდილი ეროვნულ ტრაგედიად აღიქმება. ილიას მკვლელობით გამოწვე-

ული ტრაგედია კი არ განელდება, არამედ უფრო ღრმად შეიჭრა ცნობიერებაში და მომავალ თაობას მამისმავლელი ერის შვილობის კომპლექსი ჩამოუყალიბა, რამაც ეროვნულ იდენტიფიკაციაზე მოახდინა ნეგატიური გავლენა. ამ მოვლენას პირველკვლელობის კაენური შინაარსი მიეცა. (გ ოგია 2006, 152) ამ ცოდვას ნიკო უშუალოდ განიცდის. ადამიანი მაშინ თავისუფლდება ტვირთისგან, როცა მის მთელ სიმძიმეს გამოსცდის. იმიტომ მოეთხოვება ნიკოს სხვაზე მეტი ყველაფერი, რადგან განსაკუთრებული ცოდვა ადევსდმამის მკვლელობა. ნიკოს სილნალში არ ჰყავს მამის ხაზის გამგრძელებელი, ამიტომ ყველგან ეძებს შესაფერის ადამიანს. სწორედ ამ ნიშნით შემოჰყავს ავტორს უცნობი. ის რომ ეს კაცი არავისთვის არ არის ნაცნობი, განაპირობებს მის მრავლობითობას. ნიკო მასში მამას ხედავს. მისი სიტყვები: „მამა მეგონა უეცრადო,“ ამაზე მეტყველებს. ნიკოს დეიდა მასში თავის სატრფოს წწორელ სოსოს ხედავს, გიუკოლა კიდმამას. უცნობი, როგორც არქეტიპული ნიშანი, მაინდენტიფიცირებული ნიშანიცაა, რადგან სწორედ მისი მეშვეობით აქტიურდება იდენტიფიკაციის მოთხოვნილება წარსულზე პასუხისმგებლობის გალვიძებით. იდენტიფიკაციის კრიზისის ერთდერთი მიზეზი სწორედ უპასუხისმგებლობა და დავიწყებაა. (ნემსაძე 2009, 87-90)

მეორედინფანტილიზმი, ინდივიდუალური ცნობიერების მოუმწიფებლობა. ნიკომ უნდა გაარკვიოს „მე დ კონცეფცია“, დარწმუნდეს იმაში, „ლირსი რომ იყო არა მარტო გაჩენის, არამედ გადარჩენისაც“ და მხოლოდ ამის შემდეგ დააღწევს თავს ფსიქოსოციალური და ეროვნული იდენტობის კრიზისს. ამირანის სახე გარდა ფსიქოსოციალურისა, ეროვნულ იდენტიფიკაციისათვისაც მნიშვნელოვანია. მხატვრულ ლიტერატურაში ამირანი დამონებული სამშობლოს ჰიპოსტასად განიხილება. ამირანის განთავისუფლება ერის ბედნიერების ტოლფასია. ეს პრობლემა კი ნიკოს თაობამ უნდა გადაჭრას. (ნემსაძე 2009, 90)

„მარტის მამალი“ დროსივრცული მოდელის მიხედვით მნიშვნელოვანი რომანია. მოვლენათა განვითარება ორ განსხვავებულ დროში ხდებად რეალურსა და წარმოსახვითში. ეს ორი დრო ისე ბუნებრივად თანამონაცვლეობს, რომ ისინი მხოლოდ პირობითად თუ არიან ერთმანეთისგან გამიჯნული. ნიკოს ცნობიერებაში არსებული სივრცე იმის მიხედვით იცვლება, თუ სად გადაჰყავს ქვეცნობიერებას ნიკოს გონება და წარმოსახვა: ხან ბათუმში (დედდმამის გახსენებისას), ხან საიქიოში (ვანო მასწავლებლის შვილთან შეხვედრა და გიუკოლას მამის კუბოს ნახვა), ხან წნორიდსილნალის გზატკეცილზე (ავტობუსის სცენა) და სხვა... სივრცის იდენტიფიკაციის ანალიზისთვის საინტერესოა მხოლოდ რეალური სივრცე, სადაც ომის შემდგომი წლების სიღნალის ცხოვრება ჩანს. (კვაჭანტირაძე 1992, 55-57; ნემსაძე 2009, 112; ნიკოლეიშვილი 2002, 568)

აქ უარყოფითი (გოგიას სახლი) და დადებითი (ნიკოს პაპის სახლი) პოლუსები უპირისპირდებიან ერთმანეთს. სწორედ ამ ორ ურთიერთსაპირისპირო ცხოვრების ჭიდილში იკვეთება სივრცე და ხდება მისი იდენტიფიკაცია. (ნემსაძე 2009, 122)

რომანში მთავარი დრამა გმირის ფსიკიკაში თამაშდება. ავადმყოფობით გათანგულმა ნიკომ ერთი თვის განმავლობაში არა მხოლოდ ფიზიკური, ზნეობრივი მემკვიდრეობით მიღებული სენიც უნდა გამოდევნოს საკუთარი სხეულიდან და სულიდან. რომანი ასახავს ნიკოს ბრძოლას საკუთარ თავთან, რაც საბოლოოდ გამარჯვებით სრულდება. თუმცა ეს გზა არ არის იოლი გასავლელი. ის ხელახლა, მეორედ იპადება. ვერავინ იტყვის რა ჯვარს უმზადებს განგება ფიქრის იდუმალებას ნაზიარებ ყმაწვილს, მაგრამ ერთი რამ მან უკვე დანამდვილებით იცის დ „რაც გიყვარს, სიყვარულის გამო უნდა გიყვარდეს და რაც გძულს, ისიც სიყვარულის გამო უნდა გძულდეს“. (გ ოგია 2006, 152-153)

### **ლიტერატურა:**

1. კოგია 2006: ბ. გოგია, საუკუნეთა გზაგასაყარზე: (ლიტერატურული ნარკვევები), თბილისი 2006.
2. კვაჭანტირაძე 1992: მ. კვაჭანტირაძე, „მარტს მამალი“ – დრო და სივრცე, ცისკარი, 1992, 2.
3. ნემსაძე 2009: ა. ნემსაძე, „იდენტიფიკაციის პროცესი ათარ ჭილაძის რომანებში. თბილისი 2009.
4. ნიკოლეიშვილი 2002: ა. ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი 2002.

### თეონა ძიძიგური

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ნანა კუცია

## ცოდარ დუმბაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში

ყოველ ერს გააჩნია საკუთარი ლიტერატურული ისტორია, ისტორია რომლის ფრაგმენტები ეროვნული ლიტერატურული მოღვაწენი არიან. არც ჩვენი ერია გამონაკლისი. გამონაკლისი?! და რა-და ეს სიტყვა ავირჩიეთ, მე ვიტყოდი, რომ ქართველი ერი ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია.

ზემოთ ვასხენე, ფრაგმენტები ქმნიან მთლიან სურათს-თქმ და ამ დიდ ხელოვნებაში მყარი და ვრცელი ადგილი უჭირავს ყველასათვის გულთან ახლოს მყოფ ნოდარ დუმბაძეს. მან შექმნა სრულიად სხვა, თვითმყოფადი და გასაოცარი კულტი მწერლისა. კითხულობ მის ნაწარმოებებს და გული მადლითა და სიხარულით გევესბა. სიხარულით იმიტომ, რომ ხვდები ადამიანები არსებობენ ისეთები, როგორებიც ღმერთმა შექმნა: უბრალონი, კეთილნი, სათნონი და ბევრი სხვა.

ნოდარ დუმბაძეზე შეიძლება დაუსრულებლად ილაპარაკო ადამიანმა, თან ისე, რომ არ მოგბეზ-რდეს და მუდამ სიახლით ავსებდე საკუთარ სათქმელს. ჩემი მიზანი კი დღეს სულ სხვაა, ვცდილობ გავარკვიო, შევუდარო ჩემი დამოკიდებულება მწერლისადმი სხვებისას და გავიგო თუ როგორ აფასებდნენ მას ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

ნოდარ დუმბაძის შესახებ არაერთი ამეტყველებულა, ბევრს გასჩენია სურვილი ესაუბრა ამ გულათან ახლოს ჩასაბუდებელ პიროვნებაზე. მათ შორის იყვნენ: გურამ ასათიანი, გიორგი გაჩერილაძე, აკაკი განერელია, გურამ გვერდწითელი, გიორგი მარგველაშვილი, სოსო სიგუა, ტარიელ ჭანტურია, სერგი ჭილაძე და სხვანი.

ცხადია, რთულია ყველას ნააზრევს ერთად მოუყარო თავი ამ ფორმატში, მაგრამ ალბათ სათქმელი უნდა ითქვას, უნდა ითქვას ის, თუ რას გვიამბობდნენ “მზია” გულის მწერალზეო.

არავის, არცერთ ჩვენგანს არ ხელენიფება ამჟამად მკითხველთან, ქართველი ადამიანის გულთან ასეთი მიმდობი, ასეთი გულითადი საუბარი, არავის არ უპყრია ხელთ ასე ოსტატურად მისი გულის გასაღები, როგორც ნოდარ დუმბაძეს – უთქვამს გურამ ასათიანს.

რამდენ ადამიანს მოეფერა ის თავისი სიტყვით, რამდენთა გულის გათბობა მოასწრო, რამდენი ხელჩაქნეული შემოაბრუნა, მოაქცია და დაარწმუნა, რომ სოცოცხლე, მიუხედავად უამრავი უკეთურობისა, მაინც მადლია, მაინც სიკეთეა, მაინც მშვენიერებაა და სანამ ცოცხალი ხარ, შენც ამ სიკეთეს უნდა მოუარო, მოესიყვარულო, ამრავლო და ააღორძინო- დასძენს ავტორი. მისი თქმით, ნოდარ დუმბაძეს გააჩნდა საოცარი თვისება, თვისება, რომელიც მისი უსაზღვრო იუმორით საზრდოობდა. მას ჰქონდა სიცილის უცნაური ტექნიკა, ის ისე “გა“ადგურებს”, შენ არ გწყინს, დამცირებულად არ გრძნობ თავს და ზოგჯერ სხვებსავით იცინი საკუთარი განქიქების გამოო.

ეს იყო დიდი საიდუმლოება, რომელიც მხოლოდ მან იცოდა, სწორედ, რომ მასვე უთქვამს: “ მე თავისუფლება მინდოდა და სიცილიც ამიტომ ავირჩიეო-ო. ამ სიტყვებში დიდი და ამაღლებულებელი აზრი დევს, სიცილით მან მართლაც დიდი გასაქი მოუპოვა თავის ნააზრევს. მისი სიცილის მთავარი დანიშნულება სიკეთისათვის კარის გაღებაა. სწორედ სიცილით შეგვაყვარა მან თავისი უსაყვარლესი გმირები, სიცილითავე გვანიშნა ადამიანთა შეცდომების მრავლი სათავე, ოლონდ ისე, რომ ყველა თავის მსხვერპლს გმოსავალი დაუტოვა.

სიცილი ადამიანის სიცოცხლის უნარიანობის უმთავრესი ნიშანთაგანია. ვიდრე ადამიანს მტერზე, მოყვარეზე, თავის თავზე, საერთოდ რაიმეზე გაცინება შეუძლია, ეს ნიშნავს, რომ მისი საქმე

ჯერ კიდევ არ წამხდარა. ხალხი, რომელმაც ასეთი საღი, გადამდები სიცილის უნარი შეინარჩუნა არ არის განწირული.

ეს უნდა თქმულიყო, ეს უსათუოდ უნდა ეთქვა ვინმეს ჩვენს დროში, დიდი ზარისა და განსაცდელის, საუკუნის დიდ წარლვნათა შემდეგ. და ასე თქმა სხვა არვის შეეძლო, თუ არა ნოდარ დუმბაძეს.

სიცილის ფენომენი უზუსტესად აქვს დაჭერილი გურამ ასათიანს, ზემოთნახესენები ავტორები კი ამ ფენომენთან ერთად, სხვა, არანაკლებ საინტერესო საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას.

იმის შესახებ, თუ რატომ აირჩია ნოდარ დუმბაძემ თვითგამოხატვის ფორმად მანცდამაინც მწერლობა, გიორგი გაჩერილაძეს სამი პასუხი აქვს: ადამიანებთან კომუნიკალობის საოცარი უნარი, გეზი არტისტიზმის საკუთარი ბეჭდით დასმული სიკეთისკენ და მსლოფლგაგების განუყოფელ თვითებად ქცეული იუმორი, რომელზედაც საკმაოდ ვისაუბრეთ. მისი თქმით, ნოდარ დუმბაძე “მფლა” - გველი მილიონერივით ჰქონდა თავის გარშემო შინაგანი იმპულსებიდან მომდინარე ჯადოსნურ ატ-მოსფეროსო. საქმე ეხება გულწრფელობის დეფიციტით გმონვეულ მოთხოვნებს ლიტერატურულ პროცესში. ამ მოთხოვნებს დროთა ვითარებაში სიმბოლური მნიშვნელობაც აღმოჩნდა და გრაფიკული გამოსახულებაც.

ნოდარ დუმბაძის მიმართ ყველაფერი უმარტივესმა ფიზიონომისტურმა ასოციაციამ განაპირობა, ადვილი შესამჩნევი აღმოჩნდა, რომ მისი სახე თავისი კონტურული მოხაზულობით საოცრად ჰგავდა გულის ანატომიურ ფორმას. ამ სიმბოლოს მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ნოდარ დუმბაძემ თავიდანვე იმის შესახებ დაიწყო წერა, რაც საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი, გულით განცდილი, ბიოგრაფიულად გადატანილი.

ნანახის, განცდილის და გადატანილის გამო ნოდარ დუმბაძემ გულიანად აცინა და კიდევაც ატირა ხალხი... გულიანად მოჰყონა თავის გარშემო სიკეთის სხივი...

საგულისხმოა, რომ ნოდარ დუმბაძის გმირები მეტნილად ყმარვილები არიან. ყოველი მათგანი იზრდება, ცხოვრობს და განსაცდელს ეგუება უმამოდ. მამის ავტორიტარისტულ (ავტორისეული ტერმინი) ზეგავლენას ისინი მოკლებული არიან. თუმცა მათ ირგვლივ არსებული პიროვნებანი სიკეთის ხელს უწვდიან და ამიტომაც მათთვის წუთისოფლის სიძნელენი სხვათა დახმარებით დაძლეულ იქნება.

თუმცა, საქმე ისაა, რომ ავტორი ყოველთვის იმას როდი გვაუწყებდა, რაც ხდებოდა, ის არსებულსა და სასურველს შორის უპირატესობას უკანასკნელს ანიჭებდა და ამით მისთვის უკვე განცდილ “სიკეთის ესთეტიკასო სხვასაც უზიარებდა.

ნოდარ დუმბაძე ფიქრობდა, რომ გარემოსა და ადამიანის დაპირისირებაში, რაც არ უნდა ულმობელი იყოს ეს გარემო, ადამიანმა არ უნდა შეაჭმევინოს მას თავი. ცხოვრებასა და ლიტერატურა-ბაო განცდილი სიკეთე კი ის ძალა უნდა იყოს, რომელიც ადამიანს ამ ტიტანურ ბრძოლაში დახმარებაო – ამბობდა გიორგი გაჩერილაძე.

ნოდარ დუმბაძის უსაზღვრო ნიჭიერება, წერის ორიგინალური მანერა ადამიანთა ხასიათების ხატვაში ვლინდება. სწორედ ამ საკითხზე ამახვილებს სერგი ჭილაია ყურადღებას და გვიამბობს: ნოდარ დუმბაძემ სწორედ ხასიათების ხატვით გაითქვა სახელი, მის მიერ დიდი ისტატობით გამოძერნილმა მხატვრულმა ხასიათებმა - ზურიკელა ვაშალომიძემ, სოსოია მამალაძემ, ავთანდილ ჯაყელმა, ზაზა ნაკაშიძემ მუდმივი ბინა ქართველი ხალხის გულში დაიდეს. ამ მხატვრული ხასიათების უმთავრესი ნიშან-თვეება კეთილის ქადაგებაა, კეთილი საქციელი და კეთილი მოქმედება განსაზღვრავს მათ არსებას.

ქართულ მწერლობას რუსთაველმა უანდერძა კეთილის გარდაუვალი ჭეშმარიტება “ბ”რ”ტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია! ო რუსთაველის ამ ანდერძის ერთი ყველაზე ერთგული და თანმიმდევრული დამცველი ქართულ მწერლობაში ნოდარ დუმბაძეა. მასთან სიკეთისა და ბოროტების ჭიდილში გამარჯვებული მუდამ სიკეთეა, მწერლის აზრით ყველაზე დიდი ამოცანა ამ ქვეყნად არის კაცთმოყვარეობის ქადაგება, რაც აისახება იმაში, რომ დუმბაძე სიკეთეს ეძებს არაკეთილ ადამიანებშიც კი. ამ რწმენის გამოხატულებაა ის, რომ ბოროტე სულის ადამიანებშიც ბოლოს და

ბოლოს კეთილმა საწყისმა იპოვა ადგილი: როდესაც ადიდებულ მდინარეს მიჰქონდა სიბრძნისა და სიკეთის განსახიერება, ულამაზესი სულის ხატია , მდინარის ბობოქარ ტალღებს ის დეზერტირმა დათიკომ გამოსტაცა.

კაცომოყვარეობის ნამდვილი აპოლოგია “თეთრი ბაირალებიო. მწერალმა იცის, რომ ადამიანები ბოროტებად არ იბადებიან, მდგომარეობით გამოწვეულ ბოროტებას უმალ ცვლის ადამიანის კეთილი საწყისი, როგორც კი ადამიანის მდგომარეობა შეიცვლება. მდგომარეობის შეცვლა კი თვით ადამიანზეა დამოკიდებული. ნოდარ დუმბაძეს არ სჯერა ადამიანის სულის უიმედო გახრწნა. თვით ბოროტმოქმედ ადამიანთა სულშიც ტოვებს ადგილს კაცომოყვარეობისთვის. ზნეობრივი განწმენდისა და კეთილის გამარჯვებისთვის. სწორედ ამიტომ იყო ის “კაცომი”ყვარე”ბის მხატვარი, როგორც ეს მისთვის სერგი ჭილაიას უწოდებია.

მთავარი “დამნაშავე” მისი ასეთი ბინებისა, მისივე გული იყო, “მზია“ი გულიო, გურამ გვერდნითელის სიტყვებითვე რომ ვთქვათ.

“დიახ... თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხ-ლებთო-ეტყვის პროფესორი ბაჩანა რამიშვილს, ნოდარ დუმბაძის რომანის “მარადის”ბის კანონისო მთავარ გმირს, პროფესიით მწერალს.

ძნელი აღსაქმელი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამ სიუჟეტში ბაჩანას უკან თავად მწერალი დგას. მან სამჯერ ინფარქტგადატანილმა , სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე კატეგორიული უარი განაცხადა ხელოვნური სტიმულატორის ჩადგმაზე, რადგან ხელოვნური გულით ცხოვრება მისთვის წარმოუდგენელი იყო. მის შემდეგ სულ მალე, სულ რამდენიმე დღეში კიდეც დაემშვიდობა ამ ქვეყანას.

“ ... ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ...ო დეს სიტყვები გამოხატავენ ყველაზე უბრალო და ყველაზე დიდ აღიარებას, რაც კი მწერალმა შეიძლება დაიმსახუროს, ამდაგავარი სიტყვები მისი არსებობის გამართლება იქნება. ასე განვლილი ხანმოკლე ცხოვრებაც კი ბევრად უფრო ლამაზია და სიკეთის კვალის დამმჩნევი, ვიდრე ხანგრძლივი, თუნდაც დაუსრულებელი სიცოცხლე, უფრო ზუსტად, ფიზიკური არსებობა ზოგიერთებისა.

ყველა და ყველაფერი, კეთილი და ადამიანური სიყვარულის დალით არის დასმული, სიყვარულის ცეცხლით არის შთაგონებული, სიყვარულის ნათლით არის გასხივოსნებული. და ამ სიყვარულით აღგზნებულ გულს ფეთქვა სჭირდება, ცივი და ხელოვნური გული ამის შემოქმედად არ გამოდგება.

ჰუმანიზმის ქადაგება უნაყოფოა, თუ მწერლის სათქმელი მისი ცხელი გულის გავლით არ მიდის მკითხველამდე - ასეთია გურამ გვერდნითელის შეხედულება.

სწორედ ამიტომ, მისმა ცხელმა, მზიანი სხივებით გამთბარმა, მზიანმა გულმა შეძლო ის, რომ მოელბო და სხვაგვარად აეძგერებინა სხვთა გაქვავებული გულები.

ყოველივე ზომოთთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნოდარ დუმბაძემ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გულის კარები გაუღო ყველას, თან ისე ღრმად, რომ მისი მოხურვა არც და ვერც წარმოგვიდგენია. ამიტომაც, ამის დასტურად და საბოლოო სიტყვის სათქმელად მიზანებონილი იქნება , ტარიელ ჭანტურიას სიტყვები მოვიშველით:

“შეუძ, —, მკაცრად რეგლამენტირებულმა რაიმე მნიშვნელოვანი თქვა ნოდარ დუმბაძეზე, რადგან ამისთვის, უბრალოდ აუცილებელია ილაპარაკო მთელ თაობაზეო

ავტორს უნებლიერ ახსენდება მწერლის მოთხრობა “დიდრ”, სადაც გატარებულია აზრი, რომ მეტ სინათლეს იხილავს იგი, ვინც მეტი ტვირთი ასწია.

ნოდარ დუმბაძის გმირმაც ასწია ეს დიდი ტვირთი და ამიტომაც იხილა მეტი სინათლე და ჩამავლი მზის შუქი.

ამ მოთხრობით ნოდარ დუმბაძემაც ასწია თავისი საჯილდაო ქვა და ამ ტვირთმა მეტი სინათლე და სიხარული მოუტანა მწერალს.

ერთხელ რევაზ ინანიშვილისთვის ტარიელ ჭანტურიას უკითხავს: რაზე ჩაფიქრებულხარო? რაზეო და აი, ნოდარ დუმბაძეზე, ერთადერთია ჩვენ შორის, ვინც სახალხო წიგნი დაწერა, ეს წიგნი ერთნაირად უყვარს და აინტერესებსას ყველას: ჯარისკაცსა და გენერალს, მეცნიერსა და მიწის მუშას, პოდა, მინდა გავიგო როგორ მოახერხა ეს, ამ საიდუმლოზე ვიქრობო. ეს საიდუმლო მით უმეტეს არ ვიცი მე, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, სხვებივით და იქნებ სხვებზე მეტადაც, მიყვარდეს ნოდარ დუმბაძე და მისი წიგნებიო დ შენიშნავდა ტარიელ ჭანტურია.

ასეა ახლაც... ნოდარ დუმბაძემ საკუთარი მზიანი გულითა თუ დიდ ტვირთ აწეულმა, ჩამავალი მზის შუქის მხილველმა, უბრალომ, ხალისიანმა და ამავე დროს უამრავი ტკივილის მატარებელმა, პირდაპირმა და უშუალომ, სიკეთისა და პუმანიზმის განსახიერებამ, სიკეთის ესთეტიკის შემგრძნებელმა და შემდგომში სხვებისთვის გამზიარებელმა ამ ყევლაფრით ერთად და ცალ-ცალკე შეძლო შეეყვარებინა თავი მკითხველისათვის...

ეს სიყვარული დამსახურებულია, მრავალჯერ მოპოვებული და გამყარებული...

ეს სიყვარულია, რომელიც უამთა სვლას არ აცვეთინებს გრძნობებს!...

### ლიტერატურა:

1. “მზია“ი გულის მწერალიო (ავტორთა კრებული):
2. გურამ ასათიანი დ „მზიური ნიჭიო
3. გიორგი გაჩეჩილაძე – ”დარ დუმბაძის ფენომენიო
4. გურამ გვერდწითელი – “მზია“ი გულიო
5. სერგი ჭილაძა – “კაცთმ“ყვარე”ბის მხატვარი
6. ტარიელ ჭანტურია – “სი“ათლე – ტკივილის ფასად! “

ქეთევან სამადაშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, მაგისტრატურა

## ნიკო სამადაშვილის „ღრუბელნარა ლამები“

ნიკო სამადაშვილი დაიბადა სოფელ ხიდისთავში 1905 წლის 19 ივნისს და გარდაიცვალა 1963 წლის 1 მაისს. მანამდე იყო „ცხოვრების გერის“ გაუხარელი, „ძანძახი“ სიცოცხლე, მარტოსული ადამიანის ტკივილიანი, მაგრამ საოცრად ხატოვანი ხილვებით აღბეჭდილი.

ობლობის სუსხმა თავიდანვე დათრთვილა ბიჭის ჩვილი გული — 2 წლისას მამა გარდაეცვალა, ყმანვილკაცობაში პირველი სიყვარულის მარცხი იგემა. იქნება ამიტომაა მისი პოეტური ხილვები მუქი, ნისლებში ჩაკარგული, ქარიშხლით ნასაზრდოები:

„შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინს,  
თუმცა სულ მუდამ ტოტს გცემდა ქარი.“  
(„ნიკო სამადაშვილს“)

პოეტის „გაურანდავი“, მაგრამ საოცრად ძარღვიანი შემოქმედებისათვის ყველაზე ნიშანდობლივი ღამის სიყვარულია, იდუმალი, ამოუხსნელი ტკივილით სავსე. მისეული ღამე თითქოს ცოცხალია — ფეთქავს. სუნთქავს, იცრემლება: „ლამემ კოპები შეიკრა,“ „ნოემბრის ქარშეყრილი ღამე ყმუოდა და ჩაბნელებული სივრცეები უფრიალებდა,“ — წერს იგი. თემო ჯაფარიძემ მის შემოქმედებას „ლამისთევის პოეზია“ უწოდა.

ქართულ პოეზიაში ღამეს თითქმის მისტიკური დატვირთვა აქვს — იგი შემოქმედთა მესაიდუმლე და დიდი სულიერი ტანჯვის გამქარვებელი და თანაზიარია:

„ლამეა ბნელი, დელგმაა,  
დგანდგარებს არემარეო.  
ღმერთო, მოჰქედე ტანჯულთა,  
უშველე, შეინყალეო!“  
(ვაჟა-ფშაველა, „სტუმარ-მასპინძელი“)

„მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,  
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.“

(ვალაკტიონი, „მე და ღამე“)

ღამეული ლანდების კვალდაკვალ არაერთხელ უვლია უდიდეს ქართველ რომანტიკოსს, ნიკოლოზ ბარათაშვილს. მისი „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ქართული ლირიკის შეუდარებელი მარგალიტია:

„ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად,  
როს მწუხარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად!  
მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,  
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“  
(„შემოღამება მთაწმინდაზედ“)

ნიკო სამადაშილის პოეზიაში კი ღამე თითქოს ჩაკირულია, ტკივილიანი, ტრაგიკული: „შუალა-მემ რომ ვერაფერი გააწყო, ერთი დაიმუხლისთვა, თავში წაიშინა და საზარელი მოთქმით გადაი-კარგა კაცომძულვარების სამყაროდან,“ — წერს ავტორი თავის ერთ-ერთ პროზაულ თხზულებაში.

ეს ხილვები სამუდამოდ აღიძეს და მკითხველის მეხსიერებაში:

„ვარსკვლავის შუქში კრთის საკმეველი,  
მთვარე სამთვაროს სანათირსა ჰგავს.“  
(„რწმენა“)

პოეტს ბინდიანი, მუქი ფერებით უყვარს პეიზაჟის გაფერადება. სწორედ ასეთ ფერებში აღიქმება ლექსი „ჩემი სოფელი“, ხვართქლანარევი ორლობებით, ბებერი ჭადრისა და კაკლის ხეებით ამოქარული. აქ დაისის მკრთალი შუქი დასთამაშებს პირველ სიყვარულსაც და რუს პირას გატრუნულ ნაძვებსაც:

„ხან რუს ჩხრიალზე ღამე ნაძვებთან,  
ციცინათელას შუქის წვეთები.“  
(„ჩემი სოფელი“)

„ჭოტის ქოქოლა“, ჭრაქის მკრთალი შუქი და საქონლის წყნარი ფშვინვა აცოცხლებს ღამეული პეიზაჟის სევდიან ტილოსა და პოეტის დაუოკებელ სურვილს: „როგორ მინდოდა იქ მოვმკვდარიყავ...“

თითქოს ნარმართის დაწერილია ლექსი „სიზმრების ნაღვერდალი“, ღამეული მისტიკითა და გაუსაძლისი სევდით სავსე:

„შენ რომ მრეველი გყავს, ისე ამოდის,  
როგორც შერისხულ მლოცველთა ხროვა,  
იწყება ჭმუნვა მორთხმულ მოგვების,  
და შორიახლო ავდრების გლოვა.“  
(„სიზმრების ნაღვერდალი“)

პოეტს მშვენიერებად მიაჩნია „შუალამის მაღალ სიჩუმეში მთვარის და ღრუბლების ლაზლანდა-რობა“, თუმცა იგი ხშირად მარტოა, საკუთარი განცდების ამარა და გულდანყვეტით აღიარებს, რომ ბედმა სიზმარიც კი ჩაამწარა და შფოთიან სიცილს მიაჩვია:

„ბედმა სიზმარიც კი ჩაგამწარა,  
და შეგაჩვია შფოთვა სიცილით,  
რა ვუყოთ მერე, — ვიღა არ წავა,  
მინისკენ მაინც მეფობს სიკვდილი.“  
(„სიზმრების ნაღვერდალი“)

მრავალი მისი ლექსი, დაწერილი ღამეული ლანდების შთაგონებით, ერთგვარი ეპიტაფიაა. „დე-დამინაზე შემთხვევით შემოხეტებული“ პოეტი თითქოს ყოველწამიერ ემზადება მარადისობაში გადასასვლელად:

„ის ტყვიასავით წაიღო ქარმა,  
დილით ცა ჩანდა გადანგრეული —  
ნისლეთი იყო იმის ქარაგმა  
და დედამინა კი მთვარეული.“  
(„იცხოვრა, მაგრამ“)

ახ:

„რა, არ გინახავთ, ცხედარს წასვლა რომ უხაროდა,  
და თავის ხელით რომ იბნევდა საკინძის ღილებს...“  
(„ნინათვრძნობა“)

იგი ქარიანში შინაგანი ძალების მთელი კონცენტრაციით მაინც ახერხებდა წონასწორობის დაცვას, უძლებდა „ძანძახი“ ცხოვრების შემოტევებს.

ეპიტაფიას წააგავს ნიკო სამადაშვილის ერთ-ერთი უსათაურო ლექსის უმშვენიერესი სტროფიც:

„ის აღავლენდა ლოცვებს ბინდისას  
ო, ისე, როგორც იცის განგებამ.  
რა ექნა, მოსწყდა, ვეღარ ირბინა,  
ჩაჰკლა აბუჩად ბედის აგდებამ.“

ლექსში „ორნი“ პოეტი მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით, „სახეების ბრწყინვალებითა და ორიგინალობით“ (თ. ჩხენკელი) აღწერს მამაპაპური ძველი ვენახიდან დანახულ „ელამ დაისებს“, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ძნელად აღსაქმელ პეიზაჟს — „სხივებს კამარა როგორ ჩაისრესს, “ლვთისმშობელს, მხრებზე შავი ჩადრით და „მწკრივად ჩამავალ დაისებს.“

ბუნების მწუხარე მიძინება ისევ და ისევ საკუთარ გაუხარელ ხვედრზე თუ აფიქრებდა მარტოსულ პოეტი, ცხოვრებაში ყველაზე პროზაული საქმიანობით — ბუღალტერიით რომ იყო დაკავებული. იგი ბუღალტერ-რევიზორად მუშაობდა, თუმცა „ლვთაებრივად იდუმალი“ ხმა გამუდმებით ჩასძახოდა უმშვენიერეს სტრიქონებს. ლექსებით იგი თითქოს განეშორებოდა არსებულ რეალობას და „მარადისობის ჭუჭრუტანებს“ ჭვრეტდა, რათა დაესკვნა: „ნუთისოფელი სფინქსების მდუმარებას წააგავს.“

ბნელი, ნესტიანი განჯინის ძირი საიმედოდ ინახავდა მისი სულის უმშვენიერეს ამონაშუქს, „შედუღებულს ცრემლების კირით.“

პოეტი ყველგან საოცრად ორიგინალურია, შთამბეჭდავი მისი შემოქმედება ხან ირეალურობაში ჩაძირული და პასიურია, ხან — აქტიური, მებრძოლი:

„თითქოს მე ვიყვე გამოქვაბული  
და ჩემ ქვეშ სისხლის მდინარე ჰქეუხდეს.“  
(„ნატკენი გული“)

ეს უმშვენიერესი ლექსები თითქოს ლამის ფონზეა დაწერილი, ჭრაქით განათებული, კუნელისფერი ლამის და მთვარიანი ქედების ფონზე. გრძნობათა სიჭარბე და გაუსაძლისი ტკიფილია მათში ჩაქსოვილი:

„ლამეა წყნარი, არც ისე ბნელა,  
შორს ჭრიჭინების ბაასი მეფობს...“  
„კაცს, კაცს ეძიებთ, არ გეზარებათ?  
იწამეთ ლამე და ნანგრევები.“  
(„სად არის, სადა!“)

ზოგჯერ სიზმრებში თუ პოვებდა შვებას — სევდიან ირეალურობაში:

„წუხელის შენი სიზმარი ვნახე,  
ხშირი ბაღები, ბოდვა მგოსნების,  
გადაბურული პალმებით ღამე  
და ოდნავ სველი კვიპარისები.“  
(„ჩემი სიზმარი“)

გულისსწორის თმების სურნელი დაკურავდა ამ სიზმრებს, მისი გაუხარელი ცხოვრების იმედიან თანამგზავრთ, მაგრამ უმეტესწილად აქაც ხელმოცარული, დაზაფრული რჩებოდა ღამეული კოშმარებით: ორტოტა ქარითა და მხვნეშავი გვამებით, ზედაშესთან აბლავლებული ზვარაკით:

„ყოველ ღამე სიზმრებში ვარ,  
გულს ლოცვებით ვატრიალებ,  
საყდარი სჩანს, ზარებია,  
და მე ლანდებს დავტრიალებ.“  
(„მილულვა“)

ძუკნა ძალლივით ადევნებული სიკვდილის შიში ძვალ-რბილში ატანდა, დედინაცვლად ქცეულ წუთისოფელში უჭირდა თვითგამორკვევა და ისევ პოეზიის გადასახედიდან გასცქეროდა მარტოსული კაცის მიუსაფრობით აღპეჭდილ ცხოვრებას:

„გრიგალი ღამით ააოხრებს იმის აკლდამას,  
ვინც ზურგშექცეულ მეგობრების ცქერით დაოსდა.“  
(„ფიქრი“)

თავად კი თუ ვინმეს ნდობას გამოუცხადებდა, იშვიათი მეგობრობა და მხარში დგომა შეეძლო. როგორც არჩილ სულაკაური იხსენებს: „ნიკო სამადაშვილმა გაცნობის პირველივე წუთებიდანვე დაიწყო ჩემზე ზრუნვა და არა მარტო ჩემზე, მას ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა ჩემი მეგობრების მიმართაც, რომლებიც შემდეგ გავაცანი.“

უსაზღვროა პოეტის წარმოსახვა. ლექსში „ზღვის სიმფონია“ სულ სხვაგვარი, საკრალური დატვირთვა აქვს ზღვაში ჩამავალ მთვარეს, თითქოს ფოთლები რომ სცვივა დედამიწაზე.

ნიკო სამადაშვილს სწავლაში, რომ შეუძლებელია წარმავალობის გადაწერა, მაგრამ ღამეულ მთვარესთან კონტაქტი გარდაუვალია:

„ჩვენ ქვეყნად მხოლოდ დიდი შფოთვა დაგვაახლოვებს  
და ნანგრევებში შეხუთული გზათვალალობა.“  
(„ზღვის სიმფონია“)

ბინდების გაღმა კი წყალივით ჩანს „მარადისობის ჩუმი უდაბნო“ („ფილტვების სიყვითლე“).

მისი ცხოვრება სისხლხორცეულად ჰგავდა ზამთრის ცივ, გაუთენარ ღამეებს. ერთგან პოეტი წერს: „დე, ... შენი განვლილი ვხოვრება ღრუბლნარა ღამედ წარმომესახოს.“

ლექსში „კარების გამოჯახუნება“ მისი ფანტაზია სცილდება ყოველგვარ რეალობას:

„ჩემ საკუთარ ჩრდილს წამოვისხამ ზამთრის ღამეში,  
გამოვალ გარეთ, მყინვარები ლოცვებს მომთხოვენ.“  
(„კარების გამოჯახუნება“)

„ძანძახ“ ცხოვრებაზე ხელისჩაქნევაა ლექსი „ასეა მარად,“ სადაც პოეტი თითქოს საბოლოოდ ემშვიდობება მარადსალოცავ ხატებს — ქარსა და ღრუბლნარა ღამეს. იგი სულის სიღრმემდე შეძრულია ქარგადავლილი ხეების გაფითრებით და იმ უბრალო ჭეშმარიტებით, რომ სიყმაწვილე გაივლის და „სამხართან თითქმის ყველაფერი იწვის და ტყდება.“

„ასეა მარად, როცა ქარი ჩადგება ხოლმე,  
დარწეულ ხეებს ფერი დიდხანს არ ემატებათ.  
დადიხარ მარტო, იცი, ღამეც აღარ გაბრკოლებს  
და ხედავ, მაინც არაფერი არ გენატრება.“  
(„ასეა მარად“)

ბინდმორეულ დაისს ზოგჯერ ნათელი და სიცოცხლის ხალისი ეპარებოდა, თუმცა პოეტის უფა-  
ქიზესი წარმოსახვისათვის ეს საკმარისი არ იყო, — იგი ახალ-ახალ ეპიტაფიას თხზავდა:

„დაგასაფლავეს დიდ მუნათით და მიგატოვეს,  
ვაზის ცრემლივით მარტოდ დარჩა მწუხარე დედა,  
კიპარისები მისტიროდნენ დაკარგულ პოეტს,  
დაუცხრომელი სამრეკლო კი რეკდა და რეკდა.“  
(„უსათაურო“)

სხვა ქართველი თანამოკალმეებისგან მკვეთრად განსხვავებული, ორიგინალური და ტრაგიკუ-  
ლია მისი „ღამისთევის პოეზია.“ თემო ჯაფარიძე ნიკო სამადაშვილის შესახებ აღნიშნავს: „საკმარი-  
სია მისი რამდენიმე მეტაფორის გახსენება და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ განსაკუთრებული დრამა-  
ტული შეგრძნებების პოეტთან გვაქვს საქმე.“ სწორედ ამის გამო ხშირად „ღამის პოეტად“ მოიხსე-  
ნიებენ მას მისი შემოქმედების მკვლევარები.

„ცხოვრების გერი“ შორეულ ვარსკვლავებზე ჭვრეტდა „მარადისობის ყრუ მესაფლავეს,“ მის  
„ღლუბლნარა“ პეიზაჟებზე რეალურ ყოფას ირეალური ერწყმოდა ფერწასული გრიგალით, ჭოტის  
გამყინვი კივილით, ათასი ღამის უდაბურებით:

„იქ ჭოტი ძახილს წყალში გაურევს,  
შეკრთება სადღაც მკვდარი ბუნება.  
უკან კი მძლავრად დაიხმაურებს  
ათასი ღამის უდაბურება.“  
(„მარადისობა და მესაფლავე“)

და იყო გზა „ნუთისოფლიდან უკვდავებამდე“ — დიდი სულიერი ტანჯვით, იმედგაცრუებებითა  
და კათარზისებით სავსე. ცხოვრების მანძილზე პოეტს არაერთხელ წამოსცდენია მშობლიური მინა-  
ნყლის საყვედური: „მშობელო მინავ, ნეტა რაზე გადამემტერე?!“ („სიმღერები გამოქვაბულიდან“).  
ის მაინც წერდა, თუმცა სიცოცხლეში არც აღიარება ღირსებია და არც დიდება:

„შუაღამეა. მნათე ტაძარს კეტავს ჩიფჩიფით,  
სამრეკლოს მხარზე მთვარის შუქი აუტაცნია.“  
(„სიმღერები გამოქვაბულიდან“)

ნიკო სამადაშვილის თვითმყოფადი, საოცრად მშვენიერი პოეზია ქარიშხლითა და ღამითაა ნა-  
საზრდოები. სწორედ ეს გარემოება ხდის მას ასე მიმზიდველად:

„გასწი, ნისლებმაც თუ გაგიტყუონ,  
საკუთარ თვალებს ნუღარ ენდობი.

იქ ლურჯი ღამე სტვენით დაგსეტყვავს,  
იქ ფოთლებს ქარში მოაგონდები...“  
(„წუთისოფლიდან უკვდავებამდე“)

მან მოახერხა საკუთარი დიდებული სამყაროს შექმნა და მკვეთრი, ხაზგასმით მისეული, ანაბეჭ-დების დატოვება მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი ქართული პოეზიის თავთუხისფრად მოვარაყებულ მატიანეში. ახდა მისივე წინასწარმეტყველებაც:

„ჩამოპნელდება...  
მტირალ წნორებს წაუვათ გული.  
უკვდავებაა, სიცოცხლეზე რომ ისეირებს.“  
(„უცნაური ხელობა“)

### ლიტერატურა:

1. გ. ტაბიძე 2005: გ. ტაბიძე, 100 ლექსი და..., თბილისი, 2005;
2. ვაჟა-ფშაველა 1979: ვაჟა-ფშაველა, ლექსები, პოემები, 1979;
3. ნ. სამადაშვილი 2004: ნ. სამადაშვილი, ფერისცვალება, თბილისი, 2004;
4. ნ. სამადაშვილი 1989: ნ. სამადაშვილი, წუთისოფლიდან უკვდავებამდე, თბილისი, 1989;
5. ქართველი რომანტიკოსები, თბილისი, 1978.

## თამუნა ჭონქაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ პაიჭაძე

### ოთარ ჭილაძის პერსონაჟის ფსიქოსოფიალური იდენტიფიკაცია

ოთარ ჭილაძე დაიბადა 1930 წელს, სიღნაღმი. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტი. ოთარ ჭილაძის რომანებია: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „აველუმი“, „მარტის მამალი“, ყოველმან ჩემმა მპოვნელმან“, რკინის თეატრი“. ოთარ ჭილაძე მწერალთა იმ თაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენალია, რომელსაც გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. უანრობრივად მრავალფეროვანი თავისი შემოქმედებით მან ბევრი ისეთი სიახლე დაამკვიდრა ჩვენს მწერლობაში, რომლითან არა მარტი საქართველოში აქციეს იგი ფართოდ პოპულარულ შემოქმედად, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ოთარ ჭილაძის რომანებში სიუჟეტი ხელარებით უგულვებელყოფილი არ არის და მოქმედების განვითარების პროცესის ჩვენებას სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად მდორედ და ნაკლებდინამიკურია ხდება, რომ მკითხველის ყურადღება სიუჟეტურ დრამატიზმზე უფრო მეტად ნანარმოების სხვა მხარეებზეა კონცენტრირებული. ო.ჭილაძის რომანებში უმაღლესი მწერლური პროფესიონალიზმით გამოვლინდა სიტყვიერი მხატვრობის და ოსტატობის გრძელებანი, მოვლენათა ფილოსოფიური გააზრების ინდივიდუალიზმი, ადამიანის სულიერი სამყაროს ნარმოჩენა ულმესი ფსიქოლოგიზმით, სახეებით აზროვნების ნიჭი, ტროპული მეტყველებისა და აღქმა -ნარმოსახვის ორიგინალური სტილი.

გადავწყვიტე, ოთარ ჭილაძის შემოქმედების ერთი კუთხით განხილვა-ფსიქოსოციალური იდენტიფიკაციის. ფსიქოსოციალური იდენტიფიკაცია უმნიშვნელოვანესი პროცესია ადამიანის ცხოვრებაში. იდენტიფიკაციის პროცესი პირდაპირ უკავშირდება საკუთარი “მე-კონცეფციის შექმნას”, რის-თვისაც ორი ურთულესი ამოცანის დაძლევაა საჭირო : 1) საკუთარი თავისი სიმყარის უზრუნველყოფა ოპიექტურ დროსა და სივრცეში ; 2) უკვე მოპოვებული მე-ს ჩართვა გარკვეულ ადამიანურ ერთობაში ამ ერთობის შეხედულებებისა და ფასეულობების გათავისებით. ოთარ ჭილაძის რომანი “გზაზე ერთი კაცი მიდიოდა “ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა. ფსიქოსოციალური იდენტობის კრიზისს განიცდის რამდენიმე პერსონაჟი, თუმცა ეს მოვლენა ყველაზე ღრმად ფარნაოზის სახეშია ასახული. კრიზის ამდენიმე მიზეზი გააჩნია. მათ შორის უპირველესია მისი დაბადება. იგი დაბადებიდანვე მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძნობს სასიცოცლო ძალის ნაკლებობას და ამაში უნებურად, თვითონვეა დამნაშავე. “ფარნაოზს ყველაფერი ხელში უკვდებოდა, რადგან გაჩენამდე, თუ გაჩენისთანავე ჩაიდინა ყველაზე დიდი მკვლელობა: დედა მოეკლა, სიცოცხლე.” “დედისმკვლელ” ვაჟიშვილს მამაც სასიკვდილო განაჩენი გამოიუტანა და ფარნაოზს არამარტო დედის, არამედ მამის სითბოსა და მზრუნველობის გარეშეც მოუნია გაზრდა, თუმცა ფიზიკურად ისინი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რამაც ბავშვობიდანვე დაუკარგა ფარნაოზს საკუთარი ძალებისადმი რწმენა და იგი მერყევ, გაუბედავ, ბრძოლისუუნარო ადამინად ჩამოყალიბება.

პიროვნების თვითდამკვიდრების საქმეში უდიდეს როლს თმაშობს სიყვარული. ხშირად სწორედ ამ გრძნობის მეშვეობით ახერხებს საკუთარი ჭეშმარიტი მე-ს პოვნას. ფარნაოზს ამ მხრივაც წარუმატებლობა ხვდა წილად. მის სიყვარული ინოსადმი იმ იშვიათ მშვენიერებათაგან ერთ-ერთი იყო, რითაც ოჯაყადოს ვანი ნამდვილად არ გამოირჩეოდა. ეს მშვენიერებაც განწირული იყო თავიდან, მით უფრო, რომ გაუბედავი ბუნების კაცს მისთვის ბრძოლაც არ შეეძლო. ამიტომ ფარნაოზი ვერც სიყვარულში პოულობს საყრდენს. საკუთარ ქვეყანაში უადგილო სხვის სამშობლოში მიემგზავრება

და იქ ცდილობს ადგილი პოვნას, მაგრამ მრავალწლიანი მოღვაწეობა ისევ წარუმატებლად სრულ-დება, რადგან სხვის სამსახურში დგომა საკუთარი “მე-კონცეფციამდე” ვერ მიგიყვანს .

რომანში ფარნაოზის ანტიპოდია კუსა. მამისაგან დაბადებამდე უარყოფილი ყველა გარშემყოფზე ან-თხევს ბოლმას და სიცოცხლეს უმწარებს მათ. თუ ფარნაოზის სახის დასრულებას წარმოადგენს პატარა უხეირო და იგი ახდენს მამის დდებითი იდეალის ხორცესხმას, კუსა და მისი ცოლი პატუ უარყოფითი იდენტობის ადამიანები არიან რომანში. ოჯაყადოს სამსახურში ჩადგომა უფრო ამზაფრებს ამ ხაზს. “სამ-შობლოს გვამზე მოფუთფუთე ” - ასე უწოდებს მწერალი მას. კუსას შემთხვევაში მი იდენტობა ფორმდება უარყოფითად, რისი ლოგიკური გაგრძელებაცაა მისი უშვილობა, ვერც პატუ და ვერც ზიარა ვერ ახერხებენ მისთვის შვილის გაჩენას. საყოველთაო ჭეშმარიტება- ბოროტების არსისა სიმოკლე-კუსა ყველანაირად ცდილობს თავის დამკვიდრებას და ამისთვის არანაირ ხერს არ თაკილობს. მის არსებაში არ ფიგურირებს შინაგანი ხმა, რომელიც ჩადენილი საქციელის შემფასებელია, ზოგადად, ადამიანში. მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავს დედა, ბიძა, ცოლი, სხვა ნათესავბი, იგი ყოველთვის მარტოა, თუმცა გამიდმებით ებ-რძვის ამ სიმარტოვეს. ბრძოლა უშედეგოა. (არ ვიცი რამდენად სწორი შედარებაა, მაგრამ ამ რომანის კითხვისას ფარნაოზის, ინოს, კუსას პერსონაჟები უნებურად ჯავახიშვილის პერსონაჟებს მივამსგავსე (თეიმურაზი, მარგო, ჯაყო). შესაძლებელია ვცდები მაგრამ მათ შორის არსებობს რაღაც კავშირი - საერთო, მსგავსი თვისებები, ქმედებები.)

რომანში “ყოველმან ჩემმან მპოვნელმან” იდენტიფიკაციის პრობლემის წინაშე დგანან ქაიხოსრო, ანა, ალექსანდრე, ნიკო, ანეტა... ოჯახის ყველა წევრი იზღუდება იმ სივრცით, იმ მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროსა და ჭეშმარიტი ოჯახური ფასეულობების უქონლობით, რაც ქაიხოსროს დამკვიდრებულმა “რეჟიმმა” წარმოშვა. რწმენადკარგული და ღმერთდაკარგული შთამომავლობა კარგავს იდენტობასაც და მათი ცხოვრების უმთავრესი საზრუნავი სწორედ ამის ძიება ხდება. თვითამკვიდრებას ყველა თავისებურად ახდენს: ნიკო-სახლიდან წასვლით, ალექსანდრე- ძმის მოძიებით, ანეტა-შემხუთველი გარემოდან გაცევით. სიცოცხლე დათრგუნულია ერთი გრძნობით - ესაა შიში. ფსიქოლოგიაში შენიშნულია, რომ პიროვნების ფსიქიკის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს ბავშვობის ხანა. სწორედ ამ პერიოდში გადატანილმა უდიდესმა ტრავმამ, რაც აღა-მაჰმად-ხანის თბილისში შემოსევისას განიცადა მისმა ოჯახმა, გააჩინა მასში ეს გრძნობა. ქაიხოსრო ბავშვობის სახელს იასესაც კი ივინყებს და ცდილობს, დევნის ის სურათი წაშალოს, მაგრამ ცნობიერებაში ღრმად ილექტება იგი და მთელი სიცოცხლე კოშმარად სდევს თან. იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მთლიანად თრგუნავს პიროვნებას და, ფაქტობრივად, მის ფსიქიკას აავადებს. შიშიც ამ დაავადებული ფსიკის ნაყოფია. ქაიხოსრო გამუდმებით ცდილობს იმის შენარჩუნებას, რასაც ოთხი წლის ასაკში ართმევდენენ, ანუ სიცოხლის. ამ შემთხვევაში პათოლოგიასთან გვაქვს საქმე, როცა პიროვნებას მუდმივად ეშინია მისი დაკარგვისა და საამისო მიზეზებს ეძებს გარემოში. ქაიხოსროს შიშის გრძნობით დათრგუნულ ცნობიერებას სიცოცხლის ყოველი ეტაპიდან გამოაქვს რაღაც, რაც სტრესის მიზეზად ევლინება. ამის გამო მუდმივად დაძაბულია და მუდმივად ცდილობს თავდაცვას. ქაიხოსროს ერთადერთი საზრუნავი არის ფიზიკური გადარჩენისთვის ზრუნვა და მის მიერ შექმნილი შეზღუდული სივრცეც ამას ემსახურება. მეორე გრძნობ, რაც შიშთან ერთად არ ტოვებს ქაიხოსროს, არის მარტობა. იგი თანდათანობით ძლიერდება და გალავანს მიღმა ჩასაფრებული შიშით ატანილი მაიორს იმაშიც ეპარება ეჭვი, არსებობს თუ არა ქაიხოსრო მაკაბელი და და ეს პიროვნება ნამდვილად თვითონ არის თუ არა. ამგვარი ეგზისტენციალური არამდგრადობა რომანში იდენტობის ამ სახის კრიზისზეც მიგვანიშნებს. ეგზისტენციის მერყეობას ბევრი მიზეზი აქვს: ქაიხოსრო არ არის არც მაიორი და არც მაკაბელი, მისი არ არის არ ის ბრჭყვიალაპოლეტებიანი მუნდირი, რითაც ის ამაყობს, არც ფუძე, სადაც დასახლდა, არც სახლი, არც ცოლი. ქაიხოსრომ ეს ყველაფერი მიისაკუთრა ისე, რომ არც კი დაფიქრებულა პქონდა თუ არა ამის უფლება.

ფსიქოლოგიალური იდენტობის კრიზისი საბოლოოდ ისეთ სიმაღლეზე ადის, რომ ქაიხოსროს უკვე ყველასა და ყველაფერში ეპარება ეჭვი, საკუთარი თავის ჩათვლით. მისი თქმით ეს უძველესი ეჭვი ყველაფრისადმი კაცობრიობას დასაბამიდან მოჰყვება და წვალებს. ამ ხაზს კიდევ უფრო აძლიე-

რებს ბიბლიური კაენის გზათა საერთოობა.

ანა ბუნებით არ არის მებრძოლი პიროვნება, მასში მხოლოდ ქალი ცხოვრობს, ამიტომ ბრძოლა ნებისმიერი სახით მისთვის წარმოუდგენელია. მას არ აქვს ერთი კონკრეტული მდგომარეობა, ერთი მყარი, ფიქსირებული პოზიცია, ნეგატიური იქნება ეს თუ-პოზიტიური. ანას ცხოვრებაში სულ რამ-დენჯერ, მაგრამ იყო მომენტი, როცა საკუთარი თავიიგრძნო როგორც პიროვნება. ეს მოხდა ექიმ ჯანდიერთან შეხვედრის რამდენიმე შეხვედრისას. ექიმი ანაზე დაკვირვებისას ხვდება, რომ უზომო სიკეთის გაცემა ისევე აუძლურიბს ადამიანს შინაგანად, როგორც ამ უზომო სიკეთის მიმთვისებელი ძლიერდება ბოროტებამდე. ანას სწორედ თავისი უზომო სიკეთე ულის ხელს პიროვნული იდენტობის პოვნაში, ხოლო ქაიხოსროს-ანას მიერ გაცემული სიკეთის მითვისება. ანა თავისი ბუნებით გამცემია, ქაიხოსრო- მიმთვისებელი.

განსაკუთრებით მტკიცენულად განიცდის ფსიქოსოციალური იდენტიფიკაცის კრიზისს ალექსანდრე. მას ოჯახს ატოვებინებს ის შეგრძნება, რომ ზედმეტია, არავის სჭირდება და მის მიმართ უბრალოდ სიბრალულს გრძნობენ. იგი კარგავს პიროვნულ იდენტობას და მთელი ცხოვრება მის ძიებაში ატარებს. ალექსანდრეს ამ განცდებს უმძაფრებს და აბოროტებს საკუთარი ფიზიკური ნაკლი, რაც მისი ძმის ფიზიკური სრულყოფილების ფონზე კიდევ უფრო აშკარად შესამჩნევია. ალექსანდრე რეალურ, დაუნდობელ ცხოვრებასთან აღმოჩნდება პირისპი, მაგრამ გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენის შემდეგაც კი ხვდება, რომ რაღაც აკლია. პირველი ვინც საკუთარი თავის პოვნისენ უთიტებს, არის ანა. ანამ მიუთითა შეილს, რომ გადარჩენა ბოროტებას არ შუძლია, ბოროტებასმ მხოლოდ შეიძლება დაგლუპოს, გადარცენ კი არდავიწყება, სიყვარული და პატიებაა. საბოლოოდ, ალექსანდრეში სწორედ კეთილი საწყისი იმარჯვებს და იგი უბრუნდება ცხოვრებას, თუმცა ამის გაცნობიერებამდე უამრავი ფიზიკური თუ სულიერი სატკივარის გადატან უწევს. ალექსანდრეს ბუნების ამ ნეგატიურმა გამოვლინებებს წერტილი დაუსვა ყველაზე დიდმა უზნეობამ, ეს იყო საკუთარი პაპის გვამის მოპარვა, ჯორზე შესმ და სოფელში ჩამოტარება. იგი დარწმუნებული იყო, რომ აით ბავშვობიდან შელახულ თავმოყვარეობას დააკმაყოფილებდა მაგრამ მსგავსიც ვერაფერი იგრძნო. სწორემ ამ დღიდან იწყება მისი სიკეთისენ შემობრუნება. იდენტიფიკაციის პოცესი სრულდება პატარა ძმისშვილის დანახვისთანავე და მომავალი ცხოვრების მიზანიც გარკვევულია. სისხლის შემაერთებელი ძალა მას არამარტო ცხოვრების აზრს კარნახობს, არამედ აპოვნინებს საკუთარ ადგილს ოჯახშიც და სამყაროშიც. თვით იდენტობის აღდგენა კი ბადებს საოცარ სიმშვიდესა და ჰარმონიას.

ფსიქოსოციალური იდენტიფიკაციის მოპოვების პროცესი რომან “მარტის მამალში” უმთავრესი პრობლემაა. ფაქტობრივად რომანი 15 წლის ბიჭის მიერ საკუთარი თავის ძიებისა პოვნას ასახავს. ნიკო სწორედ იმ პერიოდში დააშორეს მშობლებს, მშობლიუ ქალაქს, სკოლას და თანატოლებს როცა პიროვნულად ყალიბდებოდა. მის ფსიქიკაში თავს ჩენს უველა ის თვისება რაც დამახასიათებელია მოზარდობის ასაკისთვის. სიღნაღში ყველაფერი მშობლიურისგან შორს უჭირს საკუარი თავის პოვნა და პიროვნების რეალიზაცია. მას აკლია ყველაფერი, განსაკუთრებით კი მშობლებიდა ელენიცა-გოგო, რომელიც ბათუმში დატოვა და რომელთნაც პირველად განიცადა თბილი გრძნობები. ეს ყველაფერი ნიკოს იდენტიფიკაციის პროცესში ეღლობება. მეორე უნიშვნელოვანესი რამ, რაც იდენტობის მოპოვებაში უშლის ხელს არის შიში. ფსიქიკის ამოყალიბებაში შიში ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ნიკოსთვის გოგიას ცხოვრების წესი, ფიქრები დმაისწრაფებები, სრულიად უცხოა. კაცის-კვლა, რაც გოგიას საამაყოდ მიაჩნია მისთვის საშინელი დანაშაულული და ცოდვაა. ამიტომ მის ფსიქიკაში ყალიბდება შიში შეუბრალებელი თანატოლისადმი. კიდევ ერთ ბარიერი, რაც ნიკოს ხელს უშლის არის დაეჭვება საკუთარ ძალებში. მას არ შეუძლია საკუთარი ცნობიერების დადგენა და საკუთარი თავის, როგორც პიროვნების რეალიზაცია. ამგვარ გაურკვევლობაში ყოფნას როგორც ავღნიშეთ ბევრი რამ უწყობს ხელს: უმამობა, უდედობა, ხიზნობა, პაპის გაქცევა, მამის წაქცევა და გოგიასანირების მიმართ შიში, თუმცა ამ ყველაფერის მიუხედავად და იმ სტრესისა რასაც ი განიცდის, კი არ ნებდება თავსდატებილ ამდენუბედურებას, არამედ ცდილობს მათ დაძლევას და თავის დახსნას. ნიკოს იდი დახმარებას უწევს და სწორ ორიენტაციას აძლევს ვანო მასწავლებელი. არაც-

ნობიერი სამყაროდან გამოჰყავს ბავშვი, საკუთარი ცხოვრების შეფასებისაკენ უბიძგებს და მომავლის იმედს ჩაუსახავს. ნიკოსთვის იმის გაცნობიერება, რომ სიღნაღი მისი “თავშეფარია” (თურქულად) დიდ ძალას აძლევს. იგი აცნობიერებს, რომ თავშესაფარი, რომელსაც ნებისმიერი მისნაირი ადამიანი ეძებს ამქვეყნად, მას უკვე აქვს. იგი ღია ცისქვეშ კი არ დატოვა განგებამ, არამედ იქ მიიყვანა, საიდანაც საკუთარი არსის ძიების პროცესი უნდა დაიწყოს. თავშესაფარი დროებითი ადგილია, სადაც ექსტრემალურ ვითარებაში მყოფი ადამიანი ჩერდება სიცოცხლის გადასარჩენად. ფიზიკურად გადარჩენილი კი უკვე სულიერი ფასეულობების გადარჩენაზე იწყებს ფიქრსა და გაანალიზებას. მშობლიურ გარემოსა და მშობლებს მოშორებულმა უნდა შეძლოს და იპოვოს საკუთარი თავი ამ უცხო გარემოში, რათა ძლიერი და იდენტობამობოვებული დაბრუნდეს ბათუმში.

თვითიდენტიფიკაციის პროცესში ნიკოს მნიშნელოვნად ეხმარება მამის ის საქციელი, როცა მამი თვად ამბობს უარს თვითმკვლელობაზე და ფანჯრიდან გადასახტომად მისული უკანვ ბრუნდება: “შვილს ვერ ვუღალატებო”. მამის გმირობა - უარის თქმა მტანჯველი ცხოვრების დასასრულზე - არის არა მარტო სულიერ, არამედ უდიდესი ფიზიკური ძალის მომცემი შვილისთვის. იგი აცნობიერებს, იმ ფაქტს, რომ მამამ მისი გულისთვის გაიგრძელა ცხოვრება, რომლისგანაც ტანჯვის მეტს ვერაფერს იღებდა. მამის მიერ გადატანილი განსაცდელი, ანუ სულიერი განწმენდა ფიზიკური ტკივილის გზით, ეხმარება შვილს განსაცდელის შემსუბუქებაში.

იდენტიფიკაციის კრიზისი ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა “აველუმშიც”. იდენტობა გარკვეული სოციალური მექანიზმების კომპლექსია, რომელთა დადებითად გადაჭრის შემთხვევაში მიიღება დადებითი იდენტიფიკაცია. “აველუმში” ერთ-ერთი პრობლემა დაღლილი ადამიანის პრობლემაცაა. ცხოვრებასთან ბრძოლით დაღლილი ადამიანი, მორალურ-ზნებრივი ნორმებიდან თავის დაღწევას ცდილობს. ადამიანობა რთულია, ცხოველობა კი ადვილი. ადამიანობას ბრძოლა სჭირდება, დაცვა, პასუხიმგებლობა, ცხოველობას-არა. ადამიანობისთვის ბრძოლა იგივე იდენტობისთვის ბრძოლაა, რაც არც ისე ადვილია და დაღლილი ადამიანიც ადვილად ნებდება. მთვარი გადარჩენაა, სხვას თუ გაადაარჩენ, შენი თავიც გადაგირჩენა. ადამიანებთან ურთიერთობით, მათი გაგებით, დახმარებით და შემწეობით ხერხდება გაადამიანება, იდენტიფიკაცია. (“გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი”). აველუმი ყველას გადარჩენას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს. თუმცა ყველაზე მნიშნელოვანი, რომლის გარეშეც ყველაფერი აზრს კარგავს და პირველ რიგში მის გადარცენაზე უნდა აიფიქროს ადამიანმა -სიყვარულია. სწორედ იგია ადამიანის მთავარი საზომი.

აველუმი განიცდის პიროვნული თავისუფლების კრიზისს. ეს არ არის უცნაური, თუ იმ სივრცეს გავითვალისწინებთ, რომელშიაც იგი ცხოვრობს - “ბოროტების იმპერია”. აველუმი გვიან მაგრამ მაინც აღწევს თავს კრიზისს. გვიან ხვდება თავის ყველა შეცდომას, მხოლოდ სიკვდილის წინ იბრუნებს იდენტობას მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ აღწევს მიზანს. იგი მთელი სიცოცხლე ცდილობდა ვიდაცის გადარჩენას და ეს მხოლოდ სიკვდილის წინ შეძლო, რაც მთვარია, ხომ შეძლო და ამით იდენტობის კრიზისს მოუღო ბოლო.

მე ვეცადე, რაც შეიძლება ნათლად წარმომეჩინა ოთარ ჭილაძის რომანების ზოგიერთი გმირის შინაგანი სულიერი სამყარო, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ჭიდილი საკუთარ თავთან, შიშთან და ბოროტებასთან. ხშირ შემთხვევაში პერსონაჟები ახერხებ ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვას, პოულობენ და იბრუნებენ ცხოვრების საზრს, რაც თავისითავად ეხმარება მათ საკუთარი თავის იდენტიფიკაციაში, თუმცა შევხდით რამდენიმე პერსონაჟს, რომელთაც ეს ვერ მოახერხეს, ვერ დაძლიერ ის სისუსტეები, რომლებმაც ნებით თუ უნებლიერ მათ ცხოვრებაში დაიდეს ბინა, ამ ყველაფერში საკუთარი როლი ყველაფერს აქვს, აღზრდას, მშობლებს, გარემოს(პოლიტიკურს, სოციალურს, საზოგადოებრივს). განსაკუთრებით რთულია იმ გრძნობების დათრგუნვა, რომელიც ძალიან მცირე ასაკიდან ჩნდება ადამიანის ფსიქიკაში, იგი უკვე მთელ დარჩენილ სიცოცხლეს განსაზღვრავს.

### ლიტერატურა:

1. ა. ნიკოლეიშვილი - ოთარ ჭილაძე; თბილისი 2002.
2. ა. ნემსაძე - სოციალური იდენტიფიკაცია ოთარ ჭილაძის რომანებში; თბილისი 2009.

**ლილი ნონიაშვილი, ნინო ყაველაშვილი**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო მინდიაშვილი

## სიკვდილის პარადიგმა ლეო ეიაჩელის ნოველი

ადამიანი ხშირად საზოგადო იდეალების სამსახურისათვის საკუთარი ნებით ირჩევს მშფოთვარე და დრამატულ ცხოვრებას. სწორედ ასეთი ადამიანი იყო ლეო ქიაჩელი, რომელმაც სხვა მნიშვნელოვან ნაწარმოებებთან ერთად დაგვიტოვა დ „ალმასგირ კიბულან“, „თავადის ქალი მაია“ და „ჰაკიდაძება“, – სამი მოთხოვბა, სამი მარგალიტი, რომელიც ძვირფასი თვლებივით ამშვენებს მის შემოქმედებასაც და საერთოდ, ქართულ მწერლობასაც. ეს სამი ნაწარმოები ერთდროულად იქნა გამოქვეყნებული. მათ შემდგომ კიდევ არაერთი შედევრი შექმნა ლეო ქიაჩელმა, მაგრამ დასახელებული ნაშრომები რჩება მისი ნოველისტიკის მწვერვალად და განსაკუთრებულ შედევრად.

თითოეული მათგანი სავსეა ტრაგიზმით, სადაც მძიმე სოციალურ ფონზე სხვადასხვა მიზეზით ნაწარმოების გმირები მიდიან სუიციდამდე. საერთოა ის, რომ ყველა ილუპება ზღვაში დ ეს მინიშნებაა მწერლის მხრიდან, წყალი ხომ განწმენდის საშუალებაა და მისი გმირებიც წყალში განიშნინდებიან მძიმე ცოდვებისაგან.

განწმენდის თემატიკა ძალიან მნიშვნელოვანია. დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე წერს: „ზოგადად უნდა ითქვას, რომ ჩვენი სამყაროს ოთხი სტიქიდან წყალს, ალბათ უმთავრესი ადგილი უკავია როგორც რაოდენობრივად, ასევე მნიშვნელობითაც. ადამიანის სხეულის უმეტესი ნაწილიც (70%) ხომ წყლისგან შედგება.

რაც შეეხება წყლის თვისებას, მან სხვა დატვირთვა მიიღო მას შემდეგ, რაც უფალი ჩვენი იესო ქრისტე ჩავიდა წყალში მოსანათლად. როგორც ვიცით, უფალმა თავმდაბლობითნათელ იღო იოანე ნათლისმცემლის მიერ, თუმცა მას ეს ნათლობა არ ესაჭიროებოდა, პირიქით, მაცხოვარი კი არ მონათლა იოანემ, არამედ მაცხოვრის წყალში ჩასვლით განიშნინდა და განინათლაყოველივე ამქვეყნიური და იმქვეყნიური. სწორედ იმ დროს ჩაინერგა წყალში ღვთიური მადლი, რის შედეგადაც წყალი სრულიად განიშნინდა. ასეთი განწმენდილი წყალი დაედო ზღვრად ძველსა და ახალ აღთქმას და სწორედ ამ წყლით მოხდა კაცის ბუნების განახლება დ პირველქმნილი ადამის ცოდვისაგან გამოხსნა.

სახარებაში ვკითხულობთ: „უკეთუ ვინმე არ იშვეს წყლისგან და სულისა, ვერ ხელენიფების შესვლა სასუფეველსა დავთისასა“, ანუ ვინც არ ინათლება ისე, როგორც ეს მაცხოვარმა დააწესა, წყლითა და მირონით, რომელიც სულინმინდის მადლის მატარებელია, ვერ შევა ცათა სასუფეველში.

წყლის სიმბოლიკა ძველთუძველესია. ჰერაკლიტეს მიაწერენ ცნობილ გამოთქმას „ყველაფერი მდინარებს“.

იოანე დამასკელი ბასილი დიდის „ექვსთა დღეთაი“ დზე დაყრდნობი, წყალს განმარტავს, როგორც „შთალმართმავალს“ საპირისპიროდ „უზეამავლესი“ ცეცხლისა.

ყოფიერების მედინობაში ბუნდოვნად ირეკლება მარადიული, ტრანსცენდენტური. წყლისპერმანენტული, უწყვეტი დინება სიმბოლოა დროის ულმობელი მდინარებისა.

ქართული სასულიერო პოეზიის საგანძურში მოგვეპოვება ლექსი დ „სოფლისა ზღვაიაღძრულ არს“, რომელსაც პავლე ინგოროვა გრიგოლ ხანძთელის ნაწარმოებად, მკვლევარნი კი ბერძნულიდან თარგმნილად მიიჩნევს:

„სოფლისა ზღვაი აღძრულ არს,  
ღელვითა ცოდვისაითა,  
საშინლად დამნთქამს მე და  
მოვილტვი შენდა ნავთსაყუდელისა  
და ესრეთ გიღაღადებს:

დანთქმისგან მიხსენ მე,  
მრავალმოწყვალე ქალწულო დედოფალო“...

საწუთროს ზღვაზე ოდენ უფალი ვიდოდა...

ახალ ალტექმაში, გამოცხადებაში წერია: „, მიჩვენა სიცოცხლის წყლის მდინარე, ბროლივით ჭვირვალი, რომელიც ღვთისა და კრავის ტახტიდან მოედინებოდა.

მისი ქუჩის შუაგულში მდინარის გაღმადგამოღმა სიცოცხლის ხეა, რომელიც ისხამს თორმეტ ნაყოფს, ყოველ თვეში იძლევა თავის ნაყოფს, ხოლო ხის ფოთლები ხალხის განსაკურნავადაა.

დაწყევლილი არაფერი აღარ იქნება, ღვთისა და კრავის ტახტი იქნება მასში და მისი მსახურები მიემსახურებიან მას.

იხილავენ მას და მისი სახელი შუბლზე ეწერებათ.

ლამე აღარ იქნება და აღარ დასჭირდებათ არც სასანთლის შუქი და აღარც მზის ნათელი, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუნათებს მათ და იმეფებენ უკუნითი უკუნისამდე.

„ნეტარნი არიან, რომლებიც რეცხავენ თავიანთ სამოსელს, რომ ჰქონდეთ უფლება სიცოცხლის ხეზე და კარიბჭით შევიდნენ ქალაქში“.

„როცა არაწმინდა სული გამოდის ადამიანიდან, დადის უწყლო ადგილებში სიმშვიდის საძებნელად და ვერ პოულობს“.

გრიგოლ რობაქიძე წყლის შესახებ წერს: „ურკვევი ელემენტი, რომელიც რკვევაშია და ცინცხალი, არსად ეპიგონური, არსად პლაგიატი. ლივლივა ტალღებში მარადი თრთოლა... რაღაც უბოლოო, დაუსრულებელი, საცა იკარგებანაპირი და მასთან ერთად, ინტერება პირი. ზღვა და ბუნების უპიროვნო ელემენტი, ბნელი, ძალუმი, პირველი ქაოსის ატევრილი ტანი“... სადაფში გაჩენილა ზღვის სუნთქვა...

და სწორედ ზღვაა, წყალია დასასრული ლეო ქიაჩელის ნოველებისა, რომლებშიც მთავარი გმირები „უწყვეტ მდინარებაში“ იკარგებიან. „ჰავი აძბაში“, „ალმასგირ კიბულანსა“ და თავადის ქალ მაიაში“ სხვადასხვა სიტუაცია მოცემული, თუმცადა სამივეს დასასრული სიკვდილია, სიცოცხლის დასრულება უკვდავ მედინობაში.

ოდნავ დარწეული ლურჯი ზღვის ზედაპირზე ქოჩრები აიშალნენ და რაზმებად დაწყობილნი ნელი შუილით ნაპირს მოაწყდნენ. სადაფის შუბები აღმართეს და გარემო ლურჯი თვალებით დაზვერეს და ვინ არის აქ ისეთი, ვინც აღარ უნდა იყვეს? და სვამს კითხვას ავტორი ზღვის საშუალებით.

საწუთროულ ზღვაში ეკლესია მხსნელი ხომალდი. მართლმადიდებლური ტაძარი სიმბოლურად ხომალდს გამოხატავს, რომელმაც საწუთროს მშფოთვარე ზღვაში ადამიანი ნავთსაყუდელთან უნდა მიიყვანოს“.

თუ გავიხსენებთ ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიას, ნახსენებია ფრიად საგულისხმო ფაქტი, როდესაც ეგნატე ანბანის სწავლას იწყებდა, მამიდამ ლელის პირას ნაიყვანა, ფეხები წყალში ჩაადგმევინა და ხელთ ქაღალდის ნაგლეჯზე ჩამონერილი ანბანი მისცა. როგორც ჩანს წყალთან დაკავშირებული რიტუალი ნინათ სავალდებულო ყოფილა. წყალი ხომ მითოლოგიურად განახლებას, განწმენდას, ახლად შობას უკავშირდება. ეს არის ადამიანის ახლად შობა, ნათლად შემოსვლის გრძელი გზის სათავე. სწორედ ეს ყველაფერია ჩადებული ლეო ქიაჩელის ნოველებში, იგი სიტყვის მშვენიერი პლასტიკით, მხატვრული სიტყვიერი ქსოვილის ორნამენტაციით და როგორც შინაარსობრივად, ისე გარეგნული ეფექტის მიღწევით ქმნის ისეთ საოცარ ნანარმოებებს, როგორიცაა „ალმასგირ კიბულან“, „თავადის ქალი მაია“ და „ჰავი აძბა“. თითოეული მათგანი განმსჭვალულია უდიდესი ტრაგიზმით, მათი მთავარი გმირები სიცოცხლის ზღვაში ასრულებენ და ამით ავტორი ცდილობს მიგვანიშნოს მათ სულიერ განწმენდაზედ „ხორცი ზღვას მიაპარეს, სული ზეცას.“

ნოველა „თავადის ქალი მაია“ დაკავშირებულია სიკვდილის ზოგად ასპექტთან, სადაც ორიგინალურადაა წარმოჩენილი მზარდისა და წარმავალის დაპირისპირება. ზღვაში შესული ის სიღრმეს

ეძებს: „დაბრუნდი დაფი, თავსაკრავი მომირშენინე ახლავე, როგორ გაბედე და დაგავიწყდა... შეშინებული დაფინო სწრაფად წავიდა ნაპირისაკენ, აჩქარებისგან ფეხი ეშლებოდა, წყალსაც ვერ სჭრიდა.

როცა ნაპირს მიაღწია უკან მოუხედავად გაიქცა, სადაც მაისა ტანსაცმელი ეწყო. დასტაცა ხელი თავსაკრავს და უმაღვე ისევ უკან დაბრუნდა. გაიხედა:

აღარსად იყო თავადის ქალი მაია...

„ალმასგირ კიბულანში“ კი კარგად ვგრძნობთ „შავი ზღვის ნელ სუნთქვას ზაფხულის მიწურულში, ლურჯი ქარგები სამეგრელოს ნაპირებისა და მიბნედილი სიმშვიდე შორეული ჰორიზონტების“... და თითქოს ზღვამ აირეკლა თითოეული სურათი ასახვის ობიექტისა, გაიზიარა ტრაგედია შვილმკვდარი მამისა – „აქაფებული ჩანჩქერები შმაგი სრბოლვით უფსკრულისაკენ დაექანებინა, ღვარ აღვსილო სუბერჭალა გაეინგურებინა“. ჭეშმარიტად ტიტანური ძალით აქუხებულა მამის გული, ტრაგედიის ზენიტში მყოფი ალმასგირი ველარაფერს ამჩნევს...

„გივერგიოლ“, და არაა დამიანური გახარებით შესძახა ალმასგირმა, მძიმე ტანი აიმჩატა, ჰაერში შემართული ხელების დიდრონი, კაუჭა თითები მოლანდებული შვილისკენ გაიშვირა, წყალი შეაპო და ზღვაში შეიჭრა.

მაგრამ მას ზღვა არ უგრძენია.

და არც სიკვდილი უგრძენია სიკვდილის წინ, რადგანაც თვალგახელილი შვილის მომლიმარი სახე თვალთაგან არ მოშორებია.

მიუხედავად გმირის დაღუპვისა იმარჯვებს სიცოცხლის უწყვეტობის ძლევამოსილი წინსვლის იდეა.

მწერალი თავის ნაწარმოებებში იღებს წყლის ტრადიციულ პარადიგმას და განათლავს მათ. ეს არის სიკვდილითა სიკვდილისა დათრგუნვა, რომელიც კარგად ჩანს „ჰაკი აძბაში“. როდესაც უჯუშემხას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ჰაკი ცდილობდა მის გადარჩენას, დანაშაული თითონ დაიბრალა, ხოლო რაც შეეხება ჰაკი აძბას მიმართ სასიკვდილო განაჩენის გამოტანას, რევოლუციური სიმკაცრის მაგალითია. ჰაკიმ როდესაც დაინახა, რომ ძიძიშვილს უკლავდნენ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, შეეწინააღმდეგა, მაგრამ... განაჩენი გამოტანილი იყო. უჯუში მოკლეს. ჰაკიმ ამ უსამართლობას პროტესტი გამოუხატა, უსამართლო ქვეყანაზე ცხოვრებას სიკვდილი არჩია და ათავი მოიკლა. მისი სხეული ზღვის ტალღებს შეუერთდა, მისი სული კი გამარჯვებული დაჰყურებს დამარცხებულ საზოგადოებას.

დაასრულეს სიცოცხლეუამრავი ცოდვით სავსე გმირებმა, ყველას თავისი ჯვარი ჰქონდა საზიდი, საბოლოოდ კი უარს ამბობენ ღვთისგან ნაბოძებ სიცოცხლეზე, უერთდებიან ზღვას ფიზიკურად და ზეცას სულიერად... ზღვაში სიცოცხლის დასრულება ლეო ქიაჩელის ოპტიმისტური განწყობის მატარებელია, რომ მიუხედავად მძიმე ცოდვებისა, ისინი იმქვეყნად განწმენდილი იქნებიან ამქვეყნიური ჭუჭყისაგან...

## ქეთევან მეგრელიშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი; ნანა კუცია

### ყოფილობის საზრისის პროგლემა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

ცნობილი მწერალი, კინორეჟისორი, სცენარისტი გოდერძი ჩოხელი, დაიბადა 1954 წლის 2 ოქტომბერს დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში. როდესაც პირველად წავიკითხე მისი ბიოგრაფია, განსაკუთრებით დამამახსოვრდა და ჩამაფიქრა იმ ფაქტზე, რომ გოდერძი ჩოხელის დაბადებაც კი ამქვეყნად ძალიან განსხვავებული და საოცარი იყო. განსხვავებულში იმას ვგულისხმობ, რომ იმ დღეს, როდესაც იგი უნდა მოვლინებულიყო ქვეყნიერებას დედა მთაში წასულა თავის მშობლებთან, თუმცა ადგილამდე ვერ მიუღწევია და მომავალი გენიოსი გზაში დაბადებულა. იმის გამო, რომ მათ ლამის გასათევი არსად ჰქონდათ, ის დამე გომურში გაათიეს. შემთხვევით არაფერი ხდება ამქვეყნად. უფალმა ინება, რომ გოდერძი ჩოხელის დაბადება ქრისტეს დაბადებას მიმსგავსებოდა. მართლაც, ერთი შეხედვით უბრალო, არაფრის მქონე მთის მკვიდრი გოდერძი ჩოხელი მთელმა მსოფლიომ აღიარა მისი ზებუნებრივი ნიჭის წყალობით.

სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ, ქართველებმა ვერ დავაფასეთ, ვერ ვუმკურნელეთ მის ტკივილებს. ეს საოცარი ადამიანი ჩვენთან ერთად არსებობდა, ტკიოდა, განიცდიდა, უყვერდა, წერდა, შედევრებს ქმნიდა, ხოლო ჩვენ ის მას შემდეგ აღმოვაჩინეთ, რაც სამუდამოდ გაჩერდა მისი სამშობლოს ტკივილებით დაწყლულებული, ნავადმყოფარი გულისცემა. გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ყველაზე მიმზიდველი და ძვირფასი, ჩემი აზრით, იმიტომაა, რომ მისი ყოველი ნაწარმოები დაგვაფიქრებს ყველაზე მნიშვნელოვანზე, ყოფიერების საზრისის პრობლემაზე.

მინდა შემოგთავაზოთ მისი ერთ-ერთი ყველაზე საოცარი ნოველის „ვარდისფერი კაცის“, ჩემეული ხედვა. ეს გოდერძი ჩოხელის ის ნაწარმოებია, რომლის ხორცშესხმა და ფილმად გადაღება ვერ შეძლო, მიუხედავად დიდი სურვილისა. „ვარდისფერი კაცი“ საოცარი ნოველა იმიტომაა, რომ მას ძალიან ღრმა და იგაური მნიშვნელობა ააქვს. ნოველის არსს და მის მთავარ პერსონაჟს თუ დავაკვირდებით, უთუოდ მწერლის სახეს დავინახავთ. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ ნაწარმოები იწყება სიტყვა „ფერისცვალებით,, . ავტორი აღნერს შემოდგომის სურათს, ამ დროს ხომ ფერს იცვლის ბუნება და საოცარი სილამაზის მხილველი ვხდებით, მაგრამ ეს პერიოდი ყველაზე მნიშვნელოვანი იმითაა, რომ არ დროს ადამიანები მთელი წლის ნაშრომს იმკიან და პარალელურად ცივ და დაუნდობელ ზამთართან შესახვედრად ემზადებიან. ადამიანების მიერ მთელი წლის ნაშრომის მომკითა და დაუნდობელ ზამთართან შეგებებით, მწერალს იმის თქმა სურს, რომ ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მის მიერ განეული ღვანლით, საბოლოოდ ზამთარს ანუ „სიკვდილს“, უნდა შეეგებოს. სიკვდილს, რომელიც მის მარადიულ გაქრობას ლამობს, მაგრამ ადამიანი ღვთის მსგავსად და ხატად შქმნილი სწორედ იმიტომაა, რომ მასში არსებობს პოტენციალი სულიერი ძალის მოპოვებისა, რომლის მეშვეობით იგი უნდა დაუპირისპირდეს თავისი არსის სამუდამოდ გაქრობას და მარადიულ არსებობაში გარდაიცვალოს.

რაც შეეხება უშუალოდ ფერისცვალების მნიშვნელობას, ამ უდიდეს დღესასწაულში უდიდესი საიდუმლოა დამარხული. გოდერძი ჩოხელი ღრმა სწორედ იმიტომაა, რომ იგი ყოველთვის ცდილობს არამარტო ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს მკითხველს, არამედ სულიერადაც აამაღლოს იგი. ფერისცვალება ქრისტიანული თვალთახედვით ნიშნავს ღვთიური ძალის გამოვლინებას. ფერისცვალების დროს ქროსტემ თავისი ღვთიური სახე დაანახა თავის მოწაფეებს, როდესაც ისინი თაბორის მთაზე აიყვანა, ხოლო წმინდა მამები „, ფერისცვალებას „, მოიაზრებენ, როგონც სასუფეველს ღვთისას, რომელიც მოდის ძალაში არა ქვეყნიერების ბოლოს, არამედ ამქვეყნიურ ჟამთას-

ვლაში. ფერისცვალების ხილვა ანუ სასუფევლის დადგომა თაბორის მთაზე დროებითი იყო უფლის მოციქულთათვის, რადგან ისინი ამის შემდეგ, თავიაანთი თვალით ნანახი სასუფევლიდან უნდა დაბრუნებულიყვნენ ამა სოფელს. მათ უნდა გაევლოთ კიდევ უამრავი გასაჭირი, თაბორის მთიდან უნდა ჩამოსულიყვნენ და ასულიყვნენ გოლგოთის მთაზე. ეს იგავური მნიშვნელობა „ვარდისფერ კაცში“ ამგვარადაა წარმოდგენილი. წანარმოებში მოციქულების ნაცვლად გამოყვანილნი არიან ქალები, რომლებიც მოუთმენლად ელიან ვიღაცის გამოჩენას. ისმის კითხვა: რატომ მაინცდამაინც ქალები? იმიტომ, რომ უფალს ჯვარცმისას, სწორედ მენელსაცხებლე დედები ედგნენ გვერდში და არაფრის დიდებით ტოვებდნენ მას, არ ეშინოდათ სიკვდილის. უფლის ტკივილებით გულშეძრულთ ზღვა ცრემლი დაენთხიათ ჯვარზე გაერული მაცხოვრის წინაშე. ამიტომ გამოიყვანა ავტორმა ქალები „ვარდისფერ კაცში“, სწორედ იმ განსხვავებული და საოცარი კაცის გულშემატკივრად რომლის გამოჩენასაც დიდი სასოებით ელოდნენ მთის მკვიდრი მანდილოსნები. საოცარია მათი მოლოდინის სიმძაფრე. მთის მკვიდრი მანდილოსნების მოლიდინი, უფლის აღდგომის ხილვის მოლოდინს ჰგავს, რომლითაც მან გვანუგება და გვიხსნა მარადიული სიკვდილისაგან. როგორი უანგარო სიყვარულითაც შეიყვარეს მენელსაცხებლე დედებმა უფალი, ამგვარი სიყვარულით გამსჭვალული არიან მანდილოსნები ამბროსის მიმართ, რომელიც მათ ცხოვრებას სხვადასხვა ფერებით ალამაზებს.

გოდერძი ჩოხელი არა მარტო ღრმა მოაზროვნეა, არამედ იგი ფერწერ ხელოვნადაც გვევლინება. მის შემოქმედებაში ფერთა ულევი რაოდენობაა. იმ ფერებს, რომლებიც „ვარდისფერ კაცშია“ გამოყენებული, ჩემი აზრით, ქრისტიანული ახსნა აქვს. სანამ უშუალოდ ფერთა ქრისტიანულ სიმბოლიკაზე ვისაუბრებდეთ, გვინდა ყურადღება გავამახვილო ზოგადად ფერის მნიშვნელობაზე. ადამიანის თვალთან ერთად ფერი არის ის პირველმობილი მოვლენა, რომელიც უშუალოდ ღმერთს უკავშირდება. რაც შეეხება უშუალოდ სიტყვას „ფერი“ მისი ყველაზე ღრმა მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი რაღაცის არსს, არსებას გამოხატავს. ქართულ ენაში „feri“ უცნაურ სიტყვად აღიქმება, რადგვან იგი ბევრი სიტყვის ნაწილია. ესენია: არაფერი, ნურაფერი, ყველაფერი, სხვაფერი და სხვა. ანუ ყველა ეს ცნება „არ არსებობა“ ქართულში არის არაფერი, არა-რა, არამყოფობა. ამგვარად, ქართული ფერიც არის არსი, არსება, თვით საგანი და მოვლენა. რაც შეეხება ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში დამკვიდრებულ ფერთა სიმბოლიკას, მათი მნიშვნელობა ასეთია: შავი-იდუმლების, შეუღწეველი ღვთაებრიობის სიმბოლოა, ლურჯი-საღმრთო მისწრაფებების, მწვანე-იმედისა და სასოების, ყვითელი-ზაფრანისფერი სიმბოლოა მაზიარებელთა, ისფერი- მონანიების ნიშანია, თეთრი- აბსოლუტური ღვთაებრიობის ფერთა ჯამის, ხოლო ვარდისფერი- წითლისა და თეთრის ნაზავია, რომელიც შემდეგი მნიშვნელობის მატარებელია: იგი არის სიყვარული, რომელიც ღვთაებრიობამდის მაღლდება, ეს არის უნარი, რომელიც ადამიანს ღმერთს ამსგავსებს.

ფერები, რომლითაც გოდერძი ჩოხელის „ვარდისფერმა კაცმა“ გააღმაზა მის ირგვლივ სიყვარულით თუ სიძულვილით აღსავსე ადამიანების ცხოვრება, უფლის დიად ქმედებას უკავშირდება, რომელმაც შოთა რუსთაველის თქმით უთვალავი ფერით სავსე სამყარო მოგვცა: „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, ხოლო რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ეს „ვარდისფერი კაცი“ სახელად ამბროსი, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, განასახიერებს თავად ავტორის სახესა და ცხოვრებას. ამბროსის მსგავსად გოდერძი ჩოხელიც თავისი კინოფილმებითა თუ მხატვრული წანარმოებებით გვილამაზებს ტანჯვითა და მძიმე განსაცდელებით აღსავსე ცხოვრებას. მისი ყოველი ნაწარმოები იმ თვისებებით გვავსებს, რომელიც მის მიერ დახატულ ფერებს ახასიათებთ. იგი გვამდიდრებს იმედითა და სასოებით, მისი ღვთაებრივი სიყვარულით აღსავსე სული, საღმრთო მისწრაფებების ძიებისაკენ მოგვიწოდებს, მოგვიწოდებს მონანიებისაკენ და იმ უდიდესი უნარის შეძენისაკენ, რომელიც ყველაზე მეტად ამსგავსებს ადამიანს ღმერთს. ეს უნარი სიყვარულია, რომლის შესახებ ახალი აღთქმის ერთ-ერთ წიგნში კორინთელთა მიმართ ეპისტოლები, მოციქული პავლეს პირველი წერილის, მე-13 თავის, მე-13 მუხლში ვკითხულობთ: „უფლამდის სამი გზა მიდის : რწმენის, იმედის, სიყვარულის და ამათში უპირატესი სიყვარულია“.

## ნინო ნარსაშვილი, ქეთევან ბინაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი ნანა კუცია

### ჯემალ ქარჩხაძის „იგი“

ჯემალ ქარჩხაძის პროზა ერთი მხრივ მიჰყება თხრობის ტრადიციულ ეტიკეტს, მეორე მხრივ, მკვეთრად ინდივიდუალურია, განუმეორებელია, მწერლის სტილი არ არის სქემატური. ჯ. ქარჩხაძის ნაწარმოებებს ზნეობრივი მაქსიმალიზმი და უკომპრომისობა ახასიათებს. მისი გმირები სიკეთის მადლით არიან გაჯერებულნი.

ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „იგი“ ნათლად ჩანს პიროვნების თავისუფლებისადმი სწრაფვა, ინდივიდუალობისადმი გამორჩეული მიდრეკილება, სულიერების განცდა. ნაწარმოების ძირითადი მოვლენები ეპოქის გამოხმაურებად შეიძლება ჩაითვალოს, იმ ეპოქისა, რომელშიც მწერალს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. სათაური „იგი“ თავისთავად განზოგადოებისაკენ მიგვანიშნებს. ყველაფერზე უფრო შემაძრნუნებელი ისაა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება უშორეს წარსულშია გადატანილი, საზოგადოებისა არც ყოფიერება შეცვლილა, არც ფასეულობები. ძალადობა ყოფიერების წესად რჩება. მინაწერი „პრეისტორიული მოთრობა“ კი არის ერთგვარი სიმბოლო, რომელიც მკითხველმა უნდა ამოხსნას, ნაწარმოებში დროის ფაქტორი შეჩერებულია, რასაც თავისთავად თავისი მხატვრული ფუნქცია გააჩნია „როცა ცა დღის თვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის, იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში გადაეშვება“ ნაწარმოების დასაწყისშივე მკვეთრად იგრძნობა განსხვავებული დრო. მოთხრობას ლაიტ მოტივად გასდევს ინდივიდისა და საზოგადოების, ინდივიდისა და მარადისობის ურთიერთობის პრობლემა. სამყაროს პირველადი სახე ნარმოჩენილია მეტაფორების საშუალებით. შესავალშვე ირკვევა მთავარი პერსონაჟის, იგის, დაპირისპირების ობიექტი. მოთხრობში აღწერილია იგის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც შემეცნებითი პროცესითაა მოტივირებული, რაც საკუთარ თავთან დიალოგში ვლინდება. მას შემეცნებითი პროცესი გარდაქმნის არა მარტო გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც. ტომისაგან განსხვავებულს ხდის, ცალკე ტომი დგას, ანუ საზოგადოება, ცალკე ინდივიდი ანუ იგი. საზოგადოების მეთაური ბელადი ცდილობს ჯოგისაგან განსხვავებული ინდივიდის განადგურებას. ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს იგივს ფიქრები გადმოცემა ქმნის, რაც მთხორებლის არარსებობის განცდას ბადებს. იგი, პრიმიტიული ადამიანი გარდაიქმნება მოაზროვნე ადამიანად. თავიდან აზროვნება ცალკეულ სიტუაციებზე იყო მიჯანვული, მეხსიერება სუსტი და პრიმიტიული ჰქონდა, გამოცდილება მწირი და შეზღუდული იყო, ამიტომ განსჯის უნარს იყო მოკლებული. გონებაზე მეტად განვითარებული ჰქონდა შეგრძნებები. განსაკუთრები ყნოსვისა და გემოს, რომელის ეხმარებოდა მას შეემეცნებინა სამყარო. ნაწარმოები აგებულია პარაბოლიზებული საზოგადოების აზროვნებით.

მოქმედების ფონია პირველყოფილური საზოგადოება თავისი მგლური კანონებით. ამ საზოგადოებოს ყოფიერების ერთადერთი მიზანი საკვების, მუცლისამოსაყორავის მოპოვებაა. ვაი, იმ დღეს, როდესაც სანადიროდ წასული მამრები ვერაფერს იშოვნიან! მდედრები უნდა გაიკრიფონ ტყე-ღრე, კენკრითა და ფესვებით მოიტყუოს თემმა თავი.

სწორედ, ამ პირველყოფილი ჯოგის წევრი გარდაიქმნება მოაზროვნე ადამიანად, საკუთარი ზნეობისა და ღირსების მქონდე, შემოქმედებაზე ორიენტირებულ ინდივიდად. ამ გზის გასასვლელად მან უნდა დაძლიოს განსხვავებულობის შიში, რასაც შეაძლებინებს სილამაზის აღქმისა და განცდის უნარი „მთავრის შუქის ჭვრეტით მოხიბლული იგი საბოლოოდ იმართება წელში“. ესთეტური გაუხდა გრძნობები. სულიერი კავშირის მოთოვნილენა აღემატება ფიზიკურ კავშირსას.

სილამაზის აღქმა და სიყვარული აღვიძებს იგიში ხელოვანს, შემოქმედებითი ძალა იგის დაანახებს, რომ ის არის სული და ეს სული მთელ სამყაროშია განვითარებული.

აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებში ნახსენები არ არის ღმერთი. მაგრამ არსებითად იგი ღმერთს პოულობს. ღვთაებრივი სული ამთლიანებს იგის და ობიექტურ რეალობას, მეტიც იგის, როგორც შემოქმედის სული მთელ სამყაროს ფლობს, რადგან სამყაროს შემოქმედის სულის ნაწილია.

იგი, როგორც ინდივიდი რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსით აღემატება თემს. აღემატება ღირსებით, ზნეობრით, თავისუფლების ხარისხით. გარდაქმნილი იგი წელგამართულია. სიტყვაც ემორჩილება და ხელიც-სიალასა და ქვიშაზე ადამიანთა გაცოცხლება ხელენიფება. ამ აღმატებას აღმოაჩინებს ნის სიყვარული. სიყვარულიც თავისებურია იგისთვის. მიუხედავად იმისა, რომ იგიმ უკვე შეიძინა ეთიკურ-ესთეტიკური და რელიგიური ფასეულობები, ის ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებული, ამისთვის აუცილებელია გაიღოს მსხვერპლი. ამისკენ იგის, რომელიც ბელადთან კონფლიქტისას თავის გადარჩენას ცდილობს, ქალი უბიძგებს. ნი აიძულებს გამოამჟღავნოს თავისი ჭეშმარიტი არსი. ის იგის საშიშ სიტუაციაში აყენებს, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ქალური შურისძიებით. რადგან იგიმ ნის მიმზიდველობა ჯეროვნად ვერ დააფასა. მაგრამ ამავე დროს ნის მამოძრავებელი ჯეროვნად უფრო ღრმა იმპულსები იყოს. მას სურს, იგიმ არ დათმოს და მთლიანად გამოამჟღავნოს თავისი განსხვავებულობა, სულიერება, რომელიც უკვე ხიბლავს ამ კაცში.

ნის სიყვარული, ასევე ზუს სიმპათია, იგის ღირსების აღიარება აძლევს ძალას მთავარ პერსონაჟს, ძველი ბელადის მსგავსად მტკიცედ შეეგებოს გარდაუვალ სიკვდილს. მაგრამ იგის მსხვერპლი არაა უმიზნო, უაზრო. რჩებიან ნი და ზუ, რომელთა სული უკვე კეთილად გაბზარულია, სხვივჩაღვრულია. მიუხედავად იმისა, რომ ნიც და ზუც ვერ უპირისპირდებიან ტომს, მთავარი უკვე მოხდა. არც დიდი ქარაფის მიღმაა დასასარული „იგისაგან დარჩება ის რაც იგიში იგი იყო“.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება პრეისტორიულ ხანაში ხდება, რეალურად ტექსტი იგავურ-პარაბოლური ანუ თანაბრად მიემართება ნებისმიერ სივრცესა და ეპოქას, ინდივიდისა და უნივერსუმის მარადი ურთიერთდაპირისპირება, რამაც შედეგად ჰარმონიისაკენ ლტოლვა უნდა გააჩინოს ამ მოხხრობის ქარგაცაა, კერძოდ ჯემალ ქარჩხაძე ვითომც პირველყოფილი საზოგადოების მაგალითზე გვიამბობს ყოველი სოციუმის მარადიულ დილემას-გილგამეშისა ურუქში, ოდისევსისა ითაკიდან ტროამდის და კვლავ ითაკამდის, ალუდა ქეთელაურისა-შატილის თემში, ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მარგერიტ იურსენარის ნობელაზე, „აღმოსვლური ნოველების “ციკლიდან „როგორ გადარჩა უან -ფო“.

ამ ტექსტში ჩვენთვის მნიშვნელოვანია მსოფლიო ლიტერატურისთვის უაღრესად ახლობელი და ცნობილი თემა, მბრძანებლისა და ხელოვანის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში-იმპერატორისა და მხატვრის დაპირისპირების. ყოველი ეპოქა და საზოგადოება იცნობს ამ კონფლიქტს. იურსენართანაც ისევე როგორც ქარჩხაძესთან იმპერატორის ზეობა დროებითია. იმპერატორებსა და ბელადებს შეუძლიათ ხელოვანთა და მხატვართა განადგურება მხოლოდ ფიზიკურ დონეზე, რადგან ხელოვანთაგან რჩება მარადი, საწყისი სული. „ხელოვნებაა თავად უკვდავება მხოლოდ ოსტატს ვერ ეწვევაო სიკვდილი“-ხელოვნება უძლებს დროსა და ეპოქას, თუკი ხელმწიფე გაანადგურებს უან-ფოს, ღმერთისაგან არჩეულ ინდივიდს და შეეცდება მის ფიზიკურ განადგურებას საზოგადოებას დარჩება ის რაც „იგიში იგი იყო“ ანუ შემოქმედი ცოცხლობს შემოქმედების ხანგრძლივიბით. სწორედ, ეს გამოარჩევს მოკვდავი ინდივიდისაგან ხელოვანს. უან-ფოს საკუთარი შემოქმედების გადასარჩენად სიცოცხლის დათმობა მოუწია, „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად, თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან“ „მთელ ჯანზე“ მეტი შეალია ბებერმა უან-ფომ თავის სურათებს. ხელმწიფემ დილემის წინაშე დააყენა, სიცოცხლე თუ შემოქმედება..... უან-ფომ კი უკვდავი სიცოცხლე არჩია. თუმცა კი გაუჭირდა წრფელი გრძნობების გაღვივება საკუთარ სულში, რათა ყრმობისდროინდელი გრძნობები გადაეტანა დაუმთავრებელ ტილოზე. უან-ფომ შე-

მოქმედებაც გადაარჩინა, მოწაფე ლინიც და საუკთარი თავიც. ზღვაში მოლივლივე ნავში მსხდომნი ალბათ იპოვნიდნენ სამარადებამო სიცოცხლეს. სული მოსთხოვა სურათმა დამხატველს სანაცვლოდ თავისი არსებობისა „ყველაზე კარგი სურათი იგია, რომლისთვისაც სულს მოსთხოვენ ერთ დღეს დამხატველს“ შემოქმედის განადგურება შესაძლებელია, შემოქმედისა კი არა.

სამყაროს პირველი ხელოვანი, რომელმაც სამყაროში ყოველივე შექმნა იყო მამა ღმერთი. მან დაავალა ედემის ბალში მყოფ ადამს სახელი დაერქმია გარშემო ყოველივესთვის. ამით ადამი გახადა შემოქმედი. ხელოვანი არის მამა ღმერთის გზის გამგრძელებელი. უფლისაგან ხელდასმულებს უძნელდებათ ურთიერთობა საზოგადოებასთან. საზოგადოება, რომელიც უნდა გაუფრთხილდეს მათ, ხშირ შემთხვევაში მოძალადედ გვევლინება. სწორედ, ამ საზოგადოების მეთაურები, იმპერატორი და ბელადი ჯეროვნად ვერ დაფასებენ გამორჩეულებს. ან იქნებ აფასებენ კიდეც და სწორედ, ეს ხდება მათი მტრობის მიზეზი, მაგრამ მათ შეუძლიათ იბატონონ ძალის მეშვეობი, ხელოვნება კი ნებით იმონებს მნახველს. მათ ძალუდთ აღიქვან სამყაროს ჭეშმარიტი არსი, იქნებ სწორედ იმ სამყაროს იცნობენ, რომლის დანახვაც ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავთ არ შეუძლია. ფაქტი ისაა, მათ შეუძლიათ შეიმეცნონ სამყარო, რომელიც ჩვენთვის უხილავი და ამოუცნობია.

### თინათინ შუბითიძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო მინდიაშვილი

## დათო ტურაჲვილის „ჯინეაბის თაობა“

„მე გადავცურავ ზღვას...“ მეოცე საუკუნე... საბჭოთა კავშირი დაარსების პირველივე დღიდან მის დაშლამდე იყო ე.ნ. პოლიციური სახელმწიფო . რომელშიც თვალყურს ადევნებდნენ მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს: სიტყვის, მოგზაურობის, განათლების, ეკონომიკის. თავისუფლებები მხოლოდ ქალალდზე არსებობდა. ეს იყო ეპოქა, როდესაც ყველა გრძნობდა „წითელი მხეცი“, როგორ უჭერდათ ყელში მარწუხებს „განითლებამდე“. ყველა ხედავდა რაც ამ ცოდვით აშენებულ სისტემაში ხდებოდა. ყოველი მნიშვნელოვანი ქმედება „ზემოდან“ უნდა დაშვებულიყო. მოქალაქეთა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებას ინტენსიურად თვალყურს ადევნებდა და აკონტროლებდა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი - სუკი.

დისიდენტებს სახელმწიფო რეპრესიები და მძიმე სასჯელი ელოდათ, რომელთაგან უმძიმესი სასჯელი იყო დახვრეტა ან გულაგის ტყვეობაში მოხვედრა. ადამიანი ინდივიდუალურობასა და სამართალს ჰკარაგვდა, მაგრამ საწინდაალმდევო აზრი უბრალოდ არ არ არსებობდა და თუ სადმე თითო-ოროლა თუთაშებია დაიბადებოდა სამაგალითოდ სჯიდნენ.

...1983 წელი..18 ნოემბერი.. რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა დემონსტრაცუიულად დაუპირისპირდა საბჭოთა იმპერიას. მსახიობმა გეგა კობახიძემ, მხატვარმა დავით მიქაბერიძემ, ილია მეორის ერთ-ერთმა სტიქაროსანმა იოსებ წერეთელმა, მხატვარმა თინა ფეტვიაშვილმა, კახა და პაატა ივერიელებმა, გია ტაბიძემ, თბილისი-ბათუმი— კიევი ლენინგრადის მარშუტის ტ 134 თვითმფრინავი გაიტაცეს.. გამტაცებლები დასავლეთში გაქცევაზე ოცნებობდნენ.

ეს ამბავი ქართული ისტორიის კიდევ ერთი ტრაგიული ფურცელია და დღემდე საიდუმლოებებით არის მოცული. ტერორისტების ბრალდებით დაპატიმრებულ ახალგაზრდებს ფეხშიძე გოგონას გარდა საბჭოთა ხელისუფლებამ სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა მიუსაჯა.. სიკვდილით დასაჯეს ბერი თეიმურაზ ჩიხლაძე, რომელიც თვითმფრინავში არ მჯდარა, მაგრამ გამტაცებლების სულიერი მოძღვარი იყო.

“თვითმფრინავის ბიჭების საქმე“ საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ აქტუალურია. დღემდე კამათობენ იმაზე, თუ ვინ იყვნენ სინამდვილეში ეს ახალგაზრდები: ჩვეულებრივი ტერორისტები თუ გმირები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ.

“ბანდიტური აქცია აღკვეთილია“, სამაგალითოდ დასჯილი ტერორისტები“, „ბანდიტები“ - ასეთი ციტატების სიმრავლით გამოირჩეოდა ქართული პრესა. უცხოური პრესა „შეშფოთებას გამოსტქვამს ამ ფაქტთან დაჯავშირებით, მაგრამ პოზიცია ჩვეულებისამებრ იგივეა. მათი სიტყვა“ სხივებს ჰქონის და არვისათბობს“

ამ ტრაგიული ისტორიის შემდგე ბევრმა წელმა გაიარა. მაგრამ ქართველი დაუმორჩილებელი და თავისუფლების წყურვილით შეპყრობილი ადამიანების ისტორია დღესაც აქტუალურია, მასზე კეთდება სიუჟეტები, იწერება წიგნები და იდგემება სპექტაკლი.

“ჯინეაბის თაობა“ დადგმისთანავე იქაცა „თავისუფალი თეატრის “ლეგენდალურ სპექტაკლად. დავით დოიშვილს თბილისის ყველა თეატრმა უთხრა უარი ამ სპექტაკლის დადგმაზე, გარდა „თავისუფალი თეატრისა“. იმდროინდელი ხელისუფლების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად 2001 წელს სპექტაკლი მაინც დაიდგა და უდიდესი პოპულარულობაც მოიპოვა და დღესაც კი სრუ-

ლი ანშლაგით მიმდინარეობს ყოველი დადგმა.. 2008 წელი..ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაზ გა-მოსცემს დათო ტურაშვილის “ჯინსები თაობას”. კარგა ხანია ქართველი ავტორის წიგნს, მკითხვე-ლის ასეთი დაინტერესება არ გამოუწვევია. ტურაშვილის წიგნი კი თაროებიდან ქრება და გამომ-ცემლობას ტირაჟის გამეორება დასჭირდა.

ავტორმა მარტივი და მსუბუქი წერის მანერა გამოიყენა, არ გადატვირთა იგი ზედმეტი ლიტე-რატურული ხერხებით, უბრალოდ ყველაზე ძვირფასი - მწერლის ენა გამოიყენა და ღირსეულად მი-აღწია კიდეც მიზანს.. წიგნი უკვე ექვსი წელია პოპულარულობას კი არ ჰყარგავს, პირიქით....მისი თითოეული ფრაზები,, დიალოგები ,პერსონაჟების ფოტოები სოციალური ქსელის ფაცებოოკ-ის ყველაზე აქტუალურ თემას წარმოადგენს.. მთელს ნაწარმოებს აჩრდილივით თან სდევს აზრი იმი-სა თუ რამდენად გულისამრევია, როდესაც ხარ რეჟიმის მონა, და რა საშინელებაა როცა ხარ ადა-მიანი(??) -ზომბი და არაფრის მიმართ არ გაგაჩნია პროტესტის გრძნობა.. კონტრასტი იქმნება რო-დესაც გამოდიან ახლაგაზრდები, რომელთაც “ჯინსების თაობის ბიჭებს“ ეძახდნენ და რომელთა ტრაგიკულმა ბედმაც მილიონობით ადამიანი შეს სძრა..განაჩენი, რომელიც კომუნისტურმა რეჟიმ-მა ახალგაზრდებს გამოუტანა ყველასთვის შემზარავი აღმოჩნდა. წიგნის საშუალებით უფროსმა თაობამ მივიწყებული ტკივილი გაიხსენა, თითქოს საქართველოს მატიანემ წარსულის სისხლიანი ფურცლები ისევ უკან გადმოშალა, ეს არის პასუხი იმაზე თუ რატომ უნდა დანგრეულიყო რეჟიმი.

რომანის თითოეული პერსონაჟი შეიყვარეს და გაითავისეს ახალგაზრდებმა, კითხვა არ წყდება მათ გულში, სულში მნარე ნაღველი აქვთ იმ უსუსურობის გამო. რითაც ვეღარ უშველიან უკვე და-ღუპულ სიცოცხლეებს.. გეგა, თინა, თეიმურაზი, ძმები ივერიელები, გია, სოსო, დავითი უკვე და-კარგული სიცოცხლეები არიან, რომელთაც საფლავიც კი არ ელირსათ,, ცივი მაგარმ მაინც საკუთა-რი.. ტურაშვილის გმირები კეთილი, უბოროტო ადამიანები არიან.. მათ საკუთარი ოცნება, მიზნები, -თავისუფლება ჰქონდათ. იბრძოდნენ მისთვის.. იბრძოდნენ დროში როდესაც ყველაფერი “საკუთარი“ და “ნამდვილი“ ამერიკული ეგონათ.

ბიჭები ცნობილი ოჯახის შვილები იყვნენ, მაშინ როცა ყველა ფიქრობდა მატელიარულზე, ისინი ხვდებოდნენ რომ “რაღაც“ აკლდათ და ეს “ რაღაც“ სწორედ თავისუფლება იყო. ძნელია არ მოგ-წყურდეს “ის“, როდესაც ჯინსები გაცვია და ლედ ზეპელინ-ს უსმენ ერთადერთგზად კი ამერიაკა გესახება.

სამწუხაროდ პერსონაჟები უმოქმედობით გასწირა საზოგადოებამ, ისევე როგორც მათი პრო-ტოტიპები რეალურ სამყაროში. მშობლები და ახლობლები საზოგადოებას ბოდიშს უხდიდნენ, მაგ-რამ ამით შვილებს ბანდიტებად ვერ რაცხავდნენ და ვერც ამართლებდნენ. როგორ შეიძლებოდა “გაფრენისკ მცდელობით შეკრებილ მეგობრებს ვინმე ს მკვლელობა სდომიდათ? მათ სულებს ეწა-დათ გაფრენა და გადაღება. აბა როგორ შეიძლება აბულაძის რჩეული მოქმედი გმირი, ”მონანიების“ პერსონაჟი გეგა მკვლელი ყოფილიყო, გულწრფელია მისი ყოველი პასუხი:

- გაფრენა არ გინდოდათ??
  - გაფრენა ყოველთვის მინდოდა, ახლაც გავფრინდები კიდეც ოღონდ არა თვითმფრინავით
  - რომ ვერ გაფრინდეთ?
  - მაშინ ზღვას გადაგცურავ
  - რას?
  - ზღვას..
  - როგორ??
  - სიმღერით
  - ხუმრობთ? დაკითხვის ოქმშიც ასე შევიტანო??
  - კი ბატონო
  - მაინც როგორ??
  - სიტყვა-სიტყვით: მე გადავცურავ ზღვას
- ბიჭების მოძღვარი თეიმურაზი, იგივე ბერი თეოდორე უსიტყვოდ ისმენს ჯალათის სიტყვას :ი-

გი უბრალოდ ფიქრობს :”არაფერი არ ღირს თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლის ფასად, ყოველი ადამიანის სიცოცხლე ეკუთვნის ღმერთს და მხოლოდ ღმერთის გადასაწყვეტია მისი სიკვდილიც.

ბიჭებს არც კი უფიქრიათ, რომ შეიძლებოდა მათ იდეას მსხვერპლი მოჰყოლოდა..სასოწარკვე-თილი და იმედგაცრუებული დათო მიქაბერიძე თავს იკლავს: ტურაშვილის პერსონაჟი კეთილი ადა-მიანი იყო, არა იმიტომ რომ მამამისი სამინისტროში მუშაობდა და ჯინსებს მაინც არ მოაკლებდა საყვარელ შვილს.არა ,იმიტომ რომ უბრალოდ - კეთილი ადამინი იყო და მორჩია .....დანარჩენები სიკ-ვდილამდე იდეის ერთგულნი რჩებიან. ბოდიშს მხოლოდ დაღუპულების გამო იხდიან, თავისუფლე-ბის წყურვილი კი კვლავ მათ სულში უცვლელად რჩება . »ვერც ბოდიშს მოვიხდი და ვერც ვერა-ფერს, არა მაქვს მე ამის უფლება, შეურაცხყოფის მიყენება იქნება ,რომ ვითხოვო - მაპატიე“ - ამ-ბობს დაკითხვის სიუჟეტში გეგა..

ტურაშვილის პერსონაჟები მეგობრების გარდა, ყველა საბჭოთა მანქანის მექანიზმები არიან: ემორჩილებიან რეჟიმს, და არიან დაზომბირებულები-, და სოსოს მამამ გადაწყვიტა ,რომ პირველად ყოფილიყო გულადი და გამბედავი შვილის გამო, და ამერიკაში, როგორც კი მოთვალთვალე ყურადღე-ბას მოადუნებდა ,ნამდვილი ჯინსები ეყიდა შვილისთვის ,მიუხედავად იმისა რომ ეშინოდა. იი „გაწით-ლებული“ საზგადოება გამოფხიზლებას იწყებს „ლურჯი ჯინსების“ ბიჭების სიკვდილის შემდეგ.. რეჟი-მის სასტიკმა განაჩენმა თვალი აუხილა მათ,ისევე როგორც სოსოს მამას,რომელიც შვილის სიკვდილის გამო რეჟიმს უპირისპირდება: “მთელი სამყარო დამნაშავეა, დამნაშავე ვარ შვილო..

„თვითმფრინავის ბიჭების „ ტრაგიული ისტორია ხდება შემდგომში ახალგაზრდების აზვირთე-ბის საფუძველი.მათ მართლაც „გადასცურეს ზღვა“..დაარღვიეს ჯებირები,თუმცა თავიანთმა იდეო-ლოგიამ განხორციელებაის არეალი 1989 წლის 9აპრილის მოვლენებში ჰპოვა.,რომელიც შემდგომში დამოუკიდებლობით დაგვირგვინდა..

„თვითმფრინავის ბიჭები“ ახლაც ცოცხლები არიან სადღაც შორს ძალიან შორს ამ ბოროტებით სავსე სამყაროსგან ...,რადგან უნდოდათ გაფრენა და მართლა გაფრინდნენ..

ნათია ტერტერაშვილი  
გორის სასწავლო უნივერსიტეტი

## კონსტანტინე განსახულიას ნააზრევიდან ქართული საჭიროების შესახებ

ლიტერატურული ენის კავშირი ხალხის ენასთან, სასაუბრო მეტყველებასთან, წარმოადგენს სალიტერატურო ენის არსებობისა და განვითარების პირობას. მსოფლიო ლიტერატურაში ხშირად ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ენის წამომადგენლები, ძირითადად მწერლები, ცდილან გამდიდრებინათ ლიტერატურული ენა ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკითა და გრამატიკული ფორმებით, რაც იწვევდა ენის ფორმირებას, განახლებას ან უარყოფდა ენაში არსებულ დოგმებს, რომლებიც აკნინებდნენ ენას.

ქართული ენის ისტორიაში ცნობილია „თერგდალეულთა“ ბრძოლა სალიტერატურო ენისათვის. სალიტერატურო ენისა და ხალხური მეტყველების დაახლოების პროცესს დიდი სტიმული მისცეს ი.ჭავჭავაძემ, ა.წერეთელმა, ი.გოგებაშვილმა და სხვებმა. სალიტერატურო ენა ინტენსიურად ისრუტავდა საერთო სახალხო ენას, აგრეთვე დიალექტების ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას. ცნობილია, თუ რა დიდი სამსახური გაუნიეს კლასიკოსებმა სალიტერატურო ენას. ჯერ ერთი, იგი გააცოცხლეს დიალექტური ენობრივი ერთეულებით, მეორეც, ხალხურ მეტყველებაზე დაყრდნობით, შექმნეს საკუთარი ენობრივი სტილი, რაც, რა თქმა უნდა, ემყარებოდა ქართული ენის, მისი გრამატიკის ნორმებს. ჩვენი კლასიკოსები ეძებდნენ გზას, რომელიც მიიყვანდა მათ სალიტერატურო ენისა და სასუბრო ენის კიდევ უფრო მეტად დაახლოებასთან.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსების გზას მიჰყვებოდნენ მათი დროის გამოჩენილი მწერლები, ლიტერატორები. ისინი ქმნიდნენ ნაწარმოებებს, რომლებიც გამოირჩევიან ენის მდიდარი გამომხატველობითი საშუალებებით, ხალხური სურნელებით. ერთ-ერთი მათგანია კონსტანტინე გამსახურდია. აღნიშნული საკითხებით დაინტერესება მან დაიწყო 1929 წლიდან, როდესაც იგი აშკარად გამოდის მწერალთა პლენუმებზე ლოზუნგით, რომელიც ქართული ენის ახალი სასიცოცხლო ძალებით შევსებასა და გამდიდრებას ითვალისწინებს. ეს საკითხები მან მოგვიანებით ჩამოაყალიბა წერილებში: „სალიტერატური ქართულისათვის“, „ქართული მართლწერის კონფერენციისათვის“ და სხვა.

კონსტანტინე გამსახურდია, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი, შეშფოთებულია მშობლიური ენის სავალალი მდგომარეობით. მას სასიხარულო ფაქტად არ მიაჩნდა, რომ მის თანამედროვე ქართველს შეეძლო იოლად გაეგო გ.მერჩულესა და იაკობ ხუცესის ენა. მისთვის ეს იმის მომასწავლებელია, რომ ქართული ენა საუკუნეების განმავლობაში სათანადოდ არ განვითარებულა, არ გაზრდილა, ან ნელი ნაბიჯით მიიწევდა წინ მისი განვითარება.

კონსტანტინე გამსახურდია ქართული ენის განვითარების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს იმას, რომ სამწერლობო ენა ხალხური მეტყველებისაგან და დიალექტებისაგან თითქმის დამოუკიდებლად არსებობდა. 1929 წლის კონფერენციაზე, რომელიც ეხებოდა ქართული მართლწერის საკითხებს, ის აღნიშნავდა, რომ მწერლის დანიშნულება ენის განვითარების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია. ენის განვითარება კი მრავალ ასპექტს მოიცავს. მათგან ერთ-ერთი მთვარი არის სამწერლო ენაში დიალექტური ფორმების ზომიერად გამოყენება. კონსტანტინეს თქმით, „ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიდარბაისლე, ხოლო აკაკიმ იმერულის სილბო. ამათთან ერთად ვაჟამ ფშავურის, მეგრულისა და გურულის ენობრივი ელემენტები შეიტანა სამწერლო ენაში. სწორედ კლასიკოსებს ძალუბთ „ენობრივი რევოლუციის“ მოხდე-

ნა”(3:207). „ქართული მართლწერის კონფერენციისათვის“ გამოქვეყნებული წერილი დაყოფილია 3 თავად. პირველ თავში ავტორი ზოგადად მიმოიხილავს იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობას ენის განვითარების თვალსაზრისით. მეორე ნაწილი მან დაასათაურა ასე - „დაუდევარი მეტყველება“ და აქ მსჯელობს ევროპული ქვეყნების ლიტერატურის ბედზე და გული სწყდება, რომ მის სამშობლოში მსგავს ყურადღებას არ იჩენენ ლიტერატურის მიმართ. მესამე თავს ასათაურებს - „კონფერენციის სახელმძღვანელო იდეებისათვის“. აქ მსჯელობს ქართული ენის ამერ-იმერული ბუნების შესახებ და ასკვნის, რომ: „ ქართლი ენა არც ამერლებს შუქმნია და არც იმერლებს. ცალ-ცალკე არც ერთსა და არც მეორეს... ქართული ენა შექმნილია ყველა ქართულ დიალექტზე მეტყველ ქართულ ტომებისა და მათი ნაშენების მიერ“( 12:206).

1945 წელს კ. გამსახურდიამ დაწერა წერილი „სალიტერატურო ქართულისათვის“, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ავტორი ზოგადად მსჯელობს დიალექტების მნიშვნელობაზე მსოფლიო სხვადასხვა ენების განვითარებაში და გამოკვეთს იმ ფაქტსაც, რომ ძველმა ქართულმა მწერლობამ შექმნა „მაგისტრალური ხაზი ქართული ენისა“. ის ამავდროულად აღნიშნავს, რომ „ენის კულტურის პროცესი და მისივე პატრიოტიზმი“ მოითხოვს „ერთი მტკაველით წინ წაუსწროს წინამორბედებს“. წერილის მეორე ნაწილში ავტორი გამოთქამს შიშს ქართული ენის „გასოფლურების“ ტენდენციის მიმართ. აქვე აღნიშნავს, რომ სალიტერატურო ქართული ენა უნდა შეივსოს მისი დიალექტების მარაგიდან ამოღებული სიტყვებით. ხოლო წერილის მესამე ნაწილი ეხება იმ ფაქტს, რომ ახლო წარსულის ქართულ პროზაში სამიოდე ათსი ძირეული სიტყვა ტრიალებდა, მაგრამ XIX საუკუნის ცხოვრების გართულებამ და ქართველი კაცის მოქმედების ასპარეზის გაფართოებამ აიძულა ავტორი, გამოეხატა არამარტო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ადამიანთა ყოფა, არამედ ქართველი კაცის ყოფა მსოფლიო ცენტრებშიც, რაც მოითხოვდა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.

კონსტანტინე გამსახურდია თავის წერილში „სალიტერატურო ქართულისათვის“ აღნიშნავს: „ ის მარაგი სიტყვებისა და ფორმებისა, რომელთა გაცოცხლება ჩემს თვალწინ ხდება, მე ფრიად საპატიო საქმეს მიმართია და ეს ყოველდღე უნდა მოიხვეჭოს მწერალმა უძიმესი შრომით, პირველწერილი დიალექტების, სიგელების, ჰავიოგრაფიული ძეგლების, კარაბადინების, სამთვარიოების და ქართველური დიალექტების, ქართული ფოლკლორის, ქართული ბიბლიის თარგმანების შესწავლით. ზოგი კალმოსანი არ იცნობს არც თავის კუთხის, არც საქართველოს სხვა კუთხეების დიალექტებს და ყოველი სიტყვა, რომელიც მის ცნომიერების გარეშეა, „არქაიზმი“ ჰგონია“ (3:219) .

„კონსტანტინე გამსახურდია იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც იმთავითვე მკაცრად გააზრებული და დადგენილო ენობრივი პოზიცია აქვთ, თანმიმდევრულად რომ ამკვიდრებენ თვითანთი შემოქმედებით“ (6:80). კ. გამსახურდია თავისი შემოქმედებით სიტყვათქმნადობას ცდილობდა. ბესარიონ ჯორბენაძის აზრით, კ. გამსახურდიასათვის სიტყვათქმედებას სამი მიზანი აქვა:

1. შესაბამისი ეპოქისა და ეთნოგრაფიული კუთხის მხატვრული კოლორიტის შექმნა;
2. სინონიმური რიგის გამრავალფეროვნება;
3. მრავალგზის ხმარებული, გაცვეთილი სიტყვებისა და გამოთქმების შეცვლა ახლით - სიტყვის განედლება, გახალისება.

ამ მხრივ მისი შემოქმედებიდან ძალზე საინტერესოა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. სწორედ ამ რომანშია წარმოდგენილი მწერლის მიერ ენის ქმნადობის პროცესი და მისი თეორიული პროცესების ხორციელება. სწორედ ამ ნაწარმოებში შეეცადა კ. გამსახურდია, რომ გაეცოცხლებინა, მაგალითად, სიტყვა „ტვიფარი“ ძველი ქართულიდან: „ეს აღმოჩნდა ბეჭდისდარი ტვიფარი სპილენძისა, მელის სახე იყო ამოჭრილი ზედ“ (1:198). „ტვიფარი იგივეა რაც ტვიფრი“ (10:1290).

მან არაქართული სემანტიკის სიტყვა „შიკრიკი“ შეცვალა „მალემსრბოლით“: „ზვიადთან მძევლების გაგზავნას აპირებდა ერისთავი და სწორედ ამ დროს მალემსრბოლი მოვიდა უფლის-ციხიდან“ (1:79).

კ. გამსახურდიამ ასევე გააცოცხლა სიტყვა „მარჩბივი“, ძველი ქართულიდან: „ეს გაიფიქრა არსაკიძემ და წარმოუდგა მარჩბივი ჩვენება. ვარდისახარი ამოუდგა შორენას გვერდით“ (1:194). „მარჩბივი იგივეა, რაც ტყუპი“ (9:74).

მწერალმა ამ რომანში გამოიყენა სიტყვა „შრამელი“: „ზედ გალავანზე მოშენებული შრამელის წინ წელში მოდრეკილი ლანდი იჯდა ლოდზე“ (1:8). „შრამელი- სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნაგებობა“ (11:1435).

რომანის ავტორი აცოცხლებს სიტყვას „საჭრეთელი“ ქართლური დიალექტიდან: „გამოართვა თავხელისძეს საჭრეთელი, დაისვენეო, ძიაკაცო, მცირედი“ (1:280). „საჭრეთელი- ხის ამოსაჭრელი, ამოსატეხი იარალი,- სატეხი“ (10:941).

კ. გამსახურდია „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“ აცოცხლებს სიტყვას „მონუსხვა“ გურული დიალექტიდან: „... ეჩვენებინა აფხაზთა მეფისათვის თუ როგორ ემარჯვებათ ცხენის მონუსხვა ლაზებს“ (1:258).

მან თავის „დავით აღმაშენებელში“ პირველად გამოიყენა სიტყვა „ძუძუმტე“ ძველი ქართულადან, მოგვიანებით კი ეს სიტყვა გამოიყენა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“: „სიყრმიდან ერთად იზრდებოდით ორნი, ამად დაუთქვამთ, ძუძუმტენი ხართო“ (1:188).

იგი აცოცხლებს სიტყვა „მხცეს“ „ქართლის ცხოვრებიდან“: შორენა გაჭაღარავებულიყო ტყვეობაში სრულად, მანც ჰშვენოდა მშვენიერი მხცით შემკული თმა“ (1:331). „მხცე იგივეა, რაც ჭაღარა (თმა)“ (10:1254).

გარდა ამისა, კონსტანტინე გამსახურდია თავის ნაწარმოებებში აცოცხლებს შემდეგ სიტყვებს: „ხვანჯი“-ხლართი, ნასკვი (12:1435), „ძგიდე“-თხელი გამყოფი კედელი (12:728), „ტახტისტე“, „ჯუფთი“-წყვილი, ტოლი (12:1611), „ჭვინტი“-ფეხსაცმლის წაწვეტებული ცხვირი, წვეტი (12:1247), „გლუ“ - სწორი, უხორკლო, სრიალა, სადა ზედაპირი (8:1462) და სხვ.

კონსტანტინე გამსახურდია იმ კლასიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანი წვლილი შეიტანეს „ენობრივი რევოლუციის“ საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ თავის მიზანს ნაწილობრივ მიაღწია ამ საქმეში. მან სიტყვის ის ფორმები დაამკვიდრა მწერლობასა თუ მეტყველებაში, რომლებიც თავად გააცოცხლა პირველად საკუთარ ნაწარმოებებში. მაგალითად, მისმა თანამედროვე მწერალმა, ოთარ ჭილაძემ თავის ლექსში „... რატომ მაღვიძებ მეგობარო? მიქელანჯელო“, რომელიც დაწერა 1980 წელს, გამოიყენა სიტყვა „sa WreTeli“:

„ვის რაში უნდა სიცოცხლე ქვათა,  
მზის საჭრეთელი და მთვარის გრდემლი“.

ავრეთვე, ნოდარ დუმბაძემ გამოიყენა სიტყვა „საჭრეთელი“ თავის „სასაფლაოში“: „დიდხანს ვიჯექი ჩემს საფლავთან. შორიდან ქვაზე ჩაქუჩისა და საჭრეთელის კაკუნის ხმა ისმოდა“ (4:121).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტანტინე გამსახურდია ცდილობდა ასევე დაემკვიდრებინა სიტყვა „ტვიფარი“, რომელიც მოგვიანებით როსტომ ჩემიძემ გამოიყენა თავის ნაწარმოებში „ვარსკვლავთა ფსალმუნი“: „სულიერ ლტოლვას ბიბლიურმა სახელმა ტვიფარი დააჭდო და ესაიას სტრიქონთა თავისებური ვიარიაციები სინაწულის ციკლის პირველბიძგივით გამოდგა“.

სიტყვა, რომლის საყოველთაოდ დამკვიდრებასაც მიზნად ისახავდა კ. გამსახურდია, არის „ჭვინტი“. ეს სიტყვა თავის ნაწარმოებში „მუმლი მუხასა“ გამოიყენა ლევან გოთუამ: „-ცოდვად და გმობად! - კაპასი ხმით შეუსწორა დაზაფრულმა აღა-მაჟმადმა და დალენილ სარკეს ქოშის ჭვინტი გაჟკრა“ (5:244).

მაშასადამე, კონსტანტინე გამსახურდია არის ისეთი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც შეუძლია თქვას „ჩემამდე და ჩემს შემდეგ“. მან მცირედი, თუმცა მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა ენის განვითრების საქმეში. მან თავის ნაწარმოებებში შეიტანა ისეთი ფორმები სიტყვებისა, რომლებიც საუკუნეების წინ გამოიყენებოდა, როგორც სამეტყველო, ასევე სალიტერატურო ენაში. თუმცა იმის გამო, რომ მათ ახალი სინონიმური ფორმები გამოუჩნდა ან/და მხოლოდ ადგილობრივ, კუთხეურ მეტყველებაში გამოიყენებოდა, მათ საუკუნეების განმავლობაში აქტუალობა დაკარგეს. კ. გამსახურდია არ იყო წინააღმდეგი ახალი სინონიმური ფორმების გაჩენისა, პირიქით, ის აუცილებლადაც მიიჩნევს ამას და თავადაც ცდილობს უცხო ენიდან სიტყვების დამკვიდრებას, გამონაკლისი შემთხვევების გარდა. მაგრამ მას მიაჩნდა, რომ ენის განვითარებისათვის და მისი ლექსიკის გამრავალფეროვნებისათვის აუცილებელია სიტყვის იმ ფორმების გაცოცხლება, რომლებიც არ ენინააღმდეგებიან ქართული ენის ბუნებას. ის თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა ქართული კულტურის უძველესი მარაგის გადახალისებას.

კ. გამსახურდიას აზრით: „ენის განვითარებას მწერალი აძლევს გეზს. მწერალი ქმნის ახალსა და ახალ კომპოზიციებს. დიდი მწერალი რეფორმატორია ნაციონალური ენისა“ (3:262). ის ცდილობდა თავისი სიტყვა ეთქვა ამ საქმეში. სიტყვის ფორმათა გაცოცხლება რეფორმათა თავისი არსით, მაშასადამე, კონსტანტინე განსახურდია მშობლიური ენის რეფორმატორიცაა.

### ლიტერატურა:

1. გამსახურდია 1983: კ. გამსახურდია, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, თბ; 1983.
2. გამსახურდია 1983: კ. გამსახურდია, თხზულებანი, ტ VII, თბ; 1983;
3. გამსახურდია 1983: კ. გამსახურდია, თხზულებანი, ტ VIII, თბ; 1983;
4. დუმბაძე 1990: ნ. დუმბაძე, მოთხრობები, წიგნი III, თბ; 1990;
5. გოთუა 1980: ლ. გოთუა, მოთხრობები, ტ. IV, თბ; 1980;
6. ჯორბენაძე 1982: ბ. ჯორბენაძე, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ; 1982;
7. კიკაჩეიშვილი 1974: თ კიკაჩეიშვილი, „კ. გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ პრობლემატიკისა და მწერლის მხატვრული ოსტატობის საკითხები“, თბ; 1974;
8. წერეთელი 1951: გ. წერეთელი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, თბ; 1951;
9. ვაჩნაძე 1960: ა. ვაჩნაძე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ; 1960;
10. შარაშენიძე 1955: თინ. შარაშენიძე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ; 1955;
11. ჩიქობავა 1962: არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ; 1962;
12. ჩიქობავა 1964: არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ; 1964;

**ეკა ბუთხუზი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

### ქრისტიანობა და ციცვალიზმი „დიონისოს ღიმილში“

კონსტანტინე გამსახურდიას პირველი რომანი არის „დიონისოს ღიმილი“, რომელიც 1924–1925 წლებში დაიწერა. ის ერთდერთი პირველი მოდერნისტული რომანია საქართველოში. მწერლის მოგონებებიდან ვიგებთ, რომ მასზე მუშაობა 1915 წელს მიუნხენში დაუწყია. მაგრამ საქართველოში დაბრუნებისას ხელნაწერები დაუკარგავს. შემდეგ 1919 წელს ხელმეორედ დაუწერია რომანი ბერლინში და ბედის ირონით ეს ხელნაწერიც დაკარგულა. საბოლოოდ, კი 1924–1925 წლებში მესამედ დაუწერია თავიდან.

„დიონისოს ღიმილში“ ასახულია ევროპის დიდ სახელმწიფოებში საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში არსებული ვითარება და ის უმძიმესი სულიერი კრიზისი, რომელიც საუკუნის დასაწყისში სუფევდა ევროპაში.

რომანის მთავარი გმირი, კონსტანტინე სავარსამიძე უძველესი ქართული წარჩებული გვარის არგვეთის მთავრის უკანასკნელი და უპერსპექტივო წარმომადგენელია. ის არის ადამიანი, რომელიც სხვა დროსა და სხვა ისტორიულ პერიოდში უნდა დაბადებულიყო. „ხშირად ადამიანი ტოლებს ჩამორჩენილ წეროსა ჰგავს, ბრმა შემთხვევის წყალობით იბადება ამ საუკუნეში და სულით სულ სხვა საუკუნეს ეკუთვნის, “დ ამბობს ბიანკა და სავარსამიძეც სწორედ გადაშენებული ფენის უკანასკნელი წარმომადგენელია. იგი მთელი სიმძაფრით გრძნობს სისხლის მობერებას და დაშრეტას.

რომანი არა მხოლოდ იმით არის საინტერესო, რომ მასში აისახა I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის კრიზისი, არამედ „დიონისოს ღიმილი“ გამოხატავს კ. გამსახურდიას იმ დროინდელ რელიგიურდფილოსოფიურ მსოფლმხედველობას.

XX საუკუნის დასაწყისი არის პერიოდი, როდესაც ხდება მთელი რიგი ღირებულებების გადაფასება. ძველ ტრადიციებს, ჩვევებს, მსოფლმხედველობასა და რელიგიურ მრწამსს საფუძველი შეერყა. თითქოს ისინი ახალი დროისათვის გამოუსადეგარნი აღმოჩნდნენ.

კრიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „დიონისოს ღიმილში“ მწერალმა ფრ. ნიცშეს ფილოსოფიური მრწამსის მხატვრული ტრანსფორმაცია განახორციელა. ნიცშემ ქრისტიანობა მკაცრად გააკრიტიკა და ახალი რელიგიის ღმერთად „ზეკაცი“ გამოაცხადა. კონსტანტინე გამსახურდიასული გაგება ნიცშეს „ზეკაცისა“ ორიგინალურია. მან არა მარტო ფილოსოფიურ პლანში გაიაზრა ის, არამედ „ზეკაცს“ მიანიჭა მორალური და ეროვნულდპოლიტიკური დანიშნულება. ეს გულისხმობდა იმას, რომ „დაპყრობილი ერისათვის ზეკაცი არის მხსნელი“ (კ. ქეცბაია.) თუ ამ ინტერპრეტაციას მივყვებით გამოდის რომ კონსტანტინე სავარსამიძე არის ერის თავისუფლებისათვის მებრძოლი პიროვნება. არადა სინამდვილეში მას საკუთარი შინაგანი თავისუფლებისთვისაც ვერ მიუღწევია.

მწერლის ჩოვლა ნიცშეანიზმის მიმდევრად ან სხვა რომელიმე იდეის მქადაგებლად სწორად არ მიმაჩნია. მე ვფიქრობ, კ. გამსახურდიამ რომანში აღწერა კულტურული მსოფლიოს სულიერი მდგომარეობა; აღწერა ის პროცესები, რომლებიც ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარეობდა ახალი საუკუნის დასაწყისში; აღწერა ზნეობრივი დაცემა და გახრწნა ხალხისა; ადამიანის კონფლიქტი გარემოსთან და საზოგადოების გაუცხოვება. ეს ყველაფერი დაუკავშირა საქართველოს ტრაგიკულ ბედს და ამის ფონზე მწერალმა შეძლო გმირის ტრაგიზმიც უფრო მწვავედ გამოეკვეთა.

კონსტანტინე სავარსამიძე არც მხოლოდ წარმართული კულტის მსახურია და არც მარტო ქრისტიანობის მქადაგებელი.იგი ამ ორი რელიგიის გზაჯვარედინზე დგას.მისი გაორებული სული არჩევანს ვერ აკეთებს.ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს,რომ მისი ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებები დაკავშირებულია წარმართ გამზრდელთან დ ტაია შელიასთან. ხოლო შემდეგ ევროპაში მიღებული განათლებით იგი ქრისტიანულ მსოფლმხედველობას მჭიდროდ უკავშირდება.აკაკი ბაქრაძის აზრით, „ქრისტიანულმა ცივილიზაციამ კონსტანტინე სავარსამიძე ისე შეიპყრო,როგორც ლაოკონი და მისი ორი შვილი გველებმა.“ რელიგია სავარსამიძისათვის აბსოლუტის შეცნობის ერთადერთი გზა და საშუალებაა.სწორედ ამით არის გმირის ტრაგიზმი გამოწვეული დ ის ვერ ახერხებს ჭეშმარიტების მიღწევას.საერთოდაც ძალიან საეჭვოა ადამიანს ჭეშმარიტების მიღწევა შეეძლოს,რადგანაც „ჩვენ ისე ცოტა ვიცით ჩვენი სულის სარბიელის შესახებ,რამდენიც შორეული პლანეტების ცვალებად ეტლებზე.“ კონსტანტინე ხვდება,რომ ულმერთო ადამიანი საცოდავია;რომ ბედნიერია მხოლოდ ის კაცი „ვინც ერთი ღმერთის მშვიდობიან კარავში შეძლებს ამ უდაბნოში გადაჩრდილებას.“

გმირის სულიერ ტანჯვას მთელი რიგი მიზეზები აქვს.პირველი არის ის,რომ მან დაკარგა ღმერთი საკუთარ თავში.მეორე პრობლემა გარეთ,სამყაროშია მოსახებნი.

მსოფლიო სადაც არავის ინდობენ...ცხოვრებამ რომანტიკოსი სისხლის მსმელ ადამიანად აქცია. სავარსამიძე გულმოკლული ამბობს:„მე ვუმღეროდი ამ დიდ ქალაქებს?წყეული საუკუნის სოდომისა და გომორს,სადაც უკან მოხედვა გაქცევას უდრის,სადაც სიყვარული თავგასართობ ჩვეულებად იქცევა.“ პირვერობა,მომაბეზრებელი და არაფრისმთქმელი შეკრებები ევროპულ სალონებში; საუბარი ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე, ფილოსოფიაზე... ტექნოლოგიურად განვითრებული სამყაროს მსხვერპლი არიან ლუქსემბურგის პარკში მჯდომი ინვალიდი, მათხოვართა ბრძო და მშიერი ადამიანები „უნა ლირათ“ რომ ყიდიან პორნოგრაფიულ სურათებს და სულ ყველგან რომ დაყვებიან კონსტანტინეს. მან იცის ევროპის ცივილიზაციის უკან რა ჭუჭყი და სიბინძურე იმალება. მისი მეგობარი იოპანეს ნოიშტეტიც ამ დროის მსხვერპლია: „ჩემი ტვინის უჯრედები სულ გამოღრნილი ყოფილა...მთელი თავის ქალა გამჭვარტლული იყო თუთუნის ნიკოტინით, დიდი ქალაქის ქარხნების ობშივარითა და მტვრით;აქ ყოფილან ნამცეცები ასფალტის,რკინის,ფოლადის,ბრინჯაოსი...“ მაგრამ კონსტანტინეს არ შეუძლია გაიქცეს ევროპიდან.ის ვერ მიდის ინდოეთში,ვერ ბრუნდება ვერც საქართველოში. და როცა ბოლოს და ბოლოს ჩამოვა მაინც უცხო დარჩება.აქაც ზედმეტად და გარიყულად იგრძნობს თავს.თავისი მორდუს შვილებიც კი ახლა მას უყურებენ როგორც „ნასწავლ“ კაცს.ის ვერც ნინ მიდის და უკან,წარსულშიც ვეღარ ბრუნდება.

ის რომ კონსტანტინე სულ გზაჯვარედინზე დგას,მუდამ ორჭოფობს მგზავრობისას დ ზღვით თუ ხმელეთით? ორ კაც უმეგობრდება, ერთდროულად ორ ქალზეა შეყვარებული დ რა თქმა უნდა, მეტყველებს მის გაორებაზე დ „ვწყევლი ჩემს გამჩენს.ჩემს გვამში ორი შხამიანი მორიელის შემომთეველს.“ მიუხედავად იმისა,რომ ამ ორი ურთიერთ გამომრიცხავი მრწამისის ბრძოლა თითქოს დიონისოს გამარჯვებისკენ იხრება,საბოლოო არჩევანს მაინც ვერ აკეთებს კონსტანტინე.

„ჩემი საყვარელი ორეულია თვზი...“

„ახლა მე თვითონ ვარ თევზი!“

თევზი დ ეს არის სახე,სიმბოლო როგორც ქრისტესი,ისე დიონისესიც.სავარსამიძეს ეს სიტყვებიც მიუთითებს,რომ მასში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მსოფლმხედველობა ჩასახლებულა.დიონისე არის ქეიფის,ლხენის,დროსტარების სიმბოლო.ქრისტიანობა კი თვითგვემას-ხორცის ტანჯვას მოითხოვს და პირველმიზეზთან შესარწყმელად ზნეობრივი სიმაღლის მაღალი საფეხურის მიღიღება საჭირო.

ცოდნა აბსოლუტის შეცნობის საშუალება არ აღმოჩნდა.რეალურად ჩვენ არც კი ვიცით რაიმე საგნების შესახებ. ახლა სიყვარულის გზა დარჩენია მხოლოდ გმირს იმედად. რადგან მას სწამს „სიყვარული ხიდია ღმერთსა და კაცს შორის.“

ქალს კონსტანტინეს ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს.იგი ქალს უყურებს,როგორც ხორციელი სურვილების დასაკმაყოფილებელ საშუალებას და როგორც ესთეტიკური ტკბობის საგანს.თავდავიწყებით ეძლეოდა იგი ქალების ალერსს.მაგრამ მამის სასტიკ წყევლას ვერსად გაექცა და მართლაც „ვერც ერთმა დედაკაცმა ვერ გაუძლო მისი თესლის ნაყოფის შობას...“

ჯენეტი კონსტანტინეს ცნობიერებაში საქართველოს წმინდა სახეს განასახიერებს.ჯენეტი ჯვარცმაზე შეევარებული პიროვნებაა.მასში ერთი წვეთიც კი არ არის რამე წარმართული.მას უყვარს „სულით გლახაკთა“ მფარველი ქრისტეს ჯვარს მიიჩნევს.ქრისტეს ჯვრის დანახვისას განადგურებული სამშობლო ახსენდება.ამას ადასტურებს ასიზის გზაე მომხდარი შემთხვევა: „დავლენე ჯვარცმა და ვგმე ქრისტე ჩვენი დამქცეველი.“ და გმირი მზად არის მეორედ აცვას ჯვარს იესო „საქართველოს სისხლის გამოსასყიდად.“ ჯენეტისა და კონსტანტინეს სიყვარულიც ამიტომაა განწირული.მათ სულებს ჰარმონიული თანაარსებობა არ შეუძლიათ.ქალი ქრისტეს აღმერთებს,კაცი და დიონისეს.

საბოლოოდ,სამი გზა სულიერი სიმშვიდის მოპოვებისა მარცხით მთვრდება.სავარსამიძე ხვდება,რომ მან ისიც კი არ იცის თუ რატომ უვლის ლობიო სარს მარჯვნიდან და არა მარცხნიდან. უსაყვარლესი ქალის,ჯენეტის სიყვარული უქრება.სამშობლო მინა ვერ იცნობს,მასთანაც გაუცხოვებულია...და გულგატებილი გმირი დაიკვნესებს: „ხომ აუტანელია:ქვეყანაზე საკუთარი „შინ“ არა გქონდეს,ცაში ღმერთი არ გეგულებოდეს და არც არავის უყვარდე ამ გაუხარელი ცხოვრების ბნელ დამეში?!”

„დიონისოს ლიმილში“ არაერთ სიმბოლოსა და ალეგორიას იყენებს მწერალი.პირველ რიგში,ნაწარმოების სათაურის სიმბოლურ მნიშვნელობას აღვნიშნავ.კონსტანტინემ დიონისოს უამრავი ქანდაკება ნახა,მაგრამ მომღიმარი და არც ერთი. კ.ქეცბაია თვლის,რომ ეს „წარმოდგენილისა და წარმოუდგენელის დამთხვევა...დიონისოს ლიმილის უკან ყოფიერების იდუმალება იმალება.“ სიმბოლურია ვაზისა და ცხენის კულტი.ვაზი აერთებს როგორც წარმართულს,ისე ქრისტიანულს: „დიონისოს კულტი ვაზს უკავშირდება...წმ.ნინო საქართველოში ვაზის ჯვრით მოდის.“ (რ.სირაძე)ცხენი ქართველთა რწმენით მიცვალებულთა განუყოფელი თანამგზავრია.ცხენი დიონისური ადამიანის ატრიბუტიცა არის,(გუჯას კვიცი,ფარვიზის დაღუპვა,სავარსამიძის ჯოჯოხეთად ჩასვლა).სიმბოლურია ყვითელებოლეტებიანი სლანსკის სახე.სლანსკი ს.სიგუას რუსეთის სიმბოლოდ მიაჩნია.სავარსამიძის მიერ მისი დამარცხება საქართველოს მტრების დამარცხებად უნდა მივიღოთ.სიმბოლური დატვირთვა აქვს გველს,თევზისა და სხვა მრავალ სახეს.

სიზმარს რომანში ძალიან დიდი მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს.ფროიდის განმარტებით „სიზმარი ღრმა ფსიქიური მოვლენაა,მუდამ პირობითი შიფრის შემცველი.მასში ვლინდება არაცნობიერი მოტივები,ფარული და რეპრესირებული სურვილები,რადგან ცნობიერება თავისუფლად მოძრაობს და ყველგვარი ბარიერი მოხსნილია.“ სიზმრის საშუალებით გმირი წინასწარ გრძნობს მოსალოდნელ საფრთხეს.ასე მოხდა ჰერბერტის სიკვდილის შემთხვევაში;ჯენეტისა და თავისი სიყვარულის ტრაგიკული დასასრულიც სიზმარში იხილა.გველი რომელიც ალბანოში ყოფილისას ესიზმრა და რომელიც უკან გააბრუნა განასახიერებდა დიონისეს.მან ვერ იცნო თავისი ღვთაება და გააგდო.ბიანკას მონათხრობი ბარონის მიერ ოჯახის მფარველი გველის მოკვლისა და მასთან ამ ოჯახის უშვილოდ გადაგებაც დაკავშირებულია დიონისეს კულტთან.დიონისეს ჩვილის სახეც აქვს.ამიტომაც იღუპება კონსტანტინესა და ჯენეტის არდაბადებული ბავშვი.

კონსტანტინე საქართველოსთან დაკავშირებულ სიზმრებსაც ხედავს. „ქრისტეს ჯვრის ზიდვით წელში გაწყვეტილი საქართველო“ მის ცნობიერებაში კვლავ ფერფლიდან აღმდგარი და აყვავებულია.ის „ცალტოტმოხეულ ჩაბალას აღარა ჰგავს,არამედ ხახადალებულ ვეშაპს...“ თვითონ გმირს 10 შვილი ჰყავს და ყველას ქვეყნის ღირსეულ პატრიოტად ზრდის.

სიზმარს გმირი „ორძილს“ უწოდებს და სწორედ სიზმარში განხორციელდება მისი „ჯოჯოხეთად ჩასვლა.“ მას შემდეგ რაც კონსტანტინე უღმერთოდ,უსიყვარულოდ და უსამშობლოდ დარჩა დ იხილა თავისი საყვარელი ღმერთის,დიონისეს სიკვდილი ფარვიზის სიკვდილის სახით, და აღარაფერი აკავებს ამქვეყნად და კიდევაც მიემგზავრება ენდროსფერ ულაყზე ამხედებული ჯოჯო-

ხეთში ხალილ ბეისა და ჰერბერტთან ერთად ხალილდები თეთრ ცხენზე ზის, ჰერბერტი და შავზე. ა.ბაქრაძის ინტერვერტაციით ცხენთა სიმბოლიკა აღნიშნავს ქართული მითოლოგის ზესკნელს, ქვესკნელს და შუასკნელს. რაკი ხალილ ბეი ცოცხალია თეთრ ცხენზე ზის, ჰერბერტი მკვდარია ამიტომ შავ ცენზე ამხედრებულა, ხოლო სავარსამიძე წითელ ულაყზე შეჯდა. „წითელი შუასკელის ფერია! შუასკნელით ადამიანის სული ქვესკნელში მიემგზავრება და სამუდამოდ მკვიდრდება ჰაჰდესში.“ (ა.ბაქრაძე)

„ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკვდარსა, ეგრე ხედვიდა თვისსა მას გვამსა...“ როგორც წმინდა აბო მიაცილებს თავის გვამს სიკვდილის სარეცელზე, ისე მიაცილებს კონსტენტინე სავარსამიძე მთელი სიცოცხლის მანძილზე თავის სულს ჯოჯოხეთში. ეს იყო სულის წამება და ტანჯვა განლმრთობის მისაღწევად. მართალია ფარვიზის სახით დიონისო მოკვდა მაგრამ ნანარმოებში ვერ ვხედავთ დარჩა თუ არა გმირის სულში ქრისტე. ერთი კი არის, რომ კონსტანტინე საქართველოს მტრებს წმ. გიორგისა და ტაია შეღიას ერთობლივი ძალით ამარცხებს. ეს შესაძლოა განასახიერებდეს ორი ღვთაების შერწყმას საერთო მტრის გასანადგურებლად.

რევაზ სირაძის აზრით, „არსებობს გარეგანი ჯვარი და არსებობს შინაგანი ჯვარი. ქრისტიანს ორივე უნდა ახლდეს. გარეგანი ჯვარი ვნებაა და ტანჯვაა, შინაგანი ჯვარი ხსნაა.“ კონსტანტინე სავარსამიძე მხოლოდ გარეგან ჯვარს ატარებდა. მას არ გააჩნდა შინაგანი რწმენა და ამიტომაც იყო მისი ცხოვრება ტრაგიზმით აღსავსე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. გამსახურდია „დიონისოს ღიმილი, ოცტომეული, ॥ტომი; „დიდოსტისტი“, 1992
2. ა. ბაქრაძე „მითოლოგიური ენგადი“ თბ, 2000
3. ს. სიგუა „მარტვილი და ალამდარი“ | ტომი, თბ, 1991
4. კ. ქცბაია „ფროდრის ნიცშე და კონსტანტინე გამსახურდია“
5. რ. ნიშნიანიძე „საქართველო დ სამანს აქეთ... და სამანს იქით...“ თბ, „მერანი“ 2005
6. ზ. გამსახურდია „ლიტერატურული წერილები“ თბ, 1976
7. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები „წამება ჰაბოისი“ თბ, 1929
8. რ. სირაძე „ქართული კულტურის საფუძვლები“

**ნინო ბეზარაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

### **ზოგიერთი შტრიხი კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ გააზრობისათვის**

კონსტანტინე გამსახურდიას რთული და მრავალფეროვანი შემოქმედების გენიალურობა და ქართულ ლიტერატურაში მისი მნიშვნელობა უსაზღვროა. მწერალი შესანიშნავად იცნობდა, როგორც მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას, ასევე ევროპულ ფილოსოფიასა და ხელოვნებას, რადგან თვლიდა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება ეროვნული და ზოგადი ტრადიციების შვილია და შემოქმედის ცნობიერებას სხვადასხვა კულტურა, გარემო, ფსიქიკა ტემპერამენტი აყალიბებს. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების უმთავრესი წყარო სინამდვილე იყო. მწერლის ცნობიერებაში ერთმანეთს ერწყმის დასავლეთის ინტელექტი და საქართველოს ფანატიკური სიყვარული, რაც მისეულ, ინდივიდუალურ სტრუქტურას ქმნის. სწორედ ამ შემოქმედების ნაწილია ბრწყინვალე რომანი-ტრაგედია „მთვარის მოტაცება“, კონსტანტინე გამსახურდიას ერთ-ერთი საუკეთესო და მისთვის გამორჩეული რომანი. იგი 1933-1934 წლებში მოვლენათა ცხელ კვალზე იწერებოდა და 1936 წელს გამოიცა.

როგორც გაზეთ <sup>70</sup> „ლიტერატურულ საქართველოში“ კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, პოეტური გამოგონება ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვა, თუ მას სურნელება არ გადაჰკრავს, ანუ მწერლის უპირველეს ამოცანად ადამიანის შეცნობასა და მისი ცხოვრების ასახვას ასახელებს. სწორედ ამ მიზანდასახულობის მატარებელია „მთვარის მოტაცება“.

1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. „მთვარის მოტაცებაში“ აღნერილი ამბები, ძირითადად, ერთი წლის განმავლობაში ხდება - 1931 წლის აპრილიდან 1932 წლის აპრილამდე. ამ დროისათვის საფუძველშერყეული ეპოქა საბოლოოდ ღაფავდა სულს, რევანშის ენერგია მას აღარ გააჩნდა. ერთადერთი, რაც დამარცხებულ ეპოქას დარჩენოდა, სიკვდილი იყო და ისიც კვდებოდა. მაგრამ ეპოქა ადამიანებია, ადამიანთა შორის კავშირია, საგნებია, შეხედულებათა სისტემაა, და როდესაც იგი კვდება, მასთან ერთად ნადგურდება ყველაფერი. სწორედ ამ მომაკვდავი ეპოქის სული მოაქცია გამსახურდიამ ნაწარმოებში.

„მთვარის მოტაცებაში“ ნათლად აისახება საბჭოთა საქართველოში არსებული სავალალო მდგომარეობის პერიპეტიიები. გამსახურდია ნაწარმოებში აქცევს ამ მომაკვდავი ეპოქის სულს და ქართული განწყობილებითა და სევდით ამკობს მას. რომანი საქართველოში მომავალი კატაკლიზმების ერთგავრი წინასწარმეტყველიცაა, ნათლად გვიხატავს ეპოქის სურათს - როგორ ნადგურდება ქართული კულტურა და ეროვნული შეგნება, ინგრევა ეროვნული სხეული. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არა რომანის დასახყისი - კაც ზვამბაია ერგეაშვას მღერის, ეს მიქელგაბრიელის სიმღერაა და დალუპვის წინ აღმოხდება გულს, როგორც მოახლოებული ტკივილის, განსაცდელის გამოხატულება. ნათელია, რომ ეს გოდება მთელი ეპოქის კატასტროფის მაუწყებელია.

„მთვარის მოტაცება“ არა მხოლოდ დიდი კულტურით, გემოვნებითა და ოსტატობით დაწერილი რომანია, არამედ ამ ტრაგიკული ეპოქის მატიანეცაა.<sup>71</sup> გასაკვირია, როგორ დაიწერა ეს წიგნი მაშინ, როდესაც ეროვნული თვითშეგნება და კულტურა ნადგურდებოდა.

<sup>70</sup> გაზეთი „ლიტერატურულ საქართველო“. 1936წ. გვ.6

<sup>71</sup> სიგუა ს., „მარტვილი და ალამდარი“, ტომი 1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003წ, გვ.198

რომანს არაჩვეულებრივი მხარე აქვს, რომელიც არსებული დროების ახალ ღირებულებებსა და ნარსულის ხატების რღვევას ასახავს. ნაწარმოები გვიჩვენებს, როგორ ტოტალურად ითრგუნება არისტოკრატია, ინტელიგენცია, სამღვდელოება, გლეხობა საბჭოთა რეპრესიების პირობებში, როგორ მზადდება ატმოსფერო დიდი კატასტროფის მოსავლენად და ვინ იქნება მისი ნარმმართველი ძალა.

რომანის შინაარსობრივ საფუძველს და იდეურ, სიუჟეტურ პლანს ორი განსხვავებული მსოფლმხედველობის პიროვნების- თარაშ ემხვარისა და არზაყან ზვამბაისა- ურთიერთობა და კონფლიქტი ქმნის. ისინი ერთი ქალის- თამარ შარვაშიძის- დასაუფლებლად იბრძვიან, რომელსაც შემდგომ სვანი ქალი ლამარია შეენაცვლება. ამ შინაარსობრივი ფაქტორების მიღმა რეალური ცხოვრება იმაღლება - შავ-ბნელი დროების ტვიფრით აღბეჭდილი.

თარაშ ემხვარი განათლებული, ყოველივე სიკეთით შემცული, მაგრამ ტრაგიკულობით სავსე პიროვნებაა, რომელსაც თავისი ადგილი ვერ უპოვია ამ ცხოვრებაში. ტრაგიკულობის საფუძველი მისსავე ბუნებაში, შინაგან სამყაროშია და ამას თვითონვე აანალიზებს. მუდმივად ცდილობს არსებობის საკუთარი, განსხვავებული ფორმა იპოვოს, სხვების მიერ მრავალჯერ გათელილ გზას არ გაჰყვეს, მაგრამ ეს არ გამოსდის და მეტიც, ამ გზის ძებნაში მისი პიროვნება ორდება. მის სულიერ სამყაროში ერთმანეთს უპირისიპირდება ორი კულტურა: ერთი - ტრადიციით, ოჯახით მიღებული ქართული ფეოდალური და მეორე - განათლებით, ცხოვრებისეული გამოცდილებით შეძენილი ბურუჟუაზიული კულტურა. მისი მხატვრული სახის შინაარსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ასპექტი სწორედ ამ ორი ელემენტის ბრძოლაა და ის სხვა სახის გაორებებაც იწვევს თარაშში. ორი კულტურის შეურიგებელი წინააღმდეგობა მის სულშია და შიგნიდან ღრღნის. აღსანიშნავია, რომ მას არც ერთი კულტურისგან განთავისუფლება არ შეუძლია. ტრადიციით მიღებული, ეროვნული კულტურა რეპრესიების შედეგად კვდება, განათლებით მიღებული, ევროპული კი სძულს თარაშს. თავის გადარჩენისათვის ბურუჟუაზიული კულტურის საპირისპიროს ძიებაშია, ასეთად კი ძელბერძნულ კულტურას მიიჩნევს, რომელსაც ქართულ წარმართობასთან აიგივებს. ეს იყო მესამე სახეობა კულტურისა, რომელიც თავისთავად გამოძებნა თარაშმა. მაგრამ, მე-20 საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში ამ სამივესგან განსხვავებული სოციალისტური კულტურა იქმნებოდა, რომლის გზაც თარაშისთვის უცხო და მიუღებელი იყო. იგი მარტო დარჩა, რადგან მისთვის ამ საზოგადოებაში სულიერი საზრდო აღარ არსებობდა.

თარაშისთვის პოლიტიკურ ასპარეზზეც ორი გზა არსებობს-სოციალიზმისა და ფაშიზმისა.- თავდაპირველად იგი სტალინის გზას ირჩევს, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ვერც ფაშისტებს მიემხრო და ვერც- კომუნისტებს. თარაშის შინაგანი დელვის, ცხოვრებისეული გზის დაკარგვის მიზეზი დროებასთან შეუთავსებლობაა. მისი ცოდნა, კულტურა სოციალისტურ სახელმწიფოს არ სჭირდება. თარაშს აშინებს საბჭოთა საქართველოს გაძლიერება, ცივილიზაციას კი დიდი ერის ექსპანსიის ნიღბად თვლის. სჯერა, რომ ცივილიზაცია გაათანაბრებს ყველას, გაასწორებს მთასა და ბარს, წაშლის ეროვნულობის ნიშნებს. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მიზეზით ეტრფის ამგვარად სვანეთის ბუნებას, ადათ-წესებს, ლეგენდებს, პატრიარქალობას და ამით ერთგვარად წარსულს ებდაუჭება, მასთან კავშირის შენარჩუნება სურს, არ უნდა, რომ ცივილიზაციამ ქართველების თანამედროვეობასა და წარსულ დროებას შორის არსებული დამაკავშირებელი ძაფი გაწყვიტოს. თარაში პოლიტიკაშიც ვერ ირჩევს საკუთარ გზას, განზე გადგება და ისევ მარტო რჩება.

ქრისტიანობისა და ათეიზმის ბრძოლის ეპოქაში იგი უარყოფს ქრისტიანობას, ქრისტეს ჯვარს და წარმართობას მიელტვის. წარმართობა კი აღარ არსებობს, არარეალურია, ამიტომ კვლავ მარტო რჩება თარაში. როგორც აღმოჩნდა, რელიგიაშიც ვერ აკეთებს არჩევანს.

სიყვარულის შემთხვევაშიც ორი ქალი დგას მის წინაშე. ჯერ ელენ რონსერს ეტრფოდა, მაგრამ მათ შორის სამშობლო და დედა ჩადგნენ. შემდეგ თამარ შერვაშიძე გახდა მისი ტრფობის საგანი, მაგრამ მათ შორის იდეური განსხვავებები გამოიკვეთა. ევროპიდან ჩამოსული თარაში თუ ცივილიზაციით იყო „მოქანცული“, თამარი ჯერ კიდევ არ ზიარებოდა მას. ემხვარი მას წარსულისაკენ ეზიდება, მაგრამ თამარი ვერ წვდება წარსულის ღირებულებებს, არ ესმის უკვე გარდასული დროის რომანტიკა. აქედან გამომდინარე, გაუგებრობამ თუ დროებამ ისინი ერთმანეთს დაა-

შორა. როგორც წინა შემთხვევებში, თარაში ამ შემთხვევაშიც ეძებს მესამე გზას- ეს სვანი ქალი ლამარიაა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეულად რჩება. ლამარია, რომელიც სვანეთის ბუნების პირ-მშოა, უხეშ , მტკიცე არზაყანს ამჯობინებს ცივილიზაციისგან გაფაქიზებულ, დასუსტებულ ემ-ხვარს. ერთი შეხედვით ყოველგვარი სიკეთით შემკული პიროვნება-თარაშ ემხვარი-ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში იმედგაცრუებული აღმოჩნდა. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ამის მიზეზი თარაშის მიერ ყველა ამ შემთხვევებში „მესამე გზის“ ძებნაა, რომელიც ყოველთვის ძველთან და წარსულთან იყო დაკავშირებული-ძველი ბერძნული კულტურა,წარმართობა, ძველი საქართველო,ლამარია.ეს ყოველივე ემხვარის ფანტაზია იყო,რომელიც მაშინდელი საქართვე-ლოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა, აქედან გამომდინარე, მან, როგორც პიროვნებამ, ფუნქცია და-კარგა. ამის ლოგიკური გაგრძელება კი მისი აღსასრული იყო-უკანასკნელ გზაზე ძუძუმტე არზა-ყანმა გააგზავნა თავისივე ცხენით,არაბიათი.

რომანში თარაშის ანტიპოდია კომკავშირელი არზაყან ზვამბაია.თუ თარაშ ემხვარის სული მუდამ წუხს, არზაყანის პრიმიტიული მისწრაფებით სავსე სული მშვიდად და მტკიცედ მიის-წრაფის მიზნისკენ. თუ ცივილიზაციის სინათლემ ემხვარს პრიმიტიულობა მოანატრა, უკულტუ-რობის სიბნელეში დიდხანს ყოფნამ არზაყანში სინათლისკენ ლტოლვა გააჩინა.ის განათლებასა და ცოდნას ესწრაფის,კულტურა ენატრება, მაგრამ არა პირდაპირი გავებით, ამ მისწრაფებას თავისებური პოზიცია და ახსნა აქვს.არზაყანს არასდროს უფიქრია არც შოპენზე, არც ვაგნერზე, პლატონსა თუ გოეთეზე.მისი მიზანია ინჟინერის,მძღოლების რეგიონებს, ტრაქტორებს, მანქა-ნებსა და ლოკომოტივებს გაუძლვეს,რათა ახალი სამყარო აშენდეს, ქვეყანა შეიცვალოს და უკე-თესი ხანა დადგეს.

რომანის სიუჟეტში ნათლად იკვეთება არზაყან ზვამბაია ხასიათი - მისი ძლიერი ნებისყოფა, პირდაპირობა,სისასტიკე, ფანატიკური ერთგულება პარტიისა და სტალინისადმი,ასევე ცივილი-ზაციისა და კულტურისაკენ დაუღალავი სწარფვა.მაგრამ, მიუხედავად ამგვარი მისწრაფებისა,ი- გი არა აღმშენებელი, არამედ დამანგრეველია-მისთვის, თარაშისგან განსხვავებით, ძველი დრო-ის დასამარება პრიორიტეტი, სწორედ ამიტომ მსახურობს ჩეკაში, დასდევს და ხოცავს ყაჩა- დებს, დიდ როლს ასრულებს ქორა მახვის, თამარისა და თარაშის დაღუპვაში და კლავს საკუ- თარ მამას,როგორც წარსულის სიმბოლოს.აღსანიშნავია, რომ კაც ზვამბაიას, არზაყანის მამას- ,სძულს ბოლშევიკები და თბილისი, რადგან მიაჩნია, რომ დედაქალაქიდან შემოდის ყოველგვარი უბედურება - წიგნი და ,ზოგადად, ცივილიზაცია. საკუთარ ვაჟს, არზაყანსაც, უშლის კომკავშირ- ში გაერთიანებას, თუმცა ამაოდ. არზაყანი იმ ეპოქას ებრძოდა, რომლითაც მამამისი სულდგმუ- ლობდა. კაც ზვამბაია ძველ ეპოქასთან იყო შეზრდილი და ,ადრე თუ გვიან, მოკვდებოდა მასთან ერთდ, თუმცა მისი სიკვდილი მაშინ დაიწყო,როცა საკუთარი საქონელი ამონცვიტა, რათა კო- ლექტივში არ შეეყვანა. ეს მისეული პროტესტი იყო კომუნისტური იდეოლოგიისადმი. მას არ შე- უძლია შეგუება და ამიტომაც იღუპება.ნათელია, ასეთი მამის მოკვლით არზაყანი ცდილობს მას- ში არსებული იდეები მოკლას, ანუ წარსულისაკენ მიდრეკილება და ,ზოგადად, წარსული. წარსუ- ლის განადგურება,ისტორიის არქონა კი თავისთავად საშიშია,დამღუპველია ერისათვის,რადგან ,თუ არ იცი, რა იყო წარსული, რა მოცემულობას გიტოვებს ის,მომავალს მისი ღირებულებების კვალობაზე ვერ წარმართავ. არზაყანი მამის მკვლელობით წარსულს განაგდებს,მის ღირებულე- ბას აკნინებს,საბოლოოდ წყვეტს კავშირს ძველ ცხოვრებასთან.

„არზაყანის ყველაზე დიდი დანაშაული ის არის,რომ მოკლა თავისი ღმერთი - მამა, ძველი სამყაროს სიმბოლო, პატრიარქალობის მოძულებ სტიქიურად გაიმეორა ბარბაროსული წესი (შდრ-სტალინის სიძულვილი მამისადმი), ე.ი არაცნობიერად ის უფრო ახლოა უძველეს უამთან, ვიდრე თარაში! თარაში უფრო გლოვობს კაც ზვამბაიას, ვიდრე არზაყანი, რადგან თარაში მამის ერთგული შვილია, ხოლო არზაყანი ახალი ღვთაების ხატება,რომელმაც ძმების სახელით გასწი-

რა მამა (შდრ. - სოციალ-დემოკრატების მიერ ილია ჭავჭავაძის მოკვლა, ბოლშევიკების მიერ ნიკოლოზ II-ის ოჯახის ამონტევეტა<sup>72</sup>

არზაყანი ზვამბაია სახეა კომუნიზმისა. სწორედ მისნაირები იცავდნენ პარტიის ინტერესებს და ცდილობდნენ ქვეყნის „აშენებას“.

მიუხედავად იმისა, რომ თარაში და არზაყანი ძიძიშვილები არიან ისინი დროებამ ერთმანეთს დააშორა. ერთი იფიტება, ცხოვრების უნარს კარგავს, მეორე კი თამამად მიიჩევს წინ და თავის რეალიზებას ცდილობს. არზაყანი შურისმაძიებელია და მუდმივად თვითდამკვიდრებას ესწრაფის, ასევე პირდაპირი და უშიშარია - ეს მის თითოეულ ქმედებაში ვლინდება. ამის საპირისპიროდ თარაში ინტელიგენტია, მჭვრეტელი, მეოცნებე და მელანქოლიური.

არზაყანი საკუთარი იდეოლოგითა და მისწრაფებებით დიქტატორობისაკენ მიდის, ამას მისი დაწინაურებაც ამტკიცებს, როდესაც ცეკას ახალ მდივანს ცენტრალურ კომიტეტში გადაჰყავს, ამით საფუძველი ეყრდნობა იდეას, რომ ის უფრო ფანატიკოსი სტალინისტი გახდება და მეტ წვლილს შეიტანს მომავალ ტრაგედიაში.

გამოდის, რომ გასაბჭოებული საქართველოს საზოგადოებრივ ასპარეზზე არზაყანისნაირი ადამიანებითვის უფროა ადგილი, ვიდრე თარაშ ემხვარის. სწორედ არზაყანს დარჩა ასპარეზი, გაიმარჯვა და ცოლი შეირთო. იმარჯვებს ის, ვინც უარყოფს მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, ზნეს, მორალს, ვისთვისაც მთავარი ძალაუფლებაა. ის მიზანს აღწევს, თარაში კი მარცხდება - ძველებრძნული კულტურის მოტრფიალე, წარსულის შენარჩუნების ქომაგი, განათლებული, ცივილიზებურად მოაზროვნე პიროვნება. დამარცხდა, რადგან როგორი ავადმყოფური სენიც უნდა იყოს ცივილიზაცია, კაცობრიობა მასზე უარს არასდორს იტყვის, პირიქით, ესწრაფვის, ღრმად შეითვისებს მას ამიტომ იყო მართალი თარაშ ემხვართან კამათში კაროლინა შერვაშიძე-შერვაშიძების გერმანელი რძალი, როცა სწერდა მას: „დიახ, ავადობა კულტურა, ველურობა და სიჯანსა-ლე! მერმე რა, ეს რომ ასეა? შექსპირი, ვაგნერი და შოპენი თუ ავადობაა, ეს არც ისე ცუდი სენი ყოფილა“<sup>73</sup>. ამიტომ უნოდა იმავე კაროლინამ არზაყანს ნათელი აზროვნებისა და პროგრესული აზრების ადამიანი. თუმცა მისი ადამიანური სიყვარული და თანაგრძნობა თარაშისკენ იყო. მაშინ როდესაც ადამიანი გიყვარს, მოგწონს და ემოციურად თანაუგრძნობ, მაგრამ მის იდეებს არ იზიარებ ნიშნავს, რომ ეს იდეები სასიცოცხლო პირობებს არ შეიცავენ, ისინი გამოუყენებელი რჩებიან. ანუ, თარაშის იდეა განუხორციელებლი აღმოჩნდა.

კონსტანტინე გამსახურდიას თარაში უფრო უყვარს, მაგრამ მაინც გაიმეტა სასიკვდილოდ და ენგურში დაახრჩო. ავტორმა ვერ გადაარჩინა ის ადამიანი, ის მრწამსი, რაც თავის თავში სიკვდილის აუცილებლობას ატარებდა, რადგან ცივილიზაციის უარყოფის იდეა განწირული იყო დაღუპვისათვის. თუმცა ავტორმა რომანის სათაურის იდეური გახსნა სწორედ თარაშ ემხვარის პერსონაჟის მეშვეობით მოახერხა. გამომდინარე იქიდან, რომ თარაში წარმართობას და წმინდა გიორგის ეტრფის, რომლის სახელქვეშაც ძველი ქართული მთვარის ღვთაება იგულისხმება, (წმინდა გიორგი გამოსახული იყო ფეოდალური საქართველოს დროშებზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბზე და ა.შ.) მთვარის მოტაცება იმას ნიშნავს, რომ ენგურმა (შეიძლება ვივარაუდოთ რევოლუცია) ჩანთქა მთვარე - წმინდა გიორგი, ე.ი ემხვარმა დაკარგა დამოუკიდებელი საქართველო, წარმართულ-ქრისტიანული კერა - სიცოცხლის მთავარი მიზანი.

აქედან გამომდინარეობს რომანის მთავარი იდეაც - ქართული სახელმწიფო, ეროვნულობის შეგრძნება, კულტურა კომუნისტურმა იდეოლოგიამ, ბარბაროსულმა ძალამ მოსპო.

მომაკვდავ ეპოქასთანაა დაკავშირებული თამარ შერვაშიძის ბედიც. მისი მთელი არსება თარაშისა და არზაყანის საცილობელია. ემხვართან გვარიშვილობა, აღზრდა, ცხოვრების წესი აკავშირებს, არზაყანთან ყოველივე ამის უარყოფა. გამომდინარე იქიდან, რომ თამარი ძველის, შესა-

<sup>72</sup> სიგუა ს., „მარტვილი და ალამდარი“, ტომი 1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003წ, გვ. 202

<sup>73</sup> გამსახურდია კ. „მთვარის მოტაცება“, 1936წ, ტ. 3, გვ. 205

ბამისად ტრადიციების, ზნის, ჩვეულებების, შეხედულებების უარყოფას ვერ შეეგუებოდა, მან არზაყანთან ურთიერთობა ვერ შეძლო და თარაშის სიყვარულს ემსხვერპლა.

გარდა არზაყანისა, რომანი ბევრ სხვა კომუნისტისაც გვაცნობს - არლან არენბა, ჩალმაზი, როსტომ ლიჩელი, თუმცა რომანში აღნერილი მოვლენების დასაწყისისთვის ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული კოლექტივიზაცია და მის წინააღმდეგ ძმები ტარბები, აფაქიძე, ლომკაც ესვენ-ჯია, კაც ზვამბაია, ფაქტობრივად საზოგადოების ყოველი ფენა გამოდის, თუმცა ისინი ამ პროცესს ვერ აჩერებენ.

სიმბოლურია, რომ რომანში მრავალი ადამიანის სიკვდილია აღნერილი, ეს მთლიანი ეპოქის დამარცხებისა და სიკვდილის პროცესს გამოხატავს. ადამიანებთნ ერთად კვდებიან მომაკვდავი ეპოქისთვის დამახასიათებელი ნივთებიც, ამის მაგალითია ზარების ჩამოხსნა, ფუნქციადაკარგული ქამარ-ხანჯალი, სატევარი, თამარ შერვაშიძის ჯვარი, რომელიც ქრისტიანობასთან ასოცირდება.

რომანში მრავლად გვხვდება მითოლოგიური ამბები, სიზმრები და მათი მეშვეობით მოქმედება ხშირად ორ განზომილებაში მიმდინარეობს - რეალურსა და ირეალურში. ისინი ერმანეთს ავსებენ და რომანის შინაარს ერთიანად კრავენ. „*mTvaris მოტაცებაში*“ მითოლოგიურ ამბებს ორგვარი დანიშნულება აქვს. პირველი: რომანში აღნერილ ყოფას აძლევს განუმეორებელ ეროვნულ კოლორიტსა და ხასიათს. მეორე: ქმნის რომანის ალეგორიულ შინაარსს<sup>74</sup>

კაროლინას შარვაშიძეთა ოჯახში რძლად მიყვანის სცენები იქნება თუ თარაშ ემხვარის ბავშვობის გახსენება, ლუკაია ლაპახუას მისტერიები თუ ზოსიმიას ამბები, მალანურობა თუ სხვა რამ არა მარტო ყოფის სურათს გადმოგვცემს, არამედ ხალხის ცხოვრების ხასიათს, ბუნებასა და თვისებებს.

რომანის თითოეული პერსონაჟი მკითხველის ფსიქიკაში, როგორც რეალურნი, ცოცხალნი შემოდიან, თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი, ინდივიდუალური სახე და სწორედ მათი მეშვეობით, ადამიანთა სახეებით გამოკვეთს კონსტანტინე გამსახურდია ეპოქის ბედს, სულს, მის ტკივილს, სწორედ ამიტომაა „*mTvaris მოტაცება*“ არა მხოლოდ ჩვეულებრივი რომანი, არამედ საქართველოს წარსული დროების, შავ-ბნელი ეპოქის, სასტიკი სინამდვილის მართალი დოკუმენტი.

<sup>74</sup> ბაქრაძე ა. , თხზულებანი, ტომი II, თბილისი, 2004, „ მითოლოგიური ენგადი“, გვ 272

**ხატია ცარციძე**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხელმძღვანელი, პროფესორი: ნინო მინდიაშვილი

**იდეოლოგიური წესი და პონსტანტინე გამსახურდია**

XX საუკუნის 30-იან წლებში მწერლობა საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის წნევის ქვეშ მოექცა, რაც ჭეშმარიტ ფასეულობებზე უარის თქმასა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის რღვევას გულისხმობდა. ამ პროცესს ვერც კონსტანტინე გამსახურდია გადაურჩა, მწერალს მთავრობის დავალება უნდა შეესრულებინა და დაეწერა რომანი სტალინზე, რომელშიც უნდა ასახულიყო ბელადის ბავშვობა და რევოლუციური წარსული.

როგორც ცნობილია, 1937 წლის 3 მარტს სტალინმა ცეკას პლენუმზე სახელმწიფო ტერორი გამოაცხადა, რაც იმას გულისხმობდა, რომ განსხვავუბული აზრი სახელმწიფოში აღარ იარსებებდა, ხოლო ვინც დიდ ბელადს არ დაემორჩილებოდა, მისი ფიზიკური განადგურება მოხდებოდა, ხოლო 15 მაისს ქართველი ბოლშევიკების მე-10 ყრილობაზე ბერიამ დაადასტურა სტალინის სიტყვები თავს დაესხა რა „ცისფერყანნელებს“, აკადემიური ჯგუფის წარმომადგენლებს და სხვებს, საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ყრილობაზე გააკრიტიკა უმნვავესად კონსტანტინე გამსახურდია, როგორც ფაშისტური ელფერის მებრძოლი წაციონალისტი, თუმცა მწერლის დიდი ნიჭიც აღიარა და აღნიშნა, რომ საჭირო იყო მისი ხალხის სამსახურში ჩაყენება.

ამის შემდეგ დაიწყო კ. გამსახურდიას სასტიკი კრიტიკა, მწერალი თავს იცავდა ხშირად სიტყვით გამოდიოდა, სტალინსა და ბერიას განადიდებდა, მაგრამ ამაოდ.

კონსტანტინე გამსახურდია ლავრენტი ბერიამ და ილია თავაძემ დაიბარეს, შეხვედრის მიზანი შემდეგი იყო, მწერალს მთავრობის დავალება უნდა შეესრულებინა და დაეწერა რომანი სტალინზე, რომელშიც უნდა ასახულიყო ბელადის ბავშვობა და რევოლუციური წარსული.

კონსტანტინე გამსახურდიამ პირობა შეასრულა და 1939 წლის დეკემბერში დაიბეჭდა კიდეც ტრილოგია „ბელადის“ პირველი წიგნი, უნდა ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდია ნანარმობში წარმოაჩენს სოსო ჯუღაშვილის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს, მის დაუკებელ სწრაფვას თავისუფლებისა და პიროვნული დამოუკიდებლობისკენ.

სოსო ბავშვობიდან აქვს იმის შეგრძნება, რომ ის განსაკუთრებულია და კონკრეტული მისით მოევლინა ქვეყანას, სწორედ ამით აიხსნება მისი სიზმრებიც (ვახტანგ გორგასალი, გიორგი სააკაძე, ერეკლე მეორე). ახალგაზრდა სოსო გულანთებული იბრძვის ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ და ჩაგრულთა ქომაგად გვევლინება, სუსტებს ეხმარება, ცდილობს შეცვალოს ყოფა უკეთესობისკენ .... კონსტანტინე გამსახურდია ხევსურს ათქმევინებს: „ჩემი სოსო ასე ამბობს, სასიხარულო უნდა გავხადოთო ცხოვრება...“ ვინ ასწავლა მას ეს ამბავი?“ - გაკვირვებული იკითხავს რუსიკა...“ ვინ ასწავლა?-პასუხობს ხევსური-იგი თავად ასწავლის სხვას, სოსო ასე უბნობს, უნდა გადავაკეთოთო ცხოვრება, თუ ვარსკვლავებს უხარით ცაზე, თუ ყვავილები ახარებენ მინას, ადამიანმა რად არ უნდა გაიხაროსო? თუ კაცმა მოინდომაო სიხარული, მოიყვანოს თავად.. გაოცებული რუსიკა უსმენს გაგა არაბულს, რომელიც ისევ სოსოს ნათქვამს იმეორებს, „ჩვენ უნდა გავხდეთ სინათლის სათავე“ და ბოლოს კითხულობს..„ღმერთი თუ სწამს შენს ნაძმობს?“ „არა, პასუხობს გაგა, ეგ ასე უბნობს, გვატყუებენო ხუცები..“ ამ დიალოგში ნათლად ჩანს მწერლის სათქმელი, სოსო განსაკუთრებული ახალგაზრდაა, რომელიც დარვინს კითხულობს და რწმუნდება ღმერთის არარსებობაში(პეტასთან საუბარი-ღმერთი არ ყოფილა და ჩვენ კი ამდენ ხანს გვატყუებდნენ), მის აზრს ანგარიშს უწევენ, პატივს სცემენ, ის აშკარა ლიდერია.

ნაციონალიზმის გამომხატველია მოხუცი მისა ქილიფთარი (პროტოპიტი - პავლე ინგოროვა), ყოფილი ხალხოსანი, „ახირებული“ მწიგნობარი, რომელსაც 1801 წლის შემდეგ ქართველი ხალხი ისტორიიდან ამოშლილად მიაჩნია და უკანასკნელ ბაგრატიონს მხოლოდ სიძულვილით ახსენებს.

პატარა სოსოს მიხამ შეაყვარა საქართველოს ტრაგიკული წარსული, აჩუქა „ვეფხისტყაოსანი“ და ასწავლა ქართული ანბანი. პირველი სიტყვა, რაც სოსომ დაწერა, იყო „აგა“ და ეს სიტყვა არაფერს ნიშნავდა. ასე არაფერზე არის დაფუძნებული ჯუღაშვილის ცოდნა, რაც შეიძლება სიმბოლურ ფაქტად ექცია მწერალს. „ცუდი ხალხია რუსები,“ - ეტყვის სოსოს თანაკლასელი „წარმათი“ გაგა არბული, ვინც „სისიხლსა და ფოლადს“ ეთამაშება. უფლისა და მამუკა რუსების ხელით იღუპებიან, ისევე ისჯებიან, როგორც თავისუფლებისთვის მებრძოლი საქართველო.

უსამართლობის გრძნობას ყმას კიდევ უფრო უმძაფრებს მასწავლებელი ლავროვი, რომელიც მოსწავლეებს ეუბნება- რქიანი ვირი და ჭკვიანი ქართველი არ შემხვედრიაო, თქვენ სულით რუსებად უნდა აღგზარდოთ!

ავტორი არაფერს გვეუბნება ჯუღაშვლის ეროტიკულ განცდებზე. ცხადია, იგი მხოლოდ პერსონაჟის ასაკით როდო იყო შეზღუდული. ბუნებრივია ამ სფეროში ფანტაზირების უფლებას თავი თავს ვერ მისცემდა. ამ დანკლისს ავსებს თამაზ ამილახვარისა და ზურაბ მუხრანბატონის თავაშვებული ვნება რუსიკოს თვითმვლელობის ცდა, რათა რომანში ყოფილიყო რომანული პერსონაჟები.

ტფილისში სასწავლებლად წასვლის წინ მიხა ქელითთარი სოსოსა და მის მეგობრებს მოუწოდებს: „ისეთი კოცონი უნდა გააჩაღოთ, მთელმა ქვეყანამ დაინახოს შურისგების ალი. ე.ი. მომავალი რევოლუცია, იმპერიის დამხობა გაიგივებულია, როგორც ქართველთა შურისიება რუსულ ძლამომრეობაზე.

ასე ყალიბდება ყმა ჯუღაშვლის არსებაში თავისულებსაკენ სწრაფვა და ქვეყნის შეცვლის სურვილი.

ასე მთავდრება ტრილოგიის პირველი წანილი.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ მთავრობის დავალება პირნათლად შეასრულა.

1940 წლის იანვარში მწერალთა კავშირში ბელადის განხილვა მოეწყო, როგორც მოსალოდნელი იყო, რომანმა კრიტიკოსების საყიდელთაო მოწონება დაიმსახურა.

ხელისუფლება ხელს უწყობა, რათა რუსულ ენაზე სწრაფად ეთარგმნათ „დიდოსტატის მარჯვენა“ და „ბელადი“. ამოტომ მწერალი 1940 წლის თებერვალ-მარტსა და მაისში მოსკოვში იმყოფებოდა. აქ იგი მიიღო სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ლავრენტი ბერიამ, დიდხანს ესაუბრა და დაეხმარა, რათა წიგნების ტიარაჟი გაეზარდათ.

როგორც ჩანს, იყო ცდა, რომ კონსტანტინე გამსახურდია წარედგინათ ახლად დაარსებულ სტალინურ პრემიაზე, რათა წარმოეჩინათ.

მაგრამ ვითარება მაისში ძლიერ შეიცვალა, მოსკოვში ხელმეორედ ჩსულ მწერალს აღარ დახვდა გულთბილი ატმოსფერო. გამომცემლობამ ახალი რეცენზირება მოითხოვა, მაგრამ რეცენზენტები ვერ იშოვეს.

წიგნის არათუ დაბეჭდვა, თარგმნაც კი მომავლისთვის გადაიდო. სიტუაციის შეცვლის მიზეზი ის იყო, რომ თავად ბელადს რომანი არ მოსწონებია და უთქვამს: „მე ჩვეულებრივ ბავშვი ვიყავიო.“

სტალინისთვის არც ის უნდა ყოფილიყო მისაღები, რომ გამოყვანილია შოვინისტი რუსი ლავროვი, რუსთმოძულებელი ხევსური არაბულები, ნაციონალისტი მიხა ქილიფთარი.

კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადი“ არ აღმოჩნდა ბოლომდე დამაკმაყოფილებელი დიდი ბელადისთვის, ამიტომაც კონსტანტინესთვის აღარავის უთხოვია მეორე და მესამე წიგნებზე მუშაობის გაგრძელება, თუმცა „ბელადის“ გამოქვეყნების შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიამ შემოქმედებითი მუშაობა გააგრძელა ისე, რომ მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე აღარ დამუქრებია.

### ლიტერატურა:

1. წინმდინარე „ბელადი თბილი განზომილებიდან“, თბილისი 2006.
2. სოსო სიგურა - „მარტვილი და ალამდარი“, თბილისი 1989.
3. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება, ტრილოგია „ბელადის“ ბედი

**მარიკა ჭკადუა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: კოკა ბრეგვაძე

**მოდერნისტული ლიტერატურის პერსონაჟი როგორც არამყარი პერსონაჟი  
(გესტისცემის განვითარების პერიოდი) (პ. გამსახურდიას წეველა „ქალისრძის“ მიხედვით)**

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საბოლოოდ ყალიბდება ახალი, მოდერნული ცნობიერება, რაც გულისხმობს სეკულარიზაციის პროცესის დაფუძნებას, იერარქიათა რღვევას დაყოველ-გვარ ტრადიციულ „მიბმულობათაგან“ გათავისუფლებას, კერძოდ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და რელიგიურ მიბმულობათაგან („ინდუნგ“) (ვ. შმიდი) გათავისუფლება (შმიდი 1999: 99). შედეგად, მკვიდრდება ახალი ლიბერალური სოციოკულტურული ტენდენციები: მონარქიას უპირისპირდება რესპუბლიკანიზმი, ფეოდალური ყალიბის ეკონომიკურ ურთიერთობებს - თავი-სუფალი ბაზარი და კერძო საკუთრება, ბატონ-ყმობას - დემოკრატია. ამავდროულად საფუძველი ეყრდნობა მასშტაბურ ტექნიკურ, სამეცნიერო, საბუნებისმეტყველო პროგრესს, მასშტაბურ ინ-დუსტრიალიზაციას, ურბანიზაციას, კაპიტალიზაციას, რასაც თან სდევსცხოვრების „მანქანური“ რიტმი და ყოფის რაციონალიზაცია.

ამყველაფერს კი საბოლოოდ ყოფიერებისა და ცნობიერების დესაკრალიზაცია მოჰყვა, რაც ფრ. ნიცშემ „ლმერთის სიკვდილის“ მეტაფორით აღნიშნა. ადამიანი თავად დაემგვანა მანქანას, სული აღარ შერჩა, უნივერსალური ბიბლიურ-სახარებისული ეთიკა გაუქმდა, კაცობრიობა დეპუ-მანიზიაციის პროცესმა მოიცვა. სამაგიეროდ სანქცირებულია იმორალიზმი, ხოლო სულიერ კულტურას ანაცვლებს მანქანურ-ტექნიკური ცივილიზაცია. ადამიანი ხდება ტყვე არაესთეტი-კური ცივილიზებული გარესამყაროსი, რომელიც ადამინის ყოფას კიდევ უფრო ადეპუმანიზებს.

ამიტომაც, მოდერნისტ ავტორებს და მათ პერსონაჟებს ორმა ტრაგიზმი, ეგზისტენციალური შიში, აპოკალიფსური განწყობილებები ახასიათებთ. ვითარდებ ა. წ. დეკადენტური მწერლობა, რომლის უპირველესი თემა სულიერი კულტურის დაცემა და დაღმასვლაა. ამიტომაც, შემთხვევითი არაა, რომ ლიტერატურული მოდერნიზმი ხშირად მიმართავს ნიცშეს, კირკეგორიის, შოპენ-ჰაუერის, ფრონდის ფილოსოფიური იდეების რეცეფციას, რამდენადაც ამ ფილოსოფისთა ნააზ-რევში მკვეთრად დგას ტრადიციულ ლირებულებათა გადაფასების (ნიცშე) და ეგზისტენციალუ-რი გამოწვევების (კირკეგორი) პრობლემატიკა, რაც ასე ახლობელი აღმოჩნდა მოდერნისტული მწერლობისათვის.

ამ მხრივ აღსანიშნავია დეკადენტი მწერლების საყვარელი ფილოსოფიისას არტურ შოპენჰაუ-ერის მსჯელობა, რომელიც ადამიანის არსებობას აფასებს, როგორც უსასრულო ტანჯვას, ვინა-იდან ადამინი საკუთარი სუბიექტური წამოდგენების ტყვეობაშია, ხოლო ადამიანის ეგზისტენცი-ას ამოძრავებს მხოლოდ ნება(ჭილლე) და მისგან გამომდინარე სურვილები, ვნებები. ცხოვრება აბსურდულია, გამოსვალი კი ამ წარმავალი სურვილების დათრგუნვაში, მათგან გათავისუფლე-ბასა და ასკეტიზმი მდგომარეობს, სადაც მთავარი თანაგრძნობის გამოვლინებაა (ვილდენბანდი 1980: 534).

მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეპოქის მთავარი ფილოსოფიისა და კრიტიკოსის ნიცშეს ამოსავალ ცნებასაც სწორედ „ნება“ წამოადგენს, მაგრამ ნიცშეს მიხედვით ადამიანმა კი არ უნ-და უარჰყოს, არამედ პირიქით განავითაროს იგი. ნიცშეს მიხედვით ძალაუფლების ნება, ანუ სი-

ცოცხლისეული ნებელობა პირველადი და ერთადერთია ადამიანის ეგზისტენციაში. ნიცშეს „ზეკაცმა“ ტრადიციული ქრისტიანული და განმანთლებლური მორალი უნდა დაძლიოს, გადალახოს. მან უნდა განავითაროს სიცოცხლისეული ენერგია და მაქსიმალურად გამოავლინოს ნება (ვიღდენბანდი 1980: 578).

აქვე უნდა ვახსენოთ ფრონიდის „ფსიქოანალიზი“, რომლის მიხედვითაც ადამიანის ანთროპოლოგიურ არსს სამი ფსიქიკური ინსტანცია უდევს საფუძვლად. ესენია: 1.იგი(ს), ანუ არაცნობიერი - იგულისხმება ბუნებრივად თანდაყოლილი თვისებები, არამართვადი სურვილები, ამორფული აღქმები, უნი, გრძნობები, იმპულსები, რომლებიც გაუცნობიერებლად მიიღწვიან დაკმაყოფილებისკენ; 2.მე (იცვ), ანუ ცნობიერი - რომელიც არაცნობიერსა და გარესამყაროს შორის დგას, ესაა უკვე გაცნობიერებული გრძნობადობა, ფიქრის, გადაწყვეტილების მიღების მართვადი უნარი, რომელიც კონტროლს უწესებს არაცნობიერ ლტოლვებს, განდევნის მას და გარდასახავს კულტურული ქცევის ნორმებში (ე. წ. სუბლიმაცია); და 3. ზე-მე (წერ-იცვ), ანუ ზეცნობიერის ინსტანცია, რომელშიც გამახვილებულია სინდისის გრძნობა, და რომელ ინსტანციასაც ევალება გაფრთხილება, დანაშაულის გრძნობის გაღვივება. ამ ინსტანციას შეიძლება პირობითად ვუწოდოთ სინდისი, რაშიც საზოგადოებრივი ნორმებისა და ღირებულებების საკუთარ თავში გათავისება იგულისხმება. ფრონიდის მიხედვით ფსიქიკურად სწორია ისეთი ქცევა, რომელიც სამივე ინსტანციის ჰარმონიზირებას ახდენს. მოდერნისტულ ნანარმოებებში კი ხშირად ვხვდებით პერსონაჟებს, რომლებიც ამ სამი ინსტანციის ჭიდილში იმყოფებიან (მაგ., ჰარი ჰალერი). ჰესეს რომანიდან „ტრამალის მგელი“, ანგუსტ ავფონაშენბახით. მანის ნოველიდან „სიკვდილი ვენეციაში“ (ვიღდენბანდი 1980: 600). ამ ყველაფრის გათვალისწინებით მოდერნისტულ მწერლობას შემოჰყავს ახალი ტიპისპერსონაჟი, ე. წ. არამყარი, „ქცევითი“ პერსონაჟი (გესტისცვე იგურ) (ბ. ბრეხტი), რომელიც უპირისპირდება მონოლითურ, რეალიზმისთვის დამახასიათებელ მყარ პერსონაჟებს. ცნობილია, რომ რეალისტური მწერლობის პერსონაჟებს ახასიათებთ მყარი ჩამოყალიბებული მსოფლმზდველობა და მათში განვითარებულიდა და ფუძნებულია თვითიდენტობა. ასეთი პერსონაჟი, როგორც წესი, გმირია და მან იცის რა უნდა, გაცნობიერებული აქვს კონკრეტული მიზანი და მყარი მორალური ღირებულებები. ესაა, ასე ვთქვათ, დასრულებული, მკვეთრად განსაზღვრული თვისებების მქონე თავისთავადი პერსონაჟი, რომელიც თავისი ინდივიდუალობითა და ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური მთლიანობით ეთიკური თვალსაზრისით პოზიტიურად ზემოქმედებს გარესამყაროზე, საზოგადოებაზე (მაგ. ილიას ან ვაჟას პერსონაჟები) (ანდრეოტი 2009: 185).

„მოდერნისტი“ პერსონაჟის არამყარობა და „ქცევითობა“ კი გულისხმობს, რომ ის მუდმივად არის გარეგანი ზემოქმედების, ანუ გარესამყაროს უსაზრისობის მუდმივი ზემოქმედების ქვეშ, რაც ინვევს პერსონაჟის მყარი მსოფლმზედველობის რღვევას და მისი ქცევის იმპულსურობასა და ირაციონალურობას (ფრონიდი). აქ საქმე გვაქვს ე. წ. „დილეტანტ“ პერსონაჟებთან, იმ კუთხით, რომ მათი სუბიექტურობა დამლილია და მიზანი არ გააჩნიათ. პრობლემას ნარმოადგენს თვითიდენტობის ვერმოპოვება, რომლის მთლიანობაც დარღვეულია, აქედანაა მათი მუდმივი გაორება. აქედან გამომდინარე, მოდერნისტ ავტორს აინტერესებს უკვე არა მათი გარეგანი ცხოვრების გადმოცემა, როგორც ეს რეალისტური ტექსტებისათვის იყო დამახასიათებელი, არამედ პერსონაჟის „წმინდა“ ფსიქიკური მდგომარეობა, მისი იმპულსები და აგანცდები, მისი სულის შთაბეჭდილებები და ამორფული აღქმები. თავად პერსონაჟი კი აღარ არის ყურადღების ცენტრში, არამედ მისი ქცევის მოტივები. მოდერნისტი პერსონაჟი აღარ არის გმირი, რამდენადაც იგივეღარ ავითარებს გადამწყვეტ პერიკულაქტს, ვინაიდან მის პიროვნებაში ორი ურთიერთდაპირისპირებული ანთროპოლოგიური საწყისი (მაგ. გონი და ბუნება, გრძნობადობა და აგონება, რაციონ და ირაციონ და ა. შ.) ებრძვის ერთმანეთს (ანდრეოტი 2009: 192-193)

ამ კონტექსტში, განსაკუთრებით გამოიჩინა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ქალის რძე“ (1928), რომელიც ზუსტად პასუხობს მოდერნისტული მწერლობის სპეციფიკას: კერძოდ, აქ იკვეთება ნიცშესა და ფრონიდის ფილოსოფიური ტენდენციები - ჩნდებიან იმორალისტი პერსონა-

ჟეპი, რომელთ აანთროპოლოგიურ არსაა და ქცევაში ძალაუფლების ნება და არაცნობიერი ფსიქიკა დომინირებს.

შემთხვევითი არაა, რომ ნაწარმოებში თავდაპირველად თავად ავტორი, კონსტანტინე გამსახურდია, გვევლინება მთავარ პესონაჟად, ვინაიდან მოდერნისტი ავტორები საკუთარ თხზულებებში ხშირად გადმოსცემენ თავიანთ პირად სულიერ მდგომარებას, განწყობილებებსა და სულისმიერ ჭიდილს. ნოველაში „ქალის რძე“ გამსახურდია ტიპიურიქცევითი პერსონაჟია, ისწრაფვის განმარტოებისკენ, მდუმარებისკენ, ემიჯნება დანარჩენ „საქმიან“ თანამოძმეთ. თითქოს სიკვდილი მოსწყურებია, განგებ ირჩევს სანადიროდ საშიშ უდაბურ ტრამალებს, განგებ ტოვებს ქალაქს თავისი დამღლელი მანქანურობით და ბუნების პირისპირ დარჩენილი ცდილობს ჩასწვდეს საკუთარ სულს: „ადამიანი პატარავდება განუსაზღვრელობის პირისპირ, უჩინარდება სულის ნუხილი, სასაცილოდ ეჩვენება წარმავალი თავმოთხობა და გულზიადობა“ (გამსახურდია 1992:222).

რაღა თქმა უნდა, ნაწარმოები იმთავითვე სიმბოლურ-ალეგორიულია, ერმანეთშია გადახლართული რეალობა, სიცხადე და ზმანება, ცნობიერი და არაცნობიერი: „განმარტოებული დღის სიცხადე ზმანებად მექცა. მეგონა ჩემი ჩემს სხეულს განერიდა...“ (გამსახურდია 1992:223).

გარდა ამისა, გადმოცემულია მოდერნისტული ტექსებისათვის დამახასიათებელი აპოკალიპტური განწყობილები, ეგზისტენციალური შიში, ღრმა ტკივილი, ავტორის სიტვებით, „უმიზეზო დარდი“ და „უეცარი გლოვა“. საკუთარ თავთან მარტოდდარჩენილი პერსონაჟი, პირისპირ შეიგრძნობს სიცოცხლის უსაზრისობას, სიშლეგეს, რის გამოც, სიკვდილი სწყურდება: „მოვედ სიკვდილო. ტკბილო სიკვდილო. ნელ - ნელი ხმით ღილაც ჩემს სულში(შდრ. შოპენპაუერის სიცოცხლისეული ნებელობის ჩაცხრობის კონცეპტი - მ. ჭ.)“ (გამსახურდია 1992:225).

მაგრამ არც სიკვდილი სწავით ბოლომდე მის ორადგახლებილ სულს. საქმე იმაშია, რომ მყარი ხასიათი არ გააჩნია, მოქმედებს არაცნობიერიდან მომდინარე იმპულსური შთაბეჭდილებისა და ლტოლვების გავლენით, რომლებიც მალევე იცვლება და შესაბამისად მასთან ერთად პერსონაჟის დამოკიდებულებაც სამყაროსა და საკუთარი ეგზისტენციის მიმართ. იგი სიკვდილს მაინც სიცოცხლეს არჩევს და ნებისმიერი საშიშროების მოახლოებისას ძალაუფლების ნებას ავლენს: „ჩემი ბნელი სისხლი გახელდა ამ სიბნელეში, ისევ სიცოცხლე და თავდაცვა მომწყურდა“ - (გამსახურდია 1992:225).

თუმცა ეს ნიცშესეული საწყისი კიდევ უფრო მეტი სიცხადით ვლინდება ნაწარმოების მეორე პერსონაჟის, თამაზ ვარდანიძის, ქცევაში. ეს კარგად ჩანს თუნდაც იმ მონაკვეთში, როდესაც მეგობრები მარტოხელა მგელს ნაანწყდებიან. მისიყმული, გულისშემძვრელი გოდებ აკონსტანტინეს საოცარ თანაგრძნობას აღუძრავს: „ისე ნალვლიანად, ისე გულამომჯდარად მოსთქვამდა მგელი თავის მარტოობას და მიუსაფარობას, რომ მე, კონსტანტინე გამსახურდია... მხარიდან თოფს არ ჩამოვილებდი, სათნოებითაღვსილი მივუახლოვდებოდი, თავზე ხელს გადავუსმევდი...“ (გამსახურდია 1992:227).

ხოლო სრულიად სხვანაირად იქცევა თამაზ ვარდანიძე, რომელიც მეგობრის თხოვნის მიუხედავად განგმირავს ცხოველს: „გული ისე უნდა გამოწაფო, რომ სიბრალული არ შეგეპაროს. ვისაც ქვეყანა ებრალება, ქვეყანა მას არასოდეს შეიბრალებს“ (გამსახურდია 1992:227). აქ იკვეთება მომენტი, რომლითაც ნიცშე შოპენპაუერს დაუპირისპირდა. ესაა სიცოცხლის წყურვილი. ძალაუფლების ნების მაქსიმალური გამოვლინებისკენ სწრაფვა, რომელიც მორალზე მაღლა დგას. თითქოს ავტორიც გაორებულია: ერთი მხრივ. იზიარებს შემცნებულების მოსაზრებას, ხოლო მეორე მხრივ ნიცშესეული „ახალი ადამინი“ შემოჰყავს თამაზ ვარდანიძის სახით. მართალია, ამ უკანასკნელსაც სწყუროდა სიკვდილი, „ტყვეობა, დამცირება და წამებაც“ არ დაპკლებია, მაგრამ მაინც არასდროს გაპკარებია იგი. ალბათ იმიტომ, რომ ქვეცნობიერად მუდამ მიიღოტვოდა სიცოცხლისაკენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ძალაუფლების ნების გამოვლინების მიუხედავად, თამაზ ვარდანიძეც არამყარ პერსონაჟს წარმოადგენს. მისი „ქცევითობა“ და არამყარობა, იმორალიზმი სწორედ

ძალაუფელბის ნებითა და არაცნობიერი ლტოლვებითაა დეტერმინებული. თავადაც არ აქვს ბოლომდე გააზრებული რა უნდა, ვინაიდან ფრონდისეული სამი ფსიქიკური ინსტანციის ამორფულობა და დისპარმონიულობა მისთვის დამახასიათებელი. ის, ერთი მხრივ, კრიტიკულად უყურებს ცხოვრებას, ეგზისტენციის ალოგიკურობას: „რაც უფრო ახლოს ვეცნობი ადამიანს, მით უფრო იზრდება ძალისადმი სიყვარული ჩემში“ - ამბობს ის (შდრ. ნიცშე ანუ რიტიპის მიზანთობია). მეორე მხრივ, თავადაც ადამიანია და სიცოცხლის შესანარჩუნებლად უკანარაფერზე იხევს. ხოლო, როდესაც თათარ „ყაჩაღს“ განგმირავს, სიბრალული იპყრობს მას, იღვიძებს ფრონდისეული „ზეცნობიერი მე“: „რაღაც შინაგანი ძალა მარწმუნებს, რომ მე ნება არ მქონდა, თუნდაც მოსისხარის, მაგრამ მაინც თანამოძმის ცხედარი ძერებისა და ფოცხვერების სათრევად დამეგდო“ (გამსახურდია 1992:232).

კარგად ჩანს, რომ არც ვარდანიძეს გააჩნია მყარი სუბიექტურობა, არ გააჩნია ცხოვრებისეული კონკრეტული მიზანი, ხან შიში იპყრობს, ხან სინაული და სინდისის ქენჯნა, ხანაც არაცნობიერი ლტოლვები. ის გაუცნობიერებლად მოქმედებს, როდესაც მოკლულის ძალლს მიჰყვება მისი ვინაობის გასარკვევად და ასევე ქვეცნობიერად, გაუაზრებელად შედის მოკლულის „ჩადროსანთა შორის უნატიფეს“ ცოლთან. მის დანახვაზე ხან გაოცებას და პატივისცემას განიცდის, ხან სინაულს და შიშს და ბოლოს დაუმორჩილებელ ჟინს. ეს გრძნობები და აღქმები უცაბედად, სპონტანურად იპყრობენ მას და ისიც გადაწყვეტილებებს დაუფიქრებლად, გაუცნობიერებლად იღებს, მასში იმარჯვებს ირაციონალური საწყისი: „და ამ ჩემს აფორიაქებულ შეგნებაში ყველა ზრახვაზე უფრო საცნაური გახდა ნდომა ამ ქალისადმი“ (გამსახურდია 1992:236).პერსონაჟს უკვე მხოლოდ ჟინი, ქვეცნობიერი ამოძრავებს და მასთან ერთად ძლიერი ნება, რომელსაც წინ ვეღარაფერი აღუდგება, ვერც მორალი და ვერც ჰუმანურობა: „ვხედავდი მე, ალარ მქონდა არავითარი ძალა, რომ ამ ქალს მოვშორებოდი, ვიდრე ის ჩემი არ გახდებოდა.“ (გამსახურდია 1992:238). პერსონაჟი ერთგვარ ზმანებაშია, საიდანაც საბოლოოდ სწორედ ამ ქალის რძე აღვიძებს - როგორც კი მას იგემებს, გონს მოდის, რაციონალური და მორალური საწყისიღვ იძებს მასში და ქალს ტოვებს.

როგორც დავინახეთ, ამ ნოველაში საქმე გვაქვს მკვეთრად გამოხატულ არამყარ პერსონაჟებთან, რომლებიც გამოირჩევიან სწორედ თავიანთი იმპულსური და ირაციონალური ქცევით, რასაც ძალაუფლების ნება უდევს საფუძვლად. ამიტომაც, მათი ქცევა გამუდმებით და მყისიერად იცვლება ურთიერთგამომრიცხავი ეთიკური აქტით - ხან მორალური, ხანაც ამორალური თუ იმორალური ქმედებებით, ვინაიდან ასეთი პერსონაჟების ანთროპოლოგიურ არსში დაპირისპირებულ რაციონალურ და ირაციონალურ საწყისთა მუდმივი და უსასრულო ჭიდილია, რასაც წიცშე მრავლობითობას (Vielheit) უწოდებს.

### ლიტერატურა:

1. ანდრეოტი 2009: M. Andreotti, Struktur der modernen Literatur, Bern: Haupt, 2009.
2. გამსახურდია 1992: კ. გამსახურდია, ნოველები, ტ. I; თხზულებანი ოც ტომად, გამ-ობა „დიდოსტატი“, თბილისი, 1992
3. ვინდელბანდი 1980: W. Windelband, Lehrbuch der Geschichte der Philosophie, Tübingen: Mohr, 1980.
4. შმიდი 1999: W. Schmid, Philosophie der Lebenskunst. Eine Grundlegung, Frankfurt am Main: Shurkamp, 1999.

## ნათია ბოტკოველი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

### ზერთ მცირი

ოპტიკური დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ხარისხობრივ-სუბიექტური მახა-  
სიათებელი, რომელიც განისაზღვრება ფიზიოლოგიურ, მხედველობით შეგრძნების წარმოშობის  
საფუძველზე და დამოკიდებულია ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე- აი,  
ასე აგვიხსინდა ფერის რაობას რიგითი ფიზიკოსი. მართალია, ფერი წამდვილად ფიზიკური  
მოვლენაა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ფერები გავლენას ახდენენ ადამიანის განწყობაზე. მეც-  
ნიერებაც კი არსებობს - ქრომოფიზიკი, რომელიც სწავლობს ფერის გავლენას ადამიანის  
სულიერ მხარეზე. ყოველი ფერი საკრალური საიდუმლოს მატარებელია. საუკუნეების განმავ-  
ლობაში ფერები ადამიანის შინაგან განცდაში უფრო არსებობდნენ, ვიდრე ემპირიკაში. ჯერ  
კიდევ ანტიკურ ეპოქაში პლატონი „ნადიმში“ ფერს აღწერს, როგორც ფორმას, რომელიც  
თანაფარდია შეხედულებისა და გრძნობისა. მიუხედავად იმისა, რომ ფერი აბსტრაქტული ცნებაა  
და მას არ გააჩნია საგნის არც ერთი თვისება, უფრო სწორად, არ უნდა გააჩნდეს, მაინც  
არსებობს ფერების ფსიქოლოგიური ზეგავლენა მათი „სიცივისა“ და „სითბოს“ მიხედვით. ფერები  
იყოფა თბილ და ცივ ფერებად. მათი ასეთი დახასიათება ძირითადად განპირობებულია ადამი-  
ანზე ზემოქმედების უნარით. ფერების თეორიაში სრულიად გაურკვეველ ადამიანსაც კი არ  
გაუჭირდება „ემოციური შეფასების“ დახმარებით „ფერების წრეზე“ თბილი და ცივი ფერების  
გარჩევა. „თბილსკვ მიეკუთვნება ყველა ის ფერი, რომელიც განლაგებულია „ქრომატული წრის“  
ყვითელსა და წითელ-მელნისფერ ფერებს შორის.

ცივს კი - ყველა ის ფერი, რომელიც განლაგებულია „ქრომატული წრის მელნისფერსა და  
ყვითელ-მწვანე ფერებს შორის. მიჩნეულია, რომ თბილი ფერები სიკეთეს და ნდობას ასხივებენ,  
ცივი ფერები კი - დამოუკიდებლობას, განყენებულობას, დისტანციას. როგორც უკვე აღვნიშნე,  
ფერის სიმბოლიკას უდიდესი ისტორია აქვს. „ფერის წაკითხვას“ ადამიანები განსაკუთრებულ  
მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რამაც თავისი ასახვა ჰქონდა მითოლოგიაში, ხალხურ გადმოცემებში,  
ზღაპრებში, სხვადასხვა რალიგიურ, თუ მისტიკურ სწავლებებში. არავინ იცის რის მიხედვით  
უწოდეს ფერებს სახელები და კიდევ უფრო უცნაურია ის სიმბოლური დატვირთვა, რაც საუ-  
კუნეთა მანძილზე ადამიანებმა ფერთა პალიტრას მიანიჭეს. სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში  
სამყაროს ფერები იყო საშიში და შვების მომტანი, მტრობისა და მეგობრობის მომნიჭებელი,  
შიმშილისა და სიუხვის თანაზიარი, რწმენისა და სიყვარულის მატარებელი და სულ ერთია, ეპოქა  
და ათასწლეული, რაციონალური და ირაციონალური, რეალური და ვირტუალური, ადამიანს  
აღაფრთოვანებს სამყარის ფერთა ჰარმონია და ცდილობს, მისი სრულყოფილების საიდუმლოს  
ჩასწვდეს.

ფერის რაობა მუდამ ფილოსოფოსთა და ხელოვანთა განსჯის საგანი იყო. დიდი ხანია  
დადგენილია, რომ ამ ფაქტორით შეიძლება ვისარგებლოთ ბიზნესში, ამა თუ იმ დაავადების  
მკურნალობისას, ფსიქოლოგიური კლიმატის გასაუმჯობესებლად შინ და გარეთ. ფსიქოლოგებმა  
ფერების გამოყენების მიხედვით დაყვეს ადამიანთა ფსიქოტიპები და ა.შ.

ამბობენ, რომ ყველა ქვეყანაში ფერებს განსხვავებული ინტენსივობით იყენებენ. განვიხილოთ საქართველოში გავრცელებული ძირითადადი ფერები და მათი აქაური სიმბოლური დატვირთვა: პირველ ყოველისა, წითლით დავიწყებ, იგი სისხლსა და ცეცხლთან ასოცირდება. მისი სიმბოლური მნიშვნელობა მრავალფეროვანია და ხშირად ურთიერთგამომრიცხავიც. წითელი ფერი სიხარულის, სილამაზის, სიყვარულის მანიშნებელია, თუმცა, მეორე მხრივ, ასახავს მტრობას, შურს, ომს.

**თერი ფერი** სისუფთავის, სინმინდის, უმწიკვლობის და სიხარულის სიმბოლოა. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან თეთრი ფერი მიწიერებისგან მოცილებულ, სულიერ უბრალობას აღნიშნავდა. ქრისტიანულ ტრადიციებში თეთრი ღვთიურ სინათლესთან კავშირს აღნიშნავს. თეთრი ფერით გამოსახავენ ანგელოზებს, წმინდანებს, მართლმორწმუნებს. ჩვენი ქვეყანა იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც თეთრი მშვიდობის სიმბოლოა.

ყველგან, მათ შორის საქართველოში, შავი ფერი უბედურების, გლოვის, სიკვდილის ფერია.

**ყვითელი ფერი** ოქროს ფერია. იგი საქართველოში უძველესი დროიდან აღიქმება, როგორც მზის, შემოდგომის, მნიშვე თავთავის, გაყვითლებული ფოთლების ფერი.

**ლურჯი** ჩვენთან ცისა და მარადისობის სიმბოლოა.

**მწვანე** ბალახისა და ფოთლების ფერია. ჩვენს ქვეყანაში ის ახალგაზრდობის, იმედის და მხიარულების სიმბოლოა, თუმცა ხანდახან მოუმწიფებლობის და არასაკმარისი სრულყოფილების აღმნიშვნელიცაა.

ცისფერი ოდითგანვე ცისა და ზღვის ფერებია და მარადიულობის, საიდუმლოსა და ღვთაებრივი ჭეშმარიტების სიმბოლოს წარმოადგენდა.

სამყაროში შვიდი ათასი ფერი არსებობს, მათგან მხოლოდ ოთხი ათასს აქვს სახელი, დანარჩენი კი ნომრით აღინიშნება. მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ადამიანის თვალი სამას ფერს აღიქვამს, ხოლო მხატვრებს ეს ალემა გაათმაგებული აქვთ. ვფიქრობ, ამ მოსაზრების მიხედვით, მხატვრებს განსაკუთრებული პატივი ერგოთ, განსაკუთრებით, ფერმწერებს, რომლებიც სწორედ ფერებს მიმართავენ თავიანთი სათქმელისა და გრძნობების გამოსახატავად. მსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილო, ადამიანზე, რომელმაც კალმის საშუალებით შეძლო, ყველაფერი იმის გამოხატვა, რაც ხშირად ფუნჯით არ ძალუდ მხატვრებს, კონკრეტულად კი ფერმწერებს, სწორედ ამიტომ ვუწოდებ, კონსტანტინე გამსახურდიას ფერთ მწერს. ძნელი წარმოსადგენია, ერთ ნაწარმოებში, შეძლოს შემოქმედმა და თავი მოუყაროს 75-მდე ფერს, მაგრამ ეს შეძლო ისტორიული რომანების დიდოსტატმა თავის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ რომანში, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“. რასაკვირველია, ამ 75 ფერში ის რამდენიმე ძირითადი ფერი როდი იგულისხმება, დასაწყისში რომ ვახსენე, კონსტანტინე გამსახურდიას გენიას ავლენს ის ფაქტი, რომ მას აქვს უნარი შექმნას ახალი სიტყვები, ან სიცოცხლე მიანიჭოს „კარგად დავიწყებულ ძველს“. რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ ერთი დიდი ტილოა, რომელზეც ფერთა მწერმა ენით აუნერელი, ჯადოსნური ფერთა გამა მოგვცა. თქვენს ყურადღებას შევაჩერებ იმ ფერებზე, რომლებიც საყოფადცხოვრებო მეტყველებაში ხშირად ან საერთოდ არ გამოიყენება და მწერლის უკიდეგანო ფანტაზიის ნაყოფია.

„თვალები სულის სარკეა“, არც თუ იშვიათად გავიგონია, რომ თვალის ფერი გარკვეულ ინფორმაციას და მინიშნებებს შეიცავს ადამიანის ხასიათზე. შევვიძლია ჩამოვთვალოთ რამდენიმე ისეთი ფერი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება თვალის ფერის აღსანიშნავად, ესენია: ყავისფერი, შავი, თაფლისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ცისფერი. გამსახურდია თვალის აღსანიშნავად ამ ფერებიდან იყენებს თაფლისფერს, როცა აღნერს კვეტარის ერისთავს, თალაგვა კოლონკელიძეს, რომლის „თაფლისფერი თვალებიდან სიჭაბუკის ცეცხლი გამოჰკრთოდა.“ ფსიქოლოგთა აზრით, თაფლისფერთვალება ადამიანები ჯიუტები არიან და

ყველაფერს თავისებურად აკეთებენ, ამასთანავე, ღია თაფლისფერი თვალები მზაკვრობის გამომხატველიცაა, სწორედ ამიტომ ამ ფერის თვალები კოლონკელიძის ხასიათს განსაკუთრებულ შტრიხს სძენს.

რაც შეეხება მეფე გიორგის, მას მუქი წაბლისფერი თვალები აქვს, ეს ფერი ახასიათებთ თავდაჯერებულებსა და გონიერებს. თუ დავაკვირდებით, ეს ფერიც სწორადაა არჩეული მისი პატრონისთვის. გიორგის დეიდაშვილს, გირშელს კი ცისფერი თვალები აქვს, რაც ყველისციხის პატრონს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას სძენს.

ესაა ის ერთი-ორი ფერი, რომელიც ჩვეულებრივი ფერთა პალიტრიდან „ისესხა“ ავტორმა. აი, თავად კი შემდეგი ფერები შექმნა: ქლიავისფერი - ცხენი დარდიმანდის თვალებისათვის, ცერცვისფერი - მესაწოლე ბერისთვის, ლოპინარი ცერცვის სახეობა და ლოპინარისფერი თვალები „უპირო კაცსკვა, განმგეთუხუცესს აქვს. ზღვისფერი - კოლონკელიძის მხოლოდშობილი ასულის, შორენას ლამაზი თვალების საჩვენებლად.

ყურადღება მინდა შევაჩერო მამამზე ერისთავის თვალებზე, რომელიც უჩვეულო ფერით დაგვიხატა დიდოსტატმა, ისრიმისფერი, ისრიმი საბას ლექსიკონის მიხედვით, „უმნიფარი ყურძენიაკუ, წარმოიდგინეთ ადამიანი, მოციმციმე მკვახეყურძნისფერი თვალებით, ფაქტია, გამსახურდიამ ამ დეტალით მამამზის შინაგან ზრახვებს გაუსვა ხაზი.

შემდეგი ფერი ფეტვისფერია, რომელიც მიმინოს თვალებს აღწერს, ფეტვი პურეული მცენარეა, მარცვლოვანთა ოჯახის წარმომადგენელი, მოყვითალო, მოჩალისფრო ფერისა, რაც შეეხება არსაკიძის მიმინოს, მას ქარვისფერი თვალები ჰქონდა. ქარვა მაგარი, გამჭვირვალე ფისოვანი ნივთიერებაა ნარინჯისფერშეპარული ყვითელი ფერისა.

გიშერი მუქი შავი და მკვრივი ფისოვანი ქვანახშირის სახეობაა, ამ ფერის თვალები ამშვენებს შორენას საყვარელი ნუკრს, ნებიერას. თავად ნებიერას პატრონს კი ზღვისფერი თვალები აქვს, როგორც ავტორი ამბობს: „თვალებში უელავდა ლაზისტანის ზღვისა სილურჯე.“ „თვალებიდან იელვა ზღვისფერმა სილურჯემ“, „დიდოსტატის მარჯვენა“ ერთი დიდი ფერწერული ტილოა, ზოგიერთი ეპიზოდი მთლიანად ფერების დღესასწაულია, აი, მაგალითად: „ლაინისფერი და ისლფერი ეპრძოდნენ ურთიერთს ცარგვალზე, მცირე ხანს ენდროსფრად შეიღებნენ დურაჯისფერი ქულები, კარაველებივით მიმობნეულნი ცაზე, ბოლოს სოსანისფერი წამლებით შეღება ღრუბლები უჩინარმა არსთა მხატვარმა.“ ამ მონაკვეთში ბევრი უჩვეულო ფერია მოხმობილი: ლაინი, საბას განმარტებით, „შეღებილი ნარმაა,“ ანუ შინაური წესით დამზადებული უპირატესად მუქ ლურჯად შეღებილი თხელი ბამბის ქსოვილია. ლაინისფერი, შესაბამისად მუქ ლურჯს აღნიშნავს, ეს ფერი სხვა ეპიზოდშიც გვხვდება: „ლაინისფერ მთებზე ალაგ-ალაგ ელავდა ხასხასა სითეთრე“, ან „ლაინისფერმა გადაჟურა ხუროთმოძღვარს სახეზეკა, ლაინისფერის გარდა, არანაკლებ ყურადღებას იქცევს დურაჯისფერი და სოსანისფერი. დურაჯი ქათმის მსგავსი მცირე ზომის ფრინველია, მას ჭრელი შეფერილობა აქვს, რომლის შემადგენლობაში შედის ყავისფერი, შავი, თეთრი და მონარინჯისფრო. რაც შეეხება სოსანს, ის ღია იასამნისფერი, ბაიასებრთა ოჯახის წარმომადგენელი ლამაზყვავილებიანი, ერთწლოვანი მცენარეა.

როგორც მრავალგზის აღვნიშნე, „დიდოსტატის კონსტანტინეს მაჯვენა“ ისტორიული რომანია, ამიტომ აქ მრავლადა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია. საომარი აღჭურვილებიდან უმნიშვნელოვანესია თორი, რომელსაც ავტორი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ფერით გვიჩვენებს, მაგალითად, არსაკიძეს უანგისფერი თორი აცვია, შორენასთან სტუმრად მოსულ ხევისბრებს - ხოჭოსფერი, ხოლო ხატობაში შეკრებილ ფხოველებს ქორისფერი თორი მოსავთ.

თორის მსგავსად, მრავალფეროვნებით ხასიათდებიან რომანში გამოჩენილი ცხენები, გიორგი მეფე ოქროსფერ ცხენს დააქროლებს, ასევე გამოყვანილი არიან თაფლისფერი კვიცები, მგლისფერი აჯილღა, ჩალისფერი ფაშატი, ოს თავადს, თუზარაის ყორნისფერი ულაყი ჰყავს.

ეს ცხენები რომანში ხშირად არ გვხვდებიან, მაგრამ მაინც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებენ, ასევე შთამბეჭდავია წეროს აღწერა, რომელიც ნადირობის დროს

გადაეყარა გიორგის: „ცხვირწინ აუფრინდა წერო, დურაჯისფერი ფრთები ჰქონდა, მიხაკისფერი მკერდი, მწყრისფერი ზოლებით მოხატული კისერი“.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“ არის ბევრი ისეთი მიგნება, ისეთი წინადადება, რომლის დასაშლელადაც კალამი არ დამემორჩილა, ისინი სწორედ ამ სახით უნდა იყვნენ რომანში, რადგან სწორედ მათ აკისრიათ ნაწარმოებში მხატვრული ღირებულების ჩვენება. ჩემი მოსაზრების საილუსტრაციოდ საკმარისია შემდეგი წინადადები: „ელავდნენ ცეცხლისფერი ზოლები მშვილისფერ ტრამალზე“, „ქედანისფერი, მგლისფერი, და ზღვისფერი ებრძოდნენ ურთიერთს კორდებზე“, „ძერასფერ ქარაფების კიდეებს შეფარვით ეტმასნებოდნენ თავანეული გველები“, „მახლობელ სამლოცველოს ნანგრევიდან წამოიშალნენ ყორნები, მერმე აირივნენ ჰაერში და მელნის ლაქებად შეესხნენ სადაფისფერ ცას“, „თავდაპირველად ქვიშისფერნი იყვნენ ღრუბლები, მაგრამ როცა მთვარე თავზე წამოადგა ჯვრის მონასტერს, გაყვითლდნენ ისინი. მერმე ატყდა სხივთა ლიცლიცი ცაზე. გალურჯდნენ მთები, ხოლო ღრუბლებსა და ცას ქედანისფერმა გადაჰკრა იერმა.კკ ვფიქრობ, მოყვანილი მაგალითების ჩემეული კომენტარები გააუბრალოებს მათ და მხატვრულ ღირებულებას დაუკარგავს, ამიტომ მათ ხელუხლებლად ვტოვებ.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პერსონაჟთა თმას, ამიტომ ჩემიც მიმოვიხილოთ მათი თმის ფერი, შორენას პირისფარებს, ვარდისახარს ხორბლისფერი ნაწინავები აქვს, შორენას და მამამზე ერისთავის ვაჟს, ჭიაბერს - თვთუხისფერი დალალები და კულულები აქვთ, არსაკიძე და თალაგვა კოლონკელიძე წითურები არიან, მამამზეს კი თოვლივით თეთრი თმა-წვერი აქვს.

ხშირად დიდი რაოდენობით მხატვრული ხერხების გამოყენება ნაწარმოებს ექსპრესიულობას უკარგავს, კონსტანტინე გამსახურდიას გენია იქიდანაც ჩანს, რომ მან შეძლო ტროპის სახეებით ნაწარმოები უფრო ემოციური და ექსპრესიული გაეხადა, მაგალითისთვის გაგახ-სენებთ ჭიაბრის მწევრის სიკვდილის ეპიზოდს: ძალმა ჯერ „სისხლისფერი ენით გალოკა ძელი“, ცოტა ხნის შემდეგ, „შავი მწევარი უეცრად წაიქცა და დაიწყო ფხარკალი, ტარაბუასავით დატრიალდა რყალივით მოდრეკილი ძალლი, პირიდან დუჟი მოსდიოდა კარაქისფერი და ხაოდა საწყალობლად. გავიდა რამდენიმე წამი და „წაიგრძელა კისერი, ცილისფერი გუგები შემო-აშტერა მამამზესა და ტოხაისძეს, მინებდა სიკვდილს“. როგორც მიხვდით, კარაქისფერი და ცილისფერი ამ დაძაბული ეპიზოდის ემოციურობის გაძლიერებას ემსახურება. აქვე უნდა დავამატო, რომ საბედისწერო ჯვარი ძელიცხოველი თუჯისფერია.

ისფერი რამდენიმე კულტურაში მისტიკურ ფერადაა მიჩნეული, მაგრამ მაინც მეეჭვება მისი არამეცეყნიურობა და მისტიკურობა გამსახურდიაზე უკედ წარმოედგინოს ვინმეს, „დიდოსტატის მარჯვენაში“ მთვარეს იისფერი ბლონდი მოსავს, ვარსკვლავები იისფერ წამნამებს აფახუ-ლებენ, რაც ხშირად იისფერია, თუმცა ცის დასახატად ფერთ მწერი რა ფერს აღარ იყენებს, აქ შეხვდებით ქედანისფერს, მინისფერს, სადაფისფერს, მტრედისფერს, ქარვისფერს, შაბიამნის-ფერს. ცის გვერდით, ლოგიკურია, ვახსენოთ მთების, მიწის და ღრუბლებისთვის შერჩეული ფე-რები, ქვიშისფერი და მიწისფერი ღრუბლები, ძერასფერი ქარაფები, ავაზასფერი კლდეები, კურ-დღლისფერი ჯაგები, კავკასიონის შაბიამნისფერი მწვერვალები, იისფერი კორდი, ცარცისფერი და ლაინისფერი მთები და მთის ქორისფერი ქორედები.

ნაწარმოებში ფერის საშუალებით ხშირადაა გადმოცემული ადამიანის შინაგანი მდგომარე-ობა, მისი განცდები, შეცყრბილ მოღალატე მამამზეს სახეზე მიწისფერი ადევს, მიწისფერი გა-დაჰკრავს გიორგისაც სიკვდილის წინ, მგლოვიარე შორენას ცვილისფერი დასდებია სახეზე, ავადმყოფ მელქისედეკს კი, ლაინისფერი ტუჩები აქვს.

განსაკუთრებული ფერადოვნებით გამოირჩევა შორენას მზითევისა და ტანისამოსის აღწერა, აქ მწერლის ფანტაზია ყოველგვარ საზღვარს სცილდება და ასეთ სურათს გვიხატავს: „ხატაური და ირანული დიბის კაბები გადმოიღო ვარდისახარმა, ნარინჯისფერნი, მზისფერნი და ზღვისფერნი. ცხრა კაბა ქირმანული ფერადი შალისა, ცხრა საწმერთული გვიმრისფერი,

ენდროსფერი და პირისფერი. ოქროს ქამრები, მძიმე სარტყელები ამოალაგა თეთრი, შავი და უნბისფერი. ყვითელი, მწვანე, ურუნი და იისფერი ქათიბები ოქროქსოვილი ზორტებით და მარგალიტის ფოჩვებიანნი.“

ახლა ცოტა მეტი ვთქვათ ამ სიმდიდრის პატრონის შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნე, მას ზღვისფერი თვალები და თავთუხისფერი დალალები აქვს, საინტერესოა, რომ თავთუხისფერი თმების მქონე ქალებს ხშირად შეხვდებით ოგიუსტ რენუარის ნახატებზე. რენუარის აზრით, „ქალს თმაში მზე უნდა უცინოდეს“, სწორედ ასეთად წარმომიდგენია კოლონქელიძის ქალის ხშირი დალალები. მთელ რომანს გასდევს შორენას უცნაური კანისფერისთვის შერჩეული სიტყვა, ვარდისფერი არა, არც ყვითელი ან ცვილისფერი, არამედ „ძუელთაძველი სპილოსძვლისფერი“, გონების წარმტაცი იყო მისი ბრონეულისყვავილისფერი ბაგები, მას ავტორი ხშირად ადარებს ყინწვისის ანგელოზს, ეს სილამაზე საბედისწერო აღმოჩნდა შორენასთვის, მისი სიცოცხლეც, სხვა პერსონაჟების მსგავსად, ტრაგიკულად დამთავრდა. მეფე გიორგის გველისფერი წმინდა გიორგის რისხვამ უნია, უტა კი- ცეცხლისფერმა მორიელებმა დაგესლეს. როგორც ვხედავთ, ნაწარმოების ბოლომდე ითამაშეს ფერებმა თავიანთი როლი.

დასასრულს, მინდა იმ საოცარი ქმნილების ერთა პალიტრასაც შევეხო, რომელიც უზომოდ უყვარდა კონსტანტინე გამსახურდიას, რომელმაც უამრავი ადამიანის სული შეინირა და საუკუნეების შემდეგ დღესაც ამაყად დგას, როგორც ღმერთთან მებრძოლი იაკობი, სვეტიცხოველი... „ამ ტაძრისათვის თვალის შევლება ყოველ დროში სანუკველია; დილით ხვლიკისფერია იგი, მოუღალავი მზით გაშუქებული, შეღამებისას ოქროცურვილია, ხოლო მწუხრის შემოდგომისას, თუ ვარსკვლავიანმა ცამაც დაადგა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუდე ჰარმონიით აღვსილი ხაზების ზესწრავება“.

რომანში კიდევ ბევრი ფერია, რომელთა ჩამოსათვლელად და ასაღწერად არც „ენა მეყოფა, არც გული და არც ხელოვანება“, ეს ფერები უბრალოდ უნდა დაინახო, ხედვა ხომ იმ ხუთი გრძნობიდან ერთ-ერთია, რომლითაც ჩვენს სამყაროს აღვიქვამთ, სამყაროს, რომელიც „ჩვენ, კაცთა მოგვცა“ შემოქმედმა და „გვაქვს უთვალავი ფერითა“, აი, ამ უთვალავ ფერს აუცილებლად იპოვის მკითხველი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“.

**მელანო ზოსიძე, სოფო გუბელაძე**  
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
 ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ პაიჭაძე

### პონსტანტინე გამსახურდია (შემოქმედებითი პორტრეტისათვის)

კონსტანტინე გამსახურდია ქართული პროზის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი და ჩვენს ლიტერატურაში ბევრი სიახლის შემომტანდამამკვიდრებელი.

კონსტანტინეს მოუხდა ისეთ ქარცეცხლში მოღვაწეობა, რასაც საბჭოთა კავშირი ჰქონდა. საბჭოთა პერიოდის არაერთი კრიტიკოსის ტენდენციური პარტიული თვალთახედვით აანალიზდა მნერლის შემოქმედებას და ავტორის მოქალაქეობრივ-მამულიშვილურ პრინციპთაგან ბევრი რამ სიციალური ეპოქისათვის მიუღებლად მიაჩნდა. ამდაგვარი იდეოლოგიზებული კრიტიკის მაგალითებს განსაკუთრებით უხვად ვხვდებით 20-30-იან წლების კრიტიკოსთა ნააზრებში.

ოფიციალური ხელისუფლებისა და კრიტიკის ამგვარი დამოკიდებულება მნერალს იძულებულს ხდიდა დროდადრო გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მას თავისი პროცესისათვის მაინც არ უღალატნია. ეს უპირველეს ყოვლისა, მის პატრიოტულ თვალთახედვაზე ითქმის. საბჭოთა პერიოდის ქართველთაგან იშვიათად თუ მდგარა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე მისგვარი რაინდული გამბედაობით. კ. გამსახურდიას მთელი შემოქმედება და მამულიშვილური მოღვაწეობა ამისი სანიმუშო ხმალშემართული იდგა ჩვენი ერისა და ენის დასაცავად და გმირულად ილაშქრებდა ინტერნაციონალიზმის ქურქში შენიდბული ბოლშევიკური კოლონიალიზმის ნინააღმდეგ.

“მე არ ვმალავ: დიდ კულტურაზე ვოცნებობ. კრიტიკულად ვუცქერი როგორც ქართული კულტურის წარსულს, ისე თანამედროვე ევროპას. ჩვენ უნდა გადავლახოთ ქართული კულტურის ეთნოგრაფიული მიჯნები. ძველი ქართული კულტურა პროვინციულური იყო, ახალი მსოფლიო კულტურა ურბანისტურია” და აცხადებს კონსტანტინე გამსახურდია.

მხატვრული აზროვნების განახლებას სჭირდებოდა ევროპის კულტურასთან ზიარება, ახალი იდეების შემოტანა და დამკვიდრება. ამავე დროს ეს იყო ბარიერი, რომელიც მნერალმა დაუხვერდა წითელ იდეოლოგიას. მნერლის იდეალად რჩებოდა დასავლეთი ევროპა, ევროპის ინტელექტუალური სამყარო, მიზნად და ქართული სულისა და ქართული სიტყვის განახლება.

აღსანიშნავია, მნერლის სიტყვა ილიას საფლავზე: “მე მიმაჩნია უდიდეს გამარჯვებად რომაელთა გამარჯვება სიკვდილში. ისინი თავიანთ ლეგიონებთან ერთად მწყობრი მარშით ჩავიდნენ სამარეში, როცა მინაზე მათ ენას, მათ კანონს და მათ ღმერთებს გასავალი აღარ მისცეს. ასეთი სიკვდილი უდიდესი გამარჯვებაა ყველა ერისთვის.” ამით კი აშკარა დამოკიდებულება გამოხატა როგორც ილიას, ასევე ილიას მკვლელისა და სრულიად ერის წინაშე, რომელმაც ვერ უპატრონა თავის წინამდღვარს, ერის მამას...

კონსტანტინე გამსახურდია ვაჟას კოლუმბს უწოდებდა, რომელმაც აზროვნების უცნობი კონტინენტი აღმოაჩინა.

კონსტანტინემ ჭაბუკი ტერენტი გრანელი “ილიონში” დაბეჭდა, მაგრამ მადლობის ნაცვლად სიმბოლისტი პოეტი მნერალთა კავშირში ეძგერა უფროს კოლეგას, თავის კეთილისმყოფელს და ჰალსტუხი ჩამოჰველივა, პიუონი ხარო. კონსტანტინემ მოასწრო და ტროსტი სდრუზა გათავხე-

დებულს. ალბათ, ტერენტის ამღვრეულ გონებაში წამიერად გაუელვა, რომ კონსტანტინეს არ უყვარდა “ciferyanwelebi” და სიმბოლიზმსაც აკრიტიკებდა.

თავდასხმებითა და შემოტევებით შევიწროებულმა მწერალმა 1934 წელს სპეციალური განცხადებით მიმართა მწერალთა კავსირის პრეზიდიუმს, რითაც, საკუთარი შემოქმედებითი დამსახურების თვითდახასიათების შემდეგ, საკმაოდ კატეგორიულად და პრინციპურად მოითხოვდა, შემწყდარიყო მისი უმართებულო ლანძლვა-გინება: “პრესა მლანძლავს, უმართებულოდ მქირდავენ, კომისია მწერალთა კავშირიდან მრიცხავს. ნუთუ ასე უნდა შემხვდნენ იმ კაცს, რომელიც “მოდის” და ცარიელი ხელებით კი არ მოდის, არამედ ამდენი შრომითა და ბრძოლით. მე მივაქცევ პრეზიდიუმის ყურადღებას, რომ ყოველივე ამაში კარგა მოზრდილი დოზაა კაცთმძულვარების და უმართებულო ქვების სროლისა. ცხადია, თუ ეს ყოველივე ასეთი ტემპით წავა, მე იძულებული ვიქნები დავდუმდე. უარეს შემთხვევაში სხვაგან გადავსახლდე.”

მწერლის მზერა ევროპას არ სცილდებოდა.

მისთვის ეს სისხლიანი ეპოქა იყო “მითოსმოკლებული დრო”, ეგრეთ წოდებული უსულო და უაზრო. მაგრამ იგი შთაგონებაც იყო, რადგან, თომას მანის სიტყვებით რომ ვთქვათ, “ჯოჯოხეთის ქვაბში ცეცხლის შენთების გარეშე არ იქნებოდა გენიალური ნაწარმოები”.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება უანრობრივი მრავალფეროვნების ნიმუშს წარმოადგენს. თავის შემოქმედებაში მწერალი ადგილს უთმობს: ლექსებს, ნოველებს, იგავურ უანრს და დრამას. კონსტანტინე გამსახურდიას ჯანრი არ წარმოადგენს ყოველგვარი მასალის სტიქიურად ჩამტევ ფორმას. იგი ორგანულად იგუებს, მხოლოდ იმას, რაც თავისი ბუნების გამო კონფაქტურად უნდა წარმოადგინოს.

მწერლის მთლიან სახეს, ხასიათს-შემოქმედებით მეთოდს, მხატვრულ სამყაროს, მსოფლმხედველობის სიღრმეს მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს მისი დამოკიდებულობა ადამიანისადმი. მწერლის მიერ გამოხატული ადამიანი ის ცენტრია, რომელსაც უკავშირდება, მხატვრული წარმოების აგებისთვის საჭირო მთელი მექანიზმი. კონსტანტინე გამსახურდია, პოეტიკაში ადამიანის გამოსახვის პრობლემა მაგისტრალური მნიშვნელობისაა.

კონსტანტინე გამსახურდიამ, მხატვრულ ფორმათა ძიების თვალსაზრისით, დიდი გზა განვლო, ის მთელი მოღვაწეობის მანძილზე იბრძოდა ცალკეული უანრების, კერძოდ, ნოველისა და რომანის განვითარებისათვის.

კონსტანტინე გამსახურდიას “მცირე პროზა” (ნოველები) ახასიათებს სამყაროს უზოგადესი არსის, ფილოსოფიურ, თეტიკური აღქმა, მის იდეაში გარკვევა ადამიანთა სულიერი განცდების, საზოგადოებრივ ურთიერთდამოკიდებულებათა დრამატიზმის აღნერა.

მაგალითისათვის განვიხილოთ კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა “ზარები გრიგალში”; ნოველა იმთავითვე გამოხატავს ადამიანის გაოცებას, გაოგნებას, მისთვის ჩვეული ცხოვრების რიტმის უეცარი ცვლილების გამო. ჩვლილების მასშტაბური საფუძვლების ძიება მნათე ოქროპირისათვის მიუწვდომელია, ამიტომ თავისსავე სულში აღძრული ვნებების შინაგან იმპულსებს, რიტმებს, ეგზალტაციას ემონება იგი, იხსნის ყოველგვარ სულიერ ბარიელს, დაურკებლად ექცევა ექსტაზის. კ. ამსახურდია თავიდანვე ნათელჲყოფს თავის შთაბეჭდილებებს ოქროპირის შესახებ, თავიდანვე უტრიალებს იდეას, ყველაზე მძაფრად გამოხატოს გმირის ცხოვრების კულმინაციური მომენტი. მწერალი მიისწრაფვის გადოს მნათეს ცხოვრების შორეულ წლებსა და სიცოცხლის უკანასკნელ ღამეს-დიდ ხუთშაბათს საღამოს შორის. ნოველაში საკმაოდ მრავალფეროვნადაა ფიქსირებული სხვადასხვა დრო და ადგილი, რომელიც თავის კვალს აჩნევს მნათეს ცხოვრებას. მათში ამოიკითხება პატარა ადამიანის ბიოგრაფიის დეტალები, ოცდახუთ წლიანი მონოტონური, მექანიკური ქცევა-ჩვევების შინაარსი და ზარების რეკვაციზე და მნუხებზე: “მისი ცხოვბრება..” მოსაწყენი და კოშმარული სიზმარი იყო. სიზმარი, რომელიც გამოფხიზლებულს არც მოაგონდება: როგორ იყო? რატომ იყო? ნოველაში დრო სიუჟეტურ-კომპოზიციური აგებულებისათვის გარკვეულ მნიშვნელობას იძენს. მეტეს შემთხვევაში ნოველაში გამოხატული დრო ბიოგრაფიულ დროს შეიძლება მივაკუთნოთ, ვინაიდან იგი კომპაქტურად, ლაკონურად, მაგრამ

სახეობრივად ახერხებს გმირთა ცხოვრებისეული ეტაპების განსაზღვრულ დეტალებზე გააკეთოს აქცენტი:

“მღვდელი გაიპარსა”. სამიკიტნო გახსნა. ორშაბათს საღამოს ოქროპირიც ეწვია. დალიეს. ძველი დრო, ტკბილად მოიგონეს. მღვდელი ნანობდა: ეს მოაგონდებოდა, ახლა ჩემი ცოლ-შვილი ყელამდი დოვლათში იქნებოდა.

“ეს მოხდა დიდ ხუთშაბათ საღამოს. კკ დუქნის ნინ ფეხმორთხმული გლეხები ისხდნენ, ნარდსა თამაშობდნენ... ნახუცარს ნაბახუსევზე ესვა. იკრა წავაგე, ოქროპი, ოცი წელი, რომ ვწირე? ჰე, ჰე, ჰე, ჩემი მლოცველები ახლა ჩემი მუშტრებია, ჰე, ჰე... ” ოქროპირი სდუმდა... ნახუცარმა ოთახში გაიხმო სტუმარი... გამურული ჯამი გაუვსო ოქროპირმა დალია, ნაოჭიან, ფერმკრთალ სახეზე სინითლემ იელვა, ლვინო ემჭვახა. ლრმად ჩამჯდარი თვალები დაუპატარავდა.

დრო აქ ცალკეულ სიტუაციათა გამომხატველი სცენების თავისებური მაორგანიზებელია. იგი პერსონაჟთა განცდების ჩამოყალიბების გარკვეულ საშუალებას, მათი ცხოვრების მიზეზე-დეგოპრივი სტრუქტურის ერთ-ერთ განმსაზღვრულ ფაქტორს წარმოადგენს. ხუთშაბათი საღამო, რომელიც ნამთვრალევი ოქროპირისათვის ბიოგრაფიულ დროს წარმოადგენს, საპედისწერო გამოდგება მნათესთვის. უკვე გარიურაჟისაკენ, მნათეს დალუპვის მომენტში იგი კარგავს გმირის მიმართ ბიოგრაფიულ მნიშვნელობას. დროის მსვლელობა ამიერიდან თავისი მარადუამური წეს-რიგიანობის ფაზაში გააგრძელებს სვლას ადამიანთა კავშირის გარეშე-იკრიურაჟი მოვიდა” და მაგრამ რეალურად მნათე და დრო და ასეთი კავშირულთიერთობა უკვე აღარ არსებობს. დროსთან ერთად აქ მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება სივრცეს, რომელშიც უნდა პპოვოს გამოხატულება გმირის ყოფნა-არყოფნის ყველა დიდად მნიშვნელოვანმა თუ დეტალ-ნიუანსების მომცველმა შინაარსმა. სამოთხე ან ჯოჯოხეთი- ეს სივრცე იქცევა ბოლოს პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის დადებით და უარყოფით შემფასებლად.

ოქროპირი გრძნობს, რომ იკმისი ქვეყანაკკ გადაშენების გზაზეა. დასმულ კითხვებზე იკ-სდუმდა, არ იცოდა რა ეპასუხაკკ, ამოვარდნილი იყო ცხოვრების რიტმიდან. აღარაფრად თვლის ახალი დროების მიერ თავის გარიყულობას და ... დაარისხა, აახმაურა ზარები... მომენტალური თავდავიწყების ეშხში შესული ვეღარ გრძნობს ეპოქათა მიჯნაზე ყოფნის მიზეზით განპირობებულ წინააღმდეგობათა სიმძაფრეს. მწერალი იკაჯილდოებს მნათეს და ახალი დროის მძაფრი ქარიშხლით მიწაზე დამარცხებულს მაინცდამაინც იკ შემმოქმედის მარჯვენა მხარეს მიუჩენს ადგილს. სივრცის ლოკალურობა მწერლის მიერ შერჩეული დროის სიდიდეს იერთებს. თავდავიწყების აფექტში მყოფი, განნებილია ყოველგვარი უარყოფითი ვნებებისაგან. ხოლოდ წმინდა ადამიანური აღტაცების უნარის გამომჟღავნების გამო მაღლა ატაცების ღირსად თვლის მას მწერალი... იკასწიეთ ადამიანი მაღლა, სულ მაღლა და დასვით მნათე ოქროპირ შემმოქმედის მარჯვენა მხარეს, რადგან სიბნელეში დაბრმავებულმა ერთხელ მაინც იგრძნო აღტაცება და ექსტაზში დაიღუპა... მწერალი მნათეს სიკვდილს თავისებურ სილამაზეს ანიჭებს: სიბნელეში დაბრმავებულ ადამიანს ერთხელ აეხილა თვალები და ისიც სიკვდილის სახილველად მხოლოდ.

ნოველაში სხვადასხვა დრო იკერთვის ერთიმეორეს. რაც იკიყო შემოდის, სახლდება იმაში, რაც იკარისკკ და ართულებს, სიღრმეს მატებს, წარსულიდან მონაბერი იდუმალებით იკტვირთავსკკ. ამ იკარისკკ მასალას, ამკრივებს და აყალიბებს მასში დროის კონკრეტული რეალობის კონცეფციის ძიებისა და ამოხსნის მოთხოვნილებას.

სივრცითი პლანი ზემოქმედ როლს აგრძელებს. იკვეთება სულ უფრო ვეღური, თანამედროვეობის ყოფას შორის დაცილებული პეიზაჟების კონტურები. სანადიროდ გამოსული პიროვნების ნისლდაფენილი თვალითაა დაღანდული იკორჩოფებზე შემდგარი ნალები... მთელს ქვეყანაზე უმცირესი, უმოკლესი შუკები, შარაგზის დაყოლებით მდორე ტბორებით სავსე თხრილები... ჭიშკრებზე ჟანგონი ნალები. კკ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ გლეხებიც წყვილად რომ მოდიოდნენ და ორეულებს ორეულებისათვის მკლავი მკლავში გაეყარათ. ორეული ორეულს მისდევდა, ორეული ორეულს დასცინოდა.

დროის სრბოლა უკან მოხედვის, წარსული ბნელი იდუმალების ჩხრეკის უინით ავადდება. იქ, წარსულში მოიძებნება ის მრავალფეროვანი მასალა, რომელიც მატერიალური თუ სულიერი შინაარსით მიუახლოვდება ან გაუსწორდება არსებული და ხილული რეალური სამყაროს მოდელს, რათა მოხდეს წარმოსაჩენი აზრის განმთლიანება. სხვადასხვა დრო-ჟამისა და სივრცის შეპირისპირებით ცხოვრების თანამედროვე ფორმებში წვდომის მცდელობა უნდა განხორციელდეს. ამიტომ იდუმალების საოფლო ნოველაში წარსული დროის მრავალფეროვან, ლეგენდარულ-მითურ მოვლენა-სიტუაციათა ბადეს ქსოვს და ამ ბადიდან გამოძაფება თანამედროვე დღეების ნაღვლიანი, მონოტონური სიმკრთალის კოლორიტი. ჭარსულისა და თანამედროვეობის ყოფით ხასიათის თუ იდეური ღირებულების გამომხტველი დროისა და სივრცის აღწერითა და ჩვენებით კონსტანტინე გამსახურდიამ მათი ურთიერთშესწევადობის შესაძლებლობა დაადასტურა. ნოველაში წარმოიქმნება ერთიანი, ყველაფრის მომცვლელი კონცეფცია დროის მსვლელობისა, სივრცე გამოიხატება ხან ლოკალურად, ხან კი უსაზღვროდ ვრცლად.

საერთო ჯამში ამ პროცესის განხორციელების სურვილს ბადებს სათხრობის ძირითადი კოლორიტის მოკვეთისაკენ სწრაფვა.

### ნათია ხურცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

## პონსტანტინე განსახულდიას ექსპრესიონისტული წოვალა „ზარეპი გრიგალში“

მე-20-ე საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში ევროპაში (გერმანიაში) აღმოცენებულმა სახელოვნებო მიმდინარეობამ, ექსპრესიონიზმა, ხელოვნების ყველა დარგი მოიცვა. ხპრესიონ ლათინური სიტყვაა და გამოხატვას ნიშნავს. ექსპრესიონისტული ხელოვნების მიზანია გადმოსცეს ადამიანის, ამ შემთხვევაში, მოდერნიზმის ეპოქის ადამიანის, სულიერი მდგომარეობა, მისი განცდები, შიში, შფოთი, სასოწარკვეთა, ადამიანის ტანჯვა და მარტოობა. ექსპრესიონიზმში სამყარო განიჭვრიტება, როგორც მეტაფიზიკური რეალობა და ხელოვნება გააზრებულია როგორც მეტაფიზიკური ფენომენი. საგანთსამყაროს ფაქტების მიღმა ექსპრესიონისტი ხელოვანი მათ პირველსახეს ჭვრეტს. ექსპრესიონიზმი კოსმოცენტრულია, სამყარო და ბუნება ერთი დიდი და მისტიური გამოცხადებაა.

ახალი ადამიანი - ეს არის ექსპრესიონისტების იდეა ფიქსი. დაძლეულ უნდა იქნას ევროპული კულტურის კრიზისის მთავარი მიზეზი: მითოსს მოკლებული დრო. ქვეყანა მეტაფიზიკურად უნდა მოაქციოს ხელოვნებამ. ექსპრესიონისტი ხელოვანი არის მისტიკოსი, რომელსაც სწამს აბსოლუტური ჭეშმარიტება, როგორც კოსმოსში განვითარებული სული. ჭეშმარიტება ტრანსცენდენტურია, ადამიანის ცხოვრების მიზანი კი ამ ტრანსცენტურის წვდომაა.

ევროპული კრიზისის პრობლემა პირველად ფრიდრიხ ნიცშემ დასვა. ამიტომაც, როდესაც ექსპრესიონიზმზე ვსაუბრობთ, ძნელია არ გავითვალისწინოთ ნიცშესეული ფილოსოფიის ის მნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც არა მარტო ლიტერატურულ ექსპრესიონიზმს, არამედ მთელ ესთეტიკურ მოდერნიზმს იდეურად კვებავდა. „ევროპული კრიზისი“ ღმერთის სიკვდილით გამოწვეული ევროპული საზოგადოების სულიერი კრიზისია. თანამედროვე ევროპის ტკივილები ახალი იდეალების წარმოქმნით უნდა დაამტებულიყო: „ადამიანი რაობაა, რომლის ძლევა ჰქამს“ (ნიცშე 1993: 16). ექსპრესიონიზმი სწორედ ახალი ადამიანის შექმნით ცდილობს ამ კრიზისების დაძლევას.

ლიტერატურული ექსპრესიონიზმი მკვეთრად გამოხატული ენობრივი სტილით გამოირჩევა: გამოთქმის ლაკონურობა და ფრაზის სიმკვეთორე, პოეტური ხერხების მრავალფეროვნება - მონტაჟი, კადრირების პრინციპი, განუმეორებელ მხატვრულ ეფექტს ქმნის.

ექსპრესიონიზმი ჩამოყალიბებისთანავე აიტაცეს ქართველმა მწერლებმა. ამ მხრივ გამოირჩევა კ. გამსახურდიას შემოქმედება. მწერალზე დიდი გავლენა იქონია ნიცშესეული ფილოსოფიის ძირითადმა პოსტულატებმა. ღმერთის სიკვდილის ნიცშესეული დიაგნოზი ახლობელი აღმოჩენდა მთელი მსოფლიოსთვის. საჭირო იყო ავტორიტეტი, რომელიც დაიკავებდა ღმერთის ადგილს. აქ კი შემოდის ზეკაცი, როგორც განღმრთობილი პიროვნება. ზეკაცმა უნდა ჩაანაცვლოს ღმერთი. იგი არ არის არც სრული ადამიანი და არც სრული ღმერთი, იგია ორივე, ადამიანური და ღვთაებრივი საწყისების თანაბრად მატარებელი. ნიცშესეული ზეკაცი იდეალური ადამიანია, რომელმაც უნდა დაამარცხოს ადამიანური ბუნება, რადგან „ადამიანი ბინდური მდინარეა“ (ნიცშე 1993: 17).

შეუძლებელია, ბუნებით ვაჟკაც და მეამბოხე, გამუდმებით მტერთან მებრძოლი ქართველი კაცისთვის მიუღებელი ყოფილიყო ნიცშესეული მეომრობის და ვაჟკაცობის აპოლოგია: “თქვენს მტერს ეძიებდეთ, თქვენს ბრძოლას ბრძოდეთ და თქვენი რწმენისათვის! და უკეთუ რწმენა თქვენი დამარცხდეს, თქვენი პატიოსნება მაინც ჰქმობდეს ძლევა-მოსილებასა!“ (ნიცშე 1993: 40). სა-

ვარაუდოდ, ამ ტიპის დისკურსამ დიდად შეუწყო ხელი ქართულ მსოფლედველობრივ სივრცეში ნიცშეს დამკიდრებას.

კ. გამსახურდიასთვის, ისევე როგორც ნიცშესათვის, მიუღებელია ქრისტიანული რწმენის არამინიერი იდეალები. ადამანის პირველადი ცნობიერების მაფორმირებელი მითოსია და დიდია ლტოლვა და ინტერესი მითოსისადმი. აქვე ხდება ანტიკური სამყაროს გაცოცხლება. მწერალიც და ფილოსოფის კაცობრიობის გონებრივი და სულიერი განვითარების მწვერვალად სწორედ ელინურ კულტურას მიიჩნევდნენ. ქრისტიანობას, როგორც ფიზიკური ტანჯვის რელიგიას ნიცშე უპირისპირებს ბერძნულ წარმართობას, დიონისოს კულტს, რომელიც ქადაგებს შვებას, ბედნიერებას, სიცოცხლეს, ექსტაზით მოპოვებულ თავდავინებას.

კ. გამსახურდიამ ნიცშესეული დიონისურობისა და ზეკაცის კონცეპტები მიიღო ნაციონალურ ასპექტში. ვაზისა და ღვინის ქვეყნის შეილს ბუნებრივია ხიბლავს დიონისო, მისი კულტის მთავარი არსი ხომ სწორედ ვაზისა და ღვინოს უკავშირდება. ეს კი ქართული ყოფისაგან განუყოფელი რამაა. მითოსურ სამყაროში დაცულია ყოფიერების პირველსახე, ადამიანის სულის ფრომირება სწორედ ამ ეპოქაში ხდება. ექსპრესიონიზმის მიხედვით კი, მითოსს თანამედროვე დესაკ-რალიზებულ მოდერნიზმულ ეპოქაში აღდგენა და გაღრმავება სჭირდება.

კ. გამსახურდიას „ზარები გრიგალში“ (1924) ერთ-ერთი პირველი ქართული ექსპრესიონისტული ნოველაა, რომელშიც აისახა მიმდინარეობის მთავარი დევიზი და ეთიკა: ექსტაზით უნდა მოიპოვოს ადამიანმა განწმენდა (კათარზისი) და განდმრთობა (თეოსიზი). მხოლოდ ასე იხილავს იგი ჭეშმარიტებას. ნოველას წამდლვარებული აქვს ნაწყვეტი მე-13 საუკუნეში შექმნილი კათოლიკური საგალობლიდან: „dies irae, dies illa, solvet saeclum in favilla“ („დღე შურისძიების, დღე შეცოდების, სამყარო ინთება როგორც დავითისა და გოლიათის შერკინება“). მართლაც, ამ პერიოდის მსოფლიო ახალ პოლიტიკურ-სოციალურ იდეებსა და მღელვარებას მოუცვია. ახალი პოლიტიკური, ბოლშევისტური რეალობა სათავისოდ იყენებს „ღმერთის სიკვდილის“ ფილოსოფიურ დებულებას. ხდება ლირებულებათა არა მარტო გადაფასება, არამედ გაუფასურებაც. ნიცშესეული ღმერთის სიკვდილის პოსტულატი ამძაფრებს მოდერნიზმის ეპოქის, და ზოგადად, ადამიანის ტრაგიზმს, ინვეცს მასში პესიმიზმასა და სასონარკვეთას. ნოველის მთავარი პერსონაჟი, მნათე ოქროპირი ტრაგიკული გმირია, რომელიც საკუთარ ადგილს ვერ პოულობს ახალ დესაკრალიზებულ და დეპუმანიზებულ მოდერნისტულ და ბოლშევისტურ რეალობაში. იდეალების რღვევამ (ნიცშეანური ღირებულებათა გადაფასება) დაღი დაასვა მის პიროვნებას. მის თანამედროვე საზოგადოებას ანტირელიგიური ცხოვრებისათვის აუწყვია ფეხი. მნათე, რომელიც ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ადამიანია, ნელ-ნელა ამჩნევს მის გარშემო მიმდინარე ცვლილებებს: „მნათე ოქროპირი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ქვეყანა გამოიცვალა, როცა დიდმარხვის ორბაბათს, ნმინდა ზაქარიას ეკლესიის გუმბათზე ჯვარი ვეღარ ნახა“ (გამსახურდია 1980: 258). მატერიალისტურმა ცნობიერებამ მოიცვა ყველა და ყველაფერი. ყველა ნანობდა, რომ უაზრო ფასეულობებს შესწირეს ყველაფერი, ნაცვლად უზრუნველი, მდიდარი ცხოვრებისა: „ამ უამად სოფელში ყველა ნანობდა.

მნათე ოქროპირს არაფერი ჰქონდა დასანანი, არც დიდი სიხარული ჰქონია, არც თუ დიდი სულიერი ღელვა“ (გამსახურდია 1980: 258). ან იქნებ, იგი არც დაფიქრებია, ჩაღრმავებია საკუთარ „მე“-ს, რომ აღმოჩენა დაფარული სულიერი ღელვა, საკუთარ ცნობიერებაში მიმდინარე ცვლილებები. თავისმა ხელობამ თითებზე კოურების მეტი ვერაფერი შესძინა. ის თავის ცხოვრებას კოშმარულ და მოსაწყენ სიზმრად თვლიდა, მისთვის უცხო იყო დიდი სიხარული, აღფრთოვანება. აქვე იკვეთება მისი, როგორც ტრაგიკული გმირის სახე: უიმედო, უსიხარულო, ყველასაგან გარიყული კაცი, ამოუცნობი პიროვნება, რომელიც ჩრდილში დგას და ჯერ თვითონაც ვერ აცნობიერებს, რა შეუძლია.

„მე მინდა ვუმღერო უიმედო გლახაკს, რომელმაც დიდების პორფირი უნდა მოისხას, რადგან ასეთი იყო მნათე ოქროპირ. ჭადრის ძირში პანია ყლორტი ამოსულა, გაუხარებელი, ნაციები, მზეს დახარბებული. იგი ფერმკრთალია და ბნედიანი (რადგან მზე არ მოჰვედრია). იგი სწორია

და მართალი (მის თავზე გრიგალებს არ გადაუქროლია), ფესვები ჭადრისა, ფოთლები – ჭლექიანის ტუჩები. ლომის ლევია – კლანჭები არ ასხია. მიმინოს თვალები ექნებოდა, სიბნელეში დგომას რომ არ დაბრმავებინა.

მე მინდა ვუმდერო სიბნელეში დაბრმავებულებს.

ჩრდილში სდგას, მიტომაც ვერავინ ჰქედავს.

მაგრამ ბედი მოვა, ჩრდილში მდგომებსაც შეარყევს შუალამის გრიგალი. მე მინდა ვუმდერო გრიგალისაგან შერყეულებსაც, რაგან ასეთი იყო მნათე ოქროპირ“- (გამსახურდია 1980: 260).

მოვა დრო და ის დასძლევს ამ წარმავალ ყოფას, მას შეუძლია გახდეს ზეკაცი, ახალი ადამიანი, რადგან არ ეკუთვნის ამ სამყაროს, განრიდებულია მისგან, თავს ინახავს, ძალებს იკრებს დიდების მანტიის შემოსასხმელად. ამავდროულად იგი უმანკოა. სწორედ ამიტომ აქვს უფლება მითოსში დაბრუნების. იგი ნიცშესეული ბაშვია, „ახალი დასაბამი, ლალობა, თქმა ღვთაებრივი დასტურისა“ (ნიცშე 1993: 26). მნათე განდგომილია, იგი არ ეკუთვნის ამ ცხოვრებას, ამიტომაც „თვის ქვეყნიერებას შეიძენს ქვეყნის დამკარგავი“. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, მნათე ლომის ლევია, რომლის ძლიერებაც სულიერი და ფიზიკური ზრდის პროცესში აუცილებლად ამეტყველდება. საჭიროა ძლიერი მუხტი, რომ ამოძრავდეს ეს განდგომილი სუბიექტი, რომელმაც ერთადერთმა მოიპოვა უფლება გაერღვია რეალურობა და ირეალურობას, კოსმოსს შეერთებოდა და ასე დაემარცხებინა სიცარიელე და ყოფის უსაზრისობა.

გმირის სულიერი დაცემა დაიწყო დიდმარხვისას. მაშინ შენიშნა მნათემ სამრეკლოდან ჯვრის გაქრობა. მისი სულიერი აღორძინებაც მარხვისას ინყება. მარხვა მწერალთან გააზრებულია, როგორც დიდი სულიერი ძვრებისთვის მოსამზადებელი პერიოდი, განწმენდის ფაზა. ტრანსცედენტურისკენ სწრაფვის ერთდაერთი გზაა ექსტაზი, რომელსაც მთვრალი მნათე აღწევს. თრობა და ექსტაზი, დიონისური ეთოსის გაცოცხლებაა, იმ მითოსური სამყაროს გაცოცხლებაა, რასაც ასე დაუინებით ითხოვს ექსპრესიონიზმი. მისტიურობის ფონზე იპადება ახალი ადამიანი. შემთხვევითი არ არის, რომ მნათე ოქროპირი სწორედ თრობის შემდეგად აღწევს ექსტაზს. იგი უკანასკნელად უბრუნდება თავის ხელობას, ახლა უკვე თავდავიწყებას და სიხარულს პოულობს მასში, რეკს ეკლესიის ზარებს და ოდესალაც „სიბნელეში დაბრმავებული“, ახლა უკვე გაცისკროვნებული, თვალზეილული ამსხვრევს ყოფიერების ბორკლებს და ექსტაზში იღუპება:

„ხარობდა ოქროპირ, მისი აღტკინებული სული ფოლადსა და რეინას აგალობებდა. ამდერებდა, დაფანგულ, დამუჯჯებულ ზარებს. მიპქროდნენ ანუვეტილი ზარები გრიალით, კისკისით, ხარხარით ზეცისაკენ, გალობდნენ დიდი და მაღალი ხმით.

ცას ღიმად გაეკრა ნათელი ზოლი. ამ მაღალ ზეცასთან, ამ ძლიერ გრიგალთან სულ ყველა დაბალი და სუსტი ყოფილა, გარდა მნათე ოქროპირისა“ (გამსახურდია 1980: 263).

აქვე მნიშვნელოვანია მწერლის პირით გაცხადებული ექსპრესიონისტული ე. წ. „ო, ადამიანის პათოსი“ (“O, Mensch-Pathos”):

„ასწიეთ ადამიანი მაღლა, სულ მაღლა და დასვით მნათე ოქროპირ შემოქმედის მარჯვენა მხარეს, რადგან სიბნელეში დაბრმავებულმა ერთხელ მაინც იგრძნო აღტაცება და ექსტაზში დაიღუპა. მე მინდა ვიმდერო ექსტაზში დაღუპულისათვის“ (გამსახურდია 1980: 264).

გმირის ფიზიკური დაღუპვით მისი სულიერი გაცოცხლება ხდება. აქ კი მნათე ოქროპირის სიკედილში ვლინდება თავისიებური ნიცშეანური პერიოდული პესიმიზმი - უკანასკნელი ეთიკური აქტით (სიკვდილით) კათარზისისა და თეოზისის მოპოვება.

ამგვარად, მნათე ოქროპირი ტიპიური ექსპრესიონისტული პერსონაჟია: ნოველაში მოწოდებულია გმირის არა ინდივიდუალური ხასიათი, მისი „ერთჯერადი“ ფსიქოლოგიური პორტრეტი, არამედ პერსონაჟი რადიკალიზებულ ეგზისტენციიალურ პირობებში, ე. წ. „ზღვრისეულ სიტუაციაშია („Grenzsituation“) (კ. იასპერსი) იმთავითვე ჩაყენებული, სადაც გადმოცემულია პერსონაჟის კოსმიური განცდები, ტრაგიკული პათოსი, საკუთარი „მე“-ს კრიზისი (ე. წ. „მე“-ს დაშლა-რღვევა/

Ichdissotiation). ამ ეგზისტენციალურ კრიზისს კი მნათე ოქროპირ ექსტაზით დაძლევს, რასაც ექსპრესიონიზმში ეწოდება გარდასხვა (“Wandlung”).

**ლიტერატურა:**

1. გამსახურდია 1980: კ. გამსახურდია, თხზულებანი ათ ტომად, გამომც. “საბჭ. საქართველო”, თბილისი, 1980.
2. ნიცშე 1993: ფრ. ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, ერ. ტატიშვილის თარგმანი, თ. ბუაჩიძის რედაქციით, თბილისი, 1993.
3. Soerensen 2002: B. A. Soerensen, Geschichte der deutschen Literatur, Bd. II, München: Beck, 2002.

## აფარათ ალიევა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ხვთისო მამისიმედიშვილი

### ქოროლლის ეპოსის მისტიკური ელემენტები აზერბაიჯანულ და თურქმენულ პარიანტების მიხედვით

„ქოროლლი“, რომელმაც დროთა განმავლობაში, ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა, თურქულენოვანი ხალხების საგმიროდომანტიკული დასთანია, „ქოროლლი“ შეიქმნა XVI-XVII საუკუნეებში, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მეცნიერთა უმეტესობის თანახმად, ეპოსის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ცნობილ ისტორიულ მოვლენასთან: „ჯალალიდების“ აჯანყებასთან. ეს იყო იმდროინდელ აზერბაიჯანში მძაფრი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა. ასე რომ, ეპოსი ჩამოყალიბდა აზერბაიჯანში და მისი სამშობლო აზერბაიჯანია. თურქი მეცნიერი ბანარლი ამ ეპოსს იკვლევდა ძველ თურქულ წყაროებზე დაყრდნობით, თავისი კვლევის შედეგად მან ასეთი დასკვნა მიიღო: „სავარაუდოდ ეს დესთანი გოქთურქების (ე. წ. ცის თურქების) დროს მომხდარ თურქულ-ირანულ ომს უკავშირდება. მისი აზრით, ეპოსი ისლამამდე წარმოიშვა და ისლამის გავრცელების შემდეგ მაჰმადიან ოლუზებს შორის გავრცელდა. მაგრამ, პირველ მოსაზრებას უფრო იზიარებენ მეცნიერები და უფრო სარწმუნოა.

#### ეპოსის შემდგომი ვერსიები

ეპოსი აზერბაიჯანიდან გადავიდა ამიერკავკასიისა და შუა აზიის ხალხებში და ადგილობრივ ნიადაგზე ჩამოაყალიბდა დასთანის სხვადასხვა ვერსია. ახლა 12 ძირითადი ვერსია არსებობს. ეს ვერსიები კი თავისთავად ორ ჯგუფად იყოფა. თუმცა ზოგჯერ სამ ჯგუფადაც ჰყოფენ.

1) აზერბაიჯანულიდან, როგორც, დედანიდან მომდინარე ამიერკავკასიური ვერსიების ციკლი, რომელშიც, იგულისხმება აზერბაიჯანული, ქართული, ქურთული, სომხური, თურქული ვერსიები.

2) თურქმენულიდან მომდინარე დასთანები, რომლებშიც, იგულისხმება თურქმენული, ტაჯიკური, უზბეკური, ყაზახური, არაბული (ბუხარის არაბების), ყარაყალპაკური და ტობოლურ-თათრული ვერსიები.

აზერბაიჯანული და მისგან გამომდინარე ყველა ვერსია ე.წ „ყაჩალის ციკლის ნანარმოებია, რომლის მთავარი გმირი, „კეთილშობილი ყაჩალი“, სიცოცხლის ბოლომდე იბრძვის უსამართლობის წინააღმდევ მამაც მეომრებთან ერთად.

მთავარი გმირი მეჯოგე კაცის დალი ქიშისდ ერთადერთი ვაჟიშვილია. ხოლო თურქმენული ეპოსის გმირი კი, დიდებული გვარის შთამომავალია, ტომის ბელადია. იგი ჩანლიბელის სოლთნის დ ჯიგალი ბეგისდ შვილშვილია.

#### ვერსიების სტრუქტურა

„კეთილშობილი ყაჩალის“ თავგადასავალი გმირის ფეოდალების მიმართ პროტესტით იწყება. აზერბაიჯანული ვერსიის მთავარი გმირის როვშანის პროტესტს იწვევს მამის უსამართლოდ დათხრილი თვალები. ამ ნანარმოების გმირი, ქოროლლი „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“ და ამით ეპიკური გმირისა და კეთილშობილი ყაჩალის ნიშნებს აერთიანებს. მის გარშემო თავს იყრიან სახელისა და შურის მაძიებელი ახალგაზრდები, რომელთა საქმეები კვებავს „კეთილშობილი

ყაჩალის” შესახებ სიმღერებს თურქულდაზერბაიჯანულ და ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. ქოროლლის ქართული ვერსიის წყაროცაზერბაიჯანული და თურქულივერსიებია. იგი დადასტურებულია ქართლში, კახეთში, საინგილოში, მესხეთსა და აარაში;

ქართული ვერსია უმეტესად პროზაულია. ქართული ვერსიის გმირის სახეში გაერთიანებულია სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი „კეთილშობილი ყაჩალისა“ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი გმირის სახე.

აზერბაიჯანულ ვერსიას თურქულენოვანი ხალხების ეპიკური ტრადიციისათვის დამახასიათებელი ფორმა აქვს. პროზაულ ტექსტის შიგნით ჩართულია ლექსები. იგივე შემთხვევა თურქმენულ ვერსიაშიც გვხვდება. სომხური ვერსია, რომელიც აზერბაიჯანულიდან გადმოკეთებულია, მთლიანად გალექსილია. ნაციონალურ ვერსიებში სიუჟეტური ბირთვიც და გმირებიც საერთოა, მაგრამ ტექსტები განსხვავდებიან სიუჟეტის შემდგომი დამუშავებითა და გმირის სახეში შეტანილი ახალდახალ შტრიხებით. ამრიგად, ყოველ ხალხს გარედან მიღებული ტექსტი საკუთარი ფოლკლორული ტრადიციების კვალობაზე გადაუმუშავებია.

“ქოროლლი“ - მისტიკურიგმირითითქმის ყველა ვარიანტის მიხედვით, “ქოროლლი“ ნახევრადმისტიკური, მითოსური გმირია. ჯერ ყურადყება უნდა მივაქციოთ, ქოროლლის ეპოსში გამოსვლაზე. ამ მომენტში ყველაზე საინტერესო მოტივს ვხედავთ, ეპოსის თურქმენულ ვერსიაში. აზერბაიჯანული ეპოსი ალი ქიშის ამბით იწყება. დესთანის მთავარი გმირი როვშანის სახელით 15დ 16 წლის ჭაბუკად ჩნდება ეპოსში. ალი ქიშის თვალების დათხრების შემდეგ ის გადის ინიციაციას და ახალი სახელს იძენს.

“ქორდოლლი“ და ბრძის შვილი. სახელს ქოროლლი მამა თვითონ არქმევს როვშანს. შეიძლება ითქვას, რომ აქ მისი ინიციაცია მამის ბრძის შედეგია. რადგან მისი გმირული ცხოვრება მამის უბედურების შემდეგ იწყება, ჰასან ფაშასადმი შურისმაძიებლობის გრძნობით.

თურქმენული ვერსიები კი გმირის დაბადებით იწყება. ჯერ იღუპება ჩანლიბელის სულთანის, ჯიგალი ბეგის, უმცროსი ვაჟიშვილი ადი ბეგი, რომლის ცოლი გიულენდამი ფეხმძიმეა. ქმრის გარდაცვლების შემდეგ გიულენდამიც დაიღუპა. ჯიგალი ბეგი თავისი შვილისა და მისი ოჯახის უბედურების გამო დღე და ღამე სულ დარდობდა.

ერთხელ ხიზირ წინასწარმეტყველი სიზმარში გამოეცხადა ჯიგალი ბეგს და უთხრა: არ იდარდო, ხვალვე მიდი შენი რძლის საფლავთან, გააღე და იქ ნახავ ერთ სიბრძნეს, ეს იქნება შენი იმედი ამ ქვეყანაზე. დილით ჯიგალი ბეგი მივიდა გიულენდამის საფლავთან. იქ, მართლაც, დიდი სიბრძნე იყო. ჯიგალი ბეგმა გააღო: საფლავში, გიულენდამის კალთაში, ჰატარა ბიჭს ეძინა. მომავალი გმირი მკვდარი, გარდაცვლილი დედის სხეულიდან, საფლავიდან გამოდის. თურქმენულ დესთანში მისი სახელი გერ- იგლი ითარგმნება როგორც საფლავის შვილი, იგი მოიაზრება საფლავის, მიწის შვილად. თურქმენულ ვერსიაში ძირითადი მოქმედება დაკავშირებულია როვშანის პაპასთან, ჯიგალი ბეგთან და აქ მთავარი მისტიკური ელემენტები სწორედ გმირის დაბადებას უკავშირდება. თურქმენულ ვერსიაში არც ამბის სიზმრით შეტყობინება და არც გმირის საფლავიდან გამოსვლა შემთხვევითი არ არის. ჯერ ერთი, ძველ თურქებს სწამდათ სიზმრის. სიზმარი აღიქმებოდა, როგორც აუცილებლობა მნიშვნელოვანი ამბის წინ. მეორეც, მიწა წმინდანად ითვლებოდა. აგრეთვე უძველეს თურქულ მითოლოგიურ ტექსტებში სიკედილი მოაზრებულია არა სიცოცხლის დასასრულად და ფიზიკურ პროცესად, არამედ გაცვლით ეტაპად, ინიციაციის საშუალებად. აზერბაიჯანულ ვერსიაში ეს ხდება სიმბოლურად, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი

### გმირისსახელწოდება

თურქმენულ ეპოსში როცა ჯიგალი ბეგი სასაფლაოდან სახლში ბრუნდება ეზოში მოხუც კაცს შეხვდება. ბავშვი კაცს აძლევს. გმირს სახელს როვშან აღსახალი კაცი არქმევს, რაც “სიბრძლიდან სინათლეში გამოსულს“ ნიშნავს. მერე კი მიიღო მეტყველი სახელი ქოროლლი. (გერ-იგლი). აზერბაიჯანულ ვერსიაში როვშანის მნიშვნელობაზე არაფერია ნათქვამი. მხოლოდ მისი სილამაზეზე და მამაცობაზეა საუბარი.

“როვშანი იყო 15 თუ 16 წლის ყმანვილი, მაგრამ რომდომსავით ძლიერი, 15 დამიანი მთვარე-სავით ლაზაზი, ცეცხლსავით სწრაფი“: “ქოროლლის“ სახელის კიდევ ერთი გააზრებაა “ქორ“ “oR-ii“, რაც ნიშნავს “cecxlis შვილს“. ამ მოსაზრებას თურქულ ვერსიებში ვხედავთ.

### ქოროლლის ცხენი

თითქმის ყველა ნაციონალურ ვერსიაში გმირის გრძნეული თანაშემნეა მისი ზღვიდან ამოსული ცხენი “ყირათი“, რომელიც საოცარ, ჯადოსნურ, მისტიკურ თვისებებს ფლობს. ირკვევა, რომ ყირათი ლურჯი ფერის იყო, რაც უძლიერესად ითვლება. თურქებში ლურჯ ფერს და ლურჯ ცხენს განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა. ამას ყირათის თურქულ სახელიდანაც ვიგებთ: “კეპ ათ“. კეპ - თურქულად ლურჯის მნიშვნელობით იხმარება. ქოროლლი ყირათთან იმდენად მიახლოებულია, რომ მას ხედავს არა როგორც, ცხენი არამედ “ჯანის მეგობარი“. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჰამამა იგრძნობს, ყირათსა და ქოროლლის შორის არსებულ საოცარ გრძნობას და ყირათის დაბრუნებისთვის სიტყვას აძლევს. ქოროლლის უამრავი სიმღერები თავისი მისტიკური თანაშემნეს მიმართ, მისი მოტაცებისას მწარე სიმღერები დესთანში ხშირად გვხვდება.

### ქოროლლის ხმალი და ფარი

ქოროლლის ხმალიც და ფარიც მისტიკურია. ისინი ციდან ჩამოვარდნილი ქვისაგან გააკეთეს. ის იყო ერთგვარი მისტიკური ძალა, რომელიც ჯერ მინდორში ჩამოვარდა, იქ იპოვა როვშანმა, დაეუფლა როვშანი და იმით ხარი მოკლა. თურქული ვერსიის მიხედვით ამ ქვისაგან მოკლულ იქნა არა ხარი, არამედ დურათი. მამამისმა უთხრა, რომ შვილო თუ იმით ხარი მოკვდა, მაშ ეს არ იქნება ჩვეულებრივი ქვა. მიდი ამასგან ხმალი და ფარი გააკეთებინე. ქოროლლიმ გააკეთებინა ფარდხმალი, რომელიც მისი ძალის განუყოფილი ნაწილი გახდა. ქოროლლის ხმალი ცნობილი იყო ე.წ “მისრი გილინჩის“ სახელით.

### ქოროლლის ძალ-ლონე და აშულობა

აზერბაიჯანულ ვერსიაში ქოროლლის არაჩეულებრივი ფიზიკური ძალდღონე და აშულობის უნარი ყოშაბულალის წყლიდან გამოდის. სადაც როვშანი მამის თვალებისთვის წყლის მოსატანად მივიდა, იქ თვითონ დალია წყალი და ვეღარ მოასწრო მეორედ წყლის აღება მამისათვის, ყოშაბულალი მისტიკურ ძალად წარმოდგენილია, რომელიც 7 წელიწადში ერთხელ ვლინდება. მაღრიბისაგან და მაშრიყისაგან მოსული ვარსკევლავები 7 წელიწადში ერთხელ შუალამეს შეხვდებიან ერთმანეთს, ყოშაბულაყის თავზე. და ამ დროს ჩნდება რძესავით თეთრი წყალი. და როგორც, ჩანს ეს არაჩეულებრივი მისტიკური ძალაა, რომელიც გადადის ალი ქიშის ახალგაზრდა ვაჟიშვილზე.

აქვე ხდება გმირის ინიციაცია. თუმცა, სავარაუდოდ აქ ციფრი “7“-იც არაა შემთხვევით აღნიშნული, ისლამში 7 წმინდა ციფრია. ასევე ძველი რწმენების თანახმად მისტიკური ძალა ცის მე-7 საფეხურში მდგომარეობდა. ხოლო თურქმენული ეპოსში იგი ამ გმირული თვისებებით სიზმარში ხიზირ წინასწარმეტყველის მიერ დაჯილდოვდება, რომელმაც ბავშვის საფლავში ყოფინის ამბავი აცნობა მის ბაბას.

ინიციაციისა და ზებუნებრივი ძალების მეშვეობით, ქოროლლის სახით როვშანისაგან ახალი ადამიანი წარმოსდგება, განსხვავებული უნარებითა და სოციალური სტატუსით. ყოველ შემთხვევაში ინიციაციის დროს სიმბოლურად მოკვდა როვშანი და დაიბადა ქოროლლი. ინიციაცია ხდება შუალამეს, სიბრელეში:

### მითოლოგიური ტრადიცია ეპოსში

ეპოსში აისახა ხალხური რწმენა-წარმოდგენებიც. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მომენტი გვხვდება თურქმენულ ვერსიაში, როვშანის სახელის დარქმევისას: მოხუცი კაცი ჭაბუქს (ინიციანტს) პირში ჩააფურთხებს, რაც უძველესი თურქული მითოლოგიური ტრადიციიდან მომდინარეობს. ძველი თურქების აზროვნებაში ეს იყო ახალი სულის გაცემის საშუალება. აღსახალი კი, როგორც, ჩანს სიბრძნის სიმბოლოდ მოიაზრება, მისგან მოსული სული ბავშვისათვის სასარგებლო იქნება, და ისიც სიბრძნით სავსე ადამიანი იქნება. თუმცა ეს ტრადიცია დღესაც შენარჩუნე-

ბულია თურქული მოდგმის ხალხებში. რწმენის თანახმად, ბავშვი ემსგავსება იმ ადამიანს, ვინც ჩააფურთხა ბავშვის პირში. ასევე ერთი და იგივე მოლაპარაკე ადამიანებზე ამბობენ რომ: “ერთმანეთის პირში ჩააფურთხეს“.

ყველა ზემოთქმულებებიდან გამომდინარე შეგვიძლიათ, ვთქვათ, რომ ქოროლლი, მართლაც, შუა საუკუნეებში ცხოვრობდა და ის იყო რეალური გმირი, მებრძოლი. მაგრამ ხალხმა თავისი მდიდარი მხატვრული ფანტაზიითა და ტიპოლოგიური სიუჟეტებით გაამდიდრა ქოროლლის პიროვნება, დახატა არაჩვეულებრივი, ციდან ჩამოსული და მიწიდან ამოსული, მისტიკური ძალებით სავსე გმირის ქოროლლის მხატვრული სახე.

## გურანდა მეგრელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: როლანდ თოფჩიშვილი

### თანამედროვე რელიგიური მდგომარეობა პირიშიში ხეობაში

აჭარას აქართველოში მრავალჭირგამოვლილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა, რომელ-მაც, ისევე როგორც მთელმა საქართველომ, მძიმე ისტორიული გზა განვლო. არაერთი ძლიერი სახელმწიფო თუ მომთაბარე ხალხი ცდილობდა ხელში ჩაეგდო საქართველოს მიწა-წყალი, გაევ-რცელებინა თავისი კულტურა, რელიგია, წეს-ჩეულებები. ქართველებმა ღირსეულად გაართვეს თავი ამ განსაცდელს და დღემდე მოიტანეს საკუთრი ენა, კულტურა, სარწმუნოება, ქვეყანა. ამ მხრივ აჭარა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. სარწმუნოებას აქ ყოველთვის უდიდეს მნიშ-ვნელობა სანიჭებდნენ. საქართველოში ქრისტიანობას წორედ აჭარიდან გავრცელდა. ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული ანდრია პირველწოდებული პირველად ამ კუთხეში შემოვიდა და ქრისტია-ნობის ქადაგებაც სწორედ აჭარიდან დაიწყო. მართმადიდებლობამ აქ ღრმად გაიდგა ფესვები, იმდენად ძლიერი იყო რწმენა, რომ XVII საუკუნეში, ოსმალების შემოსვლის შემდეგ, მოსახლეობა ჩუმად მისდევდა ქრისტიანობას, ხატებს მაღავდნენ, ჩუმად ლოცულობდნენ და მჭადზე ჯვარს გამოსახავდნენ. თუმცა ოსმალეთის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა, ზეწოლამ მაინც იმოქმედადა მოსახლეობაში ისლამმა გავრცელება დაიწყო. სამასწლიან ბატონობას უკვალოდ არ ჩაუვლია. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თაობიდან თაობას გადასცემდა ქართულ და მართმადიდებლურ ტრადიციებს, იცავდა მშობლიურ ენას.

დღეს არცთუ ცოტა აისლამის მიმდევარი აჭარაში, განსაკუთრებით მაღლმთიან აჭარაში. ქო-ბულეთსა და კინტრიშის ხეობაშიც ბევრი ოჯახია ისლამის მიმდევარი. თუმცა ქობულეთი რელი-გიური სიჭრელით განსაკუთრებით გამორჩეულია. იგივე აქვს დადასტურებული დიმიტრი ბაქრა-ძეს თავის წიგნში: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, სადაც წერს: „ჩურუქ-სუ (ქობულეთი ავტ.) ერთიანად გამუსლიმანებულია, თუმცა ქრისტიანობის კვალი ჯერ კიდევ შემორ-ჩენილია: გზაში მაჩვენეს რამდენიმე ქრისტიანული ეკლესია, სახელდობრ სამებაში, ხუცუბანსა და გვარაში. გვარას ტაძარი ცნობილია თეთროსნის სახელით და განსაკუთრებით გათქმულია ჩუ-რუქ-სუსა და გურიაში. ჩურუქ-სუ, ანუ ქობულეთი წარსულში გურიის შემადგენლობში შედიოდა. მისიმოსახლეობა, არც ისე დიდი ხანია მოიქცა მუსლიმანობაზე.“

დღეისათვისაც ქერთოვანები, სადაც სამი თაობის წამომადგენლები ცხოვრობენ, ერთმანე-თისგან საერთოდ განსხვავებული რელიგიური შეხედულებები აქვთ. უფროს თაობაში მუსლიმა-ნური რწმენა ძლიერადაა შემორჩენილი, ასე თუ ისე მისდევენ მუსლიმურ წეს-ჩეულებებს. აღ-ნიშნავენ მუსლიმანურ დღესასწაულებს, ამზადებენ სპეციალურ ტყბილეულს და ბაირამის დღე-სასწაულზე აუცილებლად გადიან საფლავებზე. თუ ასაკოვანი ადამიანი მორწმუნე მუსლიმი იყო, გარდაცვალების შემდეგ სახლში აუცილებლად მოჰყავთ მოლა (ხოჯა), მიცვალებულისათვის წე-სის ასაგებად, იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდა თაობა მართმადიდებლობის მიმდევარია და ხატები აქვთ დაბრძანებული ოჯახებში. იგივე ოჯახებში ქრისტიანულ დღესასწაულებსაც ასეთი-ვე მოკრძალებითა და დიდი პატივისცემით აღნიშნავენ. აღდგომისას, ჩეულებრივ იღებება კვერ-ცხები, ცხვება პასკები და ხსოვნის დღეზე საფლავებზე აუცილებლად გადიან. ერთიდაიგივე ად-მიანის საფლავზე თავისუფლად შესაძლებელია ბაირამისას დამზადებული ხალვაც აღმოჩნდეს და აღდგომის პასკა და კვერცხი. რაც შეეხება საშუალო ასაკის ადამიანებს ოჯახში, ისინი საერ-თოდ არ გამოირჩევიან რელიგიურობით, არც ერთი რელიგიისკენ არ იხრებიან. ამ თაობის შეხე-

დუღებაც იმ პერიოდის ხელისუფლების მიერ ჩანერგილი იდეოლოგიის შედეგია. საბჭოთა ეპოქაში ხომ ყველაფერი, რაც რელიგიასთან იყო დაკავშირებული იკრძალებოდა და მოსახლეობაშიც ათეიისტური შეხედულებები ინერგებოდა. ამ ყველაფერმა კი თავისი კვალი დატოვა დღევანდელობაში.

საყურადღებოა, აგრეთვე, თუ როგორია განსხვავებული რელიგიური შეხედულების მქონე ოჯახების ურთიერთობა და თანაცხოვრება ერთ სოფელში. სოფელ ხუცუბანში, ადგილობრივი ქობულეთელების გვერდით, ცხოვრობენ ხულოდან ჩამოსახლებული ოჯახები, რომელებიც ისლამის მიმდევრები არიან. მიუხედავადიმისა, რომ დიდი ხანია უკვე აქ ცხოვრობენ, ერთი შეხედვითაც ადვილი მისახვედრია თუ რომელია მათი დასახლება და რომელი -ადგილობრივების. გარეგნულად თითქოს არ აქვთ ერთად თანაცხოვრების და ურთიერთობის პრობლემა, თუმცა თითქოს საზღვარი არსებობს მათ შორის. ადგილობრივების საცხოვრებლები გვერდივერდაა, ჩამოსახლებლების კი მათგან დაშორებული. ისინი, ძირითადად, თეთროსნის ტერიტორიაზე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთნ ახლოს არიან დასახლებული და აქტიურად მისდევენ ისლამს. სარწმუნოება, მათი თქმით, არ უშლით ხელს მეზობლებთან ურთიერთობაში, მაგრამ ამავე დროს ყოფილა შემთხვევები, როცა მათთვის დაცინვით მიუმართავთ: „ჩამოსულებო, მუსლიმანებო“, სკოლაში ბავშვებსაც ხშირად დაუცინინათ მუსლიმი თანატოლებისთვის. ყოფილა გარჩევა მუსლიმების და მართმადიდებლების. რაც არ უნდა კარგი მაცხოვრებელი იყოს, არის ირონიული წამოძახილი: „ეს ხულელია, მუსლიმანია. „არ კადრულობენ ადგილობრივები ხულელ მუსლიმანებს და ზემოდან უყურებენ. ისინი ამ ყველაფერს გულისტყივილით აღნიშვენ საუბრისას. ერთ-ერთი ოჯახი, რომელიც ეკლესიის ეზოში ცხოვრობს, მთელი ოჯახით მუსლიმობის მიმდევრები არიან, განურჩევლად ასაკისა. ბებია ღრმად მორწმუნეა, ინახავს მარხვებს, ლოცულობს დღეში რამდენჯერმე. შვილები და შვილიშილებიც ისლამურ დღესასწაულებს აღნიშნავენ, დადიან მეჩეთში პარასკეობით, საფლავებზე ბაირამის დღესასწაულზე. ამისდამიუხედავად, თეთროსნის ეკლესიას სწორედ ეს ოჯახი პატრონობს, ყურადღებას ისინი აქცევენ. ეს ეკლესია მხოლოდ შაბათ-კვირას იღებ აწირვა-ლოცვისთვის, სხვა დღეებში დაკეტილია, მეთვალყურეები კი სწორედ ამ ოჯახის მუსლიმი წევრები არიან. ამ ტაძრის მოძღვართანაც კარგი და მეგობრული ურთიერთობა აქვთ. ტაძარში სოფლიდან ძალიან ცოტა დადის, მრევლი ძირითადად ქალაქებიდან მოდის, რადგან მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებულები ძირითადად ისლამის მიმდევრები არიან.

სოფელ ხუცუბანში, მუსლიმებისთვის არსებობს მოქმედი ჯამე, რომელიც მლოცველებისთვის პარასკეობით იღება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ასეთ ღრმად მორწმუნე მუსლიმ ოჯახებში მომავალ თაობას უჩდება სურვილი მართმადიდებლურ სარწმუნობაზე გადასვლის. ზოგიერთი მათგანი უკვე ქრისტიანულად მოინათლა კიდეც, თუმცა ისინი რელიგიის აქტიური მიმდევარები ვერ არიან, რადგან ბებიები, უფროსი თაობა წყენით უყურებს ამ ყველაფერს. ამიტომაც ხატების კუთხი სმოწყობას ერიდებიან. იმის მიუხედავად რომ სააღდგომო პერიოდში დიდი სურვილი აქვთ პასკების გამოცხობისა და კვერცხების შედებვის, თავის შეკავებას ამჯობინებენ, რადგან ოჯახის წევრების განაწყენებას ერიდებიან. არის შემთხვევები სოფელში, რელიგიური განსხვავების მიუხედავად, ახალი ოჯახების შექმნისა. მათ რწმენის განსხვავებულობა ხელს არ უშლით ერთად ცხოვრებაში. ორივე რელიგიის დღესასწაულები თანაბრად აღინიშნება და პატივს სცემენ ერთმანეთის რელიგიას. არც დასაოჯახებელი შვილების დედები არიან წინააღმდეგი ოჯახში განსხვავებული სარწმუნოების რძლების შემოსვლის. ფიქრობენ, რომ ყველა ქართველები ვართ და რწმენით განსხვავება არ უნდა ხდებოდეს.

ზოგადი სურათი სოფელ ხუცუბანის რელიგიური მდგომარეობის შესახებ ამგვარია: მოსახლეობის უმრავლესობას მართმადიდებლები შეადგენენ. ადგილობრივი ქობულეთელების უმრავლესობა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგეგ, მართმადიდებლური სარწმუნოების მიმდევრები გახდნენ, ტარდებოდა საყოველთაო ნათლობები რაც ამ პროცესებს ხელს უწყობდა. 1996 წელს მდინარე კინტრიშში მოეწყო საყოველთაო ნათლობა, რომელიც მამა ზაქარიამ წარმართა. ნათლობაში ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლობამ მიიღო მონაწილეობა და გაქრისტიანდა. თუმცა ტაძრის აქტიური მრევლი ამათგან ძალიან ცოტაა. ძირითადად, უმრავლესობას არ ჰყავს მოძღვა-

რი, იშვიათად ესწრებიან წირვა-ლოცვას. ამის მიზეზად ხშირად ეკლესიის არარსებობას ასახელებენ. მოქმედი ტაძარი სოფელში წეიტრალურ, ადვილად მისასვლელ ადგილას არაა. ახალგაზრდებში ამ მხრივ ვითარება შედარებით შეიცვალა. მშობლებისგან განსხვავებით, შვილები ცდილობენ მარხვის შენახვას, აღსარებაზე ტაძარში ხშირად სიარულს. მათ შედარებით უკეთ აქვთ გააზრებული რელიგიური დღესასწაულების მნიშვნელობა და არსი. თუმცა რელიგიური დღესასწაულების მიმართ დამოკიდებულება განსაკუთრებულია. ყველა მართმადიდებლურ ოჯახში აუცილებლად ცხვება პასკები, იღებება კვერცხები, ბარბარობა წარმოუდგენელია ლობიანების გარეშე. შობას აუცილელად არის ღვეზელი საშობაო სუფრაზე და ყველა მართმადიდებლის ოჯახში ფანჯარასთან შობის ღამეს სანთელი ინთება.

**მთხრობელები:**

- გიორგი დავითაძე, 43 წლის.  
ციცინო ქათამაძე, 42 წლის.  
ციური დავითაძე, 73 წლის.  
მინდია დავითაძე, 18 წლის.  
დალი ათბაგი, 49 წლის.  
მარინა კახიძე, 26 წლის.  
ლია ათბაგი, 31 წლის.  
მედეა კოჩალიძე, 42 წლის.  
მოწყობილი უუუუნა, 51 წლის  
მოწყობილი მერი, 64 წლის.  
მოწყობილი თემურ, 62 წლის.  
მოწყობილი ნანა, 28 წლის

**ლიტერატურა:**

1. ბაქრაძე დ.არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. სანკტ-პეტერბურგი; 1878

## ეთერ ქასრაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ხვთისო მამისიმედიშვილი

### განაის საკრალურობა

განძს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვა კუთხის საყმოს ცხოვრებაში. განძი ჯვარს ეკუთვნის ისევე, როგორც მისი საკუთრება ის ტერიტორია, სადაც მკვიდრობს საყმო. ყველაფერი, რასაც ნივთიერი ფასეულობის სახე შეიძლება ჰქონდეს ჯვარისთვის, განძია: ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ჭურჭლები და სხვა. თუმცა ქაჯავეთში (ადგილი ფშავ-ხევსურეთში) კონკრეტული საგნები გვაქვს, რომლებსაც ქაჯავეთის განძის სახელწოდებით ვიცნობთ. ეს განძი 3 ჯგუფად იყოფა: I. საკუთრივ საგნები: თასი, საკიდელი, ოქროს ფანდური, ოქროს საცერი, ქურთემული (grdemli), ფურის რქა. II.saqoneli: ხარ-ძროხა. III.qajis ქალები, მთავარი მათ შორის არის სამძივარი. თუ კარგად დავაკვირდებით ვნახავთ, რომ ეს კარგად ნაცნობი საგნები ყოველდღიური დანიშნულებისანი არიან, მაგრამ ასე არ არის. პირველ რიგში, იმის გამო, რომ ისინი ღვთისშვილთა მიერ არიან წამოღებულნი, მათი ხელმონაკიდია და ჯვარშია მიტანილი, რათა იქიმყოფებოდნენ სამუდამოდ. განძს ყოველთვის აქვს ჯვარის უხილავი ნიშანი, ზოგიერთს ხილულიც (როგორც ქურთემულს წმიდა გიორგის ცხენის ნალი), როგორც ჯვარის საკუთრებას. სხვა - საჭიროებისათვის მათი გამოყენება დაუშვებელია. ის წმინდაა და მხოლოდ და მხოლოდ ჯვარს უნდა ემსახურებოდეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის დაუნერელი კანონი, რომელსაც, თავის-თავად ცხადია, უპირობოდ ემორჩილება ყმა. გარდა ამისა, საინტერესოა ერთი ფაქტი, რომ ამას აკრძალვის სახით ვევდებით საეკლესიო სამართლის დოკუმენტში „დიდ სჯულის კანონში“: „ჭურჭელთა ოქროშა და ვერცხლისათა და ტილოთა ნულარამცა ვინ მიიხუეჭს სამარად თვის-სა, რამეთუ უსჯულოება არს...“ (21,146).

აღსანიშნავია, რომ განძის ხილვა მიუწვდომელია ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქისთვის. ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს, რომ როგორც ყველა საკრალურ რეალობას, განძსაც საფარველი აქვს დადებული. ის საიდუმლოებით არის მოცული და ამ ვითარების გამოხატულებაა ჯვარის განძის სამალავების არსებობა. ის დაფარულია არა მარტო გარეშე თვალისათვის და არა მხოლოდ მპარავის შიშის გამო, არამედ - თვით საყმოს თვალისათვისაც, რომელსაც მისი ხილვა მხოლოდ დიდ დღესასწაულებში შეუძლია.

თავის მხრივ, განძი, როგორც ჭეშმარიტება, საიდუმლოებრივია და ის არის მიწის ზედაპირზე, ის მიწის სიღმეშია საძიებელი. ეს არის ჯვარის ჭეშმარიტება და ის თას-განძშია განივთებული. განძის მითოსური ადგილსამყოფელი მიწისქვეშეთია ან მდინარის ფსკერი (როგორც მაგ; ნიბელუნგთა ოქროსი). ამასთანავე, იგი შეიძლება დამალული იყოს გამოქვაბულში, მიტოვებულ ნასახლარებსა თუ ნაციხვარებში, სადაც ამგვეყნიური ყოფა-ცხოვრება კარგა ხნის შემწყდარია. ადგილი, სადაც კაცმა განძი უნდა იხილოს, განსაკუთრებულია, იგი შეიძლება ითქვას, რომ არც კი ეკუთვნის იმ სივრცულ სინამდვილეს, რომელშიც თავად საყმო ცხოვრობს.

განძის ხილვა ყველასთვის დაფარული არ არის. ძველ ეპოსებში ნივთიერი ფასეულობის ძიება, ხილვა და მოპოვება განსაკუთრებული წამოშობის გმირთა ხვედრი იყო. მაგალითად, როგორც ბატონი ზურაბ კიკნაძე ამბობს, ფარნავაზმა მიაგნო განძს, რადგან ის იყო შთამომავალი „თავთა მათ ქართლისათა“. გარდა ამისა, განძის ხილვა მკადრესაც შეუძლია. ეს არის ადამიანი, რომელსაც გამოარჩევს ხატი სხვებისაგან. მკადრე ჯვარის დავალებით, სახიფათო ლაშქრობაში მიდის განძის წამოსალებად. ეს უკანასკნელი კი დევების საკუთრებაშია. იგი თავს სწირავს დავალების შესასრულებლად და საბოლოოდ, მაინც მოიპოვებს განძს. მკადრე დევს გამოჰვეჯს განძს, რო-

გორც ჯვარმა, ღვთისშვილმა გამოჰყლიჯა ერთ დროს თავისი საყმოსათვის საცხოვრებელი ტერიტორია. ამ გზით მოპოვებული ოქრო-ვერცხლით და ძვირფასი თვლებით ივსება ან ახლად იქმნება ჯვარის საგანძურო, რომელიც კულტის გულისგულს შეადგენს; განდი ქმნის თავის გარშემო ჯვარის კვრივს, რომელსაც მკადრე თავისი სიწმიდის ძალით უახლოვდება.

მრავლად არის ანდრეზები იმის შესახებ, თუ როგორ გადააწყდება ადმიანი მივიწყებულ განძს. ზოგ შემთხვევებში ადამინს ეძლევა მასთან მიახლოვების, უფრო მეტიც, წალების შესაძლებლობა. ასეთია მაგალითად, გველეთის განძის ამბავი. ზურაბ ერისთავი თავს დაესხა გველეთს, სადაც გიგაურები სახლობდნენ. ხუცესი გადამალავს 3 თასს, რომელსაც დატოვებული ანდერძის მიხედვით, მოგვიანებით, წლების შემდეგ იპოვის მისი შვილიშვილი. აშკარაა, რომ საგანძუროს ხილვას თან ახლავს შიშის განცდა, რადგან მხილველი გრძნობს, რომ მას საკრალურ რეალობასთან აქვს საქმე. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საღვთო შიში, რომელიც რელიგიური შემეცნების დასაბამია.

ერთ-ერთ ანდრეზში, რომელიც ხვთისო მამისიმედიშვილს აქვს ფშავში ჩაწერილი აღნიშნულია, რომ მართალია, მონადირემ მიაგნო განძის ადგისამყოფელს, თუმცა მისი წამოლება ვერ შეძლო, რადგან განძს გოლიათი იცავდა. მონადირე თავად ძლივს გამოსულა თორლვას ციხე-გალავნიდან უვნებელი. აღსანიშნავია, ისიც, რომ განძს შეუძლია საკუთარი თავი დაიცვას მპარავი-საგან ცეცხლის ალით. როცა თას-განძს საშიროება უახლოვდებოდა, უეცრად ცეცხლი ამოვარდებოდა და ზედ გადაეფინებოდა კაცს დაწვის მიზნით. ალექსი ოჩიაურის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ერთხელ ბაცალიგოს ლეკის ლაშქარი მოსულა, სოფელს დასცემია ასაკლებად. სოფელს, რომ ვერაფერი დააკლეს, ბოლოს პირქუშის საქვაბეში შესულან და სალუდე ქვაბის დაჭრა და წალება დაუპირებიათ. ცული რომ დაუკრავთ, ქვაბიდან ალი ამოვარდნილა და მთელ ლაშქარს გადასდებია, ლაშქარი დაბნეულა და გასულა სოფლიდან. ამის შემყურე ხევსურებს ხალისი მისცემიათ და დადევნებიან მათ. დიდად აზარალეს ლეკის ჯარი. ამ ბრძოლის დროს ხედავდნენ თურმელეკები თეთრ კაცს, რომელსაც პირიდან ცეცხლი ამოსდიოდა და მათრახით ხოცდა ხალხს. ხევსურებისათვის კი ამას ყველაფერს საფარველი ედო“. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჯვარი ყველანაირად ცდილობს, რომ განძი ხელში არ ჩაუვარდეს უკეთურ ადამიანებს.

თუმცა არის შემთხვევები, როცა განძი თავისი ცეცხლოვანი ბუნებით ვერ უმკლავდება მტერს. ეს ხდება მაშინ, როცა მპარავი თას-განძის მოსაპოვებლად კატას კლავს და შემდეგ მის სიხლს ასხამს საგანძუროს. ამის შემდეგ კი უკვე თავისუფლად შეუძლია ახლოს მისვლა და მიწაში დამარხული ფასეულობის ამოღება. „ჩვენი ანდრეზის მპარავნი განძის ხელში ჩაგდების მიზნით მიმართვენ შავ მაგიას - კლავენ უწმიდურ ცხოველს, რათა მისი სისხლით გააუწმიდურონ განძი და მერე ხელყონ იკ- ამბობს ზურაბ კიკნაძე. განძის მიგნებისა და მოპოვების მსგავსი ფაქტი დასტურდება გერმანული და სლავური მოდგმის ხალხში. ისინი იმ ადგილას, სადაც განძია ჩამარსული კლავენ შავ თხას ან შავ ქათამს, რაც შემდეგში სულებისადმი მსხვერპლშენირვად იქნა გააზრებული.

ის, რომ განძი საყმოს კუთვნილებაა კარგად ჩანს ანდრეზში „დევი და მარაული“. აქ მარაული შემთხვევით ნანას განძს ხატებს შესწირავს, მიუხედავდ იმისა, რომ დევს სამუდამოდ მტრად გადაიკიდებს (ჩამწ. ტრისტან მახაური).

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ზ. კიკნაძე, „ანდრეზები“, თბ., 2009
2. ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, ჯვარი და საყმო, ქუთაისი, 1996
3. ქ. სიხარულიძე, კავკასიური მითოლოგია, თბ., 2006

ეკა ჭკუასელი

საქართველოს საპატრიარქოს ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული  
უნივერსიტეტი, დოქტორანტურა  
ხელმძღვანელი პროფესორი: როზეტა გუჯეჯიანი

## ქართული რელიგიური წეს-ჩვეულებანი და ხალხურ დღეობათა სარიტუალო ლექსიკა (სვანეთისა და სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია სვანეთსა და სამეგრელოში დაცული რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების მეცნიერული კვლევა და ამ წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ტერმინთა მორფოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი. ეთნოლოგიისა და ლინგვისტიკის კვლევის მეთოდების გათვალისწინებით განხორციელებული კომპლექსური კვლევის შედეგები საინტერესოა იმით, რომ რწმენა-წარმოდგენებში დაცული ტერმინების ფორმობრივ-სემანტიკური ანალიზი მეტი ალბათობით შეგვაძლებინებს ხალხში შემონახული რელიგიური წეს-ჩვეულებების პირველადი რაობის მიკვლევას და ნათელს მოჰყენს რელიგიური ტერმინების განვითარების ისტორიას. ამ ნაშრომში განვიხილავთ ორ ძირს: „ხვამსა“ და „მზირს“.

\*ქუამ- :\*ხვამ- ძირი დაცულია სამეგრელოს საწესო-სარიტუალო ცხოვრებაში: სამეგრელოს ზოგ მხარეში იგი „ფუძის სალოცავს“ დ „ფუძეშ თხვამერი“ აღნიშნავს. ეს ძირი „დალოცვის“ მნიშვნელობით გამოყენებულია შემდეგ სანესო რიტუალში, რომელიც სრულდებოდა დიდმარხვაში. ეს ფუძე დაცულია შემდეგ სანესო რიტუალში: „უინიშ (ზემორე, ზეციერი) ხვამა“, რომელიც აღინიშნებოდა ივლისში, კვირა დღეს. 31 დეკემბერს აღინიშნებოდა „სახეცუჯო“ ანუ ხელ-მხარის სალოცავი, რომელსაც ასრულებდნენ მჭედლები და იხდიდნენ „ოჯკადირეშიშ თხვამერს“ (სამჭედლოს ლოცვას). მჭედელი ევედრებოდა ნმ. სოლომონ მადლიანს და წყალობას გამოსხვავდა შთამომავლობისათვის (მაკალათია 1941: გვ.322).

ტერმინი შენახულია რიტუალებში: „თემიშ ხვამა“ (მაკალათია 1941: გვ.324), „დიხაშ-ხვამა“, რომლის დღოსაც ლოცავდნენ ოჯახის ფუძეს, აქვე ნახსენებია „სოფელიში ხვამა“ (რომელიც გაზაფხულზე სრულდებოდა, როცა ხვნა-თესვა სრულდებოდა), „ბორიაშ თხვამერი“, რომელსაც ასრულებდნენ სიმინდის დატაროების დროს. სრულდებოდა აგრეთვე „სკიბუშ თხვამერი“, „ლუმუშ თხვამერი“ და ა. შ. (მაკალათია 1941: გვ.331).

\*ქუამ-ძირის შემცველ, ხვანეთში არსებულ წეს-ჩვეულებებს დაწვრილებით აღწერს ვ. ბარდაველიძე

შემდეგ ძირების მონაცემით: მეშქამ (ბარდაველიძე 1939: გვ.78). იგი განმარტავს წეს-ჩვეულება

ლახუამიალ-ს, რომელიც იმართებოდა ზვავისაგან დასაცავად. როგორც ვხედავთ, ეთნოგრაფიული

მასალა ამ ძირს ლოცვასა და დალოცვას უკავშირებს.

\*ჭუამ-ძირი, ზანური მასალის მიხედვით, არნ. ჩიქობავამ ახსნა: ხომ-//ხვამ- ძირთა ეტიმოლოგიური

მონაცემი: „ხვამუფს“ („ლოცავა“) ჭან. დდდ დოხვამუ („დალოცა“) | | მახვამუ (მიულოცა, ანუ მილოცვა) მეგრ. (ჩიქობავა 1938: გვ.425). მეცნიერმა შესატყვისი ძირის არარსებობა ქართულში ქრისტიანული საეკლესიო ნომენკლატურის გავლენით ახსნა.

ს. უღენტმა ჭანურ ტექსტებში გამოყო სიტყვა ო-ხვამ-ალ-ა და მისი მნიშვნელობა ახსნა, როგორც „საეკლესიო დღესასწაული, დღეობა, სალოცავი“ (უღენტი 1938).

ბ. გიგინეიშვილმა (ჭანურში: ო-ხვამ-ე „სალოცავი“, „ეკლესია“; მეგრულში: ხვამ- „ლოცვა“, ო-ხვამ-ე დ „სალოცავი“, ხვამ-ერ-ი „დალოცვილი“, ო-ხვამ-ერ-ი „სალოცავი რიტუალი“, ხოლო სვანურში: ლაჯუამ (ბ.ზ), ლა-ჯუმი (ბ.ქვ) „საყდარი, სალოცავი“ (გიგინეიშვილი 1985: გვ.58). მან ეს ძირი დაუკავშირა გასუბსტანტივებულ მიმღეობასა: სა-ბუმილ-ი („ლუმელი, ქურა“) და ძველ ქართულ ძირს ქუმ- (\*ჭუმ-, რომლის მნიშვნელობაა „ხმარება-გამოყენება“. მისი აზრით, ფონემატური შესატყვისობის პარალელურად, თვალსაჩინო იყო სემანტიკური კავშირი სიტყვებს და „საყდარსა“ და „სალოცავ ადგილს“ („მსხვერპლშენირვის ადგილს“) დ შორის.

ა. არაბულის აზრითაც, ეს ფუძე დადასტურებულია მეგრულ-ჭანურსა და სვანურში „ლოცვისა“ და „სალოცავის“ მნიშვნელობით. ის ამ ფუძეს უკავშირებს \*ხუამდ ძველ ქართულ ზმნურ ძირს და სიტყვა სახუმილ-ს და აღნიშნავს, რომ იგი სემანტიკურად უკავშირდება „ნთებისა“ და „ცეცხლის“ სემანტიკას: „იგივე მნიშვნელობა უნდა ედოს საფუძვლად შესაბამის ლექსიკურ ერთეულთა საკულტო დანიშნულებით დამკვიდრებასა და გავრცელებას“. (არაბული 2000: გვ.34). ეს ტერმინი, მისი აზრით, ქრისტიანობამდელ სინამდვილეს უნდა ასახავდეს და „შესაბამისი კულტი საერთოქართველური წარმომავლობისა უნდა იყოს“.

აღექვსი ჭინჭარაული \*ხვამ- ძირს ბერძნულს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ „ბერძნული და ზანურ-სვანური სიტყვების როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური დამთხვევა აშკარაა“. მნიშვნელობა ბერძნულში შედარებული ლექსიკური ერთეულისა „მრავალფეროვანია“: 1) ლოცვა, ვედრება; 2) ალთქმა; 3) (ალთქმული ან აუსრულებელი) სურვილი, ნარმოსახვის ნაყოფი, ოცნება; 4) წყევლა ან ლოცვა-კურთხევა. ამ ძირის ზმნური ფუძე შემდეგნაირად განიმარტება: 1) ლოცვა („ლოცულობს“), 2) (წყევლა დ რისხებაზე) გაგზავნა, შეთვლა, მონოდება 3) ქება („თავს იქებს“) (ჭინჭარაული 1998: გვ.207). ალ. ჭინჭარაული ყურადღებას ამახვილებს ტოპონიმებზე, რომლებშიც შემონახულია ეს ძირი: ნაოხვამუ (ნასაყდრალი), ნაოხვამენი, ნაოხვამერი; ტოპონიმებზე ყურადღებას ამახვილებს დ. ჭითანავა და ლექსიკურ ერთეულებს დ „ოხვამე“, „ნაოხვამუ“ || „ნაოხვამე“ დ განმარტავს, როგორც „სალოცავს“, „ნაეკლესიარს“, „შემალლებულ ბორცვს, ადგილს, სადაც ეკლესია იყო აგებული“ (ჭითანავა 2010: გვ.149, 353, 361, 376, 377).

რ. გუჯეჯიანის განმარტებით, „ზოგადი სახელი საეკლესიო მინებისა „ლელმუამ“ გახლავთ, რაც „საეკლესიოს“ ნიშნავს: ლე- თავსართია, ქართული სა-ს იდენტური, ხოლო „ლაბვმი“ ეკლესიაა“ (გუჯეჯიანი 2008: გვ.375).

ალ. ჭინჭარაული ვარაუდობს, რომ ჭანურში მოცემულ ფორმა ო-ხვამ-ალ-ა (მნიშვნელობით: „სალოცავი, საეკლესიო დღესასწაული, დღეობა“) საქართველოს ტოპონიმებში დადასტურებული ხომ-ლ ფუძეს (ხომული დწყალტუბო, ხომირა დ ტყიბული) შეიძლება უკავშირდებოდეს. ასევე, ეს ძირი დასტურდება ლეჩუმში, სახელწოდებით „ხვამლობა“ (საკულტო დღეობა 18 ივლისს).

ხვამლის სალოცავს ახსენებს ვ. ბარდაველიძე და აღნიშნავს, რომ ხველებით ავადმყოფთა განსაკურნავად მიდიოდა ხალხი ამ ადგილას პატარა პურის კვერებით (ბარდაველიძე 1939: გვ.57), მანამდე კი, ე. გაბლიანი აღნიშნავს, რომ მულახის საზოგადოებაში, სოფელ ზარდალაში, დასავლეთით მდებარეობდა ტყე „ხვალმი“. მისი ვარაუდით, ეს ტყე ლეჩებუმში, ხომლის მთაზე არსებულ წმ. გიორგის სალოცავის საკუთრება (შესაწირი) უნდა ყოფილიყო (გაბლიანი 1925: გვ.135). რ. გუჯეჯიანი ტერმინ „ხვამლს“ და „ხვალმს“ ერთმანეთს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ ხვამლის სალოცავი დადასტურებულია სვანეთის ტრადიციულ ყოფაში დ „მთელ დასავლეთ საქართველოში ცნობილ ხვამლის წმ. გიორგის ეთაყვანებოდნენ და შესაწირავს (ტყეს, ხეს, მძივებს) უძღვნიდნენ სვანეთშიც (გუჯეჯიანი 2008: გვ.59). დაავადებათა პრევენციის მაგიურ-რელიგიურ ტრადიციებზე საუბრისას ნ. მინდაძე განმარტავს, რომ რაჭა-ლეჩებუმსა და სვანეთში დადასტურებულია დღესასწაული „ხვამლობა“, რომელიც იმართებოდა ამაღლების მეორე შაბათს (სულთმოფენობაზე)“ (მინდაძე 2000: გვ.3).

ხვამლ- ძირთან დაკავშირებით, ტ. ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ ლეჩებუმში დიდი მთის სახელი დ ხვამ-ლი არის საერთოქართველური ვარიანტი; კერძოდ: ხვამ- ლოცვაა, ხოლო ხვამ-ლ-ი დ სალოცავი ადგილი. მისი აზრით, ხვამ-ლ- სიტყვაში დლ ისეთივე სუფიქსია, როგორიც თოვ-ს დ თოვ-ლ-ი, მამა დ მამ-რ-ი ფორმებში (ფუტკარაძე 2005: გვ.168-169). ლ-ს ფუნქციაა კუთვნილობის, წარმომავლობის გამოხატვა.

ბერძნული სიტყვის კვალს ად. ჭინჭარაული ხედავს „ძველ ქართულთან ახლოს მდგომ დიალექტებში დ ქიზიყურში, ფშაურსა და ხევსურულში“. ბერძნული „ხომ“ ძირი ჩანს ქიზიყურ ლექსიკურ ერთეულში: „ვეხომლებოდი“ (ალერსიდვეალერსებოდი) და ფშაურში, ღვთისადმი აღვლენილ სავედრებელში: „ღმერთ შენი გაჩენილია ხვნა, ხვეწნა და ღაღადება“... (ვაჟა-ფშაველა 1964: გვ.29). აქ მოცემულ სიტყვას „ხვნა“ მეცნიერი „ხვეწნისა“ და „ღაღადების“ მნიშვნელობით ხსნის: „ხვამა-ში მოხდა ა-ს რედუქცია და მივიღეთ ხვმა და აქ მ-ს ჩაენაცვლა ნ“ (ჭინჭარაული 1998: გვ.210). გ. სარჯველაძე - პ. ფერიხის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ აღდგენილია ძირი \*კუჭამ- ზანურში მოცემული „ხომ-ალა“დღეობა,

სალოცავი და სვანურში დაცული ლი-წუმ-„სალოცავი“|| მა-წუმ-„მადლობა“. ამ მეცნიერთა

აზრით, ქართულში დღეს შესატყვისი ძირი არ ჩანს, თუმცა, სავარაუდოდ, მეგრულსა და ლაზურში ეს ფუძე ან ქართულიდან უნდა შესულიყო, ან სვანურიდან (ფერიხი, სარჯველაძე 1990: გვ.496).

მ. ჩუხუამ სვანურ ზუამ- (ხ-ო-ხუამ-ი ბზ.,|| ხ-ო-ხუამ-ი), ზანურ ხომ-//ხვამ-, ხომ-ა//ხუმ-ა („ხმა“, ხვამ-ა „ლოცვა“, დოხვამ-ა „გადალოცვა“, ა-ხვამ-ან-ს, ი-ხვამ-ან-ს „ილოცავს“, „გადაულოცავს“, ხვამ-ერ-ი „დალოცვილი“, ო-ხვამ-ერი „დასალოცი, ლოცვა“, ოხვამ-ე „ეკლესია, სალოცავი“ ო-ხომ-ალ-ა „სალოცავი“) ქართული ხმ-ა, ხმ-ობა, ხმ-ევ-ა („დახმარება, სა-ხმ-ევ-ელ-ი“, სა-ხმ-არ დი) „შესაწევნელი“ (საბა) დაუკავშირა. მისი აზრით, ლოცვადალოცვა სალოცავი =ეკლესია სემანტებს საფუძვლად დაედო ამ ძირის შემცველი ყველა ლექსიკური ერთეულის სემანტიკური მონაცემი:

1. ლოცვა, სალოცავი, დალოცვა, მილოცვა, მადლობა, დღეობა, საეკლესიო დღესასწაული, დალოცვილი;
2. ეკლესია, საყდარი, ნასაყდრალი, ნაეკლესიარი, შემაღლებული ბორცვი, სადაც ეკლესია იყო აგებული;
3. ხმარება-გამოყენება, ღუმელი, ქურა (ნთება, ცეცხლი), საცეცხლე, მსხვერპლშენირვის ადგილი, სალოცავი რიტუალი;
4. ხვეწნა, ღაღადი, ალერსი, ხმა, ხმობა, მოხმობა დასახმარებლად, ვედრება;

5. აღთქმა, სურვილი, წარმოსახვის ნაყოფი, ოცნება;

6. წყევლა.

**მზე- მზირა:** სვანეთის ყოფაში **ლემზირ-** აღნიშნავს როგორც სალოცავ პურს, ისე სალოცავ რიტუალსა თუ სალოცავ ადგილს. ლემზირი, როგორც სალოცავი პური, ცალკე გადანახული კარგი ხარისხის ფქვილისაგან მზადდებოდა და ყველა დღესასწაულის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა (აბაკელია: გვ.23). ბარბარობისადმი მიძღვნილი დღეობის რიტუალის აღნერისას ვ. ბარდაველიძე ახსენებს სადღეობო შესანირებს, ასევე აღნერს **ქორაშ ლიმზერის** რიტუალს, რომელსაც ქალები მართავდნენ თითქმის ყველა დღეობაში: მელენიაშ ლემზირ, მეშგალიაშ ლემზირს (ბარდაველიძე 2006: გვ.16). მეცნიერთა ნაწილი „ლამზირს“ სალოცავ ადგილადაც მიიჩნევს. ივანე ჯავახიშვილი ახსენებს დღესასწაულს „ახალ-კვირად“ წოდებულს, რომელიც აღდგომის პირველ კვირას იმართებოდა. ამ დღესასწაულზე ჯვარდანერილი დედაკაცები ამოდიან დანიშნულ ადგილას კვერებით, სამს დიდს სწირავენ ღვთისმშობელს, სამი პატარა კი მიაქვთ დანიშნულ ადგილას, რომელსაც „ლამზირს“ უწოდებენ და რომელიც „მიწის სალოცავს“ წარმოადგენს (ივანე ჯავახიშვილი 1979: გვ.131).

ძირი „**მზირ-“**, როგორც ვხედავთ, უძველესი სახესო ჩვეულების ამსახველი რიტუალის სახელწოდებაა. მეცნიერთა ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, „არ არის შემთხვევითი“ როცა „ქართველური სიტყვის ფუძეები ფონეტიკურად ემთხვევა ერთმანეთს ან ახლოსაა ერთმანეთთან“ დ „ხშირად ის ფუძეები, რომლებიც ენათმეცნიერებაში დამოუკიდებელ ფუძეებადაა მიჩნეული, სინამდვილეში ერთიანდება განტოტილ ერთობლივ კანონებში“ (ვახანია 1993: გვ. 106-107). სწორედ ამ პრინციპით დაცუკავშირეთ „**მზირ-/მზერ-“** „შემდეგ ქართულ ძირებს: „**მზე“, „ზერ-ზირ“, „ზუერ-“.**

ივანე ჯავახიშვილი „მზეს“ მიმღებად, ზედსართავ სახელად მიიჩნევს და იშველიებს სულხან საბა ორბელიანის ცნობას. ლექსიკოგრაფიის მიერ კვირა დღის აღმნიშვნელი სახელი „**მზირა**“ განიმარტება, როგორც „კვირიაკე, საუფლო“. სამწერლობო ენაში დადასტურებულ ფორმას „მზე“ მეცნიერი უპირისპირებს დიალექტურ „ბჟას“, რომელიც, თავის მხრივ, „უას“, „უეს“ სახითაც არის წარმოდგენილი. მეცნიერი მეგრულში დაცულ ფორმასთან ახსენებს ჭანური დიალექტის „მურა“ ვარიანტს, რომელსაც „მჟარა“ ფორმისაგან ნაწარმოებად წარმოადგენს და აქვე ახსენებს მეგრულის მრავლობით რიცხვში დაცულ ფორმას: „ბჟალა“. ამ ორი ვარიანტის შედარების საფუძველზე, მეცნიერი ასკვნის, რომ „მზირა (მზერა)“ ფორმა „მზის“ თავდაპირველი ვარიანტია (ჯავახიშვილი 1979: გვ166).

„მზ/ეს“ გ. კლიმოვიც მიმღებად მიიჩნევდა და მანარმოებლებად „მეე“ აფიქსებს გამოყოფდა. მისი ვარაუდით, ძირის ფონემა უკავშირდება „ნათებას, ბრნყინვას“ (კლიმოვი 1964: გვ.134), ანუ შუქის გამოკრთომას, გამოღებას, გამოშუქებასა და ლაპლაპს, რომელსაც ძველ ქართულში „მზინვა“, შემდეგ „მზინვა“ ენოდებოდა (ჯავახიშვილი 1979: გვ.166.). 1998 წელს გამოცემულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში გ. კლიმოვმა უკვე ფორმა „მზ/უარე“ აღადინა („მზიანი მხარე“) დ ქართულში: მზორე, ლაზური: (მ)უორა დ ბუორა, უურა- (მზე) სვანურში: მეუარ დ (მზიანი) (კლიმოვი 1998: გვ.121). როგორც ვხედავთ, მეცნიერი „მზუარე“ ფორმას ლაზურის „მურა“ ვარიანტს ადარებს, რომელიც დღესაც „მზის“ გამომხატველია ამ დიალექტში. ამ პრინციპით, ანუ ამ სემანტიკის მიხედვით აღადგენენ ზ.სარჯველაძე - ჰ. ფენრიხი ძირს: „ზ/უს“, რომელიც სწორედ ქართული „მზუარეს“ შესატყვისად ლაზურის „მ-უორ-ა//მ-უურ-ა//ბ-უორ-ა//მ-ჯ-ორ-ა“ ფორმებს გულისხმობს. ასევე, მეცნიერები აღადგენენ **ზუერ-** ძირს ორგვარი სემანტიკით: ერთ შემთხვევაში, იგი „ბაჟის“ (მეზუერე დ მებაჟე) მნიშვნელობით აღდგება და სვანურში ზუერ-/ზურ- (ლი-ზუერ „შეკრება“) ძირს შეესატყვისება (მეგრულში ზირ-ს, რომელიც, თავის მხრივ, ხარკის

აკრეფას, ზირილი დ „შეკრებილს“ ნიშნავს), ხოლო ზუერ-მოზერი ლაზურში ადასტურებს შესატყვის ძირს: ზარ-/ზა-(დედალი ხბო).

ლ. ნადარეიშვილი „ზუერ-/ზორ-“ფუძეთა შემცველ სიტყვებს შემდეგნაირად აჯგუფებს:

ქართული: „ბაჟი, ხარკი, გამოსაღები“; მეზუერე „მებაჟე, ხარკის ამკრეფი“; საზუერე „საბაჟო“. ამავე ძირს უკავშირებს მეცნიერი ძველ ქართულში დაცული ფორმას „ზორვას“, რომელიც „მსხვერპლის შეწირვას“ ნიშნავს.

სვანურში ამ ძირის შემადგენელი ფორმებია: ლიზვერ-ლიზვრი „შეგროვება, მოგროვება, აკრეფა“; მუზვრი „შემკრები“ დ გადასახადის, წყლის. ლინზორე „შეგროვება“, ლიზვრი „(ხალხის) თავმოყრა, შეკრება“, ლუზვერ „შეგროვილი“, ლინზორალ „შეგროვება, შეკრება, თავმოყრა“. მეგრულში ზორ- ძირის შესატყვისია ზირუა „შეგროვება“ (ლ. ნადარეიშვილი 1975: გვ.113-114).

ზ. ვახანია სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონში დაცულ სიტყვას „ოზირის“ („ნართავთა დიდი შულო“ დ მატყლის ან აბრეშუმის ძაფის ნართავი, ლამაზად დახვეული დიდ შულო, რომელიც ნარმართული ღვთაებისთვის შესაწირავი ნივთი იყო) და ზანური ნარმომავლობის ძირს „ო-ზირის//ზირ- ზირუა“ („შეგროვება, მოგროვება“), ოზირალი (ბეგარა) ერთმანეთს უკავშირებს და იზიარებს თვალსაზრისს, რომ ამ ძირთა მონათესავეა სწორედ ძველი ქართული ძირი „ზორვა“ („მსხვერპლად მიტანა, მსხვერპლშეწირვა, მსახურება“). მისი აზრით, ამ ქართველური ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა იქნებოდა „საწესო ძლვენი, ძლვენის შეგროვება ჯვარ-ხატისათვის, სადღესასწაულოდ მისთვის შესაწირავად“ (ვახანია 1993: გვ.116).

მეცნიერი განიხილავს ძირ „ზვარსაც“, რომელიც „დიდი ვენახი“, „მზიანი, საუკეთესო ვენახია“, რომელშიც ყველა მეთემე ერთად მუშაობდა, უსასყიდლოდ, ჯვარ-ხატის საზვერედ და რომლისგანაც მოიწეოდა საზედაშე ღვინო დ ეთნოგრაფიული კვლევებითაც დასტურდება, რომ ზვარი სამეფო, სათავადო, საეკლესიო ან სამონასტრო ვენახია. ყველა ოჯახი ამზადებდა ოზირს, ოზირალს, ნაწილიან პირუტყვს და სხვა საზვერეს, რომელსაც კრეფდა საგანგებო მოხელე დ მეზვერე დ მაზირალი. საზვერე ნივთ-საქონელი და ზოგჯერ, პირუტყვთა მაგივრად მათი საწესო გამოსახულებით (რომლებიც ან ცომისაგან ცხვებოდა, ან ყველისაგან კეთდებოდა) იყო საახალწლო სუფრისა თუ მეკვლის მისართმევი ხონჩის აუცილებელი ნაწილი დ ოჯახის კეთილდღეობის, გამრავლებისა და საქონლის ნაყოფიერების საწინდარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზვერ- ძირის სხვა ვარიანტს ზარ-ზა- (ლაზურში „დედალი ხბო“) შეესაბამება. ზ. ვახანიას ამ ნაშრომის მიხედვით ზვერის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს „საგანგებოდ ნასუქი პირუტყვი“ წარმოადგენს. სწორედ ამ ფუძის შესატყვისად მიიჩნევს მეცნიერი მოხეურ-მთიულურში დაცულ ფორმა „ზორას“ (ხატისთვის შეთქმული მოზვერი): ზუარა//ზვარა დ ზვარაკი დ ნასუქარი სამსხვერპლო ზვარაკი (ვახანია 1993: გვ.117).

თუ ერთ სემანტიკურ ველში მოვაქცევთ ამ ძირთა მონაცემს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ბრწყინვა, ნათება, ლაპლაპი, ნათელი,

ხედვა, პოვნა, ნახვა,

შეკრება, დაგროვება, ბაჟი, ხარკის აკრეფა, ბეგარა,

შეკრება, შეგროვება, თავმოყრა,

ვენახი,

სამსხვერპლო პირუტყვი.

ეს სემანტიკურ განტოტება ერთი საერთო ძირისაგან მომდინარეობს: ამ ძირის პირვანდელი მნიშვნელობა სვანურ ყოფაში დაცული საწესო რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს. „მზერ-მზირ-მზურ-“ ფორმები სვანურ ყოფაში შენარჩუნებულია შემდეგი მნიშვნელობის მქონე სიტყვებში:

**ლოცვა (ლიმზირ-)** და ნალოცი, შენაწირი (ნამზურ-) **შესანირავი (ლიმზირ-)** და **სახლის ფუძის მფარველი ღვთაებრივი სულდგმული (მზირ-)**, **საწესო, საკულტო (ლიმზურ)**.

სვანურ ყოფასა და ლექსიკაში დაცული ძირი თავისივე განტოტებებით საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ამ სიტყვის წარმომავლობა სწორედ სანესო-სარიტუალო ყოფის დ კერძოდ, ლოცვისა და სალოცავის, სალოცავისათვის შესანირად გაღებული, დაგროვებული თუ საგანგებოდ მომზადებული არსის გამომხატველი სიტყვა უნდა ყოფილიყო. ეს ფუძე, თავისთავად უკავშირდება საუფლო დღეს, კვირიაკეს აღმნიშვნელ თავდაპირველ სიტყვას „მზირა“.

### ლიტერატურა:

1. აბაკელია 1997: ნ. აბაკელია, სიმპოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ. 1997წ.
2. აბაკელია, ალავერდაშვილი, ლამბაშიძე 1991: ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ლამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ. 1991
3. აბულაძე 1973 : ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973
4. არაყიშვილი 1950 : დ. არაყიშვილი, სვანური ხალხური სიმღერები, თბ. 1950
5. ბარდაველიძე 1030: ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1939
6. ბურდული 1990: მ. ბურდული, ხალხური მედიცინა დასავლეთ საქართველოში (სვანური ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით), 1990. საკანდიდატო დისერტაცია.
7. გაბლიანი 1925: ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, ტფ. 1925.
8. გაბულდანი 2000: ნ. გაბულდანი, დიდება სიტყვის სემანტიკური ცვალებადობის შესახებ ქართულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, თბ. 2000
9. გაზდელიანი 1998: ე. გაზდელიანი, ზოგი სვანური რელიგიური ტერმინის წარმომავლობისთვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ. 1988
10. გიგინეიშვილი 1985: ბ. გიგინეიშვილი, ზოგი ეთნოგრაფიული ტერმინის წარმომავლობისთვის ქართველურ ენებში, „მაცნე“, 1985.
11. გუჯეჯიანი 2008: რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, 2008.
12. გუჯეჯიანი 2008: რ. გუჯეჯიანი, საეკლესიო მიწები სვანეთში, კრებული «სვანეთი», 2008.
13. გუჯეჯიანი., ჩამგელიანი, ცინცაძე, ჭეიშვილი 2011: რ. გუჯეჯიანი, მ. ჩამგელიანი, დ. ცინცაძე, გ. ჭეიშვილი, «კვირია» სვანეთის ტრადიციულ ყოფაში, დ კრ. საქართველოს ისტორიის ფურცლები, სვანეთი. თბ. 2011.
14. დანელია 1978: კ. დანელია, რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 183, 1978,
15. ვახანია 1993 : ვახანია, საწესო ცნობიერება და სიტყვების წარმომავლობა, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია; 1993, 2
16. კლიმოვი 1964: გ. კლიმოვი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 1964.
17. კლიმოვი 1998: გ. კლიმოვი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ნიუ-იორკი, 1998.
18. ლეკიაშვილი 1986: ა. ლეკიაშვილი, კვირია დ მაცხოვარი, მნათობი, მსე, 11, თბ., 1986
19. მაისურაძე 1989: ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989
20. მამალაძე 1972: თ. მამალაძე, სვანური საწესო სიმღერების სტრუქტურა, მსე, XVI-XVII, თბ., 1972
21. მაკალათია 1927: სერგი მაკალათია, ახალწელინადი, თბ. 1927.
22. მაკალათია 1941: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941

- 
23. მელიქიშვილი 1997: ი. მელიქიშვილი, საერთო-ქართველური ძირი სტრუქტურული და ტიპოლოგიური თვალსაზრისით, თბ. 1997
24. მინდაძე 2000: ნ. მინდაძე, ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა, 2000.
25. ორბელიანი 1991: ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ. 1991.
26. პაპუაშვილი 1987: გ. პაპუაშვილი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე (გამოსათხოვარი), „ჯვარი ვაზისა“, 1987
27. უდენტი 1938: ს. უდენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილო, 1938
28. საღლიანი 2005: გ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, თბ. 2005.
29. ფერიხი, სარჯველაძე 1990: ჰ. ფერიხი, ზ. სარჯველაძე — ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 1990.
30. ფუტკარაძე 2005: ტ. ფუტკარაძე, ქართველნი, ქუთაისი, 2005
31. ჩიქობავა 1938: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938)
32. ჩიქობავა 1952: არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ. 1952
33. ღლონტი 1984: ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1984
34. ჭინჭარაული 1998: ა. ჭინჭარაული, კიდევ ერთი ბერძნული წარმომავლობის სიტყვა, ქართველური ონომასტიკა, თსუ, 1998,
35. ჭითანავა 2010: დ. ჭითანავა, «ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში», თბ. 2010
36. ჭუმბურიძე 2005: ზურაბ ჭუმბურიძე, სვანური საეკლესიო ტერმინოლოგიის შესწავლისათვის, IV საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თსუ, თბ. 2005წ.
37. ჯავახიშვილი 1979: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I., თბ. 1979წ.
38. ჯავახიშვილი 1950: ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ. 1950.

**ნინო საზანდრიშვილი, ნინო ტერტერაშვილი  
გორის სახხავლო უნივერსიტეტი  
ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ გოგოლაძე**

**ლექსის სიმღერად ქცევა და ხალხური მუსიკალური საკარავები ქართულ ფოლკლორში**

უძველესი დროიდან ფოლკლორი ასახავდა და თაობიდან თაობას გადასცემდა რეალური ყოფისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, ის, რასაც აკეთებდა ადამიანი, მარტო თუ კოლექტივში. ამის გამოხატულება იყო ქრისტიანობამდელი თუ ქრისტიანობის შემდგომი წარმართული დღესასწაულები, სადღესასწაულო ლექსები, რომლებიც სიმღერებად იქცეოდა, ცეკვა-ფერხულებად. წარმართულმა სიმღერებმა მნიშვნელოვანი ცელილება განიცადა, ვიდრე ქრისტიანობის მიღების ბოლო პერიოდში. ამიტომ მათი კვალი შეგვიძლია მხოლოდ მინიშნებით ვიპოვოთ. რაც შეეხება ქრისტიანული ეპოქის სიმღერებსა თუ ცეკვებს, ისინი შემოგვინახა არამარტო ზეპირსიტყვიერმა ლექს-სიმღერებმა, არამედ თავად ქრისტიანულმა ტაძრებმაც კი. ამის ნიმუშია სვეტიცხოვლის კედელზე გამოხატული „სამაიას“ ცეკვა, რომლის შესახებ ინფორმაციას იძლევა შემკრებლობითი საქმიანობის ერთ-ერთი წარმოდგენელი XIX საუკუნეში ერეკლე მეფის შთამომავალი, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი.

1861 წელს ალექსანსრე ჯამბაკურ-ორბელიანმა პირველმა აღძრა საკითხი ქარ-თული გალობის, სიმღერისა და ღიღინის მნიშვნელობისა თუ შენარჩუნების თაობაზე. თავის ნაშრომში მან ჩამოაყალიბა ცხრა სახეობა ლექს-სიმღერებისა. როგორც ფოლკლორისტი მიხეილ ჩიქოვანი წერს, ალ. ორბელიანს ახლოს უნდა სცნობებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციული ჩვეულებები, რომელიც მიღებული იყო როგორც დაბალ, ისე მაღალ ფენებში. ამიტომ მიიჩნევს მ. ჩიქოვანი მას ქართული ხალხური შემოქმედების, კერძოდ მისი მუსიკალური ნაწილის შესწავლის წამომწყებად, რომლის გზაც შემდგომში დავით მაჩაბელს გაუგრძელებია. თავის ერთ-ერთ ნაშრომში („ნაწერი“ 1879წ.) ალექსანდრე ჯანბაკურ-ორბელიანი განასხვავებს სოფლურ სიმღერებს საეკლესიო გალობისაგან. „სოფლური სიმღერები“ ანუ, როგორც ახლა ვამბობთ, ხალხური სიმღერები, ნაშრომში დაკავშირებული აქვს ყოფიერებასთან, იმ საწესჩვეულებო გარემოსთან, რომლის გარეშე ისინი არც არსებობენ სინამდვილეში. „მართალია ალ. ორბელიანის შრომა მუსიკას შეეხება უმთავრესად, მაგრამ მასში მხატვრული სიტყვიერი შემოქმედებაც იგულისხმება, რადგან არც ერთი მის მიერ დასახელებული სიმღერა პოეტური ტექსტის გარეშე არ გზვდება. ზოგი ტექსტი წერილის ავტორს აქვს ნაჩვენები, ზოგი კი მომდევნო პერიოდში იქნა ჩაწერილი“ (მ. ჩიქოვანი 1956: 109-110).

ალ. ორბელიანს შეუგროვებია საძეო სიმღერები, როგორიცაა „მზე შინაო, მზე შინ შამოდიო“, რომელსაც ქალები სიმღერად ამბობდნენ, თან ლხინობდნენ. ალ. ორბელიანი ყურადღებას ამახვილებს საქორწინო სიმღერებზეც, რომელიც არაიშვიათად სტვირის აკომპანიმენტით სრულდებოდა. „, თან თუ მესტვირე ეყოლებოდათ, იმის სტვირის დაკვრაზე როკვას დაიწყებდნენ ქალნი და მამაკაცნი, და თუ მესტვირე არ ეყოლებოდათ, როკვის სიმღერასა იმღერებდნენ მომღერალნი და იმ ხმაზედ აჰყვებოდნენ დიახ კარგად“ (მ. ჩიქოვანი 1956: 110).

ამის შემდეგ ალ. ორბელიანი ყურადღებას ამახვილებს სუფრულ სიმღერებზე: „სადაც დიდი სახლი იქნებოდა, ნადიმი, სადაც იქ პირველი გვამი იჯდებოდა თავზე, იმის პატივისცემისათვის, იმის სუფრის წინ პირდაპირ, უნდა მისულიყვნენ მგალობლები და სალხინოსა გალობასა მოპყოლოდნენ დაჩოქილნი: „დღეს საღმრთომან მადლმან წმიდისა სულისამან შეგვკრიბა ჩვენ“... და სხვანი. ჯერ პირველად ამ ღვთის დიდებით მოილხენდნენ გულით და სულით, მასუკან მომღერალნი მოვიდოდნენ, სოფლური სიმღერების მთქმელნი;

სხვადასხვა სიმღერას იტყვოდნენ, თავის დაღილინებით, თავის სადღეგრძელოს მრავალური მიერით და სამადლობელის გადახდით“ - წერს ალ. ორბელიანი (მ.ჩიქოვანი 1956: 110-111).

მეოთხე ადგილზე ალ. ორბელიანი ათავსებდა საფერხისო სიმღერებს. ერთ-ერთი ასეთი ფერხულია „სამაია“. ალ. ორბელიანის აზრით, „სამაიას“ თავდაპირველად მხოლოდ ქალები ასრულებდნენ, მოგვიანებით კი მამაკაცები მეორე გუნდში განთავსდებოდნენ.

თეომურაზ Ⅱ-ის მონმობით, „სამაიას შესრულებისას მესტვირე მოცეკვავე ქალებს სატრფიალო ლექ-სებს უძლვნის. ამის გადმონაშთი ახლაც გვხვდება ხალხურ ლექსში: „სამაიას თავი მიყვარდაო“ (მ.ჩიქოვანი 1956: 112).

ალ. ორბელიანს ჩამოთვლილი აქვს საწყალზეო, ნანა, შრომის ლექს-სიმღერები, კალენდარულ-საწეს-ჩვეულებო სიმღერები, სამგლოვიარო სიმღერები. მასვე დიდი ინტერესი გემოუჩენია კარის მგოსნების შესახებ ინფორმაციაზე და შეუდგენია ერთი მესტვირის, ზაქარიას, ბიორგაფიაც. ზოგან ტერმინ მესტვირეს გვარი ბლიაძე ენაცვლება, რასაც იგი ასე ხსნის, რომ ცნობილი ყოფილა ვიღაც ბლიაძე და იმისი სახელი დაურქმევიათ მესტვირისათვის.

სწორედ ფოლკლორის საგნის შესწავლის პროცესში ალ. ორბელიანის ამ მინიშნებებმა დაბადა ინტერესი, შეგვესწავლა, თუ როგორია სატრფიალო პოეზია და მისი ტრანსფორმაცია სიმღერებში. სატრფიალო ლირიკა ქართული ხალხური შემოქმედების ერთ-ერთ ულამაზეს და, ფორმის თვალსაზრისით, სრულყოფილ უბანს წარმოადგენს. ლირიკულ უნრთა მრავალფეროვნება, მხატვრულ სახეთა სინატიფე, დახვეწილობა და არაჩვეულებრივი სიმდიდრე, დამახასიათებელია ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკისათვის.

„ხალხურ პოეზიას დღესაც არ გაუწყვეტია კავშირი სიმღერასა და ცეკვასთან, ამიტომ ხშირად პოეზია და მუსიკა ერთობლივად არის ხოლმე წარმოდგენილი ფოლკლორში. ამას ემატება ის პოეტური ხატები, რომლებიც ლექსებშია შექმნილი და ერთგვარ ვიზუალურ, თითქმის ფერწერულ სურათებსაც კი ქმნის. ასე ცხადდება ფოლკლორში კავშირი პოეზიას, მუსიკასა და მხატვრობას შორის“ (გ. ალიბეგაშვილი 1992: 121).

ელენე ვირსალაძის აზრით, ქართულ ფოლკლორში, სხვა უანრებთნ შედარებით, სატრფიალო ლირიკა რითმის სიმდიდრით, რიტმის მრავალფეროვნებითა და ლექსის არქიტექტონიკის ნაირსახეობით გამოირჩევა. სატრფიალო ლირიკაში ძალზე გავრცელებულია შაირობა, ქართული შაირების თემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სატრფიალო შაირობასაც. ქართული სატრფიალო პოეზიის ძირითადი სახეებია: ქება, ელეგია, ნატვრა, გაბასება-სატრფიალო წერილი, მინიატურა, ბალადა და შაირები. ამდაგვარი დაყოფა ნაკარნახევია, როგორც ლექსის შინაარსით, ისე ფორმით.

წარმოშობის თვალსაზრისით ქართული ხალხური ლირიკა, უპირველეს ყოვლისა, ორ ჯგუფად იყოფა:

1. მონოდიური ანუ ინდივიდუალური წარმოშობა-შესრულების სიმღერა-ლექსები; 2. გუნდური წარმოშობისა და შესრულების სიმღერები. ლირიკის ეს ორივე სახე მეტად ძველია. დღეს ძნელია ლექსის ამ თვალსაზრისით დაყოფა, რადგან მრავალი მონოდიური წარმოშობის ლექსი გუნდური გახდა. და პირიქით, გუნდური სიმღერა ინდივიდუალურად სრულდება.

კოლექტიური შრომისა და საგუნდო საწესო სიმღერებიდან იღებს სათავეს კიდევ ერთი სახე ლირიკისა-შაირი. გუნდის, ფერხულის სიმღერებში გამოიყოფა კორიფე, ან ორი ერთმანეთის მონაცვლე სოლისტი და ამგვარმა ანტიფონურმა სიმღერებმა ორი სოლისტის შეჯიბრების ხასიათი მიიღო.

ფოლკლორი თავისთავად გულისხმობს სინკრეტიზმს და ორგანულ მთლიანობაში მოიცავს ცეკვას, სიმღერას, მუსიკას, ლექსს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სხვა უანრის მსგავსად მდიდარ ხალხურ ლირიკას თავის უდიდეს ნაწილში, დღესაც არ გაუწყვეტია კავშირი სიმღერასთან. ამრიგად, მისი სინკრეტული ხასიათი ნაწილობრივ დღესაც არის დაცული. მთელი რიგი ქართული ტერმინებისა, მუსიკის და პოეზიის დარგში, ამ კავშირს ადასტურებს. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, სიტყვა „მღერა“, რომელიც როგორც ცნობილია, სიმღერასა და, ამავე დროს, თამაშსა და ცეკვას აღნიშნავდა.

მუსიკისა და ხალხური ლექსის სინთეზის შედეგად დაბადებული ხალხური სიმღერა მსმენელს დიდ ეს-თეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის. როგორც წმინდა იღია მართალი ამბობდა: „ხმა და სიტყვა ცალ ცალკე

### **ჰუმანიტარული გეცნიერებანი: ფოლკლორი, ეთნოლოგია**

ბევრს შემთხვევაში უღონონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდამ ამოზიდონ იგი მსხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც საგსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისა. სიმღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა“ (ი.ჭავჭავაძე 2012: 126 ).

ქართული ხალხური ლირიკის ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები თავისი დახვეწილობითა და სინატიფით უეჭველად შექმნილია ისეთ ეპოქაში, როდესაც ადამიანი არამცთუ კარგად ერკვეოდა თავის განცდებში, არამედ ცხოვრების ერთგვარ ფილოსოფიას ქმნიდა, გამოხატავდა თვალსაზრისს საზოგადოებრივ მოვლენებზე, ადამიანის შინაგან ცხოვრებაზე, გრძნობებზე, ამ გრძნობათა სუბიექტსა თუ ობიექტზე, ცხოვრების იდეალებზე.

საქართველო ვოკალური მრავალხმიანობის კლასიკური ქვეყანაა და ქართული მუსიკალური აზროვნებისთვის ვოკალური მრავალხმიანობის პრინციპია ამოსავალი. ილია ჭავჭავაძემ ამასთან დაკავშირებით გამოთქვა საკუთარი მოსაზრება ერთ-ერთ წერილში „ქართული ხალხური მუსიკა“: „სიმღერაში... მწყობრი ხმა შველის წყობილ-სიტყვაობას და წყობილ სიტყვაობა მწყობრის ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თვისის გული ძარღვის ცემა“ (ი.ჭავჭავაძე 2012: 126 ).

დროთა განმავლობაში ფოკლორული ნიმუშები გროვდებოდა, თვისობრივად და რაოდენობრივად იცვლებოდა იგი. ეს ცვლილება ფოლკლორის სპეციფიკურობიდანვე გამომდინარეობს. ხალხური ლექსის ტექსტის ცვლილება კიდევ უფრო ხშირია, როცა მასზე დაყრდნობით იქნება ხელოვნების ნიმუში, ხალხური სიმღერა. მაგალითად: საყოველთაოდ ცნობილი ხალხური ლექსი „მოხევის ქალო თინაო“. მისი ტექსტია:

„მოხევის ქალო თინაო,  
რა ღმერთმა გაგაჩინაო,  
ნეტაი ერთას ღამიას  
შენთან მქონიყო ბინაო!  
შენი საპანი დამხურა,  
და ტკბილად დამაძინაო,  
შენი სწორები გათხოვდეს,  
შენ რას აკეთებ შინაო“.

(ქართული ხალხური პოეზია ტ. VI 1978: 71)

ამ ლექსის ტექსტის მოცულობა მისი სიმღერად ქცევისას შემცირდა და ფრაზებიც შეიცვალა. ასე. მაგალითად:

„მოხევის ქალო თინაო,  
შენ რაღად დარჩი შინაო,  
შენი ტოლები გათხოვდნენ,  
შენ რას აკეთებ შინაო“.

თითქმის იმავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე „ვერცხლისამც თასად მაქციას“ სიმღერად ქცევისას. ილია და სხვა შემკრებთა მიერ ჩაწერილი „ვერცხლის თასადამც მაქცია“ არაა სრული, იგი ნაწყვეტია უფრო მოზრდილი ლექსისა, რომელსაც „ქალ-ვაჟის სიყვარული“ ეწოდება. ეს ლექსი ჩაუწერია ქართული ხალხური პოეზიის გამოჩენილ შემკრებს თედო რაზიკაშვილს, რომელიც დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ მისმა თანასოფლელმა ქალმა ხვარამზე სამუკაშვილმა ეს ლექსი გამოუთქვა ვაჟიკა ნაკვეთაურს.

„ვერცხლისამც თასად მაქცია,  
რო ღვინით აგევსებოდი,  
დაფერილი მქნა წითლადაც,  
შამსვემდი-შეგერგებოდი  
ანა მქნა ვერცხლის სათითე  
რო ხელზედ ჩაგეგებოდი;  
ან შენი ნამგლის ყანა მქნა  
რო ფხაზეც შეგეჭრებოდი...“

(ქართული ხალხური პოეზია ტ. VI 1978: 64)

სიმღერის ტექსტი კი ასეთია:

„ვერცხლის თასადაც მაქცია  
რომ ღვინით აგევსებოდი  
დაფერილ იქნა წითლადა  
შეგსვამდი შეგერგებოდი“

აგრეთვე, ქართული ლექსის, : „ქალაუ, შენმა მენდილმას“ ტექსტია:

„ქალაუ შენმა მენდილმა  
ჰაერში გაიფრიალა,  
სახე გამოჩნდა, თოლებმა  
ელვარედ გაიკრიალა.  
ცხელმა ნიავმა დამქროლა,  
გზად შენსკნ დამატრიალა  
გულს ცეცხლი შემოაყარა  
და ჩალად ამაბრიალა“

(ქართული ხალხური პოეზია ტ. VI 1978: 128)

ამ ტესტზე დაყრდნობით შექმნილი სიმღერის ტექსტი კი ასეთია:

„ქალაუ, შენმა მანდილმა  
ჰაერში გაიფრიალა,  
სახე გამოჩნდა, თვალებმა  
ელვარედ გაიფრიალა“.

ხალხური ლექსის ტექსტისა და მის საფუძველზე შექმნილი სიმღერის ტექსტის შედარებისას აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ, ისევე როგორც ხალხური ლექსის ვარიანტები, არსებობს ხალხური სიმღერების ტექსტის ვარიანტებიც. ხალხური სიმღერის ტექსტის ვარიანტულობა დამოკიდებულია, როგორც ლექსის ვარიანტულობაზე, აგრეთვე შემსრულებლის თუ შემსრულებელთა ნება-სურვილზე. ამ მხრივ ისინი თავისუფალნი არიან. ამასთანავე, როგორც წესი, ზოგადად ლექსის სიმღერად ქცევისათვის ხშირად აუცილებელიც კია, რომ მისი ტექსტი შეიცვალოს. ამ მხრივ არც ხალხური სიმღერა წარმოადგენს გამონაკლისს. ბევრი ფოლკლორული ლექსი, ხალხური ლექსი, სიმღერად გადაიქცა

### **ჰუმანიტარული გეცნიერებანი: ზოლულორი, ეთნოლოგია**

და ისინი მუსიკალური საკრავების აკომპანიმენტით სრულდება. სწორედ ეს მუსიკალური საკრავები სძენს მათ უფრო მეტ სინატიფეს.

ქართული ხალხური სიმღერები ძირითადად სრულდებოდა: სალამურის, გუდასტვირის, სოინარის, ფანდურის, ჩონგურის, ჩანგის, დიპლიპიტოს და სხვათა აკომპანიმენტით. თავის მხრივ ეს მუსიკალური საკრავები სამ ჯგუფს ქმნიან საქართველოში:

1. ჩასაბერი საკრავები-სალამური (უენო და ენიანი), გუდასტვირი (აჭარაში - ჭიბონი), სოინარი (ლარჭემი);

2. სიმებიანი: ჩამოსაკრავი- ფანდური, ჩანგი, ჩანგი,

3. დასარტყამი: დიპლიპიტო, დაირა.

ჩვენს თემაში ძირითადად ნახსენებია შემდეგი საკრავები:

**სალამური-** ქართული ხალხური, ხის, ჩასაბერი საკრავი, ძირითადად მზადდება ლერწმისაგან. აქვს ფლეიტის ტიპის ღია მილი, 6-9 თვლით (ნახვრეტით). არსებობს უენო (უძველესი) და ენიანი სალამური. ის ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში.

**გუდასტვირი** - ჩასაბერი საკრავი, ტყავის ტომარაში ან გუდაში ჩამაგრებული რამდენიმე სტვირი სხვადასხვა სახელწოდებით არის გავრცელებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მათ შორის საქართველოშიც (რაჭაში-გუდასტვირი, აჭარაში-ჯიბონი).

**ფანდური** - სამსიმიანი ჩამოსაკრავი, რომელიც გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, ის ძირითადად სააკომპანიმენტო საკრავადაა. მისი თანხლებით სრულდება სოლო სიმღერები-საგმირო, სახუმარო და სატრაფიალო სიმღერები, შაირები, აგრეთვე, საცეკვაო სიმღერებიც.

**ჩონგური** - ჩამოსაკრავი სიმებიანი საკრავი, გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში(გურია, სამეგრელო, იმერეთი, აჭარა). აქვს აბრეშუმის 4-5 სიმი. უფრო ხშირად გამოიყენება ქალთა სიმღერების, აგრეთვე, ცეკვების თანხლებისათვის.

ჩანგი-გამოსაკრავი სიმებიანი საკრავი. ის ქალთა საკრავია. ძირითად შემორჩენილია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სვანეთში.

ქართული ხალხური ლექსისათვის უჩვეულო არ არის, მასში მოხსენიებული იყოს მუსიკალური საკრავი. შესაძლოა, შემდგომში მისი სიმღერად ქცევისას, სიმღერა შესრულდეს ამ მუსიკალური საკრავის აკომპანიმენტით. მაგალითად, ერთ-ერთ ხალხურ ლექსში „თავით ფეხამდი შეგამკობ“ მოხსენიებულია ქართული მუსუკალური საკრავი **ჩონგური**:

„ზედაც რომ ჭიპი გიგორავს,

ცაშია ვარსკვლავისებრო.

შიგ რო წელები გიწყვია,

**ჩონგურის ალყებისებრო**“.

(ქართული ხალხური პოეზია ტ. VI 1978: 45)

კიდევ ერთი ხალხური ლექსი, რომელშიც მუსიკალური საკრავია მოხსენიებული, არის „შარშანდელ ვერიხეობას“:

„მე და ჩემმა ამხანაგმა

დაუკარით ფანდური,

ერთი ქალი თამაშობდა

წელში გამოკვანწული“.

(ქართული ხალხური პოეზია ტ. VI 1978: 69)

### **პუმანითარული გეცნიერებანი: ზოლულორი, ეთნოლოგია**

ფანდური აგრეთვე მოხსენიებულია ერთ-ერთ ცნობილ სატრფიალო გაბასებაში „ქალ-ვაჟის სიყვარული, ვაჟიკასი და ხვარამზისა“.

„- შენნიმც თვალ დამიტირებენ,  
შენის გულისად მოვკვდები,  
როგორც დამიკრავ ფანდურსა,  
ისევე დაგიკორდები.“

(ქართული ხალხური პოეზია ტ. VI 1978: 80-81)

აგრეთვე, ერთ-ერთი საკრავი სტვირი არის მოხსენიებული ხალხურ ლექსშ „რომენ ხარ ნიჩბელაჩიგა“.

„რომენ ხარ ნიჩბელაჩიგა,  
ვაჟავ, ვინ უკრავ სტვირსაო,  
ამაღამ ჩემთან ჩამოდი,  
არ დაგაძინებს ძილსაო.“

(ქართული ხალხური პოეზია ტ. VI 1978: 90)

მაშასადამე, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელია სიმღერად ქცევა, რა დროსაც ისეთ სპეციფიკურ ნიშნებს ვხვდებით, როგორიცაა ტექსტის ცვლილება ფორმისა და სტრუქტურის მიხედვით. ქართული ხალხური ლექსების გარკვეული ნაწილის მოცულობა მცირდება და მისი ფრაზებიც იცვლება სიმღერად ქცევის სპეციფიდან გამომდინარე.

ქართული ხალხური სიმღერები ძირითადად სრულდება ქართული საკრავების აკომპანიმენტით. საკრავებს გაცილებით დიდი დატვირთვა აქვს ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვის, ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ საკრავები თავად არიან მოხსენიებულნი ხალხურ ლექსებში და ხშირად მათ საქებრად არ იშურებს სიტყვებს ქართველი ხალხი.

### **ლიტერატურა:**

1. ვირსალაძე 1978. ე. ვირსალაძე. წლის ქართული ხალხური პოეზია თბილისი 1978.
2. ჭავჭავაძე 2012. ი. ჭავჭავაძე. წლის პუბლიცისტიკა თბილისი 2012.
3. ჩიქოვანი 1956. მ. ჩიქოვანი. წლის ქართული ხალხური პოეზია თბილისი 1956.
4. ალიბეგაშვილი 1992. გ. ალიბეგაშვილი. წლის ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები თბილისი 1992.

**ხატია ანდლულაძე**  
ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: ქეთევან ხუციშვილი

## ლირებულებების ეთნოლოგიური კვლევის პროგლოგი

ლირებულებები არის ფართე ცნება. რთულია განმარტება რამდენიმე სიტყვაში მოავაქციოთ. ხასიათ-დება ზოგადობითა და იერარქიული წსრიგით.

ლირებულებები არ არის მხოლოდ პირადი ან რომელიმე განსაზღვული სტატუსის მქონე სოციალური ფენის. თითოეულ საზოგაოებას საკუთარი ლირებულებები გააჩნია, რომელთაც კულტურული მემკვიდრეობა განსაზღვრავს. ყოფიერებაში ლირებულებები ერთგვარად გზამკვლევის როლს ასრულებს. ლირებულებები არის ჩვენი ვალდებულებები და ისინი არეკლამს იმას თუ რა არის ჩვენთვის კარგი ან ცუდი. (Charon Y.M. Ten Questions: A Sociological Perspective) „Rirebulebs განმარტავენ, როგორც სასურველ, ღრმად გამჯდარ სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალს და ამართლებენ წარსულ ქმედებებს.კა (ნანა სუმბაძე, თაობები და ლირებულებებიკა, 2012წელი, გვ.5) ლირებულებები ჩამოყალიბების მუდმივ პროცესშია, ეპოქათა ცვლის პერიოდში კი ხდება მისი რეკონსტრუქცია ან სრული გადაფასება.

სხვადასხვა დისციპლინები სხვადასხვაგავრად განსაზღრავს ლირებულებების მნიშვნელობას. ფილოსოფიური თვალსაზრისით, ლირებულება არის ის მოცემულობა რის გამოც რაიმეს ეძლევა აზრი. ლირებულებები-ფილოსოფიური და სოციოლოგიური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს:

1) ობიექტის დადებით ან უარყოფით მნიშვნელობას მისი ეგზისტენციალური და რაოდენობრივი მახასიათებლების მიუხედავად.

2) ნორმატიულ შეფასებითი დამოკიდებულებას საზოგადოებრივი მოვლენებისადმი. (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი, 2004წელი, გვერდი 322)

აქვე შეიძლება დავასახელოთ ის მოაზროვნები, რომელთაც ტერმინის დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით- რიკერტი და ვებერი. ჰ.რიკერტი თვლის, რომ სუბიექტები და ობიექტები არსებობს, მაგრამ სამყარო შედგება არა მხოლოდ იმისაგან, რაც არსებობს, არამედ იმისგანაც რაც არ არსებობს, მაგრამ მნიშვნელობს. ის რაც მნიშვნელობს ლირებულებაა.

განსახვავებენ სამი სახის ლირებულებას : ინდივიდუალურს, საყოველთაოს და ნამდვილს.

მ.ვებერმა კი პირველმა ნამოქრა საკითხი ლირებულებათა ფარდებითობისა და მათზე კულტურული ზეგავლენის საკითხი. ვებერი მოიაზრებდა იმ ლირებულებებს რომლებიც, რელიგიურ, უპირველს ყოვლისა პროტესტანტიზმის იდეოლოგიაშია ჩანაწერილი. ვებერის კონცეფციის თანახმად, კულტურული ლირებულებები და რწმენები ობიექტურად მოქმედი ძალებისგან დამოუკიდებლად ჩნდება.

ლირებულებების შეთვისება სიცოცხლის ადრეული წლებიდან, სოციალიზაციის პროცესის მეშვეობით ხდება.

სოციალიზაცია კულტურული ნორმებისა და ფასეულობების შემცნების პროცესია. იწყება რა ადრეული წლებიდან მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება, ამასთან განსაზღვრავს ინდივიდის პიროვნული განვითარების მიმართულებას. ხოლო, ის პირები კი ვინც ხელს უწყობს ინდივიდს სოციალიზაციაში ეწოდებათ სოციალიზაციის აგენტები. ესენია არიან: მშობლები, მეგობრები, სააღმზრდელო დაწესებულებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (კულტუროლოგია, სოციალიზაცია.)

## **ჰუმანიტარული გეცნიერებანი: ფოლკლორი, ეთნოლოგია**

ღირებულებები ჯგუფდება მათი შინაარსის მიხედვით. შპრენგლერი გამოყოფს ღირებულების ექვს სახეს: ჭეშმარიტების, სილამაზის, აუცილებლობის, ძალაუფლების, სიყვარულის და რელიგიის. მათი ფლობის მიხედვით შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ინდივიდი ისე საზოგადოება.

კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტია ღირებულება. ცნობილია, რომ იგი ფილოსოფიური სააზროვნო ტრადიციიდან შევიდა კულტურის მეცნიერებებში. ორიენტირებული იყო ემპირიულ კვლევებზე.

კულტურის ემპირიულ მეცნიერებებში(ანთროპოლოგიაში) ღირებულებათა პირველი გააზრება ფილოსოფიურ ხაზს აგრძელებს. განიხილება ისეთ აბსტრაქტულ ცნებებთან მიმართებაში როგორებიცაა "სასურველი" და "მიზანი".

ღირებულებები იგივე კულტურული ნომრებია. კულტურა კი როგორც საკვლევი ობიექტი თავისი არსით პრობლემატურია. სოციალური თანაცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე აღინიშნება ღირებულებები. ამიტომაც კულტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღირებულებებს. ღირებულებები დევს კულტურაში. ამასთან, ვლიდება არა თვალხილულად არამედ არტე ფაქტებში, მატერიალურ ან სულიერ კულტურულ ელემენტებში. კულტურულ ღირებულებებში ერთიანდება - ჩაცმის ეთიკა, დაკრძალვის თუ ქორწინების წესები, სხვადასხვა რიტუალები, ცეკვები, თამაშები და სხვა არსებული კულტურული უნივერსალიები.

ამჯერად კი შევეხებით ეთნოლოგიის კვლევის ინტერესს ღირებულებებთან მიმართებაში.

ეთნოლოგიას აინტერესებს ხალხი, კულტურა და ყოფა. ყურადღებას ანიჭიბეს ნორმების ფუნქციონირებას ახლა და აქ.

ეთნიკურობის ერთ-ერთი ელემენტია ღირებულება, რომელიც განიხილება ეთნიკური თვითშეგნების რაკურსით. რაც შეხეება შედარებას, ეთნიკური ღირებულებები მეტად მყარია, ვიდრე საზოგადოებრივი, ვინაიდან საზოგაოებრივი შედარებით იდეოლოგზირებულია.

აღნიშნული განსაზღვრებებიდან გამომდინარე, ცხადია რომ ღირებულება განიცდის ჩამოყალიბებას და დროში ცვალადი თემაა. ნათლად იკვეთება მისი კვლევის სირთულე. როგორც ეთნო-კულტურული არსის განსასაზღვრად და დროში ცვალებადობის დასადგენად.

რადგან ღირებულებები მატერიალური სახის არ მქონეა, იგი ვლინდება სოციალურ ქმედებებში და არტეფაქტებში. პირველ რიგში კვლევით პრობლემას ქმნის დროში მუდმივი ცვალებადობა, რაც საკითხის სიღრმისეული შესწავლის საჭიროებას ქმნის.

კვლევის საჭიროება კი იმაშია, რომ დავინახოთ კულტურის ელემენტების ურთიერთმიმართება დროით სინქრონიაში და როდესაც ვიცით ღილებულებების ფორმირება დროში, შესაძლებელი ხდება ვისაუბროთ კულტურის ფორმირებაზე.

### **ლიტერატურა:**

1. ვ.გოროზია - "ღირებულებები" სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი- ცნობარი, გამომცემლობა "ლოგოს პრესი" 2004.
2. ნანა სუმბაძე იკთაობები და ღირებულებებით, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, თბილისი 2012.
3. ვ. კალანადარიშვილი „ღირებულებები და განწყობა“, ნაწილი პირველი, სოციოლოგიური ნარკევები, გამომცემლობა იქსაბჭოთა საქართველოკუკ თბილისი; 1969.

**თამარ ჭიჭალუა**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: რომელა გუჯეჯიანი

## მარტინ და გამორჩეული რიტუალები სამაგრელოში

სამეგრელოში მჭედლობა და ზოგადად ლითონის დამუშავების ხელოვნება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, ამ მხრივ დიდი ყურადღება ენიჭებოდა მჭედლობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსაც.

მჭედელი - „ჭკადუ“, „კინაი ჭკადუ“ ადგილობრივთა წარმოდგენით, სოფელში საპატიო და ამავე დროს ისეთ გამორჩეულ პირად იყო მიჩნეული, რომელსაც განგებასთან ჰქონდა კავშირი. მჭედელს ყოველთვის შეეძლო შეუძლებლის გაკეთება, მას და მის სამჭედლოს ავი ძალებით ვერაფერს დააკლებდნენ. მჭედელს შეეძლო ურჩები და ავაზაკები გრდემლზე დაერისხა და მათვის დიდი უბედურება დაეტეხა.

ძველად სამჭედლო - „ოჭკადურე“ სახლის კარმიდამოზე ჰქონიათ მოწყობილი. თანამედროვე ყოფაში სამჭედლო სოფლის ცენტრშია მოთავსებული, ხოლო ქალაქებსა და დაბებში, ბაზრობებთან ახლოს, ხალხთა თავშეყრის ადგილებში. სამჭედლო ნაგებობა მარტივია. ძველი სამჭედლოები დაგეგმარებაში მრგვალი ფორმისა ყოფილა, ბოძებშორისი სივრცე წნელით ყოფილა ამოლობილი, არაიმვიათად ღობეს თიხითაც ლესავდნენ. სახურავი ისლის ქონია. ცენტრალური ადგილი ქურას ეკავა, ქურის წინ ხის მაგარ კუნძზე დიდი გრდემლი „ ქულამური “ ყოფილა მოთავსებული. დიდი გრდემლის წინ იდგა წყლის როფე - „ ბეყე “, ქურის მარჯვენა მხარეს დიდი გრდემლის სიახლოვეს პატარა გრდემლი ყოფილა დადგმული. ქურას მიდგმული ჰქონია საბერველი. სამეგრელოში ჯოხით დასაწევ საბერველებს ხმარობდნენ. ქურის მარჯვენა მხარეს უკანა კუთხეში დაყრილ ყოფილა ნახშირი, ქურის მარცხენა და მარჯვენა მხარეს კი მოთავსებული ყოფილა სამჭედური იარაღები და ქვის დიდი ჩარხი. ძირითადი სამჭედური იარაღები იყო: მარწუხები, რომლებსაც ქურის ნაპირებზე ალაგებდნენ და რითაც გახურებულ რკინას იღებდნენ, დიდი კვერი- მცირე გრდემლზე. ქურის პირასა და საბერველს შორის დაბალ ტიხარზე აწყობდნენ მცირე ხელსაწყობს : სახვრეტებს, საჭრისებს, საყუე ყალიბებს.“ (ჯალაბაძე 1977 : 88, 89)

XIX საუკუნის მეორე ნევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში, ძველი სამჭედლო ნაგებობის ტიპი აღარ იყო ყოფაში შემონახული. იგი ჩანაცვლა ხის ძელებისაგან ან ფიცრისაგან გაკეთებულმა ნაგებობამ, რომელსაც წინა მხრიდან კარი და დიდი ზომის ფანჯარა ჰქონდა, რომელსაც მინები არ უკეთდებოდა, უბრალოდ იხურებოდა ფიცრისაგან შეკრული დარაბით. სამჭედლოს ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა ქურა, რომელიც ორ განყოფილებად იყო წარმოდგენილი. პირველი იყო საცეცხლე - რკინის გასახურებელი ნაწილი, რომელსაც ოთხეუთხა ფორმა ჰქონდა და აგურებით იყო ამოშენებული. ცალპირი აგურით იყო ამოშენებული საცეცხლე განყოფილების ტიხარი, რომელიც გამოყოფოდა მეორე განყოფილებას - საბერველს. ტიხარი საცეცხლე ქურის პირიდან 70 სმ- მდე მაინც იყო ამოშენებული, რომ აქედან ცეცხლი არ გადავარდნილიყო საბერველზე და არ დამწვარიყო. საბერველი მჭედლის იარაღთა შორის ყველაზე უფრო ძვირფასი იყო. საბერველს რომ ჰაერის ნაკადი თანაბარი ძალებით მიეწოდებინა შტკირში ჩადგმული იყო ცეცხლგამძლე თიხის გრძელი და და წვრილპირიანი მილი, რომლის სიგრძე 50-სმ აღწევდა. ხმარობდნენ თუჯის მილსაც. მჭედელს სამუშაოდ ესანიროებოდა დიდი რაოდენობით სანვავი. ძველად სამჭედლოები ძირითადად ხის ნახშირს იყენებდნენ. ამ მხრივ საუკეთესოდ ითვლებოდა მუხის, რცხილის წიფელისა და წაბლის ნახშირი. ამ მხრივ მენეხმირები ნახშირის გამოსაწვავად ორ მეთოდს იყენებდნენ : ორმოში გამოწვის მეთოდს და მიწის ზედაპირზე.

მჭედლობა საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში განსაკუთრებული ხასიათის ხელობად ითვლებოდა. ძველ დროში მჭედლები თავიანთი ხელობის სხვებისთვის გაზიარებას გაურბოდნენ და

### **ჰუმანიტარული გეცნიერებანი: ზოლულობი, ეთნოლოგია**

მას მხოლოდ მემკვირდებებს გადასცემდნენ. ამ დარგში თითოეულ მოხელეს თავისი მიღწევები ჰქონდა, რაც ლითონის ამ შემთხვევაში, რკინის წრთობის და მისი მოქნა-მოდრეკის და ნაირი სახის საბრძოლო თუ სამერნეო იარაღების მაღალ დონეზე დამუშავებაში გამოიხატებოდა. სახმარი იარაღი უნდა ყოფილიყო მოხდენილი, დახვეწილი, გამძლე და მარჯვე სახმარი. შესაბამისი ისტორიული დოკუმენტების არარსებობის გამო არააცნობილი თუ რა პირობებში, როგორი გზით ხდებოდა ძველად მჭედლობის ხელოვნებაში და-ოსტატება. თუმცა XIX საუკუნეში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით დასტურდება მჭედლობა-ში შეგირდობის ინსტიტუტის არსებობა. თანამედროვე ყოფაში ამ შეგირდობის ინსტიტუტზე გვიამბობს აქ მცხოვრები პირი, რომელიც 15 წლის ასაკში სამეგრელოს ერთ-ერთ პატარა ქალაქში, წალენჯიხაში იმყო-ფებოდა ოსტატის შეგირდად „ 15 წლის ვიყავი, როდესაც წალენჯიხაში ( სოფელი ობუჯში) წავედი შეგირ-დად ოსტატ ალიოშა მესხიასთან. მასთან 6 წელიწადს დავყავით. 4 წელის განმავლობაში უფასოდ ვმუშაობ-დი შეგირდად, ხოლო ბოლო 2 წელიწადს ცოტ-ცოტა გასამრჯელოს მაძლევდა, შემდგომ პერიოდში კი ხელ-ფასი მეძლეოდა. ტანსაცმლის მიცემა ხელოსნისთვის საგალდებულო არ იყო, მაგრამ თუ შეამჩნევდა, რომ შეგირდი მუყაითად მუშაობდა მაშინ აძლევდა. საჭმელ-სასმელი სახლი ხაზეინის იყო. თავდაპირველად სა-ბერველს ვუბერავდი, მერე ურო მეჭირა, შემდგომ კი სავალდებულო იყო ნალის გახვრეტა და ლურსმნის გალესვა, შემდეგ საქონლის დაჭედვა. თუ შეგირდი მჭედელს არ ენათესავებოდა, შეგირდობისათვის გარ-კვეული გადასახადიც უნდა გადაეხადა წელიწადში 200 მანეთის ოდენობით. სადღესასწაულო დღეებში კი შეგირდის ოჯახი ოსტატს ძლვენს მიართმევდა. შეგირდის ოსტატად დალოცვა სათანადოდ უნდა აღნიშნუ-ლიყო. შერჩეულ დღეს შეგირდის მშობლები გოჭს, თიკანს ან მამალს დაკლავდნენ. ხაჭაპურებით და სასმე-ლით სამჭედლოში შევიდოდნენ და რამდენიმე ნათესავისა და მეზობელის თანდასწრებით მჭედელი გრდემ-ლთან შეგირდს დალოცავდა და შესთხოვდა 363 ხელობის უფროს-სოლომონს, რომ ახალ ოსტატს ხელი მო-მართვოდა მომავალ საქმიანობაში “ (ი. კალანდია 2013წ. ქ.ზუგდიდი)

ადგილობრივთა რწმენით, წელიწადი 363 დღისაგან შედგებოდა და ამ დღეთა რაოდენობის მიხედვით არსებობდა ხელობები. ყველა ამ ხელობის დამფუძნებლად წმ. სოლომონი ითვლებოდა. გადმოცემის თანახ-მად, წმინდა სოლომონის მთავარ საქმიანობას მჭედლობა წარმოადგენდა. იგი გახურებულ რკინას ხელით იღებდა და თავის მუხლზე ჭედავდა. ყოველივე ამის გამო მას არ შეეძლო უბრალო მოკვდავთათვის ესწავ-ლებინა ეს ხელობა. როდესაც ქრისტემ ეს იხილა, შეასწავლა და გაანდო მას გრდემლის მოწყობილობა, ჩა-ქუჩისა და ასაღების საიდუმლო. 31 დეკემბერი სამეგრელოში წმინდა სოლომონის დღედაა მიჩნეული და აღნიშნავენ დღეობა „ხეხუნჯობას“, ანუ ხელებისა და მხრების დალოცვას. ეს წარმოადგენს წლის ბოლო დღის წეს-ჩვეულებას, რომელსაც ადგილობრივები ყოველწლიურად აღნიშნავდნენ. „ხეხუნჯობის რიტუ-ალს მხოლოდ მჭედლები ასრულებდნენ, რომელთაც სამჭედლოში ჩაფლული სალოცავი ქვევრები ყოველ-წლიურად უნდა შეევსოთ ღვინით და შეენირათ წმ. სოლომონისათვის. ამ დღის აუცილებელ ცხოველს წარ-მოადგენდა ღორი, რომელსაც „ოხეხუნჯეს“ (სახეხუნჯოს) ეძახდნენ. დღესასწაულის წინა დღეს მჭედლის შვილები დადიოდნენ სოფელში და აგროვებდნენ სოფლის ყოველი მოსახლისაგან ფეტვის მარცვალს, მა-რილს, კვერცხს და ყოველივეს რასაც მისცემდნენ. ამგვარი შეგროვება აუცილებელი იყო. გლეხებს სწყინ-დათ თუ „მეხეხუნჯე“ მათ გვერდს აუვლიდა. ( აბაკელია 1997 : 83 )

„ხეხუნჯობა“/ „ხეხუნჯობაზე“ დამატებითი მასალები მოიპოვება ს. მაკალათიას ნაშრომში „ სამეგრე-ლოს ისტორია და ეთნოგრაფია“, რომის მიხედვითაც „სახეხუნჯო“ ხელ-მხარის სალოცავია და მას 31 დე-კემბერს აღნიშნავენ. ამ დღეს ოჯახის თითოეულ წევრზე აცხობდნენ ორ-ორ კვერს და თითო კვერცხს ხარ-შავდნენ, რომელსაც დაალაგებდნენ ხონჩაზე და კერის პირას დასდგამდნენ. პირველად კერასთან მიდიოდა ოჯახის უფროსი. ის ხონჩას მარჯვინ მიატრიალებდა და დაილოცებოდა. უფროსის შემდეგ ოჯახის დანარ-ჩენი წევრები რიგ-რიგობით მივიღოდნენ ხონჩასთან, გაიმეორებდნენ იმავე ლოცვას და თავიანთ კვერსა და კვერცხს იქვე შეჭამდნენ. ხეხუნჯობა ღამეს მჭედლები იხდიდნენ „ოჭკადურეშიშ ოხვამარეს“ ანუ სამჭედ-ლოს ლოცვას. მჭედელის ოჯახში დაკლავდნენ გოჭს და გამოაცხობდნენ კვერებს, რომლებსაც საღამოს

### **ჰუმანიტარული გეცნიერებანი: ზოლულობი, ეთნოლოგია**

ხონჩაზე დაალაგებდნენ, იქვე დასდებდნენ სამჭედლო იარაღებს: ქურას, კვერს და სხვ. ამ ხონჩას მჭედელი შეიტანდა მარანში, სადაც სამჭედლოს ქვევრი იყო ჩაფლული, თუ არა და სამჭდლოში წაიღებდა. ქვევრთან მას მიჰყვებოდნენ მხოლოდ მამაკაცები, დედაკაცი კი სახლში რჩებოდა და იქ ცალკე ლოცულობდა კვერებით და სანთლებით. მას იმდენი სანთელი უნდა ჰქონდა რამდენიც იყო ოჯახიდან გამოთხოვილი ქალი. თუ ოჯახიდან გამოთხოვილი ქალი ახლოს იყო იგი თვითონვე გამოგზავნიდა კვერს და სანთელს, ანდა მის წილს ოჯახში დამზადებდნენ. მჭედელი დაიჩოქებდა ქვევრთან და ლოცულობდა, ლოცვის დასასრულს ხელის მუჭებს შეკრავდნენ და ერთმანეთზე დააწყობდნენ. ზედ მჭედელი შეკრულ მუჭას დაადებდა და შიგ წყალს ან ლვინოს ჩაასხამდა. სითხე მუჭებიდან, ვითარცა მილიდან გავიდოდა ძირამდე და უფროსი იტყოდა: „წმინდა სოლომონმა წყალივით წაიყვანოს ჩვენი საქმეო“ მჭედელი ქურაზე კვერს დაჰკრავდა და გაიმეორებდა „წყალობა მოგვეცი წმინდა სოლომონ“. (მაკალათია 1941 : 43 )

ძველად სამეგრელოში სამჭედლოს პატივისცემით ეკიდებოდნენ. მასში ფიცი და ხატზე გადაცემა იცოდნენ. როდესაც მჭედლის ოჯახში ვაჟი დაიბადებოდა, სამჭედლოს სწირავდნენ ციკანს და დ შესთხოვდნენ ვაჟის გაზრდას და მჭედლობაში დახელოვნებას. ხალხში არსებული რწმენა-წარმოდგნენების მიხედვით , გინც ამ წესს არ შეასრულებდა, ამ ოჯახში დაბადებული ბავშვი ბეჩავი და ავადმყოფი იქნებოდა. მას მუცელი ებერებოდა და უფერული იყო. ამიტომ ვაჟის დაბადებისას სამჭედლოში იწირებოდა მამალი ციკანი, ხოლო ქალის დაბადებისას - „ხოზო-კვარი“ (ყველიანი კვერი) ოჯახიდან გათხოვილ ქალს ვაჟი რომ შეეძინებოდა, მას მამის სახლში უნდა გამოეგზავნა მამალი ციკანი, ხოლო ქალის დაბადების შემთხვევაში კი - „ხოზო კვარი“

ამრიგად ადგილობრივთა რწმენით სოლომონი მჭედელთა მფარველად ითვლებოდა. მჭედელი სოფელში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას, როგორც მაგიური ძალის მქონე რკინის დამმორჩილებელს, სოფელი სათანადო პატივს მიაგებდა. თავის მხრივ მჭედელი ოსტატები წმინდად იცავდნენ სამჭედლოსთან დაკავშირებულ რიტუალებს. ისინი შაბათ დღეს მუშაობას ამთავრებდნენ, გრდემლზე სანთელს დაანთებდნენ და კვერის რამდენიმე დარტყმით ლოცვას ასრულებდნენ. მჭედელი აგრეთვე სადღესასწაულო დღეებში პურობას აწყობდა.

### **ლიტერატურა:**

1. აბაკელია 1997. 6. აბაკელია სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში თბილისი 1997.
2. მაკალათია 1941. ს. მაკალათია სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია თბილისი 1941.
3. მაკალათია 1943. ს. მაკალათია სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია თბილისი 1943.
4. ჯალაბაძე 1962. გ. ჯალაბაძე მჭედლობა სამეგრელოში თბილისი 1962.
5. მთხოვნელი: იურა კალანდია, 55წლის მჭედელი, ქ. ზუგდიდი. 2013 წელი.

**თეონა კვანჭიანი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: რობერტა გუჯეჯიანი

## გასილობის ფარდიცია საახალწლო რიტუალები

ტრადიციულ ქართულ ყოფაში შემონახულ ხალხურ დღეობათა ერთ ნაწილს სინკრეტული ხასიათი აქვს. ქართული ქრისტიანობის ისტორია ცხადყოფს, რომ ახალი რელიგიის გავრცელების პარალელურად, მიმდინარეობდა არქაული, ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების გაქრობის ან ტრანსფორმირების პროცესი. ბუნებრივია, ხალხური რწმენა-წარმოდგენების მცირე ნაწილი ავლენს სინკრეტულ ხასიათს.

მოხსენების მიზანია, გამოავლინოს ქართულ სახალწლო რიტუალებში არსებული „ბასილის“, „ბასილობის“//„ბოსლობის“ ტრადიცია, მისი გენეზისი.

გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ საახალწლო რიტუალებში არსებული „ბასილობა“//„ბოსლობა“ წმინდა ბასილი დიდის სახელს უკავშირდება, რადგანაც ცნობილია, საეკლესიო მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით 1(14) იანვარი არის წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და წმინდა ბასილი დიდის ხსენების დღე.

შესაძლოა, წმინდა ბასილი დიდის სახელი ჩაენაცვლა არქაულ სარწმუნოებრივ სისტემაში არსებულ ნაყოფიერების კულტს, რომელსაც, შესაძლოა, ფესვები უძველესი დროიდანვე ჰქონდა გადგმული ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში, სადაც ის თავდაპირველად გაიგივებული იყო საქონლის მფარველ ღვთაებასთან, რომელიც ერთ-ერთი უძველესთაგანია ქართულ წარმართულ პანთეონში<sup>75</sup>.

პრობლემის შესწავლის ისტორიოგრაფია საკმაოდ ვრცელია: ბასილი დიდის კულტი მკვლევარმა ვერა ბარდაველიძემ, დაუკავშირა მის მიერვე გამოვლენილ ზოგადქართულ ითიფალურ ღვთაებას - ბოსელს (ბომბლას)<sup>76</sup>. ვერა ბარდაველიძის აზრით, რაკი ბოსელი საქონლის ქართული წარმართული ღვთაებაა დაბა-სილის კულტი კი მას ჩაენაცვლა, ისიც, შესაბამისად, უპირველესყოვლისა საქონლის, განსაკუთრებით ღო-რის, გამრავლებისა და მოვლა-პატრონობის მფარველ ღვთაებად მოიაზრებოდა.

ახალი წლის აღნიშვნის რიტუალი ზოგადად მსგავსია მთელ სვანეთში. მოვიყვანთ ზემო სვანეთის მუ-ლახის თემის სოფელ ჭოლაშის ახალი წლის (ზომხა დღის) აღწერილობას: „Zalian ადრე წამოიშლებოდნენ ოჯახის უფროსი ქალი და კაცი, რომლებიც ახალწლის შინაური მეკვლეები იყვნენ, უბრალოდ ხელ-პირს დაიბანდნენ და ცეცხლს აანთებდნენ. ამ დღესც ცეცხლის შებერვით ანთება არ შეიძლებოდა. ამიტომ კერი-აში ღრმად შენახულ ნაკვერჩხალ გმოჩიჩენიდნენ, ზემოდან წვრილად დაჭრილ ხმელ შეშას დააყრიდნენ და დააცლიდნენ სანამ ცეცხლი თვითონ არ აინთებოდა. შემდეგ მეკვლე ქალი ლალაშ-ს ზურგზე წამოიკიდებ-და, კაცი მეკვლე ხარს წინ გაიგდებდა და კალოზე გავიდოდნენ. აქ ისინი ააგებდნენ თოვლის მურყყამ-ს, რომლის შუაგულში ნაძვის ტოტს ამაგრებდნენ. რაც უფრო, დიდი ზომისა იქნება ზომხას თოვლის კოშკი მით უფრო მსხვილ თავთავბს მოიბამს ამ წელს პურეულიო, ფიქრობდნენ ძველად. მეკვლეები თოვლის

<sup>75</sup> მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული მკვლევარ ს. მაკალათიას მის ნაშრომში „ახალწლინადი საქართველოში „თბილისი, 1927.

<sup>76</sup> ვ. ბარდაველიძე ეხება რა ბასილ ჭიჭყნიას, წერს : „წმინდა ბასილის ხსენება ქართველ ხალხში მოცემულია დღეობა ახალწლინადს, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში წმინდა ბასილის მოსახსენიებელ დღედ ითვლებოდა. ის გარემოება, რომ ბასილ ჭიჭყნიას სახით წმ. ბასილის სახელი და მისთვის განკუთვნილი კვერი ბოსლობაში მოწმდება, წარმართულის ქრისტიანულთან სინკრიტიზმის მაჩვენებელია. ღვთაება ბასილის დღეობაში... ქრისტიანული წმინდანი შექრილია და ამ წარმართული წარმართული ღვთაების კულტის თანაზიარი გამხდარა“ (კილანავა 1981 : 90 )

მურყვამ-ს სამჯერ გარს შემოუვლიდნენ ხარითა და ლალაშით და თან ლოცულობდნენ: „ო-ო წლის ძალის შემცვლელო მადლიანო, კარგ წელინადს ახალს მიგვაყენე; ჩვენი სახლის საქონლის და ადამიანის ზრდით და მატებით გაგვახარე; მოგვეცი საქონლის სიმრავლე და ადამიანის მშვიდობიანობა; მომხმარებლად ადამიანი ამყოფე [და] მოსახმარი საქონელი მოგვეცი ჩვენი სულის შესარჩენად და ღვთის შესაწირავად“. ლოცვის შემდეგ გაბრუნდებოდნენ და სახლის კარს რომ მიუახლოვდებოდნენ, დაიძახებდნენ: კარი გამიღე! ამაზე შიგნიდან შეეკითხებოდნენ: რა ბედნიერება მოგაქვს? მეკვლეები უპასუხებდნენ: ადამიანის მშვიდობიანობა, საქონლის სიმრავლე, სახარეა ხარებით სავსე, საცხენეა ცხენებით სავსე, საცხოვრეა ცხოვრებით სავსე, სალორეა ლორებით სავსე. შევიდოდნენ სახლში, კერიას სამჯერ გარს შემუოვლიდნენ ხარით და ლალაშ-ით თან ასე ლოცულობდნენ: ო-ო წლის ძალის შემცვლელო, მადლიანო, გრიგოლ ბაცი ზღვის კალანდისაო, კარგ ამ წელინადს ახალს მიგვაყენე, საქონლის სიმრავლით [და] ადამიანის მშვიდობიანობით გაგვახარე, საუკეთესო წლის შეცვლა თუ ვინმეს ჰქონებოდეს, ის მეორედ ჩვენ მოგვასწარი. კარგ ამ წელინადს ახალს მიგვაყენე, მადლი გექნება, მარცხი და მავნე გვაშორე ჩვენი სახლის საქონელს და კაცს. ბალნის ბუჯისა [და] ჩლიქის ნამცეცის გარდა ნურას მოგვაკლებ, ზრდით და მატებით გაგვახარე, გარეთ და შინ კარგი შეგვახვედრე, ცუდი აგვაშორე (“ბარდაველიძე 1939: 149”).

ამ ლოცვაში როგორც ვნახეთ წმინდა ბასილი „bacis“ სახელით მოიხსენიება ხშირად მოიხსენიება ეს წმინდანი „ბასლის“ სახელითაც.

ხაზგასმით არის ალსანიშნავი ის ფაქტი, რომ ამ კუთხით ქართველთა ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს რომ, წმინდა ბასილი დიდი მხოლოდ საქონლის მფარველის ფუნქციას არ ითავსებდა. ახალინლის დღესასწაულის სვანურ რიტუალებში აღვლენილი ლოცვებში წმინდა ბასილი დიდიმხოლოდ საქონლის მფარველად არგვევლინება, მას შესთხოვნენ მომავალი წლის მოვლენების მშვიდობიან მსვლელობასაც: ადამიანთა გამრავლებას, მათ მოვლა პატრონობას და ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებას. მაგალითად, ქვემო სვანეთის ერთ-ერთ სოფელში, უახუნდერში ასეთი შინაარსის ლოცვა აღევლინებოდა: „წლის ძალის შემცვლელო ზღვის ბასილ კალანდისაო, გვიშველე და გაგვიგონე! წლის მოსავლით გაგვახარე, ადამიანის მშვიდობიანობით, საქონლის სიმრავლით, ჭირი აგვაცილე.“ (ბარდაველიძე 1939: 112) ზემო სვანეთის იფარის თემში ზომხას (ახალნელინადს, დილით) გათენებისხანს წამოდგებოდნენ ქორა მეჭიშხები (სახლის მეკვლეები), ხმაამოუღებლივ ხელ-პირს დაიბანდნენ კერის თავზე ჩამოკიდებული ქვაბის წყლით, უფროსი ქორა მეჭიშხი საუკეთესო ხარს გაიყვანდა, უმცროსი ლალააშ-ს წამოკიდებდა და გადიოდნენ გარეთ. სამჯერ გარს შემოუვლიდნენ კალოზე დადგმულ თოვლის „კოშკს“ და თან ლოცულობდნენ: „grigol ბასილი ზღვის კალანდისაო, გრიგოლ ბასილი ზღვის კალანდისაო, გრიგოლ ბასილი ზღვის კალანდისაო, კარგი წელი შეგვიცვალე, წლის ძალის შემცვლელო, კარგი წელი შეგვიცვალე, ზრდით და მატებით გაგვახარე, მშვიდობიანობით გაგვახარე!..“ (ბარდაველიძე 1939: 153).

ლოცვის ტექსტი მრავალმხრივა საყურადღებო, ალსანიშნავია, რომ მასში წმინდა ბასილის გვერდით იხსენიება მეორე წმინდანიც - წმინდა გრიგოლიც, როგორც „გრიგოლ ზღვისა“<sup>77</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ „სვანურ სალოცავებში ბასილთან ერთად დასახელებული „grigol ძუღვააშ“ იგივე ბასილის ძმა გრიგოლ ნოსელია“ (კილანავა 1981: 99). ამასთანავე, ბასილი დიდი დასახელებულია რიგ წერილობით წყაროებში როგორც, „ბასილი პონტოელი“, რაც უნდა მიანიშნებდეს მის ქართულ წარმომავლობაზე, რადგან პონტო-კაბადოკია ოდითგანვე მეტწილად ქართველური მოდგმით იყო დასახლებული (თუმცა აღნიშნულს ბევრი მკვლევარი არ იზიარებს). ამ მხრივ საინტერესოა ბ. კილანავას მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ „ქართული წერილობითი ტრადიცია ბასილის პონტოელობის შესახებ

<sup>77</sup> „გრიგოლ ბასილი ძუღვააშ“ ქართული ენის სვანურ დიალექტზე ნიშნავს „გრიგოლ ბასილი ზღვისა“, ისევე როგორც იდენტურია მნიშვნელობა გრიგოლ ბასილი პონტოელისა და გრიგოლ ბასილი ძუღვააშ-ისა (ორივე შემთხვევაში მნიშვნელობა ერთგვარია - გრიგოლ ბასილი ზღვისა).

პარალელს უნდა პოულობდეს ზეპირგადმოცემაში სვანურ სალოცავთა სახით. წერილობით და ზეპირ წყაროთა ამგვარი თანადგომა პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა ბასილის პონტოელობის საბოლოო გადაწყვეტისთვის. კერძოდ, წერილობითი წყაროებით დადასტურებული ბასილის პონტოელობასთან პირდაპირ კავშირშია ქართული (სვანური) ზეპირსიტყვიერების ბასილის „ბასილის ძუღუაშობა“ (ბერძნული „პონტოს“ „ნიშნავს „ზღვას“ ასევე სვანური „ძუღვა“ ნიშნავს „ზღვას“) იმ განსხვავებით რომ, სვანურ სალოცავებში ბასილი ღვთაებრივობამდეა, აღზევებული „(კილანავა 1981 : 98) ამასთან სვანურ სალოცავებში ბასილი დიდი დასახულია როგორც, სამყაროს პატრონად, უდიდეს ღვთაებად, ფუსნაბუასდიას ტოლად. ფაქტიურად ის დიდ ღმერთად მიიჩნეოდა<sup>78</sup> (კილანავა 1981 : 93)

მართლაც, სვანეთის საახალწლო სარიტუალო ლოცვაში, რომელსაც წმინდა ბასილი დიდისადმი აღავლენდნენ, წარმოჩინდება განსაკუთრებილი დამოკიდებულება ამ წმინდანისადმი. სვანეთის მოსახლეობამას შესთხოვდა ოჯახის გამრავლებას, ეკენომიურნინსვლას (საქონლის გამრავლების სახით, რადგან, ცნობილია, ამ მხარეში მსხვილფეხა მესაქონლეობა იყო წამყვანი სამეურნეო დარგი), და მშვიდობის დამყარებას ადამიანთა შორის.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გრიგოლ ზღვის მფარველი მოხსენიებულია აგრეთვე ქვემო ქართლის დასავლეთ მხარეში არსებულსოფელ ჰამამლუს ეკლესიის წარწერაზე არსებული ოთხი სტრიქონით. თითოეული სტრიქონის ასო კარგად ჩანს თუმცა წარწერის აზრის გაგება რთულია. პირველი ორი სტრიქონის აზრი ნათლად ირკვევა: „წმინდა გრიგოლ ზღვისა მცველი“. დანარჩენი კი გაუგებარია. აღნიშნულის საფუძველზე ეს „წმინდა გრიგოლ ზღვისა მცველი“ იგივე იმერეთში დადასტურებული „grigol ზღვისა მწყემსი“ და სვანური მასალების „გრიგოლ ზღვისა“ და „ბასილი ზღვისა“, არის ქართულ წარმართულ პანთეონში არსებული ზღვის (ზოგადად წყლის) უძველესი მფარველი ღვთაებები, რომლებსაც ქრისტიანობის დამკვიდრების პერიოდში შესაბამისი ქრისტიანული სახელები მიეცათ ( კილანავა 1981 : 101 )

წმიდა ბასილი დიდის სახელთანაა დაკავშირებული სხვადასხვა ტრადიცები მთელ საქართველოში: ქართლში ბასილობის დღეს აცხობდნენ კაცის გამოსახულების მქონე საახალწლო კვერს, რომელსაც გულზე ჯვრის ფორმას გამოუსახავდნენ და ფქვილის გოდორში ჩააგდებდნენ - „ბარაქა ამ გოდორსო“. ასეთივე კვერები ცხვებოდა კახეთსა და ჯავახეთში. რაჭის რიგ სოფლებში საახალწლოდ „კაც-ბასილად“ წოდებული მრგვალი პური ცხვებოდა - „კერია-ბერიას“ სახელწოდებით“, ხოლო კვერს, რომელსაც მთის რაჭაში საქონლის მისალოცად აცხობდნენ „ბასილი ჭიჭინია“ ენოდებოდა. სამეგრელოში ბასილა ენოდებოდა გრძელ და ვიწრო ფორმის კვერს, რომელსაც წმინდა ბასილის სახელზე საახალწლოდ აცხობდნენ ღორის ქონით შეზავებული ხორბლის ან ჭვავის ფქვილისაგან. ბედისკვერა ცხვებოდა ფშავსა და ხევსურეთში კაცთა ( ადამიანთა ) გამოსახულებით.

ამრიგად, შესაძლოა, დავასკვნათ, ბასილობასთან დაკავშირებული რიტუალები, ლოცვის ტექსტები, სიმბოლური გამოსახულებები, რომლებიც დაფიქსირებულია საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, მომდინარეა წმინდა ბასილი დიდის სხენების საეკლესიო ტრადიციიდან. არ გამოვრიცხავთ, რომ წმინდა ბასისლი დიდის სახელი ჩაენაცვლა წინარე ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენათა ზოგიერთ პლასტს და დღეობა სინკრეტიზმის ნიშნებსაც შეიცავდეს.

#### ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე 1939. ვ. ბარდაველიძე სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი თბილისი 1939.
2. კილანავა 1981. ბ. კილანავა ბასილ და გრიგოლის კულტი საქართველოში ( სმა მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია 4 ) თბილისი 1981.
3. მაკალათია 1927. ს. მკალთია ახალწელინადი საქართველოში თბილისი 1927.

**თორნიკე ბაქაქური**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ კვიშინაძე

## გულტიკულტურალიზმის მომავალი ნორვეგიაში

ტერმინი “მულტიკულტურალიზმი” პირველად 1957 წელს გაჩნდა შვედეთში, თუმცა კანადა იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც 1960 წელს მულტიკულტურალიზმი საკუთარი „erovnuli იდენტობის განუყოფელ ნანილად“ აღიარა და ის ოფიციალურ სახელმწიფო პოლიტიკად გამოაცხადა. ნელ-ნელა კი მულტიკულტურალიზმი დასავლური ქვეყნების უმეტესობისათვისაც მიმზიდველი გახდა.

მულტიკულტურალიზმი გულისხმობს ერთდროულად განსხვავებულობის აღიარებას, უნიკალურობის დაცვას და ჯგუფური, საერთო უფლებების დანესხბასაც, ამდენად ეს მე-20 საუკუნის პირმშო როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, ლიბერალიზმისა და გლობალიზმის შთამომავალია.

მულტიკულტურალიზმის მთავარ მონაპოვარს მდიდარი, მრავალფეროვანი, ღია სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს, რომელიც ახერხებს ინდივიდუალიზმის რეალიზებას მთლიანი საზოგადოების უფლებათა შეღახვის გარეშე, ასეთი ტიპის საზოგადოებაში კულტურათაშორისი კომუნიკაცია ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია. 1990-იანი წლებიდან ამ ცნების ქვეშ მხოლოდ რასობრივი ან ეთნიკური განსხვავებულობის ადმიშემწყნარებლობა არ იგულისხმება, არამედ კიდევ უფრო ფართო სპექტრზე ვრცელდება, როგორიცაა გენდერი, სექსუალური უმცირესობები, ეიჯიზმი თუ თავად ქვეყნის შიგნით არსებული სუბკულტურები.

მულტიკულტურალიზმის მთავარი დამსახურება ალბათ მაინც ისაა, რომ ადამიანებს საკუთარი იდენტობის დაცვისა და გამოხატვის უფლება არა მხოლოდ პირად ცხოვრებაში შეუძლიათ უცხო თვალისებან განრიდებით, არამედ საჯარო სივრცეშიც. ამ დროს ქრება გაუცხოების შეგრძნება უმცირესობებში, რომლებიც თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად გრძნობენ. გაუცხოების გრძნობა შეიძლება სრულიად არ აღმოიფხვრას დომინანტურ კულტურაში, მაგრამ ე.წ. “სხვა” აღარ იქნება “უცნობი”, რომლისგანაც არ იცი რას უნდა ელოდე. მულტიკულტურული პოლიტიკით აღმოიფხვრება ეს გაუცხოება თუ უნდობლობა, ფართოვდება მოქალაქეთა კულტურული პორიზონტი.

მიუხედავად მთელი რიგი დადგებითი მხარეებისა, რათქმა უნდა, მულტიკულტურალიზმს ახლავს თავისი ნეგატიური გამოვლინებებიც. ამის ნათელი მაგალითია ახლო აღმოსავლეთიდან, არაბული ქვეყნებიდან ევროპაში და მათ შორის სკანდინავიის ქვეყნებში გადახვენილ ემიგრანტთა დიდალი ტალღა, რომელიც სერიოზულ ეკონომიკურ დაძაბულობას ქმნის რეგიონში. მთავრობები იძულებული არიან შეინწყარონ პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით დევნილები და დაუნიშნონ მათ სოციალური დამხარება, რასაც აბორიგენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ნამდვილად არ ხვდება აღტაცებით.

ეკონომიკური სფერო სგარდა დაძაბულობა არსებობს სოციალური, კულტურული, რელიგიური თვალსაზრისითაც, რადგან გარემო, რომელიც საზოგადოებრივია, პომოგენურობიდან ჰეტეროგენურობისკენ გადაიხრება. ისმის კითხვა - შეიძლება კი ნებისმიერმა კულტურამ სრულიად გამოავლინოს საკუთარი ინდივიდუალიზმი? აქვს თუ არა მას ამისი უფლება? ამ კითხვის დასმის აუცილებლობას მორალისა და ზნეობის სუბიექტური აღქმა განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზებული სამყარო შეთანხმებულია

### ჰუმანიტარული მეცნიერებანი: სპასლინავისტიკა

გაერო-ს ადამიანის უფლებათა დეკლარაციაზე, ხშირად ეს დოქტრინა არ ხორციელდება რეალურ ცხოვრებაში, რადგან მთელ რიგ შემთხვევებში რელიგიური შეხედულებები თუ სხვა ტრადიციები გაცილებით დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივ ყოფაში. ამდენად ძნელი დასადგენია სად გადის ზღვარი ტრადიციას, უფლების ქონასა და მის შენახვას შორის. „გახდე ფრანგი - ნიშნავს აღიარო ცივილიზაციის ფორმა, ღირებულებები, ტრადიციები... საფრანგეთი ის ქვეყანაა, სადაც ეკლესია სახელმწიფოსგან გამიჯნულია და ყველას რწმენა პატივულია. მაგრამ საფრანგეთში ბურკას ადგილი არაა. ჩვენ ვერ შევეგუებით იმას, რომ ქალები პირბადის მიღმა, ტყვეებად დარჩენენ, მოკლებული იყვნენ საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას, საკუთარი იდენტობის ქონის უფლებას“ - განაცხადა ნიკოლა სარკოზიმ 2009 წელს და შესაბამისი კანონიც მაღვევე იქნა მიღებული, თუმცა ამავე დროს ნორვეგიაში მუსლიმი სკოლის მოსწავლე გოგონები პირბადეს ატარებენ და ამაში არ იზღუდებიან. როგორც ჩანს, ნორვეგია მულტიკულტურალიზმის მხრივ აბსოლუტისტური ქვეყანაა, იგი არ ახდენს კულტურის მოდიფიკაციას, მხოლოდ იცავს მას. მაგრამ რა ხდება ამდროს - დაცულია თუ პირიქით, ილახება ადამიანის უფლებები? რა არის უკეთესი სრულუფლებიანი, ინტეგრირებული სოციუმისთვის - ევროპულ ანუ დომინანტურ კულტურაში ამ ახალი ტალღის ზომიერი ინკორპორაცია თუ სრული უნიკალობის შენარჩუნება? ეს კითხვები უკვე ფილოსოფიის პლანში გადადის და მუდამ დებატებს ინვევს ინტელექტუალურ წრეებს შორის, რომელიც ხან მაღულად და ხანაც საზოგადოების თვალწინ მიმდინარეობს.

2010 წელს ტელეკომპანია ნორშკ 2-ის ეთერში ერთ-ერთმა გადაცემამ 20 წუთიანი სიუჟეტი მიუძღვნა 8 წლისელიას, რომელიც ოსლოში, გრონლანდში ცხოვრობს. ამ ოლქის მცხოვრებთა 45% მიგრანტია და მათი უმეტესობა მუსლიმური თემის წარმომადგენელია. ელიასი ფაქტობრივად ვერ გადიოდა სოციალურ ადაპტაციას, მას არჲყავდა მეგობრები არც სკოლაში, არც მეზობლებში, იგი აღნერდა რამდენიმე შემთხვევას თუ როგორ გამოისტუმრეს ფიზიკური ანგარიშსწორებით მუსლიმმა ბავშვებმა, როცა ელიასმა მათთან დაახლოება და თამაში მოინდომა. ელიასი მუსლიმ თანატოლების განგანსხვავებით შობასაც აღნიშნავს და ღორის ხორცსაც შეექცევა, ეს ყველაფერი კი მათთვის უცხო და მიუღებელია, რელიგიურ ფონზე განსხვავება იმდენად მძლავრია, რომ ათეისტურ ოჯახში აღზრდილი ელიასი მათთან საუბრისას საკუთარ თავს უკვე ქრისტიანადაც კი მოიხსენიებდა. პრობლემის გადაჭრიის იმედით მშობლებმა ელიასი სხვა სკოლაში გადაიყვანეს, სადაც უფრო მეტი ნორვეგიელი სწავლობს და ისიც უფრო სოციალურად აქტიური გახდა. როგორც ჩანს, მულტიკულტურალიზმს არყოფნის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება მხოლოდ დომინანტური კულტურის წარმომადგენლებში, დაფასება და კომუნიკაცია ორმხრივი უნდა იყოს. ამასობაში მსგავსი მსგავსისკენ ილტვის საკუთარივე იდენტობის შესანარჩუნებლად და გარშემომყოფთა დაყოფა, როგორც „ჩვენ“ და „ისინი,“ კიდევ უფრო ძლიერდება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მულტიკულტურალიზმის დასაცავად სხვადასხვა მექანიზმებს იყენებს, სოციალური დახმარების მიცემიდან დაწყებული მათი ჩაგრულობის აფიშირებით დამთავრებული, ისევ ეს მექანიზმებია, რომლებიც ინტეგრაციას არა მხოლოდ აჩქარებენ, არამედ აფერხებენ კიდეც, რადგან იმიგრანტებს თუ სხვადასხვა სუბკულტურების წარმომადგენელთ განსხვავებულობის შეგრძებას უმყარებენ.

ზემოთაღნიშნული სატელევიზიო გადაცემის ეთერში გასვლიდან ერთი წლის 22 ივლის სმულტიკულტურალიზმის პრობლემა ნორვეგიაში ისევ დღის წესრიგში დადგა. ანდერს ბერინგ ბრეივიკმა კუნძულ ოტონიაზე ახალგაზრდულ ბანაკზე განხორციელებული ტერორისტული აქტით 77 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ბრეივიკი დღეს მოიხსენიება, როგორც ქრისტიანი ფუნდამენტალისტი, ქრისტიანი ტერორისტი, მემარჯვენე ექსტრემისტი და ა.შ. ბრეივიკი თავის თავს ჯვაროსან რაინდად მოიხსენიებს ევროპაში შემოღინებული ისლამური ტალღის წინააღმდეგ, მისი თქმით ევროკავშირი მიზნად ისახავს ევროპის „ევრაზიად“ გარდაქმნას, სადაც დასავლური, ქრისტიანული ცივილიზაცია წახდება და ევროპა საკუთარ სახეს, იდენტობას დაკარგავს.

ცნობილი ფრანგი ესეისტი რიჩარდ მილეთი წერს: “მულტიკულტურალიზმი, როგორც ის გადმოღებული იქნა შეერთებული შტატებიდან, ყველაზე საშინელი რამაა, რაც კი შეიძლება დამართნოდა ევროპას... ის ქმნის გეტოების მოზაიკას, რომელშიც მასპინძელი ნაციები მალე აღარ იარსებებენ. ბრეივიკმა, ვფიქრობ, სწორად აღიქვა ეს და ყველაზე საშინელი პასუხით მოახდინა რეაგირება.” თავად ბრეივიკი კი ღრმადმორწმუნება, ის თავისთავს მხოლოდ ქრისტიანული კულტურის წარმომადგნელად მიიჩნევს, რომელიც ევროპას ასაზრდოებდა მისი არსებობის მანძილზე. მილეთი მიიჩნევს, რომ ნაციონალური იდენტობის დაკარგვისა და ევროპის ისლამიზაციის საფრთხიდან გამომდინარე, ბრეივიკის მსგავსი დანაშაულებანი ევროპის სხვა ქვეყნებშიც შეიძლება განმეორდეს. ოტონის შემთხვევა უმრავლესობამ ისე მიიღო, როგორც სიგიურის აპოთეოზი, მაგრამ ფაქტია, რომ მულტიკულტურალიზმის გამოწვევები ისევ დღის წესრიგშია, ბრეივიკის 1518 გვერდიან ევროპის დამოუკიდებლობის დეკლარაციას კი დღეს უკვე უამრავი “თაყვანისმცემელი” გამოუჩინდა.

მიუხედავად პრობლემებისა, მულტიკულტურალიზმი თანამედროვე მრავალეთნიკური ქვეყნების და მათ შორის ნორვეგიის სახელმწიფო იდეოლოგიის ჯერ კიდევ განუყოფელი ნაწილია. როგორც ცნება ისე პოლიტიკა ეთნიკურ საზღვრებს გასცდა და ყველა სახის უმცირესობათა თუ დისკრიმინირებულ ჯგუფთა მოცვას აგრძელებს. მულტიკულტურალიზმის გაგება და საჭიროება არაა უნივერსალური, ამ პოლიტიკის მხრივ სხვადასხვა ქვეყანას ის სხვადასხვაგვარი გამოცდილებაა, რაც სავარაუდოდ კვლავ გააგრძელებს განვითარებას, მოდიფიკაციას, დახვეწილობისკენ და რაციონალიზმისკენ სვლას.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მულტიკულტურალიზმის გამოწვევები, ავტ.: შ. ხინჩაგაშვილი (<http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0Period--00-1-0-10-0---0prompt-10---4-----0-1I--11-ru-50---20-help---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL2.21&d=HASHc8d072678fc3d47d8ec2ad.3.1>)
2. <http://www.biography.com>, სტატია: Anders Behring Breivik biography (<http://www.biography.com/people/anders-behring-breivik-20617893>)
3. Time World, სტატია: French Essayist Blames Multiculturalism for Breivik's Killing Spree (<http://world.time.com/2012/08/28/french-essayist-blames-multi-culturalism-for-breiviks-norwegian-massacre/>)
4. [www.youtube.com](http://www.youtube.com), Failures of multiculturalism in Norway (<http://www.youtube.com/watch?v=OX-CmasgfMQ>, <http://www.youtube.com/watch?v=LxJ3fyXQahY>)

**მარიამ კალანდარიშვილი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფესორი: კახაბერ ლორია

## ინსპირაცია გლობალური ეკონომიკისათვის

სკანდინავიური (ნორდიკული) მოდელი წარმოადგენს სოციალურ და ეკონომიკურ მოდელს სკანდინავიის ქვეყნებში(ნორვეგია, დანია, შვედეთი, ფინეთი, ისლანდია). იგი ჩამოყალიბდა XX საუკუნის ბოლოს და ორიენტირებულია ეკონომიკის სტაბილიზაციაზე. სისტემა უზრუნველყოფს და მხარს უჭერს დასაქმების დონის ზრდას, გენდერულ თანასწორობას, ადამიანის უფლებების დაცვას, სიმდიდრის გადანაწილებას და სხვ. ნორდიკული მოდელი არის კანონებისა და პრინციპების სისტემა, რომელმაც დააბალანსა ხელისუფლების ინტერვენცია და თავისუფალი ბაზრის საქმიანობა, შედეგად კი საზოგადოების ბედნიერებას და კეთილდღეობას მიაღწია.

სკანდინავიური მოდელის ძირითადი მახასიათებლებია:

- უფასო სოციალური სერვისები (განათლება, ჯანდაცვა, პენსია და ა.შ.)
- საკუთრების უფლების დაცვა და ბიზნეს-საქმიანობის დაწყების სიმარტივე
- ბაზრის მცირე რეგულაცია
- თავისუფალი ვაჭრობისთვის დაბალი ბარიერები
- კორუფციის დაბალი დონე (სკანდინავიის 5 ქვეყანა ყველაზე ნაკლებ კორუფციული ქვეყნების ათეულში შედიან)

ჯანდაცვისა და განათლების სისტემები მიიჩნევა მთავარ ბირთვად წარმატებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ამ სისტემების წარმატებული ფუნქციონირების შედეგად ადამიანები უფრო მეტ დროს უთმობენ კვალიფიკირების ამაღლებას და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. სკანდინავიური მოდელი-დან გამომდინარე, ასევე პრიორიტეტია დასახული სოციალურად დაუცველი და უმნეო ჯგუფების უფლებების დაცვა და გაფართოება. მათ მიეკუთვნება მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ღარიბები და დევნილები. ამ ჯგუფების მხარდაჭერით შესაძლებელია არაერთი დანაშაულის თუ უკანანონო ქმედების თავიდან აცილება, რომელთა მიმართაც ისნი მიღრეკილი არიან შეზღუდული რესურსების გამო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სკანდინავიაში ქალებისთვის ანაზღაურებად დეკრეტულ შეცვლებას და ბავშვის მოვლისთვის შეთავაზებულ ხელმისაწვდომ მომსახურებებს გულუხვობად თვლიან.

ყოველი პროგრამა უზრუნველყოფილი ან სუბსიდირებულია მთავრობის მიერ. ბიუჯეტის დაფინანსება კი ხორციელდება სპეციფიკური საგადამხდელო ბალანსის არსებობით. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადის ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი დანიაში არის 63%, შვედეთში - 59%, ნორვეგიაში - 47%. ბიზნესის სტიმულირებისთვის კი საწარმოთა გადასახადები სხვა ქვეყნების ანალოგიური ან კიდევ უფრო დაბალია. მთავარი მიზანი მაღალი საგადასახადო განაკვეთებისა არის სიმდიდრის გადანაწილება. მდიდრები არ უნდა გახდნენ უფრო მდიდრები, ხოლო ღარიბები - უფრო ღარიბები - თავისუფალი ბაზრის საერთო „წყველა“. სკანდინავიაში თვლიან, რომ მდიდრებს შეუძლიათ და უნდა გადაიხადონ უფრო მეტი თავიანთი შემოსავლებიდან, რათა განვითარდეს საშუალო კლასი. ეკონომისტთა უმრავლესობა ეთანხმება აზრს, რომ სწორედ ჯანსაღი და მდიდარი საშუალო კლასი აყალიბებს უკეთეს საზოგადოებას. რიგითი მოქალაქეების

### ჰუმანიტარული მეცნიერებანი: სკანდინავისტიკა

ანაზღაურება იძლევა საშუალებას, რომ მან ეს სიმძიმე ნაკლებად იგრძნოს. საზოგადოების უმრავლესობა მზად არის გადაიხადოს ბევრი იმისათვის, რომ მათი ცხოვრების დონე ხვალ უფრო მაღალი იყოს.

სკანდინავიური მოდელი არის დაფუძნებული ეროვნულ იდეოლოგიაზე, თუ როგორ უზრუნველყოფს მთავრობა საზოგადოების კეთილდღეობას. სწორედ ამიტომ, წლების განმავლობაში, ამ ქვეყნების პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, როგორც პოზიცია, ასევე ოპოზიცია, ეთანხმებოდნენ მოდელის ფუნდამენტურ პრინციპებს და მხარს უჭერდნენ მის განვითარებას.

ნორდიკულმა სისტემამ მასში შემავალი ქვეყნები გამოკითხვების შედეგებით მოაქცია თითქმის ყოველი „კარგი“ სიის სათავეში და „ცუდი“ სიის ბოლო ადგილებზე. „კარგი“ სია მოიცავს ცხოვრების განვითარების ინდექსს, მთლიან შიდა პროდუქტის ერთ სულ მოსახლეზე, გენდერულ თანასწორობას, სიცოცხლის ხანგრძლივობას, უცხოური ინვესტიციების მოცულობას. რაც შეეხება „ცუდ“ სიას, მასში შედის უმუშევრობის, არაკანონიერ ქმედებათა, სილარიბის, ახალშობილთა სიკედილიანობის და კორუფციის დონეები.

სკანდინავიური მოდელის არაერთი უპირატესობის მიუხედავად, მას მოწინაღმდეგებიც ჰყავს. კრიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ მაღალი გადასახადები ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებას და შესაძლებლობებს გახდე მდიდარი. სკანდინავიის ქვეყნებში ბევრი ადამიანი არის საკმაოდ მდიდარი, თუმცა ანგლოსაქსური (ინგლისური, ამერიკული) მოდელის შედეგად ისინი იქნებოდნენ კიდევ უფრო მეტი ძალა-უფლების მქონენი. სხვები მიიჩნევენ, რომ ნორდიკული მოდელი ვერ იქნება წარმატებული ფართოდ დასახლებულ ქვეყნებში და ყველა ის უპირატესობა, რომელიც ეხება დეკრეტულ შვებულებას თუ ავადმყოფობის გამო სამსახურში არ მისვლას, ამცირებს სამუშაო პროცესის პროდუქტიულობას. სკანდინავიური მოდელი სულაც არ არის ეკონომიკის ზრდის წარმატებული სტრატეგია, რადგან რაც უფრო მეტს იღებს სახელმწიფო თავის თავზე, მით უფრო ნაკლებია ხალხის მოტივაცია, თვითონ გააკეთოს რამე. საზოგადოების ნაწილი ვერ აცნობიერებს, თუ როგორ უნდა შენარჩუნდეს კონკურენტული უპირატესობა გლობალური ეკონომიკის პირობებში და ამავდროულად განხორციელდეს ფართო კეთილდღეობის მომსახურებები.

მიუხედავად საწინააღმდეგო შეხედულებებისა სკანდინავიური მოდელი ვითარდება და ემსახურება თავის საზოგადოებას წარმატებულად. დროდადრო ისინი კვლავ აწყდებიან სოციალურ და ეკონომიკურ წინააღმდეგობებს სხვა ქვეყნების მსგავსად, თუმცა ისინი ნაკლები მასშტაბურობით ხასიათდებიან. წლების განმავლობაში თავიანთ შეცდომებზე დაკვირვების შედეგად მათ შეუძლიათ აღიარონ, რომ წარმატებული მეთოდებით ჩრდილოეთში განვითარებას მიაღწიეს.

შვედი ეკონომისტი, დანიელ საჩისი, ამბობს - „მე როგორც ბიზნესმენს მჯერა სტიმულების. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ სტიმულები, რომ ისინი მიისწრაფოდნენ განვითარებისკენ, ინოვაციებისკენ, ზრდისა და სიმდიდრისკენ. თუმცა, როგორც სკანდინავიური გამოცდილება გვიჩვენებს, ინდივიდუალური წახალისება შესაძლებელია დაბალანსებული იყოს საზოგადოების კეთილდღეობასთან და მათ სოციალურ მოთხოვნილებებთან. ნორდიკული სისტემის ასპექტები - ურთიერთობა საზოგადოებასა და ინდივიდებს შორის, სოციალური უზრუნველყოფის მაღალი დონე, ინდივიდუალიზმის თავისუფლება და ნდობის მაღალი ხარისხი - ყოველივე ეს განაპირობებს რისკის დივერსიფიკაციას და გარემოს ცვლილებებთან ადაპტაციას. თუმცა, კიდევ ერთი მიზეზი თუ რატომ მომზონს ნორდიკული მოდელი მე, როგორც ბიზნესმენს, არის შემდეგი - ნდობა, პატიოსნება და გამჭვირვალობა. რაც ნიშნავს რომ ტრანზიქციის გადასახადები, ისევე როგორც კორუფციის დონე არის დაბალი. მდგრადი ფინანსური მდგომარეობის მქონე ადამიანები იხდიან იმდენ გადასახადებს, რომ დანარჩენებმა შეძლონ მინიმალური მოთხოვნებით დაკმაყოფილება. დასაქმებულები იხდიან მაღალ გადასახადებს და უზრუნველყოფენ უმუშევართა ცხოვრებას.“

სკანდინავიის ქვეყნები ცნობილია როგორც ჯგუფი, რომელმაც შეძლო სამართლიანობის და ეფექტიანობის გაერთიანება გლობალიზაციის წინააღმდეგობების გადასალახავად. ნორდიკული მოდელი უზრუნველყოფს - მოქნილობასა და ადაპტაციას გარემო ცვლილებებზე, რასაც დღევანდელ პირობებში გააჩნია უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა. ეს მახასიათებელი განაპირობებს ჩრდილოეთის ქვეყნების კონკურენტუნარიანობის მთავარ ასპექტს. სწორედ ამ მოდელმა განაპირობა სკანდინავიის აყვავება.

**ჰუმანიტარული მეცნიერებანი: სპასლინგის თემა**

ეკონომიკური კრიზისი არ წარმოადგენს საფრთხეს ჩრდილოეთის ქვეყნებისთვის. ნორდიკული მოდელის წყალობით, მათ შეუძლიათ გასწიონ რისკი და არამომგებიან კორპორაციებს გაკოტრების საშუალება მის-ცენ, რითაც ისინი ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობას იღებენ.

სოციალური უზრუნველყოფის ძლიერი სისტემის, მაღალი გადასახადების და ეკონომიკური ზრდის და-ბალანსებამ მიიპყრო მსოფლიოს სხვა ქვეყნების ყურადღება. სკანდინავიას აქვს პოტენციალი გახდეს მსოფლიო ლიდერი ინოვაციური გადაწყვეტილებების საფუძველზე ჯანმრთელობისა და სოციალურ სფე-როში. ნორდიკული მოდელი მიიჩნევა სამაგალითო და მისაბად სისტემად, რომლითაც შესაძლებელია საზო-გადოების კეთილდღეობის გაუმჯობესება და მდგრადი ეკონომიკური მდგომარეობის მიღწევა.

**სოფო მახარაშვილი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი პროფ. კახაბერ ლორია

## სკანდინავის კვეყნების კულტურა და ტრადიციები

სკანდინავია – ამ სახელის გაგონებაზე ადამიანთა უმრავლესობას თვალწინ შორეული და უმზეო ჩრდილოეთი წარმოუდგება, ზოგს კი – „სახურავის თავზე შემომჯდარი ბიჭუნა“ და „გრძელწინდა პეპი“ სკანდინავიასა და სკანდივაიელ მოსახლეობას ბევრი რამით შეუძლია გაგვაოცოს და მოგვხიბლოს. დავიწყოთ ბუნებრივი ფენომენებით.

ჩრდილოეთის ციალი და ყველაზე ცნობილი ფენომენია, რომელსაც სკანდინავის ქვეყნებში ვხვდებით. მას უწოდებენ „Aurora Borealis“. ტრომსოში და ფინმარკში ჩრდილოეთის ციალის ნახვა შესაძლებელია ყოველ მონაცენდილ დამეს. ხოლო სამხრეთ ნორვეგიდან - რამდენჯერმე თვეში.

შუალამის მზე, ანუ პოლარული დღეები - ზაფხულის დასაწყისის თვეებშია (მაისი, ივნისი, ივლისი). ამ დროს მზე 24 საათის განმავლობაში ანათებს. შუალამის მზე გვხვდება ისლანდიაში, ჩრდილოეთ შვედეთში, ნორვეგიაში - ჩრდილოეთის კონცხზე, სადაც 76 დღის მანძილზე არ ღამდება.

პოლარული ღამეები - ჩრდილოეთ სკანდინავიაში ზოგჯერ 2-3 თვე გრძელდება პოლარული ღამეები. ნორვეგის ქალაქ ჰაմერფესტში მზე 1,500 საათის განმავლობაში არ ჩანს.

დღესასწაულები როგორც ყველაგან, შვედეთშიც სააღდგომოდ სხვადასხვა ფრად ღებავენ კვერცხებს. ბავშვები, გრძელი სამოსით, ფერადი თმისახვევებითა და წითლად შეღებილი ლოყებით, აღდგომის ჯადოქრებად გარდაიქმნებიან. ისინი სამეზობლოში დადიან და რაიმე საჩუქრის სანაცვლოდ, მათ საკუთარ ნახატებს ჩუქნიან. აღდგომისას გრძელულები მიფრინავენ ბლოკულაში (The Blue Mountain), რომ შეხვდნენ ეშმაკს. სააღდგომოდ სახლებს ტირიფის ან არყის ხეების პატარა ტოტებითა და წერტილებით რთავენ. წმინდა შაბათს მიირთმევენ ქაშაყს, ორაგულს, კარტოფილს, კვერცხებს და ა.შ. სააღდგომოდ ოფისები იკეტება.

შობა შვედეთში წმინდა ლუსის დღესასწაულით იწყება, 13 დეკემბერს. სახელი ლუსია ნიმნავს სინათლეს, ლუსის დღესასწაული კი სიმბოლურად – სინათლის სიბნელეზე გამარჯვებას. შვედები ტრადიციულად ამ დღესასწაულისთვის ირჩევენ გოგონას, რომელსაც წითელსარტყელშემოვლებული თეთრი კაბა აცვია, თავზე კი სანთლებისგან გაკეთებული გვრიგვინი ადგას. ლუსიად არჩეული გოგონა მომღერალთა გუნდს მიუძღვება წინ, რომლებსაც ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ. გუნდი „სანტა ლუსიას“ და სხვა ტრადიციულ სიმღერებს ასრულებს. გუნდის შემადგენლობაში ბიჭებიც შედიან, რომლებიც სხვადასხვა გმირებს განასახიერებენ. მათ შორისაა ვარსკვლავთბიჭუნა, რომელსაც თავზე ვარსკვლავის მსგავსი ქუდი ახურავს. ამ დღისთვის მზადდება სპეციალური საკვები. სასურველია შაფრანის პურის ყიდვა. შაფრანის პური მზესავით ყვითელია. ასევე მზადდება სუნელებიანი პეჩენიები შვედურად. ხალხი წვიმებითა და ბრჭყვიალა მოსართავებით გადის გარეთ, ერთმანეთს ულოცავენ, არიგებენ ტკბილეულს და სვამენ გლინტვეინს. წმინდა ლუსის დღესასწაული შობის მოახლოებაზე მიანიშნებს. სახლს რთავენ საშობაო ვარსკვლავით, თაფლაკვერითა და წითელი ტიტებით. ტრადიციული საშობაო საკვებია: ლორი, ლორის ხორცი, თევზი. დესერტად - ტკბილეული, ბრინჯის ფაფა ნუშით. სწამთ, რომ ფაფაში ნუშის მპოვნელი მომავალ წელს დაქორწინდება. სადილის შემდეგ, ზოგი საშობაო გნომივით იცვამს, რომელიც მითის მიხედვით ან ფერმაში ცხოვრობს, ან ტყეში. გარეგნულად სანტას ჰგავს და საჩუქრების დარიგებასთან ერთად გარითმულ ლექსებს ამბობს, თუმცა დღეს გნომმა დაკარგა თავისი ძველი როლი.

### **ჰუმანიტარული მეცნიერებანი: სპასლინავისტიკა**

სკანდინავიაში სააღდგომოდ გავცელებული ფერია ყვითელი. არც დანიაა გამონაკლისი. სახლები ირ-თვება ყვითლად და მწვანედ. დანიური სააღდგომო ტრადიციაა ერთმანეთისთვის თავსატეხი წერილების გაგზავნა. წერილში წერია ხოლმე საიდუმლო პოეზია, რომელიც ანონიმურად ეგზავნება სხვას. თუ ადრესატი გამოიცნობს წერილის ავტორს, საჩუქრად მიიღებს კვერცხის ფორმის ჯილდოს. ტრადიციული საჭმელებია: კვერცხი, ქათამი, თევზი და ბატყანი.

შობას მავნე დანიელი ელფი ხალხს ხრიკებს უწყობს. ნისე ცხოვრობს ფერმაში. ნაცრისფერი მატყლის ტანსაცმელი აცვია და თავზე წითელი ქუდი ახურავს. ჩვეულებრივ, ხალხს ფერმაში ეხმარება, კარგად ექცევა ბავშვებს. შობას მას უტოვებენ ბრინჯის პუდინგს ან ფაფას, რომ იხუმროს, მაგრამ არა ზომაზე მეტად. ტრადიციული საშობაო საჭმელია: იხვი ან ბატი, წითელი კომბოსტო, კარტოფილი. დესერტად - ბრინჯის ფაფა ნუშით. დანიაში ნუშის მპოვნელი დასაჩუქრდება შოკოლადით ან მარციპანით.

ნორვეგიაშიც სააღდგომო ფერი ყვითელია. ნორვეგიელებს სააღდგომოდ ხანგრძლივი დასვენება აქვთ. ამ დროს, გამოდის დეტექტრიური წიგნები. რძის პაკეტსაც კი მკვლელობის ისტორიები ახატია. ნორვეგიელები სააღდგომოდ ხშირად სტუმრობენ მთებს თხილამურებზე სასრიალოდ.

ფინეთში ბავშვებისათვის სააღდგომო კვერცხებზე ნადირობას აწყობენ. სახლში ან ეზოში მშობლები მალავენ კვერცხებს და მპოვნელს უფლება აქვს დაიტოვოს „განძი“. ყვითელი, როგორც მთელ სკანდინავიაში, ფინეთშიც სააღდგომო ფერია. ხშირად ფინელები ბალახს თესავენ პატარა ქოთანში და როდესაც გაიზრდება, მასზე კვერცხებს აწყობენ. (ქართული ჯეჯილი). ბავშვები დადიან სხვადასხვა მორთულობით და ხალხისგან მონეტებს ითხოვენ. ტრადიციული სააღდგომო საკვებია: ლორი, შინაური ფრინველი, ბატყანი.

საშობაო სეზონი დეკემბრის პირველ კვირას იწყება. 13 დეკემბერს ფინეთშიც წმინდა ლუსიის დღეს აღნიშნავენ, თუმცა არა ისე, როგორც შვედეთში. შობას ფილებისთვის ტრადიციად იქცა ფინურ საუნაში წასვლა - ეს არის პატარა ოთახი, რომელსაც 70-100 გრადუსზე აცხელებენ. ცხელ ქვებზე ასხამენ წყალს. ქალები და კაცები ცალკე-ცალკე კაბინებში შედიან. საუნაში იწევს სისხლის წნევა, კუნთებზე მომადუნებელი ზემოქმედება აქვს წყალს, კანს შორდება ტოქსინები. საუნები იმდენად გავცელებულია, რომ სახლებსა და სასტუმროებში აქვთ. შობას ფინელები სტუმრობენ სასაფლაოებსაც გარდაცვლილების მოსაგონებლად. მიირთმევენ ნუშიან ფაფას, მპოვნელი მღერის სიმღერას. ასევე ტრადიციული საკვებია ლორი, თალგამურა, ჭარხლის სალათა. შობიდან 13 დღეში სრულდება სეზონი.

ისლანდიაში სააღდგომო სეზონი წმინდა ხუთშაბათი იწყება. ამ დროს, ზოგიერთი მაღაზიისა და კინოთეატრების გარდა ყველაფერი იკეტება. ბევრი აღდგომის გატარებას სხვა ქვეყანაში არჩევს. ბავშვებს ბებია-ბაბუები და მშობლები შოკოლადის კვერცხებს ჩუქნიან.

ისლანდიაში საშობაოდ ბევრი ძველი ტრადიცია შენარჩუნებული. მათ შორის 13 სანტა კლაუსის ტრადიცია. თითოეულ მათგანს განსხვავებული ხასიათი და დანიშნულება აქვს. დღესდღეობით, მათი მოვალეობა საშობაოდ ქალაქში ჩამოსვლა და საჩუქრების დარიგებაა. პირველი სანტა შობამდე 13 დღით ადრე ჩამოდის მთიდან ბარში, დანარჩენები მას მოჰყვებიან. შობის შემდეგაც ასე რიგითობის მიხედვით ჩამოდიან ქალაქში. ისლანდიური საშობაო-საახალწლო სეზონი 26 დღეს გრძელდება. ისლანდიელი ბავშვები 12 დეკემბერს ფანჯარასთან ფეხსაცმელს კიდებენ და ელოდებიან, როდის ჩაუდებს მათ სანტა საჩუქარს, თუმცა ყველას საჩუქარი არ ხვდება ფეხსაცმელში. ცუდი ყოფაქცევის ბავშვი სანტასაგან მოუხარშავ კარტოფილს იღებს მხოლოდ.

### **ჰუმანიტარული მეცნიერებანი: სკანდინავისტიკა**

საშობაოდ ისლანდიელები მიირთმევენ თევზს, რომელიც ზღვის ფსკერზე ბინადრობს და რომელსაც ცხვრის ქონითა და კარტოფილით ამზადებენ. ასევე მიირთმევენ ცხვრის ხორცს სპეციალურ სოუსთან და ბოსტნეულთან ერთად. რა თქმა უნდა, მიირთმევენ ტკბილეულს. სასმელად ამზადებენ გლოგს. სეზონი 6 იანვარს სრულდება. ამ დღეს ისლანდიელები დიდ კოცონს ანთებენ და ისლანდიურ სიმღერებსა და ცეკვებს ასრულებენ. ზეიმს მათი რწმენით ელფები და ტროლებიც უერთდება.

სკანდინავიური საჩუქრები ჩლოგ - ფეხსაცმელი ხის ლანჩებით, რომელიც ძალიან გავრცელებულია სკანდინავიაში.

ნორვეგიული პულოვერი - ძალიან ლამაზი, კომფორტული და თბილი.

ფოტოგრაფია - უყვართ ბუნების პეიზაჟები.

ანგელოზის ზარები - სითბო სანთლებიდან ადის ზარებში და ამოძრავებს ანგელოზებს.

ასევე ჩუქნიან წიგნებს სკანდინავიაზე, სკანდინავიული მხატვრობა და ა.შ.

#### **სხვა საინტერესო ფაქტები**

1632 წელს შვედებმა დაარსეს ალმამატერ-ტარტუს უნივერსიტეტი. მათ შემოიტანეს წიგნების ბეჭდვა ბალტიისპირეთის უკიდურეს ნაწილში და ტარტუ „CrdiloeTis ჰაიდელბერგად“ აქციეს. ესტონელები ახლაც ნატრობენ „ძველ კარგ შვედურ დროებას“ და შვედური მმართველობის საუკუნე ნახევარს „oqros ხანად“ მოიხსენიებენ. საკუთარი ინიციატივით, ესტონელებმა ძეგლიც კი დაუდგეს დამპყრობელ გუსტავ II ადოლფს. შვედები შეცვალეს რუსმა დამპყრობლებმა, რომლებმაც შეიტანეს ბატონყმობა ქვეყანაში, ხოლო ივანე მრისხანის ზარბაზნებმა ტარტუში უძველესი კათედრალის კედლები ჩამოანგრიეს. ახალი რუსული დასახლებებით თითქმის ნახევარს გაუტოლდა ადგილობრივთა ხევედრითი წილი.

ვიკინგ ლაიფ ერიქსონს გეზი გრენლანდიისკენ ჰქონდა აღებული იმის გასარკვევად, იყო თუ არა იქ სიცოცხლე, მაგრამ მიმართულება აერია და დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ამერიკის კონტინენტს მიადგა. ეს მოხდა 1003 წელს. მართალია უნებლიერ, მაგრამ ამერიკის პირველ აღმომჩენად მაინც ერიქსონი ითვლება და არა კოლუმბი.

1866 წელს იოჰან ვალერმა გამოიგონა ქაღალდის სამაგრი. „დაპატენტდა“ 1899 და 1901 წლებში. ნორვეგიის ქალაქ სანდვიკში ამ ფაქტის აღსანიშნავად ძეგლიც დადგეს.

1998 წელს ბარდ ლოტვეიტმა გამოიგონა ავტომობილის „წინდა“. გამოიყენება ზამთარში ჯაჭვების მაგივრად თოვლიან და ყინულიან ამინდებში. „წინდები“ ბაზარზე გასვლის დღიდან გახდა პოპულარული და მომხმარებელთა რიცხვი მუდმივად იმატებს.

ხის მაღალი სკამი ბავშვებისათვის(თრიფ-თრეფი) - შექმნა პიტერ ოპსვიკმა 1972 წელს.

ქრისტიანობის გავრცელებამდე, ნორვეგიაში ადიდებდნენ ღმერთ ოდინსა და მის შვილ თორს.

ნობელის პრემიის დაჯილდოება ყოველთვის ოსლოში ტარდება.

ნორვეგიელმა ხალხმა ორჯერ თქვა უარი შემოთავაზებაზე, გამხდარიყო ევროკავშირის წევრი (1972 და 1994 წლებში).

პროდუქტებზე ფასების სიძვირით ნორვეგიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. მაგალითის-თვის, 1 ბოკალი ლუდი საშუალოდ 15 დოლარი ღირს, სიგარეტის კოლოფი 20 დოლარი.

ნორვეგიულ ენაში არ არსებობს სიტყვა „გეთაყვა“.

### **ჰუნგრიული მეცნიერებანი: სკანდინავისტიკა**

არტას კლდის ხელოვნება ( 1985 წლიდან) - ქრიტესტობამდე 4200-500 წლებში გავეთებული ათასობით ნახატი პირველყოფილი ადამიანების მიერ, რომელიც მათ საქმიანობას ასახავს. (ნორვეგია).

ნორვეგიელებს უმეტესად აქვთ ღია ფერის თვალები (მწვანე ან ლურჯი) და ქერა ან წითური ფერის თმა. კაცებს, როგორც წესი, მუქი წარბები აქვთ, ქალებს - ღია ფერის. კაცების საშუალო სიმაღლე 180 სმ-ია, ქალების - 167სმ.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სტოკოლმში დიდი თოვლი მოვიდა. ერთი ჩვეულებრივი შვედი დიასახლისი ასტრიდ ლინდგრენი ქუჩაში წაიქცა და ფეხი იტკინა. ექიმებმა მას წოლით რეჟიმი გამოუწერეს. ლოგინში უსაქმოდ წოლა ფრულინდ გრენს მალე მობეზრდა და მან დროის მოკვლის მიზნით წიგნის წერა დაიწყო. ამ წიგნის დაბეჭდვა არ იგეგმებოდა. ასტრიდი საკუთარი ქალიშვილის დაბადების დღისათვის საჩუქარს ამზადებდა. ყოველ საღამოს, ძილის წინ, ასტრიდი კატრინს ზღაპრებს უყვებოდა. ერთხელაც აღმოჩნდა, რომ მას ზღაპრების მარაგი შემოელია. კატრინმა მას უთხრა, რომ პეპი გრძელინინდას შესახებ მოეყოლა. ასტრიდმა არც კი იცოდა თუ ვინ იყო პეპი, მაგრამ მდიდარი ფანტაზიის დამხარებით პეპის სხვადასხვა გაუგონარი თავგადასავლების შეთხზვა დაიწყო. ცოტა ხანში, ასტრიდმა შეამჩნია, რომ კატრინის მეგობრები ხშირად საუბრობდნენ პეპისა და მისი ისტორიების შესახებ. აღსანიშნავია, რომ კარლსონიც კატრინის წარმოსახვის ნაყოფი იყო. ერთხელ მან დედას უთხრა, რომ ფანჯრიდან პატარა კაცუნა შემოფრინდა, რომლებიც მშობლების შემოსვლისას კარადის უკან დაიმალა.

#### **ლიტერატურა:**

1. [www.scandinavia.ge](http://www.scandinavia.ge)
2. [www.goscandinavia.about.com](http://www.goscandinavia.about.com)
3. [www.wikipedia.org/scandinavia](http://www.wikipedia.org/scandinavia).

**მარიამ ძაგოვი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფ. კახაბერ ლორია

## ნორვეგია ვიკინგების, ფიორდებისა და თევზის ქვეყანაა. სკანდინავიის ნახევარკუნძულზე მდებარე ამ მშვენიერ ქვეყანაში თუ მოხვდებით, მთის კალთების მშვენიერება, სალი კლდეები, მწვანედ მობიბინე მინ-დვრები, უზარმაზარ მთებს შორის მომწყვდეული ბობოქარი ტალღები, მწვერვალებზე შემორჩენილი ქათ-ქათა თოვლი, საოცარი მყინვარები და ენით აუწერელი სილამაზის ფიორდები გაფიქრებინებთ, რომ ზღაპრულ სამოთხეში მოხვდით.

ჩემს ნაშრომში მინდა თავი ავარიდო ნორვეგიაზე ზოგად ინფორმაციას და ვისაუბრო მის ინდივიდუალურ მხარეებზე, იმაზე რაც ხიბლავს ადამიანს ამ ქვეყანაში.

ნორვეგიელების ტრადიციულ ტანსაცმელს „ბუნადი“ ჰქვია, იგი გამოირჩევა მრავალფეროვანი მოხატვით და შედგება 2 ნაწილისგან: ქვედა და ზემო.

ანტიკურ გამოსახულებებში და სკანდინავიურ საგებში ჩრდილოეთ ევროპის მოსახლეობის აღნერაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ძველნორვეგიული კოსტუმისთვის ვიწრო და გრძელი შარვალი, მოკლე ქურთუკი და პლაში იყო დამახასიათებელი. აღმოსავლეთ რაიონებში მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმელი, ჩვეულებრივ, ქურთუკისგან ან ჟილეტისგან, მოკლე (მუხლის ქვემოთ) შარვლისგან და გეომეტრიული ორნამენტებით გაწყობილი ნაქსოვი გოლფებისგან შედგება. ხოლო ქვეყნის დასავლეთ ნაწილში კი უფრო გავრცელებულია გრძელი და ვიწრო შარვლები, რომლებიც ადამიანს მკერდამდე წვდება და მხრებზე მაგრდება. ბუნადისთვის, ასევე დამახასიათებელია შავი პლაშები და შარვლები, თეთრი პერანგი ფართო სახელოებით და ვიწრო მანუეტით, ტყავის ჩექმა და ცილინდრი.

რაც შეეხება ქალის ბუნადს, ისიც ორი ნაწილისგან შედგება და კაცის ტანისამოსისგან უფრო მეტი დეკორაციითა და მორთულობით გამოირჩევა. დასავლეთ ნორვეგიში ქალებს ბლუზები და სარაფნები აცვიათ, ხოლო სხვა მხარეებში სარაფნებს ცვლის კაბები. ამას, იმის და მიხედვით თუ სად ცხოვრობს ქალი, ემატება ან ქურთუკი ან ჟილეტი ან ნინსაფარი. მხარეების მიხედვით გამოირჩევა ჩაცმულობის მორთულობაც - მდიდრული მოქარგვა, ქამრები და ა.შ. ყოველივე ეს მრავალფეროვანს ხდის ქალის ტანსაცმელს და ნორვეგიის სხვადასხვა მხარეში ვხვდებით ადგილობრივი ტანისამოსის სხვადასხვა სახეობას.

ევროპულმა სტილმა ყოველდღიურობიდან განდევნა ნორვეგიული ტრადიციული ტანსაცმელი, თუმცა ნორვეგიელები მაინც ინარჩუნებენ თავიანთი ტანსაცმლის სპეციფიკას და დღესაც ფართოდაა გავრცელებული ნაციონალური ორნამენტებით მორთული ნაქსოვი სვიტრები. დღესდღეობით ბუნადს დიდი ღონისძიებისას ან ქორნილებში იცვამენ.

ნორვეგიაში განსაკუთრებით პოპულარულია თევზი. ქვეყნისთვის დიდ როლს ასრულებს ზღვა, რომელიც იძლევა სამსახურსა და დიდი რაოდენობით თევზს, რომლის ექსპორტი ქვეყნის ეკონომიკაზე დადგებითად აღინიშნება. ნორვეგიელებს, ასევე ძალიან უყვართ ხორცისა და თევზის სუპები, ყველი (განსაკუთრებით სპეციფიკურია ცხვრის ტკბილი მუქი კრემისფერი ყველი), ხაჭო, კარაქი, ხორბლის ქაში ქლიავით, თაფლი.

ნორვეგიაში გადაღებულია რამდენიმე ჰოლივუდური ფილმი, როგორიცაა: *Star Wars Episode V: The Empire Strikes Back*, სადაც პროდიუსერმა Hardangerjekulen-ის მწვერვალი გამოიყენა ყინულის პლანეტის სცენის გა-

დასაღებად. თვითონ ნორვეგიული ფილმებიც დიდ წარმატებას აღწევდნენ. მაგალითად ფილმი „kon-tiki“, რომელიც მოგვითხრობს ნორვეგიელი მოგზაურის ტურ ჰეიერდალის ისტორიას, ნომინირებული იყო ოსკარზე. ასევე, წარმატებული გამოდგა ფილმი Flåklypa Grand Prix, რომელიც გადაღებულია 1975 წელს და დაფუძნებულია ნორვეგიელი კარიკატურისტის Kjell Aukrust-ის პერსონაჟებზე. ნორვეგიული ფილმებიდან ყველაზე მეტი აღიარება სწორედ, ამ ფილმა ჰქონდა.

ნორვეგიის კლასიკური მუსიკის შემსრულებლებიდან აღსანიშნავია ლეიფ უვე ანდსნესი, ერთი-ერთი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი პიანისტი ტრულს მიორკი და შესანიშნავი ვიოლონჩელისტი კირსტენ ფლაგ-სტადი. ნორვეგიელების ყველაზე საყვარელი მუსიკალური საკრავი მაინც ვიოლინოა. მე-20 საუკუნის და-საწყისში გავრცელებული იყო ჰარმონიკა და აკორდეონი, ასევე ბანჯო.

ნორვეგიის ლიტერატურა ყველაზე მეტად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აყვავდა, როგორც ნაციონალური-განამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა. ამის შესახებ ენგელსი ასე წერდა: „..ბოლო 20 წლის განმავლობაში ნორვეგიამ განიცადა ისეთი აღმავლობა ლიტერატურის სფეროში, როგორითაც ვერ დაიკვეხნის ვერცერთი ქვეყანა, რუსეთის გარდა“. ამ პერიოდში, რომელსაც ნორვეგიული ლიტერატურის ოქროს ხანას უწოდებენ, გამოჩნდა მთელი ჯგუფი ნიჭიერი მწერლებისა, შესანიშნავი ოთხეული: ბერნენი, იბსენი და (იონას) ლაი. მე-20 საუკუნეში სამმა ნორვეგიელმა მწერალმა დაიმსახურა ნობელის პრიზი ლიტერატურაში: ბერნენი 1903 წელს, ენუტ ჰამსუნმა 1920 წელს და უნდსეტმა 1928 წელს.

აღსანიშნავია, რომ ნორვეგიაზე ჩამოყალიბდა წარმოდგენა, რომ მან მსოფლიოს აჩუქა ყველაზე მეტი მოგზაური. ცნობილ მოგზაურებს შორის 3 ნორვეგიელია: ნანსენი, ამუნდსენი და ჰეიერდალი. ნანსენი, რომელიც, ასევე იყო პოლარული მკვლევარი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სახელი გაითქვა თავისი თრი მოგზაურობით. 1888 წელს მან პირველმა გადალახა გრენლანდია თხილამურებით, 1895-96 წლებში თხილამურებითვე შეეცადა მიეღწია ჩრდილოეთ პოლუსისთვის. ასევე, დიდია მისი წვლილი ოკეონოგრაფიაში.

რუალ ამუნდსენმა 1903-06 წლებში შეისწავლა ჩრდილოეთ მაგნიტური პოლუსი, პირველმა დაიტანა რუქაზე 100-ზე მეტი კუნძული, რომლებიც განთავსებული იყო ამ ტერიტორიაზე და პირველმა გაიარა ჩრდილოეთ-დასავლეთის გასასვლელი ატლანტიკური ოკეანიდან წყნარ ოკეანეში.

არქეოლოგმა, ეთნოგრაფმა და მწერალმა ტურ ჰეიერდალმა მსოფლიოში 4 ცნობილი მოგზაურობა ჩაატარა. 1947 წელს წყნარ ოკეანეში, მან 101 დღეში თანამგზავრებთან ერთად გადალახა 8 000 კმ. 1969 და 1970 წლებში ორჯერ იმოგზაურა ატლანტიკური ოკეანიდან მაროკოს დასავლეთ სანაპიროებამდე და 1977-78 წლებში ინდოეთის ოკეანის ჩრდილო-დასასავლეთ ნაწილში.

ნორვეგიელი გამომგონებლებიდან საინტერესოა ტორ ბიორკლუნდი, რომელმაც გამოიგონა ყველის საჭრელი, რაც 1927 წელს ბაზარზე გავიდა და დღემდე ხდება მისი წარმოება. ამ იარაღის მეშვეობით ჟესაძლებელია ყველის თხელ ნაჭრებად დაჭრა. ასევე, წარმატებით უმკლავდება კიტრსა და ბევრ ბოსტნეულს. არანაკლებ საინტერესოა ბარდ ლოტვეიტის გამოგონება - ავტომანქანის „ნინდა“, რომელიც გამოიყენება ზამთარში თოვლიან და ყინულიან ამინდში, ჯაჭვების მაგივრად. 1866 წელს კი იოჰან ვალერმა გამოიგონა ქალალდის სამაგრი, რომელიც „დაპატენტდა“ 1899 და 1901 წლებში. ნორვეგიის ქალაქ სანდვიკაში ამის აღსანიშნავად უეგლიც დადგეს.

### ლიტერატურა:

1. Страны и народы – зарубежная Европа , общий обзор. северная Европа. „мысль“ 1981г.
2. <http://en.wikipedia.org/wiki/Norway#Cinema>

### თამთა უგლავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი ბაქალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფ კახაბერ ლორია

## ნორვეგია ევროკავშირს გარეთ – ხალხის გადაცყვეტილების მიზანი (1972 და 1994 წლის რეაცერენციები)

ნორვეგიის სამეცნ მსოფლიოს უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე ნავთობით, გაზითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანაა საინტერესოა ის ფაქტი, რომ ის არაა ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად თანამშრომლობს მის პროექტებთან: არის ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA), ეურეკას (EUREKA) პროგრამისა და ფრონტექსის (FRONTEX) წევრი. გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ევროპოლთან (EUROPOL). ასევე არის ევროპის თავდაცვის სააგენტოს ნაწილი.[1] ნორვეგიელმა ხალხმა ორჯერ თქვა უარი გამხდარიყო მათი ქვეყანა ევროკავშირის წევრი სახელმწიფო-1972 წლისა და 1994 წლის რეაცერენციებზე.[2] დღესდღეობითაც, არ წყდება ამ თემაზე საუბარი და მოსახლეობის უმრავლეობა კვლავ უარყოფითადაა განწყობილი. ამიტომ, ეს საკითხი არ კარგავს აქტუალობას. ნაშრომის მთავარი მიზანია გამოკვეთოს “ნორვეგიული უარის” სხვადასხვა მიზეზები და იმსჯელოს მათზე.

თავდაპირველად, მიმოვისილოთ სუვერენიტეტის საკითხი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ისტორიასთან, 1397 წლიდან ნორვეგია იმყოფებოდა კალმარის უნიაში შვედეთთან და დანიასთან ერთად თუმცა, ინარჩუნებდა კონსტიტუციას და შიდა საქმეებზე ავტონომიას. XVI საუკუნის 50 იანი წლებიდან, ანუ მას შემდეგ, რაც შვედეთმა უნია დატოვა, ნორვეგია ისევ დანიის პროტექტორატის ქვეშ დარჩა, ხოლო 1814-1815 წლის ვენის კონგრესის გადაწყვეტილების შედეგად, იგი შვედეთთან ალმოჩნდა უნიაში საკუთარი მეფით და კონსტიტუციით 1906 წლამდე.[3] 1906 წელს კი, ნორვეგიამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. მოცემული ისტორიული ფონიდან გამომდინარე ნორვეგიელი ხალხისათვის რთული არ ყოფილა არჩევანის გაკეთება, - რადგან, ახლადმოპოვებული სუვერენიტეტის ნაწილის დათმობაც კი, ბატარა ქვეყნისთვის, საკმაოდ რთულია. 1906 წლის დამოუკიდებლობა მათთვის ისეთი სანატრელი იყო, რომ ევროკავშირი მათი ახლადნარმოქმნილი დემოკრატიის შემაფერხებელ ბერკეტად აღიქვეს.

ასევე, აღსანიშნავია გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა. ნორვეგიელები თავიდანვე უფრო აქტიურად ურთიერთობდნენ სკანდინავიის ქვეყნებთან და ინგლისთან, ვიდრე სამხრეთ ევროპელებთან, რაც ტერიტორიული სიახლოებით აიხსნება.[4] აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საკუთარი ნარსულიდან გამომდინარე ჩრდილოეთში მცხოვრებ ხალხს სპეციფიური კულტურა აქვს. ისინი მხოლოდ საკუთარ რეგიონში ინტეგირდებიან მოცემული კუთხით ერთ-ერთი მიზეზი, რაც გამომდინერეობს ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორებიდან სწორედ კულტურაა. რომელიც, საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა ჩრდილოელ ხალხში ნორვეგიელები ამას თავადაც აღიარებენ და თვლიან, რომ საკმაოდ განსხვავებული არიან სხვა ევროპელებისაგან [5] რაც შეეხება თვითონ ქვეყნის პროვინციების ჩართულობას, 1972 წლის რეაცერენციების დროს განსაკუთრებით აქტიურობდა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობა და პროცენტულად ყველაზე დიდი “უარის” რაოდენობა ამ რეგიონში დაფიქსირდა. ეს განპირობებული იყო ცენტრის და პერიფერიის დაშორებით. თუმცა, 1994 წლის რეაცერენციების დროს, მონაწილეობა თანაბრად მიიღო ყველა რეგიონმა, [6] ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რის გამოც ნორვეგიელებმა უარი თქვეს ევრო-

### ჰუმანიტარული მეცნიერებანი: სკანდინავისტიკა

კავშირზე არის ეკონომიკა-ქვეყანა მდიდარია ხე - ტყის რესურსით, ასევე განვითერებულია მეთევზეობა და ფერმერობა, თუმცა, მთავარი ფაქტორი, რაც ყველაზე მეტად იწვევს ეკონომიკის განვითარებას არის ბუნებრივი რესურსები : ნავთობი და გაზი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნორვეგიის ეკონომიკამ რეფორმების საშუალებით დაიწყო ძლიერი ზრდა.

1960 წელს ნორვეგია ერთ-ერთი თანადამფუძნებელი იყო თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EACT) რომლის წევრები იყვნენ სკანდინავიური ქვეყნები, ბრიტანეთი, ავსტრია და პორტუგალია თუმცა, სამნუხაროდ, ბევრი მიზეზის გამო ეთვა ვერ გახდა წარმატებული ორგანიზაცია. არსებობდა 2 მთავარი პრობლემა, რაც ამ გაერთიანების არასრულფასოვნებას ნათლად უსვამდა ხაზს: 1.) ქვეყნები მეტისმეტად შორს მდებარეობდნენ ერთმანეთისაგან და არ ჰქონდათ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ვაჭრობისათვის, ამიტომ, ვერ ხდებოდა საქონლის გაცვლა გამოცვლა ისეთი ინტენსივობით როგორიც საჭირო იყო. გარდა ამისა, ორგანიზაციის სტრუქტურა ითვალისწინებდა პოლიტიკურ თანამშრომლობას და ბრიტანეთის გავლენით, ნორვეგიის ხელისუფლებამაც გადაწყვიტა გამხდარიყო ევროკავშირის წევრი. ზემოთ ასახული მიზეზების გამო, ნორვეგიის ეკონომიკა საკმაოდ დაზარლდა, ეთვას ბაზარი არასწორად იყო გათვლილი. მართალია, ამ ფაქტს არ გამოუწვევია ეკონომიკური კრიზისი ნორვეგიაში თუმცა, ასახვა ნამდვილად ჰპოვა რეფერენდუმში. ხალხი ფიქრობდა, რომ, რადგან, ეთვამ დიდი ზიანი მიაყენა ნორვეგიის ეკონომიკას, ევროკავშირში შემდეგ ეს ზიანი საგრძნობლად გაიზრდებოდა. ქვეყანას ტვირთად დააწვებოდა მძიმე გადასახადები და ფაქტიურად, მეორე გერმანიის როლის შესრულება მოუწვდა. ნორვეგიულ გაზეთებში სტატიებიც კი გაჩნდა სათაურებით Norway is not for sale" [7]. ასევე, 70-იანი წლებისათვის ნავთობრესურსები ახალი აღმოჩენილი იყო და ეკონომიკა ძირითადად სოფლის მეურნეობას ეფუძნებოდა. ნორვეგიელ ფერმერებს აშინებდათ ზარალი, რასაც მოიტანდა სხვა ქვეყნებისათვის ბაზრის გახსნა შესაძლოა, სამომავლოდ ეს კონფლიქტის მიზეზიც გამხდარიყო. ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა ისლანდიასა და ინგლისს შორის, როდესაც, ინგლისელები უკანანოდ აწარმოებდნენ თევზის რეწვას ისლანდიურ წყლებში. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ, დროებით, დიპლომატიური ურთიერთობებიც კი შეწყდა მათ შორის. [8]

რაც შეეხება 1994 წლის ეკონომიკურ სიტუაციას, ქვეყნაში ის საგრძნობლად განსხვავებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ 70 იან წლებში ნორვეგიას ჰქონდა ეკონომიკური ვარდნა, მან მოახერხა აგროკულტურაზე დაყრდნობით და რესურსების გრივრული გამოყენებით ეკონომიკის აღორძინება, რაშიც საკმაოდ შეუწყო ხელი ნავთობმა და მისმა კრიზისებმა აზის ქვეყნებში. 1994 წლისთვის ისინი იმდენად დამოუკიდებელი გახდნენ ამ სფეროში, რომ აღარც სჭირდებოდათ ევროკავშირში ინტეგრაცია.

ევროკავშირი ხშირად გამხდარა ნორვეგიელი პოლიტიკოსების კრიტიკის საგანი. ზოგიერთი მათგანი ამ სისტემას აღიქვამდა როგორც ნაკლებკონკურეტნებუნარიანსა და არაფრის მოცემს. მათ არ მოსწონდათ ასევე ის ფაქტი, რომ ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოსათვის ევროკავშირი ეკონოკიმური სიძლიერის შენარჩუნების გარანტი არ იყო. ამასთან ერთად, ევროკავშირში შედიან ისეთი ქვეყნებიც, რომელთაც აქვთ შედარებით სუსტი ეკონომიკა. ყველაზე დიდ მინუსს ნორვეგიელები სწორედ კუთხით ამ ხედავდნენ. არ სურდათ მათ ხარჯზე რომელიმე სარგებელი სახელმწიფოს მიეღო. [9]

დღესდღეობით, მთლიანი შიდა პროდუქტით, ნორვეგია ერთ - ერთ წამყვან ადგილს იკავებს. [10] ნავთობითა და გაზით ვაჭრობა ეკონომიკის სიძლიერის მთავარ ინსტრუმეტებს წარმოადგენს. ეკონომიკური გადმოსახედიდან, სრულიად არ არის გასაკვირი, რატომ არ სურთ მათ ევროკავშირში ინტეგრაცია. ეს ქვეყანას მხოლოდ დააზარალებს.

რა თქმა უნდა, არსებობს საწინააღმდეგო აზრიც. ის ფაქტი, რომ ნორვეგია ეთვას წევრობის და ერთიანი ეკონომიკური ზონის შემდეგ შეუერთდა ნატოს, შემდეგ კი ორჯერ თქვა უარი ევროკავშირზე - პარადოქსად აღიქმება. დღესდღეობით ნორვეგია აქტიურადაა ჩაბმული ევროკავშირის ბევრ პროექტში. ისინი პარტნიორები არიან განათლებისა და კულტურის დარგებში, ნორვეგია შესულია შენგენის ზონაში,

EUROPOL-ში რომელიც წარმოადგენს ევროპის პოლიციის სამსახურს და არის ევროკავშირის სამართალ-დამცავი სააგენტო ელიტური კორუფციის და კრიმინალის წინააღმდეგ.

ძალიან საინტერესოა იმდროინდელი ნორვეგიის პოლიტიკური ვითარების განხილვა, რადგან როგორც ყოველთვის პოლიტიკა ერთ - ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს, რისი საშუალებითაც ბევრი მოვლენის სხვაგვარად ახსნა შეიძლება, 1972 წელს ნორვეგიის მმართველ ლეიბორისტულ პარტიას საკმაოდ დიდი იმედი ჰქონდა იმისა, რომ მოსახლეობის მხარდაჭერას მოიპოვებდა, რაც ევროკავშირში შესვლით დასრულდებოდა მაგრამ, ეს ასე მარტივი როდი აღმოჩნდა. მიუხედავად პოლიტიკური ელიტის სწრაფვისა ევროკავშირისაკენ, მაინც ხალხის ნებამ გაიმარჯვა. ზოგიერთი ავტორი ამ მოვლენას ხელისუფლების მარცხად და ხალხის ტრიუმფად აღიქვამს. ლეიბორისტულმა მთვარობამ ვერ მოახერხა ხალხის სათანადოდ ინფორმირება და მოწინააღმდეგეთა რიცხვი მომხრეთა რიცხვზე მეტი აღმოჩნდა, 1972 წლის უარის შემდეგ, ცოტა არ იყოს, ვითარება პოლიტიკური აირია. მოსალოდნელმა განევრიანების მოლოდინმა ნორვეგიელი პოლიტიკოსების გეგმები შეცვალა. [11]

მაასტრიხტის ხელშეკრულების შემდეგ, ნორვეგიის ხელისუფლებას ისევ გაუჩნდა იმედი რომ სხვა სკანდინავიურ სახელმწიფოებთან ერთად აუცილებლად გახდებოდა ევროკავშირის ნევრი. ამ პერიოდში გააქტიურდა მემარცხენე სოციალისტური ფრთა, რომელიც თვლიდა რომ ევროინტეგრაცია ქვეყანაში არ სებულ პოლიტიკურ ვითარებასაც დაძაბავდა და მოსალოდნელი ნეგატიური მხარეები დადებითზე მეტი იქნებოდა. მაასტრიხტის ხელშეკრულებამდეც არ იგრძნობოდა ევროკავშირისადმი მოსახლეობის დიდი ინტერესი. იყო მოსაზრებაც, რომ რადგან ბრიუსელი ძალიან შორს არის ოსლოსგან, ვერ მოხდება სათანადოდ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ამასთან ერთად, გამოსჭვიოდა სურვილი იმისა, რომ რადგან, ნორვეგია საკმაოდ ძლიერი ქვეყანაა და გააჩნია რესურსები, მას სურს დარჩეს გლობალურ აქტორად და არ უნდა შემოიფარგლოს რეგიონალური ან ევროსივრცის სტანდართებით.

მისი ინტერესი ატლანტიკის ოკეანეს უფრო უკავშირდება, ვიდრე სამხრეთ ევროპას. 1990 წელს ნორვეგიაში ჩამოყალიბდა იდეოლოგიური მოძრაობა "Nei Til EU" (უარი ევროკავშირს). ისინი არ იყვნენ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. ამ მოძრაობაში აქტიურად იყვნენ ჩამბული ახალგაზრდებიც. საბოლოოდ, მოწინააღმდეგები მოხრებზე მეტად ორგანიზებულები აღმოჩნდნენ და ნორვეგიელმა ხალხმა ისევ ევროკავშირს მიღმა ამჯობინა დარჩენა ეს. ორგანიზაცია დღესაც არსებობს და კვლავაც აქტიურად ინარჩუნებს ევროსკეპტიკურ პოზიციას. [12]

რეფერენდუმების პერიოდში ნორვეგიელი ხალხის წინაშე თვალნათლივ გამოიკვეთა თავისუფლების საკითხი. რა თქმა უნდა, ევროკავშირში შესვლით ისინი ამ უფლებას არ დაკარგავდნენ, მაგრამ არ სურდათ მორგებოდნენ იმდროინდელ ევროპულ პრინციპებს. გარდა ამისა, 1906 წელს მოპოვებულმა დამოუკიდებლობამ ხალხში უზარმაზარი პატრიოტიზმის გრძნობა გააღვივა. მას შემდეგ, რაც ნორვეგიაში ქალებს უფლებები აღუდგინეს, ისინი აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სამოქალქო ცხოვრებაში და რეფერენდუმებზე მეტი იყო იმ ქალბატონთა რიცხვი, ვინც საჯარო სამსახურში მუშაობდა.

საბოლოო ჯამში, მინდა გავაერთოანო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი რის გამოც ნორვეგიის სამეფომ უარი თქვა ევროკავშირზე დავიწყოთ ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარებით, რომლიდან გამომდინარეც ნორვეგიის გარკვეული სახით იზოლაცია პირდაპირ იწვევს მისი მოსახლეობის დამოკიდებულას ევროგაერთიანების მიმართ, ასევე სურვილს იმისა, რომ იყვნენ დამოუკიდებელნი და შეინარჩუნონ ის სპეციფიური კულტურა, რაც მათ საუკუნეებია მოსდგამთ ეკონომიკურ - პოლიტიკური ფაქტორები რომლებმაც ნამყვანი როლი ითამაშეს მოსახლეობის დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში; ნორვეგიამ უარი თქვა იმიტომ, რომ, ეკონომიკური კუთხით მან თავიდან აიცილა მოსალოდნელი უარყოფითი გამოვლინებები და პოლიტიკურად "ბრიუსელიდან დიდი მანძილით დაშორებულმა ოსლომ" ისევ შორს ყოფნა ამჯობინა სხვა დემოკრატიებისაგან.

ძნელია გამოკვეთო ერთი მთავარი მიზეზი მაშინ, როდესაც უამრავი სხვა იყრის ერთი აზრის გარშემოთავს. გააჩნია რა კუთხით უდგები თემას და იქიდან გამომდინარე გამოიკვეთება სასურველი და მნიშვნელი

### **ჰუმანიტარული მეცნიერებანი: სკანდინავისტიკა**

ლოვანი მიზეზი .მინდა ავლნიშნო, რომ მიუხედავად მრავალი დადებითი და უარყოფითი მხარეებისა, რაც თან ახლავს ევროკავშირში გაწევრიანებას, მოსახლეობამ არჩევანი ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე გააკეთა და არა ძლიერი ზეგავლენის გამო. იქნება ეს ეკონომიკა, პოლიტიკა თუ სხვა ფაქტორები 1972 წლისა და 1994 წლის რეფერენდუმების შედეგები (1972 წლის შედეგები 53,5 % 46,5 % ის ნინააღმდეგ ) (1994 52,2 % 47,8 % ის ნინააღმდეგ ) [13] ნორვეგიელი ხალხის ნების თავისუფალი გამოვლინებაა . რა თქმა უნდა , სამომავლოდ არაფერია გამორიცხული და შეიძლება ნორვეგიელი ხალხი ერთ დღეს ისევ მსგავსი არჩევანის წინაშე დადგეს. თუმცა , როგორც დღევანდელი კვლევები აჩვენებს, მოსახლეობის განწყობა კვლავ უარყოფითია და უმრავლესობას ისევ ევროკავშირს მიღმა დარჩენა ურჩევნია.

#### **ლიტერატურა:**

- [1]Norway and the EU: partners for Europe. გვ.8,13.
- [2]დიკ ლეონარდი „ევროკავშირი“.2002წ. გვ.17.40
- [3]ზ.დავითაშვილი.“ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია“გამომცემლობა ახალი სტამბა .გვ65. გვ.88
- [4]Nathan Jonson- Why did Norway not join the European Union.
- 5]Nathan Jonson- Why did Norway not join the European Union.
- [6].Arnt Peterson-The 1994 EU Referendum in Norway Continuity and Change
- [7]Nathan Jonson- Why did Norway not join the European Union.
- [8]ზ.დავითაშვილი.“ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია“გამომცემლობა ახალი სტამბა.გვ.149
- [9]Nathan Jonson- Why did Norway not join the European Union.
- [10] The World Bank. მონაცემები გადამოწმებულია 7/14/2013
- [11]Robert Geyer . Duane Swank, Klaus Hertweck–Norwegian Social Democratic opposition to the European Union in 1990s
- [12]Nei til Eu (Official webpage).
- [13]Clive Archer-Norway and European integration since 1994.